საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

გურამ ჯოლია

კრეატიული განვითარება: განათლება, ცოდნა, ქმედება

დამტკიცებულია მონოგრაფიად
საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის სარედაქციო-
საგამომცემლო საბჭოს მიერ.
30.03.2016, ოქმი #1

თბილისი
2016

უაკ 330

საზოგადოების განვითარების დღევანდელ კონცეფციათა შორის კრეატიული განვითარება ერთ-ერთი პირველია როგორც მეცნიერული კვლევის პროგრესული ნიშან-თვისებების მატარებელი.

ნაშრომის სტრუქტურა თანამიმდევრულად ასახავს საკვლევი მასალის რიგითობას. მკითხველი პირველად გაეცნობა საზოგადოების კრეატიული განვითარების თეორიულ და მეთოდოლოგიურ ასპექტებს, შემდეგ ყურადღებას გადაიტანს განათლებასა და ცოდნაზე როგორც კრეატიული განვითარების საფუძველზე, მომდევნო ნაწილში გაერკვევა ქალაქის როგორც კრეატიული განვითარების მთავარ მამოძრავებელ ძალაში, შემდეგ კი — ახალი იდეების წარმოშობისა და განვითარების მეთოდებში, დასკვნითი ნაწილის თემატიკის კრიტიკული გააზრებით შეძლებს გააცნობიეროს სამერმისო გლობალური პრობლემები და გამოწვევები.

ნაშრომი განკუთვნილია მათთვის, ვინც ცდილობს გაერკვეს საზოგადოების კრეატიული განვითარების თანამედროვე რთულ და მრავალფეროვან სოციალურ-ეკონომიკურ, ურბანულ და ტექნოლოგიურ პრობლემებში და დაინტერესებულია მათი გადაწყვეტით.

სამეცნიერო რედაქტორი პროფესორი გურამ ყუფუნია

რეცენზენტები: პროფესორი ალექსანდრე სიჭინავა,
პროფესორი რევაზ შენგელია

ავტორი მადლობას უხდის
ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორს,
ბატონ ლაშა კანდელაკიშვილს
წიგნის გამოცემის დაფინასებისათვის

© საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი", 2016

ISBN 978-9941-20-657-3
http://www.gtu.ge

ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის არც ერთი ნაწილის (იქნება ეს ტექსტი, ფოტო, ილუსტრაცია თუ სხვა) გამოყენება არანაირი ფორმით და საშუალებით (იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური) არ შეიძლება გამომცემლის წერილობითი ნებართვის გარეშე.

საავტორო უფლებების დარღვევა ისჯება კანონით.

შ ი ნ ა ა რ ს ი

ავტორის წინასიტყვა --- 8

ნაწ. I: კრეატიული განვითარების თეორიული ასპექტები

1. კრეატივისა და კრეატიულობის არსი. ადამიანის აზროვნების ტიპები --- 11
2. კრეატიული განვითარების წანამძღვრები და მიზეზები --- 29
3. კრეატიულობა, როგორც საზოგადოების ბაზისის (ეკონომიკის) განვითარების შეუზღუდავი წყარო --- 34
4. კრეატიული ეკონომიკის ფენომენი და მისი პოტენციალის გაანგარიშება --- 36
5. კრეატიულობის პირობები და მახასიათებლები --- 37
6. საზოგადოების განვითარების სტადიები --- 40
7. კრეატიული საზოგადოება და საერთაშორისო ორგანიზაციები --- 43
8. კრეატიული განვითარების კონცეფციის პოსტულატები --- 45
9. კრეატიული განვითარების ფაქტორები --- 46
   ა) მოთხოვნები მომხმარებელთა მიმართ --- 46
   ბ) მოთხოვნები სამუშაო ძალისადმი --- 47
   გ) მოთხოვნები კრეატიული სივრცისადმი --- 48
10. კრეატიული განვითარების კონცეფციები --- 51
   ა) დარგობრივი განვითარების კონცეფცია --- 51
   ბ) კრეატიული ინდუსტრიის ფორმირების პერიოდები და განვითარების მაჩვენებლები --- 56
   გ) შრომითი განვითარების კონცეფცია: კრეატიული კლასი — კრეატიული საზოგადოების შემქმნელი --- 60
   დ) სივრცითი განვითარების კონცეფცია ---66
11. კრეატიულობის დონის შეფასების მოდელები --- 74
12. კრეატიული საზოგადოების მახასიათებლები --- 78
13. კრეატიული განვითარების თავისებურებები --- 81
14. კრეატიული საზოგადოების სიმდიდრე (დოვლათი) --- 85

ნაწ. II: განათლება და ცოდნა — კრეატიული განვითარების საფუძველი

1. განათლების აუცილებლობა და მსოფლიო კრიზისი --- 91
2. განათლების სისტემის თანამედროვე პარადოქსები --- 96
3. განათლების თანამედროვე ტენდენციები და პიროვნების

განვითარების პრობლემა --- 98
4. უწყვეტი განათლების სისტემის გენეზისი --- 99
5. საგანმანათლებლო პარადიგმის ტრანსფორმაცია--- 105
ა) საუნივერსიტეტო-საგანმანათლებლო მოდელების შედარება --- 105
ბ) უნივერსიტეტების ახალი საგანმანათლებლო მოდელები:
• SMART-კიბერუნივერსიტეტის მოდელი --- 113
• სამეწარმეო უნივერსიტეტის მოდელი --- 117
• „სამმაგი სპირალის“ საუნივერსიტეტო მოდელი ---139
6. ინფორმაციისა და ცოდნის არსი --- 143
7. ცოდნის სახეები, კლასიფიკაცია და წყაროები --- 149
8. საზოგადოების განვითარების თანამედროვე კონცეფციები --- 155
9. ცოდნის ეკონომიკის არსი და განვითარების პირობები ---159
10. ცოდნის ეკონომიკის ელემენტები და კვლავწარმოების სტრუქ-ტურა --- 165
11. ცოდნის ეკონომიკის კვლევის მეთოდოლოგია და ფუნქციები --- 167
12. ცოდნის ეკონომიკის განვითარების მსოფლიო ტენდენციები და პრიორიტეტები --- 168
13. ცოდნის ეკონომიკა, როგორც ფორმირებადი ეკონომიკური სისტემა ---170
14. ცოდნის ეკონომიკა — მუდმივი ცვლილების სამყარო --- 175
15. სახელმწიფოს როლი ცოდნის ეკონომიკის ფორმირებაში --- 182
16. ცოდნის ეკონომიკის შეფასების მეთოდოლოგია --- 186
17. სოციალური კაპიტალი --- 190
18. ინტელექტუალური კაპიტალის სტრუქტურა ---194
19. ინტელექტუალური კაპიტალი: შეფასება, ინვესტირების ობიექტი --- 200
20. ცოდნის მართვის პირობები და პრინციპები --- 204
21. ცოდნის მართვის მიზნები, ამოცანები და ფუნქციები ---206
22. ცოდნის გაცვლისა და გამოვლენის მეთოდები --- 208
23. ცოდნის მართვის საბაზო სტრატეგიები --- 210
24. ცოდნის შეძენა, იჯარა და განვითარება --- 213
25. შემოქმედებითი გუნდის ფორმირება --- 214
26. ინოვაციური ადამიანი (ინოადამიანი) --- 216
27. ცოდნის მართვის ეროვნული თავისებურებები --- 218

.

ნაწ. III: ქალაქი — კრეატიული განვითარების მთავარი მამოძრავებელი ძალა

1. დამოუკიდებელი პოლისები (ქალაქ-სახელმწიფოები) და მათი ეკონომიკური კავშირები --- 228
2. თანამედროვე ქალაქი — ურბანიზებული სოციუმი --- 244
3. მეგაპოლისების წარმოშობისა და განვითარების თეორიული წანამძღვრები --- 247
4. ქალაქი როგორც სოციალურ-კულტურული საჯარო სივრცე --- 254
5. გლობალური ქალაქების განვითარების თავისებურებები და კრიტერიუმები --- 258
6. თანამედროვე დიდი აგლომერაციები --- 261
7. ქალაქის განაშენიანების კონკურენტული უპირატესობები --- 263
8. მეგაპოლისების განვითარების ფაქტორები და საკვანძო ფუნქციები --- 270
9. მეგაპოლისების კლასიფიკაცია და პრობლემები --- 276
10. მეგაპოლისების განვითარებით წარმოშობილი დილემები --- 278
11. „ევროპის კულტურული ქალაქი“ --- 280
12. გაეროს პროგრამა „გაერო-ჰაბიტატი“ --- 283
13. ეკოპოლისური ურბსოციუმი: წარსული, აწმყო და მომავალი --- 285
    - ა) ეკოლოგიური ფაზების რეტროსპექტივა --- 289
    - ბ) ადამიანთა ეკოლოგიური დასახლებების ევოლუცია ---293
    - გ) თანამედროვე ეკოლოგიური მდგომარეობა და მისი გამოსწორების გზები --- 298

ნაწ. IV: ახალი იდეების წარმოშობა და განვითარება

1. კრეატიულობის აუცილებლობა --- 310
2. მითები და შეცდომები კრეატიულობის შესახებ --- 314
3. რუტინა თუ შემოქმედება? --- 317
4. შემოქმედებითი პიროვნების თვისებები --- 318
5. შემოქმედებითი პროცესის თანამიმდევრობა --- 319
6. კრეატიული მეთოდების (ტექნიკის) აუცილებლობა, ამოცანები და კლასიფიკაცია --- 323
7. ოსბორნის მეთოდები: „გონებრივი შეტევა“ და „საკონტროლო ცხრილი“ --- 324
8. მოდერაციის მეთოდი --- 331

9. გორდონის ანალოგიების მეთოდი „სინექტიკა“ --- 333
10. კესტლერის მეთოდი „ბისოციაცია“ --- 337
11. ცვიკის მეთოდი „მორფოლოგიური მატრიცა“ --- 340
12. ვაიტინგის მეთოდი „ფოკალური ობიექტები“ --- 341
13. წარმოსახვის მეთოდები: დე ბონოს „მოაზროვნე ქუდები“ და დისნეის „მოაზროვნე სკამები“ --- 343
14. ალტშულერის მეთოდი „საგამომგონებლო ამოცანების ამოხსნა“ --- 349
15. მეთოდი „დელფო“ --- 361
16. მეთოდი „ინვერსია“--- 368
17. ბიუზენის მეთოდი „ინტელექტ-ბარათები“--- 370

ნაწ. V. მერმისის ნათელი და პირქუში გამოწვევები

1. შემოქმედებითი შტორმი --- 377
პრობლემა — ხალხთა დასაქმება, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გათანაბრება
2. ტოტალური ვიდეოზედამხედველობა --- 380
პრობლემა — დარღვევათა და დანაშაულთა ზრდა
3. საბრძოლო-საყოფაცხოვრებო რობოტები და დრონები --- 382
პრობლემა — საომარ მოქმედებებში ადამიანების დაღუპვა
4. „მოფიქრალი“, „გონიერი“ ინფრასტრუქტურა --- 383
პრობლემა — დიდი დანაკარგები
5. „ციფრული უკვდავება“ --- 385
პრობლემა — მატერიალური ნივთების ვირტუალიზაცია
6. კვანტური და „ცოცხალი“ კომპიუტერები --- 386
პრობლემა — დაბალი სიჩქარე და მცირე მახსოვრობა
7. ნანოტექნოლოგიები --- 388
პრობლემა — პროდუქციის წარმოების დიდი დანახარჯები
8. გრაფენი — მასალათმცოდნეობასა და ნანოტექნოლოგიებში ახალი ეპოქის დასაწყისი --- 389
9. ხელოვნური ინტელექტი --- 391
პრობლემა — ადამიანის შესაძლებლობების სრულად გამოყენება
10. სინგულარობა --- 394
11. გონების მოდიფიკაცია --- 396
12. ადამიანის შერწყმა მანქანასთან — „ადამიანი-2.0“ --- 398
13. ციფრული რეალობა --- 399
პრობლემა — დიდი მატერიალური დანახარჯები

14. ბრძოლა წყლისთვის --- 402
პრობლემა — წყლის რესურსები უკმარობა
15. ენერგეტიკული რესურსებისა და სასარგებლო წიაღისეულის ამოწურვა --- 404
პრობლება — ენერგიის დეფიციტი, ბუნებრივი რესურსების შეზღუდულობა
16. „ზუსტი მიწათმოქმედება“ --- 409
პრობლემა — დიდი დანახარჯები სოფლის მეურნეობაში
17. თევზჭერა თევზმჭერთა გარეშე --- 410
პრობლემა — დიდი დანახარჯები მეთევზეობაში
18. მოსახლეობის სტრუქტურული ცვლილებები და მიგრაციის გაძლიერება --- 411
პრობლემა — ზრდის ტემპების შენელება, მოსახლეობის დაბერება, უკონტროლო მიგრაცია
19. გეოინჟინერია --- 413
პრობლემა — ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესება
20. გიგანტური ქალაქები --- 414
პრობლემა — მოსახლეობის უთანაბრო განსახლება
21. ადგილობრივი ენერგოქსელები --- 416
პრობლემა — ცენტრალური ენერგომომარაგების დიდი ხარჯები და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესება
22. მომავლის ტრანსპორტი --- 418
პრობლემა — გადატვირთული სატრანსპორტო ნაკადები, მოუწესრიგებელი მოძრაობა
23. მე თუ ჩვენ? --- 419
პრობლემა — განცალკევება თუ ერთიანობა?
24. მარტოხელა ცხოვრება — თავისუფლება პასუხისმგებლობის გარეშე?! --- 422
პრობლემა — სახელმწიფოს ბურჯის (ოჯახის) რღვევა
25. შემოსავლების პოლარიზაცია --- 426
პრობლემა — უთანაბრობა შემოსავლების განაწილებაში
26. ბედნიერებისაკენ სწრაფვა --- 428
პრობლემა — ნამდვილად გასაზომის გაზომვა

გამოყენებული და დამოწმებული ლიტერატურა --- 436

.

ავტორის წინასიტყვა

XXI საუკუნე მნიშვნელოვანი და მოულოდნელი ცვლილებების საუკუნეა. ეს ცვლილებები უპირველესად გვეხება თითოეულ ჩვენგანს, ჩვენ ყოველდღიურ საქმიანობას, ცოდნას, განათლებას, შემართებას, შემოქმედებას, მის წარმოჩენას, განვითარებასა და გაძლიერებას.

რა მიზანს ისახავს წინამდებარე ნაშრომი?

უპირველესად, ჩვენი ცნობიერების სასიკეთო მიმართულებით შეცვლას, სხვისი დახმარების მოლოდინის სამუდამოდ გაქარწყლებას, ყველგან და ყველაფერში განვითარების საკუთარი გზებისა და პოტენციური შესაძლებლობების დაუცხრომლად ძიებას, მათ გამოვლენას, წახალისებასა და მხარდაჭერას, მეტ შემართებასა და აღმაფრენას, თავდადებასა და ერთსულოვნებას, ყოველი საქმის ცოდნით, საღი გონებით, გულანთებითა და სიყვარულის მატარებელი სულით კეთე-ბას. მხოლოდ ამ გზით დავძლევთ ჩამორჩენას, შევძლებთ განვითა-რებას და თანამედროვე ცივილიზაციაში ღირსეული ადგილის მყარად დამკ-ვიდრებას.

შეგვიძლია კი, ყოველივე?

თუ გადარჩენა და განვითარება გვსურს, აუცილებლად უნდა შევძლოთ. უბრალოდ, სხვა გზა არ არსებობს. და თუ ჩვენი ამჟამინ-დელი მოქმედი თაობა ამას ვერ ან არ შესძლებს, მომავალი თაობა სათანადოდ მაინც მოვამზადოთ მოსალოდნელი პრობლემებისა და გამოწვევების ღირსეულად დასახვედრად და დასაძლევად.

როგორ მიაღწიეს ჩვენსავით მცირე ტერიტორიისა და მოსახლე-ობის, ასევე მწირი ბუნებრივი რესურსების მქონე და აგრესიული, მდი-დარი მეზობელი ქვეყნების გარემოცვაში მყოფმა ქვეყნებმა (მაგ., ფი-ნეთი, ისრაელი, სინგაპური და სხვ.) წარმატებულ სოციალურ-ეკო-ნომიკურ და ტექნოლოგიურ-კულტურულ განვითარებას, და შედეგად, მსოფლიო ცივილიზაციაში მოწინავე პოზიციების დაკავება?

მხოლოდ საკუთარი ადამიანისეული კრეატიული რესურსების გო-ნივრული გამოყენებით, სახელმწიფოს ქმედითი მზრუნველობით, ერის დარაზმულობით, ერთსულოვნებით, სახელმწიფო საქმის გათავი-სებით და მკაცრი საშემსრულებლო დისციპლინის დაცვის წყალობით!

ადამიანის კრეატიული უნარები განსაკუთრებული, უმშვენი-ერესი და სათნო ფენომენია!

მსოფლიოში განფენილი კრეატიული ადამიანების საღმა გონ-მა მოაწესრიგა ჩვენი ხილული სამყარო, განავითარა კაცობრიობა და წარმოაჩინა დღევანდელი ცივილიზაცია.

თანამედროვე კრეატიული ადამიანები, განსაკუთრებით კი, მეცნიერები, თითქოს, ყველასთან ვალშია: პოლიტიკოსები მათგან მიწყივ მოითხოვენ საზოგადოების განვითარების პროგრესულ გზებს, ბიზნესმენები — განვითარების ახალ სტრატეგიებს, მომხმარებლები — ახალ პროდუქციას (მომსახურებას), ხოლო საზოგადოება მთლიანად — მხნედ და შესაფერისად ყოფნას. თუმცა, მათ ამისთვის სათანადო უზრუნველყოფა და ღირსეული პირობები რომ უცილობლად სჭირდებათ, სამწუხაროდ, ნაკლებად ახსოვთ. დღეს, ჩვენთან, დამსახურებული მეცნიერის შრომის ანაზღაურება, როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში დასაქმებული რიგითი სპეციალისტის ანაზღაურებასთან შედარებით, ძალზე მცირეა!

ღვთისბოძებული მადლით ნიჭიერი ერი ვართ. მაგრამ ამ ფასდაუდებელ უნარ-შესაძლებლობას დღევანდელ სუპერკონკურენტულ პირობებში შემჩნევა, ხელშეწყობა და წახალისება სჭირდება!

მხოლოდ თანამედროვე ღრმა პროფესიულ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს დაუფლებული კრეატიული ადამიანების შემართებითა და აქტიური ქმედებით განვითარდება საქართველო!

* * *

უპირველესად, ვმადლობ უფალს იმ დიდი მადლისთვის, რომლის წყალობით როგორმე შევძელი ამგვარი შინაარსის ქართულენოვანი ნაშრომის პირველად შექმნა, საჭირო დიდძალი ლიტერატურული წყაროების მოძიება, დამუშავება, შეჯერება, თითოეული საკვლევი საკითხის შეძლებისდაგვარად გაშუქება და თქვენამდე მოწოდება.

რომ არა უფალი ღმერთის ძლიერი თანადგომა, ვერ დავძლევდი ამ მეტად შრომატევად, რთულ და ჩვენთან დაუფასებელ გონებრივი სამუშაოს შესრულებას.

მომიტევოს მკითხველმა თუ ამ ეტაპზე ყველა საკითხი სათანადოდ ან საერთოდ ვერ განვიხილე, რამეთუ საკვლევი სფეროს არეალი ძალზე დიდია და მრავალფეროვანი. მომავალში ვეცდები კიდევ უფრო შევავსო, გავაღრმაო და განვავრცო იგი. და თუ ვინმეს უკმარისობის გრძნობა დღესვე ძლიერ მოეძალება, ამგვარი შემოქმედებითი საქმი-ანობა ყველასთვის აბსოლუტურად თავისუფალია, უკეთესი და უფრო სრულყოფილი თვითონ შექმნას! ღმერთმა შეაძლებინოს!

მადლიერ მკითხველს პირადად ვთხოვ პატიებას თუ ნაშრომში იპოვის სტილისტურ, ორთოგრაფიულ ან კორექტურულ შეცდომას, რამეთუ თვითონვე ვარ ტექსტის ავტორი, მისი ამკრეფი, სტილისტი, კორექტორი, ტექნიკური რედაქტორი და დამკაბადონებელიც.

გულითადი მადლობა ჩემს ოჯახს, უპირველესად, მეუღლეს, ქალბატონ ინგას, რომელმაც წიგნზე მუშაობის ხანგრძლივ პერიოდში შემიქმნა იდეალური პირობები, ასევე, შვილებს — ნინოს, ქეთის და გიორგის, სიძეებს — ლაშა გუგუშვილსა და გიორგი სიჭინავას უცხოენოვანი ლიტერატურული წყაროების მოძიებასა და დამუშავებაში გაწეული დახმარებისთვის.

მადლობა ჩემს შვილიშვილებს, გიორგის და ნიკოლოზს, რომლებიც ხშირად მეკითხებოდნენ თუ როდის დავასრულებდი ამ სამუშაოს.

უღრმესი მადლობა წიგნის რედაქტორს, ეკონომიკის დოქტორს, სტუ-ს პროფესორს, ემერიტუსს, ბატონ გურამ ყუფუნიას ნაშრომის დედანის გულდასმით გაცნობისა და საყურადღებო რჩევებისთვის, რაც შეძლებისდაგვარად გავითვალისწინე წინამდებარე გამოცემაში.

დიდი მადლობა ბატონ რეცენზენტებს, სტუ-ს პროფესორებს, ალექსანდრე სიჭინავასა და რევაზ შენგელიას ნაშრომის ყურადღებით გაცნობისა და დადებითი შეფასებისთვის.

განსაკუთრებული მადლობა ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ნოდარ ჭითანავას ნაშრომის გულდასმით გაცნობისა და მაღალი შეფასებისთვის.

მადლობა ჩემს კოლეგებს, სტუ-ს პროფესორებს ზურაბ გასიტაშვლს, დავით იაკობიძეს, პარმენ ლემონჯავას, ივანე ჯაგოდნიშვილს, გენადი იაშვილსა და შოთა დოღონაძეს ნაშრომის პრეზენტაციაში აქტიური მონაწილეობისთვის.

მადლობას ვუძღვნი საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს, პროფესორ თეიმურაზ ბაბუნაშვილსა და ამავე აკადემიის წევრებს ნაშრომის პრეზენტაციის მაღალ დონეზე შეფასებისა და გამოთქმული სურვილებისთვის.

უღრმესი მადლობა ყველა იმ ქართველ და უცხოელ ავტორს, რომელთა ღირებული მეცნიერული ნაშრომები გამოვიყენე და კეთილსინდისიერად მივუთითე წინამდებარე მონოგრაფიაში.

მადლობა ჩემს დოქტორანტს ირაკლი ჯანგავაძეს საპრეზენტაციო სლაიდების მომზადებაში გაწეული დახმარებისთვის.

წინასწარ დიდი მადლობა ყველა მადლიერ და კეთილმოსურნე ქართველ მკითხველს.

პატივისცემით,

გურამ ჯოლია,
სტუ-ს პროფესორი

2016 წელი
ტელ.: 595 72 12 20
E-mail: g.jolia@gtu.ge

კრეატიულობა ნიშნავს დაინახოთ ის, რასაც ყველა ხედავს, მაგრამ იფიქროთ იმაზე, რაზეც არავის უფიქრია.
ალბერტ აინშტაინი

ნაწ. 1. კრეატიული განვითარების თეორიული ასპექტები

1. კრეატივისა და კრეატიულობის არსი. ადამიანის აზროვნების ტიპები

XX საუკუნის 90-ან წლებში ფართოდ გავრცელდა ტერმინი „კრეატივი“ და მისგან წარმოებული — „კრეატიულობა“.

„კრეატივი“[1] ადამიანის შემოქმედებითი თვალსაზრისია, „კრეატიულობა“ კი მისი ისეთი შემოქმედებითი უნარია, რომელიც ახასიათებს ინდივიდის მზაობას პროგრესული ჩანაფიქრის მისაღებად და განსახორციელებლად.

კრეატივი მარადიულია, — თუ ის აღარ იქნება, აზრი არ ექნება თვით ადამიანის სიცოცხლესაც, „რადგან ცხოვრება შემოქმედებითი პროცესია და იდეა — პროდუქტია ამ შემოქმედებისა“.[2]

კრეატივი სოციალური სულის აჯანყებით იქმნება.

ზოგადად, კრეატიულობა ნიშნავს რაიმე ახლის შექმნას, ორიგინალური და შინაარსიანი იდეის პრაქტიკულ განხორციელებას. ასეთი მოვლენა ხშირად ხდება. მაგ., როცა ადამიანი, საკუთარი შესაძლებლობებისა და უნარ-ჩვევების გამოყენებით, რაღაც ორიგინალურ პროდუქტს (ღირებულებას) ქმნის — „რაიმეს არაფრისგან“ ან არსებული აღმატებულ ხარისხში აჰყავს.[3]

ქრისტიანული მორალით, ხატოვნად რომ ვთქვათ, **კრეატიულობა სიყვარულია, ხოლო ძლიერი კრეატივი — მისი მწვერვალი.**

რანი ვიქნებოდით კრეატიულად მოაზროვნე ადამიანების გარეშე? პასუხი ერთადერთია: უღრან ტყეებსა და გამოქვაბულებში ძვლის ნემსით დაკემსილი ნადირის ტყავით „შემოსილნი“ დავრჩებოდით.

ადამიანის ბიოლოგიურ ევოლუციას მრავალი მილიონი წლის ისტორია აქვს, რომელიც ქვის, ბრინჯაოსა და რკინის ეპოქებად იყოფა. ეს უკანასკნელი ძვ.წ. პირველ ათასწლეულიდან იწყება და დღემდე გრძელდება.

---

[1] ლათ. creation — შექმნა, შემოქმედება; ინგლ. creative.

[2] **კაპანელი კ. (1996).** ქართული სული ესთეტიკურ სახეებში. თბ., „თსუ“, გვ. 167.

[3] შდრ.: — **პლატონი**: „შემოქმედებაა ყველაფერი, რაც არყოფნიდან ყოფნაში გადასვლას იწვევს.“

როდის დაიწყო ადამიანმა აზროვნება?

ადამიანსა და შიმპანზეს, რომელიც ყველაზე ახლოსაა ჰომინიდ-თან,[4] აქვს საერთო ანატომიურ-ფიზიოლოგიური სტრუქტურა, ქრომო-სომების რიცხვი, გენების 91%. 9% კი იმ გენთა რიცხვია, რითაც ადა-მიანი დასცილდა შიმპანზეს და აზროვნების უნარი შეიძინა, რამაც შექმნა სამყაროს საოცრება — ინტელექტუალური არსება. 40 ათასი წლის წინათ დასრულდა ადამიანის ბიოლოგიური ევოლუცია, შეიქმნა აზროვნებისა და კულტურის ბაზისი.[5]

აზროვნების საწყისი ნიშნები ადამიანს პირველყოფილი ყოფის პირობებში, ათასწლეულების განმავლობაში, თანდათან ჩამოუყალიბ-და, ანუ მაშინ, როცა სამყაროს შეცნობის, ცხოვრების უკეთ მოწყობის, არსებობისთვის ბრძოლა გახდა საჭირო; როცა სილამაზის, მშვე-ნიერების გრძნობა გაუჩნდა, რამაც გაადამიანურების ხანგრძლივ და მიმსწრაფლ ეკლიან გზაზე, პირველი ნაბიჯები გადაადგმევინა (მაგ., საბრძოლო იარაღის დამზადება, გამოქვაბულის კედლის მოხატვა, პირადი ჰიგიენის დაცვა, ტანზე ჩაცმა, სიმღერისა და ცეკვის სწავლა და ა.შ.) და დღემდე მოიყვანა.

ვინ იყო პირველი შემოქმედი?

თვით უზენაესი, რომელმაც შექმნა სამყარო — ცა და მიწა, ზღვა, მცენარეული, დღისა და ღამის მნათობები, ვარსკვლავები, ყოველი სულდგმული ცაში, წყალსა და ხმელეთზე, და ბოლოს, მეექვსე დღეს, — კაცი თავის ხატად, თავის მსგავსებად (ბიბლია, დაბადება, 1:26).[6]

„**დაო**“[7], რომელიც არის სამყაროს აბსოლუტური პირველ დასაბამი, შემქმნელი ყოველი არსისა, სიცოცხლისა და დიადი წესრიგისა — ბუნებითობის დიადი კანონისა. იგი უხილავია, ფარულია, ბუნდოვანი და არაცხადიერია, არ გააჩნია არც ნებელობა, არც ცნობიერება. ის

---

[4] ლათ. Hominidae. პრიმატების შედარებით პროგრესული ოჯახი, რომელიც მოიცავს ადამიანებს და თანამედროვე ადამიანის მსგავს მაიმუნებს.

[5] **სიგუა ს. (2010).** კულტუროლოგიის საფუძვლები. წიგნი I. თბ., გვ.14.

[6] შდრ.: — **რუსთაველი**: „რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა, ...“ ან კიდევ, „ჰე ღმერთო ერთო, შენ შეჰქმენ სახე ყოვლისა ტანისა, ...“

[7] ძველჩინური რელიგიურ-ფილოსოფიური კონცეფციის, ბრძენი **ლაო-ძის** (ძვ.წ.VI ს.) მოძღვრების ძირითადი კატეგორია; ზოგიერთი მეცნიერი მასში ღმერთსაც გულისხმობს, მაგრამ ლაოძისეულ წარმოდგენაში რაიმე განს-ხეულება და პერსონიფიცირება არ დასტურდება. მისგან იშვა დაფარული არსებობა ღმერთისა. მართალია, „დაო დე ძინის“ კითხვისას იგი გაიაზრება სხვადასხვანაირად — ხან როგორც ბუნება, ხარ როგორც გონი (სული), ხან როგორც ღმერთი, ხან როგორც სიტყვა, მაგრამ მოიცავს ყველაფერს ცალ-ცალკე და ყოველივეს ერთდროულად, განუყოფლად, განუთიშველად, დაურღვევლად. (წყარო: ლაო-ძი. დაო დე ძინი. ... გვ. 43).

განურჩევლობაა, მარადიული და უცვლელია, თაყვანისცემის ღირსია, მძლეთამძლეა, თუმცა სუსტია და ნაზი, რადგან უსხეულო გონია, უფორმო ფორმა და უსახო სახებაა, მისი წვდომა შეუძლებელია მჭევრმეტყველებით, იგი მხოლოდ ჩვენს გონებას ეცხადება.[8]

ყოველი ძალა, რომელიც სამყაროში გვევლინება, ჩვენთან ერთად არ დაბადებულა და ჩვენს შემდეგაც განაგრძობს არსებობას, შეიძლებოდა წოდებულიყო, და იწოდება კიდეც, ღმერთად[9].

რა უბიძგებს (აიძულებს) ადამიანს იყოს შემოქმედი?

ყოველ ინდივიდს შემოქმედება უზენაესის ნებითა და შთაგონებით ევლინება, რისი გავლენითაც იგი შეიძლება იყოს:

- **რწმენა.** „... მას შემდეგ, რაც ადამიანი საზოგადოების ენერგიული წევრი გახდა და მასთან მოვიდა დიდებული რწმენა ღმერთის სახით, რათა იგი საბოლოოდ გაენთავისუფლებინა ადრინდელი წარმართულ-პრიმიტიული ფეტიშურ-ტოტენჰემური წარმოდგენებისაგან, ღმერთმა დაივანა ადამიანის გონებაში უმაღლესი იდეალების სახით. ... ხელოვნების შედევრთა უდიდესი ნაწილი სწორედ რომ რწმენამ შექმნა.

რწმენა ადრეულ საუკუნეებში თავისი თავდაპირველი ფორმებითა და მერე, კაცობრიობის ნუგეშად მოვლენილი ყველა სარწმუნოება უკლებლივ, ბუდიზმი იქნებოდა, იუდაიზმი, მაჰმადიანური სარწმუნოება თუ ქრისტიანობა, მარტო ადამიანთა ცხოვრების წესის განმსაზღვრელი კი არ იყო, არამედ ხელოვანსაც აძლევდა იმ შინაგან სიმწყობრეს და უზენაეს მორალურ დაკვეთას, რომ ღმერთს ხელოვანი თავისი წმინდათა წმინდა საქმეების აღსასრულებლად გვერდით ამოეყენებინა.

სწორედ რწმენამ შექმნა ეგვიპტის პირამიდები, წმინდა პეტრეს ტაძარი, სვეტიცხოველი, ალავერდი, გრემი, გელათი. რწმენის უმაღლესი მხატვრული განსხეულებაა ფირდოუსის, ჰომეროსის, ალიგიერის, რუსთაველისა და სხვათა უკვდავი ქმნილებები“;[10]

- **ღვთაებრივი ძალა, გონი,**[11,12] რომელიც ადამიანს ხანგრძლივი გონჭვრეტისა და დიდი შრომის შემდეგ ზებუნებრივად, გრძნობათა კონცენტრირებით მოევლინება და გონებას გაუნათებს, გაუბრწყი-

---

[8] **ლაო-ძი. (1983).** დაო დე ძინი. სიბრძნე სიკეთისა და სათნოებისა. თბ., „განათლება“, გვ. 45.

[9] **გათრი უ. (1983).** ბერძენი ფილოსოფოსები. თბ., „საბჭ. საქართველო“, გვ. 29.

[10] **მიშველაძე რ. (2012).** კულტურა და თანამედროვეობა. თბ., გვ. 260-261.

[11] იგივე გონიერება, ცნობიერება. ადამიანის აზროვნების უნარი.

[12] შდრ.: — **სოკრატე**: „ღვთაებრივი ძალა შთამაგონებს ყოველივეს“; ან კიდევ, — **ვიქტორ ჰიუგო**: „ღმერთი მკარნახობდა, მე კი ვწერდი.“

ნებს;[13]

• **შინაგანი მოწოდება და პიროვნული თავისუფლებისთვის ბრძოლა.**[14] კრეატიული აზროვნება განათლებული ადამიანის სულიერი მოთხოვნილებაა. ასეთი ადამიანის გონებაში ღრმად ფესვგადგმულია პროგრესული ტენდენცია — ეძიოს რაღაც ისეთი, რაც **ცვალებადობაში უცვლელი რჩება.** ესაა სწორედ ძიება ახლისა, ჯერ კიდევ შეუცნობელის შეცნობისა;

• **თვითდამკვიდრება და უკვდავების წყურვილი.** თუ სიცოცხლეს რამე აზრი აქვს, დიდი შემოქმედი, რომელიც მიწყივ (მარად) თავის შემოქმედებაზე ფიქრობს, საკუთარი ხორციელი შვილივით ელოლიავება მას, და მათ შორის დიდი ერთსულოვნება და მეგობრობა სუფევს.

ასე რატომ იქცევა შემოქმედი?

იმიტომ რომ, თავის შემოქმედებას უფრო მშვენიერ და უკვდავ შვილად მიიჩნევს. მხოლოდ ასეთი „შთამომავლობის“ წყალობით ეზიარება ადამიანი მარადიულ დიდებას და უკვდავებას. „და ამ სულიერ შვილთათვის მათ აუგეს მრავალი ტაძარი, ხოლო ხორციელ შვილთა კეთებისათვის ჯერ ერთიც არ ღირსებია ძეგლს“.[15] „მხოლოდ უკვდავების წყურვილი იწვევს ამ სიყვარულსა და გულმოდგინებას“.[16]

---

[13] შდრ.: — **პეტრე ჩაიკოვსკი**: „ზეშთაგონება არ ევლინება უქნართ, რადგან ის იბადება შრომისაგან და შრომის დროს.“

ამ მხრივ საინტერესოა ცნობილი ადამიანების „პრაქტიკა“: შთაგონების გამოწვევისა და მართვისათვის ბევრი ხელოვანი უცნაურ ხერხს მიმართავდა, რაც, ალბათ, მიღწეული წარმატების შედეგად მიინიშნეს და ჩვევად ექცათ:

მაგ., წერის დროს **შილერი** მაგიდის უჯრაში დამპალ ვაშლებს ინახავდა; **ბალზაკი** მუშაობდა ბერის ანაფორაში; **პრუსტი** დაწოლილი წერდა; **ჰემინგუეი** პირდაპირ რემინგტონზე ბეჭდავდა; **დოსტოევსკი** კარნახობდა; ასევე იქცეოდა **ჯოისი**; **მილტონმა** მთელი პოემა „დაკარგული სამოთხე“ მდივანს უკარნახა! **თომას მანი** როგორც სამსახურში, ისე მიდიოდა საწერ მაგიდასთან და დროის ზუსტი დაცვით მუშაობდა; **კონსტანტინე გამსახურდია** გვიან ღამით, სანთლის შუქზე წერდა, როცა ქალაქს ეძინა; **სალვადორ დალის** შთაგონებისათვის ბუზები სჭირდებოდა, ყოველ ბუზს ხუთ ფრანკად ყიდულობდა!... (წყარო: **სიგუა ს. (2010).** კულტუროლოგიის საფუძვლები. წიგნი I. თბ., გვ. 234). ამასთან, ქიმიკოსმა **ფრიდრიხ კეკულემ** სიზმარში იხილა ბენზოლის ფორმულა, **დიმიტრი მენდელეევმა** — ქიმიური ელემენტების პერიოდული სისტემა, **ნილს ბორმა** — ატომის სტრუქტურა, **დანტე ალიგიერიმ** — „ღვთაებრივი კომედიის“ იდეა, **რიხარდ ვაგნერმა** — ოპერის „ტრისტანი და იზოლდას“ მოტივები და ა.შ. და ა.შ.

[14] შდრ.: — **რუსთაველი**: „სჯობს სახელისა მოხვეჭა, ყოველსა მოსახვეჭელსა“;
— **ვისრამიანი**: „კაცისათვის უკეთესი საქმე არის სახელისა ძებნა.“

[15] **პლატონი. (1964).** ნადიმი. თბ., „საბჭოთა საქართველო“, გვ. 61.

[16] იქვე, გვ. 59.

მართალია ძეხორციელის ჩასახვისა და შობის ღვთაებრივი აქტი მოკვდავ არსებაში უკვდავი საწყისის გამოვლენას განაპირობებს, მაგრამ ასეთი უკვდავება მეტად ხანმოკლე და ლოკალურია;

• **შედეგით ტკბობა.** („დაინახა ღმერთმა ყოველივე, რაც გააჩინა, და აჰა, ძალიან კარგი იყო“. ბიბლია, დაბადება. 1:31);[17]

• **ბედნიერი შემთხვევა, გამართლება.** ლეგენდის თანახმად, ერთ მშვენიერ დღეს, როცა დიდი ინგლისელი მეცნიერი ისააკ ნიუტონი ბაღში ვაშლის ხის ქვეშ იჯდა, ვაშლი ჩამოვარდა და თავზე დაეცა, რამაც საფუძველი დაუდო მის მოსაზრებას მსოფლიო მიზიდულობის კანონის აღმოჩენასთან დაკავშირებით.

არსებობს ლეგენდა, რომელიც გვაუწყებს: ძვ. წ. 250 წელს სირაკუზის მეფე ჰერონ II-მ ოსტატს ოქროს გვირგვინის გაკეთება დაავალა. წინდახედულმა მეფემ ოქრო წინასწარ აწონა. როცა მეფეს მზა გვირგვინი მიუტანეს, იგი მაინც დაეჭვდა და არქიმედეს დაავალა შეემოწმებინა გვირგვინი შენადნობებს ხომ არ შეიცავდა. არქიმედეს წყლით სავსე აბაზანაში ჩასვლის შემდეგ მოუვიდა თავში გენიალური იდეა: აღმოაჩინა სითხეებისა და აირების სტატიკის კანონი, რომლის თანახმად, სითხეში (აირში) ჩაშვებულ სხეულზე მოქმედებს „ამომგდები ძალა“, რომელიც მიმართულია ზემოთ, უდრის სხეულის მიერ გამოდევნილი სითხის (აირის) წონას და გამოდევნილი მოცულობის სიმძიმის ცენტრშია მოდებული. გახარებული არქიმედე აბაზანიდან შიშველი გამოვარდა და წამოიძახა „ევრიკა“, „ევრიკა“ და სხვ.;[18]

---

[17] „წმინდა პეტრეს მცირე ტაძარში უამრავ მნახველს იზიდავს მიქელანჯელოს „მოსე“. მარმარილოში გაცოცხლებული ებრაელთა წინამძღოლი ზის ჩვენ წინაშე თავისი ბიბლიური დიდებულებით. მუხლზე ნაკაწრი ამჩნევია. გადმოცემის თანახმად, ის ნაკაწრი მიქელანჯელოს საჭრეთლის კვალია. თურმე, როცა განასრულა ქანდაკება და თავისი უზადო ხელოვნებით ლამის სული შთაბერა ღვთაებრივ მოსეს, მიქელანჯელომ, ხელოვნების ამოუცნობ ნირვანაში მყოფმა, დიდხანს უყურა მარმარილოში გაცოცხლებულ წმინდანს, მერე მუხლზე საჭრეთელი დაჰკრა და შესძახა: „ადექი მოსე, დამელაპარაკე“! (წყარო: მიშველაძე რ.(2012).კულტურა და თანამედროვეობა. თბ.,გვ.222-223);

შდრ.: — **პუშკინი**: „ბორის გოდუნოვი“ რომ დაასრულა, ტაშს უკრავდა და გახარებული ყვიროდა: **„Айда, ты, Пушкин, сукин сын!“**; ან კიდევ, — **ლევ ტოლსტოი**: „ანა კარენინას“ ბოლო წერტილი რომ დაუსვა, ცხენს მოახტა და რამდენიმე საათი დაუზოგავად აჭენებდა; ან კიდევ, — **ბლოკი**: „თორმეტნის“ დაწერის შემდეგ უბის წიგნაკში აღნიშნა: **„Сегодния я – гений...“** (წყარო: **სიგუა ს. (2010).** კულტუროლოგიის საფუძვლები. წიგნი I. თბ., გვ. 237).

[18] ევრისტიკა (ბერძ. heurisko ვპოულობ) — კვლევისა და სწავლების ხერხები, რომელთა მიხედვითაც ჭეშმარიტება უნდა გამომჟღავნდეს სათანადო მისახვედრი კითხვების დახმარებით; ჭეშმარიტების მიკვლევის, ახალი აღმოჩენების ხელოვნება.

• **სწრაფვა შეუცნობელის შეცნობისა.** არსებობს **ეპისტემოლოგიური**[19] **ხედვა,** ანუ იმის დანახვა, რაც უკვე გამოკვლეული და სისტემატიზებულია და **ჰერმენევტიკული**[20] **ხედვა**, ანუ ჯერ კიდევ შეუსწავლელის აღქმა, ათვისება, რაც ულრან ტყეში შესვლას და იქ მარგალიტების აღმოჩენას მიაგავს. ჯერ კიდევ დიდი **სოკრატე** ბრძანებდა: გამომდინარე იმ მშვენიერებიდან, რაც უკვე შეიცნო, ჰქონდა წარმოდგენა, თუ რამდენად გაცილებით უფრო მშვენიერი იქნებოდა ის, რაც ჯერ კიდევ შეუცნობელი იყო;

• **დაჟინებულობა, შეუპოვრობა, უდრეკობა.** ამ მოსაზრებას ამყარებს ელექტრონული ნათურის გამომგონებლის ტომას ედისონის მაგალითი: ლეგენდის თანახმად, ედისონი მრავალათასიანი ექსპერიმენტის ყოველ მარცხს წარმატების გზაზე მნიშვნელოვან ნაბიჯად თვლიდა და საკუთარ თავს ულოცავდა კიდევ ერთი ისეთი ხერხის გამომჟღავნებას, რომლითაც ელექტრონული ნათურის შექმნა არ შეიძლებოდა;

ათენელმა ბრძენმა სოკრატემ დროს გაუსწრო და დაისაჯა კიდეც ამისთვის. მას ახალგაზრდობის გარყვნასა და ქალაქის ღმერთებისადმი ურწმუნოებაში დასდეს ბრალი. ათენში მიღებული ჩვეულების მიხედვით, სოკრატეს შეეძლო უფრო მსუბუქი განაჩენის შეთავაზება, რის შედეგადაც მათ შორის ერთ-ერთს ამოირჩევდნენ. მაგრამ მან მოითხოვა, რომ ქალაქს გაეთავისუფლებინა იგი, როგორც საზოგადოებისთვის კეთილისმყოფელი. ყოველ შემთხვევაში, თქვა მან, შესაბამისი ჯარიმის გადასახდელად საკმარისი თანხა მაინც არ გამაჩნიაო. პლატონისა და სხვა მეგობრების დიდი თხოვნის შემდეგ, მან მაინც შესთავაზა სასამართლოს ჯარიმა, რომელიც ამ უკანასკნელთ უნდა გადაეხადათ, მაგრამ არასგზით არ დათანხმდა ხელი აეღო თავის „გამრყვნელ“ მოღვაწეობაზე, რადგან იგი სიცოცხლეზე მეტად უღირდა. ამით მოსამართლეებს სხვა არჩევანი აღარ დაუტოვა და თავი ციხეში გააგზავნინა, სადაც სასჯელს უნდა დალოდებოდა. მეგობრები აქაც მასთან აღმოჩნდნენ და ამჯერად შესთავაზეს გეგმა, რომლის მეშვეობით ის ადვილად გაიქცეოდა.[21] მეგობრების წინადადება სოკრატემ ამ სიტყვებით უარყო: „იქნებ გგონია, რომ შეიძლება არ შეირყეს სახელმწიფო, სადაც სასამართლოს განაჩენს არავითარი ძალა არა აქვს და სადაც

---

[19] ეპისტემოლოგია (ბერძ. επιστήμη, „ცოდნა“ და λόγος — „სიტყვა, სწავლა“) შემეცნების საფუძვლების შემსწავლელი თეორია.

[20] ჰერმენევტიკა (ბერძ. hermeneutike) — მეთოდი, რომლითაც ადგენენ ლიტერატურული ძეგლის, ძველი ხელნაწერის ნამდვილობას, მის წარმოშობას.

[21] **გათრი უ. (1983).** ბერძენი ფილოსოფოსები. თბ., „საბჭ. საქართველო“, გვ. 94.

მისი აღსულება და გაუქმება მხოლოდ და მხოლოდ კერძო პირთა ნებასურვილზეა დამოკიდებული?“[22] ამ ნათელი სულიერი განწყობილებით შეპყრობილმა 70 წლის დიდმა მოაზროვნემ, სიკეთის, სათნოებისა და სიბრძნის აპოლოგეტმა, საწამლავი დალია. ეს მოხდა ძვ. წ. 399 წელს;

• **იძულება.** ისტორიაში ცნობილია ისეთი შემთხვევები, როცა დიდმა ხელოვანმა ეპოქალური მნიშვნელობის ქმნილება ხელისუფალის კატეგორიული მოთხოვნით შექმნა. სწორედ ასე აშენდა როდოსის კოლოსი, სემირამიდას დაკიდებული ბაღები, ტაჯ-მაჰალი, ჩინეთის „დიდი კედელი“, პირამიდები, ვარძია ..., შეიქმნა თვით „ვეფხისტყაოსანი“[23];

გენიალურმა ხელოვანმა, მოქანდაკე მიქელანჯელო ბუონაროტიმ, რომის პაპის კატეგორიული მოთხოვნით, ვატიკანის სიქსტეს კაპელის ჭერი ბიბლიურ სიუჟეტებზე აგებული ფრესკებით ფერწერული დიდებულებით მოხატა და საკურთხევლისთვის გრანდიოზული ფრესკაც, „დღე განკითხვისა“, შექმნა;

ხშირად ადამიანის გონებას სურვილის წინააღმდეგ უწევს ქმედება. როგორც დიდი რუსთაველი ბრძანებდა, მისთვის უცხო არ უნდა იყოს მოწოდება: **„რაც არა გწადდეს, იგი ქმენ, ნუ სდევ წადილთა ნებასა“**;

• **გადარჩენისთვის ბრძოლა.** ომში გასამარჯვებლად გამოიგონეს მრავალი სახეობის საბრძოლო იარაღი, რადიო, თვითმფრინავი, რადარი, ბალისტიკური რაკეტა, ლითონების დნობა, ტკივილგამაყუჩებელი საშუალებები, კომპიუტერი..., ისწავლეს მტრისა და მოყვრის გარჩევა, მარაგების, მზა ტანსაცმლისა და საკვების დამზადება, ბრძოლის დაგეგმვა და ორგანიზაცია, ხალხის მობილიზება და ა.შ.

სამყარო არ არის გაყინული კონსტრუქცია. იგი მუდმივად ცვალებადია. მარადიული და წარუდინებელი მხოლოდ ცვლილებათა მუდმივობაა.

კაცობრიობამ თავისი ხანგრძლივი არსებობის მანძილზე მრავალჯერ იცვალა იერი. იცვლებოდა თვით ადამიანიც, ვითარდებოდა ტექნიკა, ქრებოდა ძველი და იქმნებოდა ახალი იმპერიები, სახელმწიფოები, ერები, ცივილიზაციები..., მარადუცვლელი რჩებოდა გამორჩეულ ადამიანთა დაუოკებელი სწრაფვა სამყაროსა და საკუთარი თავის შეცნობა-სრულყოფისა.[24]

---

[22] **პლატონი. (1976).** კრიტონი. თბ., „განთიადი“, №1, გვ. 85.

[23] შდრ.: **რუსთაველი**: „მიბრძანეს მათად საქებრად თქმა სიმართლისა ტკბილისა.“

[24] შდრ.: — **სოკრატე**: „შეიცან თავი შენი, თუ გინდა სრულქმნილი პიროვნება გახდე.“

დღეს, როცა სიცოცხლისათვის საჭირო ფიზიოლოგიური მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, თითქოს, ყველაფერი გვაქვს: საკვები, სასმელი, ტანსაცმელი, საცხოვრებელი, ტექნიკა და ა.შ., რაღა საჭიროა გონების ზედმეტად შეწუხება, დაძაბული კრეატიული აზროვნება და ქმედება?

საქმე იმაშია, რომ „ნამდვილი“ (იგულისხმება შემოქმედი) ადამიანი შემოქმედების ანუ ჭეშმარიტი აზროვნების გარეშე ვერ გაჩერდება, ვერ იარსებებს, ვერ იცოცხლებს, რადგან კრეატიულ აზროვნებას მოკლებული ადამიანი მხოლოდ ფიზიოლოგიური მასა ხდება.[25]

აზროვნება კი, კარგი გაგებით, ნიშნავს წინმსწრებად ხედვას, მანკიერების წინააღმდეგ ბრძოლას, არსებულის სრულყოფას, ახლის შექმნას. თუმცა, დიდი მოაზროვნეების სააქაო ცხოვრება, მათი შეხედულებების მიუღებლობის გამო, დესპოტ ხელისუფალთა „წყალობით“, სამწუხაროდ, ტრაგიკულიც მრავლად იყო.[26]

უნდა ვიცოცხლოთ და არა ვიყოთ მხოლოდ ცოცხლები. უნდა ვიცოცხლოთ სიცოცხლით და არა ვემზადოთ სიცოცხლისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ კრეატიულობა დღესაც ყველა დონეზე დეკლარირდება, სამწუხაროდ, კრეატიული ინდივიდი მისი ხელისუფ-

---

[25] შდრ.: — **არისტოტელე**: „გონების აქტივობა არის სიცოცხლე“; ან კიდევ, — **რენე დეკარტი**: „ვაზროვნებ, მაშასადამე, ვარსებობ“; ან კიდევ, — **პუშკინი**: „მინდა ვიცოცხლო, რომ ვიაზროვნო და ვიტანჯო!“

[26] მაგ., **ქრისტე** ჯვარს აცვეს, **ლაო-ძი** იმპერიიდან გაიპარა და გაუჩინარდა, **სოკრატე** მოწამლეს, **არისტოტელე** ათენიდან გააქციეს, **ციცერონს** თავი და მარჯვენა ხელი მოჰკვეთეს, **სენეკას** სიკვდილი მიუსაჯეს და იძულებული გახდა თავი მოეკლა ვენების გადაჭრით, **დანტე ალიგიერის** დაუსწრებლად კოცონზე დაწვა მიუსაჯეს, **ჯორდანო ბრუნო** დაწვეს, **ლავუაზიეს** გილიოტინაზე თავი მოჰკვეთეს, **მიგელ დე სერვანტესი** პირატებმა დაიჭირეს და მონად მიჰყიდეს ალჟირის ფაშას, **ევარისტ გალუა, ალექსანდრე პუშკინი** და **მიხეილ ლერმონტოვი** მიგზავნილებმა დუელში მოკლეს, **თეოდორ დოსტოევსკის** სიკვდილი მიუსაჯეს, **მიხეილ ჯავახიშვილი** დახვრიტეს, **ილია ჭავჭავაძეს** ტყვია დაახალეს, **იაკობ გოგებაშვილს** გააფთრებით დევნიდნენ, წაართვეს სამსახური და სახაზინო ბინა, რის გამოც შეძრწუნებული თავის დახრჩობის მიზნით მტკვარში გადავარდა (გადაარჩინა სანდრო ცხვედაძემ), **ვიქტორ ჰიუგო** სამშობლოდან განდევნეს, **ჟან ჟაკ რუსოს** ნეშტი მოიპარეს და კირის ორმოში გადააგდეს, **ფრანსუა ვოლტერის** აკლდამა ააოხრეს, ნეშტი კი პარიზის სანაგვეზე გაფანტეს, **ონორე მირაბოს** ნეშტი საფლავიდან ამოიღეს და დამნაშავეთა სასაფლაოზე გადაიტანეს, **ტომას მორის** თავი მოჰკვეთეს, **ნიკოლოზ ჩერნიშევსკი** „სამოქალაქო სიკვდილით“ დასაჯეს (თავზე ხმალი გადაატეხეს) და 20 წელი კატორღაში გაატარებინეს. ბევრი ებრძოდა სიდუხჭირეს **(ბალზაკი, დოსტოევსკი, ვაჟა-ფშაველა, პეტეფი, ჯოისი** ...). უკიდურესს სიღატაკეში გარდაიცვალა **მოცარტი** (დაასაფლავეს ღარიბთა საერთო საფლავში), ასევე **ფირდოუსი**, **გალილეო გალილეი** . . .

ლისთვის დღესაც ნაკლებად მისაღებია, რადგან მათი მსოფლმხედველობანი ერთმანეთის საპირისპიროა: ზოგადად, მცირე გამონაკლისის გარდა, ხელისუფალის აზროვნებისა და ქცევის კულტია უძრაობა, სტაბილურობა (ცნობილი ფრაზა კინოფილმიდან „ვერის უბნის მელოდიები“: „ოღონდ ბუნტი ნუ იქნება“); კრეატიული ადამიანი კი ბუნებით მოძრავი და აქტიურია, სულით მეამბოხეა, არსებულის წინააღმდეგია, სიახლისა და ცვლილების მქადაგებელია. მისი სული ვერ ეტევა თავის ბიოსფეროში და ილტვის სურვილთა სიმძლავრით, განცდათა აორთქლებით, შინაგანი წვის დინამიკით უსაზღვროებისაკენ. ამიტომ არაკეთილმოსურნეც ბევრი ჰყავს.[27]

მიუხედავად ამისა, დიდ ფაბრიკაში, რომელსაც დასახლებული სამყარო ჰქვია, ყოველმა შემოქმედმა თავისი ადგილი მაინც უნდა იპოვოს, ანუ გამოიყენოს საკუთარი შესაძლებლობები და ჩაერთოს შემოქმედებით შრომაში. მას სხვა ინსტრუმენტი, უბრალოდ, არ გააჩ-ნია, გარდა საკუთარი გონებისა.

კრეატიულთა არაკეთილმოსურნეებს ღირსეულად ეხმიანება დიდი იტალიელი მოაზროვნე **დანტე ალიგიერი**, რომელმაც სამოთხეში მიუჩინა ადგილი XIII საუკუნის დიდ ინტელექტუალებს: წმ. თომა აქვინელს,[28] წმ. ბონავენტურასა[29] და წმ. სიგერა ბრამანდიელს.[30]

შემოქმედის ბუნება უაღრესად ფაქიზი ფენომენია და ადმინისტრირებას ვერ იტანს. ამიტომ დიდი შემოქმედი „სახელმწიფო ნავში“ იშვიათად ან ძნელად ჯდება.

ეს ცალკეული ინდივიდების დონეზე.

ახლა, ზოგადად, ქვეყნის შემთხვევაში.

ჩვენნაირი მცირე ფართობისა და მოსახლეობის, ასევე გლობალურ დონეზე შედარებით მწირი ბუნებრივი რესურსების მქონე ქვეყნისთვის[31] თანამედროვე ჰიპერკონკურენტულ ბრძოლაში გადარჩენისა და განვითარების რეალური შანსია მაღალინტელექტუალური ადამიანი-

---

[27] შდრ.: — აშშ პრეზიდენტი **ვუდრო ვილსონი**: „თუ მტრების მომრავლება გსურს, ეცადე რამე შეცვალო“; ან კიდევ, — **გუსტავ ფლობერი**: „რაც უფრო უკეთ დაწერ, მით უფრო მეტ უსიამოვნებას გადაეყრები.“

[28] კათოლიკური ეკლესიის დიდი მასწავლებელი, იტალიელი ფილოსოფოსი და თეოლოგი.

[29] კათოლიკური ეკლესიის დიდი მასწავლებელი, იტალიელი ფილოსოფოსი და თეოლოგი.

[30] ფრანგი ფილოსოფოსი, პარიზის უნივერსიტეტის პროფესორი.

[31] შეზღუდული ბუნებრივი რესურსების გამოყენებაზე ქვეყნის სტრატეგიული განვითარების ორიენტაცია არაპროგრესულია.

სეული პოტენციალის მოძიება, ხელშეწყობა და ეფექტური გამოყენება, რითაც კრეატიული ინდუსტრია განვითარდება.[32]

მაგრამ, ამ სწრაფცვალებად კონკურენტულ სამყაროში ღირსეულად რომ დავმკვიდრდეთ, ჯერ ჩვენ უნდა შევიცვალოთ, მუდამ ვეძებოთ რაღაც ახალი, ვიაზროვნოთ და ვიმოქმედოთ კრეატიულად, ანუ შემოქმედებითად. თუ გვსურს გავხდეთ თანამედროვე პროგრესული ქვეყანა, არ უნდა ვიყოთ მხოლოდ მომხმარებელი ერი.[33] იმავდროულად უნდა ვცდილობდეთ ვიყოთ კრეატიულებიც, რადგან ვინც არ ქმნის ახალს, ის მხოლოდ სხვის მიერ შექმნილს მოიხმარს. ამით კი ის „სხვა“ ძლიერდება და ვითარდება, თვითონ კი სუსტდება.

გამოსავალი მხოლოდ ერთია — ქვეყნის განვითარების მთავარ ფაქტორად ეროვნული ადამიანისეული პოტენციალის გადაქცევა.

თანამედროვე სამყარომ დიდი ხანია დაკარგა მოსვენება, სტატიკურობა. დედამიწა თითქოს „უფრო სწრაფად ბრუნავს“. გუშინდელი მოდელის ტელეფონი, ავტომობილი, კომპიუტერი თუ სხვა რამ, დღეს უკვე ძველია, მას უფრო მოდერნიზებული მყისვე ცვლის. კომპანიები იძულებულნი არიან გამუდმებით სრულყონ წარმოების ტექნოლოგიები, მომხმარებელს ინტენსიურად შესთავაზონ სხვადასხვა აქციები, ახალი პროდუქტები, პროექტები, იდეები, მოდელები, სტრატეგიები...

შემოქმედება უკვე აღარ არის მარტო ხელოვანთა საქმე. კრეატიული აზროვნება და მოქმედება სასიცოცხლოდ აუცილებელია ყველასთვის, იქნება ის სახელმწიფო მოხელე, კომპანიის მენეჯერი, დიზაინერი, მარკეტოლოგი თუ ნებისმიერი დარგის რიგითი მუშაკი.[34]

კრეატიულობა წარმატებული საქმიანობის გარანტიაა თანამედროვე გლობალურ სამყაროში.

მხოლოდ შემოქმედებითი, კრეატიული აზროვნება მოგვცემს შესაძლებლობას შევიგრძნოთ მერმისის „მოსვლა“ აწმყოში.

პოსტინდუსტრიული საზოგადოების პირობებში, განვითარების საფუძველია ინფორმაცია, კრეატიულობა კი, — ინფორმაციული სივრ-

---

[32] შდრ.: — **ილია ჭავჭავაძე**: „ქვეყანა იმით კი არ არის უბედური, რომ ღარიბია, არამედ იმით, რომ მცოდნე, გონებაგახსნილი, გულანთებული კაცები არ ჰყავს.“

[33] საქართველოს საგარეო-სავაჭრო ბრუნვაში იმპორტის წილი 2007-15 წლებში 75-80%-ის ფარგლებში მერყეობდა, ხოლო ექსპორტის სასაქონლო სტრუქტურაში მზა პროდუქციის წილი უმნიშვნელო იყო.

[34] შდრ.: — **ბელინსკი**: „შემოქმედება მხოლოდ ხელოვანის კუთვნილება როდია: უიმისოდ შორს ვერ წავა მეცნიერიც და ბევრს ვერაფერს გააკეთებს ხელოსანიც; შთაგონება ყველგანაა, ყველა საქმესა თუ შრომაში.“

ცის განვითარების პირობა და საბაზო ელემენტი.

უახლოეს მომავალში ინფორმაციულმა საზოგადოებამ შეიძლება **„კრეატიული ცივილიზაციის“** სახელწოდება მიიღოს, რაც კულტურისა და ცივილიზაციის განვითარების ახალი ეტაპი იქნება კაცობრიობის ისტორიაში. „ეს უკანასკნელი კი შემოქმედებითი პროცესია და ყოველ შემოქმედს შეაქვს ცხოვრებაში ინდივიდუალურად სახეცვლილი სოციალური სული; შემოქმედების განსახიერება ხელოვნებასა და მეცნიერებაში არის სოციალური სულის დაბრუნება ინდივიდუალური ტყვეობიდან სოციალურ არეში იდეების მატერიალიზაციის საშუალებით (წიგნები, სურათები, ქანდაკებები და სხვ.)“.[35]

კრეატიულობა საოცრად მდგრადი ფენომენია. როცა საკაცობრიო მნიშვნელობის სიახლის (აღმოჩენის, გამოგონების ან სხვათა) შემოქმედი კვდება, მისი შექმნილი ისტორიაში სამუდამოდ რჩება და, გარკვეული აზრით, იგი საყოველთაო საზოგადოებრივი სიკეთე ხდება. **ამიტომ საჭიროა შემოქმედისა და შემოქმედებისადმი კეთილმოსურნე დამოკიდებულება.** სამწუხაროდ, გარდასულ მოვლენათა გამო, შემოქმედს იშვიათად აქვს სიცოცხლეში სათანადო აღიარება და დაფასება. ასე მოხდა ჩინელი ბრძენი **ლაო-ძის** შემთხვევაშიც. საუ-კუნეების შემდეგ მისი სახელი გაამითიურეს, ხოლო მის მოძღვრებას „კაცობრიობის მარადიული საგანძური“ უწოდეს. აკი თვითონაც ამბობს: **„ო, რა გვიანია სიტყვა: ბრძნული და დაუნჯებული“.**[36]

კრეატიულობა ადამიანის გონებაგახსნილი გონმჭვრეტელობითი აზროვნების ნაყოფია. იგი ზნეობრივი, არასტანდარტული და ორიგინალური შემეცნებითი აზროვნების უნარია.

შემოქმედების (შემოქმედობითობის) გარეშე ცივილიზაცია შეუძლებელია. გარკვეული აზრით, ცივილიზაცია არის შემოქმედებითი ურთიერთობა გარემოსა და ადამიანს შორის. სადაც არ არის ასეთი ურთიერთობა, იქ არც კულტურაა და არც ცივილიზაცია.

მხოლოდ ადამიანთა კრეატიულობა გადაარჩენს კაცობრიობას.

კრეატიულობა ინდივიდის თვითგამოხატვის საშუალებაა.

ადამიანის კრეატიულობაზე ოთხი მნიშვნელოვანი ფაქტორი მოქმედებს: ნიჭი, ჟინიანობა, ცოდნა და პიროვნული თვისებები.[37]

---

[35] **კაპანელი კ. (1996).** ქართული სული ესთეტიკურ სახეებში. თბ., „თსუ“, გვ. 38.

[36] **ლაო-ძი. (1983).** დაო დე ძინი. სიბრძნე სიკეთისა და სათნოებისა. თბ., „განათლება“, გვ. 33.

[37] **ბარათაშვილი ე.** და სხვ. **(2016).** მენეჯმენტი. წიგნი I. თბ. გვ. 162.

კრეატიული ადამიანი სრულიად განსხვავებული ფენომენია. სავარაუდოდ, ბრძენი **არისტოტელე** სწორედ ასეთ ინდივიდს გულისხმობდა, როცა წერდა: „დაბადებიდანვე ზოგი განკუთვნილია ხელმძღვანელობისთვის, ზოგი მორჩილებისთვის“.[38] შემოქმედს თავისუფლება სურს, რომ შესძლოს დამოუკიდებელი აზროვნება და კრეატიული უნარების მაქსიმალური გამოვლენა. თუმცა ხალხის მასას თავისუფ-ლება ასე ესმის: შეეძლოს მოიქცეს ისე, როგორც სურს, რაც მიუღე-ბელია. ადამიანის თავისუფლება კაცობრიობის უდიდესი მონაპოვარია, მაგრამ, იმავდროულად, იგი უდიდესი პასუხისმგებლობაცაა. **თავისუფალი ის ადამიანია, რომელიც კანონის ფარგლებში მოქმედებს.**

კრეატიულობის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია დიდი **არისტოტელეს** კიდევ ერთი შეგონება: „მეტი ყურადღება უნდა მიექცეს არა მოსახლეობის რაოდენობას, არამედ მის უნარს“.[39]

კრეატიული აზროვნება მხოლოდ ადამიანს შეუძლია, ვინაიდან იგი მისი გონების ნაყოფია. სწორედ აზროვნების უნარი გამოარჩევს ადამიანს ცხოველთა სამყაროსგან. ადამიანთან გარეგნულად ყველა-ზე უფრო დაახლოებულ ცხოველს — მაიმუნს, შემოქმედებითი აზროვნების უნარი არ გააჩნია. მას ელემენტარული იარაღის გაკეთება არ შეუძლია. არადა, აზროვნება მხოლოდ და მხოლოდ იარაღის გაკეთებით იწყება.[40] ცხოველი კი ბიოლოგიური ინსტინქტით მოქმედებს.[41]

ადამიანის კრეატიული უნარ-შესაძლებლობები მემკვიდრეობით არ გადაეცემა. იგი ყოველმა ინდივიდმა თვითონ უნდა გამოიმუშაოს.[42]

---

[38] **არისტოტელე. (1995).** პოლიტიკა. ნაწ. I. თბ., „სამშობლო“, გვ. 15.

[39] **არისტოტელე. (1995).** პოლიტიკა. ნაწ. II. თბ., „სამშობლო“, გვ. 72.

[40] **მიშველაძე რ. (2012).** კულტურა და თანამედროვეობა. თბ., გვ. 12-17.

[41] შდრ.: — **არისტოტელე**: „აზროვნება განასხვავებს ადამიანს ცხოველისაგან“; ან კიდევ, — **ბლეზ პასკალი**: „ადამიანი მხოლოდ ლერწამია, სუსტი და უმწეო ლერწამი. მაგრამ ეს ლერწამი აზროვნებს. მის გასასრესად სულაც არაა საჭირო სამყაროს რისხვა: საკმარისია ქარის შემობერვა, ან წვიმის წვეთი. მაგრამ, ადამიანი, თუნდაც სამყაროს მიერ გასრესილი, მაინც უფრო ღირსეულია და კეთილშობილი, ვიდრე მისი გამსრესი, ვინაიდან გრძნობს თავის აღსასრულსაც და საკუთარ უმწეობასაც სამყაროსთან შედარებით, სამყარო კი არაფერსაც არ გრძნობს.

მაშასადამე, **მთელი ჩვენი ღირსება — აზროვნებაა.** სწორედ აზრი გვამაღლებს ჩვენ და არა დრო და სივრცე, რომლებშიაც ქრთილის მარცვლებივით ვართ ჩაკარგულნი. მაშ, ვეცადოთ ვიაზროვნოთ ღირსეულად. აი, ზნეობის საფუძველთა საფუძველი.“

[42] შდრ.: — **პლატონი**: „ნეტავი, ორი სულის სიახლოვით მართლაც შეიძლებოდეს ერთი სულიდან მეორეში სიბრძნის გადასხმა“.

კრეატიულობა მრავალრიცხოვან ურთიერთშემავსებელ ფორმებში ვლინდება: ტექნიკურ გამომგონებლობაში, ახალი პროდუქციის დამუშავებაში, კულტურის ჟანრებსა და სამხატვრო შემოქმედებაში, ახალი ინდუსტრიის გამოჩენაში, კომპიუტერული გრაფიკიდან დაწყებული ციფრული მუსიკითა და ანიმაციით დამთავრებული.

ხშირად, შემოქმედებაში დიდი ავტორიტეტის ზემოქმედების ძალა დამაბრკოლებელი ფაქტორია. ცნობილია, რომ იტალიელმა მეცნიერმა ჩეზარე კრემონინიმ (XVI-XVII სს.) უარი თქვა ჩაეხედა ტელესკოპში, რათა არ დაენახა ის ციური სხეული, რომელსაც დიდი არისტოტელე არ იცნობდა.[43]

თანამედროვე გერმანელი ფსიქოლოგი **მათიას ნელკე** კრეატიულობის ორ სახეს გამოყოფს: **„დიდი“ და „მცირე“.**[44]

„დიდი“ კრეატიული იდეები ციდან თავისით არ ცვივა. ისინი ხანგრძლივი, ინტენსიური, ზოგჯერ მთელი სიცოცხლის განმავლობაში დაძაბული მუშაობის შედეგია. ამ შემთხვევაში აუცილებელია შემოქმედებითი ძალისხმევის მაქსიმალური კონცენტრაცია.[45]

„დიდი კრეატიულობა“ საზოგადოებაში ფუნდამენტურ ცვლილებებს იწვევს, — ესაა მნიშვნელოვანი გამოგონება, ახალი კონცეფცია, განვითარების ახალი სტრატეგია, ახალი პარადიგმა...

„მცირე“ კრეატიულობისას საუბარია იმ იდეებზე, რომლებიც, ზოგჯერ, ყოველ ჩვენგანს თავში მოგვდის, მაგრამ, სამწუხაროდ, ხშირად არ ვიყენებთ, ყურადღებას არ ვაქცევთ, ვივიწყებთ. არადა, ჩვენი სამყარო ხომ დეტალებისგან შედგება.

„მცირე კრეატიულობა“ არსებით ცვლილებებს არ იწვევს. ესაა პროდუქტის (ტექნოლოგიის) სრულყოფა, მიმდინარე სამუშაოს ოპტიმიზაცია, მოქმედების ალგორითმის ცვლილება…

„მცირე კრეატიულობა“ და „ინოვაცია“ თითქმის სინონიმებია.

კრეატიულობა ყოველთვის არაა რაიმე ახლის გამოგონება. საკმარისია არსებულ მოდელში თუნდაც მცირეოდენი ცვლილების შეტანა, მისი მოდერნიზაცია, უფრო დახვეწა, სრულყოფა, ხაზგასმა, წინ წამოწევა...[46]

---

[43] **გათრი უ. (1983).** ბერძენი ფილოსოფოსები. თბ., „საბჭ. საქართველო“. გვ. 5.

[44] **Нёльке М. (2007).** Находчивость искусство отражать удар. ОМЕГА-Л, М.

[45] შდრ.: — **ლევ ტოლსტოი**: „დიადი რომ შექმნა, სულის მთელი ძალები ერთი წერტილისაკენ უნდა მიმართო.“

[46] შდრ.: — **ემერსონი**: „ადამიანის შესაძლებლობები ამოუწურავია; ვერც ერთი კაცი ისე კარგად ვერ გააკეთებს ვერაფერს, რომ მეორემ მისი უკეთ გაკეთება

კრეატიულობის პროცესში წარმოსახვის მეთოდი გამოიყენება.

კრეატიულობის პროდუქტი შეიძლება იყოს აბსტრაქტული ან კონკრეტული საგანი. კრეატიულობა არსებობს ადამიანის როგორც ოცნებაში (გონებაში), ისე მოქმედებაში.

ყოველი ადამიანი სხვადასხვა ხარისხით შემოქმედია, კრეატიულია. შემოქმედების ნათელი სხივები აცოცხლებს ჩვენს პიროვნებას, მრავალჯერ გამეორებად მოსაწყენ ყოფას. ზოგიერთი კიდევ უფრო შორს „მიდის“ და საკუთარ ცხოვრებას მთლიანად შემოქმედებას უძღვნის, — შემოქმედებაა მისი სიცოცხლის არსი და მთავარი მიზანი.

შემოქმედება ადამიანის თანდაყოლილი უნარია, მაგრამ უმრავლეობას იგი ეკარგება არასწორი აღზრდის, განათლებისა და სოციალური პრაქტიკის ზემოქმედების შედეგად.

როგორ ჩნდება კრეატიული იდეები? საღი აზროვნებით, აზროვნების აზროვნებით – მიიჩნევენ მეცნიერები. **ის, ვინც მუდამ ტრადიციულად აზროვნებს, არ შეიძლება კრეატიული იყოს.** შემოქმედებით ადამიანებს ხშირად უწევთ გაკვალული გზის მიტოვება და ახალი, საკუთარი, ორიგინალური გზების დაუცხრომელი ძიება.

აზროვნება ორგვარია: დივერგენტული[47] და კონვერგენტული.[48]

აზროვნების ამ ფორმებს შორის მკაფიოდ გამყოფი ზღვარი არ არსებობს, რადგან ორივენი ერთი და იგივე წყაროდან — ადამიანის გონებიდან იღებს სათავეს, ხშირად ერთმანეთს ავსებს კიდეც, მაგრამ, ზოგადად, შეიძლება არსებული განსხვავებების გამოყოფაც.

დივერგენტულად მოაზროვნე ადამიანი ერთისგან ქმნის მრავალს, აფართოებს საზღვრებს, ერთდროულად რამდენიმე პროექტშია ჩართული, მუშაობს სწრაფად, მისდევს ინტუიციას, უყვარს ღია სივრცე, ეძებს გადაწყვეტილების მრავალ ვარიანტს…

ასეთ ადამიანს დომინირებული აქვს თავის ტვინის მარჯვენა დიდი ნახევარსფერო. ის თავის ენერგიას სხვადასხვა მიმართულებით წარმართავს, დიდი რაოდენობის მასალებსა და ინფორმაციას აგროვებს და მრავალრიცხოვან იდეებს აწარმოებს. მისი ყურადღება მუდამ იდეების ძიებისაკენ არის მიმართული. ხშირად, გონებით ვირტუალურ სამყაროშია. თუმცა, მცირე ხნის შემდეგ, ინტერესი სხვა საკითხზე გადააქვს, რადგან პრიორიტეტების ცვლილება მისთვის შედარებით მარტივია.

ვერ შეძლოს“; ან კიდევ, — **ციცერონი**: „არც ერთი გამოგონება არ შეიძლება მაშინვე სრულყოფილი გახდეს.“

[47] ლათ. divergere – განშტოება, სხვადასხვაობა, დიფერენციაცია.

[48] ლათ. con – ერთად და verger – დაახლოება. ისეთი ევოლუციური პროცესი, როცა სხვადასხვა სუბიექტებს (მოვლენებს) შორის დაახლოება შეინიშნება.

ცხრილი 1.1. კონვერგენტული/ვერტიკალური და დივერგენტული/ლატერალური აზროვნების შედარება

კონვერგენტული/ ვერტიკალური აზროვნება	**დივერგენტული/ ლატერალური აზროვნება**
ლოგიკური, რაციონალური	ასოციაციური, წარმოსახვითი
ერთი მიმართულების	მრავალი მიმართულების
მოცემული თემის საზღვრებში დარჩენილი	მოცემული თემის საზღვრებიდან გასული
ჰომოგენური, წინააღმდეგობრიობას მოკლებული	ჰეტეროგენული, წინააღმდეგობრიობის მიმღები
პრობლემის გადაწყვეტის აპრობირებული მეთოდები	პრობლემის გადაწყვეტის ახალი მეთოდები
კრიტიკული შენიშვნები აუმჯობესებენ კონვერგენტულ აზროვნებას	კრიტიკული შენიშვნები აუარესებენ დივერგენტულ აზროვნებას
პრობლემის მართებული გადაწყვეტა	პრობლემის ორიგინალური გადაწყვეტა

დივერგენტულად აზროვნება ნიშნავს პრობლემებს მივუდგეთ გაშლილი ჰორიზონტით, ღიად და არასისტემურად. ამ დროს მნიშვნელოვანია „აზრობრივი ბლოკადისგან“გათავისუფლება. შემოქმედებაში ძველი წარმოდგენების ძალა კოლოსალურია. ხშირად, ძნელია დანახვა იმისა, რაც ჩვენ თვალწინაა.[49] **ადამიანთა თაობა, ჩვეულებრივ, იმ ღირებულებებით კი არ ცხოვრობს, რომელსაც თვითონ ქმნის, არა-მედ იმით, წინა ეპოქიდან რომ იღებს სათავეს.** ამიტომაც არსებობს კონფლიქტი თაობათა შორის. კონფლიქტი გარდაუვალია, რადგან ბუნების ფარული კანონის თანახმად, ყოველი საგანი ბრძოლის წყალობით ცოცხლობს. ერთი სიცოცხლე არსებობს მეორის მოსპობისა და შთანთქმის ხარჯზე.[50]

კრეატიულია დივერგენტულად მოაზროვნე ინდივიდი, — მიიჩნევდა ამერიკელი ფსიქოლოგი, კრეატიული ფსიქოლოგიის ფუძემდებელი **ჯო პოლ გილფორდი** (1897-1987).[51]

---

[49] შდრ.: — **ლაო-ძი**: „ადამიანებს განახლება არ სურთ, ისინი კმაყოფილდებიან ძველით“; ან კიდევ, — **შვაიცერი**: „არაფერია უფრო ინერტული, ვიდრე მსოფლმხედველობა.“

[50] შდრ.: — **რუსთაველი**: „ღმერთმა ერთი ვით აცხოვნოს თუ მეორე არ წასწყმიდოს“; ან კიდევ, — **ჰერაკლიტე**: „რაც ცოცხლობს, სხვისი ნგრევით ცოცხლობს.“

[51] **Guilford J. P. (1980).** Some Changes in the Stucture-of-Intellect Model. Vol.

ინგლისელმა მეცნიერმა **ედუარდ დე ბონომ** პირველმა გაავრცელა ტერმინი **„ლატერალური (გვერდითი) აზროვნება“,** რაც მცირედით განსხვავდება დივერგენტული აზროვნებისგან. ლატერალურ აზროვნებას აქვს თავისი ტრადიციული საპირისპირო – **ვერტიკალური აზროვნება.** ეს უკანასკნელი იყენებს პრობლემის გადაწყვეტის სტანდარტულ ალგორითმებს, მაშინ, როცა ლატერალური აზროვნება გამუდმებით ეძებს ჯერ კიდევ გამოუყენებელ შესაძლებლობებს.

ლატერალური და ვერტიკალური აზროვნება ავსებს ერთმანეთს: პირველი წარმოშობს ახალ იდეებს, მეორე კი, არჩევს მათ.

დე ბონოს ხატოვანი შედარებით, ვერტიკალური აზროვნება აღრმავებს არსებულ ორმოს, ლატერალური კი, — თხრის ახალს.[52]

კრეატიულობის პროცესში ლატერალური და დივერგენტული აზროვნება მნიშვნელოვან როლს ასრულებს. უფრო მეტიც, მათ გარეშე კრეატიულობა შეუძლებელია. **დე ბონოს** შედარების განვითარებით, შეიძლება ვთქვათ, რომ „კრეატიული გადაწყვეტილება საუკეთესოა მაშინ, როცა საკმარისი სიღრმის მრავალ ორმოს ამოვთხრით.“

კონვერგენტულად მოაზროვნე მრავლისგან ქმნის ერთს, მუშაობს მეთოდურად, ადგენს სტრატეგიულ გეგმებს, იცავს ლოგიკას, უყვარს საიმედოობა, ეძებს ერთადერთ სწორ გადაწყვეტილებას…

კონვერგენტულად მოაზროვნე მიდრეკილებას იჩენს ყურადღება გაამახვილოს მნიშვნელოვან და სასწრაფო საქმეზე. შეზღუდვა თითქოს „ჩადებულია“ მის ქმედებაში.

ადამიანის თავის ტვინის მარჯვენა დიდი ნახევარსფერო „პასუხისმგებელია“ „თბილ აზროვნებაზე“ — ინტუიციაზე, სინთეზზე, ემოციაზე, სივრცობრივ აღქმაზე, ინფორმაციის მთლიან დამუშავებაზე, ანუ დივერგენტულ აზროვნებაზე.

მარცხენა დიდი ნახევარსფერო „პასუხის აგებს“ „ცივ აზროვნებაზე“— ლოგიკაზე, ანალიზზე, რაციონალურობაზე, ინფორმაციის თანდათან დამუშავებაზე, ანუ კონვერგენტულ აზროვნებაზე.

ბოლო წლებში მეცნიერები ადამიანის თავის ტვინს ყურადღებით სწავლობენ. მათ დაადგინეს, რომ უმარტივესი მოქმედების დროსაც კი ადამიანი აზროვნებს თავის ტვინის არა რომელიმე ნახევარსფეროთი, არამედ ერთიანად, ორივე ნახევარსფეროს უჯრედების ინტენსიური ჩართულობით. ამიტომ ორი ნახევარსფეროს მოდელი დღეს უკვე საკამათოა. ჩვენ ცალ-ცალკე არ ვფიქრობთ თავის ტვინის მარჯვენა ან

[52] **Боно Э. (1997).** Латеральное мышление. СПб, «Питер».

მარცხენა ნახევარსფეროებით. ადამიანის აზროვნება ტვინის მილიონობით უჯრედის ჰარმონიული ურთიერთზემოქმედების შედეგია.

კრეატიულობის შესახებ არსებობს მცდარი წარმოდგენები:

• ადამიანი რაც უფრო გონიერია, მით უფრო კრეატიულია. რეალურად არაა მაღალი კორელაცია ინტელექტუალურობის კოეფიციენტსა (IQ) და კრეატიულობას შორის (IQ-ს 120 ქულა საკმარისია);

• ახალგაზრდები უფრო კრეატიულები არიან, ვიდრე ასაკოვნები. გამოცდილების მისაღებად 7 წელი სამყოფია. თუმცა, იგი შეიძლება კრეატიულობის ხელშემშლელი ფაქტორი გახდეს;

• კრეატიულობა რისკიანი ადამიანების ხვედრია. სინამდვილეში რისკი უნდა იქნას გათვლილი და მიუღებელი უკუგდებული.

ადამიანის კრეატიულობის პოტენციალი ყველაზე მასშტაბურად ხელოვნებაში ვლინდება.

შემოქმედებით შრომაში მთავარი როლი თვით კულტურის ობიექტებს ეკუთვნით. ამ მიმართებით მათ ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია აქვთ. ისინი ფარული შესაძლებლობების ისეთი „საცავებია“, რომელიც უნდა შევიცნოთ და შემოქმედებაში გამოვიყენოთ. მათ შეუძლიათ ბუნებრივი სიმდიდრეების (მაგ., ქვანახშირი, ნავთობი) „ჩანაცვლება“ და ახალი, მიმზიდველი საბაზრო ფასეულობების შექმნა.

თუ ადრე კულტურა მხოლოდ დანახარჯების სფეროდ განიხილებოდა, ახლა იგი ქვეყნის (რეგიონის, ქალაქის) განვითარებაში მეტად არსებითი რესურსია.

რა კავშირია კრეატიულობასა და საზოგადოების ეკონომიკურ განვითარებას შორის?

ჩვეულებრივ, ტრადიციული ეკონომიკა არის საქონლის წარმოების, გაცვლისა და მოხმარების ერთიანი სისტემა. ეკონომიკური თეორია განიხილავს წარმოების შეზღუდული რესურსების პირობებში ინდივიდისა და საზოგადოების მუდამ მზარდი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების სოციალურ-ეკონომიკურ ასპექტებს.

ზოგადად, კრეატიულობა არაა ეკონომიკური საქმიანობა. თუმცა, ასეთად იგი მაშინ გადაიქცევა, როცა შემოქმედებითი იდეის გამოყენებადობა, ანუ საბაზრო მოთხოვნილება ჩამოყალიბდება. ამ შემთხვევაში შემოქმედებითი პროდუქტი აბსტრაქტულიდან (იდეიდან) პრაქტიკულში გადავა და ღირებულებას შეიძენს. იგი შეიძლება იყოს როგორც საქონელი, ისე მომსახურება, ან ერთი ფორმიდან მეორეში გადავიდეს. მაგ., მუსიკალური ნაწარმოების შესრულება არის მომსახურება, ხოლო დისკზე ჩაწერილი მუსიკა — საქონელი.

ხშირად, შემოქმედებას ხელოვნებასთან აიგივებენ და მათ სინონიმებად თვლიან, რაც არ მიგვაჩნია მართებულად.

შემოქმედება ადამიანის საქმიანობის თითქმის ყველა სფეროში სხვადასხვა ხარისხით შეიძლება. ამ შემთხვევაში მთავარია ერთმანეთისგან განვასხვაოთ: **შემოქმედება ერთია, ხოლო შემოქმედების პროდუქტი (შედეგი) — მეორე.** გაზრდილი კონკურენცია, სწრაფადცვალებადი ტექნოლოგიები და ინტერნეტის გავრცელების გრანდიოზული შესაძლებლობები, ყველა დასაქმებულისა და კომპანიისგან თავის საქმიანობაში ორიგინალურ მიდგომას მოითხოვს.

შემოქმედება შესაძლებელია ნებისმიერ ორგანიზაციაში, განსაკუთრებით იქ, სადაც ინოვაციები ინერგება.

საზოგადოების კრეატიული განვითარების შემთხვევაში საქმე გვაქვს ფასეულობათა ორ სისტემასთან: პირველი ეფუძნება ფიზიკურ (მატერიალურ) კაპიტალს, ხოლო მეორე — ინტელექტუალურს (არამატერიალურს). ტრადიციული ეკონომიკა კარგად ხსნის პირველ მოდელს, მეორეს — ვერა. მაგ., შეიძლება აიხსნას წიგნის ბეჭდვა ფიზიკური საქონლის თვალსაზრისით, მაგრამ ამ პროდუქტში ინტელექტუალური კაპიტალის წილის ზუსტი დადგენა ძალიან რთულია.

რატომ ხდება ასე? იმიტომ, რომ იდეები ერთმანეთს კონკურენციას არ უწევენ. ის ფაქტი, რომ ვინმეს რაიმე იდეა აქვს, არავითარ გავლენას არ ახდენს იმაზე, ანალოგიური იდეა ექნება თუ არა სხვას. ამის საწინააღმდეგოდ, თუ ვინმე იყენებს რაიმე მოწყობილობას (ფიზიკურ კაპიტალს), არავის შეუძლია იმავდროულად მისი გამოყენება.

მაშასადამე, იდეების არაკონკურენტული ბუნება მათი „თავისუფალი გადაადგილების“ საშუალებას იძლევა, ანუ შესაძლებელია სხვა ადამიანთა იდეების გამოყენება საფასურის გადახდის გარეშე.

ამიტომ განვითარებული სამყაროს საპატენტო კანონმდებლობა „ინფორმაციის გახსნას“ კატეგორიულად მოითხოვს, რომ უზრუნველყოს იდეების „არაკონკურენტულობა“ და მათი „თავისუფალი გადაადგილება“. **იდეა მხოლოდ განათლებული ადამიანის გონმჭვრეტელობითი აზროვნების შედეგია, ხოლო როცა იდეები ინდივიდებს მასობრივად ეუფლება, იგი განვითარების უზარმაზარი ძალა ხდება.**

აღნიშნული ეხება იდეების მატერიალიზაციის საწყის ეტაპს. როცა რაიმე იდეა პროდუქტში ან სულიერ ღირებულებაში განივთდება, იგი კონკურენტული ხდება. შეიძლება ერთდროულად და ცალ-ცალკე მოვისმინოთ ერთი და იგივე სიმღერა, მაგრამ არ შეგვიძლია ერთობლივად გამოვიყენოთ ერთი და იგივე მუსიკალური ჩანაწერი. სწორედ საავტორო უფლების აზრი ისაა, რომ სრულად შეზღუდოს შემოქმე-

დებითი პროდუქტის ხელმისაწვდომობა ან მისი გამოყენების ნება დართოს მხოლოდ სათანადო საფასურის გადახდის პირობით. ერთმა ადამიანმა სარგებელი რომ მიიღოს, სხვები მის გარეშე უნდა დარჩნენ.

იდეების მეორე ეკონომიკური თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ კოპირებით მისი ღირებულება მცირდება. თითქმის ყველა აუცილებელი ცოდნა, უნარი და ინტელექტუალური დანახარჯი, იდეის კვლევისა და დამუშავების სტადიებზეა საჭირო. როგორც კი ახალი პროდუქტი შეიქმნება, მისი ასლის ღირებულება უმნიშვნელო ხდება.

კრეატიულ საზოგადოებაში პიროვნების როლი უფრო ძლიერია, რადგან იგი ინდივიდის შემოქმედებით შესაძლებლობებზეა დამოკიდებული. კრეატიული ადამიანის ქცევა კი, ხშირად, ირაციონალურია.[53]

2. კრეატიული განვითარების წანამძღვრები და მიზეზები

ბოლო ორი ათეული წელია განვითარებულ სამყაროში კრეატიული განვითარების კონცეფცია კვლევის ერთ-ერთ პროგრესულ მიმართულებად ითვლება.

კრეატიული განვითარების ცნებითი აპარატი მოიცავს ისეთ ტერმინებს, როგორიცაა: „კრეატიული ეთნოსი“, „კრეატიული ადამიანი“, „კრეატიული ინდუსტრია“, „კრეატიული კლასი“, „კრეატიული საზოგადოება“, „კრეატიული ქალაქი“ და ა.შ. და ა.შ. თუმცა, ამ ცნებების შესახებ საერთო კონსენსუსი ჯერჯერობით არ მიღწეულა.

კრეატიული განვითარება კავშირშია შემოქმედებით პროცესთან ანუ კრეატიულობასთან. თუ ინდივიდის შემოქმედება მეცნიერების სხვა სფეროებში შედარებით დადგენილია, შემოქმედება, როგორც სოციალური პროცესი, ნაკლებად შესწავლილია.

კრეატიულმა განვითარებამ განაპირობა თანამედროვე საზოგადოებაში მიმდინარე ხარისხობრივი ძვრები, ფასეულობათა ახალი გაგება, ცვლილებები დასაქმებასა და საკუთრებით ურთიერთობებში, შრომაში, კაპიტალში...

კრეატიული პროდუქტების ეკონომიკური ბუნების ფასეულობათა ფუნდამენტური ახსნა მოცემულია ეკონომიკური აზროვნების ფუძემდებლის, შოტლანდიელი **ადამ სმითის** (1723-1790) შრომებში. ესაა „წყლისა და ბრილიანტის“ ცნობილი პარადოქსი, როცა წყალი, რომლის

[53] ლათ. irationalis კანონზომიერებას მოკლებული, გონებისთვის მიუწვდომელი, ლოგიკის ცნებებით აუხსნელი.

გარეშე სიცოცხლე შეუძლებელია, უფრო იაფი ღირს, ბრილიანტი კი, — ნაკლებსაარსებო სიკეთე, ძალიან ძვირია.

XIX საუკუნიდან, როცა შემუშავდა მომხმარებლის ქცევის შემსწავლელი თეორია (ბიჰევიორიზმი), განისაზღვრა სარგებლიანობის სუბიექტური გაგება და რესურსების იშვიათობის ცნება, დაიწყო კრეატიული ინდუსტრიის ბაზრების წანამძღვრების ფორმირება.

კრეატიულ ინდუსტრიაზე ყურადღება პირველად გაამახვილა გერმანელმა ეკონომისტმა და სოციოლოგმა, კულტურის ფილოსო-ფოსმა **ვენგერ ზომბარტმა** (1863-1941), რომლის მოღვაწეობის პერიოდში დაიწყო და სპეციალიზაციის სახით ცალკე გამოიყო მეცნიერება, კულტურის ინდუსტრია და ხელოვნების ბაზარი.

პარალელურად მიმდინარეობდა საყურადღებო პროცესიც — საქმიანობის იმ სახეებმა, რომლებშიც სჭარბობდა ირაციონალური მოტივები (მაგ., ხელოვნება, მუსიკა), ორგანიზაციისა და მოტივაციის რაციონალური ფორმები შეიძინა.

იმავდროულად მოხდა კრეატიული სექტორების ინტერესებთან საბაზრო სისტემის ინტერესების თანხვედრა და ადაპტაცია. კრეატიული ინდუსტრიის ინსტიტუტებმა და მათში დასაქმებულმა ადამი-ანებმა ახალი სტატუსი შეიძინეს. წარმოიშვა შემოქმედებითი მუშაკების სოციალური კარიერის ზრდისა და დასაქმების გადიდების საინტერესო ფორმები, რამაც კრეატიული სფერო საინვესტიციოდ უფრო მიმზიდველი გახადა.

ტრადიციული სანედლეულო ეკონომიკა და მარტივი სასაქონლოფულადი ურთიერთობა განსაკუთრებულ ინტელექტს, სულიერებას და, რა თქმა უნდა, შემოქმედებას არ მოითხოვს.

კრეატიული ინდუსტრიისადმი ყურადღების გამახვილება ნაკარნახევი იყო ობიექტური პროცესებით, კერძოდ, საზოგადოების პოსტინდუსტრიულ განვითარებაზე გადასვლით, საქმიანობის ახალი სფეროების, კერძოდ, ინფორმაციული სექტორის წარმოჩენით.

წარმოიშვა პოსტინდუსტრიული საზოგადოების განვითარების კონცეფციის სოციალური სტრუქტურის უცხო ელემენტი — **სიტუსი**, როგორც ადამიანების გაერთიანების სრულიად ახალი ფორმა მათი საერთო პროფესიული საქმიანობითა და ინტერესებით და არა წოდებრივი კუთვნილებით (შესაბამისად, სტატუსი) .

ინტელექტუალურ შრომაზე დაფუძნებული საქმიანობის გაფართოებამ დამქირავებელსა და დაქირავებულს შორის ურთიერთობა დიდად შეცვალა: ინტელექტუალურმა პროდუქტებმა საკუთრების დაცვის ახალი საშუალებები მოითხოვა; ჩამოყალიბდა ახლებური წარმოდგენა

სამუშაო ადგილისა და დღის ხანგრძლივობის შესახებ; შრომის ბაზარზე გაძლიერდა მობილურობა; დაინერგა დასაქმების მოქნილი გრაფიკები და სხვა მრავალი.

XX საუკუნის II ნახევრიდან დასავლეთის ინდუსტრიული ცენტრებიდან დაიწყეს შედარებით იაფი სამუშაო ძალის მქონე ქვეყნებში სამრეწველო საწარმოთა გადატანა, რამაც განვითარებულ ქვეყნებში მსხვილი **ქალაქების დეინდუსტრიალიზაცია** გამოიწვია. წარმოების გაჩერების გამო, დაცარიელდა საწარმოო შენობები, გართულდა მოსახლეობის დასაქმება, გაიზარდა სოციალური დაძაბულობა.

აღნიშნულმა გარემოებამ განვითარების ახალი სფეროების ძიება მოითხოვა. ყურადღება შეაჩერეს კრეატიულ ინდუსტრიაზე. ტრადიციულ დარგებში განვითარების ახალი იმპულსი გაჩნდა. კრეატიული სექტორი, რომელიც წინათ მეურნეობის მეორეხარისხოვან სფეროდ ითვლებოდა, თანდათან მძლავრი საწარმოო რესურსი შეიქმნა. დაცარიელებული ფაბრიკა-ქარხნების შენობები კრეატიული ინდუსტრიის განვითარების, თანამედროვე ხელოვნების, მუზეუმებისა და გალერეების ცენტრები გახდა და მიმზიდველი ახალი „ეკონომიკური ნიშა“ წარმოიშვა.

ბოლო ათწლეულში მსოფლიოში მრავალი გლობალური ცვლილება მოხდა. ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვით მნიშნელოვნად შეიცვალა ეკონომიკური ზრდის ტემპები და ბიზნესის წარმართვის შეფასების ხარისხობრივი პარამეტრები. ახლებურად წარმოჩნდა მსოფლიო ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურა (განვითარებულ ქვეყნებში მომსახურების სფეროს წილი დასაქმებაში 75-80%-მდე გაიზარდა), გაფართოვდა საქონლისა და მომსახურების ასორტიმენტი, შეიცვალა მომხმარებლების მოთხოვნები და სხვ.

XX საუკუნის ბოლოს თანამედროვე ცივილიზაციაში მიმდინარე გლობალურმა ცვლილებებმა, „კრეატიული განვითარების“ წარმოშობის ფუნდამენტური წანამძღვრები საბოლოოდ შექმნა.

მაინც, რას გულისხმობს „კრეატიული განვითარება?“

კრეატიული განვითარება, როგორც ინტერდისციპლინური მეცნიერება, აერთიანებს ეკონომიკის, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, სოციოლოგიისა და კულტუროლოგიის საკითხებს. იგი ეფუძნება მაღალი კონცენტრაციის კრეატიულ სამუშაო ძალას, რომელიც სიახლეების დამუშავების სულისჩამდგმელი და მამოძრავებელია.[54]

---

[54] **Амабайл Т. М., Леонард Д., Рейпорт Дж. (2011).** Креативное мышление в бизнесе. «Юнайтед Пресс», 232 с.

კრეატიული განვითარება სამართლიან საფუძველზე უზრუნველყოფს საზოგადოების ყველა ფენის, მათ შორის ახალგაზრდების, შეზღუდული შესაძლებლობების მქონეთა და ქალთა ფართომასშტაბიან დასაქმებას.

კრეატიული განვითარების კონცეფცია ქმნის ადამიანზე ორიენტირებულ ინკლუზიურ[55] და ეკოლოგიურად გამართლებულ გზებს.

კრეატიული განვითარების ზრდის ფაქტორებია ადამიანისეული კაპიტალი, მოთხოვნა, ინოვაციები და ინვესტიციები.

კრეატიული განვითარების ნიშანია რაიმეს შესახებ შემოქმედებითი მიდგომა, ახალი, ადრე არარსებული იდეების დანერგვა, საზოგადოების უწყვეტი ინოვაციური განვითარება.

კრეატიული განვითარება ეკონომიკური ზრდის გამოცოცხლების, მოსახლეობის დასაქმების გადიდებისა და სოციალური დარაზმულობის სტრატეგიული პრიორიტეტია. თანამედროვე განვითარებული საზოგადოება სულ უფრო მეტად ხდება კრეატიული, რომლის მთავარი პროდუქტი — ინოვაციური სტრატეგიები — ნებისმიერ სოციალურ-ეკონომიკურ მოთხოვნებს აკმაყოფილებს, შრომის პირობებიდან და ჯანდაცვიდან დაწყებული, განათლების განვითარებით დამთავრებული, რითაც ხელს უწყობს ცივილიზებული სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებასა და განმტკიცებას.

კრეატიული განვითარების მთავარი ინსტრუმენტია ცოდნა, რესურსი — ინფორმაცია, ხოლო პროდუქტი — ინოვაცია.

ამერიკელი მეცნიერის **იოსებ შუმპეტერის** (1883-1950) აზრით, **ინოვაცია არის საწარმოო, მეცნიერული, ტექნიკური და კომერციული ღონისძიებების ერთობლიობა, რომელიც ბაზარზე ახალი და სრულყოფილი საწარმოო პროცესებისა და მოწყობილობების გამოჩენას განაპირობებს.[56]**

საზოგადოების კრეატიულ განვითარებას ორი მიზეზი აქვს:

პირველი: ამერიკელმა ფსიქოლოგმა **აბრაამ მასლოუმ** (1908-1970) ახსნა, თუ რატომ ხარჯავს ერთი ადამიანი უფრო მეტ დროსა და ენერგიას საკუთარ უსაფრთხოებაზე, ხოლო მეორე — სხვებისგან პატივისცემის დამსახურებაზე?

---

[55] ლათ. inclusivus ჩართულობა. იგულისხმება მოსახლეობის ყველა ფენა („თანაბარი შესაძლებლობები“) და არა მარტო მდიდარი კლასი სამართლიანი საზოგადოების მისაღწევად.

[56] **Шумпетер Й. А. (2007).** Теория экономического развития. Капитализм, социализм и демократия. М., «ЭКСМО».

მასლოუს აზრით, ადამიანის მოთხოვნილებებს იერარქიული სტრუქტურა აქვს, რომელიც აერთიანებს ფიზიოლოგიურ, უსაფრთხოების, სოციალური კავშირების, პატივისცემისა და თვითგამოხატვის მოთხოვნილებებს.

ყოველი ინდივიდი ცდილობს, უპირველესად დაიკმაყოფილოს მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მოთხოვნილება, რაც შემდეგ აღარ იქნება მოტივატორი და ადამიანი უფრო მაღალი იერარქიის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას შეეცდება.

მაგ., მშიერ ხალხს (იერარქიის I საფეხური: ფიზიოლოგიური მოთხოვნილება) არ აინტერესებს ის მოვლენები, რაც ხელოვნებაში ხდება (V საფეხური: თვითგამოხატვის მოთხოვნილება), არც ის, თუ როგორ პატივს სცემენ მათ სხვები (IV საფეხური: პატივისცემის მოთხოვნილება). მაგრამ როგორც კი დაკმაყოფილდება თითოეულის მნიშვნელოვანი მოთხოვნილება, დღის წესრიგში დგება მათთვის უფრო მაღალ იერარქიულ საფეხურზე მდგომი მოთხოვნილება.[57]

მაშასადამე, ჩვენი მოთხოვნილებები იერარქიის საფეხურზე მაღლა მიიწევს, — ფიზიოლოგიურიდან ემოციურ-სულიერისაკენ. განვითარებულ ქვეყნებში ადამიანების მატერიალური მოთხოვნილებები ძირითადად დაკმაყოფილებულია, მათი შემოსავლები დიდია და ისინიც ინტელექტუალურ საქმიანობას ანიჭებენ უპირატესობას (ანუ ზრდიან მოთხოვნილებას).

აღნიშნული ვითარება შესაბამის ბაზარს ავითარებს. საწარმოო პროცესების ავტომატიზაციისა და მომსახურების სფეროში დასაქმების გადიდების კვალობაზე, ახალგაზრდობა მეტ ინტერესს კრეატიული ინდუსტრიისადმი იჩენს, რადგან ეს სფერო უფრო კონკურენტული და პრესტიჟულია, მიმზიდველ სტილს სთავაზობს და აქ ანაზღაურებაც საშუალოზე მაღალია.

კრეატიული პროდუქციის მოცულობის მატება ინდივიდების სამომხმარებლო შესაძლებლობებს ზრდის, დროის ბიუჯეტსა და კრეატიული სფეროსადმი ინტერესს ადიდებს. მაგ., ბრიტანელები და ამერიკელები გართობა-სიამოვნებაზე თავიანთი ბიუჯეტის, შესაბამისად, 17% და 20%-ს ხარჯავენ, ანუ უფრო მეტს, ვიდრე კვებაზე ან საოჯახო საჭიროებებზე.[58]

მეორე: კრეატიულ განვითარებას დიდად შეუწყო ხელი საინფორმაციო-კომუნიკაციური ტექნოლოგიების განვითარებამ. ციფრულმა

[57] **Маслоу А. (1999).** Мотивация и личность. Пер. с англ. СПб, «Евразия».

ტექნოლოგიებმა შექმნეს ახალი შესაძლებლობები გლობალური კიბერ-ნეტიკული სივრცის დასაპყრობად. 3D გამოსახულებისა და იდეების სინთეზი ახალ ნიმუშებს ელის.

საზოგადოებაში აშკარად ვლინდება ორი ურთიერთგადამკვეთი ტენდენცია: კრეატიული ადამიანები და ორგანიზაციები მეტად ხდებიან ბიზნესზე ორიენტირებულები. თავის მხრივ, ბიზნესიც კრეატიულ მიდგომებზეა უფრო დამოკიდებული.

ამერიკელი სოციოლოგი **რიჩარდ ფლორიდა კრეატიული განვითარების საფუძვლად „3ტ"-ს პრინციპს მიიჩნევს: ტექნოლოგია, ტალანტი და ტოლერანტობა.**[59]

3. კრეატიულობა, როგორც საზოგადოების ბაზისის (ეკონომიკის) განვითარების შეუზღუდავი წყარო

ტრადიციული ეკონომიკა, როგორც მეცნიერება, შეზღუდული ეკონომიკური რესურსების (მიწა, შრომა, კაპიტალი) რაციონალური გამოყენების თეორიას ეფუძნება. იგი იკვლევს თუ როგორ იყენებენ ადამიანები მათ განკარგულებაში არსებულ რესურსებს საქონლისა და მომსახურების წარმოებისა და განაწილებისათვის.

ჰარვარდის ბიზნესსკოლის პროფესორი **მაიკლ პორტერი** ეკონომიკის განვითარების სამ მოდელს გამოყოფს:

1. **ეკონომიკა, რომელიც წარმოების ფაქტორებით ვითარდება;**
2. **ეკონომიკა, რომელიც ინვესტიციებით ვითარდება;**
3. **ეკონომიკა, რომელიც ინოვაციებით ვითარდება.**

პორტერი მიიჩნევს, რომ ეკონომიკის განვითარების თითოეული მოდელის თანამიმდევრულად გავლა საჭიროა. მაგრამ ბოლო, მესამე მოდელია უფრო პროგრესული, რადგან **ადამიანის კრეატიული შესაძლებლობების პოტენციალს ეფუძნება, რომელიც საზოგადოების განვითარების თითქმის ამოუწურავი რესურსია.**

კრეატიული ეკონომიკის ეს ახალი პარადიგმა (ადამიანის შემოქმედებითი მიღწევების რეალიზაციის შესაძლებლობები, როგორც შეუზღუდავი რესურსები), ეკონომიკური სიკეთეების იშვიათობის თეორიას უარყოფს.

---

[58] **Волкова A.** Города и креативный класс в Азии. [http://urbanurban.ru/blog/economy/157/Goroda-i-kreativnyy-klass-v-Azi]

[59] **Florida R. (2002).**The Rise of the Creative Class. And How It's Transforming Work, Leisure and Everyday Life.

დღეისთვის არსებობს მრავალი მეცნიერული ნაშრომი,[60] რომლებშიც ადამიანის ინტელექტუალური პოტენციალი ეკონომიკური ზრდის დომინირებულ ფაქტორად განიხილება.

ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი ვარიანტია ეკზოგენური (გარე წარმოშობის) ზრდის ნეოკლასიკური მოდელიც, სადაც ადამიანისეული და მატერიალური კაპიტალის ისეთი ფუნქციებია ასახული, როგორიცაა პროდუქტიული ასაკის ადამიანთა შრომა და ტექნოლოგიის განვითარების დონე, მაგრამ ეს თეორიები აგებულია შეზღუდული რესურსების იდეაზე. დღეს კი, განვითარებულ სამყაროში ახალი ტიპის რესურსები აინტერესებთ.

ყოველი მოდელი აბსტრაქტულია და შედარებით არსებითი ფაქტორების გავლენას ასახავს. შემთხვევითი მოვლენებისას ძველი თეორიების კორექტირება აუცილებელი არ არის.

მაგრამ, ამ სიტუაციაში საუბარია არა შემთხვევით მოვლენაზე, არამედ ისეთზე, რომლის მნიშვნელობა და გავლენა განუწყვეტლივ იზრდება. კრეატიულობა და ტექნიკური პროგრესი ეკონომიკური ზრდის ახალ შესაძლებლობას იძლევა. ტექნიკური პროგრესის წყალობით იდეები კაპიტალის სტრუქტურაში სულ უფრო მნიშვნელოვან ადგილს იკავებს და ამ ფენომენს განვითარების აშკარად გამოხატული ტენდენცია ახასიათებს. ის ეკონომიკები, რომლებიც ინტელექტუალურ კაპიტალს ეფუძნება, უფრო სწრაფად ვითარდება, თუმცა, მათი ზრდის ტემპებისა და შედეგების პროგნოზირება რთულია. და პირიქით, ის ეკონომიკები, რომელთა ყურადღება კონცენტრირებულია ეკონომიკის არაკრეატიულ სფეროებზე, მათი წინსვლა ფერხდება.

ახალი პარადიგმა:

ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში პროდუქციის წარმოებაში კრეატიულობა შედარებით მნიშვნელოვანი ფაქტორი ხდება, რადგან მას შრომის პროცესში ხელეწიფება ადამიანის იდეების, განზრახვებისა და შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზაცია.

სხვადასხვა შეფასებებით, კრეატიული ეკონომიკის წილი საკმაოდ დიდია. მხოლოდ ჯანდაცვის წილი განვითარებული ქვეყნების მშპ-ში 10%-ს აჭარბებს. მაგრამ მთავარია სხვა: **მშპ-ის ზრდის აბსოლუტურ უმეტესობას სწორედ კრეატიული ეკონომიკა უზრუნველყოფს.**

---

[60] ამ ნაშრომების უმრავლესობა ამერიკელი მეცნიერის, ნობელიანტის (1987წ.), **რობერტ სოლოუს** ეკონომიკური ზრდის მაკროეკონომიკურ მოდელს ეფუძნება (ცნობილია როგორც „სოლოუს მოდელი“).

არანაკლებ მნიშვნელოვანია ამ პრობლემის სოციალური ეფექტი. კრეატიული ეკონომიკის ზრდა ანალოგიურ პროცესს იწვევს განვითარებული ქვეყნების სოციალურ-პოლიტიკურ სტრუქტურებში.

აშკარაა, რომ კრეატიული ეკონომიკა განვითარებული ქვეყნების ეკონომიკურ ზრდაზე სერიოზულ გავლენას ახდენს. სხვადასხვა შეფასებებით, განვითარებულ ქვეყნებში მშპ-ის ზრდის 85%-ს კრეატიული კლასი უზრუნველყოფს.

გარდა ამისა, **ადამიანის კრეატიული უნარები და შესაძლებლობები განუსაზღვრელი რესურსია**. თუმცა, ეს არამც და არამც არ ნიშნავს, რომ თვით კრეატიულობა უფასო წყაროა. აღნიშნული მხოლოდ იმაზე მიგვანიშნებს, რომ ადამიანის პროგრესული ზრახვები და იდეები შეუზღუდავია, განუსაზღვრელია.

4. კრეატიული ეკონომიკის ფენომენი და მისი პოტენციალის გაანგარიშება

„კრეატიული ეკონომიკა“ შედარებით ახალი ტერმინია ეკონომიკურ თეორიაში. ამის გამო, სამეცნიერო წრეებში გრძელდება დისკუსიები მისი არსისა და დამკვიდრების შესახებ.

კრეატიული ეკონომიკა ინტელექტუალურ საქმიანობაზეა დაფუძნებული, რომელსაც ახასიათებს:

- ახალი ტექნოლოგიებისა და გამოგონებების (ინოვაციების) მნიშვნელოვანი როლი;
- არსებული ცოდნის დიდი მოცულობა და ახალი ცოდნის გენერაციის აუცილებლობა.
- საქმიანობის ყველა სფეროში კრეატიული მიდგომები, რისი საფუძველია საპროექტო აზროვნება, კრეატიული წარმოსახვა (მოდელირება), პრაქტიულობა.

მაშასადამე, **კრეატიული ეკონომიკა ინტელექტის (გონების) ეკონომიკაა, რომელიც მოცემულია ადამიანის ცოდნაში, შესაძლებლობებსა და უნარებში.**

ამ შემთხვევაში ინტელექტი „ძირითადი“ კაპიტალია, ხოლო მისი კრეატიული საქმიანობა, რომლის სინონიმია „პიროვნების შემოქმედებითი ენერგია“, — „საბრუნავი“ კაპიტალი, რომელიც შრომის ბაზარზე იყიდება ან იცვლება და არის კრეატიული ეკონომიკის ერთ-ერთ მთავარი ეკონომიკური კატეგორია.[61]

[61] **Зеленцова Е. В. (2009).** Возрождение «города мастеров». НГЭУ. №1. С. 116.

ამიტომ, ეკონომიკის განვითარების ამ ეტაპზე, მნიშვნელოვანია ადამიანის ინტელექტუალური რესურსები.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შედეგად, შრომის პროცესში ადამიანის ფიზიკური და ინტელექტუალური მონაწილეობის ხარისხი ამ უკანასკნელის სასარგებლოდ იცვლება, ანუ ფიზიკური შრომის წილი თანდათან მცირდება, ხოლო ინტელექტუალურის — იზრდება.

საყურადღებოა ერთი გარემოებაც: **ბუნებამ ადამიანი შექმნა არა მარტო კრეატიული აზროვნების უნარით, არამედ თავის ქმედებებში შეცდომების დაშვების შესაძლებლობებითაც.** ამ ხარვეზის გამოსწორება გვეხმარება შეიქმნას უფრო ძლიერი და საიმედო ტექნიკური საშუალებები, რომლებიც საშუალებას მოგვცემენ, რუტინული ოპერაციების შესრულებისას, შევამციროთ მოსალოდნელი რისკი.

მართალია ადამიანი კრეატიული არსებაა (homo creator), მაგრამ კრეატიულობა ყოველთვის არ ქმნის ღირებულ პროდუქტს.

კრეატიული ეკონომიკა კრეატიული პროდუქტების ღირებულებაზე და მათი ტრანსაქციების რაოდენობაზეა დამოკიდებული:

კრეატიული ეკონომიკა = კრეატიული პროდუქტების ღირებულება X ტრანსაქციების რაოდენობა

კრეატიულობა პროცესია. იგი რაოდენობრივად არ იზომება. შეიძლება ვთქვათ, რომ ესა თუ ის ადამიანი კრეატიულია, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ იგი სხვაზე 2-ჯერ ან მეტად კრეატიულია.[62]

5. კრეატიულობის პირობები და მახასიათებლები

კრეატიულობის აუცილებელი პირობებია:

1. **ინდივიდუალობა.** კრეატიული შეიძლება იყოს ადამიანი და არა რაიმე საგანი, ნივთი. არც ერთ მანქანას, თუნდაც ყველაზე სწრაფსა და „გონიერს“, დღემდე შემოქმედება არ შეუძლია. მას მხოლოდ რაიმე ოპერაციის შესრულება ძალუძს. მაგ., თანამედროვე კომპიუტერი ინახავს იმ ინფორმაციას, რომელსაც ადამიანი აწვდის და ისიც, მხოლოდ, ინდივიდის მიერ შედგენილი პროგრამით ამუშავებს მას.

2. **ორიგინალობა.** იგი ნიშნავს ახლის შექმნას ან არსებულის გადამუშავებას, მოდერნიზაციას, სრულყოფას.

[62] **Хокинс Джон. (2007).** Креативная экономика. М. 324 с.

ორიგინალობის შესახებ თანამედროვე შეხედულება რენესანსის პერიოდში ჩამოყალიბდა. ადრექრისტიანულ მოძღვრებაში შემოქმედება მხოლოდ ღმერთის პრეროგატივა იყო. მხოლოდ მას შეეძლო რაიმეს შექმნა და რაც არ უნდა მოემოქმედა, ყველაფერი ორიგინალური იყო. ადამიანს კი ღმერთის მიერ შექმნილის კომბინირების უფლება ჰქონდა.

დიდი ჰუმანისტები და განმანათლებლები[63] განსხვავებულად ფიქრობდნენ, — ისინი ადამიანში შემოქმედს ხედავდნენ და მიაჩნდათ, რომ რაკი ადამიანი ღმერთმა „თავის ხატად და მსგავსებად“ შექმნა, ე.ი. ისიც შემოქმედია, ოღონდ ნაკლები დონის, თუმცა მიისწრაფვის ღმერთისკენ, მაგრამ ვერასდროს მიაღწევს, ღმერთი ვერ გახდება.

რენესანსი ჰუმანისტური მსოფლმხედველობის საფუძველზე აღმოცენდა. მისი საერო ხასიათი, ანტიკურ კულტურათა მემკვიდრეობისადმი ცხოველი ინტერესი, ადამიანის, როგორც ბუნების ყველაზე სრულყოფილი ქმნილების, სამყაროს ცენტრად მიჩნევა, ჰარმონიულად განვითარებული, მშვენიერი ადამიანის კულტი, ახალი მოძღვრების ქვაკუთხედი გახდა.

XIV-XVI საუკუნეების დიდი ჰუმანისტები თვლიდნენ, რომ ყოველ ადამიანს აქვს უფლება განვითარდეს და სრულად გამოავლინოს თავისი დადებითი პოტენციური შესაძლებლობები. მათი პროგრესული იდეები რეალურად აისახა ადამიანის სულიერი ცხოვრების მრავალ სფეროში: ლიტერატურაში არქიტექტურაში, ქანდაკებაში...

3. სარგებლიანობა, გამოყენებადობა.

კრეატიულობის მახასიათებლებიდან მნიშვნელოვანია:

- **კრეატიულობა სიცოცხლის ძირითადი ელემენტია.** ადამიანებს შეიძლება განსხვავებული შეხედულება ჰქონდეთ თვით ყველაზე ფუნდამენტური საკითხების (სამართლიანობა, უფლებები, ღირებულებები, პოლიტიკა და სხვ.) შესახებ, მაგრამ კრეატიულობის, როგორც წარმომშობი ძალის საწყისი მნიშვნელობა თითქმის ყველა კულტურისა და რელიგიის მიერ ერთ-ერთი პრიორიტეტულია. ითვლება, რომ შემოქმედება ძლიერ აცოცხლებს, ახალისებს ჩვენს ყოფას.

ჩვენ გაოცებულ-აღფრთოვანებული ვართ კრეატიული ადამიანებით იმიტომ, რომ ისინი „არაფრისგან რაღაცას“ ქმნიან. თუ ადამიანები შემოქმედებას შეწყვეტენ, სიცოცხლეც დამთავრდება. წარმოვიდგინოთ მათ გარეშე რა იქნებოდა სამყარო? არ გვექნებოდა არც ცეცხლი, არც ენა, არც მეცნიერება, არც ხელოვნება...

---

[63] ლეონარდო და ვინჩი, პეტრარკა, ბოკაჩო, ჟან ჟაკ რუსო, ვოლტერი, დენი დიდრო, თომას მორი და სხვ.

• **კრეატიულობა თვითკმარია**. კრეატიულობისთვის ადამიანს არ სჭირდება გარე წყაროები, რაც აუცილებელია შემოქმედებითი პროდუქტების საწარმოებლად.

• **კრეატიულობა „გართობაა“** („Homo Ludens“ — „მოთამაშე ადამიანი“). ესაა ნებაყოფლობითი და კმაყოფილების მომტანი „თამაში“, მაღალი ხარისხის სამუშაო, მრავლისთვის სიცოცხლის აზრი, ჰობი.

• **შეჯიბრებითობის განწყობა.** კრეატიული ადამიანები კონკურენტულ ბრძოლაში გაბედულები და შეუპოვრები არიან. ზოგიერთი მათგანი საკუთარ თავს ძალიან მაღალ სტანდარტებს უწესებს.

• **ხშირად, კრეატიულ ადამიანებს ახასიათებთ უცნაურობები, გადაჭარბებული წარმოდგენა საკუთარ თავზე — მკაფიოდ გამოხატული „მე“ (ლათ. ego)**, **ცვლილებებისადმი მიდრეკილება, ამბიციურობა, განვითარებული იუმორის გრძნობა, არასტანდარტულობა.** დიდი ინგლისელი ფიზიკოსი **ნილს ბორი** ხშირად ამბობდა: **„ღრმა ჭეშმარიტება განისაზღვრება იმით, რომ მისი საპირისპიროც ასევეა ღრმა ჭეშმარიტება“.**

• **კრეატიულობა დადებითი მოვლენაა, თუმცა არაა რაიმეს უტყუარი გარანტია.** ინდივიდუალობას, ორიგინალობასა და გააზრებულობას ზნეობასთან კავშირი არა აქვს. იგი შეიძლება იყოს კარგი ან ცუდი. სიკეთე და ბოროტება შესაძლოა თანაბრად კრეატიული იყოს. მაგ., სატანა გრანდიოზული შემოქმედია. მრავალი დიქტატორი, სახელმწიფო მოღვაწე თუ ცნობილი დამნაშავე, სამწუხაროდ, კრეატიული ადამიანი იყო.[64]

კრეატიულობა, როგორც მოვლენა, ეკონომიკურ ღირებულებას არ ფლობს. და თუ მაინც და მაინც, მისი კომერციული თვალსაზრისით გამოყენება გვსურს, იგი გასაყიდ საქონელში უნდა განივთდეს.

თავის მხრივ, აღნიშნული საჭიროებს საბაზრო სივრცეს თავისი სუბიექტებითა (გამყიდველები, მყიდველები) და რეგულირების სამართლებრივი ნორმებით.

.

[64] შდრ.: **ბიბლია:** „... ბოროტისკენაა მიდრეკილი ადამიანის გულისთქმა მისი სიყრმიდანვე“ (დაბადება, 8:21); ან კიდევ, **მაკიაველი:** — ადამიანები ყოველთვის უკეთურები არიან, ვიდრე სიკეთისკენ არ მოაქცევთ აუცილებლობა“.

6. საზოგადოების განვითარების სტადიები

მსოფლიო საზოგადოების განვითარება სამ სტადიად იყოფა.

ამასთან, ყოველი საზოგადოება გარდამავალ პერიოდში მეორეხარისხოვანი ფორმით წინამავალი საზოგადოების დამახასიათებელ თავისებურებებს ინარჩუნებს.[65] ეს სტადიებია:

1. **ინდუსტრიულამდელი (ტრადიციული, აგრარული)** (უხსოვარი დროიდან დაწყებული, XVII-XVIII საუკუნეებამდე).

დამახასიათებელი ნიშნები:

- საქმიანობის განმსაზღვრელი სფეროები: სოფლის მეურნეობა, მეთევზეობა, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება.
- მთავარი სტრუქტურები: ჯარი და ეკლესია.
- საზოგადოების ფსიქიკა: მხედრული (საბრძოლო).
- საზოგადოების განვითარების ეკონომიკური საფუძველი:
  - ეკონომიკის დომინირებული ტიპი — მოპოვებითი წარმოება, საგარეო ვაჭრობა;
  - ომის შედეგად მოპოვებული მატერიალური და ფულადი (ოქროს სახით) ნადავლი;
  - შრომატევადი ტექნოლოგიები;
  - ადამიანის ფიზიკური ძალა და მისი ისეთი უნარები, რომლებიც არ მოითხოვს ხანგრძლივ სწავლებას;
  - ბუნებრივი რესურსების ექსპლუატაცია.

2. **ინდუსტრიული** (XVIII ს-დან XX ს-ის 40-ანი წლები).

დამახასიათებელი ნიშნები:

- საქმიანობის განმსაზღვრელი სფერო — მრეწველობა (მანქანური ენერგიისა და ტექნოლოგიის გამოყენება);
- მთავარი სტრუქტურები — კორპორაციები და ფირმები.
- ქალაქების სავაჭრო-სამრეწველო ცენტრებად ჩამოყალიბება;
- საზოგადოების განვითარების ეკონომიკური საფუძველი:
  - ეკონომიკის დომინირებული ტიპი — მაწარმოებელი;
  - მანქანური წარმოება;
  - კაპიტალტევადი ტექნოლოგიები.

3. **პოსტინდუსტრიული, ახალ ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოება** (XX საუკუნის 50-ანი წლებიდან დღემდე).

---

[65] **Белл Д. (2004).** Грядущее постиндустриальное общество. Опыт социального прогнозирования. Пер. с англ. М., «academia».

დამახასიათებელი ნიშნები:

- საქმიანობის განმსაზღვრელი სფერო — ცოდნის მიღება;
- მთავარი სტრუქტურა — უნივერსიტეტი, როგორც ცოდნის წარმოებისა და დაგროვების ადგილი.
- საზოგადოების განვითარების ეკონომიკური საფუძველი:
  - ➢ ეკონომიკის დომინირებული ტიპი — დამუშავებითი (ტელეკომუნიკაციებითა და კომპიუტერებით ინფორმაციისა და ცოდნის გაცვლა).
  - ➢ ძირითადი საწარმოო რესურსები:
    - ✓ ინფორმაცია და ცოდნა;
    - ✓ მეცნიერებატევადი ტექნოლოგიები;
    - ✓ ადამიანის ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობა, რომელიც უწყვეტ თვითსრულყოფასა და სიცოცხლეში კვალიფიკაციის ამაღლებას საჭიროებს.

XXI საუკუნის დასაწყისიდან პოსტინდუსტრიული საზოგადოება განვითარების ახალ ფაზაში შევიდა. საზოგადოებაში თანდათან გამოიკვეთა ადამიანის კრეატიული შესაძლებლობების უდიდესი როლი და მნიშვნელობა.

საყურადღებოა ისიც, რომ ინფორმაციის მრავალმხრივი დამუშავება ძირითადად კომპიუტერმა ითავა და ადამიანმა ყურადღება უფრო მეტად შემოქმედებით საქმიანობაზე გადაიტანა. ამის გამო, თანდათან ჩამოყალიბდა კრეატიული საზოგადოება, მისთვის დამახასიათებელი ნიშნებითა და თავისებურებებით.

მაშასადამე, **კრეატიული საზოგადოება პოსტინდუსტრიული საზოგადოების განვითარების თანამედროვე საფეხურია.**

როგორც ცნობილია, ადამიანისეული კაპიტალი სამი აქტივის ერთობლიობით განიხილება:

1. **ფიზიკური აქტივი** (ჯანმრთელობა);
2. **ინტელექტუალური აქტივი** (ცოდნა, უნარები);
3. **კრეატიული აქტივი** (ინოვაციურ-შემეცნებითი საქმიანობის შესაძლებლობა).

საზოგადოების განვითარების ყოველ სტადიაზე ადამიანის რომელიმე აქტივი დომინირებდა: ინდუსტრიულამდელში — ფიზიკური, ინდუსტრიულში — ინტელექტუალური, ხოლო პოსტინდუსტრიულში — კრეატიული, რადგან ინდუსტრიულამდელში ძლიერების საფუძველი იყო მიწა და დამოკიდებული ადამიანები, ინდუსტრიულში — კაპიტალი

და ენერგიის წყაროები, პოსტინდუსტრიულში კი, მთავარი აქტივები ცოდნა და ტექნოლოგიებია.

პოსტინდუსტრიული საზოგადოების თეორიის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ამერიკელი სოციოლოგი **დანიელ ბელი** (1919-2011) გამოჰყოფს სამ ტექნოლოგიურ რევოლუციას, რომლებმაც გადატრიალება მოახდინა მსოფლიო ცივილიზაციაში:[66]

1. XVIII ს-ში ორთქლის ძრავის გამოგონება;
2. ელექტრობისა და ქიმიის სფეროებში მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევები;
3. XX ს-ში კომპიუტერის შექმნა.

პოსტინდუსტრიული საზოგადოების თეორია გასული საუკუნის 50-ან წლებში, ანუ ტოტალური ინდუსტრიალიზაციის ეპოქაში წარმოიშვა. ამ დროს ცივილიზაციის მთავარი მამოძრავებელი ძალა იყო სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუცია.

საზოგადოდ, როცა საზოგადოების განვითარების ერთ სტადიას მეორე ცვლის, შესაბამისად იცვლება ტექნოლოგია, წარმოების წესი, საკუთრების ფორმა, სოციალური ინსტიტუტები, პოლიტიკური რეჟიმი, კულტურა, ცხოვრების წესი და სხვ.

ცხრილი 1.2. საზოგადოების განვითარების სტადიები

მახასიათებლები	**ინდუსტრიულამდელი**	**ინდუსტრიული**	**პოსტინდუსტრიული**
ძირითადი საწარმოო რესურსი	ნედლეული	ენერგია	ინფორმაცია
სამეწარმო საქმიანობის საბაზო ტიპი	მოპოვება	დამზადება	დამუშავება
საბაზო ტექნოლოგიების დახასიათება	შრომატევადი	კაპიტალტევადი	ცოდნატევადი
ხატოვანი შეფასება	„თამაში“ ბუნებასთან	„თამაში“ გარდაქმნილ ბუნებასთან	„თამაში“ ადამიანებთან

მაგ., ინდუსტრიულამდელი საზოგადოებისთვის დამახასიათებელი იყო ცხოვრების აგრარული წყობა, ნაკლები მოძრაობა, ჩაკეტილობა. ინდუსტრიული საზოგადოება ეფუძნებოდა მანქანურ წარმოებასა და კომუნიკაციის უფრო განვითარებულ სისტემას.

[66] **Белл Д.** დასახელებული ნაშრომი.

პოსტინდუსტრიული საზოგადოების განმსაზღვრელია:

❖ **თეორიული ცოდნა** (და არა ფინანსური კაპიტალი);

❖ **„კიბერნეტიკული რევოლუცია“,** რომელმაც საქონლის წარმოებაში ტექნოლოგიური ზრდა განაპირობა.

ბელის მიხედვით, **პოსტინდუსტრიული საზოგადოების კონცეფცია 5 ძირითად კომპონენტს მოიცავს:**

- **საზოგადოების განვითარების ბაზისი** — თეორიული ცოდნა, როგორც სიახლისმცოდნეობის განმსაზღვრელი მთავარი წყარო;
- **დასაქმების სტრუქტურა** — პროფესიული სპეციალისტებისა და ტექნიკური კლასის დომინირება, ახალი „მერიტოკრატიის“[67] შექმნა; თითქმის ანალოგიურ აზრს ავითარებდა დიდი ბერძენი მოაზროვნე **სოკრატე** (ძვ.წ. V-IV სს.), რომელიც მიიჩნევდა, რომ ხელისუფლებას უნდა ახორციელებდეს „უკეთესები“. საზოგადოების დანარჩენი მასისაგან „უკეთესთა“ გამოყოფა კი უნდა მოხდეს არა სოციალური და ქონებრივი მდგომარეობის, არამედ განათლების, ცოდნისა და გამოცდილების მიხედვით.[68]
- **ეკონომიკური სექტორი** — პრიორიტეტულ სფეროდ მომსახურების განვითარება;
- **მომავლის ორიენტაცია** — ტექნოლოგიების განვითარება;
- **გადაწყვეტილების მიღება** — „ინტელექტუალური ტექნოლოგიების“ ჩართულობა.

7. კრეატიული საზოგადოება და საერთაშორისო ორგანიზაციები

საერთაშორისო თანამეგობრობა მიიჩნევს, რომ კულტურა და კრეატიული ინდუსტრია განვითარების სფეროში მდგრადი და თანასწორუფლებიანი ზრდისა და წინსვლის ახალი გზაა.

2012 წლის 21-26 აპრილს, ქ. დოჰაში (კატარი), ᲘᲣᲜᲔᲪᲢᲐᲓᲘᲡ ეგიდით გაიმართა სამთავრობათაშორისი დიალოგი კრეატიული პოლიტიკის აქტუალურ საკითხებზე. შეხვედრის მიზანი იყო მთავრობებთან შემდგომი თანამშრომლობა კრეატიული განვითარების პერსპექტი-

---

[67] სიტყვასიტყვით: ღირსეულთა ძალაუფლება (ლათ. meritus ღირსეული და ძვ. ბერძნული κράτος ძალაუფლება, მმართველობა). მართვის პრინციპი, როცა ხელმძღვანელი თანამდებობები ღირსეულ პირებს უკავიათ და მხედველობაში არ მიიღება მათი სოციალური და ფინანსური მდგომარეობა.

[68] **აბაშიძე ვ. (1973).** სოკრატეს პოლიტიკური მსოფლმხედველობა. თბ., „საბჭოთა საქართველო“, გვ. 52.

ვებზე, სოციალურ-ეკონომიკურ სტიმულირებაზე, ვაჭრობისა და ინოვაციების ზრდაზე. განიხილეს მთავრობების სტრატეგიული პროგრამები, მიმდინარე პროცესები და ეროვნული გამოცდილებები.

აღინიშნა, რომ კრეატიული განვითარება დინამიური პროცესია. დღეისათვის განვითარებული ქვეყნების წილი კრეატიული პროდუქციის გლობალურ ბაზარზე 50%-ია. განვითარების ეროვნულ გეგმებში კრეატიული შემადგენელი უფრო პრიორიტეტულია, რადგან სასოფლო ადგილებში არ მოითხოვს მასშტაბურ ინვესტიციებსა და ხელს უწყობს საქმიანობის დივერსიფიკაციას.

ამ მიმართებით გამოიკვეთა სამი მნიშვნელოვანი ასპექტი:

1. კრეატიული ვექტორი შეიძლება გახდეს საზოგადოების ინკლუზიური განვითარების გვირგვინი;

2. კრეატიული განვითარება „მწვანე სფეროა“ (ეკოლოგიურად სუფთა), რომელიც ხელს შეუწყობს მდგრად განვითარებას;

3. კრეატიული განვითარება ასტიმულირებს შემოქმედებით მრავალფეროვნებას დემოკრატიული სულისკვეთებით.

ყურადღება გამახვილდა კრეატიული განვითარების სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცებაზე, გაეროს წვლილზე, რომლის მოქმედების პრინციპია: „ერთიანი გაერო — ერთიანი ხმა“.

აღინიშნა იუნკტადის საინიციატივო როლი გაეროს შიდა სისტემაში სინერგიზმის განმტკიცებაში, შეთანხმებული პოლიტიკის ჩამოყალიბებაში, ერთობლივი პროექტების დამუშავებასა და საერთაშორისო საქმიანობის ეფექტურობის ამაღლებაში.

განისაზღვრა გაეროს სტრუქტურების წამყვანი როლიც. კერძოდ, იუნესკო გააძლიერებს:

1. ეკონომიკაში კულტურის ცენტრალურ როლს;
2. კულტურული ფასეულობების დაცვის სფეროში მომსახურების გაწევის მხარდაჭერასა და რეალიზაციას;
3. კულტურის სფეროში ტექნიკურ დახმარებას;
4. კულტურის სხვადასხვა საკითხებზე საერთაშორისო შეთანხმებებისა და კონვენციების საფუძვლების შექმნას.

კრეატიული განვითარება გახდა იუნესკოს გენერალური კონფერენციის მთავარი მოხსენების — „ადგილობრივი განვითარების გზების გაფართოება“ — ძირითადი თემა, რომლის პრეზენტაცია გაიმართა 2013 წლის 14 ნოემბერს პარიზში.

2013 წელს გამოქვეყნდა რეკომენდაციები კრეატიული განვითარების ახალი გზების ძიების თაობაზე, რომელშიც აღნიშნულია, რომ:

1. აუცილებლად ვცნოთ, რომ ეკონომიკურ სარგებლიანობასთან ერთად, კრეატიული განვითარება ქმნის ისეთ არამატერიალურ ფასეულობებს, რომლებსაც არსებითი წვლილი შეაქვს საზოგადოების ინკლუზიური და მდგრადი განვითარების უზრუნველყოფაში;

2. კულტურა უფრო მეტად უნდა გამოვიყენოთ სოციალურ-ეკონომიკური და ეკოლოგიური პროცესების განვითარებისათვის;

3. უნდა გამოვავლინოთ კრეატიული განვითარების ადგილობრივი აქტივები;

4. კრეატიული ინდუსტრიის სფეროში საჭიროა ინვესტიციების გადიდება წარმოება-გასაღებითი ციკლის ყველა ეტაპზე;

5. მიზანშეწონილია აქტიური მონაწილეობა თანამშრომლობაში „სამხრეთი-სამხრეთი“;[69]

6. აუცილებელია სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამებში კულტურული ასპექტების გათვალისწინება და სხვ.

ᲘᲣᲜᲘᲓᲝ კრეატიულ განვითარებასთან კავშირში სამრეწველო პოლიტიკასა და საქმიანობას წარმართავს სამ დონეზე:

1. **პოლიტიკურ დონეზე** — კრეატიული განვითარებისათვის კეთილსასურველი პირობების შექმნა;
2. **ინსტიტუციურ დონეზე** — კრეატიული პოტენციალის გაძლიერების მიმართულებით მუშაობის გააქტიურება;
3. **საწარმოთა დონეზე** — კრეატიული მეწარმეების მომზადება.

8. კრეატიული განვითარების პოსტულატები

ინგლისელი მეცნიერის **ჯონ ჰოკინსის** აზრით, კრეატიული განვითარების თეორია სამ პოსტულატს ეფუძნება:

1. უნივერსალურობა. ყოველი ადამიანი დაბადებიდანვე სხვადასხვა ხარისხით შემოქმედია.[70] ყველას სურს რაიმე ახალი, საინტერესო მოიგონოს. ბავშვებში ეს პროცესი განსაკუთრებით 2-დან 4 წლამდე უფრო გამოკვეთილია. მათი ოცნებები სწორედ ამ დროსაა ცოცხალი და მკაფიო.

ბევრია დამოკიდებული პატარას სულიერ სამყაროზე, თუ ის ბედნიერია — სამყარო ლამაზი და ცოცხალია, თუ არა — ყველაფერი ნაცრისფერი და უსიცოცხლოა. შემდეგ იწყება სკოლა, დადგენილი წესები,

---

[69] „სამხრეთი“ ნიშნავს განვითარებად ქვეყნებს.

[70] შდრ.: — **დ. ალიგიერი:** „თქვენც იბადებით განსხვავებული ნიჭიერებით“.

ნორმები, შემოქმედების შეზღუდული გარემო. პირველი პოსტულატი უფრო მეტად ეხება პიროვნულს, სულიერს.

2. აზრის გამოხატვის თავისუფლება ანუ **საკუთარი იდეების მართვის თავისუფლება.** სწორედ აქ ვლინდება იდეის არჩევის თავისუფლება, რომელი მათგანი აქციოს საქმედ და რომელი არა. გარდა ამისა, თვითგამოხატვა საჭიროებს აუდიტორიას. ადამიანები ახალ იდეას შეიძლება დაეთანხმონ ან არა, მთავარია, — იყოს გამოთქმული.

შემოქმედება რთული პროცესია, ხშირად, ძალიან მტკივნეული და ემოციურად მტანჯავი. კრეატიულ ადამიანებს სჭირდებათ თანამოაზრეები და სათანადო გარემო (საზოგადოება). ამიტომ აქტუალურია კრეატიული ქალაქის იდეა. ესაა ადგილი, სადაც კრეატიული ადამიანები ცხოვრობენ, შექმნილია ცენტრები, ინსტიტუტები, და რაც მთავარია, მათ ერთმანეთთან შემოქმედებითი ურთიერთობა შეუძლიათ. მაშასადამე, კრეატიული განვითარებას სჭირდება ქალაქი, ხოლო ქალაქს — კრეატიული განვითარება.

3. თავისუფალი ბაზარი. იდეების სარეალიზაციოდ საჭიროა ისეთი ღია ბაზარი, სადაც ურთიერთობის სამართლიანი წესებია დადგენილი. მონოპოლია კრეატიულობისთვის დამღუპველია, ჯანსაღი კონკურენცია კი, — აუცილებელი. ამ საქმეში დიდია სახელმწიფოს როლი.

9. კრეატიული განვითარების ფაქტორები

კრეატიულ განვითარებაზე რამდენიმე ფაქტორი მოქმედებს. ისინი არსებითია იმ საზოგადოებაში, რომელიც თავის განვითარებას უშუალოდ კრეატიულ ვექტორს უკავშირებს. ასეთი ფაქტორებია: **მომხმარებლები, შრომითი რესურსები და შემოქმედებითი სივრცე (მიკროკლიმატი).** განვიხილოთ თითოეული მათგანი:

ა) მოთხოვნები მომხმარებელთა მიმართ

კრეატიული განვითარებისათვის მნიშვნელოვანია იმ მომხმარებლების არსებობა, ვისთვისაც განკუთვნილია კრეატიული პროდუქცია. **ამ შემთხვევაში მხედველობაშია შედარებით შეძლებული მოსახლეობა და მომხმარებლების ინტელექტუალური განვითარების მაღალი დონე.** ეს კი ნიშნავს, რომ უნდა ვესწრაფოდეთ მდიდარი და განათლებული საზოგადოების შექმნას.

კრეატიული პროდუქტი არაა პირველადი მოთხოვნის საგანი. მომხმარებელი თავდაპირველად თავისი ფინანსური შემოსავლების ნაწილს სიცოცხლისათვის აუცილებელი მოთხოვნილებების (კვება, ჩაცმა, საცხოვრისი) დასაკმაყოფილებლად ხარჯავს. კრეატიული დარგების პროდუქცია კი, მაგ., კინოფილმები, თეატრალური წარმოდგენები, კომპიუტერული თამაშები, მუსიკა და ა.შ., იმ მომხმარებლების მოთხოვნით სარგებლობს, რომლებსაც ძირითადი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად საკმარისი ფინანსები აქვთ. სწორედ მოსახლეობის ამ ფენაზეა გათვლილი სარეკლამო ინდუსტრიის მასობრივი შეტევა, რადგან მათზეა ორიენტირებული მოსახლეობის გადახდისუნარიანი შემოსავლების მნიშვნელოვანი ნაწილის ამოსაღებად თანამედროვე მკაცრი კონკურენცია.

კრეატიული განვითარებისთვის აუცილებელია მომხმარებლებს ჰქონდეთ განვითარებული კულტურულ-ესთეტიკური გემოვნება და მაღალი სამომხმარებლო კულტურა. კრეტიული სექტორის განვითარება მოითხოვს, რომ მომხმარებლები ფლობდნენ ესთეტიკური აღქმის უნარებს, ყურადღება მიაქციონ პროდუქციის არა მარტო სარგებლიანობასა და ფუნქციურობას, არამედ ესთეტიკურ მხარესაც.

მეტად მნიშვნელოვანია მომხმარებელთა ინტერესები კულტურული ფასეულობებისადმი (კინოსადმი, თეატრისადმი, მუსიკისადმი, ლიტერატურისადმი). აუცილებელია საზოგადოებაში ღირსეულად ფასდებოდეს ესთეტიკა და კულტურული განათლება.

სამომხმარებლო კულტურა გულისხმობს ტექნიკურად რთული პროდუქციის შექმნისა და გამოყენების შესაძლებლობას. ტექნოლოგია კრეატიულ საზოგადოებაში მხოლოდ ინსტრუმენტია და არა ძირითადი პროდუქცია. უახლესი ტექნოლოგიების ფლობა აუცილებელია არა მარტო კრეატიული პროდუქციის შესაქმნელად, არამედ მისი მოხმარებისთვისაც.

ბ) მოთხოვნები სამუშაო ძალისადმი

კრეატიული საზოგადოების მოთხოვნები ადამიანისეული რესურსების უნარებისა და კომპეტენციების შესახებ განსხვავდება წარმოების მხრიდან წარდგენილი მოთხოვნებისადმი. წარმოების პროცესი ადამიანებისაგან სპეციალურ შემოქმედებით უნარებს არ მოითხოვს, რადგან საუბარია ერთი და იგივე პროდუქციის მასობრივ შექმნაზე.

კრეატიული სექტორი, პირიქით, მუშაობს ორიგინალურ, გონებამახვილურ იდეებთან, ადამიანის შემოქმედებით პოტენციალთან. კრეატიული პროდუქცია არაა სერიული, იგი უნიკალურია.

აღნიშნული გარემოება შრომითი რესურსებისადმი სხვა მოთხოვნებს წარმოშობს. უდავოა, რომ **კრეატიულ სექტორში დასაქმებულს მოეთხოვება განსხვავებული, გონებაგახსნილი აზროვნება, რომელიც მრავალი ფორმით ვლინდება. ზოგადად, ესაა ორიგინალური, სწრაფი აზროვნება, ახალი იდეების გენერაცია, თითქოს გამოუვალ სიტუაციაში მოულოდნელი, მაგრამ მართებული გადაწყვეტილების მოფიქრების უნარი, მდიდარი ფანტაზია, იუმორის გრძნობა, თანამედროვე ტექნოლოგიების ფლობა.**

ამიტომ ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნაა მაღალი პროფესიული მომზადება, რაც კრეატიული საზოგადოების ფორმირებაში მნიშვნელოვანია. უპირველესად საუბარია ადამიანის ინდივიდუალურ-შემოქმედებითი უნარების განვითარებაზე. მომზადების ის სისტემა, რომელიც ადამიანს მასალების მხოლოდ მექანიკურ დამუშავებას ასწავლის, დღეს უკვე გონივრულ აზრს მოკლებულია.

საყურადღებოა ისიც, რომ აშშ-ში უცხოეთიდან კვალიფიციური სპეციალისტების მიზიდვა ეროვნული პრიორიტეტის ხარისხში განაცხადეს და „ნაციონალური უშიშროების სტრატეგია“[71] მიიღეს, რაც ქვეყნის პრეზიდენტმა 2010 წელს დაამტკიცა.

გ) მოთხოვნები კრეატიული სივრცისადმი

კრეატიული განვითარების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია კრეატიული სივრცის არსებობა, მისი ღიაობა, რაც კრეატიულ ინდივიდებს ახალი იდეების ფართო გენერირების საშუალებას აძლევს.

აუცილებელია კრეატიული გარემო იყოს დოგმატური შეხედულებებისა და რასობრივი დისკრიმინაციისგან თავისუფალი, ტოლერანტული, ახალი, თუნდაც რადიკალურად განსხვავებული ზრახვების, სარწმუნოების, კულტურული ფასეულობების მიმღები და პრობლემების ორიგინალურად გადამწყვეტი.[72]

კრეატიულ განვითარებას სჭირდება კეთილსასურველი გარემო, უპირველესად, განვითარებული ელექტრონული ინფრასტრუქტურა. მნიშვნელოვანია ინსტიტუციური უზრუნველყოფა, რომლის ბაზაზე

---

[71] „The National Security strategy“. Washington. 2010.

[72] **Ленчук Е. (2008).** Проблемы формирования национальной инновационной системы в России // «Наука и инновации». №5. С. 34.

ხორციელდება გრანტების განაწილება, ახალი პროექტების რეალიზაცია, კულტურული ტრადიციების წარმოჩენა-განვითარება.

ერთ-ერთი უმსხვილესი საერთაშორისო კორპორაცია „გუგლი“-ს ოფისებში (ასეთი კი 40 ქვეყანაში 70-მდეა, სადაც მუშაობს 31 ათასი კაცი. დამფუძნებლები: ***ლარი პეიჯი*** *და* ***სერგეი ბრინი****) თანამშრომელთა მოტივაციისა და ეფექტური მუშაობისთვის შექმნილია იდეალური პირობები, მაქსიმალური კომფორტი და თავისუფლება.*

„გუგლი“-სთვის ოფისია წარმატებული მუშაობის გასაღები, ის გარემოა, რომელიც გულისხმობს კულტურას, გამჭვირვალობასა და თანამშრომლობას.

თანამშრომელთა შორის არ არსებობს ფორმალური სუბორდინაცია — ყველანი ერთმანეთს სახელითა და „შენობით“ მიმართავს.

დაშვებულია თავისუფალი ჩაცმულობა.

მიღებულია კოლეგებთან ცოდნის (ინფორმაციის) გაზიარება. ამისთვის მოქმედებს სისტემა googler to googler. *ყოველ პარასკევს თანამშრომლები არაფორმალურ ატმოსფეროში იკრიბებიან, სადაც ბოკალი ღვინით ან ლუდით ერთმანეთთან ურთიერთობენ. აქვე ხდება პროგრესული იდეების გაზიარება და ახალი თანამშრომლის წარდგენა.*

თანამშრომლებს სამუშაო ადგილი საკუთარი გემოვნებით აქვთ მოწყობილი. თვითონვე ირჩევენ სასურველ ტექნიკას (ნოუთბუქი, მონიტორი . . .).

ახალი მუშაკი კონკურსის წესით მიიღება. ვაკანსიები კორპორაციის საიტზე ქვეყნდება.

*სამუშაოზე მიღების პროცედურა განსხვავებულია. კანდიდატი გასაუბრებას რამდენიმე ეტაპად გადის არა მარტო ხელმძღვანელებთან, არამედ კოლეგებთანაც. მასვე მოუწევს არასტანდარტული ამოცანების ოპერატიული გადაწყვეტა. მაგ., „ტენისის რამდენი ბურთი ჩაეტევა თვითმფრინავში“? ამ კითხვაზე ცალსახად ზუსტი ან მცდარი პასუხი არ არსებობს. მნიშვნელოვანია რეაქციის სისწრაფე და გადაწყვეტილების მისაღებად ორიგინალური მიდგომა. ფორმალური მონაცემები არასაკმარისია: პროგრამირების გარკვეული უნარ-ჩვევებისა და ინგლისური ენის ცოდნის გარდა, საჭიროა კომპანიის სულისკვეთებასთან შესაბამისობა (*googliness*).*

ოფისშია თავისუფალი სივრცეები (კოლეგებისა და სტუმრებისთვის), ბიბლიოთეკა, მრავალფეროვანი დასვენებისა და გართობის ზონები, საშხაპეები და საძინებელი ოთახები.

კაფესა და სამზარეულოში კვება უფასოა. გამოიყენება მხოლოდ ეკოლოგიური პროდუქტები.

მუშაობის გრაფიკი მკაცრად არაა დაფიქსირებული, დაცულია მხოლოდ 8 სთ სამუშაო ნორმა. ყოველ თანამშრომელს შეუძლია სამუშაო დროის 20%-ის საკუთარი პროექტისთვის გამოყენება.

სამუშაო დროისადმი დამოკიდებულება ლოიალურია: არ აქვს მნიშვნელობა სად და როგორ მუშაობ, რას აკეთებ ამ დროს. შეგიძლია მიხვიდე ნებისმიერ დროს, წახვიდე, სახლში იმუშაო, დაუკრა ინსტრუმენტზე ან მთელი დღე კაფეში გაატარო.

მთავარია შედეგი — დავალების შესრულება *და არა ის დრო, რომელიც ოფისში გაატარე.*

ასეთ გარემოში იბადება ახალი იდეები და პროექტები.

სწორედ ამიტომ „გუგლი“ სენსაციური ინოვაციების დაბადების ადგილია, რომელსაც მთელ მსოფლიოში წარმატებით იყენებენ.

ამჟამად „გუგლი“ მუშაობს ახალ პროექტებზე: საჰაერო ველობილიკები, საჰაერო ბუშტები ინტერნეტში შესაღწევად, ხელოვნური ინტელექტი, „გონიერი“ ლინზები (შაქრისა და სისხლის ანალიზისათვის), გაახალგაზრდავების პრობლემები, უპილოტო ავტომობილები და სხვა.

კრეატიული განვითარებაში მნიშვნელოვან როლს საზოგადოებრივი სექტორი ასრულებს. კრეატიული გარემოს ფორმირებისადმი საზოგადოებრივი ინსტიტუტების ყურადღება ხელს უწყობს არა მარტო ტალანტების განვითარებას, არამედ მომხმარებელთა კულტურულ აღზრდას. საუბარია სამოყვარულო საზოგადოებების მხარდაჭერაზე, მუზეუმებისა და ბიბლიოთეკების შექმნაზე და საზოგადოებრივი შეკვეთების დაფინანსებაზე. ამგვარი შეკვეთები, მაგ., ქალაქის გამწვანების ორგანიზაცია, საზოგადოებრივი გამოყენების ადგილების შექმნა ან მსხვილი არქიტექტურული პროექტები, არა მარტო ახალ სამუშაო ადგილებს ქმნის, არამედ მოსახლეობის ესთეტიკურ გემოვნებასაც ავითარებს.

ძალიან მნიშვნელოვანია სახელმწიფო ინსტიტუტების დამოკიდებულება როგორც კრეატიული გარემოს განვითარების მხარდაჭერისადმი, ისე საზოგადოებრივი შეკვეთების ფორმირების სფეროსადმი.

კულტურულ-ესთეტიკური და თავისუფალი სივრცე დიდ როლს ასრულებს რეგიონში კრეატიული ადამიანების დამაგრების საქმეში.

კრეატიული განვითარებისთვის აუცილებელია ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სამართლებრივი უზრუნველყოფა.

კრეატიული ინდუსტრია მოითხოვს **კომერციული სტრუქტურების ფართო ინფრასტრუქტურას.** სწორედ მათ შეუძლიათ არსებული ცოდნისა და ორიგინალური იდეების ეფექტური ურთიერთგაცვლა, ექსპერიმენტების ჩატარება, კომერციული პროცესების განვითარება.

მეტად მნიშვნელოვანია უნივერსიტეტების როლი როგორც სპეციალისტების მომზადებაში, ისე სამეცნიერო-კვლევით მოღვაწეობაში. სწორედ უნივერსიტეტებია ახალგაზრდა ტალანტების გამოვლენისა და განვითარების ძირითადი ინსტიტუციები, რაც უშუალოდ დაკავშირებულია ინტელექტუალური კაპიტალის განვითარებასთან, ინოვაციებთან და ახალ ტექნოლოგიებთან.

კრეატიული განვითარების მხარდაჭერის ინსტიტუციური სისტემის წარმატებული ფუნქციონირებისთვის აუცილებელია სათანადო

ოდენობის **ფინანსები და არაკორუმპირებული გარემო,** რაც იმის გარანტი იქნება, რომ თანამედროვე კრეატიული ადამიანი თავისი ნიჭისა და ტალანტის გამოყენების ადგილს უსათუოდ იპოვნის. წინააღმდეგ შემთხვევაში, სხვა რეგიონში კრეატიული მუშაკების გადინება გარდაუვალია.

10. კრეატიული განვითარების კონცეფციები

კრეატიული განვითარების არსებული კონცეფციები სამ კატეგორიად იყოფა: **დარგობრივი, შრომითი და სივრცითი.**

ა) დარგობრივი განვითარების კონცეფცია

კრეატიულ საზოგადოებას კრეატიული ინდუსტრია ქმნის. მასში მოიაზრება კრეატიული დარგების ის ერთობლიობა, რომელიც აერთიანებს იმ ორგანიზაციებსა და საწარმოებს, სადაც შემოქმედებითი ადამიანების მნიშვნელოვანი ნაწილი შრომობს.

კრეატიული ინდუსტრია პოსტინდუსტრიული ეპოქის ფენომენია, ეკონომიკის, საზოგადოებისა და კულტურის ურთიერთზემოქმედების პროდუქტია.

კრეატიული ინდუსტრიის მთავარი ამოცანაა ინოვაციური გარემოს (კრეატიული ცენტრის) შექმნა.

საბაზრო ურთიერთობის პოზიციიდან გამომდინარე, **კრეატიული ინდუსტრია განსხვავებულ „სიმბოლურ-აზრობრივ“[73] ახალ პროდუქტებს ქმნის, რომელთა შემომქმედი კრეატიული ადამიანებია.**

რა განაპირობებს კრეატიული ინდუსტრიის განვითარებას?

მართებულია რუსი მეცნიერის **ტ. აბანკინის** შეხედულება, რომელიც თვლის, რომ კულტურა და შემოქმედება ის ერთადერთი ინსტრუმენტია, რითაც **„სურვილის დეფიციტის“** დაძლევა შეიძლება. დღევანდელ სამყაროში დომინირებს **„სურვილის ეკონომიკა“**, რადგან ბაზარი მასობრივი საქონლითა და მომსახურებით დიდად გაჯე-რებულია და ამდენად არსებობს **„სურვილის უკმარობა“**, რომლის დაკმაყოფილება კრეატიული ინდუსტრიის განვითარებით შეიძლება.[74]

---

[73] მასში ისეთი ახალი პროდუქტი მოიაზრება, რომელიც სხვებისგან თავისი დიზაინით, არქიტექტურით, კონსტრუქციით, სტილით, კვლევის სიღრმით ან სხვა ნიშნებით განსხვავდება.

[74] **Абанкин Т. В. (2006).** Оптимизация сети. Технология управления и модели финансирования организаций культур в свете реформ бюджетого сектора. М., С. 8.

კრეატიული დარგები და სფეროებია: სამეცნიერო კვლევები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, კინემატოგრაფია, მუსიკა, დიზაინი, არქიტექტურა, პროგრამული უზრუნველყოფა და სხვ.

მსოფლიოში კრეატიული საზოგადოების განვითარების საწყისად 1998 წელი ითვლება, როცა დიდი ბრიტანეთის კულტურის, მედიისა და სპორტის დეპარტამენტმა კრეატიული ინდუსტრიის პირველი ჩამონათვალი გამოაქვეყნა და კრეატიული ინდუსტრია განსაზღვრა, როგორც **საქმიანობის ისეთი სფერო, რომლის საფუძველია ადამიანთა ინდივიდუალური შემოქმედება, ჩვევები და ტალანტი და, რომელსაც აქვს კარგი პოტენციალი ინტელექტუალური კაპიტალით შექმნას ზედმეტი ღირებულება და ახალი სამუშაო ადგილები.**

სწორედ დიდი ბრიტანეთი იყო ის პირველი ქვეყანა, რომელმაც ამ მიმართულებით გასული საუკუნის 80-ანი წლებიდან დაიწყო განვითარება. 2000 წელს (პრემიერ-მინისტრ მარგარეტ ტეტჩერის მმართველობის პერიოდი) მან კრეატიულობა, კრეატიული ქალაქი, კრეატიული კლასი განვითარების ძირითად მიმართულებად გამოაცხადა, ხოლო 2008 წელს ქვეყნის სტრატეგიული განვითარების სპეციალური პროგრამა შეიმუშავა.[75]

კრეატიულ ინდუსტრიაში შემავალი დარგები განსხვევებულია ცალკეული ქვეყნების მიხედვით (იხილეთ ცხრილი 1.3).

არსებობს კრეატიული ინდუსტრიის შედარებით სრულყოფილი მოდელი, ე.წ. ᲘᲣᲜᲙᲢᲐᲓᲘᲡ ვარიანტი. მასში ის დარგებია გაერთიანებული, რომლებიც მოითხოვს შემოქმედებით უნარებს და არსებობს მეცნიერების, ხელოვნების, კულტურის, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ურთიერთგადაკვეთის შედეგად.

შემოქმედებითი ინდუსტრია 4 ჯგუფში ერთიანდება:

პირველი — მემკვიდრეობა. კულტურული მემკვიდრეობა კულტურის, კულტურული და კრეატიული ინდუსტრიის ყველა ფორმის წყაროა. იგი მოიცავს ქვეყნის ისტორიული, ანთროპოლოგიური, ეთნიკური, ესთეტიკური და სოციალური განვითარების კულტურულ ასპექტებს. ეს ჯგუფი ორ ქვეჯგუფად იყოფა:

- **ტრადიციული კულტურის ამსახველი დარგები:** ხელოვნების ფესტივალები და დღესასწაულები;
- **კულტურული ღირსშესანიშნაობები:** კულტურულ-ისტორიული ძეგლები, არტეფაქტები, მუზეუმები, გამოფენები და ა.შ.

[75] „Creative Britian – New Talents for the New Economy.“

ცხრილი 1.3. კრეატიული ინდუსტრიის დარგები და სახეები ქვეყნების მიხედვით[76]

	დ. ბრიტ.	გერმანია	ესპანეთი	საფრანგეთი
გამოყენებული ტერმინი დარგი (სახეობა)	შემოქმედებითი ინდუსტრია	კულტურული და შემოქმედებითი ინდუსტრია	კულტურული ინ-დუსტრია	კულტურული სექ-ტორი
არქიტექტურა	X	X		X
კინო, ტელე-რადიო	X	X	X	X
საშემსრულებლო ხე-ლოვნება	X	X	X	X
ბიბლიოთეკები			X	X
დიზაინი	X	X		
ვირტუალური ხელოვნება	X	X	X	X
საგამომცემლო საქმე	X	X	X	X
მოდა	X			
მულტიმედია	X	X		
მუზეუმები/კულტურული მემკვიდრეობა			X	X
მუსიკა	X	X	X	X
ხელოსნობა და გამოყენე-ბითი ხელოვნება	X			
რეკლამა	X	X		

მეორე — ხელოვნება. იგი აერთიანებს კრეატიული იდუსტრიის იმ დარგებს, რომლებიც კულტურასა და ხელოვნებას ეფუძნება (კულტუ-რული ინდუსტრია, არტბაზარი) და ორ ქვეჯგუფს მოიცავს:

- სახვითი ხელოვნება: ფერწერა, ქანდაკება, ფოტოგრაფია და ან-ტიკვარიატი;
- საშემსრულებლო ხელოვნება: ვოკალი, ცოცხალი მუსიკა, დრამა-ტული ხელოვნება და თეატრი, საბალეტო ხელოვნება, თანამედროვე ცეკვები, ოპერა, ცირკი და ა.შ.

მესამე — მედია იმ ორ ქვეჯგუფს მოიცავს, რომლებიც ფართო აუდიტორიისთვის კრეატიულ კონტენტს ქმნის:

- პუბლიკაციები და ბეჭდვითი გამოცემები, მათ შორის წიგნები (მხატვრულ-სასწავლო ლიტერატურა), პრესა და სხვა პუბლიკაციები;

[76] **BOP Consulting. (2010).** British Council Creative and Cultural Economy series.

• აუდიოვიზუალური საშუალებები: ფილმები, რადიო-ტელევიზია, ფართო მაუწყებლობის ქსელი.

მეოთხე — ფუნქციური კრეატივი, რომელშიც გაერთიანებულია:

• დიზაინი: ინტერიერის დიზაინი, გრაფიკული დიზაინი, მოდა, იუველური ნაწარმი, სათამაშოები;

• ახალი მედია: პროგრამული უზრუნველყოფა, ვიდეოთამაშები და ციფრული კრეატიული კონტენტი;

• კრეატიული მომსახურება: სამეცნიერო კვლევები და დამუშავებები, არქიტექტურა, რეკლამა, კულტურული და რეკრეაციული მომსახურება და სხვა მომიჯნავე მომსახურება.

გლობალური ეკონომიკური კრიზისის პირობებში კრეატიული პროდუქცია გაცილებით მდგრადი აღმოჩნდა, რადგან თანამედროვე ცხოვრების ახალი სტილი ისეთ ასპექტებს უკავშირდება, როგორიცაა სტატუსი, ბრენდი და ურთიერთობა სოციალურ ქსელებში.

გარდა ამისა, ციფრული ტექნოლოგიებისა და ახალი ბიზნესმოდელების განვითარებამ ადრე არარსებული ისეთი კონტაქტი გაავრცელა, როგორიცაა ინტერნეტ-მუსიკა, ინტერნეტ-თამაშები, ელექტრონული წიგნები, ინტერნეტ-რეკლამა, ვირტუალური ტურიზმი და ა.შ.

კრეატიულ ინდუსტრიას მკაფიოდ ფიქსირებული საზღვრები არა აქვს და იგი რომელიმე რეგიონის რესურსებთან და პრიორიტეტებთან დაკავშირებით იცვლება. მაგ., ჰონკონგში კრეატიულ ინდუსტრიაში „ჩაწერეს“ გართობა და აზარტული თამაშები, ხოლო ფინეთში — ატრაქციონები და რეკრეაციული საქმიანობა.[77]

მარად უცვლელი რჩება მხოლოდ ერთადერთი — კრეატიული ინდუსტრია ის სფეროა, რომელიც ცვლის საცხოვრისის იერსახეს, აუმჯობესებს მოქალაქეთა ცხოვრებას, ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას და ამცირებს სოციალურ დაძაბულობას.

ამ სფეროსადმი ყურადღება დღითიდღე ძლიერდება. მაგ., სისტემატურად ტარდება საერთაშორისო კონფერენციები; პოსტსაბჭოთა სივრცეში კრეატიული ინდუსტრიის წინსვლა აღინიშნება ლატვიაში; აზიაში განსაკუთრებით შესამჩნევია ჩინეთის დაინტერესება, კერძოდ, ქ. შანხაის წარმატებები, სადაც კრეატიული ინდუსტრიის ცენტრია შექმნილი. ქვეყანაში მოქმედებს კრეატიული ინდუსტრიის მხარდამჭერი სახელმწიფო პროგრამები.

---

[77] **Рой Ван Дальм.** Три «А» креативного города: Электронный ресурс. [http://theoryandpractice.ru/video/44-tri-a-kreativnogo-goroda]

კრეატიული ქალაქის კონცეფციის ავტორი, ცნობილი ბრიტანელი მეცნიერი **ჩარლზ ლენდრი** მიიჩნევს, რომ კრეატიულ კლასტერთა საქმიანობის გააქტიურებით მიტოვებული ტერიტორიები აღორძინდება და განვითარდება.[78]

ეკონომიკური თვალთახედვით, კრეატიულობა ორგვარად მოიაზრება: ერთი მხრივ, როგორც ეკონომიკური განვითარების საკვანძო რესურსი, მეორე მხრივ კი, — პიროვნული ზრდის ფაქტორი.

დღეს ამ თემაზე მიძღვნილი სპეციალური ლიტერატურა იზრდება და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა აქტიურდება. მთელ მსოფლიოში რეალიზდება კრეატიული ინდუსტრიის მხარდამჭერი პროგრამები, იქმნება კლასტერები, საკონსულტაციო სააგენტოები, ფაკულტეტები, რესურსული და სასწავლო ცენტრები.

რით აიხსნება კრეატიული ინდუსტრიის განვითარების ასეთი ფართომასშტაბიანი ბუმი?

კრეატიული ინდუსტრია ინოვაციასთან უშუალო კავშირშია, ინოვაცია კი სულ უფრო მეტად განვითარების კონკურენტუნარიანობის მთავარი ფაქტორი ხდება. ამიტომ კრეატიულობა თანამედროვე ტექნოლოგიის ისეთ რანგში აღიქმება, რომელიც მხოლოდ ინოვაციებით იკვებება. კრეატიულობა საშუალებას იძლევა გამომგონებლობა მაღალ ესთეტიკურ დონეზე ამაღლდეს, ეკონომიკურ გათვლებსა და ღრმა ინტუიციას დაეფუძნოს.

კრეატიული ინდუსტრიის განვითარებით, მეტწილად, მცირე და საშუალო ბიზნესია დაინტერესებული. სწორედ ამ სექტორშია უფრო მოქნილი კულტურისა და ეკონომიკის ურთიერთკავშირი. მიმდინარეობს „ეკონომიკის გაკულტურება“, რაც ახალი სტილის მენეჯმენტს წარმოშობს. თანამედროვე ორგანიზაციული სტრუქტურა უარყოფს შეზღუდულობას, მუშაობისა და დასვენების მკაცრ ჩარჩოებს. მუშაობის ახალ სტილში აღმაფრენა და შემოქმედებითი გაცისკროვნება მეფობს. ყალიბდება სოციალურ-ეკონომიკურ ფასეულობათა შემქმნელი კრეატიული კლასი.[79]

განვითარებულ ქვეყნებში კრეატიული ინდუსტრიის განვითარებამ და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში შემოქმედებითი იდეების შეღწევამ, საზოგადოებრივი განვითარების ვექტორი ჰუმანიტარული მეცნიერებების პრიორიტეტზე ორიენტირებული მოდელის მიმართულებით წარმართა.

---

[78] **Лэндри Ч. (2011).** Креативный город. Пер. с англ. М., «Классика-XXI». 325 с.

[79] **Сак А. В.** и др. **(2008).** Методы креативного менеджмента. М., С. 34-37.

კრეატიული სექტორის ყველაზე დიდი ბაზარია აშშ-ში.

განვითარებულ ქვეყნებს კრეატიული ეკონომიკის ცალკეულ სექტორში განსხვავებული პოზიციები უკავიათ. მაგ., ისრაელს, გერმანიასა და იაპონიას საკმაოდ მაღალი აქვთ სამეცნიერო-კვლევებისა და დამუშავებების წილი. ევროპაში კრეატიული პოტენციალი ძლიერია, ხოლო ინოვაციურობის დონე — მაღალი. ევროპელები, უპირატესად, კრეატიულ დარგებში მუშაობენ.

ზოგადად, განვითარებულ ქვეყნებში კრეატიული ეკონომიკის განვითარების ტემპები და მასშტაბები აღემატება განვითარებადი ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებლებს. თუმცა, ამ უკანასკნელთაგან ზოგიერთი მათგანი ცალკეულ სექტორში მაღალ პოტენციალს ავლენს, მაგ., ინდოეთი კინოინდუსტრიასა და პროგრამულ უზრუნველყოფაში, ხოლო კორეის რესპუბლიკა — ვიდეოთამაშებში.

კრეატიული ინდუსტრიის განვითარებაში პრობლემურია ის, რომ მისი პროდუქციისა და მომსახურების ბაზარი სწრაფად ცვალებადი და ნაკლებგანჭვრეტადია. შედეგად ბიზნესის სტრატეგია ეფუძნება არა იმდენად სტანდარტულ მარკეტინგულ კვლევას, არამედ ინდივიდის ინტუიციას, ხატოვან აზროვნებასა და ცვალებად მოთხოვნაზე ოპერატიულ რეაგირებას.

ბ) კრეატიული ინდუსტრიის ფორმირების პერიოდები და განვითარების მაჩვენებლები

1. **XIX საუკუნის II ნახევრამდე** — ხელნაწერების გადაწერა, მხატვრული ნიმუშების კოპირება, გამოყენებითი ხელოვნების საგნების ხელოსნური წარმოება და სხვ. XV საუკუნეში წარმოიშვა პირველი „კულტურული ინდუსტრია“ — „წიგნის ბეჭდვა“;

2. **XIX საუკუნის II ნახევარიდან 1960-ან წლებამდე** — კულტურაში ახალი ტექნიკური საშუალებების ინტენსიური გავრცელება;

3. **1970-1990-ანი წლები** — დემოკრატიზაციის საფუძველზე ეკონომიკისა და კულტურის მჭიდრო ურთიერთკავშირი;

4. **1990-ანი წლების II ნახევარიდან დღემდე** — კრეატიულობის იდეის, როგორც საზოგადოებრივი განვითარების ძირითადი „ძრავის“, ფართოდ გავრცელება და დანერგვა.

კრეატიული განვითარება ვენჩურული (სარისკო) კაპიტალის განვითარებულ სისტემას ეფუძნება. მისი პროდუქტია ახალი საქონელი და ახალი ტექნოლოგიები. ფართოდ ვრცელდება ისეთი სისტემები, როგორიცაა „ნულოვანი მარაგები“, „ზუსტად დროში“ და სხვ.

ეკონომიკაში კრეატიულობის გამოვლენის შედეგია აუთსორსინგის (გარეკონტრაქტული წარმოება) და „ვირტუალური კომპანიების“ გამოჩენა, რომლებიც ქვემოიჯარეებს გადასცემენ ყველაფერს — წარმოებას, ლოგისტიკას, რეკლამას, ბუხჰალტერიას და საკუთრივ მხოლოდ ადმინისტრატორთა და მარკეტოლოგთა მცირე შტატს იტოვებენ. ასეთი ფირმები მხოლოდ იმ ფუნქციებს ინარჩუნებენ, რომლებიც დაკავშირებულია ინტელექტუალურ საკუთრებასთან.

კრეატიულ განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს მცირე მაღალტექნოლოგიური საწარმოები, რომლებიც ტექნოპარკებისა და ბიზნესინკუბატორების საზღვრებში მოქმედებენ და ვენჩურული დაფინანსების საფუძველზე ამუშავებენ ინოვაციებს, ხოლო შემდეგ მსხვილ ფირმებთან ერთად, უზრუნველყოფენ მათ წარმოებასა და ბაზარზე რენტაბელურ გავრცელებას.

კრეატიული შემადგენელი თანამედროვე საწარმოს კონკურენტუნარიანობის მთავარი მოთხოვნა ხდება. გლობალიზაცია ადიდებს ბიზნესისადმი ინტერესსა და მასშტაბებს, რადგან მარკეტინგი, შესყიდვები, წარმოება, სამეცნიერო-კვლევები, დისტრიბუცია და ლოგისტიკა მსოფლიო ბაზარზეა გათვლილ-გამიზნული.

ინოვაციურ-კრეატიული ორგანიზაცია თანამედროვე კომპანიის ახალი მოდელია. იგი საშუალებას იძლევა მაქსიმალურად იქნას გამოყენებული ყოველი თანამშრომლის ცოდნა, კრეატიული პოტენციალი. დღეს წარმატებულია „გასწრებაზე ორიენტაცია“.[80]

ნებისმიერი კომპანიის წარმატების საფუძველია მისი ნოუ-ჰაუ, ორიგინალური საქონელი, ახალი მიდგომები გაყიდვების, რეკლამისა და ბაზრის მარკეტინგული ხედვის სფეროში.

კომპანიაში კრეატიულობა სხვადასხვა ფორმებში ვლინდება. ესაა ახალი პროდუქტების დამუშავება, განვითარების სტრატეგიის შედგენა, ეკონომიკური პროცესების ოპტიმალური მართვა, მარკეტინგული საქმიანობის ორგანიზაცია, ურთიერთობა მომხმარებლებთან, საბითუმო და საცალო ორგანიზაციებთან, მომწოდებლებთან, შუამავლებთან, პარტნიორებთან და კონკურენტებთან.

ინოვაციურ კომპანიას ახასიათებს ადაპტური ორგანიზაციული სტრუქტურა, მენეჯმენტის კრეატიული მეთოდები, კვლევები და ექსპერიმენტები, თანამშრომელთა უწყვეტი სწავლება, ინიციატივებისა და ინოვაციების მხარდაჭერა, დინამიურობა.[81]

---

[80] **Хелел Г. (2002).** Конкурируя за будущее. Создание рынков завтрашнего дня. М.
[81] **Хокинс Дж. (2007).** Креативная экономика. М., «Классика-XXI».

ამგვარად, **კრეატიული ინდუსტრია ესაა ინოვაციების ინდუსტრია მეცნიერებაში, ტექნიკასა და კულტურაში**.

კრეატიული სექტორი არის კომერციული და არაკომერციული.

კომერციულ სექტორს, ძირითადად, კერძო პირები აფინანსებენ, ხოლო არაკომერციული სფეროს (მუზეუმები, ბიბლიოთეკები, საგამოფენო დარბაზები და სხვ.) — სახელმწიფო.

გლობალური მასშტაბით, კრეატიული ინდუსტრიის განვითარების მეცნიერულ კვლევაში გარკვეული სირთულეები არსებობს:

პირველი, ხშირად სტატისტიკური მონაცემები არარეალურია;

მეორე, კრეატიული ინდუსტრიის განსაზღვრის საფუძვლად მიღებულია იუნესკოს პლატფორმა, რომელიც საბაჟო კლასიფიკაციის არსებული სტანდარტების მიხედვით ფიზიკური საქონლის მონაცემებს ემყარება და არ ითვალისწინებს ელექტრონული კომერციის მონაცემებს, ვირტუალური ვაჭრობის ინსტრუმენტებს, ციფრულ კონტენტს (მუსიკა, ფილმები), წიგნების ინტერნეტით ვაჭრობას და სხვ.

იუნკტადის მეთოდოლოგიით, კრეატიულობის განვითარების დონის შესაფასებლად გამოიყენება კრეატიული პროდუქტებისა და მომსახურების ექსპორტისა და იმპორტის მოცულობები.

2002-2013 წლებში კრეატიული პროდუქციის (მომსახურების) მსოფლიო საქონელბრუნვის მოცულობა 2,6-ჯერ გაიზარდა და 500 მილიარდ დოლარს გადააჭარბა.

ცხრილი 1.4. კრეატიული პროდუქციის მსოფლიო ვაჭრობის გეოგრაფიული სტრუქტურა (2002-2013 წწ. %-ით ჯამთან)[82]

რეგიონი, ქვეყანა	ექსპორტი		იმპორტი	
	2002	2013	2002	2013
მსოფლიო	100	100	100	100
განვითარებული ქვეყნები	62,4	55,8	83,3	75,3
განვითარებადი ქვეყნები	37,0	43,3	16,3	22,3
აშშ	9,1	8,6	30,4	21,4
დიდი ბრიტანეთი	6,7	4,9	8,6	7,3
იაპონია	1,9	1,7	5,4	4,4
ჩინეთი	15,8	20,8	1,3	1,4

[82] **Steenbergen Van. (2015).** Bart: Scenarios As a Powerful Tool for Public Policy. As presented at the Prague Workshop on Futures Studies Methodology, October.

მრავალ ქვეყანაში კრეატიული განვითარება მიჩნეულია ეკონომიკური ზრდისა და დასაქმების წამყვან მიმართულებად. კრეატიული განვითარება ევროკავშირისთვის პრიორიტეტული და სტრატეგიულია.

კრეატიული პროდუქციის ექსპორტისა და იმპორტის სტრუქტურაში შედარებით მაღალია დიზაინის, მოდისა და ინტერიერის წილი. შესამჩნევად იზრდება „ახალი მედიაც“.

ბოლო წლებში კრეატიული ეკონომიკის მსოფლიო ვაჭრობის სტრუქტურაში განვითარებული ქვეყნების წილი როგორც ექსპორტში, ისე იმპორტში, მნიშვნელოვნად მცირდება, სანაცვლოდ იზრდება განვითარებად ქვეყნებში. ცალკეული ქვეყნების მიხედვით ლიდერობენ აშშ, დიდი ბრიტანეთი და იაპონია, თუმცა, მათი წილი კრეატიული ინდუსტრიის მსოფლიო ვაჭრობაში მნიშვნელოვნად კლებულობს (იხილეთ ცხრილი 1.4).

კრეატიულობის გლობალური ინდექსი[83] სამი ფაქტორის (ე.წ. **3ტ**) გათვალისწინებით გაიანგარიშება. ესაა **ტექნოლოგია, ტალანტი და ტოლერანტობა** (იხილეთ ცხრილი 1.5).

ცხრილი 1.5. მოწინავე ქვეყნების რეიტინგი კრეატიულობის გლობალური ინდექსის მიხედვით (2011)[84]

რანგი	ქვეყანა	ტექნოლოგია	ტალანტი	ტოლერანტობა	კრეატიული კლასის წილი მოსახლეობაში, %
1	შვეიცარია	5	2	7	43,88
2	აშშ	3	8	8	35,22
3	ფინეთი	1	1	19	43,95
4	დანია	7	4	14	43,71
5	ავსტრალია	15	7	5	44,52
6	ახალი ზელანდია	19	5	4	40,11
7	კანადა	11	17	1	40,84
8	ნორვეგია	12	6	11	42,11
9	სინგაპური	10	3	17	47,30
10	ნიდერლანდი	17	11	3	46,24

[83] დამუშავებულია ამერიკელი სოციოლოგის **რიჩარდ ფლორიდას** მიერ.

[84] **Ratcliffe, John:** Challenges for Corporate Foresight: Towards Strategic Prospective Through Scenario Thinking (presented at the conference “Foresight Management in Corporations and Public Organizations”).

გ) შრომითი განვითარების კონცეფცია: კრეატიული კლასი — კრეატიული საზოგადოების შემქმნელი

XXI საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბდა სოციალური კატეგორიის ახალი კლასი, შემოქმედი ადამიანების ელიტა, ანუ სტრატა (ფენა).

ევროკავშირის ქვეყნების სოციალურ დოქტრინებში დეკლარირებულია, რომ მთავარი სიმდიდრე ადამიანია. ამიტომ ყოველი ქვეყნის მოდერნიზაცია ეროვნული ფასეულობებისა და ინტერესების, კრეატიული კლასის საკეთილდღეოდ წარიმართება. მაშასადამე, **მოდერნიზაცია გახდება ეროვნულ კრეატიულ კლასზე დამოკიდებული**, რადგან სხვა კლასები ამით ნაკლებად არიან დაინტერესებული.

2002 წელს გამოქვეყნდა ამერიკელი სოციოლოგისა და ეკონომისტის, **რიჩარდ ფლორიდას** პოპულარული ნაშრომი,[85] რომელშიც ყურადღება გამახვილებულია კრეატიულ კლასზე და მათი დასაქმების სახეებზე. მან დაადგინა კრეატიული კლასის კანონი: **"ქვეყანაში რაც მეტი კრეატიული ადამიანია, მით მაღალია შემოსავლები".**

ფლორიდამ ამერიკის საზოგადოების პოლიტიკურ-ეკონომიკური განვითარების ანალიზის შედეგად განსაზღვრა, რომ **აშშ-ის საზოგადოების საფუძველია „კრეატიული ეკონომიკა", ხოლო „კრეატიული კლასი" მისი პოლიტიკურ-ეკონომიკური ბირთვია.**[86] კრეატიულ კლასს იგი ეკონომიკურ კლასს უწოდებს, რადგან თავისი შემოქმედებით ეკონომიკურ ფასეულობას ქმნის.

კრეატიული კლასი და ინტელექტუალური კლასი არ არის ერთი და იგივე. პირველი უფრო ფართო ცნებაა და ინტელექტუალური კლასის გარდა მოიცავს იმ ადამიანებს, რომლებიც ხარისხობრივად ახალი სახეობის არამატერიალურ აქტივებს ქმნიან. საუბარია კრეატიული ინდუსტრიის სფეროებში დასაქმებულ ადამიანებზე.

ფლორიდას აზრით, აშშ-ის კრეატიული კლასის სტრუქტურა ასეთია:

- **სუპერ-კრეატიული ბირთვი.** ამ ჯგუფშია აშშ-ის სამუშაო ადგილების 12% (15 მილიონი კაცი). ეს ის ადამიანებია, რომელთა თანამდებობრივ ვალდებულებაშია კრეატიული შინაარსის შემცველი ახალი იდეებისა და ტექნოლოგიების შექმნა. მათ მიეკუთვნებიან ისინი, რომლებიც მუშაობენ მეცნიერებაში, ტექნიკაში, მათემატიკასა და პრო-

---

[85] „The Rise of the Creative Class. And How It's Transforming Work". ქართულად: „კრეატიული კლასი: ადამიანები, რომლებიც ცვლიან მომავალს."

[86] კრეატიული კლასი ის კვალიფიციური სამუშაო ძალაა, რომლის ძირითადი „შრომის საშუალებებია" შემოქმედება და კრეატიული აზროვნება.

გრამირებაში, არქიტექტურაში, დიზაინში, განათლებაში, ხელოვნებაში, მუსიკასა და გართობის ინდუსტრიაში;

- **კრეატიული პროფესიონალები (სპეციალისტები)** ის ადამიანებია, რომლებიც საკმაოდ მაღალი სირთულის ცოდნასა და უნარებს ფლობენ და კრეატიული ამოცანების გადასაწყვეტად იყენებენ. ესაა განათლების, ფინანსების, ბიზნესის, იურისპრუდენციისა და მედიცინის სფეროებში დასაქმებული სპეციალისტები. მათ კრიტიკული აზროვნება და მაღალი ინტელექტუალური პოტენციალი აქვთ.

ისინი თავს იყრიან არა იქ, სადაც საჭიროა სამუშაო ძალა, არამედ იქ, სადაც მოსწონთ და შემოქმედებითი პოტენციალის გაძლიერებისა და რეალიზაციის საშუალებას ხედავენ;

- **„ბოჰემა“.** ეს ის ადამიანებია, რომლებიც წმინდა შემოქმედებით საქმიანობას ეწევიან, კერძოდ, მხატვრები, ინჟინრები, მწერლები, ჟურნალისტები, მუსიკოსები, გამოთვლითი ტექნიკის სპეციალისტები, მეწარმეები... მათთვისაც მნიშვნელოვანია კრეატიულობა, ინდივიდუალური თავისებურებები და პირადი დამსახურება.

კრეატიული კლასი დაკავებულია ცოდნის გენერირებით, გადაცემითა და კვლავწარმოებით.

კრეატიულ კლასს რიგი თავისებურებები ახასიათებს:

➢ კრეატიული კლასი არა მარტო შემოქმედებითი, არამედ ეროვნული კლასია, რადგან ერის ბედის განმსაზღვრელია, ეროვნული ავტორიტეტისა და მთლიანად ერის შემქმნელია;

➢ კრეატიული კლასი ცალსახად საკუთარი შემოქმედების მესაკუთრეა და, ამ აზრით, ცვლის არსებულ წარმოდგენებს საკუთრებისა და წარმოებითი ურთიერთობების შესახებ, რადგან ამ საკუთრებას ვერავინ წაართმევს, მათი თანხმობის გარეშე ვერავინ გამოიყენებს;

➢ კრეატიული კლასი საკუთარი შემოქმედებით ცხოვრობს, რაც მისი არსებობის საფუძველია და არა მარტო ბიზნესი ან ჰობი;

➢ კრეატიული კლასი მაღალი ხარისხით დამოუკიდებელია, რადგან საკუთარი შემოქმედებითი შედეგებისა და წარმოების საშუალებების მფლობელია;

➢ კრეატიულ კლასს ახასიათებს შემოქმედებისადმი მიდრეკილება, მაღალი ინტელექტუალურობა და ფართო განათლებულობა, გამძაფრებული ეროვნური კულტურა და ფასეულობები;

➢ კრეატიული კლასი მაქსიმალურად დაინტერესებულია საზოგადოების ჰარმონიულ-ზნეობრივი განვითარებით, სამართლიანობითა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარებით;

➢ მეტწილად კრეატიული კლასი განსაზღვრავს ერის მომავალს, ქვეყნის განვითარებას, რაც მიიღწევა არა ბუნებრივი რესურსების გამოყენებით, არამედ შემოქმედებითი შედეგების რეალიზაციით. ეს კი, ისეთი ულევი მარაგია, რომელიც გამოყენების შედეგად კი არ მცირდება, პირიქით, იზრდება და ვითარდება;

➢ კრეატიული კლასი არა მარტო წამყვანი კლასია, არამედ ქვეყნის ძლიერი სოციალურ-პოლიტიკური ძალაა;

➢ განვითარებულ ქვეყნებში კრეატიული კლასი უზრუნველყოფს მშპ-ის ძირითად მატებას;

➢ კრეატიული კლასის გარეშე ქვეყნის სიმტკიცე და მოდერნიზაცია შეუძლებელია, ერის დეგრადაცია კი, — გარდაუვალი;

➢ კრეატიულ კლასს ხელეწიფება ხარისხობრივად ახალი ინტელექტუალური პროდუქტისა და მომსახურების შექმნა, რაც ადამიანის შემოქმედებითი საქმიანობის უმაღლესი მიღწევაა. მას კოლოსალური მნიშვნელობა აქვს ნებისმიერი ერის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მეტწილად, თუ მთლიანად არა;

➢ კრეატიული კლასი საზოგადოების დომინირებული კლასია, რადგან კრეატიულობა განვითარების მთავარი მამოძრავებელი ძალაა;

➢ კრეატიული კლასი ქმნის ახალს და არა სხვის მიერ შექმნილს მოიხმარს;

➢ კრეატიული ადამიანი ხელს უწყობს საერთო განმანათლებლობას ანუ „ადამიანის უმწიფრობიდან გამოსვლას“.[87,88]

➢ კრეატიული ადამიანი დანაშაულს ნაკლებად ჩადის, რადგან მისი სურვილები შემოქმედებისკენაა მიმართული. „ეს სიამოვნებას ანიჭებს მის სულს, ხორციელი განცხრომისაკენ სწრაფვა კი ქრება“.[89]

გარდა ამისა, და რაც ძალიან მნიშვნელოვანია: კრეატიულ და სხვა კლასს შორის რადიკალური განსხვავება იმაშია, რომ კრეატიული კლასი საკუთარი შემოქმედებით მოპოვებული შემოსავლებით ცხოვრობს. სხვები კი, გასამრჯელოს, უმეტესად, შესრულებული სამუშაოს მიხედვით იღებენ.

---

[87] **კანტი ე.** პასუხი შეკითხვაზე: რა არის განმანათლებლობა?// წიგნში: შესავალი თანამედროვე აზროვნებაში. (2015). წიგნი II. თბ., „ილიაუნი“, გვ. 60.

[88] შდრ.: — **კანტი**: „უმწიფრობა არის უუნარობა, საკუთარი განსჯა სხვისი ხელმძღვანელობის გარეშე მოიხმარო“.

[89] **პლატონი.** სახელმწიფო. (თავი VI). //წიგნში: შესავალი თანამედროვე აზროვნებაში. **(2014).** წიგნი I. თბ., „ილიაუნი“. გვ. 13.

კრეატიული კლასი კი თვით აპროექტებს და ქმნის რაღაც ახალს და ამით თავის ავტონომიურობასა და საჭიროებას ამტკიცებს. ფლორიდას მტკიცებით, უახლოეს ათწლეულში კრეატიული კლასი საზოგადოების განვითარების ძირითადი ძალა გახდება. იგი სწრაფად გადიდდება და სამუშაო ადგილების აბსოლუტური უმეტესობა სწორედ ამ კლასში ჩამოყალიბდება. მას მიაჩნია, რომ მომავალ 10 წელიწადში აშშ-ის კრეატიულ სექტორში დასაქმება დამატებით 10 მილიონი სამუშაო ადგილით გაიზრდება.[90]

მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთის ეკონომიკის ზრდის ტემპები საოცრად მაღალია და ოქრო-სავალუტო რეზერვები ძალიან მასშტაბური, დღევანდელი ჩინეთის მთავარი სიმდიდრე უკანასკნელ წლებში გამოჩენილი 300 მილიონი (!!!) უმაღლესი კურსდამთავრებულია, რომელიც ეროვნული ადამიანისეული პოტენციალისა და კრეატიული კლასის ძირითადი ბირთვია.

კრეატიულ განვითარებაზე ორიენტაცია აზიისა და ამერიკის სხვა რეგიონებშიც შესამჩნევია. მაგ., კრეატიული კლასი ყველაზე მეტად კონცენტრირებულია სინგაპურში — 47,3%, ავსტრალიაში — 44,5%, კანადაში — 40,8%, ახალ ზელანდიაში — 40,1%, აშშ-ში — 35%, მალაიზიაში — 25%, ფილიპინებზე — 20%. მათი მთავარი ამოცანაა კრეატიული განვითარების პრინციპები გაავრცელონ მრეწველობაში, მომსახურებასა და სოფლის მეურნეობაში.[91]

კრეატიული მუშაობისთვის აუცილებელია ანალიტიკური და სოციალური უნარები. პირველში იგულისხმება ლოგიკური აზროვნება, სასარგებლო ინფორმაციის გადამუშავება. არანაკლებ მნიშვნელოვანია სოციალური უნარები: პოპულარობა, სასიამოვნო გარეგნობა, ხალხთან ურთიერთობის ხელოვნება, მათი ორგანიზაცია.

თუ ფეოდალური არისტოკრატიისათვის ძალაუფლებისა და კლასობრივი იდენტურობის წყარო იყო მიწასა და მოსახლეობაზე მემკვიდრეობით მიღებული კონტროლი, ხოლო ბურჟუაზიისათვის — მისი წარმომადგენლების (კომერსანტები, მენეჯერები) გავლენა, კრეატიული კლასის თავისებურებები მისი წევრების შემოქმედებითი ფუნქციებით განისაზღვრება.[92]

---

[90] **Florida R. (2002).** The Rise of the Creative Class. And How It's Transforming Work, Leisure and Everyday Life.

[91] **Кастельс М. (2000).** Информационная эпоха: экономика, общество и культура. Пер. с англ. М., ГУ ВШЭ.

[92] **Florida R.** დასახელებული ნაშრომი.

კრეატიული განვითარების ფოკუსში ინდივიდის ინტელექტუალური საკუთრება ექცევა. და აქ მთავარი ინსტრუმენტია ადამიანის გონება, საღი აზროვნება.

კრეატიული აზროვნება მოითხოვს ფართო და ღრმა განათლებას, თვითდარწმუნებას, აქტიურობას, რისკზე წასვლას. კრეატიულობა ადამიანის ისეთ უნარებზეა დამოკიდებული, როგორიცაა გამომგონებლობა, ახალი აზროვნების ბაზაზე გადაწყვეტილების ოპერატიულად მიღება, პრობლემის სხვადასხვა მხრიდან დანახვა და შეფასება, ექსპერიმენტისადმი მიდრეკილება და ცხოველი ინტერესი, სიცოცხლის განმავლობაში უწყვეტი განათლება, ახალ-ახალი იდეების მოფიქრება.

არსებითად, შემოქმედებითი საქმიანობა ანგრევს მიღებულ სტერეოტიპებს. **„შემოქმედი ამავე დროს დამანგრეველიცაა“.**[93] ამიტომ **კრეატიული ადამიანები არსებული პროცედურებისა და სტერეოტიპების გადახედვას მუდამ ცდილობენ, მომავლის სცენარებზე ოპერირებენ, სხვადასხვა გამოგონებებსა და მოსალოდნელ შედეგებს აქტიურად იხილავენ.**

კრეატიულობისთვის სამი ელემენტია აუცილებელი:

1. **კომპეტენცია:** ცოდნა, უნარები, გამოცდილება;
2. **კრეატიული აზროვნება:** მოქნილობა, გამომგონებლობა და დაჟინებულობა გადაწყვეტილების მიღებაში, კრეატიული აზროვნების გააქტიურების არსებული მეთოდების გამოყენება;
3. **მოტივაცია: შინაგანი** — პრობლემების გადაწყვეტაში პირადი დაინტერესება, თვითრეალიზაცია და ახალი ცოდნის გამოყენების მცდელობა, და **გარეგანი** — მატერიალური წახალისება და სამსახურებრივი დაწინაურება.

კრეატიული უნარი, როგორც ღირებული ეკონომიკური რესურსი, ტრადიციულ რესურსებს (მიწა, შრომა, კაპიტალი) ენაცვლება.

კრეატიული კლასი ორი მიმართულებით ვითარდება:

1. სოციალური ბაზისის გაფართოებით. საუბარია მეცნიერების, ინჟინრების, შემოქმედებითი მუშაკების რაოდენობრივ ზრდაზე, მათი შრომის პირობების გაუმჯობესებაზე;

2. შემოქმედებითი პოტენციალის ხარისხის ამაღლებით, რისთვისაც საჭიროა კრეატიული ადამიანების შემოქმედებითი მომზადება.

---

[93] **სიგუა ს. (2010).** კულტუროლოგიის საფუძვლები. წიგნი I. თბ., გვ. 7.

კრეატიული კლასის განვითარებისთვის აუცილებელია:

• ინფორმაციისა და ტექნოლოგიებისადმი ხელმისაწვდომობა, რომლის გარეშე შემოქმედება შეუძლებელი ან შეზღუდულია;

• გადაადგილების შესაძლებლობა, სამუშაო ადგილისა და საცხოვრისის ცვლილება;

• შემოქმედებით ადამიანებთან ურთიერთობა;

• და, რაც მთავარია, შემოქმედებით პროდუქტზე საზოგადოებრივი მოთხოვნა.

შემოქმედება თავისთვის აზრს კარგავს. საჭიროა საზოგადოებრივი მოთხოვნა, რომელიც არაა აუცილებელი ფულადი ფორმით გამოისახოს. მაგ., მხატვარმა თავისი ნახატი აუცილებლად უნდა გამოფინოს, რეჟისორმა სპექტაკლი უნდა დადგას და ა. შ.

შეუძლებელია ყველაფერი ბაზარმა დაარეგულიროს. ბაზარი ყველგან და ყველაფერში სარგებელს ეძებს. შემოქმედება კი საზოგადოებრივ მოთხოვნას საჭიროებს. ამიტომ ნაციონალური განვითარების სტრატეგიის მნიშვნელოვანი ამოცანაა, რომ ერმა შემოქმედებითი შესაძლებლობების თვითრეალიზაცია მაქსიმალუ-რად შეძლოს.

კრეატიული კლასის დამოკიდებულება ეროვნულ ინტერესებთან და ფასეულობებთან წინააღმდეგობრივია. ერთი მხრივ, კრეატიული კლასის განმასხვავებელი თავისებურებაა მისი მობილურობა, ტოლერანტულობა და კოსმოპოლიტიზმი, რომლებიც ეროვნულ ფესვებთან კავშირს ასუსტებენ. მაგრამ, მეორე მხრივ, ნამდვილი შემოქმედება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა იგი ეროვნულ ფუნდამენტზეა აღმოცენებული. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი შემოქმედება არავისთვის არაა საინტერესო და მიმზიდველი.

როცა საუბრობენ მეცნიერებისა და კულტურის ცნობილ, აღიარებულ მოღვაწეებზე, უნდა გვახსოვდეს, რომ მათი აღიარება და წინსვლა „ეროვნული ტრადიციებიდან“, „ეროვნული წიაღიდან“ დაიწყო და ისინიც მხოლოდ ამ გზით გახდნენ „პლანეტის ადამიანები“.

ტრადიციების გარეშე არ არსებობს ერი.

ტრადიციებისა და ერის გარეშე არ არსებობს სახელმწიფო.

ტრადიციების, ერისა და სახელმწიფოს გარეშე არ არსებობს ეროვნული ინტერესების ადეკვატური აღქმა და დაცვა.

ტრადიციების გარეშე არ არსებობს კულტურა, სულიერი ცხოვრება, ხელოვნება, საერთოდ შემოქმედება, და შესაბამისად, არ არსებობს ეროვნული კრეატიული კლასი.

სხვა კლასებთან შედარებით, კრეატიული კლასი ლიდერია ეროვნული მატერიალური და სულიერი სიმდიდრის შექმნაში.

და, რაც მთავარია, კრეატიული კლასის გარეშე შეუძლებელია პრინციპულად რაიმე ახლის, ფასეულის შექმნა მეცნიერებაში, ტექნოლოგიებში, ხელოვნებასა და კულტურაში. შეიძლება ეროვნული ქვეყნის წინა თაობების ან სხვა კულტურების მიერ უკვე შექმნილის მხოლოდ გამეორება და/ან მოხმარება შეძლო.

საერთო დასკვნა ასეთია: წინმსწრები განვითარება პრინციპში ეროვნული და ეფექტური კრეატიული კლასის გარეშე შეუძლებელია. ეროვნულ ინტერესებზე ორიენტირებულ მხოლოდ ასეთ კლასს ძალუძს ახალი იდეების, XXI საუკუნის მოთხოვნების შესაბამისი პროდუქტებისა და მომსახურების შექმნა.

ლიდერად ყოფნისთვის აუცილებელია საკუთარი გამოგონებები, ნახტომისებური განვითარება ტექნოლოგიებში, კულტურასა და სულიერებაში, ანუ იმ სფეროებში, რომლებიც ერის იერსახეს განსაზღვრავს მიმდინარე ასწლეულში. ასეთი ნახტომისებური განვითარება მხოლოდ ეროვნულ კულტურულ ტრადიციებსა და ღირებულებებზეა შესაძლებელი, რადგან არაეროვნული იმთავითვე უკვე სხვისია და ისაა მისი გამოყენება/განვითარების სრული მესაკუთრე, ბატონ-პატრონი.

ამ პრობლემას აქვს არანაკლებ მნიშვნელოვანი მეორე მხარეც.

კულტურულ-სულიერი ფუნდამენტია ერის თვითიდენტიფიკაციის შენაჩუნების აუცილებელი პირობა, ანუ გლობალიზაციის ვითარებაში მისი გადარჩენა/შენარჩუნების ერთადერთი საშუალება. როგორც კი ამ ფუნდამენტში ეროზია გაჩნდება, ერი და სახელმწიფო რღვევას დაიწყებს: ჯერ კრიზისები წარმოიშობა, მათ შორის ეკონომიკური, შემდეგ საერთაშორისო პოზიციები იკარგება, მოგვიანებით კი, სისტემური პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური კრიზისები გამოჩნდება, რომელთა საფუძველია მსოფლმხედველობითი კრიზისი, გამოხატული ეროვნული ტრადიციების უარყოფით.

კრეატიული კლასის „კვების გარემო“ ქალაქია.

დ) სივრცითი განვითარების კონცეფცია

კრეატიული განვითარებისთვის საჭირო რესურსი შეიძლება იყოს როგორც ბუნებრივი მოვლენები, ისე კულტურული ობიექტები.[94]

[94] მაგ., ფინეთის პოლარული ქალაქი კემი უმუშევრობისგან ძლიერ ზარალდებოდა, მისი ეკონომიკა თითქმის მთლიანად ნაკლებწარმატებულ ქაღალდის ფაბრიკაზე იყო დამოკიდებული. აქ მთავარ აქტივად შეიცნეს თოვლი და სი-

შემოქმედებითი პოტენციალის განვითარება ქალაქების რაოდენობის ზრდის შედეგად ხდება. შეიძლება ითქვას, **დღევანდელი პოსტინდუსტრიული სამყარო დიდი ქალაქების სამყაროა.**

XX საუკუნეში ურბანიზაციის[95] პროცესი ძალიან გააქტიურდა: თუ 1900 წელს ქალაქებში დედამიწის მოსახლეობის 14% ცხოვრობდა, საუკუნის ბოლოს 47%-ს მიაღწია, ხოლო 2003 წელს გაუტოლდა კიდეც.

პერსპექტივაში მოსალოდნელია ქალაქის მოსახლეობის გაორმაგება, რადგან პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში სწორედ ქალაქი იძლევა ახალი ცოდნის შექმნისა და გაცვლის შესაძლებლობას, ქმნის სასურველ ინფრასტრუქტურულ და სამოღვაწეო გარემოს.

თანამედროვე ქალაქი აღარაა ისეთი, როგორიც წინათ იყო. დღევანდელი ქალაქები არა მარტო გრანდიოზული ტვირთნაკადებისა და კაპიტალის კონცენტრაციის კვანძებია, არამედ ადამიანების, ახალი ტექნოლოგიებისა და იდეების თავმოყრის მსოფლიო ცენტრებია.

თანამედროვე მობილურ საზოგადოებაში, ქვეყნებთან შედარებით, ქალაქების კონკურენცია უფრო მწვავეა. განვითარებული და მდიდარი ქალაქები — ნიუ-იორკი, ტოკიო, ლონდონი, სინგაპური და სხვები, ერთმანეთს ფინანსური, ინფორმაციული და ადამიანისეული პოტენციალით ეპაექრებიან. ამ გიგანტ-ქალაქებს ტოლს არ უდებენ განახლებული ქალაქებიც — შანხაი, ჰონკონგი, სეული... ამიტომ ქალაქთა განვითარების პრობლემა მეტად აქტუალურია.

გლობალიზაცია ქვეყნებს შორის არა მარტო ტერიტორიულ საზღვრებს შლის და ერთიან სივრცეში გათქვეფის საშიშ შეგრძნებას ბადებს, არამედ საკუთარი იდენტურობის ფიქსაციის მოთხოვნილებასაც ამძაფრებს. ამიტომ ქალაქები აქტიურად ეძებენ კრეატიული განვითარების ახალ მოდელებს, რომლებიც მათ უნიკალურობასა და მსოფლიო მნიშვნელობის შეგრძნებას გააძლიერებს.

ცივე, რომელთა გათვალისწინებით ააგეს მსოფლიოში ყველაზე დიდი თოვლის სასახლე. ამ პროექტის ეფექტმა ყველა მოლოდინს გადააჭარბა. პრინციპი „არაფრისგან რაღაც გააკეთე“ პრაქტიკულად ამოქმედდა.

[95] ლათ. urbs ქალაქი. ქალაქების რაოდენობისა და მათი მოსახლეობის ზრდა, ინდუსტრიის თავმოყრის პროცესი. ევროკომისია გვთავაზობს ახალ განსაზღვრებას სახელწოდებით — „აგლომერაციის ინდექსი“, რადგან: 1) პლანეტის მოსახლეობის თითქმის ნახევარი დიდი ქალაქებიდან 2 საათის სავალ მანძილზე სახლობს, მაგრამ, იმავდროულად, არსებობს სერიოზული დანაწევრებაც: მათ შორის, 85% განვითარებულ, ხოლო 15% განვითარებად ქვეყნებში ცხოვრობს; 2) მოსახლეობის 95% პლანეტის ზედაპირის 10%-ზეა კონცენტრირებული; 3) დედამიწის ზედაპირის მხოლოდ 10% ითვლება „დაშორებულად“ და დიდი ქალაქიდან 48 საათის სავალ მანძილზე იმყოფება.

კრეატიული ქალაქის მთვარი ამოცანაა ინოვაციური გარემოს შექმნა, რადგან კრეატიულობა ინოვაციის წინაპირობაა, ხოლო ასეთი გარემოს ფორმირებისთვის შემოქმედებით ინდუსტრია მთავარი ინსტრუმენტია.

ქალაქთა განვითარების ისტორიული რეტროსპექტივა ასეთია: შუასაუკუნეებში ქალაქ-ციხესიმაგრეები თანდათან ქალაქ-სახელოსნოებად, ინდუსტრიალიზაციის ეპოქაში კი, ქალაქ-ფაბრიკებად გადაიქცა. დღევანდელი, პოსტინდუსტრიული ეპოქის ქალაქთა ფუნქციონირების მთავარი საგანია არა ახალი საქონელი ან მომსახურება, არამედ იდეები და ისინიც სულ უფრო მეტად „იდეების ფაბრიკები“ ხდებიან, „ნივთების ფაბრიკების“ ფუნქციას კი განვითარებადი ქვეყ-ნები და მათი ცენტრები ასრულებენ.

თანამედროვე სამყაროში კონკურენცია ესაა საქმიანობის სხვადასხვა სფეროში დასაქმებულ შემოქმედებით პროფესიონალთა ინოვაციების, სამეცნიერო კვლევების, ტექნოლოგიური დამუშავებების კონკურენცია, ხოლო მთავარი რესურსი — მათი კრეატიული პოტენციალი.

ეს უკანასკნელი მოითხოვს არა მარტო მატერიალურ პირობებს, არამედ აზროვნების გარკვეულ კულტურას, რომელიც შეუძლებელია მთავრობის მოთხოვნით ან შეკვეთით ჩამოყალიბდეს. ამ პროცესში ადრე დეკორატიულ მოვლენად მიჩნეული „კულტურა“, როგორც ეკონომიკური რესურსი, დღეს ქალაქის განვითარების საფუძველია.

1980-ან წლებში ევროპაში, აშშ-სა და სხვა განვითარებულ ქვეყ-ნებში ინდუსტრიული ეკონომიკის კრიზისი დაიწყო. ძველი ინდუსტ-რიული ცენტრების (მაგ., ქ. მანჩესტერი დიდ ბრიტანეთში, ქ. ლიონი საფრანგეთში) ფაბრიკები და ქარხნები მასობრივად დაიხურა, მათი მოსახლეობა კი უმუშევარი დარჩა. „პოსტინდუსტრიულ მოდელზე“ გადასვლა რთული და მტკივნეული აღმოჩნდა.

ქალაქების განვითარების დინამიკამ და მსოფლიო ურბანისტიკამ არსებითი ცვლილებები განიცადა. **წინა საუკუნეების მიდგომებითა და შეხედულებებით XXI საუკუნის ქალაქის პრობლემების გადაწყვეტა შეუძლებელი გახდა.**

განვითარებული ქვეყნების ეკონომიკაში მიმდინარე ცვლილებები არა მარტო სისტემურ გარდაქმნებს მოითხოვდა, არამედ ქალაქის დასაქმების სტრუქტურაში, მისი გარემოს ფორმირებაში, მათ შორის, კულტურის ინფრასტრუქტურის სფეროში ღრმა გარდაქმნებს საჭიროებდა. ინდუსტრიული ეკონომიკიდან ინტელექტუალური მომსახუ-

[http://nnm.me/blogs/migat/novaya_karta_urbanizacii]

რების ეკონომიკაზე გადასვლა კაპიტალიზმის გადარჩენის ძირითადი პირობა გახდა, რამაც ქალაქის ეკონომიკის ტრანსფორმაცია გამოიწვია და კრეატიული ინდუსტრია ქალაქთა აღორძინებაში აქტიურად ჩაერთო.

ახალმა კონცეფციამ სივრცობრივი განვითარების ორიენტაცია მიიღო: ახლებურად დაიწყო ქალაქის პეიზაჟების, ქუჩების, კვარტლებისა და კულტურული მოედნების დაპროექტება, არქიტექტურული პროცესების ხელმძღვანელობა, გააქტიურდა კამპანია დევიზით: „ქალაქი, რომელიც დღე-ღამეში 24 საათი ცოცხლობს“ და სხვ.

ინგლისელი მეცნიერი **რიჩარდ ლენდრი** სამართლიანად მიიჩნევს, რომ ქალაქის მთავარი სასიცოცხლო რესურსი და იერსახე მისი ადამიანებია, რომელთა შემოქმედებითი პოტენციალი წარმატებას განაპირობებს.[96] ამ შეხედულებას კარგად ახასიათებს მისივე ხატოვანი ფრაზა: **„მითხარი რომელ ქალაქში ცხოვრობ, გეტყვი ვინ ხარ შენ.“**

2020 წლისათვის მეგაქალაქებში 3 მილიარდი ადამიანი იცხოვრებს. ისინი ე.წ. ქალაქ-შტატები გახდებიან და საზოგადოებრივ განვითარებაში გადამწყვეტ როლს შეასრულებენ.

ნიდერლანდელი მკვლევარი **როი ვან დალმი** კრეატიული ქალაქის იმიჯის შემქმნელ სამ მთავარ ნიშანს, ე.წ. „**3A“**-ს გამოყოფს:[97]

Authentic — კრეატიული განვითარების მსურველმა ქალაქმა უნდა იპოვოს საკუთრივ თავისი, უნიკალური, სხვებისაგან გამორჩეული რაღაც ნიშანი, თუნდაც ისტორია, რელიეფი, ცნობილი პიროვნებანი…

Activating — კრეატიული შესაძლებლობების გააქტიურება.

All inclusive — მოსახლეობის ყველა ფენის ჩართულობა.

„კრეატიული ქალაქის“ ცნება საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ მისი საკვანძო მახასიათებლები: რამდენად უწყობს ხელს ქალაქი მის მოქალაქეთა პიროვნულ განვითარებას, ინდივიდუალური უნარების გამოვლენას, უქმნის თუ არა ოპტიმალურ გარემოს შემოქმედებითი ზრდისა და თვითრეალიზაციისათვის?

კრეატიული განვითარება მხოლოდ **„გონიერ ქალაქებშია“** შესაძლებელი.

ქალაქი ცოცხალი ორგანიზმია. იგი ვითარდება, იცვლება და გარემოს ერგება. ამ ნიშნით მათი რეაგირების ხარისხი განსხვავებულია, ყო-

---

[96] **Лэндри Ч. (2011).** Креативный город. Пер. с англ. М., «Классика-XXI».

[97] **Рой Ван Дальм.** Три «А» креативного города: Электронный ресурс. [http://theoryandpractice.ru/video/44-tri-a-kreativnogo-goroda]

ველი მათგანი თავისებურად უნიკალურია: უდარდელი და ფუქსავატი ამსტერდამი, მელანქოლიური ოსლო, იდუმალი პრაღა — თითოეულს საკუთარი სახე და ხასიათი აქვს.

ტალანტური, კრეატიული ადამიანების მთავარი ამოცანაა კონკრეტული ქალაქის ატმოსფეროს შეცნობა და მისი ინდივიდუალობის ხაზგასმა, ნათელი და დინამიური იერსახის შექმნა. ეს ნიშნავს მეგაპოლისის დიდ შემოქმედებით ლაბორატორიად გადაქცევას, ახალი გამოწვევებისთვის ისეთი არენის ფორმირებას, რომელიც აქტიურად იქნება განვითარებადი და ყველასთვის აბსოლუტურად ღია. სწორედ ამაშია ნიდერლანდელი მეცნიერის **როი ვან დალმის** იდეის — „**3A**“-ს პრინციპის დედააზრი.

რას ნიშნავს „გონიერი ქალაქი“?

„გონიერი ქალაქი“ ესაა ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენებით ცხოვრების ხარისხის ამაღლება, საქალაქო სისტემის ეკონომიკური და ეკოლოგიური გამოყენება. ესაა გონიერი მართვა, გონიერი ცხოვრება, გონიერი ხალხი, გონიერი გარემო, გონიერი ეკონომიკა...

ქვეყნის ეროვნული განვითარება და კონკურენტუნარიანობა კორელაციაშია ტალანტური ადამიანების რაოდენობასთან.

ტალანტების აღსაზრდელად აუცილებელია სპეციფიკური გარემო, თავისებური ქალაქური „მარილწყალი“, რომელშიც გამოვლინდება და აღიარებას მოიპოვებს ინდივიდების კრეატიული შესაძლებლობები. ასეთი გარემოს შექმნაა კრეატიული ქალაქის ერთ-ერთი გრძელვადიანი ამოცანა. კრეატიული სივრცე კი ქალაქის საჯაროდ ხელმისაწვდომი ადგილია, სადაც ადამიანებს თავისუფლად შეეძლებათ იდეების გაცვლა, შემოქმედებითი შედეგების დემონსტრირება.

თუ ქალაქი კრეატიული სივრცით ღარიბია, ის აუცილებლად კარგავს კრეატიულ მოსახლეობას. პოტენციური ტალანტები იმ სივრცეში ცდილობენ მოხვედრას, სადაც შემოქმედებითი განვითარებისა და აღიარებისთვის მეტი შესაძლებლობებია.

როცა პროგრესული ადამიანი კრეატიული ქალაქის ინფორმაციულად გამდიდრებულ სივრცეში ხვდება, მისი კრეატიულობა და ინტელექტუალური შესაძლებლობები კიდევ უფრო იზრდება.

ისტორიულად, სწორედ ამიტომ მიისწრაფოდნენ მეცნიერები პალო-ალტოსა[98] (აშშ, კალიფორნიის შტატი) და ნოვოსიბირსკისაკენ (რუსეთი), ხოლო პოეტები და მხატვრები — პარიზისაკენ.

---

[98] დღეს აქ ფუნქციონირებს სტენფორდის უნივერსიტეტი და ისეთი წარმატებული კომპანიების ოფისები, როგორიცაა „ქსეროქსი“, „ფეისბუკი“...

ამის გამო გახდა ქ. ფლორენცია იტალიური რენესანსის აკვანი, მეტად „ნაყოფიერი მიწა“, სადაც აღიზარდა აღორძინების ეპოქის პოეტების, არქიტექტორების, მოქანდაკეებისა და მხატვრების ტიტანთა თითქმის მთელი პლეადა (**დანტე ალიგიერი, ჯოვანი ბოკაჩო, სანდრო ბოტიჩელი, დონატელო, გალილეო გალილეი, მიქელანჯელო** და სხვები. ასევე **რობერტო კავალი** — თანამედროვე დიზა-ინერი მოდის ინდუსტრიაში).

სწორედ ამიტომ XIX საუკუნის შუა პერიოდში ავსტრიის დედაქალაქი ვენა სხვადასხვა ქვეყნებიდან მაგნიტივით იზიდავდა კრეატიულ კომპოზიტორებს, არქიტექტორებს, მეცნიერებსა და მხატვრებს. ისინი ხომ თავისუფალი და შემოქმედებითი კომუნიკაციით ამდიდრებდნენ ერთმანეთს და მთლიანად ევროპის სულიერ-კულტურულ სამყაროს.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ქალაქებისა და ქვეყნების ასეთი კრეატიულ-ეკონომიკური გარღვევები არაა მხოლოდ გენიოსთა დაბადების შემთხვევითობა.

უპირველესად, ესაა ქალაქებში შექმნილი კულტურულ-ინტელექტუალური გარემო, რომელიც ხელს უწყობს ტალანტების გამოვლენასა და ოპტიმალურ განვითარებას. დაგროვილი ცოდნის, გამოცდილების გაზიარებისა და ერთობლივი პრაქტიკის წყალობით, ასეთ კრეატიულ სივრცეში ყველა მონაწილე შემოქმედებითად იზრდება. თვით კრეატიული სივრცე კი ხელოვანთა დიდოსტატების და/ან სამეცნიერო სკოლების წარმატებული კლასტერი ხდება.

ქალაქის კრეატიული სივრცე სხვადასხვა ფორმებით ვლინდება: საჯარო მოედნები, ინტერესთა კლუბები, სულიერების ცენტრები და თანამოაზრეთა არაფორმალური საზოგადოებები. მთავარია დავიცვათ ძირითადი კრიტერიუმები: თავისუფალი კომუნიკაცია, ტალანტისა და კრეატიული პროდუქტის უსაფრთხო პრეზენტაცია, ფულის ცენზურისაგან დამოუკიდებლობა.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბოლო კრიტერიუმი, რადგან ღირებულებით შეფასებას ფასეული იდეებისა და ტალანტების იგნორირება და დათრგუნვა ძალუძს. ფულის ცენზურა იმიტომაა საშიში, რომ იგი გზას აძლევს მხოლოდ ისეთ სიახლეს, რომელსაც თანხის უკან დაბრუნება მოკლე დროში შეუძლია.[99]

კრეატიული სივრცის ერთ-ერთი ფორმაა საჯარო ადგილები, მაგ., ქვეითად მოსიარულეთა ქუჩები, პარკები, სადაც ნებისმიერ მსურველს

[99] **Daheim C., Uerz G. (2008).** "Corporate foresight in Europe: from trend based logics to open foresight," Technology Analysis & Strategic Management, vol. 20, p. 321.

შეუძლია თავი გამოიჩინოს და საკუთარი კრეატიული პროდუქტი ყველა მსურველისთვის ცნობადი გახადოს. ასეთი კრეატიული სივრ-ცეა, მაგალითად, პარიზის ელისეს მინდვრები, მონმარტრი.

მაშასადამე, კრეატიული სივრცე ქალაქის მიკროგარემოა, რომელშიც მისი მკვიდრი პიროვნულად ვითარდება, შემოქმედებითად რეალიზდება, აქტიურად ერთვება სამეცნიერო, კულტურულ და სულიერ სამყაროში. ამიტომ, ადამიანის მეცნიერული და სულიერი განვითარება კრეატიული სივრცის გარეშე შეუძლებელია.

ადრე ბატონობდა თეზისი: „მეცნიერება უშუალო საწარმოო ძალაა." სხვა სიტყვებით, ეს ნიშნავს, რომ ინოვაციების ნაკადი არა მარტო ხელს უწყობს დამატებითი ღირებულების შექმნას, არამედ ინოვატორ-ქვეყნებს საშუალებას აძლევს დანარჩენი ქვეყნებიდან დამატებითი შემოსავალიც მიიღოს.

სწორედ ასე იქცევა თანამედროვე ევროპა, აშშ, იაპონია და კორეის რესპუბლიკა, რომლებიც კრეატიული საქონლის გაყიდვით დანარჩენი სამყაროდან დიდ შემოსავალს იღებენ.

უდავოა, რომ კრეატიული ინდუსტრია ქალაქების პრეროგატივაა. ამიტომ ქალაქებს აუცილებლად უნდა ჰქონდეთ შესაბამისი სივრცე — კრეატიული კლასის შემოქმედებითი შესაძლებლობების აქტიური გამოვლენის ფართო არეალი.

კრეატიული კლასის წარმომადგენლები თავს იქ იყრიან, სადაც საჭიროა ასეთი სამუშაო ძალა. ისინი ცხოვრობენ და შრომობენ იქ, სადაც მოსწონთ და უპირატესობას აძლევენ შემოქმედებითი აქტი-ურობის ცენტრებს.

ბიზნესის განვითარების კეთილსასურველ პირობებთან ერთად, კრეატიული განვითარებისთვის აუცილებელია კრეატიული კლიმატი. ისეთი ქალაქები, როგორიცაა პარიზი, ლონდონი, ბოსტონი, სიეტლი, ტორონტო, დუბლინი და ტოკიო, XX-XXI საუკუნეების ტრანსფორმაციულ მოთხოვნებს კარგად მოერგნენ და არა მარტო ტექნიკური ინოვაციებისა და მაღალტექნოლოგიური ინდუსტრიის ცენტრები გახდნენ, არამედ განვითარებული კრეატიული საზოგადოებებიც ჩამოაყალიბეს.

მაშასადამე, კრეატიული ქალაქებისთვის აუცილებელია კეთილსასურველი პირობები საქმიანი და საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის.

ბრიტანელი მეცნიერი **ჩარლზ ლენდრი** თანამედროვე ქალაქების განვითარებაში კულტურულ კონტექსტს პირველხარისხოვან მნიშვნელობას ანიჭებს. ქალაქის კულტურის, როგორც რესურსის, განხილვა საშუალებას გვაძლევს გადაიხედოს ქალაქის არსებული აქტივები. ყო-

ველი ქალაქი თავისებურად უნიკალურია, განუმეორებელია, ხოლო ქალაქური ლანდშაფტის ყოველ დეტალში ფარულად მოცემულია მისი ისტორია, რომელიც შეიძლება ქალაქის აქტივების პოზიტიური განახლებისთვის იქნას გამოყენებული.

წინააღმდეგობა არსებობს ქალაქის ჩინოვნიკების ბიუროკრატიულ აზროვნებაში, ვიწრო ინტერესების ბოროტად გამოყენებასა (მაგ., ახალ მშენებლობათა კონტროლის სისუსტე) და ქალაქის აქტივების სრულად გამოუყენებლობაში, გაუაზრებელ კოპირებაში, რის გამოც იკარგება მნიშვნელოვანი ობიექტების უნიკალურობა (ყველა შენობა-ნაგებობა ერთმანეთს ემსგავსება).

ქალაქების განვითარების პრობლემატიკაში აქტიურად განიხილება „თავისუფალი ქალაქების“[100] ახალი კონცეფცია, რომლის მიხედვით იგი უნდა გახდეს შემოქმედებითი თავისუფლების ისეთი ტერიტორია, სადაც შესაძლებელი იქნება ბიზნესის ეფექტურად და უსაფრთხოდ წარმოება.

ამ კონტექსტში საყურადღებოა **„გლოკალური“ ქალაქის** იდეა. გლოკალიზაცია ნიშნავს გლობალიზაციის გავრცელებას ადგილობრივი მოსახლეობის ეთნიკურ-ეროვნული კულტურის გათვალისწინებით. ეს ტერმინი ჩვეულებრივ გამოიყენება იმ პროდუქტთან მიმართებაში, რომელიც შემუშავებული და გავრცელებულია გლობალურად, თუმცა გათვალისწინებულია ადგილობრივ ბაზარზე დამკვიდრებისა და მომხმარებლის თავისებურებები.

გლოკალური ქალაქი გლობალიზაციის რეგიონული სცენარია. ეს იმას ნიშნავს, რომ უცხოური პროდუქტი და მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს ადგილობრივ კანონებსა და მომხმარებელთა მოთხოვნებს.

კრეატიული სივრცისა და კრეატიულობის გეოგრაფიის პრობლემა კრეატიული კლასის დისლოკაციის თვალთახედვიდან განიხილება, რაშიც ორი ტენდენცია იკვეთება:

---

[100] საერთაშორისო სამართლის არატიპური სუბიექტი; თვითმმართვადი პოლიტიკური წარმონაქმნი, რომლის სამართლებრივი რეჟიმი (მონაწილეობა ეკონომიკურ, ადმინისტრაციულ და კულტურულ საერთაშორისო-სამართლებრივ ურთიერთობებში) სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების გარანტიით საერთაშორისო ხელშეკრულებებით დგინდება. XX საუკუნეში (1920-1939) თავისუფალი ქალაქის სტატუსი ჰქონდათ გერმანიის ყოფილ ქალაქ დანციგს (ამჟ. პოლონეთის ქალაქი გდანსკი) და იტალიის ყოფილ ქალაქს ფიუმეს (1920-1924) (ამჟ. ხორვატიის ქალაქი რიეკა), რომლებიც ერთა ლიგის მიერ იმართებოდა. შუა საუკუნეების ზოგიერთ თავისუფალ ქალაქს, მაგ., ჰამბურგსა და ბრემენს, დღემდე აქვთ შენარჩუნებული გერმანიის მიწების პოლიტიკურ-სამართლებრივი სტატუსი.

1. რეგიონები კრეატიული კლასის მიზიდვის ცენტრები ხდება;
2. კრეატიული ცენტრები განვითარების ლიდერებად გვევლინება.

განსაკუთრებულია კრეატიული კლასტერების როლი, რომლებიც იუნესკოს მიერ დამუშავებული ქალაქთა განვითარების პროგრამების ჩარჩოებში ვითარდება. კრეატიული კლასტერი ესაა შემოქმედებაზე ორიენტირებული მეწარმეები, რომლებიც ჩაკეტილ ტერიტორიაზე ურთიერთობენ. ისინი ტრადიციული ბიზნესპარკებისაგან იმით განსხვავდებიან, რომ უნივერსიტეტებთან არ არიან განლაგებული.

კრეატიული განვითარების კონცეფციით დასაქმების პრობლემები ახლებურად მოიაზრება. თანამედროვე მსოფლიოში აქტიურად ვითარდება მასობრივი ინდუსტრიისთვის მიუღებელი დასაქმების ახალი, მოქნილი ფორმები, რითაც წყდება საზოგადოებაში არსებული რიგი ამოცანები. კერძოდ:

- კრეატიული სექტორების ორგანიზაციის ახლებური მიდგომების გამო, შრომითი მობილურობა იზრდება;
- კრეატიულ ინდუსტრიაში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების დასაქმება დიდდება;
- ქალაქები და ტერიტორიები მიზნობრივად ვითარდება.

კრეატიული გარემო ავტომატურად არ იქმნება. იგი შესაბამის ინვესტიციებსა და მხარდაჭერას მოითხოვს (მოცემული საკითხი ვრცლად წინამდებარე წიგნის მე-3 ნაწილშია განხილული).

11. კრეატიულობის დონის შეფასების მოდელები[101]

კრეატიულობის დონე რამდენიმე მოდელით ფასდება:

I მოდელი: კრეატიულობის კრებსითი ინდექსი

ინდექსის გაანგარიშების მეთოდიკა ეფუძნება ამერიკელი სოციოლოგის **რ. ფლორიდას** კვლევებს, რომლის თანახმად, **კრეატიულობის კრებსითი ინდექსი შედგება ტალანტის (ნიჭიერების), ტექნოლოგიისა და საზოგადოების ღიაობის კრებსითი ინდექსებისგან.**[102]

---

[101] **Daheim C., Uerz G. (2008).** "Corporate foresight in Europe: from trend based logics to open foresight," Technology Analysis & Strategic Management, vol. 20, p. 321.

[102] **Florida R. (2002).** The Rise of the Creative Class. And How It's Transforming Work, Leisure and Everyday Life.

ტალანტის[103] (ნიჭიერების) კრებსითი ინდექსი კრეატიული კლასის, ადამიანისეული კაპიტალისა და სამეცნიერო პოტენციალის ინდექსების საშუალო არითმეტიკული სიდიდეა.

ტალანტი არის ადამიანის შესაძლებლობათა ერთობლიობა გამოხატული თანდაყოლილი ნიჭით, შეძენილი ცოდნით, გამოცდილებით, ინტელექტით, ხასიათითა და ენერგიით, ასევე სწავლისა და განვითარებისადმი სწრაფვით.

ტალანტი ამოუწურვადი რესურსია, რომლის გამოყენება საზოგადოების განვითარებისთვის აუცილებელია.

ძნელია არ დაეთანხმო გამოჩენილ ფრანგ ლექსიკოგრაფს პიერ კლოდ ბუასტს, რომელიც მიიჩნევდა, რომ **„ტალანტი ნიჭია, რომელზეც მბრძანებლობს ადამიანი. გენია ნიჭია, რომელიც მბრძანებლობს ადამიანზე.“**

კრეატიული კლასის ინდექსი გაიანგარიშება კრეატიული კლასის წარმომადგენლთა რაოდენობის შეფარდებით დასაქმებულთა საერთო რაოდენობასთან, **ადამიანისეული კაპიტალის ინდექსი** — დასაქმებული უმაღლესი განათლების მქონეთა რაოდენობით 1 მლნ მოსახლეზე გაანგარიშებით, ხოლო **სამეცნიერო პოტენციალის ინდექსი** — მკვლევართა რაოდენობით 1 მლნ მოსახლეზე გაანგარიშებით.

ტექნოლოგიის კრებსითი ინდექსი მეცნიერებაში ინვესტიციების ინდექსისა და ინოვაციების ინდექსის საშუალო არითმეტიკული სიდიდეა.

მეცნიერებაში ინვესტიციების ინდექსი გაიანგარიშება სამეცნიერო კვლევებსა და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე დანახარჯების წილით მშპ-ში, ხოლო **ინოვაციების ინდექსი** — გამოგონებებზე

---

[103] სიტყვა „ტალანტი“ უძველესი დროიდან ცნობილია. მას მდიდარი ისტორია აქვს. ძველი იუდეველების, ბერძნებისა და რომაელებისთვის იგი წონის ერთეული იყო. მოგვიანებით, ძვირფასი ლითონების გაცვლის მეშვეობით, ტალანტი თვითონ გახდა ფულის მსხვილი ერთეული. რაც დღეს ღირე-ბულების შექმნის მთავარი წყაროა, საუკუნეების წინათ ფული იყო. ასე რომ, ტალანტის ცნება თავის ბუნებრივ საწყისს დაუბრუნდა.

ამ სიტყვამ უფრო ფართო აზრი ახალ აღთქმაში შეიძინა, სადაც წმინდა მათეს გადმოცემით, ბატონმა თავის მონებს რვა ტალანტი მისცა: პირველს —5, მეორეს—2, ხოლო მესამეს—1.

პირველმა და მეორე მონამ შეუპოვრად იშრომეს და თავიანთი ტალანტები გააორმაგეს, მესამემ იზარმაცა და თავისი ტალანტი მიწაში დამალა. როცა ბატონი დაბრუნდა, მან პირველი და მეორე მონა ფხიანობისთვის დაასაჩუქრა, ხოლო მესამეს ადრე მიცემული ტალანტი წაართვა და გააგდო. [მათეს სახარება: 25; 14-30].

გაცემული პატენტების რაოდენობით 1 მილიონ მოსახლეზე გაანგარიშებით.

საზოგადოების ღიაობის ინდექსი გამოითვლება იმიგრანტების წილით მოსახლეობის საერთო რაოდენობაში.

ფლორიდას მიერ შემოთავაზებული კრეატიულობის ინდექსი არაა ერთადერთი, თუმცა დღემდე ერთ-ერთი პოპულარული ინდიკატორია. კრეატიულობის ინდექსის დამუშავება გრძელდება.

კრეატიულობის დონის შესაფასებლად რამდენიმე დამატებითი ინდექსი გამოიყენება, რომელთა შორის მთავარია: კულტურა, დასვენება და ტურიზმი; კრეატიული ინდუსტრია და დასაქმება; კულტურული კაპიტალი; სიცოცხლის უსაფრთხოება; გლობალიზაცია და ქსელები; ღიაობა, მომთმენობა და მრავალფეროვნება; ადამიანისეული კაპიტალი, ტალანტები და განათლება; საქმიანი აქტიურობა და სხვ.

II მოდელი:
„კრეატიულობის მსოფლიო ინდექსი“

იგი 4 მაჩვენებლით გაიანგარიშება:

- კრეატიული პროექტების საშუალო რაოდენობა წელიწადში;
- კრეატიული პროექტების ეკონომიკური ეფექტურობა;
- კრეატიული კლასის წილი მოსახლეობის რაოდენობაში;
- კრეატიული კლასის სოციალური მხარდაჭერა.

III მოდელი:
ქალაქის კრეატიულობის დონე

იგი 5 პარამეტრით ფასდება:

- **მოსახლეობის კრეატიულობა,** ანუ ქალაქის მოსახლეობის შემოქმედებითი პოტენციალი, რომელიც გაიანგარიშება კრეატიული პროფესიების მუშაკთა წილით მოსახლეობის საერთო რაოდენობაში. ასეთ პროფესიებში ფართო სპექტრი იგულისხმება, კერძოდ, მეცნიერები, მხატვრები, მოქანდაკეები, რეჟისორები, მწერლები, ანალიტიკოსები, დიზაინერები, რეკლამის მუშაკები, ბიზნესის წარმომადგენლები, ტალანტური მმართველები ...
- **ინოვაციური აქტიურობა.** მოსახლეობის/კომპანიების უნარი ტექნოლოგიური ინოვაციებისა და ახალი პროდუქტების შექმნაში. იგი

იგავის მორალი: ტალანტი ის ბოძებული ნიჭია, რომელიც უნდა გაამრავლო, განავითარო და არა იგნორირება გაუკეთო.

გაიანგარიშება ქალაქში განთავსებული კომპანიების მიერ გარკვეულ პერიოდში რეგისტრირებული პატენტების რაოდენობით.

- **გლობალური ქალაქის აქტიურობა.** ქალაქი გლობალურია, თუ მასში განთავსებულია ტრანსნაციონალური კომპანიების ოფისები, თუ მისი მოსახლეობა ჩართულია შრომის საერთაშორისო დანაწილებაში და თუ ის ღიაა სხვადასხვა პროფესიების ადამიანთა მისაღებად.
- **ინტელექტუალობის დონე.** ქალაქის მცხოვრებთა ინტელექტუალური დონე გავლენას ახდენს იმაზე, თუ რამდენად მარტივად და არასტანდარტულად შეიძლება არსებული ამოცანების გადაწყვეტა. გაანგარიშების მეთოდიკა ითვალისწინებს უნივერსიტეტების ჩართულობას მსოფლიო ტოპ-500-ში, ნობელიანტების რაოდენობას, ასევე უმაღლეს განათლებაზე სახელმწიფო ხარჯების დონეს ქალაქის ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით.
- **მსოფლიო კომერციულ ქსელში ჩართულობა.** ინოვაციები ქალაქში მაშინ წარმოიშობა, როცა ამისთვის ნოყიერი ნიადაგია მომზადებული, მრავლად მოქმედებს ისეთი კომპანიები, რომლებიც დაკავებული არიან სამართლებრივი და ორგანიზაციულ-მარკეტინგული საკითხებით, მათ შორის, საერთაშორისო დონეზე. შეფასება ეფუძნება რამდენიმე თანამდევ დარგს (იურისპრუდენცია, კონსალტინგი და ა.შ.) და საერთაშორისო კომპანიების საქმიანობას კონკრეტულ ბაზარზე.

IV მოდელი:
ქალაქის კრეატიულობის შეფასების ინდექსი

მისი გაანგარიშებისთვის რამდენიმე ინდიკატორი გამოიყენება, კერძოდ: საზოგადოებრივი და პოლიტიკური სტრუქტურა; მრავალფეროვნება და სიცოცხლისუნარიანობა; ღიაობა, ნდობა და ტოლერანტობა, ხელმისაწვდომობა; ტალანტები და საგანმანათლებლო გარემო; კომუნიკაციები და ქსელების ორგანიზაცია; ქალაქური ადგილები; სიცოცხლის უზრუნველყოფა და კეთილდღეობა.

მთლიანობაში ქვეყანაში კრეატიული ინდუსტრიის ეკონომიკური წვლილი 4 დონეზე ფასდება:

პირველი – ქვეყნის მშპ-ში კრეატიული ინდუსტრიის წილი;

მეორე – კრეატიულ ინდუსტრიაში დანახარჯების ზრდა;

მესამე – ხელოვნებისა და კულტურის მოღვაწეთა მონაწილეობა ინდუსტრიულ განვითარებასა და ინოვაციების დანერგვაში;

მეოთხე (ე.წ. „განუზომელი“ ეფექტი) – ცხოვრების ხარისხის ცვლილება, კულტურული იდენტურობის ფორმირება, საზოგადოებაში პლურალიზმისა და ტოლერანტული ატმოსფეროს განვითარება.

12. კრეატიული საზოგადოების მახასიათებლები

განვითარებული ქვეყნების საზოგადოება სულ უფრო კრეატიული ხდება, რომლის მთავარი პროდუქტია ახალი იდეები და ინოვაციები ადამიანის საქმიანობის სხვადასხვა სფეროში. აქ კრეატიულობა ეკონომიკური ფასეულობის მთავარი წყაროა. ინტელექტუალური საკუთრება ღირებულ ეკონომიკურ რესურსად გვევლინება.

კრეატიული განვითარება შეუძლებელია შემოქმედებითი საზოგადოების გარეშე, რომლის საფუძველია სამართლებრივი სახელმწიფო, სამოქალაქო საზოგადოება, მეწარმეობის განვითარება და ინოვაციები.

დღეს **კრეატიული** განვითარების ფაზაშია აშშ, იაპონია, კორეის რესპუბლიკა. ევროკავშირში ქმნიან ეროვნულ ინოვაციურ სისტემებს, რომელთა მიზანია ინოვაციებზე დაფუძნებული საზოგადოების შექმნა. ჩინეთში მუშავდება ინოვაციური განვითარების პროგრამები, რომლებიც ითვალისწინებენ საზოგადოების ტექნოლოგიურ მოდერნიზაციას ინოვაციური ციკლის („კვლევა — დამუშავება — წარმოება — გავრცელება — ინოვაციის გამოყენება“) ელემენტების ეფექტური ურთიერთკავშირის საფუძველზე.

კრეატიული საზოგადოების განვითარებაში მთავარ როლს ახალი იდეები და ინოვაციები ასრულებს. ინოვაციური განვითარების ობიექტია საზოგადოების თითქმის ყველა სფერო: ეკონომიკა, მეცნიერება, ტექნიკა, განათლება, კულტურა, პოლიტიკა, ხელოვნება, სპორტი, სოციალური სექტორი, დარგები, საწარმოები და ა.შ.

კრეატიული საზოგადოების ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტია მისი წევრების კრეატიული აზროვნება, რაც მათი უნარია სხვადასხვა ელემენტების ანალიზის, კომბინირებისა და სინთეზის დახმარებით შექმნან ისეთი მნიშვნელობის ცოდნა, რომელსაც ამა თუ იმ სფეროში დიდი სოციალურ-ეკონომიკური ეფექტი ექნება.

კრეატიულ ანალიზში იგულისხმება მრავალი ელემენტის სხვადასხვა ჯგუფებად დანაწილება (მაგ., სამომხმარებლო ბაზრის სეგმენტაცია). შემოქმედებითი სინთეზი ესაა განსაზღვრულ კონტექსტში ნაირგვაროვანი ელემენტების გაერთიანება და ამით საბოლოო შედეგზე დამატებითი ფასეულობის მინიჭება.

კრეატიულ საზოგადოებაში ადამიანთა **კრეატიული** პოტენციალი უფრო მეტად იხსნება. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კაცობრიობის არსებობისა და განვითარების მთავარი მიზანია ადამიანთა **კრეატიული** შესაძლებლობების მაქსიმალურად გახსნა, ხოლო საზოგადოებრივი ფორმაციის ცვლა ესაა კაცობრიობის გადასვლა ახალ, უფრო მაღალ

კრეატიულ დონეზე. ამასთან, რაც ხელს უშლის ან არ შეესაბამება ამ პროცესს, უსიცოცხლოა და ქრება.

როგორც ცივილიზაციის ისტორია და განვითარებული ქვეყნების (მაგ., აშშ, იაპონია, გერმანია...) გამოცდილება გვიჩვენებს, კრეატიული განვითარებისთვის შედარებით სასურველი პირობები მაშინ იქმნება, როცა **საზოგადოება ჰუმანიზმის, ლიბერალიზმისა და დემოკრატიის პრინციპებს ეფუძნება, ხოლო მისი მიზანია სიმდიდრის ზრდა, ძლიერების განმტკიცება და კრეატიული განვითარება**.

ჰუმანიზმი ნიშნავს, რომ საზოგადოებაში ყველაფერი კეთდება ადამიანის კეთილდღეობის, სრულყოფის, განვითარებისა და დასაცავად. იგი კრეატიული საზოგადოების მთავარი პრინციპია და სხვა პრინციპები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მას. ასეთ საზოგადოებაში მთავარი ფასეულობა ადამიანია.

ლიბერალიზმი არის მრავალფეროვანი იდეები და ქმედებები ეკონომიკასა და პოლიტიკაში, მათ შორის მრავალფეროვნება საკუთრების ფორმებში, პოლიტიკურ იდეებსა და პარტიებში.

დემოკრატია გულისხმობს ხელისუფლების არჩევითობას ყველა დონეზე (რესპუბლიკური, რეგიონული და ადგილობრივი).

სიმდიდრის ზრდა ნებისმიერი ეკონომიკური საქმიანობის მთავარი მიზანი და აზრია. განვითარებული ქვეყნების ძალისხმევა საერთო კეთილდღეობის ზრდაზეა ორიენტირებული. ქვეყნის სიმდიდრე მოიცავს ყველა მატერიალურ, არამატერიალურ (მათ შორის, ინტელექტუალურს), ფინანსურ, ბუნებრივ და ადამიანისეულ რესურსებს, ასევე ქვეყანაში მოხმარებული პროდუქციისა და მომსახურების მოცულობას, ხარისხსა და ასორტიმენტს, რომლებიც ინდივიდუალურ და საზოგადოებრივ მოთხოვნებს აკმაყოფილებს.

საზოგადოების სიმდიდრე ადამიანთა მატერიალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მთავარი წყაროა. იგი არ შეიძლება მისი მოქალაქეების სიმდიდრისაგან მოწყვეტით განვიხილოთ. შეძლებული ადამიანების შექმნა კრეატიული ეკონომიკის უმთავრესი ამოცანაა.

კრეატიული საზოგადოების საერთო სიმდიდრის სტრუქტურაში არაეკონომიკური შემადგენლების (მეცნიერება, განათლება, ჯანდაცვა, ეკოლოგია) წილი მატულობს. პირველ ადგილზე გამოდის ადამიანისეული კაპიტალის ფორმირება და განვითარება. მაგ., გერმანიაში, შვედეთსა და იაპონიაში ადამიანისეული კაპიტალის წილი ეროვნულ სიმდიდრეში 80%-ს აღწევს.

საზოგადოების ძლიერება გულისხმობს ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სამეცნიერო-ტექნიკურ, სამხედრო და დემოგრაფიულ შემადგენ-

ლებს. ძლიერება აუცილებელია სიმდიდრის დასაცავად, საზოგადოებისა და მისი მოქალაქეების განვითარების უზრუნველყოფისა და უსაფრთხოებისათვის.

საზოგადოების კრეატიული განვითარება ნიშნავს მისი ყველა შემადგენლის — ეკონომიკის, პოლიტიკის, სოციალური სფეროს, დარგების, რეგიონების, საწარმოების, საქონლის, მომსახურების, ტექნოლოგიების, ბიზნესის, მეცნიერების, ტექნიკის, განათლების, კულტურის, ხელოვნებისა და სხვათა ინოვაციურ განვითარებას. [104]

კრეატიული განვითარებისათვის უმთავრესია კრეატიული კლასი ანუ ის ადამიანები, რომლებიც სხვადასხვა სფეროში ინოვაციურ საქმიანობას ასრულებენ.

რ. ფლორიდას შეფასებით, სხვა ქვეყნებთან შედარებით, აშშ-ის წინმსწრები განვითარება სწორედ კრეატიული კლასის დამსახურებაა, რომელიც მომუშავეთა საერთო რაოდენობის მესამედია.

კრეატიულ საზოგადოებას ახასიათებს:

1. სხვადასხვა სფეროში (ეკონომიკა, მეცნიერება, ტექნიკა, ხელოვნება, სოციალური სფერო, პოლიტიკა და სხვ.) კრეატიულობის სისტემატური ინვესტირება;
2. ინოვაციებზე გაწეული ხარჯების უკუგების ზრდა;
3. შემოქმედებით საქმიანობაში ჩართული პროფესიონალების მატება;
4. ვენჩურული კაპიტალის გადიდება;
5. ინოვაციური ინფრასტრუქტურის (ტექნოპარკები, ინოვაციურ-ტექნოლოგიური ცენტრები და კომპლექსები, ვენჩურული ფირმები, ბიზნესინკუბატორები) განვითარება.

კრეატიულ საზოგადოებაში ცენტრალურ როლს სახელმწიფო ასრულებს. ხელისუფლების საქმიანობა წარმართულია საზოგადოების ყველა სფეროსა და ყველა დონეზე (ქვეყანა, დარგი, საწარმო, მოქალაქე) სიმდიდრის ზრდისაკენ. სახელმწიფო არეგულირებს ინოვაციურ და საგანმანათლებლო პროცესებს და ამით უზრუნველყოფს მსოფლიო ბაზრებზე ქვეყნის კონკურენტუნარიანობას, აფინანსებს ფუნდამენტურ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს, რომელთა შედეგები აისახება კომერციულ სექტორში, რადგან მარტო ბიზნესს სრული მოცულობით მეცნიერების დაფინანსება არ შეუძლია.

---

[104] შდრ.: — აშშ-ის პრეზიდენტი **ბარაქ ობამა**: „ჩვენ ვიცით, რომ ერი, რომელიც დღეს ინოვაციაზე ყველაფერს ჩამოვა, ხვალ გლობალური ეკონომიკის მფლობელი იქნება. ამიტომ ამერიკას არა აქვს უფლება, დათმოს ინოვაცია.“

კრეატიულ ქვეყნებში ხელისუფლება ყველა ღონეს მიმართავს, რომ ნიჭიერ და კრეატიულ ადამიანებს მათ ქვეყანაში სურდეთ ცხოვრება და შემოქმედებითი მუშაობა. აღნიშნულის სანიმუშო მაგალითია აშშ.

კრეატიულ საზოგადოებაში სახელმწიფოს ფუნქციებია:

- პიროვნების თავისუფლებისა და საკუთრების დაცვა;
- სამეწარმეო საქმიანობის აქტიური მხარდაჭერა;
- სოციალური ინოვაციებისთვის ინსტიტუციური გარემოს შექმნა;
- ეროვნული ინოვაციური სისტემის ჩამოყალიბება და მისი ფუნქციონირების ეფექტურობის უზრუნველყოფა.

სახელმწიფოს ინოვაციური პოლიტიკის მიზანია მსოფლიო დონეზე მეცნიერების, ტექნიკისა და განათლების განვითარება, მათი წვლილის გადიდება ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში, ეკოლოგიის გაუმჯობესება, საერთაშორისო ბაზრებზე ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლება.

კრეატიულ საზოგადოებაში მნიშვნელოვანია მოსახლეობის გამომგონებლობა და ინტელექტუალური საკუთრების მართვის ეფექტური სისტემა. საგამომგონებლო აქტიურობის ძირითადი ინდიკატორია მოსახლეობის საგამომგონებლო აქტიურობის კოეფიციენტი (საპატენტო განაცხადების რაოდენობა მოსახლეობის 10 ათას სულზე გაანგარიშებით) და რეგისტრირებული პატენტების რაოდენობა.

კრეატიულ საზოგადოებაში აღზრდისა და განათლების სისტემამ უნდა უზრუნველყოს სპეციალისტების მომზადება ინოვაციური ციკლის ყველა სტადიაზე.

13. კრეატიული განვითარების თავისებურებები

კრეატიული განვითარების კონცეფციას სოციალური მეცნიერებები ჯერჯერობით სათანადო ყურადღებას არ აქცევენ. არადა, კრეატიული განვითარება ცვლის ტრადიციულ წარმოდგენას სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მოდელებისა და დამატებითი ღირებულების შექმნის წყაროების შესახებ. იგი სამუშაო ძალისადმი, საწარმოო ინფრასტრუქტურისადმი და ინსტიტუციური გარემოსადმი სრულიად სხვა მოთხოვნებს აყენებს.

კრეატიული განვითარებისათვის შესაბამისი წანამძღვრებია საჭირო, რომელთა შორის მთავარია: კვალიფიციური განათლება, მაღალი სამომხმარებლო სტანდარტები, პროფესიონალი სპეციალისტები, სათანადო ტექნოლოგიური პოტენციალი და განვითარებული ინსტი-

ტუტები. საყურადღებოა ისიც, რომ კრეატიული განვითარების პირობები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში არაერთგვაროვანია.

კრეატიული განვითარება არ არის კრეატიული ინდუსტრიის ნაკრები. იგი ხარისხობრივი ძვრებია თანამედროვე საზოგადოებაში და გვევლინება, როგორც სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ახლებური გაგება, ბაზრის ახალი ხარისხი, ცვლილებები საკუთრებით ურთიერთობებში, შრომასა და კაპიტალში. საზოგადოების განვითარების ამ ასპექტებს ჯერ კიდევ ნაკლები ყურადღება ექცევა ეკონომისტების, პოლიტოლოგების, სოციოლოგებისა და სხვათა მიერ.

ეკონომიკურ თეორიაში დომინირებს წარმოდგენა სოციალურ-ეკონომიკური რესურსების შეზღუდულობის შესახებ.

კრეატიული განვითარება ცვლის ჩვენს წარმოდგენას რესურსების შეზღუდულობის შესახებ. იგი ეფუძნება ახალ იდეებს, ახალ ინფორმაციას, რომელიც გამოყენების პროცესში კი არ მცირდება, არამედ, პირიქით, დიდდება და ვითარდება.

თუ მიწა და კაპიტალი, რომლებიც ინდუსტრიულამდელი და ინდუსტრიული საზოგადოებებისთვის საკვანძო, მაგრამ შეზღუდული რესურსები იყო, ცოდნა მისი გამოყენებით არა თუ მცირდება, პირიქით, მხოლოდ იზრდება, ფართოვდება და ახალ ფორმებსაც იძენს. წარმოიშობა ახალი გამოცდილება, ვლინდება ახალი ცოდნა. ამასთან, ახალი ცოდნის გენერირება შრომისა და კაპიტალის განსაკუთრებულ ხარჯებს არ მოითხოვს, რადგან ცოდნა თვითგენერირდება. კარგი იდეა შეიძლება ძალიან დიდხანს გამოიყენებოდეს და მისი ფასიც იზრდებოდეს. ამით მისგან უკუგება კი არ მცირდება, პირიქით, იზრდება.

ადამიანის ინტელექტუალური შესაძლებლობები თითქმის ულევი რესურსია. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ კრეატიულობა არაფასეული წყაროა. აღნიშნული ისე უნდა გავიგოთ, რომ ჩანაფიქრისა და იდეების რაოდენობა, რომლებიც თანამედროვე ტექნოლოგიურ ბაზას ემყარება და პლუს საზოგადოებაში დაგროვილი ცოდნა, შეუზღუდავია.[105]

ცხადია, **კრეატიული განვითარება შეზღუდული რესურსების გამოყენებისაგან თავშეკავებას არ გვთავაზობს, თუმცა, მათ პროდუქტიულობას მნიშვნელოვნად ამაღლებს.**

კრეატიული განვითარება ფასეულობათა ბუნებას ცვლის. მაგ., ინფორმაციის ფასეულობა განსხვავდება სხვა სამომხმარებლო სიკეთეების ფასეულობისაგან. ინფორმაციის დიდი ნაწილი ხანგრძლივვადიანია და გამოყენების შედეგად ღირებულებას არ კარგავს.

[105] **Florida R. (2002).** The Rise of the Creative Class. And How It's Transforming Work, Leisure and Everyday Life.

განსხვავებით, მაგ., სასურსათო პროდუქტისაგან, რომელიც მხოლოდ ერთჯერადად მოიხმარება, ცოდნა როგორც მისი შემქმნელის, ისე სხვების მიერაც მრავალჯერ გამოიყენება. ამასთან, ამ სხვებმა შესაძლოა მისით სარგებელიც მიიღონ და სანაცვლოდ არაფერი გადაიხადონ. ამ შემთხვევაში ცოდნა (ინფორმაცია) საზოგადოებრივი სიკეთე ხდება, რომელიც ორ კრიტერიუმს უნდა პასუხობდეს:

1. შეუზღუდველობა;

2. არაკლებადობა.

პირველი ნიშნავს, რომ ერთი ადამიანის მიერ რაიმე იდეის მოხმარება არ ზღუდავს სხვა მომხმარებლის მიერ იმავე იდეის გამოყენებას, ანუ მათ შეუძლიათ რაიმე სიკეთისგან ერთდროულად მიიღონ სარგებელი.

არაკლებადობა გულისხმობს, რომ საზოგადოებრივი სიკეთის მოხმარებით იგი არ მცირდება და ნებისმიერ მსურველს მისი გამოყენება თავისუფლად შეუძლია.

აღნიშნული ნიშნავს, რომ ინფორმაცია/ცოდნა არაკონკურენტულია, ანუ ნულოვანი დანახარჯებით სხვებსაც შეუძლიათ მისი გამოყენება. მასზე არ ვრცელდება კლებადობის პრინციპი (შეზღუდულობა გამოყენებაში). ამიტომ იგი ყველასთვის ხელმისაწვდომია. ხსენებულის მაგალითია ფუნდამენტური სამეცნიერო კვლევების შედეგები, რაც შეიძლება საჯარო იყოს.

კრეატიული განვითარების პირობებში მნიშვნელოვანად იცვლება საკუთრებითი ურთიერთობები. კრეატიული კლასის საკუთრება (კაპიტალი) მხოლოდ მათი ცოდნა და ტალანტია, რომელსაც აკონტროლებენ და წარმოების საშუალებების მფლობელებიც თვითონვე არიან. ამიტომ, კრეატიულ განვითარებაში კაპიტალი ახალ შინაარსს იძენს.

კაპიტალმა, როგორც ეკონომიკურმა კატეგორიამ, მრავალი ცვლილება განიცადა და ყოველ ეპოქაში ახალი შინაარსი შეიძინა. თანამედროვე სოციოლოგიურ-ეკონომიკურ თეორიებში მუშავდება კაპიტალის სხვადასხვა კონცეფციები, რომელთა შორის გამოირჩევა სოციალური კაპიტალის, კულტურული კაპიტალის, ინტელექტუალური კაპიტალისა და კრეატიული კაპიტალის თეორიები.

კრეატიულობა, როგორც პროცესი, სამი კაპიტალის (სოციალურ-კულტურული, ადამიანისეული და ორგანიზაციული) ურთიერთზემოქმედებით განიხილება.

სოციალურ-კულტურული კაპიტალი გულისხმობს ორგანიზაციის იმ თავისებურებებს, რომელთაც შეუძლიათ განამტკიცონ საზოგადოების მიერ განხორციელებული კოორდინირებული მოქმედების ეფექტიანობა. კაპიტალის სხვა ფორმების მსგავსად, სოციალურ-კულ-

ტურული კაპიტალიც საწარმოო კაპიტალია, რომლითაც გარკვეული მიზნები ხორციელდება. მაგ., ჯგუფს, რომლის წევრები ერთმანეთს ენდობიან, გაცილებით მეტი შეუძლია გააკეთოს, ვიდრე ისეთს, სადაც ასეთი ნდობა არ არსებობს.

სოციალურ-კულტურული კაპიტალი თანამშრომლობისაკენ ლტოლვას ბადებს. „მორალური რესურსებია“ მისი ნაირსახეობა, რომლის მოცულობა მოხმარების პროცესში კი არ მცირდება, არამედ იზრდება, ხოლო იმ შემთხვევაში ამოიწურება, როცა არ გამოიყენება. რაც უფრო ენდობიან ადამიანები ერთმანეთს, მათ შორის ურთიერთობის ხარისხი უფრო მაღლდება და მტკიცდება.

საზოგადოების სოციალურ-კულტურული კაპიტალი საჭიროებს საზოგადოებრივ ინსტიტუტებს, ურთიერთობებსა და ფასეულობებს. თუმცა, იგი მისი შემადგენელი ელემენტების არა უბრალო ჯამია, არამედ თავისებური სინერგიული კავშირია, რადგან ადამიანებს ერთ მონოლითურ გუნდად ადუღაბებს და საზოგადოების განვითარებაში ფუნდამენტურ როლს ასრულებს.

სოციალურ-კულტურული კაპიტალი მოიცავს საზოგადოებაში აღიარებულ ქცევის წესებს, ფასეულობებს, პიროვნებათშორის ურთიერთობებს, პასუხისმგებლობას, რის შედეგადაც საზოგადოება რაღაცით უფრო მეტი ხდება, ვიდრე მისი წევრების ნაკრები.

სოციალურ-კულტურული ნორმები და ურთიერთკავშირი მათი გამოყენების შემთხვევაში ძლიერდება და მხოლოდ გამოუყენებლობი-სას ქრება. მისი ერთ-ერთი სპეციფიკური ნიშანია ისიც, რომ იგი მოსარგებლე პირთა „საერთო ქონებაა“, მაშინ, როცა ფინანსური კაპიტალი, როგორც წესი, კერძო პირებს ეკუთვნის. სხვა საჯარო სიკეთეების მსგავსად, სოციალურ-კულტურული კაპიტალი არ არის დახშული და ჩაკეტილი ადამიანთა მიერ.

ადამიანისეული კაპიტალი ინდივიდის ინტელექტუალურ შესაძლებლობებს ასახავს. ასეთი კაპიტალი მოცემულია ადამიანის ცოდნასა და უნარებში. მისი ინვესტიციის სფეროა განათლება, გამოცდილების დაგროვება და ჯანმრთელობის დაცვა.

ადამიანისეული კაპიტალი ქვეყნის (ქალაქის, რეგიონის, საწარმოს) განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორია.

ხშირად კრეატიულ კაპიტალსა და ადამიანისეულ კაპიტალს ერთმანეთთან აიგივებენ. ჩვენი აზრით, ადამიანისეული კაპიტალის ცნება უფრო ფართოა. პირველი კაპიტალი, როგორც წესი, ფორმალურ განათლებასთან კავშირშია, მეორე — არა. მაგ., მხატვრების, კომპო-

ზიტორების, პოეტებისა და სხვათა კრეატიულობაში მეტად მნიშვნელოვანია თანდაყოლილი ნიჭი, ტალანტი.

კრეატიული განვითარება დასაქმების ხარისხს ცვლის, რადგან ამ შემთხვევაში შრომითი საქმიანობის შიდა მოტივაცია უფრო მაღალია.

აღნიშნულს რიგი ფაქტორები განაპირობებს:

- საინტერესო, მიმზიდველი, მრავალფეროვანი და საპასუხისმგებლო სამუშაო — შესაძლებლობა იმისა, რომ შეგიძლია მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანო მოცემულ საქმეში;
- თვითდარწმუნება იმაში, რომ შენს საქმიანობას აზრი აქვს;
- შრომის მოხერხებული პირობები — მოქნილი სამუშაო გრაფიკი და თავისუფალი გარემო;
- სტაბილური სამუშაო და გარანტირებული დასაქმება;
- მაღალი ანაზღაურება და კოლეგების მხრიდან აღიარებადობა.

კრეატიული განვითარება შრომის ბაზარსა და დასაქმების ფორმებს ცვლის. წინა პლანზე გამოდის მობილურობა, დისტანციური დასაქმება და შრომის მოქნილი პირობები. ტექნოლოგიური პროგრესის შედეგად სამუშაო დრო იზრდება. კრეატიული საქმიანობა უწყვეტ ფორმას იღებს — სამუშაო დღის შემდეგაც შეიძლება გაგრძელდეს და ნებისმიერ ადგილას შესრულდეს.[106]

კრეატიულ განვითარებაში მეტად მნიშვნელოვანია ის წვლილი, რომელიც საზოგადოების განვითარებაში შეაქვთ მეცნიერებს, ნიჭიერ, კრეატიულ ადამიანებს, რადგან აქვთ შემოქმედებითი აზროვნება და ორიგინალური, არასტანდარტული იდეების გენერირების უნარები. ცივილიზებულ სამყაროში სწორედ ისინი ქმნიან მეტწილ ზედმეტ ღირებულებას და ხალხთა ცხოვრების დონესაც მნიშვნელოვნად ამაღლებენ.[107]

14. კრეატიული საზოგადოების სიმდიდრე (დოვლათი)

სიმდიდრის საკითხი კაცობრიობას ანტიკური პერიოდიდან აღელვებს. ფილოსოფიურ შეხედულებათა ისტორია ადამიანის ყოფაცხოვრებაში სიმდიდრის ცნებისა და ადგილის განსაზღვრის შესახებ მრავალ მიდგომას გვთავაზობს.

---

[106] Measuring the Creativity of a City: A Proposal and an Application. [http://opec.ru/1457537.html]

[107] **Florida R. (2002).** The Rise of the Creative Class. And How It's Transforming Work, Leisure and Everyday Life.

სიმდიდრისადმი განსხვავებული ინტერპრეტაციის მიუხედავად, მას ორი მხარე აქვს: მატერიალური და სულიერი (არამატერიალური).

ვიწრო გაგებით, მატერიალურ სიმდიდრეში (დოვლათში) იგულისხმება ყოველგვარი უძრავი და მოძრავი ქონება, ხოლო სულიერში (არამატერიალურში) — ადამიანის კრეატიული (შემოქმედებითი) უნა-რები, ინტელექტუალური შესაძლებლობები (იხილეთ წინამდებარე წიგნის ნაწ. II. საკითხი: „ინტელექტუალური კაპიტალის შეფასება“).

ფართო გაგებით, ყოველგვარი „სიმდიდრის (დოვლათის) განმსაზღვრელია არა მარტო ბუნებრივი, თვით ადამიანის ჩათვლით, ფიზიკური ძალები, არამედ მასთან ერთად, ადამიანის, როგორც განსაკუთრებული ფენომენის, თვისებებთან, მოქმედებასთან, აზროვნებასთან დაკავშირებული ფაქტორები, ინტელექტუალური ძალები, მათი მოქმედების შედეგები. ამ ფაქტორებს მნიშვნელოვანი სიახლეები შეაქვს სამყაროში. ბუნებრივ-გენეტიკური და ადამიანთა საქმიანობასთან დაკავშირებული (ხელოვნური) ფაქტორების ერთიანი შესაძლებლობის (რესურსის) სახით გვევლინება სოციალური ენერგია, როგორც დოვლათშემქმნელი პოტენციალი“.[108]

სიმდიდრე სოციალური ფენომენია, რომელიც შესაძლებლობას იძლევა შევიგრძნოთ თვითკმაყოფილება და შევიცნოთ საკუთარი ყოფიერება.

სიმდიდრის ცნება მოვლენების ფართო სპექტრით ხასიათდება, კერძოდ, ჭარბი მატერიალური სიკეთეებით, ადამიანის შინაგანი სამყაროთი, გამოცდილებით, ცოდნით, პროფესიული მიღწევებითა და მის ისეთ მდგომარეობას ასახავს, როცა აქვს საკუთარი უნარებისა და შესაძლებლობების თვითრეალიზაციისა და მუდმივი განვითარების საშუალება, სამუშაოთი და სხვებთან ურთიერთობით იღებს შინაგან კმაყოფილებას და დარწმუნებულია პროგრესული მომავლით.[109]

სიმდიდრის მოპოვება-დაგროვებისადმი აშკარა თუ ფარული შინაგანი მისწრაფება, ადამიანთა დაუნდობელი ბრძოლა, საზოგადოების განვითარების ყველა ეპოქას ახასიათებდა. თანამედროვე პოსტინდუსტრიული საზოგადოება ორიენტირებულია მოხმარების საგნების მოცულობის გადიდებაზე და ადამიანს აიძულებს საკუთარი მოთხოვ-

---

[108] ცნება „სოციალური ენერგია“ ახალი შინაარსითა და მეცნიერული კატეგორიის რანგში პირველად გაავრცელა პროფესორმა **გ. მალაშხიამ** მონოგრაფიაში „მეტაეკონომიკა — ეკონომიკის ფილოსოფია“ (1995), რომელიც კიდევ უფრო გააღრმავა და განავითარა ახალ მონოგრაფიაში „სოციალური ენერგია — სიმდიდრე, კეთილდღეობა“. თბ., „უნივერსალი“, 2013.

[109] **Флорида Р. (2005).** Креативный класс: люди, которые меняют будущее. М.

ნილებების დასაკმაყოფილებლად და გასამდიდრებლად მუდმივ პაექრობაში იყოს.

სიმდიდრით ტკბობა ანუ ჰედონიზაცია (სიამოვნება) ადამიანის ყოფიერების აუცილებელი ფაქტორია. ინდივიდი თავის მოქმედებას სიკეთედ მხოლოდ მაშინ აღიქვამს, როცა ცალ-ცალკე ან ერთად მისგან იღებს როგორც მატერიალურ, ისე სულიერ კმაყოფილებას.

თანამედროვეობის დამახასიათებელი თავისებურებაა ადამიანის დაუოკებელი სწრაფვა საკუთარი შემოსავლების გადიდებისა და დაგროვებისაკენ, თუნდაც მაშინ, როცა დაუფლებული რესურსებით ვერ სარგებლობს და ვერც ვერასოდეს ისარგებლებს, თუმცა, მისი მატერიალური სიმდიდრე ბედნიერებისა და კმაყოფილების განცდას ანიჭებს. მაგრამ, ნამდვილია, ჭეშმარიტია ასეთი გრძნობა? ხომ არ არის იგი ძირითადი მიზეზი მუდამ სტრესულ მდგომარეობაში ყოფნისა? ხომ არ გვევლინება გამდიდრებისა და მატერიალური დოვლათის დაგროვების ზღარგადასული შინაგანი მოთხოვნილება თანამედროვე მომხმარებლური საზოგადოების ხელოვნურ იდეოლოგიად, რომელსაც მასმედიის საშუალებებითა და მრავალფეროვანი რეკლამებით აქტიური (ზოგჯერ, მომაბეზრებელიც) პროპაგანდა ყველგან უწყვეტად ეწევა?

სიმდიდრის ფენომენის ანალიზის კონტექსტში აუცილებელია აღინიშნოს მისი სულიერი შემადგენელი — ზოგადსაკაცობრიო სიმდიდრე.

მნიშვნელოვანია კრეატიულობის პოტენციალის, როგორც თანამედროვე საზოგადოების საკაცობრიო სიმდიდრის წონადი შემადგენლის, მეთოდოლოგიური საფუძვლების კვლევა.

შემოქმედებითი, ნოვატორული საქმიანობა, ინდივიდის შემოქმედებითი შესაძლებლობები, ხელს უწყობს პრინციპულად ახალი იდეების გამოვლენას, რითაც ხასიათდება კრეატიულობის ცნება. რაიმე ახლის შექმნა კი, თავის მხრივ, საშუალებას იძლევა გავიგოთ და გავაცნობიეროთ ყოველივე ახალი ყოფიერებაში.

ჭეშმარიტი საკაცობრიო სიმდიდრეა არა მატერიალური დოვლათი, არამედ ადამიანთა ერთობლივი შემოქმედებითი უნარები, სწრაფვა რაღაც ახლის, ღირებულის შექმნისა და სრულყოფა უკვე არსებულისა ან იგივეს შექმნა, მაგრამ სხვაგვარად და უკეთესად.

თანამედროვე შემოქმედებითი ადამიანისთვის თავისი საქმიანობის სფეროში მთავარია არა უბრალოდ რაღაცის შექმნა, არამედ საკუთარი კრეატიულობის გამოვლენა, თვით ამ პროცესის შეგრძნება და მისი პრაქტიკული განხორციელება. კრეატიული ადამიანისთვის აუცილებელია მისი საქმიანობის ადეკვატურად შეფასება და თავისი ქმედების კრეატიულობაში დარწმუნება.

კრეატიული ადამიანი შემოქმედებით შრომაში ნამდვილად განიცდის სასიცოცხლო მოთხოვნილებას. ამის შესახებ ჯერ კიდევ დიდი ბერძენი მოაზროვნე **სოკრატე** საუბრობდა, რაც აღწერა მისმა მოწაფემ, იდეათა თეორიის ფუძემდებელმა, დიდმა ფილოსოფოსმა **პლატონმა** თავის დიალოგში — „ნადიმი“: **„თითოეული ჩვენგანი ნაყოფიერდება როგორც ხორციელად, ისე სულიერადაც, და რა მივაღწევთ გარკვეულ ასაკს, შობის სურვილი აატოკებს მაშინ ჩვენ ბუნებას“**,[110] და თუ რომელი მიმართულებით განვითარდება იგი, კარგის თუ ცუდის, თვით ადამიანზე და გარემოებაზეა დამოკიდებული.

ადამიანის ნებისმიერ საქმიანობას აქვს თავისი მიზანი, რომლის შედეგია როგორც მატერიალური, ისე სულიერი სარგებლის მიღება. ყოველი ინდივიდი საკუთარი საქმიანობით ავლენს საკუთარ თავს, შინაგან სამყაროს, წარმოდგენებს, მისწრაფებებს, რაც, თავის მხრივ, სოციუმში ფორმირდება და სააშკარაოდ მჟღავნდება. ამიტომ შემოქმედებითი საქმიანობა ადამიანის სოციალური საქმიანობის შემადგენელია, რომელსაც სუბიექტური და ობიექტური ხასიათი აქვს.

კრეატიული ადამიანები ქმნიან კრეატიულ საზოგადოებას, რომელშიც იბადება და იზრდება ყოველი სუბიექტის ინდივიდუალური მისწრაფებები თვით ამ საზოგადოებისადმი. თავის მხრივ, საზოგადოება მართავს კრეატიული საქმიანობის ფორმებსა და მიმართულებებს. კრეატიულობის თავისუფალი, განუკითხავი დანერგვა საზოგადოების მიერ იზღუდება, სახელდობრ, მორალის ზოგადმიღებული ღირებულებებით, სამართლებრივი და ეთიკური ნორმებით.

დღევანდელ კაპიტალისტურ საზოგადოებაში, საბაზრო ურთიერთობის პირობებში, სახელმწიფო ჩინოვნიკებს ადამიანის ნებისმიერი საქმიანობის, და მათ შორის, კრეატიულობის შესახებ, უპირველესად, მხოლოდ მატერიალური მხარე აინტერესებთ. შედეგად, კრეატიული საქმიანობის სულიერი ფასეულობები, უმეტეს შემთხვევაში, მატერიალურის სასარგებლოდ ნიველირდება (ისპობა). მაგრამ თანამედროვე მოაზროვნე ადამიანი შეუძლებელია მხოლოდ მატერიალურით დაკმაყოფილდეს. საკუთარი „ეგოს“ თუნდაც თავისთვის შეგრძნებისათვის, ადამიანმა უნდა შეძლოს მისივე პოტენციური უნარების სრულად რეალიზება, რაც შემდეგ საკაცობრიო სულიერი სიმდიდრის ნაწილი გახდება.

მატერიალური სიმდიდრისგან განსხვავებით, ადამიანის კრეატიულობა, შემოქმედებითობა, ღვთით ბოძებული ჭეშმარიტი სულიერი

---

[110] **პლატონი. (1964).** ნადიმი. თბ., „საბჭოთა საქართველო“, გვ. 56.

სიმდიდრეა, რომლის დაკარგვა არ აშინებს და აშფოთებს მას, რადგან იგი შეუძლებელია. მსგავსად ცოდნისა, ყოველი ინდივიდი საკუთარი სულიერი სიმდიდრის „დაგროვებას“ პირადი ძალისხმევის მაქსიმალური დაძაბვითა და რუდუნებით ინდივიდუალურად ცდილობს.

ცხოვრების დღევანდელი სწრაფი რიტმის პირობებში ადამიანის კრეატიული უნარების შეჩერება ან თუნდაც შენელება მეტად რთულია, რადგან კონკურენციის გამო, საბაზრო ეკონომიკა ყოველი ინდივიდისგან საკუთარი უნარების, ცოდნისა და ქმედებების ეფექტურ რეალიზაციას მოითხოვს.

თანამედროვე ადამიანი საბაზრო ადამიანია. მისი არსებობა ვინმესთვის არის გამიზნული. იგი ისეთი ადამიანია, რომლის არსებობა, შრომის შედეგი, აზროვნება და ყოფიერება, საზოგადოებაში არსებულ მოთხოვნას მთლიანად ემორჩილება. სანაცვლოდ ყოველი დასაქმებული მატერიალურ ანაზღაურებას იღებს. ამასთან, არ გაითვალისწინება ამ შრომით მიღებული კმაყოფილება, თვითრეალიზაციის გრძნობა. საბაზრო ადამიანი ეკონომიკური საქმიანობის სუბიექტია. მისი აქტიურობა უტილიტარულია (სარგებლიანია).

დღეს შრომის უმეტესი სახეობა რუტინულია, ერთგვაროვანი და არასაინტერესოა, თუმცა სუბიექტს მატერიალურ სარგებელს აძლევს და ამით კმაყოფილების განცდას ანიჭებს. მაგრამ იგი მაცდუნებელი გრძნობაა, რადგან საკაცობრიო მიზნები არ გააჩნია.

დივერგენტულად აზროვნება ძალიან რთულია. გაცილებით მარტივია შაბლონური, სტერეოტიპული აზროვნება, რადგან ამარტივებს ყოველდღიურ შრომას და ამცირებს დავალების შესრულების დროს, რაც კაპიტალისტურ საზოგადოებაში ოპტიმალურია. მაგრამ, მეორე მხრივ, იგი შემოქმედს საშუალებას არ აძლევს გაარღვიოს დამკვიდ-რებული ჩარჩო, გააკეთოს რაღაც ახლებურად, გამოიყენოს უჩვეულო სქემა ან სხვა რამ, და ამით განიცადოს სულიერი კმაყოფილება და განავითაროს საზოგადოება. აუცილებელია ყოველი ადამიანის ძალის-ხმევა წარიმართოს კრეატიულობისაკენ, შემოქმედებითი შესაძლებ-ლობების მაქსიმალური გამოვლენისა და თვითრეალიზაციისაკენ.

ადამიანის ნებისმიერი საქმიანობა, და მათ შორის, შემოქმედებითიც, სოციალურია, რადგან თვით ადამიანია სოციალური არსება. სოციალური შემოქმედება ესაა სოციუმის სუბიექტის კრეატიული ქმედება, რომელიც საზოგადოებაში მიღებული ნორმებიდან გასვლას გვთავაზობს. ამასთან, ყოველი ქმედება უნდა იყოს სიკეთის მომტანი

და სოციუმში განსაზღვრული სიტუაციის სრულყოფისაკენ მიმართული.[111]

სოციალური შემოქმედების თავისებურება იმაში ვლინდება, რომ იგი უმაღლესი ხარისხის შემოქმედებაა, რადგან გამიზნულია ადამიანისა და საზოგადოების სრულყოფისაკენ, არსებული და მოსალოდნელი ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ.

სოციალური შემოქმედება სოციალური ყოფიერების საფუძველია. იგი შეიძლება გამოვლინდეს პირადი თვითმმართველობის ფორმით, თვითგამორკვევითა და თვითგანვითარებით.

სოციალური შემოქმედების განვითარება განპირობებულია საზოგადოებრივი ურთიერთობის ხასიათით, საზოგადოებრივი ცნობიერების განვითარების მაღალი ხარისხითა და საზოგადოების სულიერი კულტურის საერთო დონით. სოციალური შემოქმედება შეიძლება გამოისახოს ინდივიდის შრომითი საქმიანობით.

არსებობს პირდაპირი კორელაცია შრომასა და შემოქმედებას შორის. შემოქმედების ხარისხის განმსაზღვრელია ადამიანის დამოკიდებულება შრომისადმი, ცხოვრების პირობები, მისი და მთლიანად საზოგადოების კულტურული განვითარების დონე. შემოქმედებითი საქმიანობა წარმატებულია მაშინ, როცა შრომა ხდება არა ფიზიკურად გადარჩენის საშუალება, არამედ სიცოცხლის უმთავრესი აზრი.

ცნობილი ამერიკელი ეკონომისტი **ა. მასლოუ** ადამიანის მოთხოვნილებათა იერარქიას „სულიერი მოთხოვნილებით“ აგვირგვინებს, რომელშიც კრეატიულობას (შემოქმედებითობას) გულისხმობს. „ადამიანი – ესაა პირამიდა, რომლის საფუძველია ბიოლოგიური, ხოლო მწვერვალი — სულიერი მოთხოვნილებები. და თუ ადამიანის ცნობიერებას წარვმართავთ თავის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად და გასააქტიურებლად, მივიღებთ ცივილიზაციის სრულიად ახალ ტიპს. ადამიანი გახდება თავისი ბედისადმი უფრო პასუხისმგებელი, იხელმძღვანელებს გონიერი ფასეულობებით, აღარ იქნება გარე სამყაროსადმი გულგრილი, რითაც სულიერ ღირებულებებზე დაფუძნებულ საზოგადოებას უფრო მივუახლოვდებით“.[112]

.

[111] **Хелел Г. (2007).** Конкуренция за будущее. Создание рынков завтрашнего дня. М.
[112] **Маслоу А. Г. (1999).** Дальние пределы человеческой психики. СПб. С. 206-207.

ადამიანები ვხდებით მხოლოდ განათლებით.
იმანუელ კანტი

ნაწ. II. განათლება და ცოდნა – კრეატიული განვითარების საფუძველი

1. განათლების აუცილებლობა და მსოფლიო კრიზისი

კაცობრიობის ცივილიზაცია ადამიანთა განათლების შედეგად მიღებული ცოდნის (კულტურის) შექმნილია. თავის მხრივ, განათლება ცოდნის სახით განივთებულია ადამიანში და მის მიერ შექმნილ ნივთებსა და სულიერ ღირებულებებში.

ადამიანის ბუნება განათლებისა და გაუნათლებლობის შესახებ შესანიშნავად აღწერა დიდმა ბერძენმა მოაზროვნემ **პლატონმა** თავის დიალოგში „სახელმწიფო“ (თავი VII), სადაც გამოქვაბულის ალეგორიის სახით წარმოადგინა ადამიანის სწრაფვა შემეცნებისაკენ, „სულის აღმასვლა გონით საწვდომი სამყაროს მიმართ“.[113]

რატომ ისწრაფვის ადამიანი განათლების (ცოდნის) მიღებას?

იმიტომ, რომ სურს შეიცნოს ის სამყარო, რომელშიც ცხოვრობს და მასში ღირსეული ადგილი დაიმკვიდროს, სასიცოცხლოდ აუცილებელი სულიერი და მატერიალური მოთხოვნილებები დაიკმაყოფილოს, სხვებთან ურთიერთობაში კომფორტულად იგრძნოს თავი.[114]

განათლება (ცოდნა) აუცილებელია თანამედროვე ადამიანისთვის, მით უმეტეს შემოქმედისთვის.

ადამიანი განათლებით იღებს **ცოდნას, რომელიც არის საზოგადოებრივ-ისტორიული პრაქტიკით შემოწმებული და ლოგიკურად დადასტურებული სინამდვილის ჭეშმარიტი, ადეკვატური ასახვა ადამიანის ცნობიერებაში წარმოდგენების, ცნებების, მსჯელობებისა და თეორიების სახით.**

---

[113] **პლატონი.** სახელმწიფო. (თავი VI და VII)//წიგნში: შესავალი თანამედროვე აზროვნებაში. **(2014).** წიგნი I. თბ., „ილიაუნი“. გვ. 9-82.

[114] შდრ.: — **პლატონი:** „რა უბადრუკია ყველა აზრი, რომელიც ცოდნას არ ემყარება; ან კიდევ, — **ვაჟა-ფშაველა:** „უცოდინარობა დიდი ცოდვაა, მიუტევებელი ცოდვა“; ან კიდევ, — **ფრანსის ბეკონი:** „ცოდნა ძალაა“; ან კიდევ, — **რუდაქი:** „დღიდან სამყაროს არსებობისა, არ იყო კაცი, რომელსაც ცოდნა არ სჭირვებოდეს.“

სამყაროში არსებული ცოდნა უსასრულოა. მის შეცნობას ადამიანის სიცოცხლე არ ჰყოფნის.[115]

აღნიშნულით ინდივიდების დონეზე განათლების (ცოდნის) მიღება და გამოყენება ნათელია, მაგრამ ქვეყნის მასშტაბით რატომაა აუცილებელი განათლების სფეროსადმი ყურადღების მიქცევა?

ქვეყნის განვითარების სამი მოდელია აპრობირებული:

1. **სანედლეულო,** — ბუნებრივი რესურსების მარაგების გაყიდვით აუცილებელი სამრეწველო პროდუქციის იმპორტი;
2. **ტექნოლოგიური,** — ინტელექტუალური საკუთრების (ლიცენზია, პატენტი, „ნოუ-ჰაუ“ და სხვ.) იმპორტით ეროვნული ინდუსტრიის განვითარება;
3. **ინოვაციური,** — საკუთარი ფუნდამენტური სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ბაზაზე მეცნიერებატევადი ტექნოლოგიების შექმნა, მოხმარება და ექსპორტი.

მესამე მოდელია ყველაზე პროგრესული და ქვეყნის გადამრჩენი.

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, თანამედროვე ინფორმაციულ საზოგადოებაში, როცა ადამიანს განათლების მისაღებად გაცილებით მეტი შესაძლებლობა მიეცა, მსოფლიო მასშტაბით განათლების კრიზისი შეიმჩნევა, რაც შემდეგ ნეგატიურ ტენდენციებში ვლინდება:

- წერა-კითხვის უცოდინართა რაოდენობა მატულობს;
- განათლების ხარისხი კლებულობს;
- განათლებასა და კულტურას, განათლებასა და მეცნიერებას შორის სხვაობა დიდდება;
- განათლების პროცესიდან თანდათან მოსწავლის (სტუდენტის) განრიდება ხდება.

ჯერ კიდევ 1970-ან წლებში საუბრობდნენ განათლების მსოფლიო კრიზისზე. ეს სისტემა ძნელად ეგუება საზოგადოებაში მიმდინარე სწრაფ ცვლილებებს. გარდა ამისა, განათლება სულ უფრო მეტ ფინანსებს მოითხოვს, რაც თვით მდიდარ და წარმატებულ ქვეყნებშიც კი სრულად არ ანაზღაურდება.

ცნობილი ფრანგი მკვლევარი **ფილიპ კუმბსი** (1922-1996) განათლების მსოფლიო კრიზისის გამომწვევ 3 ძირითად მიზეზს ასახელებს:

1. განათლებისადმი ხალხთა მასების მიმზიდველობის ზრდას არსებული საგანმანათლებლო ქსელი ვერ აკმაყოფილებს;

[115] შდრ.: — **სენეკა**: „უნდა ვისწავლოთ მხოლოდ აუცილებელი და არა ყველაფერი, რაც გზად შეგვხვდება.“

2. ფინანსური საშუალებების უკმარისობის გამო, განათლების სისტემა ახალ მოთხოვნებს სრულად ვერ პასუხობს;
3. განათლების სისტემის შინაგანი წყობა ინერტულია.[116]

კუმბსის აზრით, აუცილებელია განათლების სისტემის მოდერნიზაცია (პედაგოგიური კადრებისა და სწავლების პროცესის სრულყოფა, ფინანსური მდგომარეობის განმტკიცება). იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ცვლილებებისადმი დამოკიდებულებას და თვლიდა, რომ „მეცნიერებებში ნობელის პრემიები ენიჭებათ ძველი, ფესვგადგმული წარმოდგენების უარყოფაში და ახალი ჭეშმარიტების აღმოჩენაში. ამგვარი დამოკიდებულება და სიახლისადმი სითამამე, ნორმა უნდა გახდეს განათლებაშიც“.

ინფორმაციულმა რევოლუციამ განათლების სისტემის წინაშე არა მარტო ახალი ამოცანები დააყენა, არამედ რიგი ცვლილებებიც შეიტანა, რომელთა შორის შედარებით მნიშვნელოვანია:

- **საგანმანათლებლო გარემო უფრო გამჭვირვალე გახდა**;
- **შეინიშნება განათლების ინდივიდუალიზაცია.** მეტი ყურადღება ინდივიდის შესაძლებლობებს ექცევა. ამ პროცესში არჩევის კომპონენტი აქტიურად ერთვება;
- **თვითგანათლება წამყვან ფორმად ყალიბდება**. თუ ტრადიციული საგანმანათლებლო სისტემა მასწავლებლის (ლექტორის) მიერ მოსწავლის (სტუდენტის) ცალმხრივ სწავლებას ეფუძნებოდა, ახალი სისტემით მასწავლებელი (ლექტორი) კონსულტანტის როლში გვევლინება;
- **თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები ცოდნისშემქმნელ განათლებას მოითხოვს,** რითაც განათლების რელევანტურობა (არსებითობა) და ხარისხი მაღლდება. თუ ინდუსტრიულ საზოგადოებაში განათლება ორიენტირებული იყო ინდივიდის გონებაში ინფორმაციის „ჩატვირთვაზე“, ცოდნის საზოგადოებაში მას კრეატიული (შემოქმედებითი) მიდგომა ცვლის;
- **უწყვეტი განათლების სისტემის ფორმირება.** განათლების ტრადიციული სისტემა მიმართული იყო ახალგაზრდობის ასაკში სწავლის შეძენაზე და ცოდნის პრაქტიკაში უცვლელად გამოყენებაზე. განათლების ახალი სისტემა სიცოცხლის განმავლობაში სწავლას გვაიძულებს. ცოდნის საზოგადოებაში მეტი ყურადღება მოწიფულთა ასაკში განათლების მიღებას ექცევა, რადგან გლო-

[116] **Кумбс Ф. (1970)**. Кризис образования в современном мире: системный анализ: Пер. с англ. М., «Прогресс», 293 с.

ბალურ სოციუმში მიმდინარე მნიშვნელოვანი ცვლილებებისადმი ადაპტაცია აუცილებელი ხდება.

იაპონელი სოციოლოგის **ენძი მასუდას** აზრით, ცოდნის საზოგადოებაში განათლების სისტემა შინაარსობრივად იცვლება.

ნიშნავს თუ არა ყოველივე იმას, რომ განათლების სისტემის კრიზისი ბუნებრივად მოგვარდება?

რა თქმა უნდა, არა.

აუცილებელია ღრმად გავაცნობიეროთ, რომ კრიზისშია არა მარტო მსოფლიო საგანმანათლებლო სისტემა, არამედ თვით სწავლების ანუ ცოდნისა და გამოცდილების გადაცემის არსებული პარადიგმა.[117]

რა ფაქტორებმა განაპირობა ყოველივე?

1. **ცოდნის მოცულობის მკვეთრი ზრდის პირობებში იგი სწრაფად ახლდება**, რაც ცოდნის საზოგადოებისთვის დამახასიათებელია.

XX საუკუნის მენეჯმენტის თეორეტიკოსი, „მენეჯმენტის მამად“ წოდებული ამერიკელი მეცნიერი **პიტერ დრუკერი** (1909-2005) თვლიდა, რომ „ცოდნა ყოველ 10 წუთში ძველდება“.[118] ამიტომ ცოდნის საზოგადოებაში თეზისი — **„განათლება მთელი სიცოცხლის განმავლობაში“** — სულ უფრო მეტად მკვიდრდება და აუცილებელი ხდება;

2. **ინფორმაციული რესურსების „კვლავწარმოება“ ზრდადი აზრობრივი დეგრადაციის პირობებში მიმდინარეობს.** აშშ-ის ვიცეპრეზიდენტი, ნობელიანტი მშვიდობის დარგში (2007) **ალბერტ გორი** მიიჩნევს, რომ „ჩვენ განათლების კრიზისი გვაქვს ჭარბი ინფორმაციის პირობებში, და ეს არ არის უბრალო დამთხვევა. აღმოვჩნდით რა უმეცრების წინაშე, კიდევ უფრო მეტ ინფორმაციას ვაწარმოებთ და არ გვსურს გავიგოთ, რომ მართალია მას აქვს ძველი ცოდნის ღირებულება, მაგრამ სიბრძნის შეცვლა არ შეუძლია“;[119]

3. **არსებული რეალიები განათლების შინაარსს არ შეესაბამება**. რეგულარულად გამოყენებადი ტექნოლოგიური ნაკადები დროის მოთხოვნებზე ადეკვატურად (შესაბამისად) ვეღარ რეაგირებს. სამყარო გაცილებით სწრაფად იცვლება, ვიდრე განათლება შინაარსობრივად ახლდება. **თანამედროვე ცოდნა იმგვარი უნარების ფლობას საჭიროებს, რეალობასთან რომ გვაკავშირებს;**[120]

---

[117] **Masuda Y. (1983).**The Information Society as Postindustrial Society. Washington: World Future. Soc., 171 p.

[118] **Друкер П. Ф. (2000).** Практика менеджмента: Пер. с англ. М., «Вильямс», 398 с.

[119] **Гор А. (1999).** Земля на чаше весов. В поисках новой обшей цели//Новая постиндустриальная волна на Западе. М., «Academia», С. 568.

[120] **გათრი უ. (1983).** ბერძენი ფილოსოფოსები. თბ., „საბჭ. საქართველო“. გვ. 82.

4. დეჰუმანიზაციის ფონზე ტექნოკრატიული სნობიზმის გაძლიერება, ფასეულობების, მსოფლმხედველობით-ზნეობრივი ორიენტირების აღრევა შეინიშნება. დღევანდელი პრობლემების ბაზისია არა ტექნიკური, არამედ ჰუმანიტარული ცოდნის უკმარობა. თანამედროვე სპეციალისტის მომზადებაში ჰუმანიტარული ასპექტების უყურადღებობამ მათი „ზნეობრივ-ეთიკური დეგრადაცია“ გამოიწვია.

ჰუმანიტარული „აცრის“ გარეშე, საზოგადოების ტექნოგენური ინტენსიური განვითარება უცილობლად წარმოშობს დეჰუმანიზაციას, აზროვნების ტექნოკრატიას, ფასეულობებისა და ზნეობრივი ორიენტირების აღრევას. ბოლო ათწლეულებმა აჩვენა, რომ თანამედროვე ცივილიზაციის კრიზისი თვით ადამიანის კრიზისია, მისი წარმოდგენებისა და ფასეულობების კრიზისია.

დღევანდელ სპეციალისტზე თავსმოხვეული ზღვა ინფორმაცია ცოდნის განახლებას გამუდმებით მოითხოვს, ტექნიკის სფეროში ახალი აღმოჩენები, საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარულ სფეროებს შორის მეცნიერული ცოდნის მეთოდოლოგიური სიცარიელე და სხვ., ტექნიკური საწყისების გაფეტიშებას, ხოლო ჰუმანიტარულის იგნორერებას იწვევს. აღნიშნული კი, კულტურასა და ცივილიზაციას შორის წინააღმდეგობას აძლიერებს, რაც განათლების კრიზისის სერიოზული წყარო ხდება. ზნეობრივი განვითარების გარეშე, კულტურის უკმარისობის პირობებში, ტექნიკური (ტექნოლოგიური) მეცნიერება სოციალური პროგრესის ფაქტორი ვერ იქნება. ამიტომ საზოგადოებაში ჰუმანიტარულის „კომპენსაციური წვლილი“ უნდა გაძლიერდეს.

ამერიკელი სოციოლოგის, პოსტინდუსტრიული საზოგადოების კონცეფციის ერთ-ერთი ავტორის, **ელვინ ტოფლერის** აზრით, „ჩვენ იმ პერიოდში ვართ, როცა კულტურას უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ოდესმე. კულტურა არ არის რაღაც გაქვავებული ქარვა, ესაა, რასაც ჩვენ ყოველდღიურად ვქმნით“.[121]

21 უნივერსიტეტის საერთაშორისო ქსელმა მსოფლიოს 50 ქვეყანაში შეიწავლა უმაღლესი განათლების ეროვნული სისტემის დონე და 2015 წლის რეიტინგული შკალა წარმოადგინა. რეიტინგი შეფასდა 4 ჯგუფში გაერთიანებული 24 ძირითადი მაჩვენებლის მიხედვით:

1. **რესურსები** (კერძო/სახელმწიფო ინვესტიციები) — 25%;
2. **შედეგები** (სამეცნიერო კვლევები და პუბლიკაციები, კურსდამთავრებულთა დასაქმება და სხვ.) — 40%;

[121] **Тоффлер Э. (1986).** Третья волна//Новая технократическая волна на Западе. М., «Прогресс», С. 228.

3. **კავშირები** (საერთაშორისო თანამშრომლობა) — 10%;
4. **გარემოცვა** (სახელმწიფო პოლიტიკა და რეგულირება, განათლების მიღების შესაძლებლობა) — 25%.

რეიტინგის მოწინავე ხუთეული ასე ჩამოყალიბდა: აშშ, შვეიცარია, დანია, ფინეთი და შვედეთი (საქართველო ამ სიაში არ ფიქსირდება).[122]

2. განათლების სისტემის თანამედროვე პარადოქსები

მიმდინარე ეპოქაში ადამიანის საქმიანობის ხასიათის ცვლილებამ, რომელიც ნათლად აღწერა ინფორმაციული საზოგადოების ცნობილმა თანამედროვე მკვლევარმა, ურბანული სოციოლოგიის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა, ესპანელმა **მანუელ კასტელსმა**, განათლების სისტე-მაში მრავალი პარადოქსი (უცნაური მოვლენა) წარმოშვა.[123] ამიტომ აუცილებელია სხვაგვარად გავიაზროთ თუ რა და როგორ უნდა ვასწავლოთ ახალ პირობებში. ეს პარადოქსებია:

1. ინფორმაციული სიჭარბის პარადოქსი. ცნობილია, რომ ინტერნეტში განთავსებულია დიდძალი მოცულობის მრავალფეროვანი, როგორც სარწმუნო (ვალიდური), ისე არასარწმუნო საყოველთაო ინფორმაცია, რაც ახალი ცოდნის გენერაციაზე მისი მომხმარებლის მოტივაციას დიდად ამცირებს. ნაცვლად იმისა, რომ სწავლის მსურველმა ხელმისაწვდომი ინფორმაციის ინტერპრეტაცია[124] (კომპარატივისტიკული ანალიზი, კორელაციის მიგნება, კანონზომიერებისა და ტენდენციების დადგენა, სიტუაციის/მოვლენის კრიტიკული შეფასება, ხარვეზების გამოვლენა და ა.შ.) გააკეთოს, საკუთარ შეხედულებებთან შეაჯეროს და ცოდნა, როგორც საზოგადოებრივი სიკეთე, კიდევ უფრო გაამდიდროს, მოძიებული ინფორმაცია კოპირებით მექანიკურად გადმოაქვს და სხვათა მოსაზრებებს საკუთარ შეხედულებად გვთავაზობს (რასაც მეცნიერებაში პლაგიატობა ეწოდება). უფრო მეტიც, ამ დროს ინფორმაცია ცოდნად წარმოგვიდგება, მათ შორის არსებული განსხვავება იშლება და, რაც ყველაზე მთავარია — ინფორმაციის კრიტიკული დამუშავების უნარები ვერ ან არ გამომუშავდება.[125]

---

[122] [http://gtmarket.ru/news/2015/06/17/7207]

[123] **Кастельс М. (2000).** Информационная эпоха: экономика, общество и культура. Пер. с англ. М., «ГУ ВШЭ». 437 с.

[124] აზრის ახსნა, განმარტება.

[125] შდრ.: — **დემოკრიტე:** „კაცი ღრმა აზროვნებას უნდა ესწრაფოდეს და არა ღრმა ცოდნას“.

2. გაურკვევლობის პარადოქსი. რაიმე საკითხზე ოპერატიული გადაწყვეტილების მიღებისას დიდძალი მოცულობის ინფორმაციის თავისუფალი ხელმისაწვდომობა მათი ალტერნატივების რაოდენობას ადიდებს, რაც მოცემულ სიტუაციაში ინდივიდის დაბნეულობის (შეშფოთების) დონეს აძლიერებს. ეს განცდა მას უფრო სარწმუნო (ფასეული) ინფორმაციის საპოვნელად ახალი ძიებისკენ უბიძგებს, რაც გაურკვევლობის ხარისხს კიდევ უფრო ამაღლებს. ანალოგიური სიტუაცია წარმოიშობა ცოდნის მიმართაც: **შეძენილი ცოდნა ადიდებს ცოდნას და, იმავდროულად, აფართოებს არცოდნის ზონასაც.**[126]

3. დღეს გავრცელებულია გამოთქმა **„ცოდნის დაძველების პერიოდი“,** რაც ნიშნავს დროის იმ ინტერვალს, რომლის განმავლობაშიც ცოდნა კონკრეტულ სფეროში ძველდება და გამოუყენებელი რჩება. მაღალი ტექნოლოგიების სფეროში ეს პერიოდი შედარებით ხანმოკლეა — 2-2,5 წელი, სხვა სფეროებში უფრო მეტი — 4-5 წელი. ტრადიციული გაგებით, განათლება ცოდნის გადაცემაზე იყო ორიენტირებული და ერთჯერადად მიღებული, თუნდაც ხარისხიანი და უნიკალური ცოდნა პიროვნების კონკურენტულ უპირატესობას მუდმივად განაპირობებდა. თანამედროვე ცვალებად სამყაროში ასეთი უპირატესობა აღარაა განმსაზღვრელი. ამ ფაქტის გაცნობიერებით კიდევ ერთი, თვით **განათლების პარადოქსი** წარმოიშობა. სხვა წაკითხვით, ცოდნაზე დაფუძნებულ საზოგადოებაში ადრე მიღებული ცოდნის ფასი დროთა განმავლობაში იკლებს და ეს დროც სულ უფრო და უფრო მცირდება.[127]

4. განათლების პარადოქსთან მჭიდრო კორელაციაშია არანაკლებ მნიშვნელოვანი მეორე პრობლემა — **სწავლა/დამახსოვრების პარადოქსი**. სწავლა, ანუ განათლების მიღება, მოითხოვს საჭირო ინფორმაციის დამახსოვრებას (თუ გვახსოვს, ვიცით, ანუ გვაქვს ცოდნა, თუ არ გვახსოვს, მაშასადამე, არ ვიცით, რადგან დაგვავიწყდა ადრე ათვისებული ცოდნა/ინფორმაცია). ცოდნის სწრაფი დაძველების თანამედროვე პირობებში, მახსოვრობიდან უსარგებლო (ურგები) ინფორმაციის მოცილება (ტვინის „გასუფთავება“) ან არაარსებითზე თავიდანვე ყურადღების არგამახვილება (ტვინის წინასწარი „ფილტრაცია“) აუცილებელი ხდება.[128] ამიტომ ძველი, უვარგისი, გამოუსადეგარი ცოდნა

---

[126] შდრ.: — **სოკრატე:** „მე ის ვიცი, რომ ცოტა ვიცი“; ან კიდევ, — **ქეი-ქაუსი:** „ისეთ სიმაღლეს მისწვდა გონება, რომ ახლა მივხვდი რა უვიცი ვარ“; ან კიდევ, — **ჰერაკლიტე:** „პოლიმათია — მრავლის ცოდნა, ჭკუას ვერ შეგვძენს“.

[127] შდრ.: — **არისტოტელე:** „დრო პროცესია, რომელიც ყოველივეს ქმნის და სპობს, ანგრევს და აშენებს“; ან კიდევ, **ბეკონი:** „დრო უდიდესი ნოვატორია“.

[128] შდრ.: — **სენეკა:** „უნდა ვისწავლოთ მხოლოდ აუცილებელი და არა ყველაფერი, რაც გზად შეგვხვდება“.

დავიწყების (გაუჩინარების) ჩრდილს უნდა მივცეთ სამარადისოდ. (იგივე ეხება ადამიანის ადრინდელ ცუდ ზრახვებსა და მავნე ჩვევებსაც).

თანამედროვე პირობებში ინფორმაციის ნაკადი ინტენსიურად იზრდება. ერთ ადამიანს მისი სრულად ათვისება მთელი სიცოცხლის განმავლობაში არ შეუძლია. აღნიშნული ვითარება მომავალში კიდევ უფრო გართულდება. ამიტომ ნათლად წარმოჩნდა ცოდნის ერთიანი კომპლექსური ნაკრების შექმნის პრობლემა. სხვა წაკითხვით: რა და როგორი დოზით უნდა იცოდეს ყოველმა ინდივიდმა რომ ღირსეულად შეძლოს თანამედროვე პირობებში მუშაობა?

რაც შეეხება ცოდნის შევსებისა და სრულყოფის პროცესს, იგი ადამიანის მთელი სიცოცხლის განმავლობაში უწყვეტი უნდა გახდეს. თანამედროვე განათლების როლი სწორედ რომ ახალი გამოცდილება/ტექნოლოგიის გადაცემასა და, იმავდროულად, ინდივიდის აზროვნების გააქტიურებასა და შესაბამისი უნარების გამომუშავებაშია, რომლის საფუძველზე საბაზო ცოდნის ტრანსფორმაცია პერიოდულად იქნება შესაძლებელი.

3. განათლების თანამედროვე ტენდენციები და პიროვნების განვითარების პრობლემა

მიმდინარე პერიოდი ხასიათდება როგორც ინფორმაციული საზოგადოების ერა, რომლის განმასხვავებელი თავისებურებაა კოევოლუციაზე[129] ორიენტაცია. თუ როგორი იქნება მომავალი საზოგადოება დამოკიდებულია თვით ადამიანზე, მისი შემეცნების დონეზე, პიროვნებათაშორისი კავშირების დიაპაზონზე, სოციალურ თანაცხოვრებაში ინდივიდის ჩართულობის ხარისხზე.

თანამედროვე ეტაპზე განათლება პიროვნული მნიშვნელობის ფასეულობად ყალიბდება, რადგან ფუნდამენტური ცოდნა მომავალი სპეციალისტისა და საზოგადოების ობიექტური მოთხოვნილება ხდება.

სამყაროში არაფერია მარადიული და წარუდინებელი. ყოველ სულდგმულში მიმდინარეობს შობისა და კვდომის უწყვეტი პროცესი და ამ პროცესში ჩართულია მისი ცოდნაც, ზნე-ჩვეულებები, სურვილები... მაშასადამე, მთელი ჩვენი ზოგადი ცოდნა ცვალებადია და მის ცვლასთან ერთად ვიცვლებით ჩვენც.

შესაბამისად იცვლება განათლების ტრადიციული პარადიგმა, მისი იდეალი: „განათლებული ადამიანი“ — „კულტურულ ადამიანად“, ერთგანზომილებიანი, „ეკონომიკური ადამიანი“ — მრავალგანზომილები-

[129] ლათ. წინსართი co ერთობლივი და ევოლუცია; ბუნებისა და საზოგადოების ჰარმონიული განვითარება.

ანად განიხილება. იგი არა მარტო მცოდნე და რაღაც უნარ-ჩვევების მფლობელია, არამედ ფასეულობების, მსოფლმხედველობის, სამართლებრივი პრინციპების მქონე შინაგნად თავისუფალი ინდივიდია. „განათლებული ადამიანისგან“ განსხვავებით, „კულტურული ადამიანი“ თავის ცნობიერებაში აერთიანებს სხვადასხვა კულტურებს, ორიენტირებულია სხვებთან დიალოგისთვის.

განათლების თანამედროვე პრაქტიკაში უფრო მეტად მტკიცდება ფენომენოლოგიის კონცეფციის იდეა, რაც კავშირშია ცნობილი სოციოლოგის **ა. მასლოუს** შეხედულებებთან. მეცნიერს განათლებაში ესმოდა, როგორც ადამიანში უკვე „არსებულის“ გამომჟღავნება და არა სხვის მიერ წინასწარ მოფიქრებულის, როგორც აპრიორის უცილობელი სწავლება.[130] ამიტომ თანამედროვე განათლება პერსონალური ორიენტაციის ხდება. ამით კი ადამიანის ბუნებრივი პოტენციალის რეალიზაციის, მისი „მეს“ აქტუალიზაციის საჭირო პირობები იქმნება.

ჰუმანისტურ პრინციპებზე ორიენტირებულ განათლებაზეა დამოკიდებული ადამიანთა ერთობლივი თანამშრომლობა, შემოქმედებითობა, ურთიერთპატივისცემა, გულწრფელობა, ერთგულება. განათლების ამ ამოცანების გადასაწყვეტად, პირველ პლანზე პედაგოგთა მომზადების საკითხიც უცილობლად დგება.

განათლება ორგანზომილებიანი დარგია: ერთი მხრივ, იგი თვით საფუძველშია ჰუმანური, რადგან ადამიანის შესაძლებლობებისა და პიროვნული პოტენციალის ზრდაზეა ორიენტირებული, ხოლო მეორე მხრივ, მისი განვითარების თანამედროვე პირობები ტექნოლოგიურია. მოცემული წინააღმდეგობრიობა არა მარტო მრავალი პრობლემის წარმომშობია, არამედ დარგის მიზნებისა და საშუალებების შესაბამისობის ძიების მასტიმულირებადი ძლიერი ფაქტორია.

4. უწყვეტი განათლების სისტემის გენეზისი

განათლების ინსტიტუტს ყველა ისტორიულ ეპოქასა და ყველა ტიპის საზოგადოებაში დიდი ყურადღება ექცეოდა. შემოქმედებითი პოტენციალის მუდმივი განვითარების იდეა, უწყვეტი განათლება ჯერ კიდევ ანტიკური პერიოდის დიდი მოაზროვნეების: **სოკრატეს, პლატონისა და არისტოტელეს** მიერ განიხილებოდა.

თუმცა, ძველ ეპოქაში ცოდნა დიდხანს არ ძველდებოდა. ამიტომ კანონზომიერი იყო უპირატესობა მუდმივის, ურყევისა მიმდინარეზე, აზრი უსასრულობის არსებობისა სასრულზე.

თავდაპირველად უნივერსიტეტები ჩამოყალიბდნენ, როგორც მოაზროვნე-მკვლევართა და სტუდენტთა „თავისუფალი ასოციაციები“. საუნივერსიტეტო კორპორატიულობის ძირითადი ნიშნები ჯერ კიდევ XI საუკუნეში ქ. ბოლონიაში (იტალია) დაარსებულ პირველ ევროპულ უნივერსიტეტში, როგორც „სტუდენტურ კორპორაციაში“ არსებობდა. ორიგინალური ის იყო, რომ კორპორაციაში პროფესორები არ შედიოდნენ.

მოგვიანებით, XII საუკუნეში, „მასწავლებელთა კორპორაციის“ ფორმით დაარსდა პარიზის სორბონის უნივერსიტეტი. შუა საუკუნეების უნივერსიტეტები სახელოსნოებთან, მონასტრებთან და სამეფო ორდენებთან იქმნებოდა. მათ თავიანთი დანიშნულება, საქმიანობის ნორმები და ქცევის წესები (ცერემონიის ჩატარების ტრადიციები, წესდება და სხვ.) ჰქონდათ.

პირველ უნივერსიტეტებს სამეფო კარი მეურვეობდა. ცნობილია, რომ საფრანგეთის მეფე შარლ V ბრძენი (იგივე კარლ V) უნივერსიტეტს „მეფის უფროს ქალიშვილს“ უწოდებდა. მაღალი პრესტიჟის პარიზის უნივერსიტეტი ინტერნაციონალური გახლდათ. მის მაგისტრებს წამყვანი თანამდებობები ეკავათ ევროპაში. მათი დასაქმების არეალი მსოფლიო ქრისტიანული სამყარო იყო. იმავდროულად, ისინი მშობლიურ უნივერსიტეტთან მჭიდროდ თანამშრომლობდნენ.

პარიზის უნივერსიტეტს ურთიერთობა ჰქონდა რომის პაპთან. ავინიონის ყველა ფრანგი პაპი უნივერსიტეტს დიდად წყალობდა, რადგან „ეკლესიის პირველ სკოლად“ მიაჩნდათ. უნივერსიტეტი ღვთისმსახურების საკითხებში საერთაშორისო არბიტრის როლს ასრულებდა.

მოგვიანებით, უნივერსიტეტების მიმართ პაპების მხარდაჭერა კიდევ უფრო გაძლიერდა. მაგ., პაპმა ცელესტინ III-მ 1194 წელს პარიზის უნივერსიტეტს პირველი პრივილეგიები მიანიჭა, ხოლო პაპებმა: ინოკენტი III-მ და გრიგორი IX-მ მისი ავტონომია მნიშვნელოვნად განამტკიცეს. 1215 წელს კარდინალმა რობერტ დე კუსინმა უნივერსიტეტს პირველი წესდება შეუდგინა, ხოლო პაპმა გრიგორი IX-მ სპეციალური ბულით — ახალი სტატუსი არგუნა.[131]

---

[130] **Духавнева А. В., Столяренко Л. Д. (2000).** История зарубежной педагогики и философия образования. Ростов н/Д., «Феникс», 480 с.

[131] **Гофф Жак Ле. (2003).** Интеллектуалы в Средние века. Пер. с франц. 2-е изд. СПб., С. 61-62.

ანალოგიური პროცესები მიმდინარეობდა სხვაგანაც. კერძოდ, ოქსფორდში უნივერსიტეტის დამოუკიდებლობას რომის პაპების: ინოკენტი III-ისა და ინოკენტი IV-ის ძლიერი მხარდაჭერა უზრუნველყოფდა. ბოლონიაში პაპმა ჰონორიუს III-მ უნივერსიტეტს სათავეში არქიმანდრიტი ჩაუყენა, ხოლო 1278 წელს, როცა ქალაქმა პაპი თავის სენიორად აირჩია, სანაცვლოდ უნივერსიტეტი სამეფო კარის გავლენისგან საბოლოოდ გათავისუფლდა.

რა იყო ძლიერი პონტიფექსების ასეთი მხურვალე მხარდაჭერის მთავარი მიზანი?

რა თქმა უნდა, წმინდა ტახტმა კარგად იცოდა ინტელექტუალთა მნიშვნელობა და ფასი. ამიტომ მისი მზრუნველობა უანგარო არ იყო. სამეფო კარის იურისდიქციიდან უნივერსიტეტების გამოყვანით და ეკლესიაზე დაქვემდებარებით, ინტელექტუალებს თავისი პოლიტიკის გავლენის ქვეშ აქცევდა და კონტროლსაც თვითონვე უწესებდა.[132]

ადრინდელი უნივერსიტეტები, როგორც ინტელექტუალური საქმიანობისა და განათლების ინსტიტუტები, სტუდენტებზე არ იყო ორიენტირებული. სწავლის გადასახადი, თავისი მნიშვნელობით, მომლოცველის მიერ ეკლესიის შემოწირულობის დარად განიხილებოდა. უნივერსიტეტების ფინანსური შემოსავლები ძირითადად სახელმწიფო ასიგნებებითა და მეცენატების მხარდაჭერით, მცირედით კი, სტუდენტების გადასახადით იქმნებოდა. ტრადიციული უნივერსიტეტი არათუ არ იყო „საბაზრო ინსტიტუტი“, არამედ, გარკვეულწილად, სამრეწველო-სავაჭრო საქმიანობას კიდეც ეწინააღმდეგებოდა.

კაცობრიობის სრულყოფილი განვითარების პრობლემა ნათლად აისახა დიდი ფრანგი განმანათლებელ-ფილოსოფოსების, **ჟან ჟაკ რუსოსა** და **ფრანსუა ვოლტერის** ჰუმანისტურ შეხედულებებში.

ევროპული მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებელმა, ჩეხმა პედაგოგმა და ჰუმანისტმა, **იან კომენსკიმ** (1592-1670) საზოგადოებას უწყვეტი განათლების იდეა შესთავაზა.

იგი მიიჩნევდა, რომ ყოველი ასაკი სწავლისთვის შესაფერისია და ადამიანს ცხოვრებაში არ აქვს სხვა მიზანი, გარდა სწავლისა. თუმცა, ამ პროგრესული იდეის მეცნიერული გააზრება, პრაქტიკულად, XX საუკუნის 60-ანი წლებიდან დაიწყო, როცა გამოვიდა ფრანგი მკვლევრის **ფილიპ კუმბსის** წიგნი «Кризис образования в современном мире: системный анализ».[133]

---

[132] იქვე, გვ. 64.

[133] „განათლების კრიზისი თანამედროვე მსოფლიოში: სისტემური ანალიზი”.

1965 წელს იუნესკოს კონფერენციაზე ფრანგმა მეცნიერმა **პიერ ლენგრანდმა** პირველად წარმოადგინა უწყვეტი განათლების კონცეფცია.

XX საუკუნის II ნახევრიდან ევროპაში დაწყებული ინტეგრაციული პროცესები უმაღლესი განათლების სფეროსაც შეეხო. საზოგადოებამ სულ უფრო მეტად გააცნობიერა სრულყოფილი და წარმატებული ევროპის აუცილებლობა. დრომ მოითხოვა ისეთი ერთიანი ევროპული საგანმანათლებლო სივრცის შექმნა, რომელშიც გაერთიანდება ევროპის ინტელექტუალური, კულტურული, სოციალური და სამეცნიერო-ტექნოლოგიური განზომილებები. განათლებასა და შრომის პირობებში მნიშვნელოვანი ცვლილებების პერიოდი დადგა. პროფესიული კარიერის მრავალფეროვნება და მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლა აშკარა აუცილებლობა გახდა.

უმაღლესი განათლების ღია ევროპული სივრცე, რომელსაც მსოფლიოს ევროპული საგანმანათლებლო სისტემა სთავაზობს, მოიცავს მდიდარ პოზიტიურ პერსპექტივებს, თუმცა მოითხოვს მუდმივ ძალისხმევას ამ სფეროში არსებული ბარიერების გასაუქმებლად და ისეთი სტრუქტურების შექმნას, რომლებიც გააფართოებს სწავლის მსურველთა მობილობას და განამტკიცებს უნივერსიტეტების აკადემიური პერსონალის პროფესიულ თანამშრომლობას.

რამ განაპირობა ყოველივე და რამ შექმნა მისი განხორციელების წანამძღვრები?

უპირველესად, ევროპაში მიმდინარე ღრმა პოლიტიკური, კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის ინტეგრაციულმა პროცესებმა და თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებმა.

უძველეს სახელოვან უნივერსიტეტებში (ბოლონიის, ოქსფორდის, კემბრიჯის, სორბონის, უპსალას და სხვ.) სწავლებისა და სწავლის არსებული მოდელები დროის მოთხოვნებს ვერ პასუხობდა. ამიტომ აუცილებელი გახდა **„ცოდნის ევროპის“** — **ახალი ტრანსნაციონალური საგანმანათლებლო მოდელის** — შექმნა. ამ მიზნით მრავალი საერთაშორისო პოლიტიკურ-სამართლებრივი აქტი მიიღეს, კერძოდ:

1988 წელს ქ. ბოლონიაში (იტალია) გამოქვეყნდა **უნივერსიტეტების დიდი ქარტია**[134], რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ევროპის სივრცეში ახალი ინტერნაციონალური საგანმანათლებლო მოდელის დამკვიდრებას. ქარტიაში მკაფიოდ გამოიკვეთა ევროპულ ერებს შო-

[134] აქაც და შემდეგშიც, მოცემულ საკითხთან მიმართებაში, წყაროდ გამოყენებულია ბოლონიის პროცესის ძირითადი დოკუმენტები. თბ., 2005.

რის შორსგამიზნული თანამშრომლობის იმედი და რწმენა, მუდმივ-ცვალებად და მზარდ ინტერნაციონალურ საზოგადოებაში უნივერ-სიტეტების განსაკუთრებული როლი. ამასთან ერთად, აღინიშნა:

- ათასწლეულის მიჯნაზე კაცობრიობის მომავალი მნიშვნელო-ვანწილად არის დამოკიდებული იმ კულტურულ და სამეცნი-ერო-ტექნიკურ განვითარებაზე, რომელიც უნივერსიტეტების კულტურულ-სასწავლო-კვლევით ცენტრებში მიმდინარეობს;
- მთავარი დანიშნულება — მიაწოდოს ცოდნა ახალგაზრდებს — დღეს მთელ საზოგადოებაზე უნდა გავრცელდეს;
- უზრუნველყონ მომავალი თაობა ისეთი განათლებით, რომელიც მას ბუნებრივი გარემოსა და სიცოცხლის ჰარმონიის პატივის-ცემას ასწავლის.

განისაზღვრა უნივერსიტეტების ფუნდამენტური პრინციპები:

- **ავტონომიურობა.** უნივერსიტეტი არის სასწავლო-კვლევითი დაწესებულება, რომელიც ქმნის, აფასებს და ავრცელებს კულ-ტურას კვლევისა და სწავლების გზით. შემდეგ ამ პრინციპს „სა-ზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობის“ პრინციპიც დაემატა;
- **სწავლისა და კვლევის განუყოფლობა და თავისუფლება,** რომ სასწავლო პროცესი არ ჩამორჩეს საზოგადოების ცვალებად მოთხოვნებსა და სამეცნიერო ცოდნის მიღწევებს**;**
- **უნივერსიტეტი, როგორც ევროპული ჰუმანისტური ტრადი-ციების მეურვე,** მუდმივად მიისწრაფვის უნივერსალური ცოდ-ნისაკენ. მის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულებისას სცილ-დება გეოგრაფიულ და პოლიტიკურ საზღვრებს და ადასტურებს სხვადასხვა კულტურათა ურთიერთშეცნობისა და ურთიერთ-გავლენის სასიცოცხლო აუცილებლობას.

1997 წელს ქ. ლისაბონში მიიღეს **„ევროპის რეგიონში უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებული კვალიფიკაციების ცნობის კონ-ვენცია“**, ე.წ. **„ლისაბონის კონვენცია“.**[135]

კონვენციით განისაზღვრა უმაღლესი განათლების კვალიფიკა-ციების აღიარების პროცედურა, რაც საშუალებას აძლევს კონვენციის ხელმომწერი ქვეყნის მოქალაქეს მოითხოვოს მისი კვალიფიკაციის ან სწავლის პერიოდის ცნობა/აღიარება ხელმომწერი ქვეყნებისაგან.

საუნივერსიტეტო მოდელის ძირითადი ნიშნები აისახა სორბონის დეკლარაციაში **„ევროპის უმაღლესი განათლების სისტემის არქი-**

[135] მოცემული კონვენცია საქართველოს მიერ რატიფიცირებულია 1999 წლის 13 ოქტომბერს და ძალაშია 1999 წლის 1 დეკემბრიდან.

ტექტურის ჰარმონიზაცია“ (პარიზი, 1998), რომელშიც გამოიკვეთა უნივერსიტეტების ცენტრალური როლი ევროპის კულტურულ განზომილებათა სისტემაში. აღინიშნა, რომ ევროპა უნდა გახდეს **„ცოდნის ევროპა“**, რის გამოც უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის შექმნას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მოქალაქეთა მობილობის, დასაქმების გაუმჯობესებისა და კონტინენტის განვითარებისთვის.

1999 წელს ქ. ბოლონიაში (იტალია) მიიღეს დეკლარაცია **„უმაღლესი განათლების ევროპული სივრცე“**, რომელშიც ჩამოყალიბდა უმთავრესი პრინციპები, კერძოდ:

1. **იოლად გასაგები და შესადარებელი აკადემიური ხარისხების სისტემის შემოღება;**
2. **კრედიტების ტრანსფერისა[136] და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS)[137] დანერგვა;**
3. **მობილობის[138] ხელშეწყობა;**
4. **ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებში ევროპული თანამშრომლობის ხელშეწყობა;**
5. **სწავლა მთელი სიცოცხლის განმავლობაში;**
7. **აუცილებელი ევროპული განზომილებების დანერგვა** (კურიკულუმების თავსებადობა, შესადარისობა და გამჭვირვალობა).[139]
8. **სასწავლებლების მართვაში სტუდენტთა მონაწილეობა;**
9. **სწავლებისა და კვლევების განუყოფლობა.**[140]

უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის წევრობა ნიშნავს: ევროპულ სივრცესთან თავსებად უმაღლესი განათლების სისტემას; განახლებულ საგანმანათლებლო პროგრამებს; სწავლებისა და კვლევის მაღალ ხარისხს; სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის ურთიერთგაცვლას; უნივერსიტეტების ავტონომიას; დასაქმების უკეთეს შესაძლებლობებს და ა.შ.

---

[136] მობილური სტუდენტის მიერ მშობლიურ და მასპინძელ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული კრედიტების გადატანა ურთიერთაღიარების მიზნით.

[137] The European Credit Transfer and Accumulatio System.

[138] სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის თავისუფალი გადაადგილება სწავლის, სწავლებისა და კვლევის პროცესებში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ აკადემიური ხარისხებისა და კვალიფიკაციის ცნობით.

[139] ამ მიზნით დამუშავდა მეთოდოლოგია თუნინგი (საგანმანათლებლო სტრუქტურების ურთიერთშეწყობა ევროპაში).

[140] ბოლონიის პროცესს საქართველო 2005 წელს შეუერთდა.

5. საგანმანათლებლო პარადიგმის ტრანსფორმაცია

ა) საუნივერსიტეტო-საგანმანათლებლო მოდელების შედარება

ცოდნა თანამედროვე მსოფლიო არენაზე ერის კონკურენტული უპირატესობის მთავარი წყარო ხდება. აქცენტი გადადის ცოდნის წარმოებაზე, მის თეორიულ დასაბუთებასა და პრაქტიკულ გამოყენებაზე. ძველი მიდგომა — „მეცნიერება მეცნიერებისათვის", იცვლება ახალი, უფრო პროგრესული მიდგომით — „მეცნიერება როგორც სოციალური პრობლემების პრაქტიკული გადაწყვეტის წყარო".

სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი ისეთი ახალი ტიპის მუშაკის ფორმირებას მოითხოვს, რომელსაც არაპარადიგმული[141] პრობლემების დროულად გააზრება და ოპერატიულად გადაწყვეტა შეეძლება.

XXI საუკუნე იქნება ინტელექტუალების, კრეატიული პროფესიონალების აქტიური მოღვაწეობის ეპოქა, რადგან **განათლება (ცოდნა) არაა მარტო თეორიული მომზადება. იმავდროულად იგი არის ადამიანის აზროვნების სრულყოფა, გონით საწვდომი სამყაროს ჭვრეტა, ახალი ფასეულობებისა და ღირებულებების ჩამოყალიბება და მათი სისტემატური განახლება.**

ამ კონტექსტში უპრიანია კიდევ ერთხელ გავიხსენოთ ელადის კულტურის დიდი ფილოსოფოს-მატერიალისტის **დემოკრიტეს** (ძვ. წ. V-IV სს.) ჭეშმარიტი სიტყვები: **„კაცი ღრმა აზროვნებას უნდა ესწრაფოდეს და არა ღრმა ცოდნას".** მომავალში, კონკურენტებთან შედარებით, ნებისმიერი კომპანიის ერთადერთი კონკურენტული უპირატესობა მისი მენეჯერების სწრაფი და ეფექტური ქმედებით მიიღწევა.[142]

მრავალი ინტელექტუალური ადამიანის ცნობიერებაში არსებული ინტექტუალურ-კრეატიული თავისებურებები გამუდმებით ფარულად „ასხივებს" და ისეთ აზრებს წარმოშობს, რომლებიც პიროვნების შემოქმედებითი ენერგიის ველის ფაქიზ ნიუანსებს არხევს და, ხშირად, მოსვენებასაც აკარგვინებს. იმავდროულად, თეორიულად მომზადებული ადამიანი ერთიანი ინფორმაციული ველიდან (ინტელექტის

---

[141] ისეთი პრობლემები, რომელთა გადასაწყვეტად საჭიროა არასტანდატული მიდგომები. თავის მხრივ, ასეთი პრობლემები ის ფაქტორებია, რომლებიც განაპირობებს ექსტრაორდინალურ აღმოჩენებს და დასაბუთებისთვის პრინციპულად ახალ თეორიას მოითხოვს.

[142] შდრ.: — **ჩარლზ დარვინი:** „გადარჩება არა ყველაზე ძლიერი ან ყველაზე გო-ნიერი, არამედ ის, ვინც სხვებზე უკეთ შეძლებს ცვლილებებთან შეგუებას".

ნოოსფეროდან[143]) იმ აზრს იღებს, რომელიც მისთვის ძალიან საინტერესო და მიმზიდველია. ინფორმაციული სისტემა „ადამიანი-ნოოსფერო“, როგორც ერთიანი და მთლიანი, ადამიანში ისეთ ახალ თვისებებს აღვივებს, რომლებიც მისი შემადგენელი ელემენტების ჯამით არ გამოისახება. ასეთი კრეატიული მიდგომა დამახასიათებელია შემოქმედებითად მოაზროვნე ახალი მოდელის ადამიანისთვის, რომლის ფორმირება ამჟამად ხდება.

„ეკონომიკური ადამიანის“ (homo economicus) მოდელიდან, რომლის ქცევა ეფუძნება არა ინტელექტუალურ საქმიანობას, არამედ სამომხმარებლო არჩევანს, „შემოქმედი ადამიანის“ (homo creativus) მოდელზე გადასვლა გვთავაზობს, რომლის ბაზისია ადამიანის კრეატიულ ენერგიაში არსებული გამოუყენებელი, პოტენციური შესაძლებლობები.

ახალი ტიპის მუშაკის ფორმირების საფუძველი გახდება ორიგინალური იდეების, მოდელებისა და სხვათა შექმნისა და გავრცელებისთვის სათანადო შესაძლებლობების გამოვლენა და განვითარება. წინა პლანზე გამოვა არა ზოგადი ცოდნა, არამედ მისი შექმნა და გამოყენება. სხვა სიტყვებით, აუცილებელი იქნება არა თეორიული მომზადების სპეციალისტები (თეორეტიკოსები), არამედ პრაქტიკული მიზნებისთვის გამოყენებადი ცოდნა, კომპეტენციები და შემოქმედებითი უნარები. ამიტომ თანამედროვე ბიზნესი, მეტწილად, კრეატიული ინდივიდებით ინტერესდება. დღეს კომპანიებს ისეთი მუშაკები სჭირდებათ, რომელთაც კრიტიკულ-ანალიტიკური აზროვნება, ინოვაციური იდეები და ფართო თვალსაწიერი აქვთ.

შემოქმედებითი მოდელის ადამიანის ფორმირება მოითხოვს ინფორმაციული საგანმანათლებლო პარადიგმის სისტემური პარადიგმით შეცვლას (იხილეთ ცხრილი 2.1)

კრეატიულ სწავლებაზე დაფუძნებული ახალი საგანმანათლებლო პარადიგმის სწავლების სტანდარტი ხელს შეუწყობს სტუდენტის პიროვნულ განვითარებას, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას, მეტასაგნობრიობის[144] ფლობას.

---

[143] ბერძნული წარმომავლობის ტერმინი. სიტყვასიტყვით ნიშნავს „მოაზროვნე გარსს“ ანუ „გონიერების სფეროს“; ბიოსფეროს ახალი მდგომარეობა, უმაღლესი სტადია, რომელსაც განსაზღვრავს ადამიანის გონიერი მოქმედება. ეს ტერმინი შემოთავაზებულია ფრანგი ფილოსოფოსების **ედუარდ ლერუასა** და **პიერ დე შარდენის** მიერ 1927 წელს და ეფუძნება უკრაინელი მეცნიერის **ვლადიმერ ვერნადსკის** შეხედულებას.

[144] ისეთი უნარების გამომუშავება, რომელიც გამოიყენება ნებისმიერი დისციპ-ლინის შესწავლისას, უპირველესად, კვლევის მეთოდოლოგიაში,

ცხრილი 2.1. ინფორმაციული და სისტემური საგანმანათლებლო პარადიგმების თავისებურებები

	ინფორმაციული (კლასიკური) პარადიგმა	**სისტემური (კრეატიული) პარადიგმა**
1	**განათლების არსი და ძირითადი მისია**	
	განათლება, როგორც მომავალი თაობის მომზადების პროცესი ცხოვრებისა და შრომისათვის	• განათლება — აღზრდისა და სწავლების ერთიანი მიზანმიმართული პროცესი, საზოგადოებრივი სიკეთე, რომელიც ადამიანის, ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესებისათვის ხორციელდება • განათლება — შეძენილი ცოდნის, უნარების, სიახლეების, ღირებულე-ბების, გამოცდილებისა და კომპეტენ-ტურობების ერთობლიობა ადამიანის ინტელექტუალური, სულიერ-ზნეობ-რივი, შემოქმედებითი, ფიზიკური და პროფესიული განვითარებისათვის
2	**ცოდნა**	
	• წინა თაობის გამოცდი-ლება — „მეხსიერების სკოლა“ • შემეცნების პროცესის შედეგი, მისი ადეკვა-ტური ასახვა წარმოდ-გენების, მსჯელობისა და თეორიების სახით	• საზოგადოებრივი, მატერიალური და სულიერი საქმიანობის პროდუქტი • ინდივიდუალური ცოდნა — პერსონალური, პირადი ცოდნა, რომელიც აღზრდის, განათლებისა და საზოგადოებაში ადამიანთა სოციალური ურთიერთზემოქმედების შედეგად ყალიბდება
3	**კვალიფიკაცია**	
	კონკრეტული სახის სამუშაოს შესასრულებ-ლად მუშაკის პროფესიუ-ლი მომზადების ხარისხი	ცოდნის, უნარის, კომპეტენციის დონე, რომელიც ახასიათებს ინდივიდის მომზადებულობას გარკვეული სახეობის პროფესიულ საქმიანობაში
4	**სწავლება**	
	სტუდენტისთვის მზა ცოდნის გადაცემა	მიზანმიმართული პროცესი, რომლითაც სტუდენტი იძენს ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს

პოლივარი-ანტული ამოცანების გადაწყვეტაში, ეკონომიკური ზრდის მოდელის არჩე-ვაში და ა.შ.

5	**სტუდენტი**	
	პედაგოგიური ზემოქმედების ობიექტი	შემეცნებითი საქმიანობის სუბიექტი
6	**აღზრდა**	
	სოციალური ფუნქციისა და როლის მომზადებაში ახალგაზრდის აქტიური სასიცოცხლო პოზიციის ფორმირების პროცესი	პიროვნების განვითარებისთვის წარმართული საქმიანობა, მისი სოციალიზაციის პროცესი, რომელიც ეფუძნება სოცკულტურულ, ზნეობრივ-სამართლებრივ ღირებულებებს, საზოგადოებაში მიღებული ქცევის წესებსა და ნორმებს
7	**განათლების ხარისხი**	
	საგამოცდო შეფასებების საფუძველზე სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან სტუდენტის ცოდნის შესაბამისობა	საგანმანათლებლო საქმიანობისა და სტუდენტის პროფესიული მომზადების კომპლექსური დახასიათება, რომელიც ასახავს საგანმანათლებლო სტანდარტებთან მის შესაბამისობას

საგნობრივი და მეტასაგნობრივი ცოდნის გამოყენებით სტუდენტი შეიქმნის სრულ წარმოდგენას საგნებზე, პროცესებზე, მოვლენებსა და მათ მოდელებზე. ასეთი მიდგომა ინდივიდში განაპირობებს არაპარადიგმული ამოცანების სისტემურ, კომპლექსურ და შემოქმედებით გადაწყვეტას, საკუთარი (ხშირად განსხვავებული) აზრის ჩამოყალიბებასა და კრეატიულობის ფორმირებას.

ნებისმიერი საგანმანათლებლო პროგრამის უცვლელი მიზანია დამოუკიდებელი პროფესიული საქმიანობისთვის სტუდენტის მომზადება. თუმცა, განათლებული ადამიანის საქმიანობის დღევანდელი შინაარსი რადიკალურად იცვლება. შესაბამისად უნდა შეიცვალოს სწავლების (მომზადების) არსებული სისტემაც.

განათლებაში მოქმედი ინფორმაციული (კლასიკური) საგანმანათლებლო პარადიგმა უპირველეს ამოცანად არსებული ინფორმაციის (რომელსაც ცოდნას ვუწოდებთ) გადაცემას მიიჩნევს. ამის გამო, იგი ვერ პასუხობს სისტემურ-კომპეტენტურობით მოთხოვნებს, რადგან ის ცოდნა, რომელსაც სწავლების პროცესში სტუდენტი იღებს, სწრაფად ძველდება.

დღის წესრიგში დგება კონტექსტური სწავლების ამოცანა: კრეატიული აზროვნების განვითარება, ახალი ცოდნის შექმნა/სინთეზირება.

სისტემური (კრეატიული) საგანმანათლებლო პარადიგმით იცვლება პედაგოგის როლი და პოზიცია (იხილეთ ცხრ. 2.2). იგი შემოქმედებითი პროცესის აქტიური წამყვანი და უშუალო მონაწილე ხდება.

ცხრილი 2.2. ინფორმაციულ და სისტემურ-საგანმანათლებლო პარადიგმებში სწავლების ხერხებისა და მეთოდების კომპარატივისტიკული დახასიათება

	ინფორმაციული (კლასიკური) საგანმანათ-ლებლო პარადიგმა	**სისტემური (კრეატიული) საგანმანათლებლო პარადიგმა**
1	**პედაგოგის როლი**	
	მზა ჭეშმარიტების გადაცემა	მზადყოფნა თავისი პოზიციის შესაცვლელად
2	**პედაგოგის ურთიერთობა სტუდენტებთან**	
	უკუკავშირის გარეშე („ცალ კარში თამაში“)	პრობლემური ლექციის წაკითხვა, სტუდენტებთან დიალოგის რეჟიმში უკუკავშირის სტიმულირება
3	**პედაგოგის ყურადღების კონცენტრაცია**	
	არსებული ინფორმაციის გა-დაცემაზე	ახალი ინფორმაციის სრულად აღქმასა და მართებულად გაგებაზე
4	**პედაგოგის ორიენტაცია**	
	საშუალო სტუდენტზე	ინდივიდუალურ სტუდენტზე
5	**პედაგოგის საქმიანობის შეფასების კრიტერიუმი**	
	სტუდენტების მიერ ათვისებული ინფორმაციის ხარისხი	სტუდენტების მიერ პედაგოგის შეფასება

პედაგოგის საქმიანობაში წამყვან პოზიციაზე გამოდის თვით-ორგანიზაცია და თვითკონტროლი, პიროვნებათშორის კომუნიკაცია, პარტნიორობა, სასწავლო პროცესის ფორმა, შინაარსი, ავტონომიური რესურსების აქტიური ჩართვა, შემოქმედებითი და აკადემიური თავისუფლება. დღეს დამსაქმებლებისთვის ყველაზე ფასეული ის ადამიანია, რომელიც ერთმანეთთან კარგად ახამებს კრეატიულობას, მოქნილობას, კომუნიკაციასა და წარმოშობილი პრობლემების ოპერა-ტიულად და უმტკივნეულოდ გადაწყვეტას.

დროთა განმავლობაში, საგანმანათლებლო სფერო დროის მოთ-ხოვნების შესაბამისად იცვლებოდა და ისტორიულად გაბატონებული კლასის იდეოლოგიას ერთგულად ემსახურებოდა (იხ. ცხრილი 2.3).

ცხრილი 2.3. უნივერსიტეტების ევოლუცია (მარკეტინგულ-კომუნიკაციური შედარება)[145]

	XII-XV სს.	XVI-XVIII სს.	XIX ს.
ფუნქცია	ფილოსოფიურ-თეოლოგიურ ცოდნაზე დაფუძნებული ინდივიდუალური სწავლება	ელიტისა და არისტოკრატიის სწავლება	საზოგადოების დემოკრატიზაცია და ჰუმანიზაცია, მეცნიერების განვითარება
საკვანძო გავლენა	ეკლესია, სტუდენტები	სახელმწიფო, სტუდენტები, სამეცნიერო გაერთიანებები	სახელმწიფო, სტუდენტები, ბიზნესი, სამეცნიერო გაერთიანებები
პოზიციო-ნირება	დახურული „კლუბი“, „შემეცნების სამჭედლო“	ელიტური საზოგადოების აღზრდის ადგილი	სოციალიზაციის მნიშვნელოვანი ინსტიტუტი, ცოდნის ათვისების ეფექტური ინსტრუმენტი
განვითა-რების დომინი-რებული პოზიცია	უმაღლესი განათლების ერთიანი სისტემა და სტრუქტურა ევროპაში	ეროვნული მეცნიერების განვითარების ცენტრი	**ნიუმენის[146] მოდელი:** „უნივერსიტეტი — უნივერსალური ცოდნა“ **ჰუმბოლდტის[147] მოდელი:** „უნივერსიტეტი — კვლევითი ორგანიზაცია“
	1900-1950 წწ.	**1960-1990 წწ.**	**1990 წ.-დან დღემდე**
ფუნქცია	ინდუსტრიალი-ზაციისთვის კადრების მომზადება, მეცნიერების განვითარება	საგანმანათლებ-ლო მომსახურება, აქტუალური სამეცნიერო კვლევების ჩატარება	მოსახლეობის საგანმანათლებლო მოთხოვნილებების ეფექტური დაკმაყოფილება
საკვანძო გავლენა	სახელმწიფო, სტუდენტები, ბიზნესი, სამეცნიერო გაერთიანება,	სახელმწიფო, აბიტურიენტები, სტუდენტები, ბიზნესი, სამეცნიერო	სახელმწიფო, აბიტური-ენტები, სტუდენტები, ბიზნესი, სამეცნიერო გაერთიანებები, ფართო საზოგადოება,

[145] **Еленов К. С. (2013).** Интегрированные коммуникации как фактор инновационного развития вузов. М., Ж. «Креативная экономика». №2. С. 56-57.

[146] **ჯონ ჰენრი ნიუმენი** (1801-1890) — ბრიტანელი კარდინალი.

[147] **ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტი** (1767-1835) — გერმანელი მეცნიერ-ფილოლოგი, სახელმწიფო მოღვაწე, ბერლინის უნივერსიტეტის დამაარსებელი.

	ფართო საზოგადოება	გაერთიანებები, ფართო საზოგადოება, კურსდამთავრებულები, უნივერსიტეტების კორპორაცია	კურსდამთავრებულები, ინვესტორები, ადგილობრივი ხელისუფლება, უნივერსიტეტების კორპორაცია, სარეიტინგო სააგენტოები
პოზიციონირება	კადრების მომზადების სამჭედლო	კვლევით-საგანმანათლებლო ცენტრი	ინოვაციების შექმნისა და ინოვაციური მეწარმეობის განვითარების ქსელური საპროექტო ცენტრი
განვითარების დომინირებული პოზიცია	**გასეტის[148] მოდელი:** „უნივერსიტეტი — ფართო მასების განათლების ინსტიტუტი“ **ვებერის[149] მოდელი:** „უნივერსიტეტი — ინოვაციური ელიტის მომზადების ცენტრი“	**იასპერსის[150] მოდელი:** „უნივერსიტეტი — კვლევის პროცესში სწავლებისა და აღზრდის ცენტრი“ **კერის[151] მოდელი:** „გლობალური კვლევითი უნივერსიტეტების განვითარება“	**კლარკის[152] მოდელი:** „სამეწარმო უნივერსიტეტები“ **ეცკოვიცისა და ლეიდესდორფის[153] მოდელი:** „სამმაგი სპირალი“ (Triple Helix) (განათლების, ბიზნესისა და სახელმწიფოს სინერგიული ურთიერთზემოქმედება)

ვითარება დღესაც არსებითად იგივეა. თანამედროვე მწვავე კონკურენტულ პირობებში წარმატება ცოდნის არსებობისა და გამოყენების გარეშე შეუძლებელია. ცოდნა კი ინოვაციას უკავშირდება, რაც საზოგადოების განვითარების საწინდარია.

ტრადიციულად, უმაღლესი სასწავლებელი ყოველთვის ეროვნულ ინტერესებს ემსახურებოდა — ამზადებდა კვალიფიციურ კადრებს და ქმნიდა სამეცნიერო პროდუქტს. მაგრამ, ბოლო წლებში მსოფლიოს

[148] **ხოსე გასეტი** (1883-1955) — ესპანელი სოციოლოგი და ფილოსოფოსი.

[149] **მაქსიმილიან ვებერი** (1864-1920) — გერმანელი ფილოსოფოსი, სოციოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ისტორიკოსი.

[150] **კარლ თეოდორ იასპერსი** (1883-1969) — გერმანელი ფილოსოფოსი.

[151] **რიო პატრიკ კერი** (დ. 1934) — ახალზელანდიელი მათემატიკოსი.

[152] **ბერტონ კლარკი** (დ. 1938) — ამერიკელი პედაგოგი და უმაღლესი განათლების სისტემის თანამედროვე მკვლევარი.

[153] **ჰენრი ეცკოვიცი** — სტენფორდისა და ედინბურგის (ორივე დიდი ბრიტანეთი) უნივერსიტეტების პროფესორი. **ლუთ ლეიდესდორფი** — ამსტერდამის (ნიდერლანდი) უნივერსიტეტის პროფესორი.

განვითარებულ ქვეყნებში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა: უნივერსიტეტის ორ ძირითად ფუნქციას (საგანმანათლებლო, კვლევითი) დაემატა მესამე — საზოგადოებისთვის ზრუნვა.

უმაღლესი სასწავლებლის საქმიანობის შეფასებაში მრავალი სოციალური სუბიექტი მონაწილეობს. მთავრობასთან ერთად, მათ რიცხვშია სტუდენტები და მათი ოჯახები, პროფესორ-მასწავლებლები, ეკონომიკის სახელმწიფო და კერძო სექტორი, საკანონმდებლო ხელისუფლება, მასმედია და პროფესიული საზოგადოებები.

თანამედროვე უნივერსიტეტი არის არა მარტო სასწავლო ან სასწავლო-კვლევითი დაწესებულება, არამედ ცოდნის კვლავწარმოებით-დამგროვებელი ძირითადი სტრუქტურა, იდეების მქონე ახალგაზრდების მიზიდვის ცენტრი. ასეთი უნივერსიტეტი, ორ სხვა ელემენტთან ერთად (სახელმწიფო, ბიზნესი), ცოდნის საზოგადოების საფუძველია.

გარდა ამისა, თანამედროვე უნივერსიტეტები და მათ მიმართ საზოგადოების მიერ წაყენებული მოთხოვნები იცვლება. კერძოდ,:

1. სახელმწიფო სუბსიდიები თითქმის ყველგან კლებულობს. მაგ., აშშ-ში უნივერსიტეტების სახელმწიფო დაფინანსება გასული საუკუნის 70-ან წლების 90%-დან, 20-22%-მდე შემცირდა;[154]

2. კლასიკური უნივერსიტეტები კორპორაციებად, ანუ ბაზრის კონკურენტულ მოთამაშეებად ყალიბდებიან. მათი პროდუქტია განსაკუთრებული საქონელი — საკონსულტაციო-საექსპერტო და საგანმანათლებლო მომსახურება, სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები და ინოვაციები. ამის გამო, უნივერსიტეტებს საბაზრო კომპეტენციები სჭირდებათ;

3. უნივერსიტეტები ინარჩუნებენ თავიანთ იდენტურობას — მხარს უჭერენ სამეცნიერო კვლევა-ძიების, განვითარებისა და განათლების აღიარებულ ფასეულობებს;

4. მათ წინაშე ორგანიზაციული კულტურის მეტად რთული ამოცანა დგება: საჭირო ხდება „პროფესიონალთა თავისუფალი ასოციაციის“ საუნივერსიტეტო ტრადიციული კულტურისა და „გონების ფაბრიკის“ მაღალმწარმოებლური კულტურის ოპტიმალური შერწყმა.

საბოლოო ჯამში, უნივერსიტეტები იძულებული არიან პროცესების მართვის ადმინისტრაციული მეთოდები განვითარების თანამედროვე მეთოდებით შეცვალონ, რაც მმართველობით საქმიანობაში გაცილებით მეტ ძალისხმევასა და ინიციატივას მოითხოვს.

---

[154] **Ефимов В. С., Лаптева А. В. (2010).** Корпоративная культура – инструмент развития университета. М., С. 24.

აღნიშნული მოითხოვს არსებული საგანმანათლებლო სფეროს ტრანსფორმაციას, უნივერსიტეტების მოდერნიზაციას, მათი სამეცნიერო პოტენციალის ეფექტურ გამოყენებას, როგორც ცოდნის ულევ-უშრეტი წყაროსი, ნიმუში მაღალკვალიფიციური სპეციალისტებისა (პროფესორები) და პოტენციური ინტელექტუალური კაპიტალის (სტუ-დენტები) უნიკალური, არნახული ორგანული შერწყმა-გაერთიანე-ბისა.

ბ) უნივერსიტეტების ახალი საგანმანათლებლო მოდელები:

- **SMART-კიბერუნივერსიტეტის მოდელი**

თითქმის 10 წელია ტარდება საერთაშორისო სამეცნიერო ინტერ-ნეტ-კონფერენცია „ელექტრონული სწავლება და პროგრამული უზრუნველყოფა განათლებისთვის“, რომლის საკვანძო თემაა „2020 წლამდე ელექტრონული სწავლების ტექნოლოგიათა განვითარების პროგნოზირება“.

კონფერენციის თემატიკის ჩარჩოებში აქტიურად განიხილება ღია სწავლების, ელექტრონული სწავლებისა და განათლებაში ინფორმა-ციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიების გამოყენების აქტუალური პრობლემები.

ყურადღება მახვილდება **SMART[155]-განათლებაზე**, რომელსაც სრულიად ახალი ცნებები შემოაქვს:

- თვით **SMART-განათლება** — მუდმივი სოციალური პროცესი, რომელიც ორიენტირებულია ხარისხობრივად ახალი საგანმანათ-ლებლო-სამეცნიერო (კვლევითი) და სოციალურ-კომერციული შედეგე-ბის მიღებასა და ცოდნის ინდივიდუალურ/კოლექტიურ გენერაციაზე მისი გამოყენების მრავალი წყაროს პირობებში;
- **SMART-უნივერსიტეტი:** უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესე-ბულება, რომელიც ტექნოლოგიური ინოვაციებისა და ინტერნეტის ერთობლივი გამოყენებით ქმნის SMART-გარემოს და აყალიბებს

[155] SMART არის მნემონიკური (ბერძ. mnemonikon — დამახსოვრების ხელოვნება. ბერძნულ მითოლოგიაში მნემოზინა მეხსიერების ქალღმერთი იყო. სწორედ მისი სახელიდან წარმოდგება სიტყვა „მნემონიკა“); აბრევიატურა, რომელიც გამოიყენება მენეჯმენტსა და საპროექტო მართვაში ამოცანების დასახვისა და მიზნების განსაზღვრისთვის. მისი ასოების შინაარსი ასეთია: S – კონკრე-ტული (Specific); M — გაზომვადი (Measurable); A — მიღწევადი (Attainable, Achievable); R — აქტუალური, მნიშვნელოვანი (Relevant) და T – დროში გან-საზღვრული (Time-bound).

SMART-საზოგადოების მოთხოვნების შესაბამის საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი, კომერციულ-სოციალური საქმიანობის პროცესებსა და შედეგებს; მიმზიდველი იმიჯის მქონე ისეთი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც განსაზღვრავს შემოქმედებითი ადამიანების მუშაობის სურვილსა და მასში ინტელექტუალური უნარ-შესაძლებლობების ინვესტირებას, ასევე სახელმწიფოს, ბიზნესისა და სტუდენტის ფინანსურ ინვესტირებას მაღალი ხარისხის სამეცნიერო და საგანმანათლებლო სერვისისათვის; დაცლილი სოციუმში არსებული ყოველგვარი კორუფციისგან (ადამიანის ყველაზე საშინელი „გამოგონება“); განვითარებული თანამედროვე კიბერურთიერთობებით; სტრუქტურული ერთეულების (ფაკულტეტები, ინსტიტუტები და სხვ.) გაძლიერებული უფლებებითა და დელეგირებული პასუხისმგებლობით, საკუთარი საგანმანათლებლო-სამეცნიერო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების განკარგვის უფლებით, მჭიდრო ჰორიზონტალური კავშირებით; აქტუალური სამეცნიერო კვლევების განმხორციელებელი, ასევე ბაზარზე მოთხოვნადი სპეციალისტებისა და აკადემიური ხარისხის მქონე პედაგოგ-მკვლევრების მომზადებელი; ყოველგვარ საქმიანობაში მორალსა და კანონის უზენაესობაზე დაფუძნებული; გადაწყვეტილებებში სუბიექტივიზმის გამომრიცხველი; ელექტრონულ სივრცეში ჩატვირთული მართვისა და მონიტორინგის კიბერსისტემებით (სასესიო გამოცდების ჩატარება კომპიუტერული ტესტირებით, აკადემიური პერსონალის ღია online-კონკურსები და ელექტრონული ხმის მიცემა ციფრული ხელმოწერით; თანამშრომელთა პრემიების, დანამატებისა და დაფინანსების გაცემა ელექტრონული რეიტინგული შეფასების შედეგებით და ა.შ.).

- **SMART-ხელმძღვანელი** — ინოვაციური მეცნიერი და გონიერი მენეჯერი, ორიენტირებული ორგანიზაციის (სტრუქტურის) პერსპექტიულ განვითარებაზე, მორალურად, ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად ჯანმრთელი, მაღალი ზნეობის ადამიანი მავნე ჩვევების გარეშე, თანამედროვე ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიების მართვას დაუფლებული, ინოვაციების პოზიტიურად აღმქმნელი, უცხოური ენების მცოდნე, შემოქმედებით/კრეატიული აზროვნების ლიდერი და ღირსეული დამფასებელი, მეცნიერებისა და განათლების განვითარების თანამედროვე მიმართულებების მცოდნე, გადაწყვეტილების მიღებაში უნივერსალური და გაბედული, პროგრესულად მოაზროვნე და ოპტიმისტი, მორალური ურთიერთობის საფუძველზე კომფორტული შემოქმედებითი კლიმატის შემქმნელი და მისი შენარჩუნების

მყარი გარანტი, სოციუმში უნივერსიტეტის პრესტიჟისა და ავტორიტეტის დამცველ-აპოლოგეტი.

- **SMART-პროფესორი** — უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ექსკლუზიური ინტელექტუალური რესურსების მფლობელი და უშუალო ინვესტორი, სასწავლო-საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი პროცესის წარმმართველი, რომელიც SMART-საზოგადოების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად აქტიურად იყენებს ტექნოლოგიურ ინოვაციებსა და ინტერნეტს საგანმანათლებლო-კვლევითი პროცესის ხარისხის ასამაღლებლად, სისტემატურად ქმნის ახალს, სრულყოფს და აახლებს არსებულ სასწავლო თეორიულ-პრაქტიკულ მასალას, ნერგავს სწავლებისა და კვლევის თანამედროვე პროგრესულ ფორმებსა და მეთოდებს, განსაზღვრავს და ხელმძღვანელობს ინოვაციურ-კვლევით მიმართულებებს.
- **SMART-სტუდენტი — უნივერსიტეტის მთავარი ფინანსური ინვესტორი და ინოვაციური პროდუქტის მომხმარებელი,**[156] სასწავლო პროცესის უშუალო მონაწილე, რომელიც თავისი საგანმანათლებლო-კვლევითი დაინტერესებით, აქტიურობითა და ინტენსიური ჩართულობით იძენს ახალ საბაზო-აკადემიურ ცოდნას და თანამედროვე ინტელექტუალურ-პროფესიულ უნარ-ჩვევებს, რითაც ხელს უწყობს სოციუმში SMART-უნივერსიტეტის სამეწარმო-ინოვაციურ განვითარებასა და პრესტიჟული იმიჯის საყოველთაო დამკვიდრებას.
- **SMART-თანამშრომელი** — უნივერსიტეტის მომსახურე პერსონალი (სპეციალისტი, მენეჯერი და სხვ.), რომელიც ფლობს თანამედროვე კომპიუტერულ ტექნოლოგიებს, ეხმარება აკადემიურ პერსონალს სასწავლო პროცესის გამართულად წარმართვაში, პასუხს აგებს მიმდინარე საქმიანობაზე, შემოქმედებითად წყვეტს სტანდარტულ საკითხებს.

კანადური კომპანია „SMART Technologies“-ის მიერ უკვე დამზადებულია 25 მილიონზე მეტი ინტერაქტიური პროდუქტი (სენსორი, ფირფიტა), რომლებიც ჩართულია კომპიუტერებსა და ვიდეო-პროექტორებში და გამოიყენება მსოფლიოს საგანმანათლებლო ორგანიზაციებსა და კომპანიებში.[157] უახლოეს მომავალში კონკურენტუნარიანი

---

[156] **Зубеева Е. В. (2014).** Хомоиноватикус. Концепция инночеловека в системе стратегического менеджмента инновационного предприятия. «Креативная Экономика». №7, С. 131.

[157] **Селянская Г. Н. (2015).** SMART-университет ответ на вызовы новой промышленной революции. «Креативная экономика». №9, С. 1156.

ის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება იქნება, რომელიც ინ-დუსტრია-4.0-ის კონცეფციის იდეების რეალიზაციას დროულად და ეფექტურად შესძლებს.

ინდუსტრია-4.0-ის მოთხოვნების პირობებში, აუცილებელია უმაღ-ლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ორგანიზაციული სტრუქტუ-რის ცვლილება, მენეჯმენტის ოპტიმიზაცია და პროფესორსა და სტუ-დენტს შორის ელექტრონულ-ქსელური ურთიერთობის სისტემის შექმ-ნა, მათ შორის, ინტერნეტ-რესურსების აქტიური გამოყენებით.

ტრადიციულად, ჩვენი უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების სტრუქტურაშია ფაკულტეტები, დეპარტამენტები/კათედრები, სამეც-ნიერო-კვლევითი ინსტიტუტები (ლაბორატორიები) და სხვა ქვედანა-ყოფები, რომლებიც ერთობლივად ახორციელებენ სამეცნიერო-საგან-მანათლებლო საქმიანობას.

მართვის ასეთი ვერტიკალურ-ადმინისტრაციული ორგანიზაციუ-ლი სტრუქტურა ხაზობრივ-ფუნქციურ პრინციპზეა აგებული, რომე-ლიც საშუალებას იძლევა მკაფიოდ გაკონტროლდეს მატერიალურ-ფულადი ნაკადები და ეფექტურად იმართოს მიმდინარე პროცესები.

თუმცა, ვერტიკალური მართვის მექანიზმი კონსერვატიულია და მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების პრაქტიკაში არსებულ ინოვა-ციურ სამეცნიერო-საგანმანათლებლო პროცესთან მეტწილად წინაღმ-დეგობაშია. ამ ბარიერის დასაძლევად საჭიროა მართვის დეცენტ-რალიზაციის კომპონენტების გაძლიერება, ანუ მართვის ხაზობრივ-ფუნქციური მიდგომიდან, მართვის მოქნილ, შედეგების მიღწევაზე ორიენტირებულ პროცესულ მიდგომაზე გადასვლა.

ხაზობრივ-ფუნქციური მიდგომა მკაფიოდ განსაზღვრავს რა უნდა გაკეთდეს, ხოლო პროცესული — საქმიანობის ურთიერთდაკავშირე-ბულ და განმაპირობებელ საშუალებებს ადგენს. ამ უკანასკნელის უპი-რატესობა იმაშია, რომ ისპობა ქვედანაყოფებს შორის ფუნქციური ბა-რიერები და მაღლდება თითოეული თანამშრომლის პასუხისმგებლობა თავისი საქმიანობის შედეგებზე, რადგან მათთვის მნიშვნელოვანი ხდება არა მარტო საკუთარი მუშაობის, არამედ, და უპირველესად, მთელი ბიზნესპროცესის შედეგები.

უნივერსიტეტის ყველა ბიზნესპროცესი სამ ჯგუფად იყოფა:

1. **ძირითადი ბიზნესპროცესი** — ფასეულობების (დამატებული ღირებულების) შემქმნელი პროცესები. მაგალითად, სასწავლო-მეთო-დური და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა. სწორედ ეს პროცესები განსაზღვრავს უნივერსიტეტის შემოსავლებს;

2. **დამხმარე ბიზნესპროცესი,** რომელიც აუცილებელია უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის შესანარჩუნებლად. ასეთია საფინანსო, მატერიალურ-ტექნიკური და ინფორმაციული უზრუნველყოფა;

3. **მართვის ბიზნესპროცესი,** რომელიც გათვალისწინებულია უნივერსიტეტის სამართავად, კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად და განვითარების უზრუნველსაყოფად.

თითოეულ ბიზნესპროცესს უნდა ჰყავდეს თავისი მმართველი, რომელსაც ექნება მაღალი უფლებამოსილება და დაეკისრება პერსონალური პასუხისმგებლობა.

- **სამეწარმეო უნივერსიტეტის მოდელი**

ბოლო ათწლეულში ცივილიზებულ სამყაროს (აშშ, დასავლეთ ევროპა, იაპონია) საგანმანათლებლო პრაქტიკაში მყარად დამკვიდრდა სამეწარმეო უნივერსიტეტის მართვის მოდელი, რომლის კონცეფციის დამუშავებას უცხოეთში მრავალი კვლევა მიეძღვნა. თუმცა, ამ ცნების არსი ცალსახად დღემდე არ ჩამოყალიბებულა. უმეტესად მკვლევრები სამეწარმეო უნივერსიტეტის განმარტებას მისდამი წაყენებული მოთხოვნებით ცვლიან. მაგ., ამერიკელი მეცნიერ-ეკონომისტი **ჯონ როპკე** სამეწარმეო უნივერსიტეტს ასეთ მოთხოვნებს უყენებს:[158]

1. მან, როგორც ორგანიზაციამ, სამეწარმეო ქცევა უნდა აჩვენოს;
2. მისი წევრების — პროფესორების, სტუდენტებისა და თანამშრომლების — თუნდაც ნაწილი მოწოდებით მეწარმე უნდა იყოს;
3. მასსა და გარე გარემოს შორის ურთიერთზემოქმედება უნივერსიტეტისა და რეგიონის „სტრუქტურულ შეუღლებას“ უნდა იწვევდეს.

ტერმინი „მეწარმე“ სამეცნიერო ბრუნვაში ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში შემოიტანა ამერიკელმა მეცნიერმა **იოსებ შუმპეტერმა**.[159] მან წარმოადგინა სამეურნეო განვითარების ისეთი დინამიური მოდელი, რომლის მამოძრავებელია მეწარმეთა ინოვაციური ქცევა, მისგან გამომდინარე ტექნოლოგიური ცვლილებებით. შუმპე-

---

[158] **Ropke J. (1998).** The Entrepreneurial University: Innovation, academic knowlende creation and regional development in a globalized economy./J. Ropke//Working Paper, Departament of Economics, Phlipps-Universitat, Marburg, Germany.

[159] **Шумпетер Й. (2007).** Теория экономического развития: пер. с англ. М., «Директ-Медиа». 400 с.

არსებობს სხვა მოსაზრებებიც, კერძოდ, ტერმინი „მეწარმე“ 1720 წელს პირველად გაავრცელა ფრანგმა ეკონომისტმა **რიჩარდ კანტილიონმა**, ასევე ფრანგმა ეკონომისტმა **ჟან ბატისტ სეიმ**, დაახლოებით, 1800 წელს და ა.შ.

ტერმა მას „ახალ კომბინაციები“ უწოდა და ხუთი ჯგუფი გამოყო: 1. ახალი სიკეთეების წარმოება; 2. წარმოების ახალი მეთოდების გამოყენება და არსებული სიკეთეების კომერციალიზაცია; 3. გასაღების ახალი ბაზრების ათვისება; 4. ნედლეულის ახალი წყაროების ათვისება; 5. დარგობრივი სტრუქტურის ცვლილება.

გარდა ამისა, შუმპეტერმა მეწარმის ისეთ პირად თვისებებზეც გაამახვილა ყურადღება, რომლებიც სამეწარმეო-ინტელექტუალური შესაძლებლობების მდგრად კავშირს განაპირობებს. ესაა სპეციფიკური მოტივაცია, როცა მთავარია არა მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, არამედ აქტიური საქმიანობა კონკურენტების დასამარცხებლად და შემოქმედებითი სიხარულის განცდა. იგი თავისებური ინტელექტია, რომელიც გამოირჩევა არასტანდარტული გადაწყვეტილებით, დამანგრეველი ძალითა და განვითარებული შინაგანი ინტუიციით.

მეწარმის ცნებამ მრავალი ინტერპრეტაცია განიცადა. მაგ.: სამეწარმეო საქმიანობაზე ორიენტირებული თანამშრომლების გამოსაყოფად, ამერიკელმა მეცნიერმა **გილფორდ პინჩოტმა** „შიდა სამეწარმეო“ ტერმინი გაავრცელა და იგი ორგანიზაციულ-პიროვნული მახასიათებლების შერწყმის ოპტიმალურ ვარიანტად მიიჩნია.[160]

ჰარვარდის (აშშ) ბიზნესის სკოლის ერთ-ერთი წამყვანი პროფესორის **ჰოუარდ სტივენსონის** აზრით, სამეწარმეო საქმიანობა არის „მოცემულ მომენტში კონტროლირებად რესურსებს მიღმა არსებული შესაძლებლობების ძიება“.[161]

აღნიშნული განმარტებით სამეწარმო საქმიანობის ცნების შინაარსი მნიშვნელოვნად ფართოვდება, რადგან ახალი ნიშნები იკვეთება — მიაღწიოს დასახულ მიზნებს და მიიღოს შედეგი იმ პირობებში, როცა საწყის ეტაპზე დასახული ამოცანები აბსოლუტურად უპერსპექტივო ჩანს. ამისთვის მეწარმეს უნდა გააჩნდეს მრავალი თვისება: შეუპოვრობა, ამაღლებული ენერგეტიკა, იმ შესაძლებლობების დანახვის უნარი, რასაც სხვები ვერ ამჩნევენ, რისკიანობა, მოქნილობა, გარემოს ცვლილებებზე სწრაფი რეაქცია, და რაც ყველაზე მთავარია — გამომგონებლობა.

სასწავლო და სამეწარმეო უნივერსიტეტებს შორის პრინციპული განსხვავება არსებობს (იხილეთ ცხრილი 2.4).

სამეწარმეო ტიპის ინოვაციური უნივერსიტეტი რამდენიმე მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს, რომელთა შორის მთავარია:

---

[160] **Pinchot G. (1998).** Intrapreneuring: Mitarbeiter als Unternehmen./Wiesbaden: Gabler.

ცხრილი 2.4. სასწავლო და სამეწარმეო უნივერსიტეტების კომპარატივისტიკული დახასიათება[162]

კრიტერიუმი	**სასწავლო უნივერსიტეტი**	**სამეწარმეო უნივერსიტეტი**
ორგანიზაციული კულტურის ფორმა	სტატუსური ადმინისტრაცია	საპროექტო-გუნდური ადმინისტრაცია
ცვლილების ტემპი	ნელი, რთული, ინდივიდების პოზიციებთან დაკავშირებული	ცხოვრების რეჟიმი და მთავარი ფასეულობა — სწრაფი ცვლილება და განვითარება
სწავლების დომინირებული მოდელი	ლექცია-სემინარები, დამოუკიდებელი მუშაობა	საპროექტო-გუნდური ჩართულობა ექსპერიმენტულ კვლევებში, პროექტებში
სწავლების შედეგები	თეორიული მომზადება	პროფესიულ-კომუნიკაციური კომპეტენციები
რეგიონის განვითარებაში მონაწილეობა	ჩაკეტილი, სასწავლო საქმიანობით ცხოვრება	ღია, რეგიონის განვითარების ერთ-ერთი აქტიური სუბიექტი
მართვის სტილი	იერარქიულ-ადმინისტრაციული, თანამდებობრივი სუბორდინაცია	იერარქიული და საპროექტო მიდგომების ოპტიმალური შერწყმა. პასუხისმგებლობის დელეგირება
ძირითადი სტრუქტურული ერთეული	კათედრა (დეპარტამენტი)	საქმიანობის ჰიბრიდული ფორმა: კათედრა-ლაბორატორია-ცენტრი-ინკუბატორი, რომელიც დაკავებულია სტუდენტების თეორიულ-პრაქტიკული სწავლებით, კონსალტინგით, კვლევებით, ანალიზით, და აქტიური ჩართვით

[161] **Stevenson H. H. (2000).** Why Entrepreneurship Has Won!//Goleman White Paper, Addressed at USASBE Plenary Conference.

[162] Третий Международный Молодежный Инновационный Форум. «ИНТЕРА 2011» «Сибирское Сколково: тройная спираль». Научно-образовательный бизнес-симпозиум. Новосибирск. 2011. С. 9.

1. საქმიანობის სხვადასხვა სფეროში — ეკონომიკაში, მართვაში, ფინანსებში, ტექნოლოგიებში, განათლებაში, კულტურაში და ა.შ. — ინოვატორების (ინოვაციის მწარმოებლების) მომზადება, რომლებსაც აქვთ ინოვაციურ-სამეწარმეო აზროვნება და ახალი ტიპის ეკონომიკაში (ცოდნის ეკონომიკაში) მუშაობის უნარი;

2. სტუდენტების სამეწარმეო აქტიურობისთვის ცოდნის წარმოება და პროფესიული კომპეტენციების, ასევე კომუნიკაციური უნარების გამომუშავება, რომელთა მეშვეობით მეწარმე ადგენს ურთიერთობის ახალ სქემებსა და მოდელებს, მათ შორის, ბიზნესის ორგანიზაციასა და მართვაში;

3. ახალგაზრდა პროფესიონალების მოსამზადებლად ახალი ტექნოლოგიების დამუშავება და სასწავლო პროცესში დანერგვა;

4. ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში აქტიური მონაწილეობა.

რასაკვირველია, ყოველი სტუდენტისთვის არაა საჭირო სამეწარმეო უნარების ქონა. მაგრამ განათლების ცვლილების მსოფლიო ტენდენციები აშკარად მიგვანიშნებს მათ საჭიროებაზე. ინოვაციური განვითარება და წარმატებული სახელმწიფო აზრობრივად სინონიმია.

სამეწარმეო უნივერსიტეტების საკვანძო მახასიათებელია ინოვაციებზე ორიენტაცია, საკუთარი შესაძლებლობები და პერსონალის კომპეტენცია, უფლებების დელეგირება და ვალდებულების შესრულების პასუხისმგებლობა, მობილური ქსელური სტრუქტურა, მომხმარებლებზე ორიენტაცია, რისკისა და მოთხოვნის დინამიურობის პირობებში მუშაობა, ეკონომიკური ეფექტიანობა.

სამეწარმეო უნივერსიტეტებში სტუდენტების აკადემიურ მომზადებასთან ერთად სტიმულირდება მათი მეწარმეობითი საქმიანობა, რომ მათ „ალმა-მატერის“ დატოვების შემდეგ არ შეეშინდეთ და წარმატებით შეძლონ თავიანთი ფუნქციების შესრულება. მთავარი არგუმენტი ასეთი უნივერსიტეტების განვითარებისთვის არის ის, რომ მათ საკმარისად გააჩნიათ სამეცნიერო-კვლევითი სტრუქტურები. თანამედროვე უნივერსიტეტი სწორედ ის ადგილია, სადაც „დუღს“ ადამიანისეული კაპიტალი, სტუდენტთა ახალი, ორიგინალური (ზოგჯერ, ფანტასტიკური) იდეები, რომელთა აპრობირება და კომერციალიზაცია საზოგადოებისთვის მეტად საჭირო და სასარგებლოა.

სამეწარმეო უნივერსიტეტი თავის საქმიანობას ორი მიმართულებით წარმართავს: პირველი, ისეთი სპეციალისტების მომზადება, რომლებსაც მომავალში საკუთარი საქმის (ბიზნესის) შექმნა/გაძღოლა შეეძლებათ, და მეორე, თვით უნივერსიტეტის სამეწარმეო საქმიანობა,

რაც გულისხმობს აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების სამეწარმეო საქმეში ჩართულობას და ამ მიზნით ინფორმაციულ-საკონსულტაციო და რესურსულ მხარდაჭერას.

ამგვარად, სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეწარმეო საქმიანობა გულისხმობს მოქმედ სამართლებრივ სივრცეში მეტწილად შემოსავლის მომტან დამოუკიდებელ, ინიციატივიან და სარისკო მოღვაწეობას მისი საწესდებო ამოცანების გადასაწყვეტად.

მოწინავე უნივერსიტეტები ძირითად აქცენტს აკეთებენ სამეწარმეო საქმიანობისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის ფორმირებაზე. ამისთვის უნივერსიტეტის სტრუქტურაში და/ან სხვა კომპანიებში ქმნიან სამეწარმო პროექტების განვითარების ცენტრებს, ბიზნეს-ინკუბატორებს, სადაც სტუდენტები, პროფესორების კონსულტაციით, ივითარებენ საჭირო უნარ-ჩვევებს, აყალიბებენ სამეწარმო ორგანიზაციულ კულტურას, ეწევიან შემოქმედებითი იდეების კომერციალიზაციას და სხვ. ამგვარი პრაქტიკა ფართოდ დანერგილია უცხოეთის უნივერსიტეტებში. მაგ., ოქსფორდის (დ. ბრიტანეთი) უნივერსიტეტთან 300-მდე კომპანია მუშაობს 4 მილიარდი დოლარის საერთო წლიური ბრუნვით, აქედან მეოთხედი უნივერსიტეტის წილია. ჰარვარდის (აშშ) უნივერსიტეტის სამეწარმეო საქმიანობაში ჩართულია, დაახლოებით, 15 მილიარდი დოლარის კაპიტალი და სხვ.[163]

მეწარმეები საქმიანობის არა მარტო ახალ სფეროებს დღენიადაგ ეძებენ, არამედ, წარმოდგენით, ახალი სამეურნეო შესაძლებლობების სპექტრსაც კარგად „ხედავენ“.

როგორც ირკვევა, სტივენსონის ხსენებული აზრი მეტად მნიშვნელოვანია, რადგან მართალია აშკარა წინააღმდეგობაშია ეკონომიკური თეორიის კლასიკურ პრინციპებთან, მაგრამ ინტელექტუალურ სამეწარმეო საქმიანობასთან მიმართებაში მისაღებია და ახალი ეკონომიკის ზრდის ფაქტორებთან აბსოლუტურად შესაბამისობაშია.[164]

სტივენსონის განსაზღვრება განსაკუთრებით კარგია იმიტომაც, რომ იგი ადამიანის საქმიანობის რომელიმე კონკრეტული სფეროთი არ იზღუდება: სამეწარმეო საქმიანობა შესაძლებელია თითქმის ყველა სფეროში და, მათ შორის, აკადემიურშიც განხორციელდეს.

ხშირად, ტერმინებს — „სამეწარმეო საქმიანობა“ და „ბიზნესი“ — ერთმანეთთან აიგივებენ, რაც არამართებულია. მათ შორის არსებულ

---

[163] **Nabiullin T. R. (2013).** The Features of University Development as a Subiect of Entrepreneurial activity. P. 2.

[164] **Орлов В. М. (2014).** Интелектуальное предпринимательство. Челябинск. ФГОУ ВПО «ЮурГУ» (НИУ). С. 5.

განსხვავებაზე ამერიკელი მეცნიერი **პიტერ დრუკერიც** მიუთითებდა „ყოველი ახალი წვრილი ბიზნესი არაა სამეწარმეო და არ წარმოადგენს მეწარმეობითს“.[165]

რუსი მეცნიერი **ალექსი ასაული** მეწარმეობას განსაკუთრებულ სამეურნეო საქმიანობად განიხილავს და ამტკიცებს, რომ ბიზნესისგან განსხვავებით მას ახასიათებს ნოვატორობა, რაც საბაზრო წონასწორობას არღვევს. ამ გზით ბიზნესმენმა შეიძლება მიიღოს დამატებითი შემოსავალი, მაგრამ, დროთა განმავლობაში, მის სფეროში კაპიტალის გადადინება, ინოვაციების დიფუზია, ბაზრის ყველა მონაწილის პირობებს ათანაბრებს. ამიტომ დამატებითი შემოსავალი იკლებს, რაც ბიზნესმენს წარმოების დივერსიფიკაციისკენ უბიძგებს.[166]

სამეწარმეო საქმიანობა იწყება სამეწარმეო აზროვნების გააქტიურებით, შინაგანი იმპულსით, შემდეგ გრძელდება ახალი იდეის დაბადებით, მისი ექსპერტიზით, მატერიალიზებითა და რესურსების მოძიებით. ეს პროცესი მაშინ მთავრდება, როცა იდეის რეალიზაციით პირველი მოგება მიიღება. თუ დამუშავებული სქემა კვლავ გამეორდება, ბიზნესიც განვითარდება, ანუ აპრობირებული პროდუქტი იწარმოება და კომერციალიზდება.

სამეწარმეო საქმიანობის მიზანია ბიზნესის შექმნა/განვითარება, ბიზნესის კი, — მოგების მიღება.

სამეწარმეო საქმიანობის ეკონომიკური არსია საზოგადოებრივი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად წარმოების ახალი ფაქტორების (მაგ., პროდუქციის/ტექნოლოგიის განახლება) ახლებური კომბინაციის მოძიება და რეალიზაცია.[167]

ავსტრიული სკოლის თანამედროვე წარმომადგენელი **იზრაელ კირცნერი** ადამიანის სამეწარმეო შესაძლებლობების გამოვლენას მის განსაკუთრებულ უნართან — სიფხიზლესთან აკავშირებს. მას მიაჩნია, რომ სიფხიზლე ეხმარება ინდივიდს შეიცნოს საზოგადოებაში მოსალოდნელი ცვლილებები და ის საშუალებები აირჩიოს, რომლებიც ხელს შეუწყობს დასახული მიზნის ეფექტურად მიღწევაში.[168]

---

[165] **Друкер П. Ф. (1992).** Рынок: как выйти в лидеры: Практика и принципы. Пер. с англ. М., «Бук Чембэр Интернэшнл», С. 31.

[166] **Acaul A. N. (2009).** The organization of business activite: toturial/A.N. Acaul-SPb.: ANO IPEV, 336 p.; **Асаул А. Н. (2009).** Организация предпринимательской деятельности. СПб. 204 с.

[167] **Игнатова И. В. (2014).** Предпринимательство и бизнес: Терминологическая дифференциация. Интернет-журнал «НАУКОВЕДЕНИЕ», Выпуск 6 (25).

[168] **Kirzner M. Israel. (1997).** Entrepreneurial Discovery and the Competitive Market Process: An Austrian Approach//Journal of Economic Literature. Vol. XXXV. P.60-85.

ესპანელი მეცნიერის **ხესუს უერტა დე სოტოს** აზრით, სამეწარმეო საქმიანობაში სიახლის „შემქმნელია მხოლოდ ადამიანის გონება“. ამიტომ იგი ამ სფეროში ცოდნის სამ თავისებურებას გამოყოფს:[169]

1. **პრაქტიკულობა.** სამეწარმეო ცოდნა აითვისება ადამიანის საქმი-ანობაში ეკონომიკური მეცნიერების საფუძველზე;

2. ექსკლუზიურობა. ყოველი ინდივიდი ისეთ უნიკალურ მიზნებს ისახავს, რომელიც სამყაროს მისეულ ხედვას შეესაბამება. თითოეული მეწარმე საზოგადოებაში გავრცელებული ცოდნის მხოლოდ ნაწილს ფლობს. სახელმწიფო ინვესტიციით სამეწარმეო საქმიანობის გააქტიურება მხოლოდ მოკლევადიან პერსპექტივაშია ეფექტური;

3. იმპლიციტურობა. სამეწარმეო ცოდნის სხვაზე გადაცემა შეზღუდულია, რადგან ინდივიდის უნარები (მაგ., ალღო, შინაგანი ინტუიცია, ვარაუდი) ფარულია (იმპლიციტურია, ლატენტურია,[170] ნაგულისხმევია). ასეთი ცოდნა სახელმძღვანელოებ არ ფიქსირდება.[171]

როგორც ვხედავთ, სამეწარმეო საქმიანობა ყურადღებას განსაკუთრებით ამახვილებს ინოვაციურობაზე, გამომგონებლობასა და ინდივიდის ფარულ შესაძლებლობებზე.

„მეწარმის“ ცნების შინაარსის განვითარებაში საყურადღებოა თანამედროვე ამერიკელი მეცნიერის **რიჩარდ ჩერვიტცის** კონცეფცია — „ინტელექტუალური მეწარმეობა“. მას მიაჩნია, რომ „მატერიალური დოვლათის შექმნა სამეწარმეო საქმიანობის ერთ-ერთი მხარეა და იგი მხოლოდ ბიზნესით არ იზღუდება. მეწარმეობა არის მიზანდასახული ქმედება სამყაროს დასაუფლებლად, კულტურული ინოვაციის თანამიმდევრული პროცესი.[172]

მაშასადამე, ინტელექტუალური მეწარმე შეიძლება იყოს არა მარტო ბიზნესმენი, არამედ მეცნიერი, სტუდენტი, მუსიკოსი და ა.შ.

საყურადღეობა ის, რომ თანამედროვე ამერიკელი სოციოლოგი **რიჩარდ ფლორიდა** მათ შემოქმედებით ჯგუფში აერთიანებს და „კრეატიულ კლასს“ უწოდებს.[173]

---

[169] **Уэрта де Сото Х. (2009).** Автрийская экономическая школа: рынок и предпринимательское творчество. Челябинск., «Социум», С. 106.

[170] ლატენტური (არაცხადი, ფარული) ცოდნის ტერმინის ავტორია ამერიკელი მეცნიერი **მაიკლ პოლანი.**

[171] **Пономарев А. В. (2011).** Интелектуальное предпринимательство как процедура открития. Вестник МГИМО-университета. М., №1 (6). С. 140.

[172] **Cherwitz R. (2005).** Creating a Culture of Intellectual Entrepreneurship. Academe 91. July/August. Vol. 5.

[173] **Флорида Р. (2007).** Креативный класс: люди, которые меняют будущее. Пер. с англ. М., «Классика-XXI», 432 с.

ამგვარად, შეიძლება აიგოს ლოგიკური ჯაჭვი ცნებების:

„მეწარმე“ — „ინტელექტუალური მეწარმე“ — „აკადემიური მეწარმე“.[174]

ამიტომ, ბუნებრივია, „ინტელექტუალური სამეწარმეო საქმიანობის“ ცნების ასეთი გაგება საგანმანათლებლო-კვლევით სფეროში, ანუ უნივერსიტეტების საქმიანობის მიმართაც თავისუფლად გავრცელდეს.

ჩერვიტცის ინტელექტუალური სამეწარმეო საქმიანობის კონცეფციის საფუძველია ოთხი ფასეული ორიენტირი: **ხედვა და აღმოჩენა**, **საკუთრება და პასუხისმგებლობა**, **ინტეგრალური აზროვნება და მოქმედება**, **თანამშრომლობა და ურთიერთზემოქმედება**.[175]

სამეწარმეო უნივერსიტეტების კონცეფციის ფორმირებაში მეტად მნიშვნელოვანია მისი ფუძემდებლის, გამოჩენილი პედაგოგისა და უმაღლესი განათლების სისტემის თანამედროვე ამერიკელი მკვლევრის, **ბერტონ კლარკის** ფუნდამენტური ნაშრომები[176], რომლებშიც ახსნილია თუ რა უნდა გაკეთდეს, რომ უნივერსიტეტებმა უკეთ უპასუხონ მსოფლიოში მიმდინარე სწრაფცვალებად გამოწვევებს.

მრავალი ქვეყნის მოწინავე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მაგალითზე **ბ. კლარკი** გვიჩვენებს, თუ როგორ აღწევენ უნივერსიტეტები ინიცირებასა და თანდათანობით ცვლილებას, ეკონომიკისა და საზოგადოების ახალ მოთხოვნებთან ადაპტირებას.

კლარკმა დეტალურად შეისწავლა მოწინავე უნივერსიტეტების სამეწარმო ტრანსფორმაციის ძირითადი მიმართულებები. მეცნიერის ინტერესი მათდამი დღევანდელი ობიექტური რეალობიდან გაჩნდა.

საქმე იმაშია, რომ უნივერსიტეტებისთვის მთელ მსოფლიოში საგანგაშო ეპოქა დადგა. მათ წინაშე ახალ-ახალი სირთულეები ნაწვიმარზე აღმოცენებული სოკოებივით გამრავლდა. უმაღლესმა განათლებამ ადრინდელი სიმყარე და მდგრადობა რეალურად დაკარგა. მის წინაშე მრავალი მოლოდინი წარმოიშვა: სტუდენტების მოთხოვნები

---

[174] **Мкртычян Г. А. (2014).** Предпринимательский университет: концепция и диагностика культуры. «Вестник Минского университета». №4. С. 47.

[175] **Орлов В. М. (2014).** Интелектуальное предпринимательство. Челябинск. ФГОУ ВПО «ЮурГУ» (НИУ). С. 1.

[176] **Кларк Б. Р. (2011).** Система высшего образования: академическая организация в кросс-национальной перспективе. Пер. с англ. «Высшая школа экономики». М., 360 с.; **Кларк Б. Р. (2011).** Создание предпринимательских университетов: организационные направления трансформации. Пер. с англ. «Высшая школа экономики». М., 240 с.; **Кларк Б. Р. (2011).** Поддерживание изменений в универси-

გაიზარდა, რადგან სურთ განსხვავებული და თანამედროვე განათლების მიღება განახლებული სასწავლო პროგრამებითა და ახალი სასწავლო კურსებით; მეცნიერებატევადი კომპანიები, რომლებიც პროფესიული დასაქმების ახალ ბაზრებს სწრაფად ქმნიან, ახალგაზრდა კომპეტენტურ კადრებს ელიან; მთავრობები მათგან საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტაში დახმარებას ითხოვენ და, იმავდროულად, მერყეობენ კიდეც უნივერსიტეტების დაფინანსებაზე, რითაც ნაკლებად საიმედო პარტნიორები ხდებიან; და რაც მთავარია — საუნივერსიტეტო კვლევითი ბაზა დიდი სიჩქარით ქმნის ახალ ცოდნას, თანდათანობით ადიდებს სპეციალობების რაოდენობას და დისციპლინათა სპექტრს აფართოებს. უნივერსიტეტებს კი ცოდნის ზრდის ტემპების შეჩერება ან თუნდაც შენელება არ შეუძლიათ.[177]

კლარკის აზრით, უნივერსიტეტები სახელმწიფოს, საზოგადოების, დამსაქმებლების, სტუდენტთა მშობლებისა (ძირითადი დამფინანსებლები) და თვით სტუდენტების მიერ ანთებული მოგიზგიზე ცეცხლის ალის გადაკვეთის მოლოდინში აღმოჩნდნენ. თანაც, ეს მოლოდინი განუწყვეტლივ იცვლება და უფრო მძაფრდება. გაჩნდა სკეპტიკური მოსაზრებებიც, კერძოდ, უმაღლესი განათლების, როგორც ასეთის, საჭიროების აუცილებლობის შესახებ.

მეტად საყურადღებო და დამაფიქრებელია **ბერტონ კლარკის** ერთ-ერთი ციტატა: «Исследование современного академического предпринимательства учит нас тому, что XXI веке университеты все чаще будут получать то, чего они заслуживают. Удача улыбнется тому, кто выработает в себе институциональную прывичку к изменениям».[178]

ინოვაციური უნივერსიტეტების კვლევის შედეგად, **ბ. კლარკი** გვთავაზობს ტრადიციული უნივერსიტეტის სამეწარმეო უნივერსიტეტად ცვლილების მინიმუმ ხუთ საბაზო მახასიათებელს:[179]

1. **მმართველი ბირთვის როლის გაძლიერება**, რომელიც გარდაქმნის პროგრამულ ამოცანებს და შეცვლის სტრუქტურებს. მას შეიძლება ჰქონდეს სხვა ფორმები (მოიცავდეს მართვის ცენტრალურ ჯგუ-

---

тетах. Преемственность кейс-стади и концепций. Пер. с англ. «Высшая школа экономики». М., 312 с.

[177] **Чекмарев В. В. и др. (2013).** Мировой социально-экономический контекст высшего образования. «Экономика образования». М., №1.

[178] **Кларк Б. Р. (2011).** Поддерживание изменений в университетах. Преемственность кейс-стади и концепций. Пер. с англ. «Высшая школа». М., С. 308.

[179] **Кларк Б. Р. (2011).** Создание предпринимательских университетов: организационные направления трансформации. Пер. с англ. «Высшая школа». М., С. 21-25.

ფებს/განყოფილებებს), მაგრამ, ახალ ფასეულობებს ტრადიციულ აკადემიურ ღირებულებებთან, ორგანულად უნდა ათანხმებდეს;

2. **პერიფერიული განვითარების გაფართოება.** მასში მოიაზრება ინდუსტრიასთან, საზოგადოებასთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან კომუნიკაციის გაძლიერება. ამისთვის შეიძლება შეიქმნას ინტელექტუალური საკუთრების დაცვისა და ინოვაციური სამეწარმეო საქმიანობის მხარდამჭერი ახალი სტრუქტურები (ინოვაციური ინფრასტრუქტურის, ტექნოლოგიების ტრანსფერის, მოწინავე მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ინკუბაციის ცენტრები, ვენჩურული ფონდები, ბიზნეს-ინკუბატორები და სხვ.), რომელთა ლოზუნგი შესაძლოა იყოს: „პოვნა და შერწყმა“ და/ან „კვლევა და განვითარება“;

3. **დაფინანსების წყაროების დივერსიფიკაცია.** ბოლო პერიოდში მრავალ განვითარებულ ქვეყნაში სახელმწიფოს მიერ უნივერსიტეტების დაფინანსება მცირდება (სახელმწიფო სუბსიდია, დაახლოებით, 1/3-ის ფარგლებშია[180]). ამიტომ საუნივერსიტეტო კვლევები, უმეტესად, უნდა იყოს ბაზარზე მოთხოვნადი, გამოყენებითი, ანუ რეალიზებადი, და არა მარტო აბსტრაქტულ-ფუნდამენტური. საჭიროა სახელმწიფოსა და კერძო ბიზნესის დაინტერესება, გრანტებისა და კონტრაქტების მრავალფეროვნება, შემოწირულობების გაფართოება;

4. **მასტიმულირებელი აკადემიური სტრუქტურების ჩამოყალიბება,** ანუ არსებული ფაკულტეტების შენარჩუნება, ოღონდ გაძლიერებული სამეწარმეო სულისკვეთებით, მართვის ტრადიციულ შეხედულებებთან თანამედროვე ფასეულობების შეწყმა/განვითარება ეროვნული თავისებურებების გათვალისწინებით;

5. **სამეწარმეო ორგანიზაციული კულტურის ფორმირება,** როგორც აუცილებელი პერსპექტივა უნივერსიტეტში სამეწარმო საბაზო ელემენტების განვითარებისთვის. მასში სამეწარმეო კულტურისა და უნარების მქონე თანამშრომელთა აზროვნება იგულისხმება.

უნივერსიტეტებში ცვლილებები სამ დონეზე მიმდინარეობს:

- **შიდა ორგანიზაციის სფეროში.** ტრადიციულ სტრუქტურებს (ფაკულტეტი, კათედრა) ემატება სხვებიც: ტექნოლოგიური ქვედანაყოფები, კვლევითი ინსტიტუტები, ტექნოპარკები და სხვ. მათი საქმიანობით უნივერსიტეტის ახალი იმიჯი იქმნება;
- **აკადემიური საქმიანობის როლისა და ამოცანების განსაზღვრის სფეროში.** როლების ტრადიციულ იერარქიაში, რომელშიც აკა-

[180] **Захаров А. А. (2015).** Предпринимательские трансформации в Токийском университете: уроки для российских вузов. «Креативная экономика», 9(8). С. 975-994.

დემიური ფუნქცია იყო ძირითადი, „დამხმარე“ პერსონალი აქტიურად ერთვება და მათი შერჩევა უფრო მნიშვნელოვანი ხდება;

- **ორგანიზაციულ-კორპორაციული კულტურის სფეროში.** ტრადიციულად, უნივერსიტეტი საბაზრო ორგანიზაციებისგან განსხვავებული საზოგადოებრივი ინსტიტუტია. მისი განსხვავებულობა სასწავლო-საგანმანათლებლო დამოუკიდებლობაში, ხოლო თვით ორგანიზაციაში — წევრებს შორის არსებულ კოლეგიალურობაში გამოიხატება. ტრადიციული აკადემიური ფასეულობებისა და აკადემიურ საქმიანობაში მიმდინარე ცვლილებებმა, უნივერსიტეტებში ეს განსაკუთრებულობა თანდათან წაშალა. ცოდნის საზოგადოების ფორმირების პირობებში აკადემიურ ინსტიტუტებსა და სხვა ტიპის ორგანიზაციებს შორის ზღვარი თანდათან მოისპო.

სამეწარმეო უნივერსიტეტისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ორგანი-ზაციული (კორპორაციული) კულტურის საკითხი.

ზოგადად, ორგანიზაციული კულტურის მრავალი მოდელი არსებობს,[181] თუმცა, სამეწარმეო უნივერსიტეტის სფეროში იგი ნაკლებშესწავლილია. ჯერჯერობით, ადეკვატური მეთოდოლოგიური ინსტრუმენტარიუმი მკაფიოდ არ განსაზღვრულა, რის გამოც ბიზნესკომპანიებში დამკვიდრებული პრაქტიკით ხელმძღვანელობენ.

ჯერ კიდევ გასული საუკუნის 50-ანი წლებში გამოქვეყნდა ინგლისელი რეალისტი მწერლის **ჩარლზ სნოუს** მოხსენება: „Two Cultures and the Scientific Revolution“,[182] რომელშიც აღწერილია კულტურის ორ საერთო-საკაცობრიო მიმართულებას — ჰუმანიტარული და საბუნებისმეტყველო-სამეცნიერო — შორის არსებული „განხეთქილება“. მწერალი ფრთხილად მიგვითითებდა მოსალოდნელ საშიშროებაზე, დაკავშირებულს საზოგადოებისა და ცოდნის დეზინტეგრაციაზე. თუმცა, მის რეალისტურ შეგონებას სათანადო ყურადღება დღემდე არ მიქცევია.

ბოლო პერიოდში წარმოიშვა კულტურის ახალი მიმართულება, რომელსაც პირობითად შეიძლება „ბიზნესკულტურა“ ეწოდოს. ამით კი, სნოუსეული „განხეთქილება“ უკვე სამ მიმართულებაში — ჰუმანიტარული, საბუნებისმეტყველო-სამეცნიერო და საქმიანი — გადაიზარდა. საჭირო გახდა ამ კულტურების დივერგენციის პრობლემის გათა-

---

[181] ცნობილია, მაგ., ჰოფსტედეს, აკოფის, ჰენდისა და სხვათა მოდელები.

[182] ქართულად: „ორი კულტურა და სამეცნიერო რევოლუცია“. **Сноу Ч. С. (1985).** Две культуры и научная революция. Пер. с англ. В кн.: Сроу Ч. П. Портреты и размышления. М., «Прогресс».

ვისება და უარის თქმა მეცნიერულ შემეცნებაზე, როგორც ერთადერთ შესაძლებელ და საყურადღებო დომინანტზე.[183]

აღნიშნულს ის ვითარება განაპირობებს, რომ ბიზნესში მომუშავე მენეჯერისთვის აუცილებელია სამივე ტიპის კულტურის დამახასიათებელი შემდეგი ძირითადი უნარ-თვისებები:

პირველი — ხატოვანი (სახოვანი) აზროვნება, რომელიც პრინციპულად საჭიროა ახალი ბიზნესიდეის გენერაციისა და კონკურენტული უპირატესობის უზრუნველსაყოფად. ასეთი აზროვნება კი ჰუმანიტარული კულტურის ფარგლებში ვითარდება;

მეორე — ზუსტი ანალიზი და გაანგარიშება, რომელიც ბიზნესიდეის წარმატებული რეალიზაციის საფუძველია, მხოლოდ მათემატიკურ-სტატისტიკური კვლევის მეთოდების გამოყენებით შეიძლება. სიღრმისეული ანალიზი და ოპტიმალური ვარიანტის შემუშავება კი საბუნებისმეტყველო კულტურის პრეროგატივაა;

მესამე — ბიზნესკულტურას ახასიათებს განსხვავებული თავისებურებაც: მოითხოვს მოცემულ სოციუმში არსებული სოციალურ-ფსიქოლოგიური ასპექტების (სოციალური პასუხისმგებლობა, ზნეობრიობა, ბიზნესეთიკა და სხვ.) ურთიერთკავშირსა და გარემოებათა გათვალისწინებას. ამიტომ მეწარმის ბიზნესგანათლების ორიენტაცია ხსენებული კულტურების მთავარი ასპექტების ორგანული სინთეზი უნდა იყოს.

სოციუმის ამ სეგმენტში საყურადღებოა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება: ვინაიდან ცოდნის დიდი მოცულობის ფლობა უკვე აღარ არის მთავარი კონკურენტული უპირატესობა, რადგან იგი სწრაფად ძველდება, ხოლო ინფორმაცია არნახულად ხელმისაწვდომი გახდა, ინდივიდის უპირატესობა ახალი ცოდნა/იდეის წარმოშობის პოტენციურ უნარ-შესაძლებლობაში ვლინდება, რაც ინტელექტუალური სამეწარმეო საქმიანობის საფუძველთა საფუძველია. ინდივიდის პერსონალური უნარ-შესაძლებლობების დიდი ნაწილი კი ფარულია, არაფორმალიზებული, ექსკლუზიური, უნიკალურია, ანუ მხოლოდ მისთვის დამახასიათებელია, რომლის ადგილზე შეცვლა ან ბაზარზე „ყიდვა“ საკმაოდ ძნელია ან თითქმის შეუძლებელი. წარმოიშობა ისეთი სიტუაცია, როცა ორგანიზაცია/კომპანია კონკრეტული მუშაკით უფრო დაინტერესებულია, ვიდრე თვით ინდივიდი კომპანიით (განსხვავებით ინდუსტრიულ საზოგადოებაში არსებული ვითარებისა, როცა ინდივი-

[183] **Орлов В. М. (2014).** Интелектуальное предпринимательство. Челябинск. ФГОУ ВПО «ЮурГУ» (НИУ). С. 22.

დების ურთიერთჩანაცვლება დიდ სირთულეს არ წარმოადგენს, რადგან ძირითად სამუშაოს ტექნიკა ასრულებს). უფრო მეტიც, ასეთი ინდივიდი თავის შრომას ორგანიზაციაზე უბრალოდ კი არ ყიდის, არამედ ორგანიზაცია მისი უნიკალური ინტელექტუალური პოტენციალის გამოვლენის გარემო ხდება.

აღნიშულიდან გამომდინარეობს ის ფაქტი, რომ ორგანიზაციის/კომპანიის მენეჯმენტმა თანამშრომლებისთვის ისეთი ჰარმონიულ-პროგრესული ორგანიზაციული კულტურა უნდა დაამკვიდროს, რომელიც ინოვაციურ მუშაკებს თავიანთი ექსკლუზიური უნარ-შესაძლებლობების სრულად გამოვლენისა და განვითარების საშუალებას მისცემს, ხოლო მათი ერთობლივი კომპოზიციით ორგანიზაცია/კომპანია მაღალ სინერგიულ ეფექტს მიაღწევს.[184]

თანამედროვე პირობებში კორპორაციული კულტურა უნივერსიტეტის განვითარებისა და კონკურენტულ გარემოში საქმიანობის ეფექტურობის ერთ-ერთი ძირითადი ინსტრუმენტი ხდება. ამიტომ სამეწარმო ინტელექტუალური საწარმოსთვის მეტად მნიშვნელოვანია იმ ფასეულობების გაცნობიერება, რომელსაც იგი ეფუძნება.

ამ მიმართებით განვითარებულ სამყაროში საკმაოდ პოპულარულია ამერიკელი მეცნიერების **კიმ კამერონისა** და **რობეტ კუინის** კორპორატიული კულტურის თანამედროვე მოდელი. მისი საფუძველია კონკურენტული ფასეულობების ჩარჩო-კონსტრუქცია, რომელშიც ორგანიზაციის საქმიანობის შეფასების 40-მდე ინდიკატორია გამოყენებული. თითოეული მათგანი სტატისტიკურ ანალიზს ექვემდებარება, რაც საშუალებას იძლევა გამოიყოს ორი მთავარი განზომილება: მოქნილობა — სტაბილურობა და შიდა ფოკუსი — გარე ფოკუსი. ორივე განზომილება ოთხ კვადრატს ქმნის, რომელთაგან თითოეული შეესაბამება თავის წარმოდგენას ეფექტურობის, ფასეულობებისა და ხელმძღვანელობის სტილის შესახებ და, მთლიანობაში, ერთიან ორგანიზაციულ კულტურას ორგანულად აყალიბებს.

ამ ნიშნით არსებობს ოთხი ტიპის ორგანიზაციული კულტურა: კლანური, იერარქიული (ბიუროკრატიული), ედჰოკრატიული[185] და საბაზრო (იხილეთ ნახ. 2.1).[186]

---

[184] შდრ.: — **პეტრე კაპიცა**: „ხელმძღვანელობა იმას ნიშნავს, რომ კარგ ადამიანებს ხელს არ უშლიდე მუშაობაში“.

[185] ტერმინი წარმოდგება ლათინური გამოთქმიდან: „ad hoc“, რომელიც ნიშნავს სპეციალურად ამ შემთხვევისთვის“. ტერმინი შემოთავაზებულია ამერიკელი სოციოლოგის **ელვინ ტოფლერის** მიერ 1984 წელს გამოცემულ წიგნში: „Future Shock“. თავისი არსით იგი ბიუროკრატიულის საპირისპიროა,

ნახ. 2.1. კამერონ-კუინის ორგანიზაციული კულტურის მოდელი[187]



სამეწარმეო უნივერსიტეტის საქმიანობის სფეროში უცხოეთში ასევე აპრობირებულია ამერიკელი მეცნიერების **რობ გოფისა** და **გერეტ ჯონსის** ორგანიზაციული კულტურის მოდელი, სახელწოდებით: **„ორმაგი S-ის კუბი“**, რომლის თანახმად, ორგანიზაციული კულტურის შეფასების ძირითადი ინდიკატორებია თანამშრომელთა შორის არსებული **სოციალურობა** და **სოლიდარულობა.** პირველი ასახავს მეგობრული ურთიერთობის დონეს, მეორე კი, — ორგანიზაციის საერთო მიზნებისადმი თანამოაზრეობასა და აზრთა თანხმობას.

არის უმაღლესი ხარისხის ორგანიზაციული კულტურა, ღია, თავისუფალი, მოქნილი და შემოქმედებითი მართვის სტილი. ახასიათებს ჰორიზონტალურ-არაიერარქიული ორგანიზაცია. უმეტესად გამოიყენება საპროექტო გუნდის შექმნისას მოკლევადიანი ამოცანების გადასაწყვეტად.

[186] **Пак В. Д., Нужина Н. И. (2014).** Основные типологии организационной культуры. Томск. «Социологические науки». Сентябрь. С. 38.

[187] **Камерон К., Куинн Р. (2001).** Диагностика и изменение организационной культуры. Пер. с англ. СПб, «Питер». 320 с.

საყურადღებოა ისიც, რომ თითოეული ეს კულტურა შეიძლება გამოვლინდეს როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური ნიშნებით (იხილეთ ნახ. 2. 2).

ნახ. 2.2. გოფი-ჯონსის ორგანიზაციული კულტურის მოდელი[188]



რამდენიმე სამეწარმეო უნივერსიტეტში გოფი-ჯონსის მოდელის დიაგნოსტიკის შედეგებით ირკვევა, რომ უმეტესად მათ აქვთ ერთობის (საერთო) კულტურა დამახასიათებელი სოციალურობისა და სოლიდარულობის მაღალი ხარისხით, ანუ მეტწილ საკითხებზე და ორგანიზაციის საერთო მიზნებისადმი თანამშრომლებს ახასიათებთ მეგობრულ ატმოსფეროში ურთიერთობა.

ნათლად გამოიკვეთა ისიც, რომ საბუნებისმეტყველო პროფილის მუშაკებში სოლიდარობის დონე უფრო მაღალია, ვიდრე სოციალურ-ჰუმანიტარული და ეკონომიკური პროფილის თანამშრომლებში. ვფიქრობთ, ამ განსხვავებულობას მათივე სამეცნიერო-საგანმანათლებლო საქმიანობის თავისებურებები განაპირობებს. საბუნებისმეტყველო პროფილის მუშაკებისთვის სოლიდარულობა მნიშვნელოვანია გამოყენებით სფეროებში კვლევებისა და დამუშავებებისთვის, რადგან მათ საქმიანობას გუნდური ხასიათი აქვს.

სხვა სიტუაცია შეინიშნება სოციალურ-ჰუმანიტარულ და ეკონომიკურ პროფილებში. აქ ნიშანდობლივია ინდივიდუალური მოღვაწეობა,

[188] **Gofee R. (2006).** Why should anyone be led BY YOU? What It Takes to Be an Authentic Leader. Harvard Business school Press. Boston, Massachusetts. P. 256; **Гофф Р. (2008).** Почему люди должны следовать за нами?: Книга о том, что значит быть истинным лидером. Пер. с англ. М., «Манн, Иванов и Фербер». 240 с.

რაც განაპირობებს კიდეც მაღალი ხარისხის ავტონომიურობასა და დამოუკიდებლობას კვლევითი პროექტების რეალიზაციაში.[189]

მთლიანობაში გოფი-ჯონსის მოდელი სამეწარმეო საუნივერსიტეტო კულტურასთან უფრო შესაბამისია, რადგან სამეცნიერო-საგანმანათლებლო სპეციფიკასთან შედარებით ახლოა.

გარდა ამისა, ამ მოდელით შეიძლება არა მარტო ორგანიზაციული კულტურის რომელიმე ტიპი დაფიქსირდეს, არამედ მისი გამოვლენის დადებითი ან უარყოფითი მხარეებიც შეფასდეს. თუმცა, კულტურის სხვა ტიპებიც გასათვალიწინებელია, რამეთუ მოცემული საკითხი პრინციპულად მნიშვნელოვანია და უნივერსიტეტის ორგანიზაციული კულტურის ვექტორის ცვლილების განმსაზღვრელია.

დიაგნოსტიკის შედეგების ინტერპრეტაციისთვის შესაძლოა გამოვიყენოთ უნივერსიტეტის კულტურის შედარება (კომპარატივისტიკა) ბიზნესკულტურასთან.[190]

ცნობილია, რომ ერთობის (საერთო) კულტურას მიმართავენ ისეთი მაღალტექნოლოგიურ-ინოვაციური კომპანიები, როგორიცაა, მაგ., Hewlett-Packard, Electronics Arts, Apple, Johnson and Johnson და სხვ. მათ თანამშრომლებს აქვთ თანხვედრი შეხედულებები და ახასიათებთ მეგობრული ურთიერთობები. ისინი საკუთარ თავს ორგანიზაციასთან აიგივებენ: ტანსაცმელს ატარებენ კომპანიის ლოგოტიპით, ორგანულად ითავისებენ კომპანიის მისიას და სხვ.

ასეთი წანამძღვრები აუცილებელია ინდივიდუალური და გუნდური შემოქმედებისთვის. თუ უნივერსიტეტს სურს მაღალტექნოლოგიურ-ინოვაციურ კომპანიებს მიბაძოს (დაემსგავსოს), უნდა შექმნას ამგვარი ორგანიზაციული კულტურა. ასეთი ლოგიკა მართლზომიერია იმ დაშვებისთვის, რომ სამეწარმო უნივერსიტეტები და მაღალტექნოლოგიურ-ინოვაციური ბიზნესკომპანიები, მათ მისიებსა და მიზნებში არსებული პრინციპული განსხვავებების მიუხედავად, მაინც ერთგვაროვანი ტიპის ორგანიზაციებია.

საინტერესოა ორგანიზაციული კულტურის ტიპოლოგია ბრიტანელი ფილოსოფოსის **ჩარლზ ჰენდის** მიხედვით:[191]

---

[189] **Мкртычян Г. А. (2014).** Предпринимательский университет: концепция и диагностика культуры. «Вестник Минского университета». №4. С. 48.

[190] **Грудзинский А. О. (2012).** Организационная культура как фактор развития инновационного университета. «Вестник Нижегородского университета им. Н. И. Лобачевского». №4 (1). С. 12-17.

[191] **Handy Ch. (1996).** Gods of Management: The Changing Work of Organizations. N.Y.: Oxford University Press, 272 p.



„ძალაუფლების (როლის) კულტურა“ — სერიული წარმოება: სტუდენტების ნაკადური მომზადება; დადგენილი სტანდარტებითა და რეგლამენტით მუშაობა; მმართველობითი კონტროლი.

„ამოცანის კულტურა“ — უნიკალური პროდუქტების წარმოება: სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები, ინოვაციური პროდუქტები, კონსალტინგურ-საექსპერტო სახურება.



„პიროვნების კულტურა“ — სამეცნიერო სკოლებისა და ხელოვნების წარმომადგენლების მოღვაწეობა (გამოჩენილი მეცნიერის, ან მაესტროს შემოქმედებითი ჯგუფი).



რა თავისებურებები ახასიათებს ინტელექტუალურ სამეწარმო საქმიანობას?[192]

- **ინტელექტუალური უშიშრობა,** რაც ნებისმიერი სირთულის პრობლემის დაძლევისადმი შეუპოვრობას ნიშნავს. მეტიც, ასეთი პიროვნება მით უფრო აზარტულია, რაც უფრო რთულია თვით გადასაწყვეტი პრობლემა;
- **ინფორმაციული განათლებულობა.** იგი ინფორმაციის დიდ მასივში სასურველი ინფორმაციის პოვნასა და სწრაფად დამუშავების უნარს გულისხმობს;
- **ჭარბი ინფორმაციის შემოტევისადმი გამკლავება.** ამ თვისებაში მნიშვნელოვანია პიროვნების შინაგანი განწყობა, როცა საგნის /მოვლენის შესახებ მაღალი ხარისხის განუსაზღვრელობის, ანუ ინფორმაციის დეფიციტის პირობებშიც კი, მას ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღება ოპერატიულად შეუძლია;
- **ახალი ცოდნის შექმნის უნარი.** ხშირად, ახალი ცოდნა იბადება კოგნიტური (შემეცნებითი) დისონანსის[193] შედეგად, როცა ადამიანი

---

[192] **Костантинов Г., Филонович С**. Интелектуальное предпринимательство и предпринимательский университет. [http://www.buk.irk.ru/exp_seminar/5/doc1.pdf]

[193] დისკომფორტის მდგომარეობა, როცა ადამიანს ერთ ობიექტზე ერთდროულად აქვს ორი წინააღმდეგობრივი „ცოდნა“ (შეხედულება, განზრახვა).

მოცემულ საკითხზე ორ ან მეტ სიგნალს იღებს და მათ ადეკვატურად ვერ აფასებს. საჭიროა ამ დისკომფორტის ზღვარის გადალახვა;

• **ახალი ცოდნის შექმნისადმი გაძლიერებული მოტივაცია**. მართალია ეს საკითხი კარგად არ შესწავლილა, მაგრამ, ერთი რამ ცხადია: ამ შემთხვევაში არსებით როლს ასრულებს ინდუქციის ეფექტი, ანუ როცა ადამიანი ცოდნის გენერაციის მოტივირებულ ჯგუფშია ჩართული, მასაც ახალი ცოდნის შექმნის მძაფრი სურვილი უჩნდება.

ამ თავისებურებებიდან ჩანს, რომ ინტელექტუალური სამეწარმეო საქმიანობა მიმართულია ცოდნის გენერაციის დაჩქარებისკენ. შედეგად, ბუნებრივად, წარმოიშობა მრავალი კითხვა:

— შეიძლება თუ არა ინტელექტუალური სამეწარმეო საქმიანობის სწავლება?

— შეუძლია თუ არა ამ ამოცანის გადაწყვეტა კლასიკურ (ტრადიციულ) უნივერსიტეტს, თუ საჭიროა ახალი ტიპის უნივერსიტეტი?

— შეუძლია კი სამეწარმეო საქმიანობის სწავლება იმ უნივერსიტეტს, რომელიც თვითონ არ არის სამეწარმეო ორიენტაციის?

ამ ვითარებაში უპრიანია გავიხსენოთ ბრძენი პლატონის სიტყვები: „სხვას ვერ ასწავლი, ვერც მისცემ მას, რაც თვითონ არ იცი, ან არ გაგაჩნია“.[194]

უნივერსიტეტის **ჰუმბოლდტისეული** მოდელის ძირითადი ფუნქცია იყო ახალი ცოდნის გენერაცია და გავრცელება, რისთვისაც საჭირო ფინანსებს იგი გარედან, უმეტესად, სახელმწიფოსგან იღებდა.

ტრადიციული ანუ გარედან სუბსიდირების შეზღუდულობა უნივერსიტეტის ძირითადი მიზნების მიღწევის შესაძლებლობას ამცირებს. თუ სტივენსონის განსაზღვრებას გამოვიყენებთ, შეიძლება ითქვას, რომ სამეწარმეო უნივერსიტეტი მისი ამოცანების გადაწყვეტის შესაძლებლობას გამუდმებით თვითონვე ეძებს.

ამ საკითზე მეტად საყურადღებოა რუსი მეცნიერის **გ. კოსტანტინოვის** მოსაზრება. იგი თვლის, რომ სამეწარმეო უნივერსიტეტი ისეთი უმაღლესი სასწავლო დაწესებულებაა, რომელიც სისტემატურად ცდილობს დასძლიოს ბარიერი სამ ძირითად სფეროში — ცოდნის გენერაციაში, სწავლებასა და კომერციალიზაციაში.[195]

---

[194] **პლატონი. (1964).** ნადიმი. თბ., „საბჭოთა საქართველო“. გვ. 43.

[195] **Костантинов Г. Н. (2007).** Что такое предпринимательский университет. «Вопросы образования». М., №1. С. 49-62.

1. **ცოდნის გენერაციის სფეროში:** — მუდმივად იმუშაოს კვლევის ახალი მეთოდების დამუშავებაზე და ცოდნის ახალი სფეროების კვლევაზე ან უკვე ცნობილ სფეროებში ახალ პრობლემებზე;

2. **სწავლების სფეროში:** — განავითაროს სწავლების ინოვაციური მეთოდები და სწავლების შინაარსის მოდიფიკაცია შეძლოს მეცნიერებისა და პრაქტიკის უახლესი მიღწევების ასახვით;

3. **ცოდნის კომერციალიზაციის სფეროში:** — სხვადასხვა ფორმების დანერგვით გააძლიეროს საზოგადოებასთან კომუნიკაცია.

ეს სფეროები თანაბრად მნიშვნელოვანია.

ამგვარად, **სამეწარმეო უნივერსიტეტი არის ისეთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც მუდმივად ცდილობს გადალახოს შეზღუდულობა საბაზო სფეროებში — ცოდნის გენერაციაში, სწავლების სრულყოფაში და ცოდნის კომერციულ პროდუქტად გარდაქმნაში — საქმიანობის ახალი სახეობის ინიცირებით, საკუთარი ტრანსფორმაციითა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მოდიფიკაციით.**

ამ სფეროებში უნივერსიტეტის თავისუფლება ძირითადი რესურსების (ფინანსური, ინფორმაციული და ადამიანისეული) დეფიციტის პირობებში შეზღუდულია. ხშირად, მათი გარედან მოზიდვა განიხილება, როგორც უტყუარი სამეწარმო ნიშანი (ფხიანობა, მოქნილობა), რაც არამართებულია, რადგან გარედან რესურსების მოძიება მეორეხარისხოვანია მითითებულ სფეროებში არსებულ სირთულეთა დაძლევასთან შედარებით. მართალია, რესურსების (მეტწილად, ფინანსური) მოზიდვის გარეშე უნივერსიტეტის სამეწარმო საქმიანობა დიდად იზღუდება, მაგრამ ეს რესურსები უნივერსიტეტმა თავისი ძალისხმევით უნდა მოიპოვოს, და არა გარედან მზამზარეული მიიღოს. ტრადიციული უნივერსიტეტები, როგორც წესი, რესურსულ პრობლემას განიხილავენ როგორც ისეთ ამოცანას, რომელიც მათ კი არა, იმ გარემომ უნდა გადაწყვიტოს, რომელშიც ფუნქციონირებენ. პარადოქსია, როცა ამ პრობლემას გარემო წყვეტს, უნივერსიტეტის თანამშრომელთა აქტიურობა და, შესაბამისად, მთელი უნივერსიტეტის სამეწარმეო პოტენციალი მნიშვნელოვნად კლებულობს.

არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ **სტუდენტი უნივერსიტეტის ინვესტორია,** რომელიც შესაბამის უკუგებას (იგულისხმება განათლების ხარისხი) ელოდება.

არსებითია აღინიშნოს, რომ რესურსების პრობლემა კავშირშია სერიოზულ გარდაქმნებთან როგორც უნივერსიტეტის შიდა გარემოში,

ისე გარე გარემოსგან იზოლაციის ტენდენციების გადალახვასთან მიმართებაში.

მთლიანობაში უნივერსიტეტის სამეწარმეო საქმიანობის პრობლემა მატრიცული სახით შეიძლება ასე გამოისახოს (იხილეთ ცხრ. 2. 5).

ცხრ. 2.5. უნივერსიტეტის სამეწარმეო საქმიანობის მატრიცა[196]

რესურსული შეზღუდვის გადალახვა / **ჭეშმარიტი სამეწარმო საქმიანობა**	ადამიანისეული რესურსების დეფიციტის გადალახვა	ფინანსური რესურსების დეფიციტის გადალახვა	ინფორმაციული რესურსების დეფიციტის გადალახვა
შეზღუდვების გადალახვა ცოდნის გენერაციის სფეროში			
შეზღუდვების გადალახვა სწავლების სფეროში			
შეზღუდვების გადალახვა ცოდნის პრაქტიკაში დანერგვის სფეროში			

მოცემული მოდელით შესაძლებელია იმ სფეროების შერჩევა, რომლებშიც აქტიურობას აპირებს უნივერსიტეტი.

რუსი მეცნიერების **გ. კოსტანტინოვისა** და **ს. ფილონოვიჩის** აზრით, განათლების სრულყოფის საკითხი სტანდარტიზაციისა და დიფერენციაციის ასპექტებშია განსახილველი.[197]

განათლების სტანდარტიზაცია აუცილებელია როგორც სოციალური, ისე პროფესიული ურთიერთობისთვის. სტანდარტები ორიენტირებულია საბაზო ცოდნის (ე.წ. „საერთო ენის გამონახვის“) შესადგენად, ცოდნის ერთიანი ბირთვის ფორმირებისთვის. დიფერენციაცია ორიენტირებულია ინდივიდუალური კონკურენტული უპირატესობების შესაქმნელად, ცოდნის პერსონალური სისტემისთვის. ორივე ამოცანა განათლების გადასაწყვეტია.

[196] **Костантинов Г., Филонович С. (2007).** Что такое предпринимательский университет. «Теоретические и прикладные исследования». М., С. 56.

[197] იქვე.

შევაფასოთ თანამედროვე უნივერსიტეტის პოზიციონირება ორი კოორდინატით: „სტანდარტიზაცია — დიფერენციაცია“ (იხ. ცხრ. 2.6).

ცხრ. 2.6. სტანდარტიზაცია და დიფერენციაცია უნივერსიტეტების საქმიანობაში

<table>
<tr><td rowspan="2">დიფერენციაციის დონე</td><td>მაღალი</td><td>შემოქმედებითი შახელოსნოები, სპეციალიზებული ტრენინგები</td><td>იდეალური უნივერსიტეტი</td></tr>
<tr><td>დაბალი</td><td>მოხალისეები, როგორც ცოდნის გავრცელების აგენტები</td><td>მასობრივი უნივერსიტეტი</td></tr>
<tr><td colspan="2"></td><td>დაბალი</td><td>მაღალი</td></tr>
<tr><td colspan="2"></td><td colspan="2">სტანდარტიზაციის დონე</td></tr>
</table>

ცოდნის გავრცელებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროექტები (მარცხენა ქვედა სეგმენტი), ჩვეულებრივ, გაუნათლებლობის წინააღმდეგ მებრძოლი მოხალისე ჯგუფებია, ე.წ. „ვოლონტიორებია“ (მაგალითი: ყოფილი საბჭოეთის საზოგადოება „ცოდნა“).

ტრადიციულად, დიფერენციაციის მაღალ ხარისხს უზრუნველყოფს შემოქმედებით პრინციპზე დაფუძნებული განათლება, რომელიც დომინირებადია კულტურისა და ხელოვნების სფეროში. აქვე მოიაზრება სპეციალიზებული უნარ-ჩვევების კომპოზიციის განმავითარებელი ტრენინგები (მარცხენა ზედა სეგმენტი).

მასობრივი უნივერსიტეტი (მარჯვენა ქვედა სეგმენტი) დაბალ ფასში საშუალო დონის სპეციალისტებს ამზადებს. მათი დიპლომი შესაბამისი სტანდარტის ოფიციალური აღიარების დასტურია.

იდეალური უნივერსიტეტი (მარჯვენა ზედა სეგმენტი) ერთდროულად წყვეტს ორ ამოცანას: სტანდარტიზაციას და დიფერენციაციას. ასეთ განათლებას ახასიათებს სტანდარტებისადმი მოქნილი მიდგომა, აქვს სპეციალიზაციებისა და არჩევითი კურსების მრავალფეროვანი სპექტრი.

თუ მასობრივი უნივერსიტეტი სტანდარტის მეშვეობით ორიენტირებულია ცოდნის დაბალი დონის თამასაზე, იდეალური უნივერსიტეტი სტუდენტის პირადი მიღწევების ამაღლებისკენ მიისწრაფის.

წარმატებული უნივერსიტეტები იდეალური უნივერსიტეტის მოდელს იყენებენ. მათ აქვთ შემოქმედებით/კრეატიული კვლევების სხვადასხვა სტრუქტურები (მაგ., ლაბორატორიები, ინკუბატორები, ინოვაციური განვითარების ფონდები, ინსტიტუტები, ტექნოპარკები), როლებიც მოწინავე გამოცდილების ტრანსლაციას ახდენენ.

კლასიკური (ტრადიციული) უნივერსიტეტი ძირითადად აქცენტს აკეთებს სტანდარტიზაციაზე და არა დიფერენციაციაზე. თანამედროვე განათლების პარადოქსები იმას ადასტურებს, რომ ფორმირებული სტანდარტები შეიძლება საზოგადოების მოთხოვნებს არსებითად ჩამორჩებოდეს. სტანდარტების განახლების მეთოდოლოგია კი არ შემუშავებულა. აღნიშნულის მაგალითია სიტუაცია მენეჯმენტის სფეროში, რომელიც, ჯერჯერობით, სოციალურ და ეკონომიკურ მეცნიერებებს შორის არსებულ სივრცეშია „უპატრონოდ“ მოქცეული. არ არსებობს სტანდარტების შესაბამისობის გაზომვის დამაკმაყოფილებელი სისტემაც. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის რიცხოვნობა და ბიბლიოთეკაში სახელმძღვანელოების რაოდენობა შესაძლოა რეალური მდგომარეობის ამსახველი ნაკლებად იყოს. დაბალხარისხიანი სტანდარტის პირობებში სტუდენტი დასაქმებისთვის ვერც აუცილებელ ცოდნას და ვერც საჭირო უნარ-ჩვევებს ვერ იძენს. შედეგად, როგორც პირადად, ისე მთლიანად საზოგადოება ზარალდება.

საყურადღებოა ისიც, რომ განათლება არ არის რაიმე ნივთი, პერიოდულად რომ გამოცვალო, ახალ-ახალი შეიძინო. ყველაფერს, და მათ შორის, განათლების მიღებასაც, თავისი ოპტიმალური პერიოდი აქვს და შესაბამისი რესურსები (დრო, ფინანსები) სჭირდება. თავიდანვე დაბალხარისხიანი განათლების გაუმჯობესება ინდივიდის ასაკის მომატების კვალობაზე უფრო მეტად რთულდება და იგი მთელი სიცოცხლის განმავლობაში, ულმობელი დროის შესაბამისი მოთხოვნების მიმართ, უფრო მაღალი ხარისხით არაკომპეტენტური რჩება. ამიტომ, საჭიროა ახალ-ახალი მიდგომები სწავლების დიფერენციაციის მიმართ, რომლის მთავარ მიზნად განათლების სისტემაში არსებული პარადოქსების ოპტიმალური მართვა გვესახება.

კიდევ ერთი და არანაკლებ მნიშვნელოვანი სადღეისო პრობლემა. თანამედროვე მეცნიერება (თეორია) ერთ ენაზე „საუბრობს“, პრაქტიკა (ბიზნესი) — მეორეზე. მათი წარმომადგენლები იშვიათად უგებენ სრულად და ნათლად ერთმანეთს, რადგან:

- მეცნიერები ინტელექტუალური მეწარმის კონტექსტში ვითარდებიან და იმ საკითხებს იკვლევენ, რომლებიც მათ აინტერესებთ და პრობლემური ჰგონიათ;
- პრაქტიკას (ბიზნესს) კონკრეტული ამოცანის ოპერატიულად და პრაგმატულად გადაწყვეტა სჭირდება.

მხოლოდ სამეწარმეო უნივერსიტეტს შეუძლია თეორიისა და პრაქტიკის ჰარმონიული „შეუღლება“, ერთდროულად ორი ამოცანის გადაწყვეტა — ინტელექტუალური მეწარმეების მომზადება და ბიზნესსა და კვლევით ინსტიტუტებს შორის ურთიერთობის მოწესრიგება.

- **„სამმაგი სპირალის“ საუნივერსიტეტო მოდელი**

სამეწარმო უნივერსიტეტის თავისებური ვარიანტია ინოვაციის სფეროში ცნობილი პროფესორების **ჰენრი ეცკოვიცისა** და **ლუთ ლეიდესდორფის** „სამმაგი სპირალის“ მოდელი[198], რომელსაც სამი სუბიექტი ჰყავს: უნივერსიტეტი, ბიზნესი და სახელმწიფო. **უნივერსიტეტი ამუშავებს იდეას, სახელმწიფო ქმნის ნორმატიულ ბაზას, ბიზნესი უზრუნველყოფს რესურსებს.**

„სამმაგი სპირალის“ მოდელი ეფუძნება იმ პროგრესულ იდეას, რომ თანამედროვე საზოგადოებაში უნივერსიტეტია ინოვაციური საქმიანობის ძირითადი ბირთვი. იგი მჭიდროდ თანამშრომლობს ბიზნესთან, კერძოდ, მრავალ ფუნქციას თავის თავზე იღებს და ამ სამეულის მთავარი ცენტრია. კლასიკური სასწავლო უნივერსიტეტი სამეწარმო უნივერსიტეტით იცვლება.

თუმცა, იმავდროულად, იგი თავის აკადემიურ დატვირთვას აუცილებლად ინარჩუნებს და სტუდენტების მეწარმეობითი საქმიანობის ხელშეწყობის ფუნქციასაც ასრულებს. დღის წესრიგში აქტიურად დგება **ახალი არაპარადიგმული პრობლემა: სასწავლო უნივერსიტეტების სამეწარმო უნივერსიტეტებით შეცვლა.** კონსერვატორებს არ სურთ ან არ შეუძლიათ „მეცნიერების ტაძრის“ ბიზნესცენტრად გარდაქმნა. მაგრამ, მარად ულმობელი დრო „სწრაფად“ იცვლება და ჩვენც, გვსურს თუ არა, უნდა შევიცვალოთ.

---

[198] **Henry Etzkowitz&Loet Leydesdorff. (2000).** The dynamics of innovation: from Nati-onal Systems and "Mode2" to a Triple Helix of university-industry-government relations, Research Policy, vol 29, pp. 109-123.

სასწავლო ტიპის უნივერსიტეტის ბიზნესმოდელზე დაფუძნებულ საპროექტო-სამეწარმო ტიპად გარდაქმნა სისტემურ-ინსტიტუციურ ხასიათს უნდა ატარებდეს.

„სამმაგი სპირალი“ არა სამი სპირალია ცალ-ცალკე, არამედ ერთი სპირალია სამი შემადგენელი ელემენტით. ამ ერთიანობის საფუძველია განათლების სისტემა, რომელიც ამზადებს როგორც მეცნიერებს, ისე ბიზნესმენებსა და ჩინოვნიკებს. თუ მათ არ ხელეწიფებათ განათლების, ბიზნესისა და ხელისუფლების სისტემურ-მიზნობრივი კავშირურთიერთობის პრობლემის მოწესრიგება, ეს დროებითია. მოდის ახალი თაობა და ამ პრობლემას ის გადაწყვეტს, თუმცა, ჩამოვრჩებით დღევანდელი დროის მოთხოვნებს.

ამ მოდელის სამი ინსტიტუტიდან ინიციატივა განათლებას (უნივერსიტეტს) ეკუთვნის.

მთავარი იდეა მდგომარეობს იმაში, რომ საზოგადოებაში, რომელიც ცოდნაზეა დაფუძნებული, უნივერსიტეტი სულ უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ინდუსტრიულ საზოგადოებაში უნივერსიტეტი ამზადებს განათლებულ მუშაკებს და ახორციელებს როგორც ფუნდამენტურ, ისე გამოყენებით სამეცნიერო კვლევებს, თუმცა, ძალიან იშვიათად, მონაწილეობს ტექნოლოგიების ტრანსფერში (გადაცემაში). ცოდნაზე დაფუძნებულ საზოგადოებაში კი უნივერსიტეტი გადამწყვეტ როლს ასრულებს — ახორციელებს „ცოდნის კაპიტალიზაციას“. ამიტომ ამ მოდელში სწორედ უნივერსიტეტია ის ძირითადი ცენტრი, სადაც ხორციელდება ტექნოლოგიების გენერირება და მეწარმეობის ახალი ფორმები და რჩება სამეცნიერო კვლევებიც.

უნივერსიტეტების როლისა და მნიშვნელობის შეფასების საკითხში საინტერესოა ერთი შემთხვევა, რომელიც ნორვეგიის ერთ-ერთ რეგიონში მოხდა: ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობამ, რომელიც ქვეყნის მოწინავე დარგია, განვითარების კლება დაიწყო. შექმნილი ვითარების გამოსასწორებლად რაიონის ხელმძღვანელებმა გადაწყვიტეს, — დარგის აღმასვლა უნივერსიტეტის შექმნიდან დაეწყოთ.[199]

უნივერსიტეტი „სამმაგი სპირალის“ მოდელის მხოლოდ ერთ-ერთი შემადგენელი ელემენტია. საყურადღებოა სხვებიც: ბიზნესი და სახელმწიფო, რადგან თანამშრომლობის ამ ფორმატში ისინი ახალ როლს ასრულებენ. კერძოდ, სახელმწიფო, რომელიც ტრადიციულად ადგენს თამაშის წესებს და ხელმძღვანელობს საზოგადოებას, კიდევ ერთ ფუნქციას იძენს — უნივერსიტეტებს აუცილებელი რესურსებით

[199] Развитие по спирали.[http://expert.ru/expert/2010/49/razvitie-po-spirali/]

უზრუნველყოფს სამეცნიერო-კვლევითი და ინოვაციური საქმიანობის სტიმულირებისათვის.

ბიზნესი უნივერსიტეტებში ახალ სტრუქტურულ ერთეულებს (მაგ., ტექნოპარკები) ქმნის, რითაც კვლევით ჯგუფებთან უფრო მჭიდრო კონტაქტში შედიან. ამით მეტი შესაძლებლობა აქვთ კომერციული მიზნით ახალი საქონელი დაამუშაონ და საჭირო თანამშრომლებიც, უმეტესად, სტუდენტები, კოვორკინგული[200] მოდელით აქვე ამუშაონ.

„სამმაგი სპირალის“ ახალი მოდელი წარმოიშვა ორი ურთიერთგადამკვეთი სპირალის: „უნივერსიტეტები—საწარმოები“ და „სახელმწიფო — უნივერსიტეტები“ გადაკვეთის შედეგად. იგი აშშ-ში დაიწყო და დღესაც ინოვაციური მეწარმეობის საფუძველია.[201] თუმცა, შესაბამისი ინფრასტრუქტურის გარეშე, ამ გამოცდილების კოპირება სხვისთვის შეიძლება არაპერსპექტიული აღმოჩნდეს.

აშშ-ში „სამმაგი სპირალის“ განვითარებაში განსაკუთრებული როლი შეასრულა შესწორებებმა კანონში „ტექნოლოგიური ნოვაციების შესახებ“, რომელიც ცნობილია, როგორც **ბეი-დოულის** 1980 წლის საკანონმდებლო აქტი.[202]

ამ კანონის თანახმად, უნივერსიტეტებსა და სხვა კვლევით დაწესებულებებს სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ დამუშავებებზე ინტელექტუალური საკუთრების უფლება მიეცათ, რამაც მეწარმეობითი უნივერსიტეტების ინსტიტუციონალიზაცია განაპირობა.

უნივერსიტეტის, ბიზნესისა და სახელმწიფოს მჭიდრო თანამშრომლობის მკაფიო მაგალითია აშშ-ში სილიკონის ველის შექმნა და განვითარება. ისტორიულად ჩამოყალიბებული ტრადიციებისა და მეცნიერე-

---

[200] ინგლ. co-working – ერთობლივად მომუშავეები. მუშაობის ისეთი მოდელი, რომელშიც მისი თავისუფალი და დამოუკიდებლები მონაწილეები, თავიანთი საქმიანობისთვის საერთო სივრცეს იყენებენ. იგი პოპულარულია დამწყებ მეწარმეებში. კოვორკინგს შუალედური ადგილი უკავია სახლში და ოფისში მომუშავეებს შორის. კოვორკინგ-ფართი იდეების სადნობი ქურაა, სადაც თანამოაზრეთა შემოქმედებითი ენერგია ერთიანდება (სინერგიული ეფექტი), იბადება ადამიანური ურთიერთობის სრულიად ახალი სტილი.

[201] XIX ს-ის ბოლოსა და XX ს-ის დასაწყისში მასაჩუსეტსის (აშშ) ტექნოლოგიური უნივერსიტეტის აღორძინება რეგიონის განვითარების ახალი მოდელის შეთავაზებით, ანუ ბიზნესთან და ხელისუფლებასთან დიალოგითა და საქმიანი ურთიერთობით დაიწყო. უნივერსიტეტის სამეცნიერო და სამეწარმეო საქმიანობის გრძელვადიანი ინტეგრაციის იდეა მისი დამფუძნებლის უილიამ როჯერსის ოცნება იყო, რომელიც წარმატებით განხორციელდა და მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი დღესაც სამეწარმო უნივერსიტეტების სანიმუშო მაგალითია.

[202] The Bayh-Dole Act. A Guide to the Law and Implementing Regulations. October, 1999.

ბასა და განათლებაში მოწინავე გამოცდილების შეერთებამ ამერიკული უნივერსიტეტები მძლავრ სამეცნიერო-კვლევით, საგანმანათლებლო და სამრეწველო კომპლექსებად გარდაქმნა, სადაც მართვისა და ორგანიზაციის თანამედროვე სისტემებს იყენებენ და ბიზნესთან და სახელმწიფოსთან აქტიურად თანამშრომლობენ. დაახლოებით, ქვეყნის 235 უნივერსიტეტი მიეკუთვნება ე. წ. I და II კატეგორიის კვლევით უნივერსიტეტებს, სადაც ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევის, თითქმის, 2/3 ხორციელდება.[203]

ეკონომიკურ პროცესებში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების როლი გაფართოვდა ევროპის განვითარებულ ქვეყნებშიც. დიდი ბრიტანეთის ისეთი ცნობილი კლასიკური უნივერსიტეტები, როგორიცაა კემბრიჯისა და იორკის უნივერსიტეტები, ასევე სხვები, არა მარტო სამეცნიერო კვლევებს გენერირებენ, არამედ აქტიურად ნერგავენ ბიზნესგანათლებას, ავრცელებენ სამეწარმო პრაქტიკას, ახორციელებენ კვლევითი დამუშავებების კომერციალიზაციას, ხელს უწყობენ რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

გერმანიაში სამეცნიერო-სასწავლოო დაწესებულებები, ფლობენ რა მდიდარ კვლევით ტრადიციებსა და მაღალტექნოლოგიებს, დიდ გავლენას ახდენენ რეგიონული ინოვაციური სისტემების ფორმირებაზე და მათ ეკონომიკურ განვითარებაზე. მაგ., მხოლოდ ბადენ-ვიურტემბერგის მხარეში თავმოყრილია ფუნდამენტური, საძიებო და გამოყენებითი კვლევის 28 ინსტიტუტი, სამრეწველო კომპანიების 60-მდე კვლევითი ცენტრი, 9 უნივერსიტეტი, 39 ტექნიკური კოლეჯი და ა.შ.[204]

სამაგალითოა საგანმანათლებლო დაწესებულებების, სახელმწიფოსა და ბიზნესსაზოგადოების თანამშრომლობა შვედეთში. აქ, სახელმწიფოს დაფინანსებისა და კერძო კომპანიების ინვესტიციებისა და მსხვილი შეკვეთების მიზიდვასთან ერთად, მთავრობა მიზანმიმართულად ახორციელებს სამეცნიერო დამუშავებათა კომერციალიზაციას. ასეთი მიდგომით უნივერსიტეტები უმსხვილეს ტექნოპარკებად ჩამოაყალიბა. მაგ., ქ. ლუნდას უნივერსიტეტის ბაზაზე არსებული ტექნოპარკი „იდეონი“ მეცნიერებატევადი და მაღალი ტექნოლოგიების პროდუქციას ამუშავებს და ნერგავს, სტოკჰოლმის საინფორმაციო

---

[203] **Есина Ю. Л. и др. (2015).** Формы и механизмы интеграции науки, образования и бизнес-сообщества в условиях инновационного обновления региональной экономики. Креативная экономика, 9(12). С. 1492.

[204] **Мухамедьяров А. М. Диваева Э. А. (2011).** Зарубежный опыт формирования инновационной системы в регионах. Экономика и управление: научно-пракческий журнал. №3, С. 92-99.

ტექნოლოგიების უნივერსიტეტთან არსებული ტექნოპარკი "Kista Science Citi", „შვედეთის სილიკონის ველად" იწოდება და სხვ.[205]

ბოლო წლებში არსებითად გაფართოვდა განათლების, მეცნიერების, სახელმწიფოსა და ბიზნესსაზოგადოების ურთიერთობის ფორმები საფრანგეთში. ქვეყნის კანონით „ინოვაციების შესახებ" სასწავლო ორგანიზაციებს სახელმწიფოს ხარჯზე შექმნილი სტარტაპების შექმნისა და სამეცნიერო კვლევების შედეგების კომერციალიზაციის უფლება მიეცათ. გარდა ამისა, სამეცნიერო კვლევების რეფორმების შედეგად ახალი ინსტიტუციური სტრუქტურები — კვლევებისა და უმაღლესი განათლების ცენტრები — ჩამოყალიბდა.[206]

ბრაზილიაში უნივერსიტეტის მისიის ნაწილი გახდა ინკუბატორთა საქმიანობა, ხოლო საგანმანათლებლო პროცესში — კროსკულტურული თანამშრომლობა. რიო-დე-ჟანეიროს უნივერსიტეტის ბაზაზე „სახალხო კოოპერატივები" შეიქმნა, სადაც მცირეშემოსავლიანი ოჯახებიდან მოსული სტუდენტები მუშაობენ. მოგვიანებით, ინკუბატორები მუნიციპალიტეტებთანაც დაარსდა.

სტუდენტური ბიზნეს-ინკუბატორები მრავალ ქვეყანაში წარმატებით ფუნქციონირებს. მაგ., ქ. ტომსკის (რუსეთი) მართვის სისტემებისა და რადიოელექტრონიკის უნივერსიტეტის ბაზაზე მუშაობს 125 კომპანია, რომელთა მომსახურების წლიური მოცულობა 15 მილიარდი მანეთია, თვით უნივერსიტეტის ბიუჯეტი კი, — 1 მილიარდი მანეთი.[207]

6. ინფორმაციისა და ცოდნის არსი

ვინაიდან ფუნდამენტური ცოდნა მხოლოდ განათლებით მიიღება, შემდგომ კვლევას ცოდნაზე გავაგრძელებთ.

ცოდნის დასაუფლებლად საჭიროა ინფორმაცია, რომელიც, თავის მხრივ, მონაცემებისგან შედგება.

მონაცემები არის არსებული ფაქტების ერთობლიობა.

კომპანიებში მრავალი სახის მონაცემია დაგროვილი. მაგ., X პროდუქცია რამდენი, როდის და სად გაიყიდა. ამით მხოლოდ გაყიდვის

---

[205] **Лучко М. Л. (2010).** Развитие инноваций в Швеции: традиции, современность и будущее. Научные исследования экономического факультета. Электронный журнал. 2(1), С. 32-53.

[206] **Есина Ю. Л. и др. (2015).** Формы и механизмы интеграции науки, образования и бизнес-сообщества в условиях инновационного обновления региональной экономики. Креативная экономика. 9(12). С. 1493.

[207] Развитие по спирали. [http://expert.ru/expert/2010/49/razvitie-po-spirali/]

ფაქტი ფიქსირდება და არ პასუხობს მრავალ ისეთ კითხვაზე, რომლებიც ამ პროცესის მიზეზშედეგობრივ კავშირებს ასახავს. მაგ.: რატომ იყიდა კონკრეტულად ამ მომხმარებელმა ეს, და არა სხვა, საქონელი?

ინფორმაცია არის მონაცემების იერარქიული ერთობლიობა სამყაროში მიმდინარე ამა თუ იმ ასპექტის (მოვლენის) შესახებ.

ინფორმაცია შეტყობინების ნაკადია. იგი ზეპირი, დოკუმენტის ან აუდიო-ვიდეო ფორმით არსებული თავისებური გზავნილია.

ინფორმაციას თავისი გამგზავნი და მიმღები ჰყავს.

ინფორმაცია სათანადო ქსელის დახმარებით ვრცელდება.

მონაცემი ინფორმაციად რომ გარდაიქმნას, საჭიროა МІСІ:

- **კონტექსტუალიზაცია** (მიზნობრივი მიმღების დადგენა);
- **კატეგორიზაცია** (შემადგენელ ელემენტებად დაყოფა);
- **გამოთვლა** (მათემატიკურად დამუშავება);
- **კორექცია** (შეცდომების გასწორება);
- **შეკუმშვა** (კონცენტრაცია, თავმოყრა).

ინფორმაცია შეიძლება იყოს სრულყოფილი და არასრულყოფილი, ოპერატიული და ძველი, ობიექტური და ცრუ, საყოველთაო (ყველასთვის ხელმისაწვდომი) და არასაყოველთაო (ვიწრო წრისთვის ცნობილი). მაგ., ის, რომ მიმდინარეობს მსოფლიო ფინანსური კრიზისი არის საყოველთაო ინფორმაცია, მაგრამ, თუ რა იყო მისი წარმოშობის მიზანი — არასაყოველთაოა.

საყოველთაო ინფორმაცია ნაკლებღირებულია. თუმცა, საზოგადოებაზე უარყოფითი გავლენა შეუძლია, განსაკუთრებით მაშინ, როცა იგი თავისუფლად ვრცელდება.

დემოკრატიულ საზოგადოებაში ვინ ამოწმებს საყოველთაო ინფორმაციას? რა თქმა უნდა, განათლების სისტემა, კულტურულ-სამეცნიერო ელიტა და პოლიტიკოსები.

მეტად საყურადღებოა არასაყოველთაო ინფორმაცია, რადგან **ვინც ფლობს არასაყოველთაო ინფორმაციას, ის აკონტროლებს საყოველთაო ინფორმაციას.**

ძლიერ, ჯანსაღ სახელმწიფოში, არასაყოველთაო ინფორმაციას ფლობს ეროვნული ინტელიგენცია, პოლიტიკური ზედაფენა და, უპირველესად, ოლიგარქია.[208]

ვინაიდან მსოფლიო მასმედია ერთიანი ცენტრიდან არ იმართება, დღის წესრიგში „საინფორმაციო ომის“ საკითხი დგება. თანამედროვე

[208] ბერძნ. Oligarchia – მსხვილი მონოპოლისტური კაპიტალის მცირერიცხოვანი წარმომადგენლების პოლიტიკური და ეკონომიკური ბატონობა.

სამყაროში მნიშვნელოვანია ასეთ ომში გამარჯვება, რადგან, ამა თუ იმ მოვლენაზე მეტად, მისი რეზონანსი უფრო ფასეულია.

რა კავშირია ინფორმაციასა და ცოდნას შორის?

ცოდნა უფრო ღრმა და ფართო ცნებაა, ვიდრე ინფორმაცია. მცოდნედ ის ადამიანი მიიჩნევა, რომელიც არა მარტო ინფორმაციას ფლობს, არამედ მოაზროვნე, გამოცდილი და განათლებულია.

ცოდნა ადამიანის ცნობიერებაში არსებობს, კომპანიაში კი, არა მარტო ოფიციალურ დოკუმენტებში, არამედ საწარმოო-ტექნოლოგიურ პროცესებსა და საქმიანობის პრაქტიკაში ფიქსირდება.

მონაცემებიდან ინფორმაცია მიიღება, ინფორმაციიდან კი ცოდნა წარმოიშობა, რისთვისაც საჭიროა მისი:

⇒ სხვა ინფორმაციასთან შედარება;
⇒ შეფასება, ანუ ობიექტურობის, ოპერატიულობისა და სისრულის დადგენა;
⇒ გამოყენების სფეროსა და ხარისხის განსაზღვრა.

„ცოდნის“ ფილოსოფიური რაობის გაგებას კაცობრიობა უძველესი დროიდან ცდილობს, რომლის შესახებ ღირებული შეხედულებები აქვთ გამოთქმული ცნობილ დიდ მოაზროვნეებს: **სოკრატეს, არისტოტელეს, ბეკონს, კანტს, ჰეგელს, დეკარტსა** და სხვებს.

შემეცნების თეორიის ფუძემდებელი, ელადის დიდი მოაზროვნე **სოკრატე** (ძვ.წ. V-IV სს.) დიალოგის მეთოდს აღმოჩენის მეთოდს უწოდებდა. ამ მეთოდით თანამოსაუბრეს აღმოაჩენინებდა იმას, რისი შესაძლებლობაც მას უკვე ჰქონდა ფარულად გონებაში. ე.ი. შეაგნებინებდა იმას, რაც უკვე გააჩნდა სულში პოტენციურად, მაგრამ არ ჰქონდა ჯერ შეგნებული. ამ გაგებით ამბობდა იგი: „შეიცან თავი შენი“. შეცნობისა და აღმოჩენის ამ მეთოდს **სოკრატე** ბებიაქალის ხელობას ადარებდა (რასაც **მაიევტიკა** ეწოდება) და აღნიშნავდა, როგორც ბებიაქალი ეხმარება მშობიარეს ბავშვის დაბადებაში, ისე ეხმარება ის ადამიანებს ცოდნის დაბადებაში. ე.ი. ცოდნას გარედან კი არ შეაძენინებდა, არამედ მას გონებიდან დააბადინებდა.[209]

სოკრატეს მიხედვით ცოდნა და სიკეთე განუყოფელია. არ არსებობს სიკეთე და სათნოება ცოდნის გარეშე.[210]

დიდი ფილოსოფოსი, ალბათ, ყველაზე მეტად თავისი სახელგანთქმული დებულებით არის ცნობილი, რაც, ჩვეულებრივ, ითარგმნება

---

[209] **რეხვიაშვილი ტ., ჭიაურელი ვ.(2000).** ფილოსოფიის შესავალი. თბ., სტუ, გვ.9.
[210] იქვე.

სიტყვებით — **„სიქველე ცოდნაა“** (რასაც, ზოგჯერ, „სოკრატეს პარადოქსს“ უწოდებენ).

სიქველეში რას გულისხმობდა სოკრატე? — თუ გინდა იყო კარგი ხარაზი, ამბობდა იგი, ჯერ აუცილებლად უნდა გაარკვიო, რა არის ფეხსაცმელი და რისთვისაა იგი განკუთვნილი. საუკეთესო მასალა — იარაღის შოვნა და მათი მარჯვედ ხმარების ცოდნა ვერაფერს მოგცემს, თუ თავიდანვე ნათლად და სრულად არ გაიაზრე რის გაკეთებას აპირებ და რა ფუნქცია უნდა შეასრულოს შენი შრომის ნაყოფმა. ხარაზის „სიქველე“, უპირველეს ყოვლისა, ამგვარი ცოდნის ფლობაზეა დამოკიდებული. მას უნდა შეეძლოს ნათლად ახსნას იმ საგნის ბუნება, რომლის გაკეთებაც განუზრახავს, ამასთან, მის პრაქტიკულ ხელობათა მაგალითზე სოკრატე ადვილად აჩვენებდა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, რომ ამა თუ იმ უნარის დაუფლება ცოდნაზეა დამოკიდებული.[211]

ერთ-ერთი პირველი, რომელმაც ცოდნის კონცეფცია ჩამოაყალიბა, ელადის დიდი მოაზროვნე **პლატონი** (ძვ. წ. V-IV სს.) იყო. მისი აზრით, ცოდნა ხასიათდება მტკიცებულებათა არსებობით, ჭეშმარიტებითა და სუბიექტური დამაჯერებლობით.

ხშირად, „ცოდნა“ და „ინფორმაცია“ ერთგვაროვან ცნებებად მოიაზრება. თუმცა, ზოგიერთი მკვლევარი მათ შორის არსებულ განსხვავებაზე ამახვილებს ყურადღებას.

მაგ., ამერიკელი მეცნიერი **ფრიც მახლუპი** (1902-1983) თვლის, რომ ინფორმაცია სხვა ადამიანის გონებაში ცოდნის გადასატანად იქმნება. მისი აზრით, ნებისმიერი ინფორმაცია ცოდნაა, თუმცა, ყოველგვარი ცოდნა ინფორმაცია არ არის. მას აქცენტი, უპირატესად, კომუნიკაციურ ასპექტებზე გადააქვს.[212]

ინგლისელი მკვლევარი **ჯეფრი ჰოჯსონის** (1886-1983) აზრით, „ცოდნა“ და „ინფორმაცია“ სხვადასხვა კატეგორიებია. ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ცოდნის გავრცელებას არ ნიშნავს. ინფორმაცია იმ მონაცემების ერთობლიობაა, რომელსაც ღრმა აზრობრივი დატვირთვა აქვს. ცოდნა კი ინფორმაციის გამოყენების პროდუქტია. ცოდნა კონტექსტისგან განუყოფელია.[213]

ამ მოსაზრების იდენტურია გერმანელი მეცნიერის **კარლ ვიგრუს** (1932-2003) შეხედულება, რომლის აზრით, ცოდნა არის თვალსაზრი-

---

[211] **გათრი უ. (1983).** ბერძენი ფილოსოფოსები. თბ., „საბჭოთა საქართველო“, გვ. 88.

[212] Systems of Innovation Capital. The New Wealth of Organizations. Edited by C. Edquist. Pinter, London, 1997. P. 273.

[213] **Ходжсон Дж. (2001).**Социально-экономические последствия прогресса знаний и нарастания сложности, «Вопросы экономики», М., №8. С. 32-45.

სის, კონცეფციისა და მეთოდოლოგიის ერთობლიობა. ჩვენ ვაგროვებთ ცოდნას, რომ იგი კონკრეტულ სიტუაციაში გამოვიყენოთ. ინფორმაცია კი იმ მონაცემების ნაკრებია, რომელიც რაიმე სიტუაციას ან პრობლემას აღწერს.[214]

პროფესორი **გიორგი მალაშხია** ცოდნას ადამიანის ბუნებრივ ნიჭს უკავშირებს, რადგან მიიჩნევს, რომ ამ უკანასკნელს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ახალი აზრის თუ ნაკეთობის წარმოქმნისათვის, რისი წყალობითაც ადამიანები შეიმუშავებენ შეხედულებებს, იდეებს, მოდელებს, მუშაობის მეთოდებსა და ა.შ.[215]

პროფესორი **ლამარა ქოქიაური** ცოდნასა და ინფორმაციას ჩვენი დროის კონკურენტული ბრძოლის თერმობირთვულ იარაღს ადარებს. ცოდნა დიდი ფასეულობაა და ბუნებრივ რესურსებთან, გიგანტურ საწარმოებთან და ბანკებში სოლიდურ ანგარიშებთან შედარებით გაცილებით მეტ ძალას ფლობს.[216]

საოცარია ცოდნის ფენომენისადმი (სოკრატეს დეფინიციით, სიბრძნისადმი) ადამიანთა დამოკიდებულება. „სიბრძნე არც ბრძენს უყვართ, არც უმეცართ. სიბრძნეს ესწრაფვის ის, ვისაც საშუალო ადგილი უჭირავს ამ ორთა შორის. ბრძენს არ უყვარს სიბრძნე, რადგან ისედაც ბრძენია იგი. თავის მხრივ, უმეცარსაც არ უყვარს სიბრძნე და არც ცდილობს სიბრძნის მოხვეჭას, რადგან უმეცრება იმის უმეცრებაა, რომ, თუმცა მშვენიერებაც აკლია, სიკეთეც, სიბრძნეც, თავისი თავით სავსებით კმაყოფილია მაინც; და რაკი ჰგონია ყველაფერი მაქვსო, არც ილტვის მისკენ, რაც მისი აზრით მას არ აკლია.[217]

თანამედროვე მეცნიერ-ეკონომისტები ცოდნის არსს ორი განსხვავებული პოზიციიდან იხილავენ, სახელდობრ:

პირველი პოზიციით, ცოდნა არის ადამიანთა მიერ რაციონალური არჩევანის განხორციელებისთვის საჭირო ინფორმაცია;

მეორე პოზიციით, ცოდნა არის ეკონომიკური აქტივი ანუ განსაკუთრებული რესურსი (მაგ., ნედლეული) და სპეციფიკური პროდუქტი (მაგ., ინოვაცია).

ცოდნას, როგორც საზოგადოებრივ პროდუქტს, ორი თავისებურება ახასიათებს:

1. მრავალთა მიერ მისი ერთდროული გამოყენებადობა;

---

[214] Systems of Innovation Capital. The New Wealth of Organizations. Edited by C. Edquist. Pinter, London, 1997. P. 274.

[215] **მალაშხია გ. (1995).** მეტაეკონომიკა. ეკონომიკის ფილოსოფია. თბ., გვ. 101.

[216] **ქოქიაური ლ. (2011).** ინტელექტუალური კაპიტალი. თბ., „სტუ“, გვ. 11.

2. ცოდნის მომხმარებელთა რიცხვის დადგენის სირთულე.

ინგლისელმა მეცნიერმა **ტ. სტიუარტმა** ცოდნა „საზოგადოებრივ სიკეთედ“ მიიჩნია, რადგან გამოყენებით იგი არ მცირდება, ფიზიკურად არ ცვდება, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს მისი მარაგის გასაზრდელად. ინდივიდის მიერ რაიმე ცოდნის შეძენა სხვა მომხმარებელს მისით სარგებლობას არ უზღუდავს, რაც ცოდნის გამყიდველს სხვა მომხმარებლებზე მრავალჯერადი გასხვისების საშუალებას აძლევს.[218]

ცოდნა სივრცისგან დამოუკიდებლად არსებობს და მრავალი სუბიექტის მიერ სხვადასხვა სივრცეში ერთდროულად მოიხმარება.

თუმცა, მრავალი სახის ცოდნა დროზეა დამოკიდებული. ასეთი ცოდნა დროის მხოლოდ გარკვეულ პერიოდში ან რაიმე მოვლენის თუ ვითარების დადგომამდეა ფასეული, რის შემდეგ იგი უფასურდება. ამის გამო, არსებობს ინტელექტუალური პროდუქტის დანაკარგი, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს მეცნიერული თუ ტექნიკური სიახლის შეუმჩნევლობით, გამოუყენებლობით, ცოდნის დაძველებით და სხვ.[219]

ბუნების ობიექტური კანონების შესახებ არსებული მყარი ცოდნაც კი მანამდეა უტყუარი, სანამ კვლევების შედეგად ახალი ცოდნა არ მიიღება.

სხვა რესურსებთან შედარებით, ცოდნის მორალური ცვეთა გაცილებით სწრაფად ხდება.

ამერიკელმა მეცნიერმა **მაიკლ პოლანიმ** (1891-1976) სამეცნიერო ბრუნვაში „ნაგულისხმევი“[220] ცოდნის კატეგორია გაავრცელა. მისი აზრით, ჩვენ შესაძლოა გაცილებით მეტი ვიცოდეთ, ვიდრე შეგვიძლია ვთქვათ. ასეთ ცოდნას პირადული ხასიათი აქვს და კონტექსტთან მიბმულია. ამიტომ მისთვის ცხადი ფორმის მიცემა რთულია.[221]

იაპონელი მეცნიერები **იკუჯირო ნონაკა** და **ჰიროტაკა ტაკეუჩი** მიიჩნევენ, რომ ცოდნის აღქმა და გენერირება კომპანიის კონკურენტუნარიანობის ამაღლების ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია. მრავალი საუკეთესო იდეა პრაქტიკაში იმიტომ ვერ ინერგება, რომ მათ ავტორებს საკუთარი აზრის ნათლად გამოთქმა არ შეუძლიათ.[222]

---

[217] **პლატონი. (1964).** ნადიმი. თბ., „საბჭოთა საქართველო“. გვ. 53.

[218] **Stewart T. (1997).**Intellectual Capital. The New Wealth of Organization. N.Y. P. 248.

[219] **მალაშხია გ. (1995).** მეტაეკონომიკა. ეკონომიკის ფილოსოფია. თბ., გვ. 101.

[220] ჩვენ ცნობიერებაში არსებული ცოდნა, რაც სიტყვებით არ გამოითქმება.

[221] **Ефимов В. В. (2005).**Управление знаниями: учебное пособие. Ульяновск. С. 39.

[222] **Nonaka I., Takeuchi H. (1995).**The Knowledge - Creating Company: How Japanese Companies the Dynamics of Innovation. N.Y. P. 351.

ახალი ცოდნა ადამიანის შემოქმედებითი საქმიანობის პროდუქტია, რომელიც იქმნება არა მარტო სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებსა და ლაბორატორიებში, არამედ პრაქტიკული მოღვაწეობის სფეროშიც. კერძოდ, ცოდნას მიეკუთვნება ახლებური მიდგომები და ახალი იდეები წარმოების სრულყოფის, ახალი პროდუქტის დამუშავებისა და სხვათა შესახებ.

ცოდნის არა მარტო მოხმარება, არამედ დაგროვებაც შეიძლება.

ცოდნა ტრანსაქციის (ყიდვა-გაყიდვის) ობიექტია და, იმავდროულად, ტრანსაქციის საშუალებაც.

ზოგადად, „ცოდნაში" იგულისხმება ის, რაც ადამიანმა იცის.

ცოდნის კომპონენტი პროდუქტის შექმნისა და რეალიზაციის სტადიებზეა ჩართული. კერძოდ, პირველ სტადიაზე ხდება ახალი ნიმუშის დამზადება, ტექნოლოგიური დამუშავება, ხოლო მეორეზე — მოთხოვნისა და სხვათა გათვალისწინება. ხშირად, ადგილი აქვს ამ სტადიების ურთიერთგადანაცვლებას.

საქონელში განივთებული სპეციფიკური ცოდნის ეს ნაკრები მისი ცოდნატევადობის (მეცნიერებატევადობის) განმსაზღვრელია.

ცოდნის გავრცელება ხელს უწყობს ერის დარაზმულობას, ერთიანობის განმტკიცებას და სოციალური ინსტიტუტებისადმი ნდობის ამაღლებას, მოსახლეობის გააქტიურებას (დისკუსიები, დებატები), პრობლემური საკითხების (გენდერული, ეთნიკური, რელიგიური და ა.შ.) მართებულად გაგებას.

ცოდნის მეშვეობით შესაძლებელია ადამიანთა კომუნიკაცია.

მაშასადამე, ცოდნა არის ადამიანის კონკრეტული საქმიანობის პროდუქტი, მოხმარების საგანი, საწარმოო რესურსი, ტრანსაქციის, დაგროვებისა და საზოგადოების კონსოლიდაციის საშუალება.

7. ცოდნის სახეები, კლასიფიკაცია და წყაროები

ცოდნა ორი სახისაა: **ზოგადი და სპეციალური.**

ზოგადი ცოდნა მოიცავს ცოდნას პროდუქციის წარმოების მეთოდების, დარგობრივი ტექნოლოგიებისა და სხვათა შესახებ. მას მიეკუთვნება ის ცოდნაც, რომელსაც ითვალისწინებენ კომპანიები თავიანთ საქმიანობაში, კერძოდ, მართვის უნივერსალური პრინციპები, საკანონმდებლო აქტები...

სპეციალური ცოდნაა ბაზრის კვლევის შედეგები, კორპორატიული კულტურა, მუშაკთა მოტივაციის მეთოდები და სხვ.

არსებობს მეცნიერული და გამოყენებითი ცოდნა.

ცოდნამ შეიძლება **სიბრძნის** შინაარსიც შეიძინოს. ამ შემთხვევაში, საქმე გვაქვს პრაქტიკით გამდიდრებულ კოდიფიციურ ანუ სისტემაში მოყვანილ ცოდნასთან.

ცალკეული სფეროს მიხედვით ცოდნა არსებობს:

- **ტექნოლოგიური** (მაგ., რაიმეს წარმოების ტექნოლოგიის შესახებ);
- **მარკეტინგული** (მაგ., საქონლის წინ წაწევის შესახებ);
- **მაკროეკონომიკური** (მაგ., საგარეო-ეკონომიკური განვითარების ტენდენციების შესახებ);
- **ზოგადკულტურული** (მაგ., ეთნოფსიქოლოგიური თავისებურებების შესახებ);
- **იურიდიული** (მაგ., ეკონომიკის სფეროში საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობის შესახებ) და ა.შ.

არსებობს ცოდნის რამდენიმე სფერო: „არ ვიცი, რა ვიცი“, „ვიცი, რა არ ვიცი“, „ვიცი, რა ვიცი“ და „არ ვიცი, რა არ ვიცი“.[223]

უმეტეს შემთხვევაში, სფერო — „არ ვიცი, რა ვიცი“, ფარულ ცოდნას (უნარს) შეესაბამება. შეცნობის პროცესი უფრო მეტად იზრდება სფეროში — „ვიცი, რა არ ვიცი“, ვიდრე სფეროში — „ვიცი, რა ვიცი“ (იხილეთ ნახ. 2.3). სფეროს — „არ ვიცი, რა არ ვიცი“ — ფაქტობრივად საზღვარი არ აქვს, დანარჩენი — განსაზღვრულია.

ცოდნის სფეროების ურთიერთობის საკითხში მნიშვნელოვანია ბრძენი **სოკრატეს** შეხედულება. მას უყვარდა იმის თქმა, რომ თვითონ არაფერი იცის და სხვა ადამიანებზე ბრძენი მხოლოდ იმის წყალობითაა, რომ მათგან განსხვავებით თავისი უცოდინარობა კარგად აქვს შეგნებული. მისი მეთოდის არსი სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ თანამოსაუბრე დაერწმუნებინა: თუმცა შენ გგონია, რაღაცა იცი, სინამდვილეში არაფერი იცი. უცოდინარობის გაცნობიერება ცოდნის შეძენის აუცილებელი წინაპირობაა, რადგან თუ კაცი თავს რაიმეს მცოდნედ მიიჩნევს, ის ამ საგნის შესახებ ცოდნის მოსაპოვებლად აღარ იზრუნებს.[224]

---

[223] შდრ.: — **პიერ ლაპლასი**: „რაც ვიცით განსაზღვრულია, რაც არ ვიცით — უსასრულო“.

[224] **გათრი უ. (1983).** ბერძენი ფილოსოფოსები. თბ., „საბჭ. საქართველო“, გვ. 89.

ნახ. 2.3. ცოდნის სფეროების ურთიერთობა



სოკრატემ აჩვენა ხალხს, არაფერი იცითო. მისი მოქმედება ემყარებოდა ღრმა რწმენას, რომ ცოდნა შესაძლებელია, მაგრამ სანამ მის ძიებას შევუდგებით, უნდა განვთავისუფლდეთ ბოლომდე გაუაზრებელი, გონების შემაცდენელი იდეებისგან, უმრავლესი ადამიანის ცნობიერებას რომ ანაგვიანებს. მან ადამიანებს „მიუღწეველი ცოდნის იდეალი“ დაუსახა.[225]

ცოდნის პირველი კლასიფიკაცია ელადის დიდ მოაზროვნეს **არისტოტელეს** ეკუთვნის. მან ცოდნის შემდეგი სახეები გამოყო:

- **ცოდნა, როგორც თეორიული და უნივერსალური მასალა** („ვიცი, რატომ“— know-why);
- **ცოდნა, როგორც საქმიანობის ტექნოლოგია** („ვიცი, როგორ“ — **know-how);**
- **ცოდნა, როგორც მოქმედების ნორმატივი,** რომელიც კონკრეტულ კონტექსტსა და ცხოვრებისეულ გამოცდილებას ემყარება (პრაქტიკული სიბრძნე, ჯანსაღი აზრი).

[225] იქვე, გვ. 90.

ცხრილი 2.6. ცოდნის სახეები მათი შინაარსისა და გამოყენების სფეროების მიხედვით

სახე	**შინაარსი**	**გამოყენების სფერო**
ვიცი — „რა“	კოგნიტური (შემეცნებითი) ცოდნა; ფაქტების ცოდნა, რომელიც აუცილებელია კონკრეტული სამუშაოს შესასრულებლად	მრავალ სიტუაციაშია საჭირო, მაგრამ ყოველთვის არ არის პრაქტიკული (მაგ., შეიძლება იცოდე ფეხბურთის თამაშის წესები, მაგრამ არ/ვერ თამაშობდე)
ვიცი — „ვინ“	კოგნიტური ცოდნა; ცოდნა ურთიერთობების, სხვებთან კონტაქტების შესახებ, ასევე იმის შესახებაც, თუ ვინ ფლობს აუცილებელ ცოდნას, ჩვევებსა და შესაძლებლობებს	განსაკუთრებით აუცილებელია ქსელური ურთიერთობების პროცესში
ვიცი — „როგორ“	ცოდნა ორგანიზაციაში გამოყენებული პროცესების, მეთოდების, ტექნოლოგიების შესახებ	დავალების შესრულების შესაძლებლობას იძლევა, თუმცა, შესაძლოა, ამ პროცესს სრულყოფილად ვერ ვფლობდეთ
ვიცი — „სად“	ცოდნა იმის შესახებ, თუ სად და რა საშუალებით შეიძლება აუცილებელი ინფორმაციის მოძიება	გამოიყენება ინფორმაციისა და დამუშავების თანამედროვე საშუალებების პირობებში
ვიცი — „რატომ“	სისტემური ცოდნა; ცოდნა ორგანიზაციის განვითარების პერსპექტივების შესახებ	მნიშვნელოვანია განვითარების სტრატეგიული გეგმების შემუშავებარეალიზაციისას
ვგრძნობ — „როგორ და რატომ“	სინთეზი და ინტუიცია, რომელიც ორი ან მეტი ასპექტის შეერთების საშუალებას იძლევა	ინოვაციებს წარმოშობს და მის რეალიზაციას ახდენს

ცოდნის დღევანდელი კლასიფიკაცია, არსებითად, **არისტოტელეს** მიდგომას ეფუძნება და იგი შინაარსის, საკუთრების, გამოვლენის ფორმებისა და ფორმირების წესის მიხედვით განისაზღვრება.

შინაარსის მიხედვით ცოდნის სახეებია:

- **„ვიცი, რა“** (know-what) — ცოდნა „ფაქტების“ შესახებ. ასეთი ცოდნა ინახება და სხვას გადაეცემა;
- **„ვიცი, რატომ“** (know-why) — ცოდნა ბუნებისა და საზოგადოების განვითარების კანონების შესახებ;

- **„ვიცი, როგორ“** (know-how) — ადამიანის უნარ-ჩვევები;
- **„ვიცი, ვინ“** (know-who), რომელიც ინდივიდის ან გუნდის კომპეტენციას ახასიათებს (იხილეთ ცხრილი 2.6).

ხასიათის მიხედვით ცოდნის სამი დონე არსებობს:[226]

1. **ცოდნა მიზნის შესახებ** — მსოფლმხედველობა, მიზანი, უმეტესად, ცხადი, ნაწილობრივ კი,—ფარული ცოდნა.
2. **სისტემური ცოდნა** — ცოდნა სისტემებისა და მეთოდების, პრინციპებისა და სტრატეგიების შესახებ.
3. **პრაქტიკული ცოდნა** — ფაქტობრივად შესრულების უნარი.

ცხრილი 2.7. ცოდნის კლასიფიკაცია

კრიტერიუმი	**შინაარსი**	**ავტორი, წელი**
შინაარსის მიხედვით	• „ვიცი, რატომ“ (know-why) • „ვიცი, რა“ (know-what) • „ვიცი, როგორ“ (know-how) • „ვიცი, ვინ“ (know-who)	**არისტოტელე** (ძვ.წ. IV ს.)
ხასიათის მიხედვით	• ცოდნა მიზნის შესახებ • სისტემური ცოდნა • პრაქტიკული ცოდნა	**ე. ბრუკინგი** (2001)
კუთვნილების მიხედვით	• ინდივიდუალური ცოდნა • ჯგუფური ცოდნა	**მ. პოლანი** (1966)
გამოვლენის ფორმის მიხედვით	• ცხადი (კოდიფიციური) ცოდნა • არაცხადი (არაკოდიფიციური) ცოდნა	**ი. ნონაკა, ჰ. ტაკეუჩი** (1995)

კუთვნილების მიხედვით, ცოდნა არის ინდივიდუალური და ჯგუფური. ის რაც კონკრეტულმა ადამიანმა იცის, ინდივიდუალურია, ხოლო ჯგუფური ცოდნა — მისი წევრების კუთვნილებაა.

გამოვლენის ფორმების მიხედვით, ცოდნა არსებობს:

- **ცხადი** (კოდიფიციური, დოკუმენტური);
- **არაცხადი** (ფარული, ლატენტური, ნაგულისხმევი, არაკოდიფიციური, არადოკუმენტური) (იხილეთ ცხრილი 2.7).

[226] **Брукинг Э. (2001).** Интеллектуальный потенциал. СПб.: «Питер», С. 126.

ცხადი ანუ **ექსპლიციტური ცოდნა** სიტყვებით ან ციფრებით გამოისახება და შეიძლება ფორმალიზებული სახით (მაგ., წიგნი, დისკი, ჩანაწერი) სხვას გადაეცეს.

არაცხადი (ფარული, იმპლიციტური) ცოდნა ფორმალიზებული სახით სხვას არ გადაეცემა. იგი უკავშირდება ინდივიდის ინტუიციას, მიხვედრას, ვარაუდს (იხილეთ ცხრილი 2.8).

ცხრილი 2.8. ცხადი და არაცხადი (ფარული) ცოდნა მათი მატარებლების მიხედვით

ცოდნის სახეები	**ცხადი**	**არაცხადი (ფარული)**
ინდივიდუალური	ცოდნა, რომელიც დოკუმენტის სახით ჩაიწერება და სხვას გადაეცემა	ადამიანის შესაძლებლობები, კომპეტენტურობა და წარმოდგენები
ჯგუფური	ადამიანთა ჯგუფის ცოდნა, რომელიც კოდიფიცირდება	ჯგუფის წევრების ცოდნა, რომლის კოდიფიცირება და დოკუმენტის სახით სხვაზე გადაეცემა არ ხდება (მაგ., ჯგუფური კულტურა)

ეკონომიკურ ლიტერატურაში ცხადი და არაცხადი ცოდნის პრობლემა ინტენსიურად განიხილება, რამდენადაც მას როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს და ცოდნის გავრცელებასა და ხელმისაწვდომობაზე მოქმედებს.

იმავდროულად, ცნობილია ისეთი არაცხადი ცოდნაც, რომელიც თავისი ბუნებითაა ასეთი. მაგ., ცალკეული ადამიანის რაიმე უნიკალური ნიჭი. მისი სრულად გამოვლენა და დოკუმენტურად წარმოდგენა შეუძლებელია. ამგვარი ცოდნაა „ნოუ-ჰაუ“-ც.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი დიდად დამოკიდებულია არაცხადი ცოდნის ცხადად გადაქცევაზე, რომლის მკაფიო მაგალითია ამერიკელი ინჟინრის, შრომის მეცნიერული ორგანიზაციისა და მენეჯმენტის ფუძემდებლის **ფრედერიკ ტეილორის** (1856-1915) „აწყობის პროცესის ოპერაციათა ფორმირების“ მეცნიერული სისტემა.

ამ სისტემამდე, პროდუქციის აწყობის ხარისხს მუშაკთა უნარ-ჩვევები განსაზღვრავდა. ბუნებრივია, ეს უკანასკნელი მათ არაცხად ცოდნას ასახავდა, რაც მუშაკთა გამოცდილებასა და კვალიფიკაციაზე იყო დამოკიდებული. მათი განსხვავებული გამოცდილება მუშაობის სინქრონიზაციის დაბალ დონეს განაპირობებდა.

ტეილორმა ყოველი ოპერაცია ცალკეულ ელემენტებად დაყო, მოაცილა ზედმეტი, გააერთიანა საჭირონი და არაცხადი ცოდნა ცხადად აქცია, რითაც ოპერაციების ოპტიმიზაცია შეძლო. შედეგად, ამწყობთა შრომის მწარმოებლურობა მკვეთრად გაზარდა და ტეილორის სისტემაც მსოფლიოში ფართოდ გავრცელდა.

არსებობს ცოდნის მიღების ორი წყარო: გარე და შიდა.

გარე წყაროებია:

- პუბლიკაციები (წიგნები, ჟურნალები, კონფერენციის მასალები, პერიოდული გამოცემები);
- სპეციალური დოკუმენტები დარგობრივი ცოდნის შესახებ;
- მონაცემთა კომერციული ბაზები;
- კურსები, სემინარები, სიმპოზიუმები;
- მენეჯერ-კონსულტანტები;
- მეცნიერული კვლევები და მუშაობის მოწინავე მეთოდები;
- ერთობლივი საწარმოების მუშაობის პრაქტიკა;
- მოვლენებისა და ტენდენციების მონიტორინგის მასალები;
- მასმედია (რადიო-ტელევიზია, ინტერნეტი);
- სოციალური ქსელი და სხვ.

შიდა წყაროებია:

- ორგანიზაციის სპეციალისტები და ექსპერტები;
- ორგანიზაციაში დანერგილი პრაქტიკა და მეთოდები;
- ორგანიზაციის ფასეულობები და პრინციპები;
- ორგანიზაციის ბიზნესსტრატეგიები (გეგმები, პროგნოზები);
- ოპერაციული დაგეგმვა და ბიუჯეტი;
- კორპორატიული მართვა (უფლებამოსილებები, ფუნქციები);
- სიახლეების დანერგვის შემდეგ პრაქტიკული გამოცდილება და სამუშაოთა ანალიზი (პროექტები, ინიციატივები);
- მუშაკების რაციონალური წინადადებები;
- კორპორატიული ინფორმაციული ბიულეტენები და სხვ.

8. საზოგადოების განვითარების თანამედროვე კონცეფციები

საწარმოო ძალების განვითარების თანამედროვე ეტაპი წარმოებით ურთიერთობებში არსებითი ცვლილებებით ხასიათდება. იგი ეხება ეკონომიკის ყველა დონეს (მიკრო, მაკრო, მეგა). ამ ცვლილე-

ბებათა გამო, საზოგადოებრივი წარმოება, უფრო მოქნილია, თუმცა, იმავდროულად, — არამდგრადიც.

აღნიშნული პროცესები იწვევს მეცნიერებისა და წარმოების ურთიერთზემოქმედების ფორმების მრავალფეროვნებას, ტექნიკური აღჭურვილობის ამაღლებას, ახალი ელემენტების (მცირე ინოვაციური ფირმები, ტექნოპარკები, ინკუბატორები და სხვ.) წარმოშობას.

ეკონომიკურ ლიტერატურაში განვითარების თანამედროვე ეტაპს განსხვავებულად მოიხსენებენ, კერძოდ, როგორც: „პოსტინდუსტრიული საზოგადოება“, „ინფორმაციული საზოგადოება“ და „ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოება“ (იხილეთ ცხრილი 2.9).

ცხრილი 2.9. თანამედროვე საზოგადოების განვითარების კონცეფციების მახასიათებლები

პოსტინდუსტრიული საზოგადოების კონცეფცია	**ინფორმაციული საზოგადოების კონცეფცია**	**ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოების კონცეფცია**
დამახასიათებელი ნიშნები		
პრიორიტეტულია მომსახურება და კვლევები, განათლების სისტემა. ძირითადი პროფესიული ჯგუფია კონსულტანტები, ექსპერტები	ჭარბი ინფორმაცია და მისი განაწილების აუცილებელი საშუალებები	**ცოდნა არის:** 1. საზოგადოების განვითარების მთავარი ფაქტორი; 2. სპეციფიკური ეკონომიკური პროდუქტი; 3. ეკონომიკური საქმიანობის ბაზისი
მეცნიერ-მკვლევრები		
დ. ბელი, ჯ. გელბრეიტი და სხვ.	**ფ. მახლუპი, ი. მასუდა** და სხვ.	**პ. დრუკერი, დ. ფორეი** და სხვ.

პოსტინდუსტრიული საზოგადოების კონცეფციის წანამძღვრად ტექნოლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებები მოიაზრება, კერძოდ, ახალი პროდუქტებისა და ტექნოლოგიების სასიცოცხლო ციკლის მკვეთრი შემცირება, ცოდნისადმი, როგორც ეკონომიკური რესურსისადმი დამოკიდებულების შეცვლა.

ტერმინი „პოსტინდუსტრიული საზოგადოება“ სოციოლოგმა **დანიელ ბელმა** გაავრცელა, პოლიტოლოგმა **ზბიგნევ ბჟეზინსკიმ** მას „ტექნოკრატიული“ უწოდა, ხოლო სოციოლოგმა **ელვინ ტოფლერმა** — „ზეინდუსტრიული“.

პოსტინდუსტრიული საზოგადოებისთვის დამახასიათებელია მომსახურების სფეროს უპირატესი ზრდა, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის აღმავლობა.[227]

პოსტინდუსტრიულ საზოგადოებას ორი საფეხური აქვს:

1. ინფორმაციული საზოგადოება (ინფოეკონომიკა);

2. ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოება (ცოდნის ეკონომიკა).

პოსტინდუსტრიული საზოგადოების თეორიის ერთ-ერთი ავტორი, ამერიკელი სოციოლოგი **დანიელ ბელი** მიიჩნევს, რომ ეს საზოგადოება ხასიათდება არა შრომითი ღირებულების, არამედ ცოდნაზე დაფუძნებული ღირებულების თეორიით. ამ უკანასკნელის თავისებურება ისაა, რომ ვინმესთვის ცოდნის გადაცემისას იგი არ იკარგება, არ ქრება, არ იხარჯება, პირიქით, არსებული ცოდნა კიდევ უფრო იხვეწება და მის მფლობელს გამდიდრებული რჩება.[228]

ამჟამად პოსტინდუსტრიული საზოგადოების ძირითად კონცეფციად ახალი სოციუმის ფორმირება მიიჩნევა. იგი ვლინდება მატერიალური წარმოების როლის შემცირებაში, მომსახურებისა და საინფორმაციო სექტორის განვითარებაში, სოციალური სტრუქტურების სახეცვლილებაში.

პოსტინდუსტრიული საზოგადოების იდეის პარალელურად ყალიბდება **ინფორმაციული საზოგადოების კონცეფციაც.** მასში სამი ძირითადი თავისებურება გამოიყოფა, კერძოდ:

- **მთავარ ეკონომიკურ რესურსად ინფორმაცია მიიჩნევა**;
- **მასობრივი მოხმარების საგნად ინფორმაცია გვევლინება;**
- **ინფორმაციული სექტორი აქტიურად ვითარდება.**

გაეროს 1948 წლის 10 დეკემბრის „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით“ ყველა ადამიანს აქვს მრწამსის თავისუფლება და მისი შეუზღუდავად გამოთქმის უფლება, რაც მოიცავს ადამიანის თავისუფლებას, სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად ეძებოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია ყოველგვარი საშუა-ლებებით.

მაშასადამე, ინფორმაციის მოპოვება-გავრცელების თავისუფლება ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი უფლებაა.

აზრის გამოთქმის თავისუფლება მოიცავს იმ თავისუფლების პატივისცემას, რომელიც აუცილებელია სამეცნიერო კვლევებისა და შემოქმედებითი საქმიანობისთვის. ასეთი მიდგომა აღიარებულია 1966

---

[227] **ღიბრაძე რ. (2011).** სოციოლოგია. თბ., „სტუ“. გვ. 161.

[228] **Белл Д. (2004).** Грядущее постиндустриальное общество. Опыт социального прогнозирования. М., «Academia», С. CLII.

წლის საერთაშორისო პაქტით „ეკონომიკური, კულტურული და სოციალური უფლებების შესახებ“ (მე-15 მუხლი).

„ინფორმაციული საზოგადოების“ შესაქმნელად შეუძლებელია მხოლოდ ინფორმაციის გადაცემის თავისუფლებით შეზღუდვა. მეცნიერული კვლევებისთვის აუცილებელია ინფორმაციის გაცვლა, შედარება, შეფასება და შინაარსის გააზრება.

„ინფორმაციული საზოგადოების“ კონცეფცია მარტო ტექნოლოგიებთან და მეცნიერებასთან კავშირით არ შემოიფარგლება. სანამ ადამიანებს არ შეეძლებათ ინფორმაციის კრიტიკული შეფასება, იგი მხოლოდ გაურკვეველი მონაცემების ერთობლიობა იქნება. ამიტომ ადამიანებმა უნდა ვისწავლოთ ინფორმაციის ფლობა.

იუნესკო მიიჩნევს, რომ „ინფორმაციული საზოგადოების“ კონცეფცია განხილული უნდა იქნას როგორც მრავალმხრივ ცვალებადი და, იმავდროულად, დემოკრატიული, ღია საზოგადოება.

აღნიშნულის გათვალისწინებით, განვითარებულ ქვეყნებში, სადაც ცოდნა ფასეულია, **„ცოდნის ეკონომიკა“** ყალიბდება, რადგან:

⇒ ცოდნა ის უმთავრესი ფაქტორია, რომელიც ძირეულად ცვლის საზოგადოების სტრუქტურას;

⇒ ცოდნის პროდუქტებით (მაგ., პატენტი, გამოგონება) ვაჭრობის ახალი ფორმები მკვიდრდება;

⇒ ცოდნა სწრაფი დაძველების „საქონლად“ განიხილება;

⇒ ცოდნის კომერციალიზაცია ძლიერდება;

⇒ კვალიფიციური ცოდნა, როგორც ეკონომიკურად ფასეული (რელევანტური) კომპონენტი, ყველა დონეზე ძალიან მნიშვნელოვანი კონკურენტული ფაქტორი ხდება.

ცოდნის ეკონომიკა არსებითია ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მყოფი ქვეყნებისთვის, რადგან იგი:

• **მრეწველურად განვითარებულ ქვეყნებში** ქმნის კონკურენტულ უპირატესობას მაღალტექნოლოგიური წარმოებისა და ეფექტური მომსახურების სფეროში;

• **რესურსული ეკონომიკის ქვეყნებში** ხელს უწყობს მდგრად განვითარებას და ზედმეტი ღირებულების ზრდის კვალობაზე წარმოების ტექნოლოგიისა და პროდუქციის ხარისხის სრულყოფას;

• **განვითარებად ქვეყნებში** საშუალებას იძლევა დაჩქარდეს ეკონომიკური განვითარების ტემპები, მოხდეს „ტექნოლოგიური ნახტომი“ და ქვეყანა ჩაერთოს მსოფლიო ეკონომიკურ სივცეში.

როგორც ვხედავთ, ცოდნა აუცილებელია ყოველი საზოგადოებისთვის. მაგრამ, თუ ცოდნას სისტემურად განვიხილავთ, შევამჩნევთ, რომ შეიცვალა თვით ცოდნის ხასიათი. ადამიანის საქმიანობის ნებისმიერ სფეროში (ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური, სამართლებრივი და ა.შ.) უმთავრესია არა უბრალოდ ინფორმაცია, არამედ სისტემური, მოწესრიგებული ცოდნა (თეორიული ცოდნა).

9. ცოდნის ეკონომიკის არსი და განვითარების პირობები

თანამედროვე მსოფლიო ახალი ცოდნის შექმნისა და ინტენსიური გამოყენების ერაშია.

ვინაიდან ცოდნა მოხმარებით არ „ქრება“, მისი გამოყენება ერთდროულად მრავალს შეუძლია, რის გამოც ცოდნის მიმართ რიგი ეკონომიკური პრინციპების გათვალისწინება რთულდება. ჩნდება ისეთი ახალი თეორიული დებულებების შემუშავების აუცილებლობა, რომლებიც წარმოებისა და მოხმარების სფეროებში მიმდინარე მოვ-ლენებს უფრო სრულყოფილად ახსნის.

„ცოდნის ეკონომიკა“ არის ცოდნის წარმოებაზე, განახლებაზე, ცირკულაციაზე, განაწილებასა და გამოყენებაზე დაფუძნებული ეკონომიკა. იგი ქმნის, იყენებს და ავრცელებს ცოდნას განვითარებისა და კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად. ესაა ეკონომიკა, რომელიც ცოდნას მრავალფეროვან ფორმებში წარმოაჩენს, ამდიდრებს მეურნეობის ყველა დარგსა და ეკონომიკური პროცესის თითოეულ მონაწილეს.

ცოდნის ეკონომიკას ახასიათებს „ქოლგური“ ეფექტი. იგი თავისი „მფარველობის“ ქვეშ აქცევს მეცნიერებისა და ინოვაციების სფეროში არსებითი ხასიათის იდეებს, კონცეფციებსა და ინდიკატორებს და მათ ერთიან, კომპლექსურ სისტემად აყალიბებს.

ცოდნის ეკონომიკაში მონაწილე ყოველი სუბიექტისთვის რისკი გაცილებით დიდია, ვინაიდან ახალი ცოდნა ძალზე სწრაფად აუფასურებს წარმოების განვითარების როგორც ტრადიციულ (მიწა, შრომა, კაპიტალი), ისე არამატერიალურ ფაქტორებს (მაგ., ნოუ-ჰაუ). ხშირად, მათში დაბანდებული კაპიტალი ვერ ასწრებს გამოსყიდვას.

როგორც წესი, ტრადიციული რესურსები მატერიალურ მარაგებშია განივთებული, ინფორმაცია კი, არამატერიალური აქტივია (იხილეთ ცხრილი 2. 10).

ცხრილი 2.10. ტრადიციული და ინფორმაციული რესურსების შედარებითი მახასიათებლები

ტრადიციული რესურსები	**ინფორმაციული რესურსები**
მატერიალური მარაგები	არამატერიალური მარაგები
გამოყენების პროცესში	
მცირდება	იზრდება
გამოყენებით მოაქვს	
ინდივიდუალური სიკეთე	საზოგადოებრივი სიკეთე
სამყაროში არსებობს	
შეზღუდულად	შეუზღუდავად
მრავლდება	
დიდი დანახარჯებით	მცირე დანახარჯებით
ახასიათებს	
კლებადი სარგებლიანობა	ქსელური ეფექტები, ზრდადი სარგებლიანობა

გარდა ამისა, ცოდნის ფასი მხოლოდ მაშინ იზრდება, როცა იგი მრავლდება და სხვას გადაეცემა, და პირიქით, თუ იგი არ გამოიყენება, მისი ფასი მცირდება და, ზოგჯერ, საერთოდ ქრება. ამით ცოდნა არსებითად განსხვავდება ძირითადი ფონდებისაგან, რომელიც ინტენსიური გამოყენებით ფიზიკურად უფრო ცვდება და, შესაბამისად, მისი ღირებულებაც მნიშვნელოვნად მცირდება.

თუ ტრადიციული რესურსები ინდივიდუალურად მოხმარებადია, ინფორმაციული რესურსები საყოველთაო საზოგადოებრივი სიკეთეა, რადგან მისი გამოყენება ერთდროულად მრავალს შეუძლია.

ცოდნის ეკონომიკაში საავტორო უფლება მეტად ფაქიზი ინსტრუმენტია. იგი ინტელექტუალურ პროდუქტს საზოგადოებრივ სიკეთედ აქცევს, რადგან მომხმარებელს ამ პროდუქტის შექმნასა და გავრცელებაზე გარკვეული ხარჯების დაფარვას აიძულებს. იმავდროულად, ხელოვნური შეზღუდვა რომ არ არსებობდეს, ყველა ის ცოდნა, რომლის კოდიფიცირება (რაიმე მატარებელზე — ქაღალდზე ან დისკზე გადატანა) შეიძლება, მხოლოდ საზოგადოებრივი სიკეთე იქნებოდა.

ტრადიციული რესურსები უმეტესად შეზღუდულია. ადამიანთა მიერ წარმოებული ინფორმაციული რესურსები კი, პირიქით, შეუზღუდავია. ინტერნეტი აღნიშნულის ნათელი მაგალითია.

ტრადიციული რესურსები, როგორც წესი, დიდი დანახარჯებით მრავლდება, ტირაჟირდება. მაგ., კიდევ ერთი ავტომობილის საწარმოებლად იგივე რაოდენობის შრომა და კაპიტალია საჭირო, რაც მისი

წინამორბედისთვის. ამასთან, ერთი ეგზემპლარის წარმოების საშუალო ხარჯები დიდად არ მცირდება. ინფორმაციული რესურსების გამრავლების, ტირაჟირების ღირებულება კი გაცილებით დაბალია. ამასთან, ინფორმაციის შენახვა, სისტემატიზაცია და პრაქტიკაში მისი ეფექტიანად გამოყენება ცოდნის ეკონომიკაში არსებითად მნიშვნელოვანია.

ინფორმაციული რესურსების გამოყენებას ქსელური ურთიერთობის ეფექტი აქვს. მრავალი თანამედროვე ტექნიკა (კომპიუტერი, ფაქსი, მობილური ტელეფონი) ქსელში ერთდროულად მუშაობს, ანუ ინფორმაციული ქსელი დადებითი გარე ეფექტით (ექსტერნალია) ხასიათდება. მატერიალური ნივთის სარგებლიანობა კი ინდივიდუალური თვისებებით განისაზღვრება და მისი გაყიდვების რაოდენობაზე ნაკლებად დამოკიდებულია.

ქსელის შემთხვევაში მოცემული სიტუაცია იცვლება. კერძოდ, ქსელში რაც მეტი ელემენტია ჩართული, მით მეტია ყოველი მათგანის სარგებლიანობა და, შესაბამისად, მოსალოდნელი ეკონომიკური ეფექტიც. აღნიშნული სიტუაცია უფრო მარტივია სატელეფონო ქსელის მაგალითზე, კერძოდ, რაც უფრო მეტი აბონენტია ქსელში ჩართული, მით მეტია თითოეული ტელეფონის სარგებლიანობა.

დადებითი უკუკავშირი მაშინ წარმოიშობა, როცა აპარატის ყოველი მფლობელი ქსელის გაფართოებით რეალურად დაინტერესებულია, რადგან თითოეული მეტ სიკეთეს იღებს, ანუ ქსელის დიაპაზონი რაც უფრო ფართოა, იგი უფრო მიმზიდველი და ხელსაყრელია.

ცოდნის ეკონომიკის პირობებში მასშტაბის ეფექტი ახლებურად მოიაზრება. ტრადიციულ ეკონომიკაში, წარმოების მასშტაბის გადიდებით, ერთეულ პროდუქციაზე გაწეული ხარჯები მცირდება, მაგრამ, ამასთანავე, თანამდევი პროცესების (მაგ., განაწილება, რეალიზაცია) კოორდინაციის ხარჯები იზრდება.

XXI ს-ის მეორე ათწლეულის არსებითი თავისებურებაა არა მარტო ცოდნის დომინირება, არამედ ინფორმაციისა და ცოდნის დამუშავების ახალ ტექნოლოგიებზე გადასვლა. ეკონომიკის სფეროში ამ ტექნოლოგიების გამოყენება წარმოების პროცესის არსს ცვლის და ეფექტიანობას ამაღლებს.

ინტერნეტმა, მობილურმა კავშირებმა და კომუნიკაციის ტექნოლოგიებმა ადამიანთა ყოფა-ცხოვრების წესი რადიკალურად შეცვალა. ამ სფეროში მიღწეულმა პროგრესმა ახალი შესაძლებლობები წარმოშვა — შეიქმნა კომუნიკაციისა და გამოთვლითი ოპერაციების ღირებულებათა შემცირების უპრეცედენტო პირობები.

მსოფლიოში ინტერნეტის გავრცელების სიჩქარე საოცრად სწრაფია. მომხმარებლების რაოდენობა 50 მილიონი რომ გამხდარიყო რადიოს შექმნიდან 38 წელი გახდა საჭირო, პერსონალური კომპიუტერისთვის — 16, ტელევიზორისთვის — 13, ხოლო ინტერნეტისთვის — მხოლოდ 3 წელი[229].

ინტერნეტმა ინფორმაციის მიღების ღირებულება არა მარტო შეამცირა, არამედ მთელ მსოფლიოში მისი ერთდროული გადაცემის პირობებიც შექმნა, ანუ კომუნიკაციის პრინციპულად ახალი სისტემა ჩამოაყალიბა. მან ადამიანებს რეალური დროის რეჟიმში ფართო ურთიერთობის შესაძლებლობა მისცა.

ცოდნის ეკონომიკის განვითარების ტენდენციების შესაფასებლად, ამერიკელმა მეცნიერმა **ბერტონ კლარკმა** საზოგადოებრივი წარმოება სამ სექტორად დაყო:[230]

პირველ სექტორშია ბუნებრივ რესურსებთან დაკავშირებული დარგები, კერძოდ, სოფლის მეურნეობა, მომპოვებელი მრეწველობა, მეთევზეობა და მეტყევეობა.

მეორე სექტორშია გადამმუშავებელი დარგები: მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება, ქიმია და ნავთობქიმია, მსუბუქი და კვების მრეწველობა, ენერგეტიკა, მშენებლობა, მეტალურგია და სხვ.

მესამე სექტორშია მეცნიერება, ხელოვნება, განათლება, ვაჭრობა, პროგრამული უზრუნველყოფა, ტელეკომუნიკაციები, ჯანდაცვა, საჯარო მმართველობა და მომსახურების სხვა დარგები.

მოცემული კლასიფიკაციით, როგორც აღინიშნა (იხილეთ ნაწ. I) ადამიანთა საზოგადოების მთელი ისტორია სამ ეტაპად იყოფა:

- ინდუსტრიულამდელი;
- ინდუსტრიული;
- პოსტინდუსტრიული.

ინდუსტრიულამდელ საზოგადოებაში ადამიანთა უმეტესობა პირველ სექტორში, უპირატესად, სოფლის მეურნეობაში მუშაობდა.

როცა ტექნიკური პროგრესის გავლენით სოფლის მეურნეობაში შრომის ნაყოფიერება გაიზარდა, რის გამოც დასაქმებულთა მცირე რაოდენობამ ქვეყნის მოსახლეობის გამოკვება შეძლო, მომუშავეთა უმეტესობა მეორე სექტორში გადავიდა და საზოგადოება თანდათან

---

[229] Information economy report 2009, Trends and Outlook in Turbulent Times, United Nations, New York and Geneva, 2009, p. 4-15.

[230] **Кларк Б. (2001).**Управление знаниями: польза от применения опыта в области качества, М., №11. С. 116-120.

ინდუსტრიული გახდა. პარალელურად მესამე სექტორიც დღითიდღე გაძლიერდა.

პოსტინდუსტრიულ ეტაპზე საზოგადოებაში ადამიანთა დასაქმების სტრუქტურა ხარისხობრივად შეიცვალა. დასაქმებულთა წილი პირველ სექტორში შედარებით უმნიშვნელო გახდა (საშუალოდ, 5-10%), მეორე სექტორში — მნიშვნელოვნად შემცირდა (საშუალოდ, 25-30%), ხოლო მესამე სექტორში მომუშავეთა უმეტესობა (საშუალოდ, 65-70%) ჩაერთო.

მესამე სექტორში დასაქმებულთა ხვედრითი წილის ზრდა პირდაპირი მნიშვნელობით არ უნდა გავიგოთ. მომსახურების სფერო ძალიან ფართოა და მრავალფეროვანი. მასში მომუშავეთა მატება საგრძნობი ცვლილებებით ხასიათდება. კერძოდ, დიდდება მომსახურების ბიზნესის (საბანკო, სადაზღვევო, იურიდიული და ა.შ.) წილი. ასევე მატულობს სოციალური მომსახურებაც (სამედიცინო, საგანმანათლებლო). დასაქმებულთა რაოდენობა შედარებით ნაკლებად იცვლება ტრანსპორტში, კავშირგაბმულობაში, საცალო და საბითუმო ვაჭრობაში, საყოფაცხოვრებო-კომუნალურ მომსახურებაში.

ზოგადად, განვითარებულ ქვეყნებში **დასაქმებულთა სტრუქტურაში ასეთი თანამედროვე ტენდენციები** იკვეთება:

- სოფლის მეურნეობაში სამუშაო ადგილები მცირდება;
- მრეწველობაში დასაქმება კლებულობს და სამუშაო ადგილების დიდი ნაწილი მომსახურების სფეროში გადადის;
- ბიზნესმომსახურება, ჯანდაცვა და განათლება დასაქმების ყველაზე სწრაფმზარდი დარგები ხდება;
- მმართველობით სფეროში პროფესიული სამუშაო ადგილების რაოდენობა მატულობს;
- ვაჭრობაში დასაქმება შედარებით სტაბილურდება;
- თვითდასაქმება და არასრული დასაქმება იზრდება.

მრავალი ქვეყნის ეკონომიკური განვითარება საზოგადოებრივი წარმოების სტრუქტურის ცვლილებათა კვალდაკვალ მიმდინარეობს: მოხმარება ინდივიდუალური ხდება, მისი ინტელექტუალიზაცია ღრმავდება, წარმოების ძირითად ფაქტორად ინფორმაციული რესურსები გვევლინება. ამასთან, შრომა ახალ ნიშან-თვისებებს იძენს. მასში შემოქმედებითი ფუნქციები დიდდება. ინიციატივიანი, ახლის მაძიებელი, კრეატიული მუშაკების როლი იზრდება, განსხვავება დაბალ და მაღალტექნოლოგიურ დარგებს შორის მცირდება — მეურნეობის თითქმის ყველა დარგი მეცნიერებატევადი ხდება.

სწორედ განვითარების პოსტინდუსტრიულ სტადიაზე ხდება ეკონომიკა ცოდნაზე დაფუძნებული.

ეროვნულ ეკონომიკას აქვს უნარი აითვისოს ახალი ცოდნა და ნაყოფიერად გამოიყენოს. აღნიშნული დიდად განსაზღვრავს ერის ეკონომიკურ სიძლიერესა და კეთილდღეობას. **დღეს ღარიბი ქვეყნები მდიდარი ქვეყნებისგან უპირველესად იმით განსხვავდებიან, რომ მათ მოსახლეობას ცოდნის დაბალი დონე აქვს და, შესაბამისად, მცირე კაპიტალიც.** ეკონომიკის ღიაობა საქონლის ექსპორტ-იმპორტისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციებიდან მიღებული დადებითი ეფექტის შესაძლებლობას განაპირობებს.

ამასთან, ცოდნის ეფექტიანად გამოყენება ქვეყნის წარმატებული ეკონომიკური განვითარების განმსაზღვრელია.

ცოდნა ხდება წარმოების ძირითადი პირობა და მაღალი სოციალ-ლურ-ეკონომიკური შედეგების მიღწევის უმთავრესი საშუალება. ტრადიციული ფაქტორები (მიწა, შრომა და კაპიტალი) თანამედროვე ეკონომიკაში მეორეხარისხოვან მნიშვნელობას იძენს. წარმოების მაკროეკონომიკური სტრუქტურა იცვლება. ეკონომიკის მრავალ დარგში წარმოების პროცესი სულ უფრო მეტად ცოდნას ეფუძნება.

მეცნიერება თანამედროვე წარმოებისა და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების მთავარ ფაქტორად გვევლინება.

თანამედროვე ეკონომიკაში თვით მაღალტექნოლოგიური დარგების როლი უაღრესად მნიშვნელოვანი ხდება. მაგ., მათი წილი აშშ-ის მშპ-ში 15,8%-ია.

ცოდნის ეკონომიკაში მთავარია არა მარტო ახალი ცოდნის შეძენა, არამედ მისი ნაყოფიერად გამოყენება. საილუსტრაციოდ გამოდგება ერთ-ერთი ნაკლებმეცნიერებატევადი დარგი, მაგ., მეთევზეობა. ამ სფეროში მრავალი სახის თანამედროვე ცოდნა გამოიყენება, კერძოდ, ისეთი ასპექტები, რომლებიც დაკავშირებულია ჰიდროაკუსტიკასთან, რადიოლოკაციასთან, სანავიგაციო მოწყობილობებთან და თანამგზავრულ სისტემებთან, ასევე პროგრამულ უზრუნველყოფასთან, რითაც თევზების გუნდის ადგილსამყოფელი ზუსტად განისაზღვრება.

ბოლო პერიოდში ამერიკის ექსპორტში მნიშვნელოვანია ფილმებისა და სატელევიზიო პროგრამების წილი, რაც ავიაკოსმოსური და საავტომობილო დარგების მაჩვენებელსაც კი აჭარბებს: მარტო ჰოლივუდის ფილმების გაქირავება წელიწადში 30 მილიარდ დოლარამდე შემოსავალს იძლევა. ეს დარგი, სატელევიზიო პროგრამების გავრცელების ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით (მაგ., კავშირის თანამგზავრული არხები), დინამიურად ვითარდება.

ცოდნის ეკონომიკაში იცვლება დასაქმებულთა სტრუქტურაც. მომუშავეთა შემადგენლობაში მეტი წილი ინტელექტუალური მუშა-კებია. კვლევებით დასტურდება, რომ მაღალი საბაზო განათლების მქონენი ახალ ცოდნას უფრო იოლად ითვისებენ და დიდი შემოქ-მედებითი შესაძლებლობებიც აქვთ. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში საბაზო განათლების მისაღებად განკუთვნილი დრო იზრდება, ხოლო მისი შემდგომი სრულყოფა სიცოცხლის განმავლობაში გრძელდება.

ამგვარად, ცოდნის ეკონომიკის პირობებში საზოგადოებრივი წარმოება თვისებრივად ახლებურად ორგანიზდება, დასაქმებულთა სტრუქტურა იცვლება და დასაქმების ხარისხიც მატულობს. ადამიანისეული კაპიტალის უმეტესობა ინფორმაციისა და ცოდნის ათვისება-გადამუშავების პროცესში ერთვება. მუშაკთა შემოქმედებითი პოტენციალი ეკონომიკური ეფექტიანობის მთავარი ფაქტორი ხდება.

10. ცოდნის ეკონომიკის ელემენტები და კვლავწარმოების სტრუქტურა

ცოდნის ეკონომიკა ზოგადი ეკონომიკის ერთ-ერთი ნაწილია, რომლის ჩარჩოებში ახალი ცოდნა იწარმოება, ფორმალიზდება, ვრცელდება და გამოიყენება.

შესაბამისად, **ცოდნის ეკონომიკის საგანია ეკონომიკური ცოდნის კვლავწარმოების პროცესში იმ კანონზომიერებათა შესწავლა, რომელიც სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობის სფეროში მიმდინარეობს.**

ხშირად, სპეციალურ ლიტერატურაში გამოიყენება ტერმინი „ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკა“, რაც არ მიგვაჩნია მთლად კორექტულად, რადგან ეკონომიკა (ისევე როგორც ადამიანთა გონივრული საქმიანობის სხვა დარგები) ყოველთვის იყო ცოდნაზე დაფუძნებული. ეს კი ნიშნავს, რომ ეკონომიკა, რომელიც ცოდნაზე არ არის დაფუძნებული, უბრალოდ, არ არსებობს.

ცოდნის დამოუკიდებელ ფენომენად გადაქცევა ადამიანის შემეცნებითი საქმიანობის გააქტიურებამ და ინფორმატიკის სფეროში მიმდინარე პროცესებმა გამოიწვია.

ცოდნის ეკონომიკას აქვს თავისი წანამძღვრები და ნიშანი.

ცოდნის ეკონომიკის წანამძღვარია ეკონომიკური ცოდნის შესახებ ადამიანის მოთხოვნილებების განუხრელი ზრდა.

ახალი ცოდნა აუცილებელია თანამედროვე სამეურნეო საქმიანობის შესასრულებლად მძაფრი კონკურენციის პირობებში.

ცნობილია, რომ ნებისმიერი ეკონომიკა წარმოიშობა მაშინ, როცა არსებობს შეზღუდული რესურსების პირობებში მზარდი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ალტერნატიული ვარიანტები.

ცოდნის ეკონომიკის ნიშანია თვით ცოდნის წარმოება. თუ ცოდნა ადამიანის გონივრული შემეცნებითი საქმიანობის შედეგია, მაშინ ცოდნის წარმოება ადამიანის შემეცნებითი საქმიანობის ისეთი გააზრებული პროცესია, რომელიც მისი შემოქმედებით-შრომითი ენერგიის გამოყენებასთან კავშირშია. ახალი ეკონომიკური ცოდნის წარმოების ეფექტურობა და ხარისხი მოცემული სუბიექტის ეკონომი-კურ-ფსიქოლოგიური შემეცნებითი პროცესების (აღქმა, ეკონომიკური აზროვნება, მეტყველება, წარმოსახვა, ინტუიცია და ა.შ.) ფუნქციაა.

გარდა ამისა, ცოდნის წარმოების შედეგიანობა განისაზღვრება აზრის წარმოშობის თავისებურებებით, ღირებულებითი ორიენტირებით, ასევე თვით ინდივიდის ინტელექტუალური კაპიტალის საერთო დონითა და პროფესიული მომზადებით. რაც მეტია სუბიექტის ინტელექტუალურობის დონე, მისგან უფრო მაღალი ეფექტურობითა და ალბათობით მოსალოდნელია ახალი ცოდნის შექმნა.

ცოდნის წარმოება ორ ნაწილად იყოფა: **კოგნიტური (შემეცნებითი) ცოდნის წარმოება** (ცოდნა იმის შესახებ თუ როგორ შევქმნათ ახალი ცოდნა) და **პროდუქტიული ცოდნის წარმოება** (ცოდნა იმის შესახებ თუ როგორ ვაწარმოოთ ახალი პროდუქტი). პირველ შემთხვევაში წარმოების ფაქტორია ენდოგენური ანუ ადამიანისეული შიდა კაპიტალი; მეორე შემთხვევაში კი, — ეკზოგენური ანუ ადამიანისეული გარე კაპიტალი.

ეკონომიკური ცოდნის გავრცელება ნიშნავს მის სოციალიზაციას ანუ დაინტერესებულ პირებამდე მიწოდებას. ამ სიტუაციაში შედარებით ოპერატიული და ეფექტურია ელექტრონული საშუალებები (ინტრანეტი და ინტერნეტი). შედეგიანია სამეცნიერო-პრაქტიკული სემინარები, თემატური დისკურსები (კომუნიკაცია), ინფორმაციულ-კორპორატიული დაიჯესტები და ცნობარები.

ცოდნის პრაქტიკული გამოყენება საბოლოო პროდუქტში მისი „განივთებით“ ხდება. ამ მიმართებით **საკვანძო ფორმებია:**

1) **ცოდნის მოხმარება თვით მისი მფლობელის მიერ,** რითაც იგი საზოგადოებაში უფრო ღირსეული ხდება;
2) **ახალი ცოდნის რეალიზაცია** (ინტელექტუალური პროდუქტის გაყიდვა).

11. ცოდნის ეკონომიკის კვლევის მეთოდოლოგია და ფუნქციები

„ცოდნის ეკონომიკას“ აქვს კვლევის ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური, სამართლებრივი და საზოგადოებრივი ასპექტები:

ეკონომიკური აზრით, ესაა კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა, მაღალი ტემპებით ეკონომიკის განვითარება;

სოციალური აზრით, — ადამიანისეული კაპიტალის ფორმირება, ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება, ადამიანის განვითარების ინდექსის გადიდება (განვითარებულ ქვეყნებში ეროვნული სიმდიდრის 60–75% ადამიანისეული კაპიტალია);

პოლიტიკური აზრით, — უსაფრთხოების დონისა და ქვეყნის პრესტიჟის ამაღლება;

სამართლებრივი აზრით, — სოციუმის მდგრადი განვითარებისთვის სრულყოფილი და სამართლიანი კანონების მიღება;

საზოგადოებრივი აზრით, — მოსახლეობის მსოფლმხედველობის განვითარება, ახალი გამოწვევებისთვის მზადმყოფი თაობის აღზრდა.

ხსენებული ასპექტები ერთმანეთთან მჭიდრო კორელაციაშია ანუ ერთ-ერთი მათგანის შენელებული განვითარება დანარჩენთა განვითარებას აფერხებს. ამიტომ აუცილებელია კომპლექსური მიდგომა მათ განვითარებასა და გამოყენებაში.

ცოდნის ეკონომიკის კვლევის **მეთოდოლოგიური საფუძვლებია:**[231]

1) დებულება იმის შესახებ, რომ „ადამიანის შემეცნებითი საქმიანობა“ ცოდნის წარმოების საფუძველია, რაც სამეურნეო განვითარების სხვადასხვა ასპექტების აქტუალიზაციას განაპირობებს;

2) ცოდნის ეკონომიკის პროდუქტის სოციალურ-ფსიქოლოგიურ ანალიზს მოითხოვს. ეს კი ნიშნავს, რომ მის კვლევაში სოციალური ფსიქოლოგია, ეკონომიკური კულტურა და ეკონომიკური ფსიქოლოგია მნიშვნელოვანია;

3) ცოდნის ეკონომიკის მეთოდოლოგიური რაკუსი ანთროპოცენტრიზმის ჩარჩოებშია, რომელიც პიროვნებისა და საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ ინტერესებს ჰარმონიულად ითვალისწინებს.

აღნიშნულიდან გამომდინარეობს დასკვნა: ცოდნის ეკონომიკის კვლევის ზოგადი მეთოდია დისციპლინათშორისი მიდგომა. მის ჩარჩოებში „სოციალურ-ეკონომიკური ადამიანის“ მიზნები, ინტერესები

[231] **Салихов Б.** Когнитивная экономика.[bv-salikhov.ru/Kognitivnaya-ekonomika.htm]

და მოტივები კვლევითი კონცეპტის ბაზისია ახალი ეკონომიკური ცოდნის გაფართოებულ კვლავწარმოებაში.

ცოდნა მრავალ ფუნქციას ასრულებს, კერძოდ, იგი როგორც:

1) **საბოლოო პროდუქტის ფორმა,** როგორც ადამიანის (სოციალ-ლური ჯგუფის) შემოქმედებით-შრომითი საქმიანობის ინტეგრალური შედეგი;

2) **ადამიანისეული კაპიტალის საფუძველი.** საუბარია ცოდნის, როგორც წარმოების ფაქტორზე და არა ეკონომიკურ რესურსზე, (რე-სურსია ეკონომიკური მონაცემი და ინფორმაცია). ამასთან, ახალი ცოდნა ყოველთვის დეფიციტურია. თუმცა, მნიშვნელოვანია ისიც, რომ ცალკეულ სუბიექტებს ახალი ცოდნისადმი სხვადასხვა დამოკიდებუ-ლება აქვთ, რადგან განსხვავებულად აზროვნებენ და იქცევიან კიდეც;

3) **დაგროვილი ფასეულობების შენახვის საშუალება**, რაც თვით ცოდნის სახით ხდება. ამ პროცესში მთავარ როლს ასრულებს ადამიანი, კორპორატიული ჯგუფი და საზოგადოება, რითაც ინდივიდუალური, კორპორატიული და ეროვნული ადამიანისეული კაპიტალი დიდდება, ვითარდება და საერთო სიმდიდრეს ემატება;

4) **ტრანსაქციის საშუალება.** ცოდნა იმის შესახებ, მაგ.: თუ რო-გორ წარვმართოთ მოლაპარაკება, გავაფორმოთ კომერციული შე-თანხმება და სხვა, მისი ტრანსაქციის საშუალებაა. ამ ფუნქციას მაღა-ლი ეკონომიკური ეფექტიანობა მაშინ აქვს, როცა ეკონომიკური აგენ-ტი „საქმის ცოდნით“ წარმართავს მას;

5) **მმართველობითი გადაწყვეტილების საფუძველი.** მეურნეობ-რიობის ყველა დონეზე (მიკრო, მაკრო, მეგა) კვალიფიციური ეკონო-მიკური ცოდნა ეფექტიანი მართვის წარმართვის ბაზისია.

12. ცოდნის ეკონომიკის განვითარების მსოფლიო ტენდენციები და პრიორიტეტები

ცოდნის ეკონომიკა ადამიანის საქმიანობის სხვადასხვა სფეროებში ინოვაციის ფორმით ვლინდება, რის გამოც იგი გრძელვადიან ბაზისად და საზოგადოებაში სიახლისმცოდნეობის წყაროდ ითვლება.

ცოდნის ეკონომიკის განვითარების მსოფლიო **ტენდენციებია:**[232]

[232] **Унтура Г. А., Евсеенко А. В.** Экономика знаний в стратегическом развитии региона. [http://riep.ru/upload/iblock.pdf]

- ნანოელექტრონიკისა და ბიოინფორმატიკის დაახლოებით (კონ-ვერგენციით) მაღალი ტექნოლოგიების ინტენსიური ფორმირება;
- ციფრული ტექნოლოგიების არეალის გაფართოება და ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროს მომცველობა. ციფრული მოდელის სამყაროს ფორმირება. „ციფრულ უთანაბრობაში“ ქვეყნებს შორის გადიდება.

ცოდნის ეკონომიკის შემადგენელი ელემენტებია:

♦ განათლება (მეცნიერული აზროვნების ფორმირება);

♦ ინოვაციური საგანმანათლებლო სისტემა (უნივერსიტეტების, სამეცნიერო ცენტრებისა და სხვათა განვითარებული ქსელი);

♦ ინსტიტუტები (განათლებასა და მეცნიერებაში ინვესტიციების მხარდაჭერა. ახალი ტექნოლოგიების ადაპტაცია).

ცოდნის ეკონომიკის განვითარების მექანიზმებია:

- ინოვაციური და სამეცნიერო-ტექნიკური საქმიანობის, მათ შორის ცოდნაზე საკუთრების უფლების მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის ფორმირება;
- ცოდნის ეკონომიკის ფუნქციონირების პრობლემებზე ხელმისაწვდომი ინფორმაციული ბაზის შექმნა (მონიტორინგის სააგენტოები, ცოდნის შენახვის ინსტიტუტები);
- ცოდნის ბირჟის ფორმირება და მაღალტექნოლოგიური ფირმების აქციებით ვაჭრობა;
- ინკუბატორებისა და საინოვაციო პარკების შექმნა;
- პროფესიული ასოციაციების (გამომგონებელთა, მეცნიერთა, ადვოკატთა და სხვათა) ჩამოყალიბება;
- ინტელექტუალური საკუთრების უფლებების რეალიზაციისა და დაპატენტების პირობების ფორმირება;
- ინოვაციური ინფრასტრუქტურის ელემენტების საგამოფენო და მარკეტინგული საქმიანობის განვითარება.

ცოდნის ეკონომიკის განვითარების პრიორიტეტებია:

1. **ინოვაციური განათლების სფეროს გაფართოება და საგანმანათლებლო მომსახურების ექსპორტი:**
   - უმაღლესი სასწავლებლების იმ პროგრამების მხარდაჭერა, რომლებიც კადრებს ამზადებენ პრიორიტეტულ სფეროებში;
   - სამეცნიერო-კვლევითი და საგანმანათლებლო მომსახურების ექსპორტის გადიდება.

2. **მოსახლეობის კრეატიული აზროვნების განვითარება:**
   - საწარმოებში რაციონალიზატორებისა და ხარისხის ამაღლების წრეების ფორმირება;
   - კონკურსების, ოლიმპიადებისა და სხვათა ჩატარება.
3. **მომსახურების სფეროს ინოვაციურობის გაძლიერება:**
   - განათლებასა და კულტურაში;
   - საწარმოო მომსახურებაში (სერვისცენტრები);
   - ფინანსურ მომსახურებასა და კონსალტინგში;
   - კავშირგაბმულობასა და ტელეკომუნიკაციაში;
   - სატრანსპორტო და სასაწყობო ლოგისტიკაში.
4. **მაღალტექნოლოგიური ინოვაციური კლასტერების შექმნა, განვითარება და წამყვან სეგმენტად გადაქცევა და სხვ.**

13. ცოდნის ეკონომიკა, როგორც ფორმირებადი ეკონომიკური სისტემა

XXI-ე საუკუნემ „ცოდნის საუკუნის“ სახელწოდება მიიღო, რაც გამომდინარეობს საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში მისი როლის ამაღლებიდან. კვლევები ადასტურებს ცოდნის ეკონომიკის განსხვავებას ტრადიციული ეკონომიკისაგან. ეს განსხვავება, უპირველესად მდგომარეობს იმაში, რომ ცოდნა და ინფორმაცია, სხვა რესურსებისაგან განსხვავებით, გამოყენებისას არ მცირდება და არ იცვლის ფორმას. ამასთან, ცოდნის (ინფორმაციის სახით) გავრცელება შეუზღუდავია. იგი თავისუფლად კვეთს სახელმწიფოთა საზღვრებს და სხვა სივრცეში გამოიყენება. მაგ., რომელიმე რეგიონში შექმნილი ახალი ცოდნა მთელ მსოფლიოში უმოკლეს ვადაში ვრცელდება და ერთდროულად გამოიყენება.

მსოფლიო ბანკის შეფასებით, ის ქვეყნები, რომლებიც ანვითარებენ მეცნიერებას, განათლებას და ინფორმაციულ-კომუნიკაციურ ტექნოლოგიებს მდგრად განვითარებას მიაღწევენ.

ცოდნის საზოგადოების ფორმირება მოითხოვს საზოგადოების განვითარების არსებული მოდელების განხილვას, იმ პარამეტრებზე პასუხის გაცემას, როგორიცაა ნოვატორული მიდგომა, სიახლეებისა და გამოცდილებათა ფასეულობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარება უფრო მიზანშეწონილი და ეფექტური მოდელია მხოლოდ მაშინ, როცა ცოდნაზეა დაფუძნებული.

ცნობილია, რომ განვითარებულ ქვეყნებში დიდი ყურადღება ექცევა მეცნიერებას, განათლებას, ინოვაციურ სამეცნიერო-კვლევით პროექტებს. მთლიანობაში ცოდნა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მძლავრი ფაქტორი ხდება. მისი როლი მეტად დიდია სიღარიბესთან ბრძოლაშიც (მწვავე მსოფლიო პრობლემა). უტყუარია, რომ ცოდნის ეკონომიკის ფორმირება მხოლოდ შესაბამისი ინფრასტ-რუქტურის შექმნით არ შემოიფარგ ლება. მთავარია სხვა მასტიმული-რებადი მექანიზმების არსებობაც.

ცნება „ცოდნის საზოგადოება“ ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-ან წლებში წარმოიშვა,[233] როცა პირველად გაჩნდა იდეა „უწყვეტი განათ-ლება ყველას“, „საყოველთაო სწავლების საზოგადოება“. განათლები-სადმი ასეთმა მზრუნველმა მიდგომამ ცოდნის საზოგადოების ფორმი-რებაში არსებითი როლი შეასრულა. 1990-ან წლებში ტერმინი „ცოდ-ნის ეკონომიკა“ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ანალიტიკურ დოკუმენტებში აისახა და მისი გამოყე-ნებაც აქტიურად დაიწყო.[234]

იუნესკო თავის მოხსენებაში, სახელწოდებით „ცოდნის საზოგადო-ება“, მიიჩნევს, რომ „ცოდნის საზოგადოება ესაა ისეთ საზოგადოება, რომელიც ეფუძნება განვითარების მრავალფეროვან წყაროებსა და განსაკუთრებულ შესაძლებლობებს. ყოველი სოციუმი ცდილობს ცოდნის სფეროში რაიმე უპირატესობას მიაღწიოს. ამიტომ მისთვის აუცილებელია ცოდნის ათვისება და გავრცელება“.[235]

ცოდნის საზოგადოებაში ერთობლივი ცოდნის გამოყენება, სოცი-ალურ გარემოში საზოგადოების წევრთა ინტეგრაცია და მათი გან-ვითარება, საზოგადოებრივ ღირებულებათა ერთიან სისტემაში არსე-ბით მნიშვნელობას იძენს. ცოდნის საზოგადოებისთვის მნიშვნელო-ვანია განათლებული ადამიანის აღზრდა, ცოდნის პრაქტიკაში გამო-ყენება. ასეთი სისტემა საბაზრო ეკონომიკის რეალური ალტერნა-ტივაა. ამ მხრივ მოწინავეობს მაღალგანვითარებული ქვეყნები. მაგ., აშშ-ში წარმოებული მშპ-ის 75% ცოდნასა და ინფორმაციაზე მოდის, სამუშაო ძალის 77% ცოდნის წარმოებაშია დასაქმებული. ფინანსების,

---

[233] **Lane R. E. (1966).**The Decline of Politics and Ideology in the Knowledgeable Society//American Sociological Review. Vol. 31. P.649-662.

[234] **Хохлов Ю. Е. Шапошников С. Б.** Экономика, основанная на знании: социально-экономические тенденциии. [http://emag.iis.ru/arc/infosoc/emag.nsf]

[235] К обществам знания. Всемирный Доклад ЮНЕСКО. М., 2005, 239 с.

დაზღვევისა და უძრავი ქონების სფეროში ინვესტიციების 70% საინ-ფორმაციო-კომუნიკაციური ტექნოლოგიებია.[236]

ცოდნის ეკონომიკის ეს თავისებურება საფუძველია სამრეწველო-სანედლეულო ეკონომიკიდან ცოდნის ეკონომიკაზე გადასასვლელად.

ცოდნის ეკონომიკას ფორმირებისთვის თავისი პირობები აქვს.

კვლევებით დადგენილია, რომ თანამედროვე სიტუაციაში ინტე-ლექტუალური კაპიტალის სწორი და ეფექტური გამოყენება ცოდნის ეკონომიკისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. უტყუარია ისიც, რომ ამისთვის პირველ რიგში აუცილებელია მოცემულ სფეროში ინვესტიციების მიზანმიმართული დაბანდება. **ქვეყანა, რომელიც ცოდნაში (განათლებაში) არ დააბანდებს მნიშვნელოვან ინვესტი-ციებს, ან საკმარისად არ გამოიყენებს ცოდნის არსებულ შესაძ-ლებლობებს, აქტიურად არ წარმართავს ინოვაციურ პოლიტიკას, ვერ შეძლებს მდგრად სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.**

დღეს მწვავე კონკურენტულ ბრძოლაში მდგრადი განვითარება შესაძლებელია მხოლოდ ცოდნაში ანუ მეცნიერებასა და განათლებაში მიზანმიმართული ინვესტირებით, რაც შექმნის ცივილიზებულ საზოგა-დოებას.

მსოფლიო განვითარების პრაქტიკა აჩვენებს, რომ იმ ქვეყნებმა, რომლებმაც მეცნიერებასა და განათლებაში ინვესტიციები არ განა-ხორციელა, ვერც მდგრად სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას და ვერც ღირსეულ კონკურენტულ უპირატესობას ვერ მიაღწია. პირიქით, ასეთ ქვეყნებში დომინირებს სიღარიბე, სოციალური უთანასწორობა, ჩამორჩენილობა, კორუფცია, გამუდმებით არსებობს სოციალურ-ეკო-ნომიკური მუქარები და საგარეო საფრთხეები.

ამასთან, ძალზე შემცირდა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების ცვლილებათა სისწრაფე, რაც მოწინავე ქვეყნებს აიძულებს მეცნიერებისა და განათლების სფეროში კიდევ უფრო მოქნილი და მიზანმიმართული პოლიტიკა გაატარონ.

გლობალურ ეკონომიკაში ცოდნის როლი სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში ძალიან სწრაფად იზრდება. ასეთი შეფასება როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულად დამტკიცებულია. ახალი ცოდნის შედეგად ინფორმაციის სამრეწველო ტიპი მაღალი ტექნოლოგიებით იცვლება, მიკროდონეზე ახალი სტანდარტები და ნიმუშები ყალიბდება.

---

[236] **Стриженко А. А. (2007).** Роль информационно-коммуникационных технологий в развитии международного бизнеса. М., С. 44.

აღსანიშნავია, რომ დაგროვილი ინტელექტუალური კაპიტალი და ეკონომიკის ტექნოლოგიური ტევადობის ამაღლება, ბაზარზე მეცნიერებატევადი საქონლის წილის ამაღლება, ეროვნულ სიმდიდრეში ადამიანისეული კაპიტალის განსაკუთრებული წონა, ცოდნის მეშვეობით საზოგადოების სამართავად ახალი მეთოდებისა და საშუალებების გამოყენება, მხოლოდ ქვეყნის ინოვაციური განვითარების კონცეფციის ჩარჩოებში რეალიზდება.

ცოდნის ეკონომიკის პირობებში უწყვეტად მიმდინარეობს ცოდნის წარმოება, განახლება, გავრცელება და გამოყენება. ამიტომ ცოდნაზე დაფუძნებული განვითარების მისაღწევად საჭიროა ამ სოციალური მოვლენის არსის გაგება.

ადამიანებში განივთებული ცოდნა, იმავდროულად, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის შექმნის საფუძველია. სხვა სიტყვებით, ცოდნა, როგორც გონებრივი შრომის შედეგი, საზოგადოებას გადაეცემა ახალი ტექნიკური მოწყობილობებისა და ტექნოლოგიების სახით. ეს კი, თავის მხრივ, ყოველ ადამიანში წარმოშობს ახალ ცოდნას, შესაძლებლობასა და კრეატიულ-ნოვატორულ მიდგომას.

დღეს, ვიდრე წინათ, მსოფლიო ეკონომიკა და მთლიანად კაცობრიობა მეტადაა დამოკიდებული ცოდნის წარმოებაზე, გავრცელებასა და გამოყენებაზე. თანამედროვე პროდუქტი მაღალი ტექნოლოგიებითა და ინტელექტუალური შრომით იწარმოება. თუ XX საუკუნის დასაწყისში საზოგადოების განვითარება ფიზიკურ შრომას ემყარებოდა (განსაკუთრებით, სოფლის მეურნეობაში), შუა საუკუნეებში – მანქანებსა და ტექნოლოგიებს, XXI საუკუნის დასაწყისიდან, როცა დაიწყო საზოგადოების განვითარების პოსტინდუსტრიული პერიოდი, წამყვანი ადგილი სისტემურმა ცოდნამ დაიკავა. ცოდნის სისტემაზე დაფუძნებულ სფეროებს მიეკუთვნება ელექტრონიკა, მიკროელექტრონიკა, ნანოტექნოლოგიები და სხვ.

ცოდნა პოსტინდუსტრიულ პერიოდში წარმოებისა და საზოგადოების განვითარების ძირითადი ფაქტორია, ხოლო სამეცნიერო ინფორმაცია — მისი რესურსი, რადგან ასეთი ინფორმაციის (რომელიც შემდეგ ახალ იდეებსა და პროდუქციაში ნივთდება) მიღება და გადამუშავება სიღმისეულ ცოდნას მოითხოვს.

ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკა ქმნის თვით ცოდნას, შემოქმედებასა და ნოვატორობას.

ცოდნა განსაკუთრებული ფაქტორია. იგი მოითხოვს მკაფიოდ განსაზღვრულ მართვას, ეფექტურ მიწოდებასა და გამოყენებას.[237]

საზოგადოდ, ცოდნის ეკონომიკა ეფუძნება მაღალტექნოლოგიურ ინოვაციებს, მეცნიერებატევადი ტექნოლოგიების, პროდუქციისა და მომსახურების მატერიალიზაციას.

„ცოდნის ეკონომიკა“ გამოდის, როგორც ემპირიული ჰიპოთეზა თანამედროვე საზოგადოების საერთო თავისებურებებისა და ტენდენციების შესახებ. ამასთან, ცოდნა განიხილება (შეისწავლება), როგორც ეკონომიკის კონკურენტუნარიანობისა და მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების წინაპირობა.

მსოფლიო ქვეყნების მოწინავე გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მეცნიერება და ინოვაცია გვევლინება არა მარტო როგორც ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლების მძლავრი ფაქტორი, არამედ ცოდნაზე დაფუძნებული ახალი ტიპის საზოგადოების საბაზო ელემენტი. ამასთან, გაითვალისწინება, რომ ცოდნის მიღება მუდმივად დაგროვებადი პროცესია. მეცნიერებასა და განათლებაში დაბანდებული კაპიტალი უკუგებას მხოლოდ სტაბილურ ვითარებასა და გრძელვადიან პერსპექტივაში იძლევა.

სწორედ ამიტომ, ამ სფეროში მოწინავე ქვეყნები სამეცნიერო კვლევებში და ახალი ცოდნის შექმნაში დაფინანსებას ყოველწლიურად ადიდებენ. სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე ხარჯების შეფარდებითი მაჩვენებლის მხრივ მოწინავეობს ისრაელი, რომლის ხარჯები მშპ-ში 4,7%-ია. ეს მაჩვენებელი შვედეთში შეადგენს 3%-ს, იაპონიაში — 3,1%-ს, აშშ-ში — 2,7%-ს, ევროკავშირში — 1,9%-ს, ხოლო ჩინეთსა და ინდოეთში — 1,5%-ს.[238]

ამ ქვეყნებში გრძელვადიან პერსპექტივაში გამოყენებითა და ფუნდამენტურ კვლევებში სამეწარმო სექტორის როლი წამყვანია. ინოვაციურ განვითარებაზე საერთო-ეროვნული ხარჯებს უმეტესად ბიზნესი აფინანსებს, კერძოდ, საფრანგეთში — 61%-ს, შვედეთში — 75%-ს, იაპონიაში — 33%-ს, აშშ-ში — 25%-ს, ხოლო კორეის რესპუბლიკაში — 50%-ს.[239]

თუმცა, ამ მიმართებით მხოლოდ კერძო სექტორის აქტიურობა არასაკმარისია. ამიტომ, ხშირად, სახელმწიფოს ეკონომიკურ პოლიტიკაში სამეცნიერო კვლევების სფერო პრიორიტეტულია. ამ მიზნით

---

[237]**Michael G. Mimicopoulos.** The Global Political Economy in the Knowledge Age. 44 p. [unpan 1. Un.org/intradoc/ groups/public/…/unpan024391.pdf]

[238] Мировая экономика: прогноз до 2020 г. (2007). Под ред. А. Дынкина. М., С. 90.

მრავალი მექანიზმი გამოიყენება, სახელდობრ, სახელმწიფო დაფინანსებით კვლევითი ლაბორატორიების მოწყობა, ამ ლაბორატორიებში მომუშავე მეცნიერთათვის სუბსიდიების გამოყოფა, კერძო სექტორში მეცნიერული ცოდნის შესაქმნელად საგადასახადო შეღავათების დაწესება და სხვ.

გარდა ამისა, კერძო სექტორში ინოვაციურ განვითარებას სახელმწიფო ასტიმულირებს მიზნობრივი საგადასახადო შეღავათების დაწესებით; ინოვაციურ განვითარებაზე შეღავათიანი დაკრედიტებითა და მსხვილი პროექტების დაფინანსებაში წილობრივი მონაწილეობით; სამეცნიერო ინფრასტრუქტურის ინოვაციური განვითარებისთვის სახელმწიფო ქონების ან მიწის ნაკვეთის უსასყიდლოდ ან შეღავათიან პირობებში გადაცემით და ა.შ.

ცოდნის ეკონომიკის განვითარების დონე მსოფლიო ქვეყნების მიხედვით საკმაოდ განსხვავებულია. დღეს მსოფლიო მოსახლეობის მხოლოდ 3-5% ცხოვრობს ცოდნის ეკონომიკის პირობებში, კიდევ 15% — პოსტინდუსტრიული საზოგადოების პირველ ეტაპზე, დანარჩენი 70% კი, — ტრადიციული ეკონომიკის ქვეყნებში.[240]

მთლიანობაში, მსოფლიო მოსახლეობის 30% ცხოვრობს განვითარებულ ქვეყანებში და აქვს ცხოვრების შედარებით მაღალი დონე. უმთავრესად ეს ის ქვეყნებია, რომლებიც მეცნიერების, განათლების, ანუ ცოდნის ბაზაზე ვითარდება, სადაც დიდი მოცულობის ინვესტიციები განათლებაში ხორციელდება.

საინტერესო სურათს იძლევა ასეთი სტატისტიკა: მსოფლიო მშპ-ის 80% იწარმოება 24 ქვეყანაში, სადაც პლანეტის მოსახლეობის 14,5% ცხოვრობს, 15% მოდის 63 ქვეყანაზე 31,5% მოსახლეობით და მშპ-ის მოცულობის მხოლოდ 5% იმ 45 ქვეყანაზე, რომელთა მოსახლეობა მსოფლიო მოსახლეობის 55%-ია.[241]

14. ცოდნის ეკონომიკა — მუდმივი ცვლილების სამყარო

XXI საუკუნიდან საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების პარადიგმა შეიცვალა—ცოდნის საზოგადოება ჩამოყალიბდა.

ერთი მხრივ, ცოდნის ეკონომიკა, ისევე როგორც მისი წინამორბედი — ინფორმაციული ეკონომიკა, პოსტინდუსტრიული სისტემის

---

[239] **Иванова Н. М. (2002).** Национальные инновационные системы. М., С. 58.

[240] **Богомолов О. Т. (2009).** Моя летопись переходного времени. М., С. 345.

[241] იქვე.

საფეხურებია. მეორე მხრივ, ცოდნის ეკონომიკა ინფორმაციულ ეკონომიკასთან შედარებით, სრულიად განსხვავებული ფენომენია.

ცოდნის ეკონომიკას ორი თავისებურება ახასიათებს. ცოდნა:

1. საზოგადოებრივი სიკეთეა, ანუ ყველასთვის ხელმისაწვდომია;

2. თავისი ბუნებით ინფორმაციული პროდუქტია, რომელიც მოხმარებით (გამოყენებით) არ მცირდება, არ ქრება.

ცოდნის საზოგადოებისა და ეკონომიკის განვითარება ერთიანი პროცესია. საკმაოდ ძნელია ეკონომიკისა და საზოგადოების ერთმანეთისგან გამიჯვნა, რადგან ეკონომიკა მეტწილად ხარისხობრივი პარამეტრებით ხასიათდება. თუმცა, იგი ხარისხობრივი და რაოდენობრივი მახასიათებლების ერთგვარი სიმბიოზია და ძნელია განსაზღვრო, თუ რომელი სჭარბობს მეორეს.

ცოდნა ცვლის ეკონომიკას, წარმოების ტექნოლოგიას, ადამიანს და თვით სოციუმს. უშუალოდ ცოდნის კვანტიტატური (რაოდენობრივი) პარამეტრებით გაზომვა შეუძლებელია. ამისთვის ირიბი შეფასება გამოიყენება — განვითარებული ქვეყნების ეეპ-ის 80%-ს ცოდნა შეადგენს. ეს ნიშნავს, რომ მაღალი ტექნოლოგიებისა და ინფორმაციის სფეროში წარმოებული პროდუქციის წილი წარმოების საერთო მოცულობაში 80%-ია. ცოდნა ფასდება იმ გადაწყვეტილებების საბაზრო ღირებულებებითაც (ტექნოლოგიური, სოციალური, ორგანიზაციული, მმართველობითი), რომელთა დახმარებით იგი მიიღება. მაგ., თანამედროვე ავტომობილის ღირებულების 60-70% მასში განივთებული ცოდნაა. განვითარებული ქვეყნების ეეპ-ის ნამატის 80-90% ტექნოლოგიებში, მოწყობილობებსა და წარმოების ორგანიზაციაში განივთებული ახალი ცოდნის შედეგია.

ინტელექტუალური კაპიტალის მაღალი ღირებულების გამო, მისმა დონემ შეიძლება 10-ჯერ გადააჭარბოს მისივე საბალანსო ღირებულებას (გავიხსენოთ ნობელიანტ **ჯ. ტობინის** კოეფიციენტი). ბაზარი უფრო მეტად ცოდნაში განივთებულ კაპიტალს აფასებს. მაგრამ, ის ხომ ვირტუალური (წარმოსახვითი) მაჩვენებლებით ფასდება. მთლიანად პოსტინდუსტრიული ეკონომიკისა და, კონკრეტულად, ცოდნის ეკონომიკისთვის აუცილებელია ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიები, ინტეგრაცია, ქსელური ურთიერთზემოქმედება, პარტნიორობა, რომლებიც არა რაოდენობრივი. არამედ ხარისხობრივი მაჩვენებლებით იზომება, ხოლო შემოქმედებითი პოტენციალი, როგორც ცოდნის ეკონომიკის (იგივე, კრეატიული ეკონომიკის) მახასიათებელი, კვანტიტატური (რაოდენობრივი) პარამეტრებით როგორ ფასდება?

დღეს აქტიურად განიხილება საკითხი ცოდნის ეკონომიკის რაობის შესახებ, რაც მრავალ პრობლემას წარმოშობს, კერძოდ, ცოდნის კომერციალიზაცია, სახელმწიფოსა და ბაზრის როლი მის განვითარებაში, ინსტიტუციური სისტემა, საკუთრების საკითხი, შეფასებითი მაჩვენებლები, მეცნიერული პოტენციალი და სხვ.

ჩვენი აზრით, ცოდნა საზოგადოების განვითარების მთავარი ფაქტორია. და აი აქ კვლავ წარმოიშობა ახალი კითხვა: განა ინფორმაცია და ცოდნა არ იყო მამოძრავებელი ძალა ინფორმაციულ საზოგადოებაში ან უფრო ადრე? ცოდნის ეკონომიკა სრულიად ახალი სამყაროა, სხვა ცნობიერება, ურთიერთქმედების სხვა პრინციპია, დროსთან სხვა მიჯაჭვულობა და კავშირია, რომელიც სასიცოცხლო სივრცეს საგანგებო დინამიზმით უკავშირდება.

ცოდნის საზოგადოება (ეკონომიკა) მუდმივი ცვლილებების სამყაროა. ზოგჯერ მას „ქაოსის ეკონომიკას“ უწოდებენ, რადგან ცვლილებები ისეთი დინამიურია, რომ მოქმედი სამეურნეო სისტემა სიახლეებთან შეგუებას ვერ ასწრებს, ვერ აღიქვამს, ვერ ერგება, ვერ ითავისებს. იგივე შეიძლება ითქვას ადამიანზეც. მათი უმცირესობა დროს „უსწრებს“, უმეტესობა კი ჩამორჩება, ზოგი — მეტად, ზოგი — ნაკლებად. ახალი პროდუქტის ექსპლუატაციის ვადა მცირდება, ბაზარზე გამოდის უფრო სრულყოფილი საქონელი, უკეთესი დიზაინით, თანამედროვე მასალებით, პრაქტიკულობით. მარკეტოლოგები ფხიზლობენ, მომხმარებლების პოტენციური მოთხოვნების გამოცნობას ცდილობენ, რადგან მოთხოვნა არასდროს ქრება, პირიქით, უფრო იხვეწება და მრავალფეროვანი ხდება.

რა პრინციპებს ეფუძნება ცოდნის ეკონომიკა?

უპირველესად, დროის მოთხოვნებს. დრო და ისევ დრო, ეს მუდმივცვალებადი, უხილავი, მარადიული და ულმობელი ფენომენი.[242] დრო, როცა ინოვაციები სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მთავარი მამოძრავებელი ძალა იყო, თანდათან წარსულს ბარდება. (თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეროვნული ინოვაციური სისტემა არ გვჭირდება). არა ინოვაციები, როგორც მოვლენა, არამედ ცოდნა, ადამიანისეული პროგრესია საზოგადოების წინსვლის მამოძრავებელი ძალა, განვითარებისა და კონკურენტუნარიანობის მთავარი წყარო.

და კიდევ ერთი და მთავარი — არა მარტო ის ცოდნა, რომელიც განივთებულია პროდუქტებსა და მომსახურებაში, არამედ ცოდნა

---

[242] შდრ.: — **არისტოტელე**: „დრო პროცესია, რომელიც ყოველივეს ქმნის და სპობს, ანგრევს და აშენებს“; ან კიდევ, — **პლატონი**: „დრო მრავალი რამის ყველაზე უკეთესი გამომცდელია“.

როგორც ასეთი, უფრო მეტად ფუნდამენტური, რომელიც ემსახურება საზოგადოების განვითარების კონცეფციას და მის თეორიულ ბაზისს, ასევე ახალი ტექნოლოგიების შეფასებას, საზოგადოების ორგანიზაციულ სისტემას, ადამიანს და მის კავშირს ბუნებასთან, მისი აღდგენის შესაძლებლობებს, სიცოცხლის მეცნიერებათა დინამიკას და ინდივიდის უფლებების დაცვას.

ეკონომიკის დაჩქარებული დინამიზმი, ინფორმაციული გაცვლის ინტენსიური ზრდა, ხელს უწყობს არნახული სისწრაფით ცოდნის გადიდებას. ცოდნა ერთობლივი ეროვნული პროდუქტის, საზოგადოებრივი სიმდიდრის, დაგროვების გამზომ სტანდარტად ყალიბდება და, თითქოს პარადოქსია, მაგრამ ყოველივე ეს იმ დროს ხდება, როცა თვით ცოდნის რაოდენობრივი პარამეტრებით შეფასება შეუძლებელია.

ცოდნისა და ადამიანის განვითარების წინა პლანზე წამოწევა კიდევ ერთხელ ადასტურებს განვითარების ფაქტორთა ტრანსფორმაციის აუცილებლობას. შრომას, კაპიტალსა და ბუნებრივ რესურსებს ცვლის ინფორმაცია, ადამიანისეული კაპიტალი, მისი ცოდნა. თანამედროვე განვითარებული ქვეყნების ეკონომიკაში საქონლის (მომსახურების) საბაზრო ღირებულებას, ძირითადად, ცოდნის კომპონენტი განსაზღვრავს.

დღეს ფართოდ გამოიყენება სიტყვათწყობა: ეკონომიკის დემატერიალიზაცია. ასეთ პირობებში ეკონომიკური, მათ შორის ინოვაციური განვითარების მეცნიერული ანალიზი შეუძლებელია მხოლოდ ტრადიციულ ეკონომიკურ წანამძღვრებზე (ფინანსები, ურთიერთობის ფორმები, ინოვაციებზე მოთხოვნის სტიმულირება და სხვ.) დაყრდნობით. გასათვალისწინებელია არსებული სოციოკულტურული, ეთნიკური, ფსიქოლოგიური, სულიერი და პოლიტიკური პრობლემები. ისინი მით უფრო სარწმუნოა დღეს, ცოდნის ეკონომიკის პირობებში, რომელშიც ადამიანი ჩართულია მთელი თავისი სულიერი კომპონენტით, შესაძლებლობებით, ინტერესებითა და ტალანტით. ცოდნა ადამიანს იწვევს, ააქტიურებს, საზოგადოების ღირსეულ წევრად გარდაქმნის.

აღნიშნულიდან გამომდინარეობს ცოდნის ეკონომიკის კიდევ ერთი, მეტად პრინციპული ასპექტი — **ცოდნის ეკონომიკაში ადამიანი არ განიხილება ადამიანისეული კაპიტალის თვალთახედვიდან,** რომელიც წარმოადგენს ადამიანის კაპიტალიზებულ ღირებულებას მასში „ინვესტირებული“ (დაბანდებული) საშუალებების, მატერიალური კაპიტალის (შენობები, მოწყობილობები) ანალოგიურად.

ცოდნის ეკონომიკის პირობებში პირველ პლანზე გამოდის ადამიანის აქტიურობა, შემოქმედებითი პოტენციალი, პიროვნება, მისი

უსაზღვრო შესაძლებლობები. აშკარად ჩანს ძირეული განსხვავება ადამიანისადმი მიდგომაში: ადამიანისეული კაპიტალის გამოყენება ესაა მისი რესურსებისა და შესაძლებლობების ექსპლუატაცია, ხოლო ადამიანის პოტენციალის რეალიზაცია — ყოველთვის ნამატი, რადგან იგი ინდივიდის სულიერი სამყაროა და რაც უფრო მეტად აქტიურდება, ფაქტორად მით მეტად გადაიზრდება. შესაბამისად, მთავარია ადამიანის იმპლიციტური (ფარული) პოტენციალის მაქსიმალურად გახსნა, რომლის წყაროა პიროვნების სულიერი სრულყოფა. საუბარია არა უბრალოდ ადამიანის როგორც საწარმოო ძალის ღირებულებით შეფასებაზე, არამედ საზოგადოებაში დაგროვილ მის სულიერ დოვლათზე.

მეორე მხრივ, ადამიანისეული კაპიტალი როგორც ცალკეული ინდივიდის, ისე მთელი კომპანიისთვის კვლავ მნიშვნელოვანი მახასიათებელი და მისი შემადგენელი ნაწილია.

ხდება შრომის პროცესის ფუნდამენტური ტრანსფორმაცია. განვითარებული ქვეყნების შრომის ბაზარზე ცენტრალურ ადგილს იკავებს ინტელექტუალური საქმიანობა, რომლის მთავარი კომპონენტია შემოქმედება. **ფორმირდება ცოდნის ეკონომიკის ბაზისი — კრეატიული საზოგადოება,** რაც მას განასხვავებს ინფორმაციული ეკონომიკისგან.

XXI საუკუნის დასაწყისში ახალი კლასის, ადამიანთა ახალი ერთობის, ახალი საზოგადოების შემოქმედებითი ელიტის ფორმირების შესახებ მრავალი მეცნიერი (**ჯ. გელბრეიტი, ე. ტოფლერი, რ. ფლორიდა, დ. ბელი**) წერდა. ისინი მიიჩნევდნენ, რომ ადამიანთა ახალი ელიტა მოწოდებულია გახდეს საზოგადოებისა და ცოდნის ეკონომიკის გაბატონებული კლასი, რომელსაც შესწევს ძალა განსაზღვროს ადამიანთა სოციალური ერთობა. ახალ შემოქმედებით ელიტას შეუძლია გააკონტროლოს და წარმართოს ის პროცესები, რომლებიც ტექნოლოგიური პროგრესის ლოგიკითაა ნაკარნახევი.

ამგვარად, შემოქმედებითი პოტენციალი სამეურნეო განვითარების მამოძრავებელი ძალა და მისი დეტერმინანტი, კონკურენტული უპირატესობის ძირითადი წყარო ხდება. მაგრამ, იმავდროულად, საფრთხილოა, ეს შემოქმედებითი პოტენციალი დიდ, უკონტროლო ძალაუფლების მიღების წყაროდ არ გახდეს, რაც საზოგადოებაში სოციალური დაძაბულობისა და განხეთქილების პირობებს შექმნის.

მოცემულ სიტუაციას კარგად გრძნობენ თვით კრეატიული კლასის წარმომადგენლებიც და ისინიც არასტანდარტული გადაწყვეტილების მიღებას ცდილობენ. ამ მიმართებით საინტერესოა ამერიკელი სოციოლოგის **რ. ფლორიდას** შეხედულება, რომელიც მოცემულ სიტუაციას

სხვა რაკურსით განიხილავს: შექმნიან თუ არა შემოქმედებითი ადამიანები ჩაკეტილი ფორმის ელიტურ საზოგადოებას თვით მათზეა დამოკიდებული. პრაქტიკულად, ტალანტი და კრეატიულობა ხომ ყოველ ადამიანს სხვადასხვა ხარისხით გააჩნია? ამიტომ აუცილებელია გამოვიყენოთ „ტალანტის გლობალური ნაკადები“.

თქმულის აზრი სქემატურად ასე გამოისახება:

კრეატიული ერთობა ⟹ კრეატიული საზოგადოება ⟹ ცოდნის საზოგადოება

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც მოცემულ გარემოებას ორგანულად უკავშირდება: ქვეყნის ეკონომიკური წარმატება პირდაპირ კავშირშია ამ ქვეყანაში რთული, კოლექტიური ცოდნის დონესთან.

დიდი ხანია საერთაშორისო თანამეგობრობა მდიდარ და ღარიბ ქვეყნებს შორის არსებული გლობალური გარღვევის მიზეზებს იკვლევს, თუმცა, დღემდე სარწმუნო პასუხისთვის ვერ მიუგნია. ჰარვარდის უნივერსიტეტისა და მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის (აშშ) მკვლევრებმა (**რ. ჰაუფმანი, ც. იდალგო**) შენიშნეს, რომ ქვეყნებს შორის განვითარებაში დიდი განსხვავება „ეკონომიკური სირთულის“ შედეგია, რომელიც შეიძლება კონკრეტული ქვეყნის ეკონომიკაში არსებული კოლექტიური ცოდნით გაიზომოს.[243]

როგორც ცნობილია, სხვადასხვა სახეობის პროდუქტის წარმოება განსხვავებულ ცოდნას საჭიროებს. თანამედროვე პროდუქტების უმრავლესობა (განსაკუთრებით მაღალტექნოლოგიური, ნანოტექნოლოგიების შემცველი) მეტ ცოდნას მოითხოვს, რასაც ერთი ადამიანი შეუძლებელია ფლობდეს. მსოფლიოში არავის, თვით ყველაზე განსწავლულს, არ შეუძლია იცოდეს, მაგ., თუ როგორ დამზადდეს კომპიუტერი. მან სხვებისგან უნდა გაიგოს ბატარეების ტექნოლოგია, თხევადი კრისტალები, მიკროპროცესორის დიზაინი და სხვა მრავალი. ამიტომ, მდიდარი ქვეყნის ფირმაში საშუალოდ მეტი ადამიანი მუშაობს, ვიდრე ღარიბ ქვეყანაში.

მეცნიერებმა საზოგადოებას შესთავაზეს ეკონომიკური წარმატების შეფასებისა და ეკონომიკური ზრდის პროგნოზირების ახალი მოდელი, რომელიც განსაზღვრავს ქვეყანაში კეთილდღეობის დონეს. ამ მოდელით ქვეყნის ეკონომიკაში არსებული ცოდნის მთლიანი ღირებულება შეიძლება „**ეკონომიკური სირთულის ინდექსით**“ გაიზომოს.

---

[243] [http://gtmarket.ru/news/state/2011/10/31/3778]

მოცემული თვალთახედვიდან გამომდინარე, ქვეყანაში რაც უფრო მაღალია შრომის დანაწილების ხარისხი, მით მეტია მრავალფეროვანი და სპეციალიზებული სამუშაო ადგილი და იმის შესაძლებლობა, რომ შეიქმნას რთული პროდუქცია და დაგროვდეს პროდუქტიული ცოდნა, რაც საბოლოო ჯამში ქვეყანას მდგრადი განვითარებისა და კეთილდღეობისკენ წარმართავს.

შრომის დანაწილების პროგრესული იდეა XVIII საუკუნის დიდ შოტლანდიელ მოაზროვნეს **ადამ სმითს** ეკუთვნის, რომელიც მას ხალხთა სიმდიდრის წყაროდ მიიჩნევდა. ამ იდეის თანამედროვე ინტერპრეტაცია გვიჩვენებს, რომ საზოგადოებაში ისეთი ღირებულების ცოდნა დაგროვდეს, რომელიც ცალკეული ინდივიდისთვის მიუღწევადია. ჩვენ კოლექტიურად უფრო მეტ ცოდნას ვიყენებთ, ვიდრე ცალკეული ინდივიდი. განვითარებულ ქვეყნებში ეკონომიკა გამართულად იმიტომ ფუნქციონირებს, რომ მრავალფეროვანი სამუშაო ადგილებია და ინდივიდების ცოდნა ერთმანეთში იცვლება და ერთმანეთს ემატება. მხედველობაშია მისაღები სინერგიული ეფექტიც.

უნიკალური პროდუქტების (მაგ., დიაგნოსტიკური სამედიცინო მოწყობილობები, საავიაციო ტექნიკა, რეაქტიული ძრავები) მწარმოებელ ქვეყნებს გაცილებით მაღალი კოლექტიური ცოდნის დონე აქვთ, ვიდრე ფართო მოხმარების პროდუქტების (მაგ., ბამბა, სოია) მწარმოებელ ან ნედლეულის ექსპორტიორებს. მაგრამ, რთული პროდუქციის წარმოება სუსტადგანვითარებულ ქვეყნებში ძნელია. იგი შეუძლებელია მხოლოდ სწავლებით ან წარმოების ტექნოლოგიის შესახებ ინფორმაციის გავრცელებით (რასაც ექსპლიციტურ ანუ აშკარა, „ცხად“ ცოდნას უწოდებენ) მივაღწიოთ. ბევრად პროდუქტიულია იმპლიციტური ანუ „ფარული“ ცოდნა (მაგ., ბიზნესის ორგანიზაცია, საწარმოო პროცესების ოპტიმიზაცია), რომლის დაუფლება გაცილებით რთულია, ზოგჯერ კი შეუძლებელიც. ამ მიზეზის გამო, სახელმწიფოები, როგორც წესი, თავიანთ საწარმოო შესაძლებლობებს თანდათან აფართოებენ და მარტივი პროდუქციის წარმოებიდან უფრო რთულის წარმოებაზე ეტაპობრივად გადადიან.

ამერიკელმა მეცნიერებმა კვლევა 128 ქვეყანაში ჩაატარეს, ყოველ ქვეყანაში წარმოებული სამი ძირითადი სახეობის პროდუქციის მთლიანი დანახარჯები შეაფასეს ანუ კოლექტიური ცოდნის დონე გაიანგარიშეს, „ეკონომიკური სირთულის ატლასი“[244] შეადგინეს და ეკონომიკური სირთულის ინდექსსა და ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლებს

[244] The Atlas of Economic Complexity.

შორის მჭიდრო კორელაცია დაადგინეს, ყოველ შემთხვევაში, იმ ქვეყნებისთვის, რომლებსაც ბუნებრივი რესურსები შეზღუდული აქვს.

გარდა ამისა, შეადგინეს ქვეყნების რეიტინგი, რომელშიც ეკონომიკური სირთულის ინდექსის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აღმოაჩნდა იაპონიას. მოწინავეთა ათეულში შევიდა: გერმანია, შვეიცარია, შვედეთი, ავსტრალია, ფინეთი, სინგაპური, ჩეხეთი, დიდი ბრიტანეთი და სლოვენია. საფრანგეთი გავიდა მე-11 ადგილზე, კორეის რესპუბლიკა — მე-12, აშშ — მე-13, იტალია — მე-16, ისრაელი — მე-19, ჩინეთი — 29-ე, კანადა — 41-ე, უკრაინა — 42-ე ადგილზე და ა.შ.

სამწუხაროდ, საქართველო ამ კვლევაში ვერ მოხვდა.

კვლევის ავტორებმა ქვეყნების ეკონომიკური ზრდის პერსპექტივებიც დასახეს, რისთვისაც ეკონომიკური სირთულის ინდექსი მოსახლეობის შემოსავლების დონეს (ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ის მოცულობა) შეადარეს და დაადგინეს: **თუ ქვეყანას შემოსავლების უფრო დაბალი დონე აქვს, ვიდრე ეკონომიკური სირთულის ინდექსით იყო მოსალოდნელი, ჩამორჩენის დასაძლევად, უახლოეს მომავალში ამ ქვეყანაში ეკონომიკური ზრდა კანონზომიერია.**

15. სახელმწიფოს როლი ცოდნის ეკონომიკის ფორმირებაში

ტრადიციული ეკონომიკის პირობებში, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას საკუთარი რესურსების შეზღუდულობა უშლის ხელს. ამიტომ საჭიროა ყურადღების გადატანა და ძალისხმევის გაძლიერება იმ სფეროებში, სადაც სახელმწიფოს ჩარევა უფრო ეფექტიანია. ამ მიმართებით ცოდნის ეკონომიკის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია თანამედროვე ინოვაციური სისტემის ფორმირება და სათანადო ინსტიტუციური პირობების შექმნა.

ცოდნის ეკონომიკის განვითარებაში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებებია:

1. ინსტიტუციური პირობები

- სატარიფო და საბაჟო შეზღუდვების შემცირება;
- მკაცრი ანტიკორუფციული ღონისძიებების გატარება;
- მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა;
- ანტიმონოპოლიური ღონისძიებების მიღება;
- პრესის თავისუფლება;
- პოლიტიკური სტაბილურობა.

2. ადამიანისეული რესურსები

➢ განათლების განვითარება;

➢ ეფექტური მიგრაციული პოლიტიკა;

➢ კადრების მომზადებისა და გადამზადების სისტემის შექმნა.

3. ინოვაციური სისტემა

♦ მეცნიერების განვითარება;

♦ მეცნიერებატევადი წარმოების სტიმულირება;

♦ ტექნოპოლისებისა და ტექნოპარკების შექმნა;

♦ ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული კანონმდებლობის სრულყოფა;

♦ პრიორიტეტული ეროვნული პროგრამების რეალიზაცია.

3. საინფორმაციო-კომუნიკაციური ტექნოლოგიები

❖ მათი გამოყენება და განვითარების სტიმულირება.

ცოდნის ეკონომიკისთვის აუცილებელია შესაბამისი ინსტიტუციური პირობები, უპირველესად კი, ისეთი გარემო, რომელშიც შესაძლებელი იქნება საგანმანათლებლო ქსელში შექმნილი ცოდნის (იდეის, მიგნების) პრაქტიკაში გამოყენება, რომ კომპანიებმა უნივერსიტეტებში დამუშავებული მეცნიერული იდეებისა და ტექნოლოგიების ლიცენზიებით სარგებლობა შეძლონ.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მუშაკებს მჭიდრო კავშირი უნდა ჰქონდეთ კომპანიების თანამშრომლებთან, რაც ამ უკანასკნელთა რეალური პრობლემების შეცნობასა და გადაწყვეტის გზების ერთობლივად ძიებას შეუწყობს ხელს.

ინსტიტუციურ პირობებში შედარებით არსებითი და მყარია სოციალური ურთიერთობები, ქცევის მოქმედი ნორმები და წესები.

ინსტიტუტები ის კანონები, წესები და ნორმებია, რომლებიც შესაბამის მექანიზმებს ქმნიან და გრძელვადიან ეკონომიკურ განვითარებას უზრუნველყოფენ.

ეს ინსტიტუტები, ხშირად, სამართლებრივი ნორმების, ტრადიციების, ეთნოკულტურული სტერეოტიპების ფორმას იღებს.

ეროვნული ინოვაციური სისტემა სამართლებრივი, საფინანსო და სოციალური პროფილის ინსტიტუტების ისეთი კომპლექსია, რომელიც უზრუნველყოფს ინოვაციურ პროცესებს და აქვს მტკიცე ეროვნული ფესვები, ტრადიციები და პოლიტიკურ-კულტურული თავისებურებები.

ყოველ ქვეყანას განსხვავებული ინოვაციური სისტემა გააჩნია, რადგან მის ფორმირებაზე მრავალი ფაქტორი მოქმედებს, კერძოდ,

ქვეყნის ტერიტორია, ბუნებრივ-შრომითი რესურსები, სახელმწიფო ინსტიტუტების განვითარების ისტორიული თავისებურებები და სამეწარმო საქმიანობის ფორმები. ეს ფაქტორები ინოვაციური აქტიურობის სიჩქარისა და მიმართულებების გრძელვადიანი დეტერმინანტების როლს ასრულებს.

ეროვნულ ინოვაციურ სისტემებში შემდეგი ნიშნები იკვეთება:

❖ სახელმწიფოს (ან კერძო სექტორის) როლი ძლიერდება;

❖ მსხვილ და მცირე ბიზნესს შორის მჭიდრო კავშირი მყარდება;

❖ ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევებისა და გამოგონებების თანაფარდობა პერიოდულად იცვლება;

❖ ინოვაციური საქმიანობის განვითარების დინამიკა და დარგობრივი სტრუქტურა უფრო სრულყოფილი ხდება.

ეროვნული ინოვაციური სისტემის, როგორც თვითგანვითარების ძირითადი მექანიზმის, ფორმირება მსოფლიო ეკონომიკის გრძელვადიანი ზრდის მთავარ ფაქტორად ყალიბდება.

ყურადღებას იმსახურებს ფინეთის ინოვაციური განვითარების გამოცდილებაც. 1990-ან წლებში ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობა მეტად არასახარბიელო იყო. დღეს იგი ერთ-ერთი მოწინავეა და ახალი ცოდნის წარმოებისა და გამოყენების ფინური მოდელი წარმატებულია მსოფლიოში. 2007 წელს ფინეთის ეკონომიკა მსოფლიოში ყველაზე კონკურენტუნარიანად შეფასდა. ქვეყანას, რომელსაც არც მოწინავე მრეწველობა და არც ძლიერი სამეცნიერო ბაზა არ ჰქონდა, ასეთი აღმავლობისთვის მცირე დრო დასჭირდა.

ფინეთის განვითარების ინოვაციური მოდელის ზოგადი შეფასება ასეთია: ხელისუფლება, მეცნიერება და ბიზნესი საერთო წესებით „თამაშობენ“ და უზრუნველყოფენ განათლების დონის ამაღლებას, აზროვნების მარკეტინგული სტილის საყოველთაოდ დანერგვასა და მეცნიერული კვლევებისთვის თანხების განაწილების საკონკურსო პირობების დაცვას.

ფინეთის ინოვაციური სისტემის ეროვნულ ინტერესს წარმატებით ემსახურება ძირითადი სახელმწიფო სტრუქტურები — ეროვნული ტექნოლოგიური სააგენტო და ფინეთის ტექნოლოგიური კვლევების ცენტრი. სამთავრობო შეკვეთების დასაფინანსებლად, სწორედ ისინი ანაწილებენ სახელმწიფო თანხების, თითქმის, 80%-ს. რეგიონულ დონეზე მათ პოლიტიკას ეკონომიკური განვითარებისა და დასაქმების ცენტრები ახორციელებენ.

ინსტიტუციური პირობების შექმნის წარმატებული მაგალითია ჩინეთის ეკონომიკური მოდელიც. ამ ქვეყნის ისტორიული განვითარება

ისე წარიმართა, რომ ეკონომიკაში მთავარ როლს ყოველთვის მსხვილი სახელმწიფო საწარმოები ასრულებდა. თანამედროვე ჩინეთი აქტიურად ცდილობს ამ ძალზე დიდი და ვიოლენტური (მოუქნელი, ძალისმიერი) საწარმოებიდან ეკონომიკური საქმიანობის ცენტრი მცირე და საშუალო ფირმებზე გადაიტანოს. სწორედ ასეთი კომპანიები ნერგავენ ინოვაციებს ქვეყნის ეკონომიკაში.

ინოვაციური პროცესების შედარებითი ანალიზით ირკვევა, რომ ცალკეულ ქვეყნებს განსხვავებული ეროვნული ინოვაციური სისტემები უნდა ჰქონოდათ. მაგ., 1980-90-ან წლებში აზიის „ახალმა ინდუსტრიულმა ქვეყნებმა“ (კორეის რესპუბლიკა, ტაივანი, სინგაპური, ჰონკონგი) დინამიური განვითარება მეცნიერების, განათლებისა და მოწინავე მეცნიერებატევადი დარგების ბაზაზე შესძლეს. მათთვის დამახასიათებელი იყო მიმზიდველი საინვესტიციო კლიმატი, მეცნიე-რებისა და ინოვაციების განვითარების მაღალი ტემპები, რამაც ექს-პორტზე ორიენტირებული დარგების (ელექტრონიკა, საავტომობილო მრეწველობა) წინსვლა განაპირობა.

მათგან განსხვავებით, ლათინური ამერიკის ქვეყნები (ჩილეს გარდა) სასურველი საინვესტიციო და საინოვაციო კლიმატის უქონლობის გამო მეცნიერებისა და განათლების სფეროში ჩამორჩნენ, რის გამოც დღესაც განვითარების დაბალი ტემპები აქვთ.

განათლება აუცილებელია ცოდნის ფორმირების, გავრცელებისა და გამოყენებისთვის, ასევე ტექნიკური პოტენციალის ასამაღლებლად. თანამედროვე პირობებში სახელმწიფომ უნდა შექმნას კეთილსასურველი გარემო იმისთვის, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შეეძლოთ ინოვაციური მიდგომების გამოყენება, ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის საჭიროებებსა და შრომის ბაზრის დღევანდელ მოთხოვნებზე ოპერატიული რეაგირება.

განვითარებული ქვეყნების იმ საწარმოებში, სადაც მეცნიერებისა და წარმოების განვითარებაში ინვესტიციებს აქტიურად იყენებენ, პერსპექტიულ ტექნოლოგიებს ამუშავებენ და ნერგავენ კიდეც. ყოველი ქვეყნის მეცნიერებატევადი სექტორის მდგომარეობას ყველაზე უკეთ მშპ-ში მეცნიერულ კვლევებზე გაწეული ხარჯების წილი ახასიათებს. მაგ., აშშ-ში, იაპონიასა და გერმანიაში იგი შეადგენს 2-4%-ს, საფრანგეთსა და დიდ ბრიტანეთში — 2-2,5%, ინდოეთში — 10%-ს, , ჩინეთში — 4%-ს, ხოლო რუსეთში — 1,17%-ს.[245]

[245] [http://www. Internetworldstats.com]

16. ცოდნის ეკონომიკის შეფასების მეთოდოლოგია

რაოდენობრივი შეფასების (გაზომვის) პრობლემა ყოველი მეცნიერების ერთ-ერთი ცენტრალური პრობლემაა და, ამ მხრივ, არც საზოგადოებრივი და სოციალური მეცნიერებებია გამონაკლისი.[246]

ბოლო წლებში ცოდნის ეკონომიკას ინტენსიურად იკვლევენ. შესაბამისად, მისი შეფასებაც აქტუალურია. აღნიშნულს ისიც ადასტურებს, რომ ყოველ კონკრეტულ ქვეყანაში ცოდნის ეკონომიკის ფორმირება და განვითარება ეკონომიკური ზრდის ერთადერთ ალტერნატივად განიხილება.

შეფასების მეთოდიკა მოცემულია მსოფლიო ბანკის პროგრამაში — „ცოდნა განვითარებისთვის“[247], რომელიც მოიცავს 109 მაჩვენებელს. ისინი ოთხ ძირითად შემდეგ ჯგუფშია გაერთიანებული:

1. ეკონომიკური და ინსტიტუციური რეჟიმის ინდექსი — პირობები, რომელშიც ვითარდება ეკონომიკა და საზოგადოება მთლიანად, ეკონომიკურ-სამართლებრივი გარემო, რეგულირების დონე, ბიზნესისა და კერძო ინიციატივების განვითარება, საზოგადოებისა და მისი ინსტიტუტების შესაძლებლობა არსებული ცოდნის ეფექტიან გამოყენებასა და ახლის შექმნაში;

2. განათლების ინდექსი — მოსახლეობის განათლების დონე და მათი უნარები ცოდნის შექმნის, გავრცელებასა და გამოყენებაში. მოსახლეობის წიგნიერების (წერა-კითვის) დონე, ასევე რეგისტრირებული მოსწავლეებისა და სტუდენტების წილი შესაბამისი ასაკის მოსახლეობაში;

3. ინოვაციების ინდექსი — ეროვნული ინოვაციური სისტემის განვითარების დონე, მათ შორის კომპანიები, კვლევითი ცენტრები, უნივერსიტეტები, პროფესიული გაერთიანებები და ის ორგანიზაციები, რომლებიც გლობალურ ცოდნას აღიქვამენ და ადგილობრივ პირობებს უსადაგებენ, ქმნიან ახალ ცოდნასა და ტექნოლოგიებს. დასაქმებული მეცნიერი მუშაკების, რეგისტრირებული პატენტების, სამეცნიერო ჟურნალების რაოდენობა და ტირაჟი;

4. ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიების ინდექსი — ინფორმაციულ-კომუნიკაციური ინფრასტრუქტურის განვითარების

---

[246] შდრ.: — **ალ. აინშტაინი**: „ის, რაც შეიძლება გაიზომოს, ყოველთვის არაა მნიშვნელოვანი, ხოლო, რაც მნიშვნელოვანია, ყოველთვის არ შეიძლება გაიზომოს“.

[247] Knowledge for Development - K4D.

დონე, რომელიც ხელს უწყობს ინფორმაციის ეფექტურ გავრცელებასა და გამოყენებას.

შესაფასებლად გამოიყენება ათას მოსახლეზე გაანგარიშებით:

⇒ ტელეფონების რაოდენობა;

⇒ პერსონალური კომპიუტერების რაოდენობა;

⇒ ინტერნეტ-მომხმარებელთა რაოდენობა (10 ათას მოსახლეზე).

პროგრამა „ცოდნა განვითარებისთვის“ ორ კრებსით (კომპლექსურ) ინდექსს გვთავაზობს. ესენია:

1. ცოდნის ეკონომიკის ინდექსი (Knowledge Economy Index-**KEI**) — ცოდნის ეფექტური გამოყენების შემფასებელი მაჩვენებელი;

2. ცოდნის ინდექსი (Knowledge Index-**KI**) — ცოდნის შექმნის, ათვისებისა და გავრცელების უნარის შემფასებელი მაჩვენებელი.

ცოდნის ეკონომიკის ინდექსი ოთხი ინდექსის (ინსტიტუციური რეჟიმი, განათლება, ინოვაციები, ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიები) საშუალო სიდიდეა, **ცოდნის ინდექსი** კი — სამი ინდექსის (განათლება, ინოვაციები, ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიები) საშუალო არითმეტიკული სიდიდე.

მოცემული ინდექსები იანგარიშება ყოველი ქვეყნის, რეგიონისა და მთლიან მსოფლიოსთვის, რაც საშუალებას იძლევა სხვადასხვა ქვეყნის მაჩვენებლები ერთმანეთს შედარდეს და შესაბამისი ტენდენციები დადგინდეს (იხილეთ ცხრილი 2.11).

ცხრილი 2.11. ცოდნის ეკონომიკის ინდექსი და მისი პარამეტრები მოწინავე ქვეყნების მიხედვით (2012) [248]

რეიტინგი	ქვეყანა	**ცოდნის ეკონომიკის ინდექსი (KEI)**	**ცოდნის ინდექსი (KI)**	**ინსტიტუტები**	**ინოვაციები**	**განათლება**	**ინფორმაციული ტექ ნოლოგიები**
1	შვედეთი	9,43	9,38	9,58	9,74	8,92	9,49
2	ფინეთი	9,33	9,22	9,65	9,66	8,77	9,22
3	დანია	9,16	9,00	9,63	9,49	8,63	8,88
4	ნიდერლანდი	9,11	9,22	8,79	9,46	8,75	9,45
5	ნორვეგია	9,11	8,99	9,47	9,01	9,43	8,53

[248] [http://info.worldbank.org/etools/kam2/KAM_page5.asp#c45]

6	ახ. ზელანდია	8,97	8,93	9,09	8,66	9,81	8,30
7	კანადა	8,92	8,72	9,52	9,32	8,61	8,23
8	გერმანია	8,90	8,83	9,10	9,11	8,20	9,17
9	ავსტრალია	8,88	8,98	8,56	8,92	9,71	8,32
10	შვეიცარია	8,87	8,65	9,54	9,86	6,90	9,20
. . .	**მსოფლიო**	**5,12**	**5,01**	**5,45**	**7,72**	**3,72**	**3,58**
68	საქართველო	5,19	4,49	7,28	5,15	4,16	3,72

მსოფლიო ბანკის მიერ ჩატარებული ბოლო კვლევის შედეგად ცოდნის ეკონომიკის ინდექსით პირველ ათეულს ლიდერობენ შვედეთი, ფინეთი და დანია. ამასთან, შვედეთი პირველია ცოდნის ინდექსით, ინოვაციებისა და ინფორმაციულ-კომუნიკაციური ინდექსებით, თუმცა ჩამორჩება ფინეთს ეკონომიკური და ინსტიტუციური რეჟიმის პარამეტრის მიხედვით.

ცოდნის ეკონომიკის ინდექსით მსოფლიოს 10 მოწინავე ქვეყნიდან 7 (ანუ 70%) ევროპულია, ხოლო 7 (70%) — მცირე ბუნებრივი რესურსების მქონე პატარა სახელმწიფო. სამწუხაროდ, საქართველოს პოზიცია საკმაოდ მოკრძალებულია (68-ე ადგილი). ქვეყნის ცოდნის ეკონომიკის ინდექსი მსოფლიო საშუალო დონეზე დაბალია და პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან ჩამოვრჩებით ესტონეთს, ლატვიასა და ლიტვას, ხოლო ახლოს ვართ სამხრეთ აფრიკასთან, ტაილანდთან, პანამასთან...

საინტერესო სურათს იძლევა ცოდნის ეკონომიკის ინდექსი მსოფლიო რეგიონების მიხედვით (იხილეთ ცხრილი 2.12).

ამ მხრივ ლიდერობს ჩრდილოეთ ამერიკა, ევროპა და ცენტრალური აზია, მომდევნო პოზიციებს იკავებს აღმოსავლეთი აზია და წყნარი ოკეანეთი, ლათინური ამერიკა. საშუალო მაჩვენებელთან შედარებით უარესი დონე აქვს ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკას, სამხრეთ აზიასა და აფრიკას (საჰარის სამხრეთი).

კორელაციური კავშირია ცოდნის ეკონომიკის ინდექსსა და შემოსავლებს შორის. კერძოდ, ცოდნის ეკონომიკის მაღალი დონე მაღალ შემოსავლებს განაპირობებს, და პირიქით (იხილეთ ცხრილი 2.13).

.

ცხრილი 2.12. ცოდნის ეკონომიკის ინდექსი და მისი პარამეტრები მსოფლიო რეგიონების მიხედვით (2012) [249]

რეიტინგი	რეგიონი	**ცოდნის ეკონომიკის ინდექსი (KEI)**	**ცოდნის ინდექსი (KI)**	**ინსტიტუტები**	**ინოვაციები**	**განათლება**	**ინფორმაციული ტექნოლოგიები**
1	ჩრდილოეთ ამერიკა	8,80	8,70	9,11	9,45	8,13	8,15
2	ევროპა და ცენ-ტრალური აზია	7,47	7,64	6,95	8,28	7,13	7,50
3	აღმოსავლეთ აზია და წყნარი ოკეანეთი	5,32	5,17	5,75	7,43	3,94	4,14
4	ლათინური ამერიკა	5,15	5,13	4,66	5,80	5,11	5,02
5	**მსოფლიო**	**5,12**	**5,01**	**5,45**	**7,72**	**3,72**	**3,58**
6	ახლო აღმოსავლეთი და ჩრდილოეთ აფრიკა	4,74	4,51	5,41	6,14	3,48	3,92
7	სამხრეთი აზია	2,84	2,77	3,05	4,23	2,17	1,90
8	აფრიკა (საჰარის სამხრეთი)	2,55	2,43	2,91	3,91	1,44	1,90

ცოდნის ეკონომიკის ფორმირებასა და განვითარებაში გადამწყვეტია ადამიანისეული კაპიტალი. თუმცა ადამიანისეული კაპიტალი და შრომითი რესურსი ერთი და იგივე არ არის. მათ შორის განსხვავდება არსებითია.

შრომით რესურსებში ყველა ადამიანი იგულისხმება თავიანთი კვალიფიციური და არაკვალიფიციური შრომით. ადამიანისეული კაპიტალი კი გაცილებით ფართო ცნებაა და შრომით რესურსებთან ერთად მოიცავს განათლებაში, მეცნიერებაში, ჯანმრთელობაში, უსაფრთხოებაში, ცხოვრების დონეში დაგროვილ კაპიტალს და ინტელექტუალური შრომისა და გარემოს შეფასების იმ ინსტრუმენტებს, რომლებიც ადამიანისეული კაპიტალის ეფექტურობას უზრუნველყოფს.

[249] [http://info.worldbank.org/etools/kam2/KAM_page5.asp#c45]

ცხრილი 2.13. ცოდნის ეკონომიკის ინდექსი და მისი პარამეტრები შემოსავლების ჯგუფების მიხედვით (2012)[250]

რეიტინგი	შემოსავლების ჯგუფი	ცოდნის ეკონომიკის ინდექსი	ცოდნის ინდექსი	მათ შორის			
				ინსტიტუტები	ინოვაციები	განათლება	ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიები
1	მაღალი შემოსავლების	8,60	8,67	8,39	9,16	8,46	8,37
2	საშუალოზე მაღალი შემოსავლების	5,10	5,07	5,18	6,21	4,72	4,28
3	საშუალოზე დაბალი შემოსავლების	3,42	3,45	3,32	4,90	2,84	2,62
4	დაბალი შემოსავლების	1,58	1,58	1,61	2,13	1,54	1,05

17. სოციალური კაპიტალი

ეკონომიკურ ლიტერატურაში „სოციალური კაპიტალის“ ცნება აქტიურად განიხილება, რაც არ არის გასაკვირი, რადგან ეკონომიკის განვითარების დონე სოციალურ კაპიტალზეა დიდად დამოკიდებული.

იმ საზოგადოებაში, რომელშიც სოციალური კაპიტალის წილი მაღალია, მეტად შესაძლებელია ახალი ორგანიზაციული ფორმების დანერგვა, ახლებური სოციალური კონტაქტების დამყარება, მსხვილი სტრუქტურებიდან მცირე ფირმების მოქნილ ქსელზე გადასვლა, სუბსიდიების გარეშე წარმოების განვითარება.

სოციალური კაპიტალი არის ის ინსტიტუტები, ურთიერთობები და ნორმები, რომლებიც საზოგადოებაში სოციალური დამოკიდებულების ხარისხს განსაზღვრავს.

სოციალური კაპიტალი საზოგადოებაში არსებული ინსტიტუტების არა უბრალო ნაკრებია, არამედ ის ორგანული რგოლია, რომელიც საზოგადოების წევრებს ერთმანეთთან აკავშირებს. იგი ადამიანების პო-

[250] [http://info.worldbank.org/etools/kam2/KAM_page5.asp#c45]

რიზონტალური კავშირია, მწარმოებლურობასა და კეთილდღეობაზე მოქმედი შესაბამისი ნორმებია.[251]

სოციალურ კაპიტალს საზოგადოებრივი ბუნება აქვს.

ეკონომიკური კაპიტალი საბანკო ანგარიშებშია ასახული, ადამიანისეული — ადამიანთა გონებაში, სოციალური კაპიტალი კი ადამიანთა ურთიერთობებს ახასიათებს.

სოციალური კაპიტალის წარმოსაჩენად ადამიანი სხვას უნდა დაუკავშირდეს და ეს „სხვა“ მისი უპირატესობის წყარო გახდეს.

სოციალური კაპიტალი საზოგადოებრივი სიკეთეა.

სოციალური კაპიტალის ორი ფორმა არსებობს:

• **სტრუქტურული** (ქსელები, ასოციაციები, ინსტიტუტები, მარეგულირებელი წესები და რეგლამენტები);

• **კოგნიტური** (ურთიერთობები, ნორმები, ფასეულობები).

სოციალური კაპიტალი ფუნქციონირებს როგორც მიკროდონეზე (ფირმა, ოჯახი), ისე მაკროდონეზე (სახელმწიფო ინსტიტუტები, სამართლებრივი ნორმები). ისინი ერთმანეთს ავსებენ და თვისებრივად განსხვავებულ სინერგიულ[252] ეფექტს ქმნიან (იხილეთ ცხრილი 2.14).

სოციალური კაპიტალი ხელს უწყობს ინფორმაციის თავისუფალ გაცვლას, გადაწყვეტილების ერთობლივად მიღებას და შეთანხმებულ კოლექტიურ მოქმედებას.

---

[251] შდრ.: — **დეილ კარნეგი**: „ორგანიზაციის ერთადერთი უცვლელი კაპიტალი — მისი თანამშრომლების ცოდნა და უნარებია“.

[252] ბერძ. synergia — თანამშრომლობა, თანამოქმედება, ხელის შეწყობა; ნიშნავს სისტემის ელემენტების ერთობლივ ფუნქციონირებას. **სინერგიის კანონის** თანახმად, ნებისმიერი ორგანიზაციისთვის არსებობს ელემენტების ისეთი ერთობლიობა, რომლის პოტენციალი ყოველთვის მნიშვნელოვნად განსხვავდება მასში შემავალი ცალკეული ელემენტების (მაგ., ადამიანების) პოტენციალთა უბრალო ჯამისაგან. მაშასადამე, სინერგიის კანონი ამტკიცებს, რომ სოციალურ სისტემაში შეიძლება ენერგიის გაზრდა ან შემცირება.

მისი მიზეზია ის, რომ ორგანიზაციის ენერგეტიკულ პოტენციალში ჩართულია არა მხოლოდ მატერიალური რესურსები, არამედ კოლექტივის ინტელექტუალური და ემოციური ენერგია, ორგანიზაციის თითოეული წევრის პროფესიული მომზადების დონე და, მათ შორის, ურთიერთმოქმედების ხარისხი. სინერგია ნათლად მჟღავნდება მედიცინაში: სხვადასხვა წამლის კომბინირებული ზემოქმედებით, როცა ჯამური ეფექტი უფრო მეტია, ვიდრე თითოეული წამლისა ცალ-ცალკე. მხედველობაშია მისაღები კიდევ ერთი გარემოება: სინერგიის კანონის თანახმად, პერსონალის რაოდენობის გარკვეულ ზღვრამდე ზრდით, ორგანიზაციის პოტენციალი შეიძლება მკვეთრად ამაღლდეს.

ცხრილი 2.14. სოციალური კაპიტალის სახეობები

ფორმირების დონე	**სტრუქტურული კაპიტალი**	**კოგნიტური (შემეცნებითი) კაპიტალი**
მიკრო	შიდასაფირმო და საერთაშორისო ქსელი, საზოგადოებაში ჩართულობა	ნდობა, კორპორატიული ნორმები და ფასეულობები
მაკრო	სახელმწიფო ინსტიტუტები, სამართლებრივი ნორმები, პროფესიული ასოციაციები	ნდობა, საერთო და პირადი ფასეულობები, სტანდარტები

ფიზიკური კაპიტალისგან განსხვავებით, სოციალური კაპიტალი „წარმოების“ პროცესში თავის ღირებულებას არ კარგავს, ანუ ამორტიზაციას არ განიცდის. უფრო მეტიც, მისი ღირებულება არც მაშინ მცირდება, როცა არ გამოიყენება. იგი ინდივიდუალურად არ არსებობს და მხოლოდ ურთიერთობაში ვლინდება. ის სოციუმისთვის (საზოგადოებისთვის) დამახასიათებელი უაღრესად სოციალური მოვლენაა.

სოციალური კაპიტალი თავისი ინსტიტუტებით ეკონომიკურ განვითარებაზე მოქმედებს, კერძოდ, მუშაკებს სტიმულს აძლევს და ტრანსაქციურ ხარჯებს ამცირებს. ეს უკანასკნელი ადამიანებს შორის ურთიერთობის ლოკალური ქსელის დახმარებით მიიღწევა, რაც ინფორმაციის ფასს ამცირებს და მას ხელმისაწვდომს ხდის.

ეკონომიკური თვალთახედვით, სოციალური კაპიტალი ის ეკონომიკური სარგებელია, რომელსაც საზოგადოება იღებს პიროვნებათშორისი ეკონომიკური ურთიერთობების სივრცეში თანამშრომლობის, ნდობისა და ურთიერთდახმარების მეშვეობით.

მეტად მნიშვნელოვანია ნდობის ფაქტორიც. ნდობა არის ვისიმე კეთილსინდისიერებაში, რისამე მართებულობაში დარწმუნება, საიმედოდ მიჩნევა და მასზე დაფუძნებული დამოკიდებულება.

ნდობა ყოველთვის შეცნობილია, თუმცა, რისკთან დაკავშირებული, რადგან რაიმე ნიშანს (მაგ., განათლება, ასაკი, პროფესია, თანამდებობა) ეფუძნება. ადამიანის შესახებ რაც მეტი ინფორმაცია გვაქვს, მით უფრო ზუსტად შეგვიძლია მისი ქცევის პროგნოზირება.

ეკონომიკური ურთიერთობის მთელი ისტორიის მანძილზე, ვაჭრობა რისკიანი საქმე იყო. პარტნიორზე საქონლის გადაცემა დროსა და თანხებს მოითხოვდა, რაც, გარკვეულწილად, ნდობას საჭიროებდა:

შეასრულებდა თუ არა მეორე მხარე თავის ვალდებულებას, სათუო გახლდათ. ამგვარი გარიგებიდან ორმხრივი სარგებლის მიღება შეუძლებელი იქნებოდა, თუ ერთ-ერთი მხარე შეთანხმებას დაარღვევდა.

ისტორიკოსები მიიჩნევენ, რომ თვით ცნობილი ავტოკრატებიც კი, რომელთაც ხალხის წინაშე არავითარი ვალდებულება არ ჰქონდათ, მათი ნდობის ხარისხით მაინც იყვნენ დაინტერესებული.

ამიტომ თანამედროვე პოლიტიკოსებს მოსახლეობის ნდობის ხარისხი დიდად აღელვებთ. ამ მიმართებით განვითარებულ ქვეყნებს რიგი უპირატესობა აქვს. ფლობენ რა ძლიერ საფინანსო ინსტიტუტებს, მუშაკთა დაქირავების უფრო გონიერ პოლიტიკასაც ახორციელებენ.

ნდობა სარისკო ფენომენია. ადამიანები ერთმანეთს მაშინ ენდობიან, როცა არ ჰყოფნით ინფორმაცია, გადაწყვეტილება კი, ოპერატიულად მისაღებია: იყიდონ თუ არა ესა თუ ის საქონელი? დააბანდონ თუ არა კაპიტალი? და ა.შ.

ჩვეულებრივ, მაღალგანვითარებულ საზოგადოებაში საჯარო ხელისუფლებისადმი ნდობა უფრო მაღალია, და შედეგად, ინსტიტუციური რეფორმა უმტკივნეულოდ ტარდება, სოციალური კონფლიქტებიც ნაკლებად წარმოიშობა.

მესამე სამყაროს მრავალ ქვეყანაში, სადაც ნდობის დონე შედარებით დაბალია, ადამიანებს თვითნებობისა და ექსპლუატაციისგან დამცველი ინსტიტუციური გარანტიები არ გააჩნიათ. მათი ინტერესების დაცვის ერთადერთი საშუალება მხოლოდ გამძაფრებული წინააღმდეგობა ან სამოქალაქო ომია.

ნდობა არა მარტო ემოციურ-ფსიქოლოგიური, არამედ ეკონომიკური კატეგორიაა. იაპონიისა და აზიური „ვეფხვების“ ეკონომიკური აღმავლობა, მეტწილად, მოქალაქეთა შორის და ხელისუფლებისადმი ნდობის მაღალმა დონემ განაპირობა.

ნდობა უპირველესად იქ ვლინდება, სადაც თვით ხელმძღვანელი ხელქვეითებს უნდობლობის მიზეზს არ აძლევს, სადაც მისი მოქმედება გამჭვირვალეა და თანამშრომლები ხელმძღვანელის სამართლიანობაში ღრმად არიან დარწმუნებული.

18. ინტელექტუალური კაპიტალის სტრუქტურა

სამეცნიერო პრაქტიკაში ინტელექტუალური კაპიტალის ცნება XX საუკუნის დიდმა მეცნიერ-ეკონომისტმა, ჰარვარდის (აშშ) უნივერსიტეტის პროფესორმა **ჯონ გელბრეითმა** (1908-2006) 1969 წელს გაავრცელა, ხოლო მისი ეკონომიკური ბუნება, ამერიკელმა მეცნიერმა **ტიმ სტიუარტმა** შეისწავლა.

სტიუარტის აზრით, ინტელექტუალური[253] კაპიტალია ყველაფერი, რაც იციან კომპანიის მუშაკებმა და ბაზარზე ამ კომპანიის კონკურენტულ უპირატესობას განაპირობებს. მას მიეკუთვნება: პატენტები, პროცესები, მმართველობითი ჩვევები, ტექნოლოგიები, მომხმარებლებისა და მომწოდებლების შესახებ არსებული ინფორმაცია და გამოცდილება, ერთად გაერთიანებული ცოდნის სახით.[254]

კომპანიის ინტელექტუალური კაპიტალია მისი პერსონალის ცოდნა, გამოცდილება და კვალიფიკაცია, ასევე კომუნიკაციის არსებული არხები და ტექნოლოგიები, რომელთა დახმარებით იქმნება დამატებული ღირებულება და კონკურენტული უპირატესობა.

კომპანიის ინტელექტუალური კაპიტალი შეიძლება, ცოცხალ ორგანიზმს, ვთქვათ, ხეს შევადაროთ. ამ შემთხვევაში, ორგანიზაცი-ული სტრუქტურა, წლიური და კვარტალური ანგარიშები, სარეკლამო პროსპექტები და სხვა დოკუმენტები, ხის ტანთან, ტოტებთან და ფოთლებთან გავაიგივოთ. გამოცდილი ინვესტორი დეტალურად შეამოწმებს ხეს იმ ნაყოფის ძიებაში, რომლის მოსავალი შეუძლია აიღოს, თუ შეიძენს მას, ანუ დააბანდებს კაპიტალს. მაგრამ შეცდომა იქნებოდა ხის მხოლოდ ხილული ნაწილი მიგვეღო მხედველობაში, რადგან მისი ფესვები მიწაშია ჩაფლული და არ ჩანს. მართალია, მოცემულ მომენტში, ხის ნაყოფისა და ფოთლების ფერი, მის „ჯანმრთელობაზე“ მეტყველებს, მაგრამ მხოლოდ ფესვებით შეიძლება დარწმუნებით ითქვა, როგორი იქნება ამ ხის მომავალი.

ანალოგიურად, კომპანიის სასაქონლო ასორტიმენტი ხის ხილულ ნაწილს ჰგავს, ინტელექტუალური კაპიტალი კი — მის „ფესვებს“, ანუ განვითარების ფარულ შესაძლებლობებს.

სამყაროს დასაბამიდან წარმოების გადამწყვეტი ფაქტორი იყო მიწა, მოგვიანებით კაპიტალი, დღეს კი ადამიანი თავისი ცოდნით, განსა-

[253] ლათ. Intelectus — ადამიანის აზროვნების უნარი; გონება, ჭკუა; გონებრივი განვითარების დონე.

კუთრებით მეცნიერული ცოდნით და სრულიად ახალი შესაძლებლობით რომ შექმნას ისეთი ორგანიზაცია, რომელიც მთლიანად აკმაყოფილებს თანამედროვე ადამიანების მოთხოვნებს.

ზოგადად, კაპიტალი ის რესურსია, რომელიც საქონლის წარმოებისთვის გამოიყენება და შემოსავლის მომტანი წყაროა. არსებული კლასიფიკაციით (ძირითადი და საბრუნავი), ინტელექტუალური კაპიტალი ძირითადი კაპიტალის შემადგენელი ნაწილია. იგი არამატერიალური აქტივების ერთობლიობით წარმოების პროცესში მრავალჯერ გამოიყენება. ინტელექტუალურ და ფიზიკურ კაპიტალს ბევრი საერთო ნიშანი აქვს, კერძოდ, ორივე:

- პროდუქციისა და მომსახურების წარმოების პროცესში რესურსების (ფული, მატერიალური საშუალებები, ცოდნა, კვალიფიკაცია) დაბანდების შედეგად წარმოიშობა;
- მისი მფლობელისთვის შემოსავლის მომტანია;
- დაგროვებად-შევსებადი რესურსია;
- ახალი ღირებულების შექმნაშია ჩართული;
- განიცდის მორალურ ცვეთას (ამასთან, ინტელექტუალური კაპიტალი უფრო სწრაფად) და საჭიროებს „შეკეთებას“ ანუ მოითხოვს მნიშვნელოვან დანახარჯებს.

იმავდროულად, ფიზიკური და ინტელექტუალური კაპიტალი ერთმანეთისგან განსხვავდება (იხილეთ ცხრილი 2.15).

ხშირად, ინტელექტუალურ კაპიტალს „უხილავ აქტივს“ უწოდებენ. ამ განსაზღვრაში მისი არამატერიალური ბუნება იგულისხმება. ნამდვილად, შეუძლებელია კომპანიის იმიჯის, ადამიანთა ცოდნის ან შემოქმედებითი შესაძლებლობის ხელით შეხება, ხოლო — მორალური ფასეულობების დანახვა.

სხვა რესურსებთან შედარებით, მეტად რთულია კომპანიის შემოქმედებითი პოტენციალის გაზომვა, მაგ., კომპანიის თანამშრომელთა კოლექტიური ცოდნის, მათი გამოცდილებისა და ინტუიციის შეფასება.

ფიზიკური კაპიტალისგან განსხვავებით, რომელიც წარსულში მიზანმიმართული ქმედების შედეგია, ინტელექტუალური კაპიტალის მოქმედება მხოლოდ სამომავლოდაა გამიზნული.

ინტელექტუალური კაპიტალის პოტენციალი მკაფიოდ მჟღავნდება ახალი პროდუქციის (მომსახურების) შექმნისას.

---

[254] **Stewart T. (1991).** Brainpower//Fortune. 3 june. P. 42-60.

ცხრილი 2.15. ფიზიკური და ინტელექტუალური კაპიტალის შედარებითი მახასიათებლები

კაპიტალი	
ფიზიკური	**ინტელექტუალური**
არსებობის ფორმა	
მატერიალური	არამატერიალური
ჯამური ეფექტი	
შეკრებადი (ადიტიური)	არაშეკრებადი (არაადიტიური)
შეფასება	
ღირებულებითი	როგორც ღირებულებითი, ისე არაღირებულებითი
ფლობის წილი	
მთლიანი	ნაწილობრივი

კომპანიის საბაზრო ღირებულებით მისი ინტელექტუალური კაპიტალის დონე ირკვევა. რაც უფრო დიდია კომპანიის საბაზრო და საბალანსო (საბუხჰალტრო) ღირებულებებს შორის სხვაობა, მით უფრო ღირებულია კომპანიის ინტელექტუალური კაპიტალი. ეს უკანასკნელი ისეთ ასპექტებსაც მოიცავს, რომელიც საბუხჰალტრო მონაცემებით არ ფიქსირდება. მაგ., ბაზრის ახალ სეგმენტზე წარმა-ტებული გასვლის მოლოდინი, მომხმარებელთა ურთიერთობებისაგან მოსალოდნელი მოგება და სხვ.

ინტელექტუალური კაპიტალი არაშეკრებადია (არაადიტიურია), ანუ მისი ნაწილების ჯამისგან კი არ შედგება, არამედ ამ ნაწილების ურთიერთზემოქმედების საფუძველზე სინერგიული ეფექტი ყალიბდება, როცა თითოეული კომპონენტის ცალკე მოქმედებას ერთობლივად მიღებული ეფექტი სჭარბობს.

ამიტომ კომპანიის ინტელექტუალური კაპიტალის ერთ-ერთი საიდუმლოება თანამშრომელთა ეფექტიან ურთიერთობაში, მისი სხვადასხვა სახეობის განპირობებულობაში იმალება.

ინტელექტუალური კაპიტალის მართვის პრინციპების ჩამოყალიბებისას **ტ. სტიუარტი** ერთ, მეტად მნიშვნელოვან გარემოებაზე ამახვილებს ყურადღებას: კომპანიას არა აქვს ექსკლუზიური საკუთრების უფლება არც ადამიანისეულ და არც სამომხმარებლო კაპიტალზე. იგი მათი თანამფლობელია მის თანამშრომლებთან (ადამიანისეული კაპიტალის შემთხვევაში) ან მომხმარებლებთან და მომწოდებ-

ლებთან ერთად (სამომხმარებლო კაპიტალის შემთხვევაში). მხოლოდ საკუთრების თანაბარზომიერი ფლობის აღიარებით შეუძლია კომპანიას ამ არამატერიალური აქტივების მართვით შემოსავლის მიღება.

ინტელექტუალური კაპიტალი ადამიანისეული, ორგანიზაციული და სამომხმარებლო კაპიტალისგან შედგება.

ორგანიზაციული და სამომხმარებლო კაპიტალი კომპანიის სტრუქტურული კაპიტალია.

ადამიანისეული კაპიტალი ინტელექტუალური კაპიტალის ის ნაწილია, რომელსაც უშუალო ურთიერთობა აქვს ადამიანთან. ესაა თითოეული მომუშავის ცოდნა, პრაქტიკული ჩვევები, შემოქმედებითი და პოტენციური შესაძლებლობები, მორალური ფასეულობები, პირადი და ლიდერული თვისებები, შრომის კულტურა, რომელიც ინდივიდის ან ორგანიზაციის მიერ შემოსავლების მისაღებად გამოიყენება.

ადამიანისეული კაპიტალი არ ეკუთვნის ორგანიზაციას. ცოდნა, უნარ-ჩვევები და შესაძლებლობები მხოლოდ იმ ადამიანის საკუთრებაა, ვინც მას ფლობს.

ორგანიზაციული კაპიტალი ინტელექტუალური კაპიტალის ის ნაწილია, რომელშიც პროცედურები, ტექნოლოგიები, მართვის სისტემები, ტექნიკური და პროგრამული უზრუნველყოფა, ორგანიზაციული ფორმები და კულტურა იგულისხმება.

ორგანიზაციული კაპიტალი ესაა ბაზრის მოთხოვნებთან დაკავშირებული კომპანიის ორგანიზაციული შესაძლებლობები. იგი, როგორც კომპანიის საკუთრება, შეიძლება გასხვისდეს.

სამომხმარებლო კაპიტალი კომპანიის ინტელექტუალური კაპიტალის ის ნაწილია, რომელიც მომხმარებლებთან და მომწოდებლებთან ხანგრძლივი კავშირებითა და ურთიერთობებით ყალიბდება.

ზოგჯერ, სამომხმარებლო კაპიტალს ურთიერთობის კაპიტალსაც უწოდებენ, რომელიც, ყველა შემთხვევაში, ორგანიზაციის გარე სუბიექტებთან ურთიერთობით ფორმირდება.

კონკრეტულად, სამომხმარებლო კაპიტალია კომპანიის საქმიანი რეპუტაცია, სასაქონლო ნიშნები, ბრენდები, ურთიერთობა მომხმარებლებთან, პროდუქციის განაწილების არხები, შეკვეთების პორტფელი და კონტრაქტები (მათ შორის, სალიცენზიო).

განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი:

საქმიანი რეპუტაცია. აღნიშნული საკითხი ორგანიზაციის ეთიკური ნორმებით ხასიათდება და მის ქცევას განსაზღვრავს. მასში გათვალისწინებულია კანონმორჩილება, ღიაობა, პროდუქციის ხარისხი,

ბაზარზე ქცევა, პერსონალთან და კონკურენტებთან ურთიერთობის პოლიტიკა, სოციალური პასუხისმგებლობა.

კარგი საქმიანი რეპუტაცია ხელს უწყობს პროდუქციის მაღალ ფასში გაყიდვას, რეალიზაციის მოცულობის გადიდებას, ამაღლებს მომხმარებლებისა და პერსონალის ლოიალურობას, კომპანიას იცავს რისკებისგან, აძლიერებს მის მიმზიდველობას შრომის ბაზარზე.

საქმიანი რეპუტაცია ფასეული არამატერიალური აქტივია. იგი კომპანიას ეხმარება გააფართოვოს კონტაქტების არეალი და უფრო ხელსაყრელ პირობებში მიიზიდოს ინვესტიციები. ექსპერტები ასახელებენ 40-მდე ისეთ პარამეტრს, რომლითაც ფასდება საქმიანი რეპუტაცია. მათ შორის, შედარებით არსებითია:

⇒ ხელმძღვანელის პიროვნული ავტორიტეტი, მისი ქარიზმატულობა (მომნუსხველობა);

⇒ ორგანიზაციის მკაფიო მისია და სამომავლო სტრატეგია;

⇒ კომპანიის არსებული ფინანსური მდგომარეობა და დინამიკა;

⇒ პროდუქციისა და მომსახურების ხარისხი;

⇒ კომპანიის საზოგადოებრივი ცნობადობა და მის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა;

⇒ კომპანიაში ინოვაციების დანერგვა;

⇒ ბაზარზე ახალი პროდუქციის რეგულარული გატანა;

⇒ მარკეტინგული და სარეკლამო-საინფორმაციო პოლიტიკა;

⇒ კომპანიის განვითარების შესაძლებლობები და ა.შ.

ინდივიდუალური კომპეტენცია გულისხმობს განსხვავებულ სიტუაციაში თანამშრომელთა შესაძლო მოქმედებას, მათ კვალიფიკაციას, უნარ-ჩვევებს, გამოცდილებას, ენერგიას, სამუშაოსადმი, მომხმარებლებისადმი დამოკიდებულებას, კულტურის დონეს.

შიდა სტრუქტურა ესაა საწარმოს პროექტები, პატენტები, ნოუ-ჰაუ, საავტორო უფლებები, კომპიუტერული და ადმინისტრაციული სისტემები, ქსელური ურთიერთობის ფორმები.

გარე სტრუქტურა მოიცავს მომხმარებლებთან, მომწოდებლებთან, კონკურენტებთან, საზოგადოებათან ურთიერთობას, ასევე სასაქონლო ნიშნებსა და ორგანიზაციის იმიჯს.

ინტელექტუალური კაპიტალის შემადგენელი ნაწილები ერთმანეთზე ზემოქმედებენ. როცა მათი ურთიერთობა კარგად შერწყმული, ჰარმონიული და ორგანულია, ისინი ერთმანეთს ავსებენ და მაღალ სინერგიულ ეფექტს იძლევიან.

სხვადასხვა სახის ინტელექტუალურ კაპიტალს ერთმანეთის შეცვლა არ შეუძლიათ. თითოეული უნიკალურია, თუმცა, სინერგიული ეფექტი მხოლოდ ერთობლივი ძალისხმევით მიიღწევა.

საილუსტრაციოდ ასეთი მაგალითი მოვიყვანოთ: ვთქვათ, კომპანიაში ერთდროულად ძალზე ცნობილი რამდენიმე სპეციალისტი მუშაობს. არის თუ არა ეს იმის გარანტია, რომ კომპანია წარმატებულია, ხოლო მისი ინტელექტუალური კაპიტალი დიდი? რა თქმა უნდა, არა, რადგან წარმატებული კომპანიის ფორმირებისთვის აუცილებელია როგორც ორგანიზაციული, ისე სამომხმარებლო კაპიტალი.

ანალოგიური წრფივი ურთიერთობა არსებობს ინტელექტუალური კაპიტალის სხვა ნაწილების შემთხვევაშიც. დავუშვათ, კომპანიამ თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიები შეიძინა (ორგანიზაცი-ული კაპიტალი), ხოლო შესაბამისი სპეციალობისა და კვალიფიკაციის მუშაკები არა ჰყავს (ადამიანისეული კაპიტალი) და არც მომხმარებლებთან და მომწოდებლებთან თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ურთიერთობა (სამომხმარებლო კაპიტალი) შეუძლია. ასეთ ვითარებაში, წარმატებული იქნება კომპანია? რა თქმა უნდა, არა.

აღნიშნული მაგალითი იმას ადასტურებს, რომ მხოლოდ ერთი შემადგენელი ნაწილის გაძლიერებით ინტელექტუალური კაპიტალის საერთო დონის გადიდება შეუძლებელია. ამისთვის აუცილებელია კომპლექსური ღონისძიებების გატარება.

ტრადიციული კაპიტალის პირობებში, მისი შემადგენელი ნაწილების ურთიერთზემოქმედება პირობითად ასე გამოისახება:

$$1 + 1 + 1 = 3$$

ინტელექტუალური კაპიტალისას მისი შემადგენელი ნაწილების ურთიერთზემოქმედება მარტივი შეკრებით არ გამოითვლება. ასეთ ვითარებაში სხვა, უფრო რთული ურთიერთობა არსებობს:

მაშასადამე, **ინტელექტუალური კაპიტალი: 1+1+1# 3**

უკეთესს შემთხვევაში:

ინტელექტუალური კაპიტალი: 1+1+1> 3

უარესს შემთხვევაში:

ინტელექტუალური კაპიტალი: 1+1+1< 3

ამგვარად, ინტელექტუალური კაპიტალის შემადგენელი ნაწილები (ადამიანისეული, ორგანიზაციული, სამომხმარებლო) ურთიერთზე-მოქმედებენ და ამით ავსებენ ერთმანეთს. ერთ შემთხვევაში, ერთ-ერთმა შემადგენელმა შეიძლება სხვებზე გავლენა არსებითად გააძ-ლიეროს, საპირისპირო შემთხვევაში კი, ინტელექტუალური კაპიტალის საერთო დონე შეამციროს.

19. ინტელექტუალური კაპიტალი: შეფასება, ინვესტირების ობიექტი

ინტელექტუალური კაპიტალის შეფასება მეტად რთული და არაერთგვაროვანია. იგი მოითხოვს შეფასების ტრადიციული ეკონომი-კური მეთოდების ახლებურ გააზრებას.

სრულყოფას საჭიროებს ინვესტირებისა და მიმდინარე ხარჯების მეთოდიკა. მაგ., მომუშავეთა ტრენინგებზე გაწეული ხარჯები, ასევე რეკლამის ხარჯები, ხშირად, მიმდინარე ხარჯებად მიიჩნევა, არსე-ბითად კი, ისინი გრძელვადიანი ინვესტიციებია.

ორგანიზაციის ერთობლივი კაპიტალის მრავალი ელემენტი, მაგ., მომხმარებლებთან კავშირი, პერსონალის კვალიფიკაცია და სხვა, სა-ბუხჰალტრო ანგარიშგებაში არ აისახება.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ **ცოდნის ეკონომიკაში წინა პლანზე გამოდის არაადიტიური (არაშეკრებადი), ე.წ. სინერგიული მაჩვენებლის გამოყენების პრაქტიკა, რომელიც ტრადიციული სა-ბუხჰალტრო მეთოდებით არ აღრიცხება.**

ინტელექტუალური კაპიტალის ღირებულების ინტეგრალური შე-ფასებისთვის გამოიყენება **ტობინის კოეფიციენტი,**[255] **რომელიც არის კომპანიის საბაზრო ფასის შეფარდება ფიზიკური აქტივების (შენო-ბები, მოწყობილობები და სხვ.) ღირებულებასთან.**

კომპანიების უმრავლესობისთვის ტობინის კოეფიციენტის დონე 2-10-ის ფარგლებშია. მეცნიერებატევადი კომპანიისთვის ეს კოეფიციენ-ტი უფრო მაღალია. კერძოდ, პროგრამული უზრუნველყოფის წარმოე-ბის სფეროში მომუშავე კომპანიას, იგი შეიძლება რამდენიმე ასეულის ტოლი ჰქონდეთ. ასეთი კომპანიის ღირებულების შექმნაში ფიზიკური კაპიტალი უმნიშვნელოა, მთავარია — ინტელექტუალური კაპიტალი.

თუ კომპანიის ფასი მის მატერიალურ აქტივებს არსებითად აღემა-ტება, მაშინ არამატერიალური აქტივები (მაგ., პერსონალის ტალანტი,

[255] სახელწოდება ამერიკელი ეკონომისტისა და ნობელიანტის (1981), **ჯეიმს ტობინის** (1018-2002) გვარს უკავშირდება.

ეფექტიანი მენეჯმენტი და სხვ.) ღირებულია. მყიდველი, ძირითადად, არა ფიზიკურ, არამედ ინტელექტუალურ კაპიტალს იძენს.

ინტელექტუალური კაპიტალის მაღალი დონე კომპანიის კონკურენტუნარიანობის მაჩვენებელია და ინვესტიციების მიზიდვის ეფექტიანი ფაქტორია.[256]

ამ სფეროში ინვესტირების თავისებურებებია:

- **ადამიანისეულ კაპიტალში დაბანდებული ინვესტიციების უკუგება დამოკიდებულია მისი მფლობელის შრომისუნარიანობის ხანგრძლივობაზე.** რაც უფრო ახალგაზრდა ასაკშია დაბანდებული ინვესტიცია, მით მეტია უკუგება;
- **ადამიანისეული კაპიტალის ცვეთას განსაზღვრავს ინდივიდის ორგანიზმის ბუნებრივი ცვეთისა (დაბერების) და ცოდნის მორალური ცვეთის (დაძველების) ხარისხი;**
- **ადამიანისეული კაპიტალი მუშაობის პროცესში იზრდება.** თუ იგი უწყვეტად მიმდინარეობს, ინტელექტუალური კაპიტალის თვისებრივი და რაოდენობრივი პარამეტრები უმჯობესდება და დიდდება. კაპიტალის დაგროვების შესაბამისად, მისი შემოსავლიანობა გარკვეულ დონემდე იზრდება, ხოლო შემდეგ მკვეთრად მცირდება.

ადამიანისეული კაპიტალი მოიცავს ადამიანის განათლებას, პრაქტიკულ ჩვევებს, შემოქმედებითი აზროვნების შესაძლებლობებს, მორალურ ფასეულობებს, მოტივაციასა და კულტურულ დონეს.

ადამიანში დაბანდებული ყოველგვარი ინვესტიცია არ მიიჩნევა ინტელექტუალურ კაპიტალში განხორციელებულ ინვესტიციად. ასეთად მხოლოდ ის ითვლება, რომელიც საზოგადოებრივად მიზანშეწონილი და ეკონომიკურად ეფექტიანია.

კომპანიის კაპიტალის ტრადიციულ სტრუქტურაში ძირითადი წილი ფიზიკური კაპიტალია (შენობები, მოწყობილობები...). ზოგადად, ინვესტიციები ფიზიკურ კაპიტალში ხორციელდება (იხილეთ ნახ. 2.4).

თანამედროვე კომპანიაში კი მთლიანი კაპიტალის უმეტესი წილი ინტელექტუალური კაპიტალია. ამიტომ ინვესტიციები მის გასაძლიერებლად (პერსონალის სწავლება, დისტრიბუციის სრულყოფა, მარკეტინგული მეთოდების დახვეწა, რეკლამის გაუმჯობესება და ა.შ.) მიემართება.

---

[256] **Гапоненко А. Л., Орлова Т. М. (2008).** Управление знаниями. Как превратить знания в капитал: Учебник. М., «ЭКСМО», С. 128-130.

ნახ. 2.4. კომპანიის კაპიტალის სტრუქტურა



ინტელექტუალურ კაპიტალში ინვესტირებას ახასიათებს რისკის მაღალი დონე და ეფექტიანობის შეფასების სირთულე.

ამ სფეროში განხორციელებული ინვესტიციებისადმი გაძლიერებულ რისკს ისიც განაპირობებს, რომ თუ ფიზიკური კაპიტალის აღდგენა ფორსმაჟორული გარემოების შემთხვევაში, გარკვეული ფინანსური დანახარჯებით შეიძლება, ინტელექტუალური კაპიტალისას სიტუაციის (მაგ., სპეციალისტის გარდაცვალება) გამოსწორება შეუძლებელია ან დიდი დრო და დამატებითი ინვესტიცია სჭირდება.

გაეროს განვითარების პროგრამის მონაცემებით, დღეისთვის დედამიწაზე არსებული ფიზიკური კაპიტალი, ანუ დაგროვილი მატერიალური სიკეთე, საერთო ქონების (დოვლათის) მხოლოდ 16%-ია, ბუნებრივი სიმდიდრე — 20%, ადამიანისეული კაპიტალი კი, — 64%. მრავალ განვითარებულ ქვეყანაში ადამიანისეული კაპიტალის წილი 80%-ს აღწევს[257].

ცნობილია, რომ კვალიფიციური მენეჯმენტის შემთხვევაში, ადამიანისეულ კაპიტალში ინვესტირებულიდან მიღებული მოგება თითქმის ორჯერ აღემატება ტექნიკაში დაბანდებულიდან მიღებულ სარგებელს.

საინტერესოა განათლებასა და შრომის ნაყოფიერებას შორის არსებული კორელაცია. შესაბამისი კვლევები ადასტურებს, რომ განათლების დონის 10%-ით ამაღლების შემთხვევაში, მუშაკის შრომის ნაყოფიერება 8,6%-ით იზრდება, ფიზიკურ კაპიტალში ინვესტიციის ანალოგიური ტემპით ზრდისას — მხოლოდ 3-4%-ით მატულობს[258].

[257] [http://www. Internetworldstats.com]
[258] იქვე.

ადამიანისეულ კაპიტალში ინვესტიცია შეიძლება განახორციელოს როგორც თვით ინდივიდმა (თვითდაფინანსება) ან სხვა პიროვნებამ (სპონსორული დაფინანსება), ისე იმ ორგანიზაციამ, სადაც იგი მუშაობს, ასევე საზოგადოებამ ან სახელმწიფომ. ეს ბუნებრივია, რადგან კვალიფიციური ადამიანი უფრო ფასეულია. ამ შემთხვევაში ორივე მხარე მოგებულია. მომუშავისთვის იგი ნიშნავს შემოსავლების გადიდებას, შრომის პირობების გაუმჯობესებას, თვითპატივისცემის ზრდასა და ცხოვრების ხარისხის ამაღლებას, დამქირავებლისთვის კი, — შრომის ნაყოფიერების მატებას, სამუშაო დროის დანაკარგების შემცირებას და წარმოების ეფექტიანობის ზრდას, რითაც, საბოლოო ანგარიშით, საწარმოს კონკურენტუნარიანობა მაღლდება.

ფიზიკურ კაპიტალთან შედარებით, ადამიანისეული კაპიტალის გამოსყიდვის ვადა უფრო ხანგრძლივია. საერთო და სპეციალური განათლების მიღება შესაძლებელია, მაქსიმუმ, 10-15 წელიწადში. მხოლოდ ამის შემდეგ, საწარმოო გამოცდილების მიღების ზრდის პარალელურად, იწყებს უკუგებას ადამიანისეულ კაპიტალში დაბანდებული ინვესტიცია.

ადამიანისეულ კაპიტალში ინვესტიციები შემდეგი მიმართულებებით ხორციელდება: განათლება; საწარმოო მომზადება; ჯანდაცვა; მოტივაცია; ინფორმაციის მოძიება; კულტურა და დასვენება.

განათლება, საწარმოო მომზადება და სწავლების სხვა ფორმები ადამიანის ცოდნის დონეს ამაღლებს და, შესაბამისად, ადამიანისეული კაპიტალის ხარისხსა და მოცულობას ადიდებს. ამით კომპანია კვალიფიციურ პერსონალს ზრდის და განათლება კაპიტალდაბანდების მაღალმწარმოებლური ფორმა ხდება. განათლებაში ინვესტირების მოტივებია არა მარტო ეკონომიკური, არამედ სოციალური, კულტურული და ფსიქოლოგიური შედეგები.

ინვესტირების მიმართულებებიდან მნიშვნელოვანია ადამიანის ჯანმრთელობა. ფიზიკურად სუსტ და ავადმყოფ მუშაკებს თავიანთი შესაძლებლობების სრული რეალიზაცია არ შეუძლიათ. ამიტომ კომპანია მათი ჯანმრთელობით დაინტერესებულია. ჯანდაცვაში ინვესტირება სოციალურ-ეკონომიკურ ეფექტსაც იძლევა, რადგან იგი სიკვდილიანობას, შრომისუუნარობასა და ავადმყოფობას უკავშირდება.

20. ცოდნის მართვის პირობები და პრინციპები

ბოლო ათწლეულში, ტერმინი „ცოდნის მართვა“ (knowledge management) პოპულარული გახდა, თუმცა მისი ჩარჩოები ჯერ კიდევ არ დადგენილა, რადგან მრავალი მკვლევარი მას ინტელექტუალური კაპიტალის მართვასთან აიგივებს.

ცოდნის მართვის თეორიულ ბაზისად მიჩნეულია მეცნიერებათა ერთობლიობა, რომლებიც ბიოლოგიურ, სოციალურ-ეკონომიკურ და ტექნოლოგიურ პროცესებს იკვლევს.

ცოდნის მართვა ცოდნის იდენტიფიკაციის, გამოყენებისა და გადაცემის სისტემური და დამოუკიდებელი პროცესია. ამ დროს ორგანიზაცია (კომპანია) თვით წარმოშობს ახალ ცოდნას, აგროვებს და მოიხმარს კიდეც (იხილეთ ნახ. 2.5).

ნახ. 2.5. ცოდნის წრებრუნვა კომპანიაში



ცოდნის მართვის პირობებია:

პირველი, ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა, რითაც ცოდნის ეფექტური გავრცელების პირობები იქმნება;

მეორე, მაღალი კორპორაციული კულტურა, რითაც ცოდნა ერთი თანამშრომლიდან მეორეს გადაეცემა;

მესამე, პერსონალის უწყვეტი და კვალიფიციური სწავლება.

ამ პროცესს კომპანიისთვის მრავალი სიკეთე მოაქვს, კერძოდ:

- ხარისხიანად აკმაყოფილებს მომხმარებლების მოთხოვნებს;
- უახლესს ნოვაციებს სწრაფად ახორციელებს;
- უკეთ იყენებს პარტნიორის ფასეულ ინტელექტუალურ აქტივებს;
- აჩქარებს და სრულყოფს პერსონალის სწავლებას.

ცოდნის მართვა არ არის ახალი პარადიგმა. იგი არის მართვის უკვე ცნობილი ტექნოლოგიების თანამედროვე გააზრება და დღევანდელ პირობებში მისი ახლებური და უფრო სრულყოფილი გამოყენება.

ისტორიის ყოველ პერიოდს თავისი ფასეული გამოცდილება და პროფესიული ცოდნა ჰქონდა, რომელიც თანდათან გროვდებოდა და სისტემატიზებული სახით გამოიყენებოდა.

ამ თვალსაზრისით, ცოდნის მართვა დღეს პრაქტიკული მენეჯმენტის ყველა სფეროში გამოიყენება.

ცოდნის მართვის პრინციპებია:

- **მეცნიერულობა** — მეცნიერული რეკომენდაციების საფუძველზე ცოდნის მართვის სისტემის აგება;
- **სისტემურობა** — მისი კომპონენტების ურთიერთზემოქმედება და ურთიერთდამოკიდებულება;
- **სიტუაციური მიდგომა** — გარემო პირობებისა და უკუკავშირების გათვალისწინება;
- **ფსიქოლოგიური ფაქტორების გაგება და გამოყენება** — ყოველი მუშაკის პიროვნული პოტენციალის სრული რეალიზაციისთვის სათანადო პირობების შექმნა, პიროვნებათაშორისი ურთიერთობების ოპტიმიზაცია;
- **რაოდენობრივი მეთოდების გამოყენება** — მონაცემების შეგროვების (წინასწარი გამოკითხვა, დაკვირვება, შერჩევა) მეთოდები; სხვადასხვა სახის ინდექსები (მარტივი, აგრეგირებული); მოდელირების მეთოდები (იმიტაციური, მომსახურების);
- **უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა** — შესრულებული სამუშაოს ხარისხზე სათანადო პასუხისმგებლობისა და უფლებამოსილების დადგენა;
- **დემოკრატიული ცენტრალიზმი** — მუშაკებისა და ქვედანაყოფებისთვის დამოუკიდებლობის მინიჭება.

21. ცოდნის მართვის მიზნები, ამოცანები და ფუნქციები

ცოდნის მართვის მიზანია:

- ❖ კომპანიის კონკურენტუნარიანობის შექმნა/განმტკიცება;
- ❖ კომპანიის თვითორგანიზებად სისტემად გარდაქმნა;
- ❖ თანამშრომლების პროფესიული და პირადი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენება.

რატომ უნდა გარდაიქმნას კომპანია თვითორგანიზებად სისტემად? იმიტომ, რომ მან რეალობაში მიმდინარე ცვლილებებს მართვის დროული და ხარისხიანი მოდიფიკაციით უპასუხოს.

თვითორგანიზებად სისტემას სამი თვისება აქვს:

პირველი: ადაპტაცია. იგი ნიშნავს, რომ კომპანია (სისტემა) ახალ საბაზრო პირობებზეა მორგებული;

მეორე: წონასწორობის შენარჩუნება. მისგან ყოველი გადახრის შემთხვევაში სისტემა არაეფექტიანია.

მესამე: შიდა დივერსიფიკაციის შესაძლებლობა.

ინდივიდები და ავტონომიური ჯგუფები თავიანთ ამოცანებს თვითონ განსაზღვრავენ და მიზნის მიღწევასაც საკუთრივ ცდილობენ, რაც კომპანიის საერთო მიზნებშია მოქცეული.

ცოდნის მართვამ ორგანიზაციაში ისეთი პირობები უნდა შექმნას, რომ განათლება ინვესტიციისთვის მიმზიდველი გახდეს, ხოლო პროფესიული გამოცდილება თავისებურ აქტივად გადაიქცეს. ცოდნის მართვის სისტემამ მოტივაციის ამოცანები უნდა გადაწყვიტოს და უნდა უზრუნველყოს კონკრეტული ადამიანის პოტენციალისა და საწარმოო სიტუაციების მოთხოვნების ჰარმონიზაცია.

ცოდნის მართვას სამი მთავარი ამოცანა აქვს:

პირველი — დანახარჯების შემცირებით მწარმოებლურობის ზრდა, ეფექტიანობის ამაღლება. მოცემულ ამოცანას ხატოვნად ასე უწოდებენ: „გააკეთე, როგორც საჭიროა“ ან „ცოდნა გამოყენებისთვის“. საკითხის ამგვარი დასმით ყურადღება ცოდნის სისტემატიზაციაზე, მის დახვეწა-სრულყოფაზე მახვილდება;

მეორე — ინოვაციების გამოყენება, ახალი პროდუქტებისა და მომსახურების, ახალი ბიზნესპროცესების შექმნა. ამ ამოცანას ხატოვნად უწოდებენ: „მოიფიქრე თვითონ“ ან „ცოდნა კვლევისთვის“.

მესამე — დაფარული ცოდნის გამოვლენა, მისი გამოყენება და კონკურენტულ უპირატესობად გარდაქმნა.

თანამედროვე პირობებში, ცოდნის მართვა ახალი ფუნქციების შესრულებას მოითხოვს (იხილეთ ცხრილი 2.16).

ცხრილი 2.16. ცოდნის მართვის სამსახურის ფუნქციები და მათი შინაარსი

ფუნქციები	შინაარსი
ანალიტიკური	ინფორმაციის ნაკადში ცოდნის ძიება; ინფორმაციის გაფილტვრა; ეფექტიანი საინფორმაციო რესურსების არჩევა; პერსონალის საქმიანობის მეთოდების, გამოცდილებისა და კვალიფიკაციის ანალიზი.
განაწილებითი	ცოდნის მოწესრიგება და მისი სარგებლიანობის შეფასება; გარკვეული კრიტერიუმებით არსებული ცოდნის, დაგროვილი გამოცდილების, მუშაობის მე-თოდებისა და პერსონალის კვალიფიკაციის დაჯგუ-ფება; კორპორატიულ მეხსიერებაში მუშაკთა ცოდნის ჩართვა.
დაცვითი	საწარმოო პროცესების, ფინანსური შედეგების, გამოცდილების, ორგანიზაციის სტრატეგიული გეგმებისა და სხვათა შესახებ ცოდნისა და ინფორმაციის გაჟონვის საწინააღმდეგო ბარიერების შექმნა.
ინტეგრაციული	თანამშრომელთა შორის ცოდნის გაცვლა.
ახალი ცოდნის შემქმნელი ქმედება	მომხმარებელთა დაკვირვება, უკუკავშირი, კვლევებისა და ექსპერიმენტების ჩატარება და ანალიზი.

ამ ფუნქციებიდან ყველა მნიშვნელოვანია, მაგრამ განსაკუთრებით საყურადღებოა კორპორატიული მეხსიერების შექმნა, რითაც შესაძლებელია ორგანიზაციის ფასეული ცოდნისა და მისი გამოყენების მიმართულებების განსაზღვრა.

ორგანიზაციული ცოდნის სახეებია:

- **ცოდნა მომხმარებლების შესახებ** — მათი შეხედულებები, მოტივაცია, მსყიდველობითი შესაძლებლობები;
- **ცოდნა კონკურენტების შესახებ** — მათი „წარმატების მექანიზმები“, მიზნები და კონკურენტული სტრატეგიები;
- **ცოდნა პროდუქტების შესახებ** — ყოველი პროდუქტის წილი ბაზარზე, მათი მყიდველები და წარმოების ხარჯები;
- **ცოდნა ბიზნესპროცესების შესახებ** — მიმდინარე ბიზნესპროცესები და მართვის მექანიზმები, პერსპექტივები, ინოვაციები, ფუნქციური სინერგიის შესაძლებლობები;

- **ცოდნა ფინანსების შესახებ** — ფინანსური შესაძლებლობები, ვენჩურული (სარისკო) კაპიტალის მიზიდვის წყაროები;
- **ცოდნა მუშაკების შესახებ** — მათი ცოდნის დონე, მოტივაცია, სწავლების ეფექტური ფორმები და ა.შ.

მნიშვნელოვანია იმის გარკვევაც, კომპანიის რომელი მუშაკი ქმნის ახალ ცოდნას და რომელი იყენებს მას.

ხელმძღვანელობამ უნდა იცოდეს მუშაკთა შესაძლებლობები (განათლება, კვალიფიკაცია, გამოცდილება). თუმცა, მათი სრულად შეცნობა შეუძლებელია, რადგან, ხშირად, ისინი ფარულია. მათ გამოსავლენად მრავალი მეთოდი (მაგ., დისკუსია, „გონებრივი შეტევა“ და სხვ.) არსებობს.

22. ცოდნის გაცვლისა და გამოვლენის მეთოდები

კომპანიაში ცოდნის გაცვლის მეთოდებიდან მნიშვნელოვანია:

1. **განყოფილებებს შორის ინფორმაციის გაცვლა.** თანამშრომლებს არა მარტო კომპანიის მიზანი და მისია კარგად უნდა ესმოდეთ, არამედ ინფორმაციის გაცვლაც შეეძლოთ, რაც საბაზრო კონიუნქტურის ცვლილებებზე მყისიერად რეაგირების საშუალებას იძლევა;

2. **ტრენინგების რეგულარულად ჩატარება,** როგორც სპეციალობების, ისე ფსიქოლოგიური ნიშნით (მაგ., გუნდში მუშაობის უნარი, თაიმმენეჯმენტი);

3. **კომპეტენტური თანამშრომლების დროდადრო წახალისება** პრემიით, დაწინაურებით, შექებით და ა.შ.;

4. **„დამრიგებელთა ინსტიტუტის“ შექმნა**. ასეთ წრეებში გამოცდილი მუშაკები ახალბედებს თავიანთ ცოდნას უზიარებენ;

5. **„ინტელექტუალური რუკის“ შედგენა,** სადაც თითოეული თანამშრომლის ცოდნა და უნარები ფიქსირდება. ასეთი რუკა ვაკანტურ თანამდებობაზე კანდიდატის შერჩევას ამარტივებს;

6. **კრიზისული სიტუაციების ანალიზი**. რაიმე პროექტის წარუმატებლად დასრულებისას გაანალიზდება: რა უნდა გაკეთებულიყო და როგორ გაკეთდა.

ცოდნა კომუნიკაციური და ტექსტური მეთოდებით ვლინდება:

კომუნიკაციური მეთოდები მოიცავს ცოდნის მიღებას ანალიტიკოსებიდან, სპეციალისტებიდან და ექსპერტებიდან.

ტექსტური მეთოდები გულისხმობს ცოდნის მიღებას დოკუმენტებიდან (მეთოდიკა, რეგლამენტაცია, სამსახურებრივი სახელმძღვანელო დოკუმენტები, სპეციალური ლიტერატურა).

კომუნიკაციური მეთოდები ორგვარია: აქტიური და პასიური.

აქტიური მეთოდებისას (ანკეტირება, ინტერვიუ, დიალოგი და საქმიანი თამაშები) ინიციატივას ანალიტიკოსი ფლობს. იგი აქტიურად საუბრობს ექსპერტთან.

ანკეტირებისას ანალიტიკოსი წინასწარ ადგენს კითხვარს ან ანკეტას და რამდენიმე თანამშრომელს გამოკითხავს.

ანკეტის შესადგენად არსებობს რამდენიმე უნივერსალური რეკომენდაცია, კერძოდ, სასურველია:

- მრავალფეროვანი კითხვები, თემატიკის ცვლილება;
- გონივრული თანამიმდევრობით კითხვების განლაგება;
- ანკეტის გასაგებად, ნათლად და თავაზიანად შედგენა.

ინტერვიუს შემთხვევაში ანალიტიკოსი თავად ავსებს ანკეტას და მასში სპეციალისტის პასუხები შეაქვს. მისი უპირატესობა მოქნილობაშია: ანალიტიკოსს შეუძლია გამოტოვოს ან დასვას სხვა შეკითხვა, შეცვალოს ტემპი, თავისი მომხიბვლელობით „დაატყვევოს“ სპეციალისტი და ამით გაზარდოს ინტერვიუს ეფექტიანობა.

ცხრილი 2.17. ცოდნის გამოვლენის აქტიური მეთოდების შედარებითი მახასიათებლები

მეთოდი	**დადებითი მხარე**	**უარყოფითი მხარე**
ანკეტირება	სტანდარტული მეთოდით რამდენიმე სპეციალისტის ერთდროული გამოკითხვა	• ანკეტის შედგენის გამოცდილების ქონა • უკუკავშირის არარსებობა • ანკეტის კითხვების ბუნდოვანება
ინტერვიუ	უკუკავშირის არსებობა	კითხვების მოსამზადებლად ხანგრძლივი დრო
დიალოგი	• მოქნილობა • უკუკავშირი • ურთიერთობის ფორმისა და შინაარსის შეცვლის შესაძლებლობა	• ანალიტიკოსის დაძაბულობა • დიალოგის წარმართვის მეთოდიკის არარსებობა • შედეგების ოქმში გადატანის სირთულე

დიალოგისას ცოდნა ანალიტიკოსსა და სპეციალისტს შორის საუბარში ვლინდება. საუბრის გეგმა არარეგლამენტირებულია, თუმცა. იგი სერიოზულ მომზადებას მოითხოვს (იხილეთ ცხრილი 2.17).

პასიური მეთოდებისას ცოდნის გამოვლენაში წამყვანი როლი ექსპერტს ეკუთვნის. ანალიტიკოსი მხოლოდ აფიქსირებს მის განსჯას გადაწყვეტილების მიღების შესახებ.

პასიური მეთოდებია: დაკვირვება, „აზრები ხმამაღლა“ და ლექცია.

დაკვირვების დაწყებამდე ანალიტიკოსი ექსპერტს დაკვირვების მიზანს აცნობს და კომენტარებს სთხოვს. ანალიტიკოსი იწერს შენიშვნებსა და განმარტებებს. შეიძლება ვიდეო-ჩანაწერის გაკეთება. დაუშვებელია ექსპერტის შეფასებებში ჩარევა.

„აზრები ხმამაღლა“. ამ მეთოდით ექსპერტს მოეთხოვება არა მარტო საკუთარ ქმედებებზე კომენტარი, არამედ იმის ახსნაც, თუ როგორ როგორ იპოვა ასეთი გადაწყვეტილება.

ლექცია ცოდნის გადაცემის უძველესი ფორმაა. ლექტორის ხელოვნება ოდითგანვე დიდად ფასდებოდა. ამ მეთოდის გამოყენე-ბისას მთავარია არა ლექციისთვის მომზადება და მისი წაკითხვა, არამედ ლექციის მოსმენისა და ათვისების უნარი.

23. ცოდნის მართვის საბაზო სტრატეგიები

არსებობს ცოდნის ფორმირებისა და გამოყენების 7 საბაზო სტრატეგია. აქედან, 3 მოიცავს ინტელექტუალური კაპიტალის ერთ-ერთი სახეობის (ორგანიზაციული, ადამიანისეული ან ურთიერთობითი) ეფექტიან ფორმირებასა და მათ გამოყენებას.

შემდეგი 3 სტრატეგია გულისხმობს დადებითი ეფექტის მიღწევას ინტელექტუალური კაპიტალის ორი სხვადასხვა სახის (ადამიანისეული და ორგანიზაციული, ადამიანისეული და ურთიერთობითი კაპიტალის, ორგანიზაციული და ურთიერთობითი კაპიტალის) ურთიერთზემოქმედების პირობებში.

ბოლო, მე-7 სტრატეგია ითვალისწინებს კაპიტალის სამივე ელემენტის ურთიერთზემოქმედებას.

ამგვარად, ცოდნის მართვის საბაზო სტრატეგიები ითვალისწინებს ინტელექტუალური კაპიტალის ერთ სახეობაში ცოდნის გაცვლას მის გასადიდებლად ან ინტელექტუალური კაპიტალის ერთი სახეობიდან მეორეში ეფექტიანად გადატანას.

ნახ. 2.6 ინტელექტუალური კაპიტალის ძირითადი სახეების ურ-
თიერთზემოქმედება



პირველი სტრატეგია მოიცავს ადამიანისეული კაპიტალის ჩარ-ჩოებში ცოდნის ფორმირებას და გამოყენების გადიდებას. იგი პასუ-ხობს კითხვაზე: „როგორ ხდება ცოდნის გაცვლა?“, როგორ მაღლდება მუშაკთა კომპეტენცია და როგორ გამოიყურება ცოდნა კონკურენტ-უნარიანობის ასამაღლებლად?“

ეს სტრატეგია ითვალისწინებს მომუშავეთა ინდივიდუალური კომ-პეტენტურობების ამაღლებას და იყენებს მათ სწავლებას, ტრენინგებს, სამოტივაციო სისტემის დანერგვას.

მეორე სტრატეგია ორიენტირებულია ორგანიზაციული კაპიტა-ლის ჩარჩოებში ცოდნის ფორმირებასა და გამოყენებაზე. ორგანიზა-ციული კაპიტალის ელემენტებია საინფორმაციო სისტემები, მონაცემ-თა ბაზები, ორგანიზაციული სტრუქტურა, საავტორო უფლებები, პა-ტენტები, ნოუ-ჰაუ და ლიცენზიები.

მესამე სტრატეგია ითვალისწინებს ორგანიზაციის საგარეო კავშირებში ცოდნის ფორმირებასა და გამოყენებას. მოცემული სტრატეგია, ძირითადად, მარკეტინგულ ტექნოლოგიებს ეფუძნება.

მეოთხე სტრატეგია ყურადღებას ამახვილებს ადამიანისეული კაპიტალისა და ურთიერთობითი კაპიტალის ურთიერთზემოქმედებაზე. სტრატეგია მოიცავს მომხმარებლებთან ურთიერთობის ხერხებსა და მეთოდებს, რითაც ორგანიზაციის თანამშრომელთა ინდივიდუალური პროფესიული კომპეტენტურობები მაღლდება.

მეხუთე სტრატეგია არკვევს ადამიანისეული კაპიტალისა და ორგანიზაციული კაპიტალის ურთიერთობას. იგი პასუხობს კითხვაზე: „თანამშრომელთა ინდივიდუალური კომპეტენციები როგორ შეესაბამება ორგანიზაციის შიდა სტრუქტურას?“

მოცემული სტრატეგიის მიზანია კორპორატიულ სისტემაში ორგანიზაციის თანამშრომელთა ინდივიდუალური ცოდნის ჩართვა, რითაც იგი სხვებისთვის ხელმისაწვდომი ხდება.

მეექვსე სტრატეგია მოიცავს ურთიერთობითი კაპიტალისა და ორგანიზაციული კაპიტალის ურთიერთზემოქმედებას. მისი მიზანია ორგანიზაციის შიდა კორპორატიულ სისტემაში საგარეო კონტრაჰენტებთან ურთიერთობაში არსებული ცოდნის ჩართვა.

მოცემული სტრატეგიის ჩარჩოებში სისტემატურად ტარდება მომხმარებელთა გამოკითხვები და იქმნება მომხმარებელთა მონაცემებისა და შეხედულებების ინფორმაციული ბაზა. აღნიშნული ინფორმაცია საქონლის სრულყოფისთვის გამოიყენება, რითაც კომპანიის კონკურენტუნარიანობა მაღლდება.

მეშვიდე სტრატეგია ითვალისწინებს ინტელექტუალური კაპიტალის ყველა ელემენტის ერთდროულ ამოქმედებას და ამით ორგანიზაციის გონებრივი პოტენციალის ამაღლებას.

ჩვეულებრივ, ორგანიზაციაში აქცენტი კეთდება ინტელექტუალური კაპიტალის რომელიმე ერთ-ერთ სახეობაზე. ერთნი მეტ ყურადღებას აქცევენ ადამიანისეული კაპიტალის გაძლიერებას; მეორენი — მარკეტინგის სრულყოფას, ბაზარზე პროდუქციის წინ წაწევას; მესამენი — მართვის კორპორატიული სისტემის გაუმჯობესებას, რაც საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებას ემყარება. ორგანიზაციათა მხოლოდ მცირე ნაწილს შეუძლია მეშვიდე სტრატეგიის გამოყენება, რომელიც კომპლექსურია და, იმავდროულად, ყოვლისმომცველიც.

•

24. ცოდნის შეძენა, იჯარა და განვითარება

ცოდნის შესაძენად შეიძლება მცოდნე ადამიანის დაქირავება, სხვა ორგანიზაციასთან პარტნიორული ურთიერთობის დამყარება.

ამასთან, ყველაზე მიღებული მეთოდია მცოდნე მუშაკების მიზიდვა, რამდენადაც ამ დროს მათგან ცოდნა დაუყოვნებლივ მიიღება და გამოიყენება.

ბოლო წლებში მეტად აქტიურად დამკვიდრდა ხელმძღვანელის, ფირმის ტოპ-მენეჯერის, ან წამყვანი სპეციალისტის გადაბირების ან კონტრაქტით „შეძენის“ პრაქტიკა. კომპეტენტურ სპეციალისტებს სპეციალიზებული ფირმები (რეკრუტინგული სააგენტოები) ეძებენ. ყოველი კომპანია ცდილობს კვალიფიციური სპეციალისტის დაქირავებას.

ფირმები სხვა ფირმებს არა მარტო საწარმოო სიმძლავრეების ან სამომხმარებლო ბაზრისთვის ყიდულობენ, არამედ ცოდნის მიღებისთვისაც. ცოდნის უდიდესი ნაწილი ადამიანების გონებაშია თავმოყრილი. მცოდნე ადამიანების სამუშაოდან წასვლისას, მათი გამოცდილებაც იკარგება. ცოდნის შესანარჩუნებლად, ფირმა ყველაზე ფასეული ცოდნის მქონე თანამშრომლებს განსაზღვრავს და ხანგრძლივი პერიოდით მათ შენარჩუნებას ცდილობს.

მეტად აუცილებელია კომპანიის ინტელექტუალური პოტენციალის გაფრთხილება და თანამშრომლების განვითარებისა და კარიერული ზრდისთვის აუცილებელი პირობების შექმნა.

ბოლო წლებში ფართოდ გავრცელდა „პარტნიორული ბენჩმარკინგი“ — ადრე კონკურენტი ფირმები, მესამე ფირმის წინააღმდეგ კონკურენტული უპირატესობის მისაღწევად, ერთმანეთს ცოდნას ურთიერთხელსაყრელი პირობებით უზიარებდნენ.

გასული საუკუნის მეორე ნახევარში იაპონურმა ფირმებმა კოლოსალურ ეკონომიკურ წარმატებებს, უპირატესად, მუშაკების მუდმივი დაქირავების სისტემით მიაღწიეს. ისინი მუშაკების სწავლაზე უდიდეს სახსრებს ხარჯავენ, რადგან იციან, რომ მათი თანამშრომლების ცოდნას კონკურენტები ვერასოდეს გამოიყენებენ. ამის გამო, იაპონელი სპეციალისტების მიერ დამუშავებული პროდუქციის ხარისხის ამაღლების მრავალი მეთოდი ათეული წლების განმავლობაში ფირმის გარეთ არ ვრცელდებოდა.

ცოდნის მიიღება ცოდნის იჯარითაც: კონსულტანტის დროებითი დაქირავებით, კლიენტებისგან, მომწოდებლებისგან, სამეცნიერო დაწესებულებებისა და პროფესიული ასოციაციებისგან დახმარებით.

იჯარა იმ შემთხვევაშია მიმზიდველი, როცა:

- კონსულტანტი ღირებულ რჩევებსა და რეკომენდაციებს იძლევა;
- ინფორმაციის ერთჯერადი დადასტურება აღიარებული ექსპერტის მიერ აუცილებელია.

თანამედროვე პირობებში მეტად პოპულარული გახდა მუშაკების სასწავლებლად უცხოეთში გაგზავნა, კომპანიაში სასწავლო პროგრამმის შემუშავება, პერსონალის სწავლებისთვის სხვა ორგანიზაციიდან ინსტრუქტორების მოწვევა და სხვა.[259]

25. შემოქმედებითი გუნდის ფორმირება

სხვადასხვა იდეის გენერირების ან პრობლემის გადაჭრის მიზნით, ფუნქციური გუნდი იქმნება.

ამერიკელი მეცნიერი **პიტერ სენგე**[260] გუნდის მიმართ 7 აუცილებელ მოთხოვნას აყენებს, კერძოდ:

- გუნდს თავისი მისია და მიზანი უნდა ჰქონდეს;
- მიზანი ყოველი წევრისთვის მნიშვნელოვანი უნდა იყოს;
- მიზნის მისაღწევად გუნდს შინაგანი ძალები უნდა გააჩნდეს;
- გუნდი კომპეტენტური უნდა იყოს;
- გუნდი მზად უნდა იყოს გარე ინფორმაციის აღქმისა და საკუთარი ქმედებების შესაცვლელად;
- გუნდი ინდივიდუუმების ჯგუფი უნდა იყოს, რომლებსაც წარმატებული ქმედების სჯერათ და ერთმანეთის სწამთ.

გუნდი შეიძლება იყოს მუდმივი, დროებითი ან ერთჯერადი. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, დასახული ამოცანის შესრულების შემდეგ, იგი იშლება. მუდმივ საფუძველზე შექმნილი გუნდი კი, წინა ამოცანის შესრულების შემდეგ, სხვა დავალებაზე გადაერთვება.

გუნდის საქმიანობის ეფექტიანობა რიგ ფაქტორებზე (ტექნიკური, ორგანიზაციული, მმართველობითი, კულტურული) და მისი წევრების უნარებზეა (ცოდნა, გამოცდილება და ერთმანეთთან ეფექტიანი ურთიერთობა) დამოკიდებული.

---

[259] შდრ.: ძველი ჩინური ანდაზა: თუ გეგმავ ერთი წლით, დათესე ბრინჯი. თუ გეგმავ ათი წლით, დარგე ხე. თუ გეგმავ მთელი სიცოცხლე, ასწავლე ხალხს.

[260] **Сенге П. (1999).** Пятая дисциплина: искусство и практика самообучающейся организации. С. 25.

ცხრილი 2.18. გუნდის მონაწილეთა როლები და მახასიათებლები

როლი	**ძლიერი მხარეები**	**სუსტი მხარეები**
იდეის გენერატორი	კრეატიულად მოაზროვნეა. აქვს წარმოსახვის უნარი, შეუძლია რთული პრობლემების გადაჭრა	უგულებელყოფს წვრილმანებს, ჩაფლულია თავის აზრებში
რესურსების მკვლევარი	ენთუზიაზმით სავსეა, კომუნიკაბელურია, ავითარებს კონტაქტებს	ძალიან ოპტიმისტია, სწრაფად კარგავს სამუშაოსადმი ინტერესს
კოორდინატორი	განსაზღვრავს საერთო მიზანს, ხელმძღვანელობს გადაწყვეტილების მიღების პროცესს, გადასცემს უფლებამოსილებას	შეიძლება სხვების გავლენის ქვეშ მოექცეს. თავის სამუშაოს სხვებს ავალებს
მოტივატორი	დინამიური და სხვების მასტიმულირებადია, თვითკონტროლს არ კარგავს. წინააღმდეგობის დაძლევისას მამაცია	შეიძლება სხვა ადამიანების დაძაბულობა გამოიწვიოს. სხვების გრძნობებზე თამაშობს
ანალიტიკოსი	სტრატეგიულად მოაზროვნე და გამჭრიახია. განიხილავს ყველა ვარიანტს. დასკვნებს უშეცდომოდ აკეთებს	არ ჰყოფნის შინაგანი იმპულსი და სხვების შთაგონების შესაძლებლობა
სულისჩამდგმელი	გულისხმიერი, მშვიდი, ამთვისებელი და დიპლომატიურია. შეუძლია მოსმენა, უთანხმოების გადალახვა, ადამიანების დამშვიდება	კრიზისულ სიტუაციაში გაუბედავია, ადვილად ექცევა სხვისი გავლენის ქვეშ
რეალიზატორი	დისციპლინირებული, საიმედო, წინდახედული და კვალიფიციურია, იდეებს პრაქტიკულ საქმედ აქცევს	მოუქნელია, ახალ შესაძლებლობებზე ნელა რეაგირებს
კონტროლიორი	კეთილსინდისიერი და მშფოთვარეა. ეძებს შეცდომებსა და ხარვეზებს. დროულად ასრულებს დავალებებს	მოუსვენარია, უფლებამოსილებებს უხალისოდ გადასცემს. სხვების მიმართ ზოგჯერ ეჭვიანია
სპეციალისტი	დამოუკიდებელი და ერთგულია, იშვიათი ცოდნისა და უნარის მქონეა	ვიწრო პროფილის სპეციალისტია და საქმის მხოლოდ ტექნიკური მხარე აინტერესებს

გუნდის წევრებს შორის ჯანსაღი ურთიერთობა, — ნდობა, ღიაობა და კეთილგანწყობა — შემოქმედებითი, ნოვატორული პოტენციალის, მისი ეფექტიანი მუშაობის განმსაზღვრელია.

რთულია რაციონალური გადაწყვეტილების პოვნა, როცა არსებული პრობლემა ახალი ასპექტით წარმოდგენას მოითხოვს. ტრადიციული შეხედულებები და ახალი ცოდნის იგნორირება პრობლემის გადაწყვეტისადმი სხვაგვარი მიდგომების ძიებას ართულებს.

მნიშვნელოვანია გუნდის ლიდერის როლი. მისთვის ყველაზე მთავარია გუნდის წევრებს შორის ნორმალური ურთიერთობის პირობების შექმნა, რაც, იმავდროულად, გუნდის ეფექტიანი საქმიანობისთვის აუცილებელია.

გუნდის წევრების შერჩევა პრობლემის თემატიკისა და მოცულობის მიხედვით ხდება. მისმა სპეციფიკამ შეიძლება გუნდში სხვა კომპანიის სპეციალისტის ჩართვა მოითხოვოს. სასურველი არ არის სკეპტიკურად განწყობილი პირის მოწვევა.

გუნდური მენეჯმენტის სფეროში ბესტსელერის ავტორის, ინგლისელი პროფესორის **რაიმონდ ბელბინის** აზრით, გუნდის დაკომპლექტებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მისი წევრების უნარებსა და შესაძლებლობებს. კოლექტივის მართვის თეორიაში იგი გუნდის წევრთა ცხრა მთავარ როლს გამოყოფს (იხილეთ ცხრილი 2.18).[261]

26. ინოვაციური ადამიანი (ინოადამიანი)

ინოვაციური ადამიანი (ინოადამიანი) ისეთი სუბიექტია, რომელიც ორიენტირებულია ინოვაციურ წარმოებაზე, კრეატიული ხასიათის იდეისა და პროექტის შექმნასა და გამოყენებაზე.

ზოგადად, ასეთი ტიპის ადამიანი განსაკუთრებით ფასეულია ინოვაციური საწარმოს (ორგანიზაციის) სტრატეგიულ მენეჯმენტში.

ინოადამიანს შეიძლება სხვადასხვა თანამდებობა ეკავოს, თუმცა საქმიანობისადმი მისი დამოკიდებულება ყოველთვის ერთგვაროვანი რჩება — სიახლეებისადმი აქტიური ძიება, შემოქმედებითი მიდგომა, სტანდარტული პრობლემების ახლებური გადაწყვეტა და ა.შ.

[261] **Белбин Р. Мередит. (2003).**Типы ролей в командах менеджеров. Пер. с англ. М., HIPPO.

არსებობს ინოხელმძღვანელები და ინოშემსრულებლები.[262]

უმაღლესი დონის **ინოხელმძღვანელი** ორიენტაციას აკეთებს ორგანიზაციის პერსპექტიულ განვითარებაზე, ინოვაციურ ხედვაზე და ორგანიზაციის მისიის, მიზნებისა და ამოცანების გრძელვადიან შესრულებაზე. იგი საფასო და არასაფასო ფაქტორების (პროდუქციის ხარისხი, განვითარების სტრატეგია და ტაქტიკა, ბაზრის წილის გადიდება, რეკლამა შენარჩუნება და ა.შ.) გათვალისწინებით, განსაზღვრავს ბაზარზე ორგანიზაციის ლიდერად მიღწევის (შენარჩუნების) შესაძლებლობებს, პერსპექტიულ ორიენტირებს და პასუხობს კითხვაზე: „რა ვაკეთოთ?“

ინოშემსრულებელი (ინოსპეციალისტი) პასუხს აგებს მიმდინარე საქმიანობაზე. ჩვეულებრივი შემსრულებლისგან განსხვავებით, იგი სტანდარტულ პრობლემებს შემოქმედებითად წყვეტს და პასუხობს კითხვაზე: „როგორ გავაკეთოთ?“ მაგ., ფირმის კრეატიული მარკეტინგის სამსახურისთვის ასეთი საქმიანობა იქნება: ბაზარზე პროდუქტის წინ წაწევის ინოვაციური შესაძლებლობები და სხვ.

როგორც ცნობილია, საბაზრო ეკონომიკაში კონკურენცია მუდმივად მოითხოვს ლიდერობისკენ დაუცხრომელ სწრაფვას. პროფესორ **მაიკლ პორტერის** ცნობილი მოდელით, კომპანია ოთხი კონკურენტული ძალის ზემოქმედების ქვეშ იმყოფება. მათი გადალახვა კი კონკურენტული სტრატეგიის ღონისძიებებს განსაზღვრავს.

თანამედროვე საბაზრო სიტუაცია კონკურენტების ქცევის ახალ მოდელს და **ინოკონკურენტის** ფორმირებას მოითხოვს. ასეთი კონკურენტი უპირატესობის მისაღწევად კონკურენტული ბრძოლის ინოვაციურ ხერხებს იყენებს.

მოქმედი **ინოგამყიდველი** ინოკონკურენტის ყველაზე მარტივი ფორმაა. ინოგამყიდველი კონკურენტულ ბრძოლაში იყენებს არასტანდარტულ „ხაფანგებს“, რომელთა შორის შედარებით გავრცელებულია „შავი PR“, „კოპირების“ სტრატეგია და სხვ. საჭიროა მისი ქმედების გამოცნობა და პრევენციული ღონისძიებების გატარება.

გაცილებით რთულია და საშიში ურთიერთობა პოტენციურ ინოკონკურენტებთან, რადგან ისინი, როგორც წესი, ბაზრის ძლიერი მოთამაშეები არიან. ინოკონკურენტების საკმაოდ სახიფათო ხერხებია მათ მიერ კონკურენტული ბრძოლისას პროდუქციის „ბიძგისა“ და „ქაჩვის“ სტრატეგიების გამოყენება.

---

[262] **Зубеева Е. В. (2014).** Хомоиноватикус. Концепция инночеловека в системе стратегического менеджмента инновационного предприятия. Ж., «КЭ». №7, С. 131.

ინომომწოდებელი კონკურენტული ძალების შედარებით რთული ფორმაა. იგი დამახასიათებელია B2B ბაზრისთვის, ასევე გრძელი საწარმოო ჯაჭვის მქონე ციკლისთვის, როცა, მაგ., მომწოდებელი ერთი სახეობის ნედლეულის გამყიდველია და, იმავდროულად, მეორე სახეობის ნედლეულის მყიდველიც.

რაც შეეხება **ინომომხმარებელს,** იგი სრულიად განსხვავებული ფენომენია, რაზედაც აუცილებელია ყურადღების ცალკე გამახვილება.

27. ცოდნის მართვის ეროვნული თავისებურებები

გლობალიზაციის თანამედროვე პირობებში მენეჯერების მიმართ გადიდებული მოთხოვნებია დაწესებული. მათ აუცილებლად უნდა გააჩნდეთ კორპორაციის პერსონალის მოტივირებისა და შთაგონების, ადმინისტრირებისა და ლიდერობის უნარ-ჩვევები.

სხვადასხვა ქვეყნის მენეჯერთა დომინირებული სტილის კვლევამ დამაჯერებლად აჩვენა, რომ ხელმძღვანელთა მართვის სტილზე ეროვნული თავისებურებები მეტად არსებით გავლენას ახდენს.

ეროვნული კულტურის ცნობილმა ნიდერლანდელმა მკვლევარმა **გირტ ჰოფშტედემ**, თავის ნაშრომში „კულტურები და ორგანიზაციები“, კრიტერიუმთა ოთხი ძირითადი ჯგუფი გამოყო, რაც მმართველობითი სტილის მიხედვით ქვეყნების განსხვავების საშუალებას იძლევა. ეს ჯგუფებია:[263]

- ხელისუფლებამდე დისტანცია;
- განუსაზღვრელობის თავიდან აცილება;
- ინდივიდუალიზმი და კოლექტივიზმი;
- ქცევის უპირატესად მამაკაცური ან ქალური სტილი.

როგორც ცნობილია, კულტურა, ფართო გაგებით, აერთიანებს ადამიანის ცოდნას, სარწმუნოებასა და ქცევის ფორმებს. იგი პიროვნების მიერ გარე სამყაროსა და საკუთარი თავის აღქმისა და შეცნობის საშუალებას იძლევა. ასევე განსაზღვრავს ადამიანთა ქცევის შეფასების კრიტერიუმებს, იერარქიის როლს, საზოგადოებაში ინდივიდის ან ჯგუფის მნიშვნელობას.

---

[263] **ჯოლია გ. (2015).** საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები. სახელმძღვანელო. თბ., „სტუ“. გვ. 481-526.

მკვლევართა უმრავლესობის აზრით, მმართველობითი სტილის განმსაზღვრელია:

- ფასეულობათა სისტემა;
- სხვადასხვა მოთხოვნილებების (ინდივიდუალური და ორგანიზაციული) ინტენსივობა;
- რისკის აღქმა;
- პიროვნებათაშორისი ურთიერთობების ტრადიციები[264]

ჩამოთვლილთაგან წამყვანია ფასეულობათა სისტემა. სწორედ ის არის ხელმძღვანელის მიერ სიტუაციის შეფასების ერთგვარი ფილტრი და გადაწყვეტილების მიღების უმთავრესი ფაქტორი, განსაზღვრავს მიზნის მიღწევის საშუალებას, აყალიბებს უპირატესობათა სისტემას და განაპირობებს პიროვნებათაშორის ურთიერთობებს.

ცოდნის მართვის ამერიკული სტილი. საზოგადოდ, მართვის ამერიკული სტილის თავისებურება განპირობებულია ამერიკული საზოგადოების შექმნის ისეთი ისტორიული ფაქტორებით, როგორიცაა ფეოდალიზმის გადმონაშთების არარსებობა, ენერგიული, პატივმოყვარე და გამჭრიახი (მოსაზრებული, გერგილიანი) ემიგრანტების მიერ ამ ქვეყნის ტერიტორიისა და სიმდიდრეების ათვისება.

ამ სტილისთვის დამახასიათებელია გამჭრიახობა, ორგანიზატორული ნიჭი, პერსონალის კომპეტენტურობის უზრუნველყოფა და „სრულყოფის ინდუსტრიის“ განვითარება.

მართვის ამერიკულ სტილის თავისებურებებია:

1. გერგილიანობა და ორგანიზების უნარი.

ეს თვისებები მიზანმიმართულებაში, დაჟინებულობასა და დაწყებული საქმის აუცილებლად დამთავრების უნარში ვლინდება. გერგილიანობის გამოხატულებად სპეციალისტები მოგების (სარგებლის) მისაღებად მათ სწრაფვას მიიჩნევენ. ამით აიხსნება მათი მისწრაფება საქმის, მეთოდის, საშუალების, სისტემის დეტალებში წვდომისკენ, სხვათა გამოცდილების შესწავლისადმი მუდმივი ინტერესი.

ამერიკელი მმართველები საქმიდან და შექმნილი სიტუაციიდან მაქსიმალური სარგებლის მიღების უზადო სპეციალისტებად ითვლებიან. გერგილიანობა შეფასებისა და დათვლის უნარშიც გამოიხატება: მათ შეუძლიათ პლუსებისა და მინუსების შეფასება, შესაძლო ხარჯებისა და სარგებლის დათვლა.

---

[264] **Ronen S.** Comparative and Multinational management - N.Y., 1986.

ამერიკელი სპეციალისტი ერთგულია აღებული ვალდებულებების, საკუთარი სიტყვის, კონტრაქტზე ხელმოწერის. მათი სიტყვა მოკლეა და ნათელი.

ნებისმიერი საქმის ორგანიზებას ამერიკელი მენეჯერი გულდასმით იწყებს და ყველა მხარეს ითვალისწინებს. საკითხს სწავლობს მრავალი პოზიციიდან — სამართლებრივი, საკადრო, მატერიალური, ფინანსური, დროითი, გარე პირობებითა და სხვ.

ორგანიზების ამერიკული უნარის მაჩვენებელია მიზნებისა და ამოცანების დაკავშირება საჭირო რესურსებთან.

2. პერსონალის კომპეტენტურობა.

ამერიკულ კომპანიებში კადრების შერჩევის საერთო კრიტერიუმია: განათლება, მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება, ფსიქოლოგიური თავსებადობა და კოლექტივში მუშაობის უნარი.

ამერიკულ ფირმაში ანაზღაურება სამუშაო ადგილის კატეგორიით განისაზღვრება. ხელფასი დამოკიდებულია მუშაკის კვალიფიკაციასა და მოცემულ ადგილზე ცხოვრების ფასზე; მუშაკების ატესტაცია ყოველწლიურად ხდება, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალისა და მენეჯერების ხელფასი საჯაროდ არ ცხადდება. იგი ინდივიდუალური შეთანხმებით დგინდება.

ამერიკელები მობილურები არიან, ადვილად იცვლიან სამუშაო ადგილს საუკეთესო ინდივიდუალური შესაძლებლობების ძიებაში.

ამერიკელები მეტად ღრმად და დიდი ინტერესით სწავლობენ მსოფლიოს წამყვანი ფირმების გამოცდილებას. წარმატება ადამიანს აზარმაცებს და თავდაჯერებულს ხდის, კონკურენცია კი მობილიზებას აიძულებს.

ცოდნის მართვის იაპონური სტილი. იაპონიის მენეჯმენტი ნათლად ასახავს ქვეყნის ისტორიულ თავისებურებებს, კულტურასა და საზოგადოებრივ ფსიქოლოგიას. იგი უცილობლად დაკავშირებულია სახელმწიფოს საზოგადოებრივ-ეკონომიკურ წყობასთან. მათი სისტემა იაპონური ტრადიციებისა და იმპორტირებული იდეების სინთეზია.

იაპონიის ეკონომიკური ძლიერების მთავარი მიზეზი ის კი არაა, რომ იგი უცხოური ფუნდამენტური კვლევების შედეგებს ყიდულობს, არამედ ის, რომ მათზე დაყრდნობით პროდუქციის შექმნის ახალ გზებს პოულობს. შემოქმედებითი აქტივობა — იაპონელთა ძლიერი მხარეა.[265]

[265] The Art and Science of Business Intelligence Analysis. CT: JAI Press Inc., 1996.

მართვის იაპონურ მოდელს განსაზღვრავს რიგი პარადიგმები, რომლებიც სხვა მოდელში არ გვხვდება. მათ შორის მნიშვნელოვანია **მთელი სიცოცხლის მანძილზე დაქირავება** და **გადაწყვეტილების კოლექტიურად მიღება.**

მათი საზოგადოება ერთგვაროვანია და კოლექტივიზმის სულით გამსჭვალული. ისინი ყოველთვის ჯგუფის სახელით აზროვნებენ. პიროვნება თავს, უწინარეს ყოვლისა, ჯგუფის წევრად აღიქვამს, საკუთარ ინდივიდუალურობას კი, — როგორც მთლიანის ნაწილად.

იაპონური მენეჯმენტის კიდევ ერთი თავისებურებაა **უწყვეტი სწავლების კონცეფცია**. ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ უწყვეტელი სწავლება ოსტატობის სრულყოფის საფუძველია, რაც თვითგანვითარებას განაპირობებს, მიღწეული შედეგები კი მორალურ კმაყოფილებას იწვევს. მეორე მხრივ, სწავლების მიზანია უფრო საპასუხისმგებლო სამუშაოსთვის მომზადება და შემდგომი დაწინაურება. მართვის დასავლური მიდგომისგან განსხვავებით, იაპონელები ოსტატობის ამაღლებას მოვალეობად თვლიან და ამით კმაყოფილებას განიცდიან.

იაპონელები იდეების სწრაფად ამთვისებელნი არიან. მათ სხვის შეცდომებზე უყვართ სწავლა და მათი გამოცდილების დანერგვით აღწევენ წარმატებას, ყურადღებით აკვირდებიან რა ხდება მსოფლიოში და სისტემატურად ავსებენ ინფორმაციას.

იაპონური კორპორაციები უპირატესად მუშაკთა ერთგულების ფაქტორით ოპერირებენ. მუშაკების კორპორაციასთან გაიგივება ძლიერ მორალს ქმნის და მაღალ ეფექტიანობას განაპირობებს.

იაპონელები უპირატესად შიდა რესურსებზე არიან ორიენტირებულნი და სხვა კომპანიებს იშვიათად იძენენ. მათთან ფირმების ყიდვა-გაყიდვა ამორალურად ითვლება. ისინი უპირატესობას ერთობლივ მეწარმეობას ანიჭებენ.

იაპონელების განმასხვავებელი ნიშანია ახალ პირობებთან შეგუებადობა. როცა, კრიზისის ან გაყიდვების შემცირებისას, კომპანია იძულებულია შეცვალოს საქმიანობა, მუშაკები სიამოვნებით თანხმდებიან კვალიფიკაციის შეცვლაზე.

იაპონიაში ყოველი მუშაკი დარწმუნებულია, რომ იგი საკუთარი კომპანიისთვის მნიშვნელოვანი და აუცილებელი სახეა. მრავალი მათგანი იშვიათად სარგებლობს დასვენების დღეებით, რადგან დარწმუნებულია, — როცა კომპანიას სჭირდება მუშაობა მათი ვალია და ამით ისინი კომპანიისადმი ერთგულებას ადასტურებენ.

რაც დიდხანს მუშაობს ადამიანი კომპანიაში, მით მეტად აიგივებს თავს მასთან. იაპონური კორპორაციები სამუშაოს გარანტიას აძლევენ

სპეციალისტს და სამუშაო სტაჟით განსაზღვრულ დაჯილდოვების სისტემას იყენებენ. ამით კადრების დენადობისგან თავს იზღვევენ. სხვა კომპანიაში გადასულს უუქმდება სტაჟი და ყველაფერს ნულიდან იწყებს. მთელი სიცოცხლის განმავლობაში დაქირავება მუშაკის დასაქმებისა და დაწინაურების გარანტიებს ემყარება. თავის მხრივ, ყველა მუშაკი თვითკმაყოფილია და იცის, რომ მისი ქმედებები ოდესღაც აუცილებლად დაფასდება.

იაპონელი მუშაკები მეთოდურად და ერთგულად შრომობენ. არიან პუნქტუალურები, ძლიერ განვითარებული მოვალეობის გრძნობით. ამაყობენ საკუთარი ოსტატობით. უზადოდ შესრულებული სამუშაოთი უდიდეს სიამოვნებას იღებენ, ხოლო წარუმატებლობის შემთხვევაში უბედურად გრძნობენ თავს.

იაპონურ ფირმებში გადაწყვეტილების მიღების პროცედურის ტრადიციული ფორმა არსებობს. მმართველი, რომელიც გადაწყვეტილების მიღების ინიციატორია, ადგენს სპეციალურ დოკუმენტს — „რინგისს“. მასში ყოველმხრივ აღიწერება პრობლემა და დასახულია მისი გადაწყვეტის გზები. იგი განსახილველად იმ ქვედანაყოფებში გადადის, რომელთა საქმიანობაც სულ ოდნავ მაინც თუ ეხება წამოჭრილ პრობლემას. მას შემდეგ, რაც მას ყველა დონის მმართველი გაეცნობა და მათი თანხმობა დადასტურდება, იგი მენეჯმენტის უფრო მაღალ იერარქიულ დონეს გადაეცემა. როცა კომპანიის უმაღლესი ხელმძღვანელი ამ იდეას მხარს დაუჭერს, გადაწყვეტილება შესასრულებლად სავალდებულო (დირექტიული) ხდება.

ასეთი სისტემით მმართველობითი გადაწყვეტილება კოლექტიური აზრის გამოხატულებაა და არა ზემოდან იძულებით თავსმოხვეული, რაც მისი შესრულების ხარისხს ამაღლებს. აზრთა გაცვლა კი, ახალი იდეების წარმოშობას განაპირობებს.

იაპონელები ჯგუფში გაცილებით ეფექტიანად მაშინ მუშაობენ, როცა მათ წინაშე რთული ამოცანა დგას.

უნდა ითქვას, რომ იაპონია პარადოქსების ქვეყანაა. აქ უარყოფენ პიროვნებას, თუმცა პატივს სცემენ თითოეულის მოსაზრებას.

იაპონელი დისციპლინირებულია, ჯგუფის ინტერესების სასარგებლოდ მოაზროვნეა და საერთო კეთილდღეობის მისაღწევად ექსტრაორდინალური ძალისხმევა შეუძლია. მათ საკუთარი თავის სრულყოფა უსასრულოდ სურთ. ყოველი ფირმა პირველობას ცდილობს, რადგან მათთვის პრესტიჟი ძალიან მნიშვნელოვანია.

იაპონურ ორგანიზაციაში ლიდერი ყველაზე პასუხსაგებ პოსტს იკავებს. იგი გუნდს ერთ ორგანიზმად კრავს, ახშობს შიდა კონფლიქტებს, მის ძალაუფლებას ყველა ემორჩილება.

იაპონიაში ავტორიტეტი და ძალაუფლება სტაჟზეა დამოკიდებული და არა დამსახურებაზე. ამიტომ, ხელმძღვანელი ყოველთვის კომპეტენტური პიროვნება არაა. მას ადამიანების მართვა კარგად უნდა შეეძლოს.

იაპონური მენეჯმენტის საყდენია ვიწრო სპეციალიზაციის უარყოფა, მუშაკის უნივერსალური განვითარება და ამასთან დაკავშირებული სტაბილური დასაქმება, ფირმის შიგნით კადრების როტაცია და მუშაობის პროცესში სწავლება.

ბუნებრივი რესურსების სიმცირემ აიძულა იაპონია ცოდნის ეკონომიკაზე გადასულიყო. იაპონიის კომპანიებმა შექმნეს მრავალი მაღალი ტექნოლოგია, რაც შემდეგ მსოფლიო სტანდარტები გახდა. მაგ., მათ ლაბორატორიებში პირველად გამოჩნდა მანიტოფონი (1951 წ.), მაგიდის კალკულატორი (1964 წ.), ფერადი ტელევიზიის სისტემა (1968 წ.), საყოფაცხოვრებო ვიდეოკამერა (1980 წ.), კომპიუტერის დისკეტა 3,5 (1980 წ.), მინიდისკი (1991 წ.), პორტატული აუდიოპლეერი (1992 წ.), ბრტყელეკრანიანი ტელევიზორი (1998 წ.), ციფრული ფოტო-კამერა (1997 წ.) და სხვ. [266]

ცოდნის მართვის ევროპული სტილი. ევროპელებს იაპონურ და ამერიკულ მმართველობით კულტურებს შორის შუალედური პოზიცია უკავიათ.

გერმანიისა და ფინეთის მრავალი ფირმა ორიენტირებულია სტრატეგიული შედეგების მიღწევაზე. იგი გულისხმობს: საწარმოს საქმიანობის უმნიშვნელოვანესი მიმართულებების კოლეგიალურ განსაზღვრას, მიზნის მისაღწევად ვარიანტების შერჩევას, მოცემული ამოცანის გადასაწყვეტად კონკრეტული მეთოდის თვითარჩევას..

გერმანიის კომპანიებში მოქმედებს **„ბრძენთა საბჭოს“** იგივე ექსპერტების საბჭოს პრაქტიკა, რომლის იდეა ეკუთვნის ცნობილ გერმანელ ეკონომისტსა და სახელმწიფო მოღვაწეს **ლუდვიგ ერჰარდს** (1897-1977). ყოველწლიურად, შობამდე ექვსი კვირით ადრე, ხუთი ავტორიტეტული მეცნიერ-ეკონომისტი ქვეყნის კანცლერს საზეიმო ვითარებაში გადასცემს სქელტანიან ნაშრომს „ექსპერტთა დასკვნა მიმდინარე წელს ქვეყნის მეურნეობის განვითარების შესახებ“. აღნიშ-ნულის მი-

[266] **Шишкова С.,** Сансей экономики знаний, E-ecutive [http://www.smart-edu.com]

ზანია: ეკონომიკის დადებითი და უარყოფითი ტენდენციების ობიექ-ტური ანალიზი, მეურნეობის განვითარების ალტერნატიული გზების შემუშავება და შემოთავაზებული ღონისძიებების შესაძლო სოციალუ-რი და პოლიტიკური შედეგების განსაზღვრა.

მართვის კოლეგიალური მეთოდი, პარტნიორობის პრინციპის რეა-ლიზაცია არსებითად აუმჯობესებს საწარმოში კლიმატს, ასტიმული-რებს მუშაკთა დაინტერესებას დასახული მმართველობითი და სო-ციალურ-ეკონომიკური ამოცანების მიღწევაში.

გერმანიის გამოცდილებას წარმატებით იზიარებენ ავსტრიაში, და-ნიაში, ნიდერლანდში, ლუქსემბურგსა და შვედეთში.[267]

მრავალი ეკონომისტის აზრით, ცოდნის ეკონომიკის ფლაგმანია დიდი ბრიტანეთი. თუმცა, მშპ-ში მომსახურების წილით (72%) იგი პოსტინდუსტრიული ეკონომიკის ლიდერი არ არის (აშშ-ში აღნიშნული მაჩვენებელი 80%-ია).

მიუხედავად იმისა, რომ ამერიკა ყველა სახის ინტელექტუალური პროდუქტის უმსხვილესი მსოფლიო ექსპორტიორია, მას მაინც კოლო-სალური სავაჭრო დეფიციტი და საგარეო ვალი აქვს. ამის მიზეზია მოხმარების არსებული სტრუქტურა. ბრიტანეთს კი საგარეო ვალი და სავაჭრო დეფიციტი არა აქვს და მაღალტექნოლოგიური საქონელი ქვეყნის ექსპორტის 26%-ია.[268]

ინგლისში ბუნებრივი რესურსები მეტად მცირეა, ბოლო მაღარო კი ჯერ კიდევ მარგარეტ ტეტჩერის მმართველობის დროს დაიხურა. საინტერესოა, რას ყიდის დიდი ბრიტანეთი? სერვისს, კონსალტინგს, საბანკო მომსახურებას, განათლებას, ხელოვნებას, დიზაინს. არც ერთი მათგანი არ აზიანებს ეკოლოგიას, მათი უმრავლესობა ეკონომიკურ კრიზისებზე არ არის დამოკიდებული, რადგან „სტრატეგია“ ყოველ-თვის კარგად იყიდება. მაგ., კომპანიის განვითარების სტრატეგია. მა-გრამ ეკონომიკის ასეთი ტიპი უდიდეს ცოდნას მოითხოვს და იგი გა-ცილებით ანაზღაურებადი სამუშაოა. ინგლისელები საკუთარ ინტე-ლექტუალურ პროდუქტებს ცვლიან ენერგომატარებლებსა და მატე-რიალური წარმოების პროდუქტებზე, თანაც საკუთარი ინტერესების სასარგებლო თანაფარდობით.

ცოდნის მართვის ჩინური სტილი. ბოლო ორი ათეული წელია ჩინეთის სოციალურ-ეკონომიკური წარმატებები საყოველთაო ყურად-

---

[267] **Кнорринг В. И. (2001).**Теория, практика и искусство управления. М., 346 с.

[268] **Зиненко И.** Империя знаний. [http://www.smart-edu.com]

ღებას იპყრობს. იგი უახლოეს მომავალში მსოფლიო ეკონომიკური ლიდერების ათეულში მოიაზრება.

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური წინსვლა უმეტესად იმ ტრადიციულ ფენომენშია, რომელიც მრავალი საუკუნის განმავლობაში კულტურულ-ისტორიულ და ფილოსოფიურ ტრადიციებში გაიჟღენთა და პრაქტიკულად მართვის სპეციფიკური მეთოდებისა და ინსტრუმენტების გამოყენებაში გამოვლინდა. აღნიშნული ძალზე მნიშვნელოვანია, რამეთუ ჩინურ კომპანიებთან ეკონომიკური ურთიერთობა სისტემატურად ღრმავდება და ვითარდება.[269]

მმართველობით და მსოფლმხედველობით ტრადიციებს ისინი თავს კი არ ანებებენ, პირიქით, უფრო ანვითარებენ, აღრმავებენ და თანამედროვე რეალობებს უსადაგებენ.

საოცრად საინტერესოა ჩინური მენეჯმენტი, სახელდობრ, მართვის ტრადიციები: მათი ჩამოყალიბების განმაპირობებელი ფაქტორები და საბაზო სახელმძღვანელო დოქტრინები.

დასავლეთისგან განსხვავებით, ჩინეთში არსებობს კომპლექსური ცნება „ცხოვრების მართვა“ ან „ცხოვრების გონიერი განკარგვა“. იგი ეფუძნება იმ რწმენას, რომ არა მარტო ადამიანთა კოლექტივები, არამედ ცალკეული ადამიანებიც კი, თავიანთი ცხოვრებისა და ბედის მმართველები თვითონ არიან. ამიტომ მენეჯმენტი განიხილება როგორც საზოგადოების რეალური მართვის ისეთი სისტემა, რომელიც მას სიცოცხლისუნარიანს ხდის. ამიტომ ჩინური კორპორაციული კულტურა ეროვნული კულტურის მემკვიდრეა და მისი საზოგადოებრივი და ისტორიული ფესვებიდან არის აღმოცენებული.

ჩინელებისთვის ისტორია არ არის განყენებული ცნება. იგი მათი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია, რომლის მეშვეობით დღევანდელი თაობა წინა თაობებთან არის დაკავშირებული. ამიტომ ძნელად გასაგებია ჩინელების მენტალიტეტის გაგება ქვეყნის ისტორიის გარეშე, იმ იდეებისა და მოვლენებისგან იზოლირებულად, რომლებმაც ათასწლეულების განმავლობაში ეროვნული აზროვნების თავისებურებების ფორმირება განაპირობეს.

ჯერ კიდევ უძველეს ჩინეთში ჩამოყალიბებული ძირითადი რელიგიურ-ფილოსოფიური წარმოდგენები დღესაც ძლიერ გავლენას ახდენს ჩინური საზოგადოებაზე, მოსახლეობის ყოველდღიურ ცხოვრებაზე, მათ დამოკიდებულებაზე ოჯახთან, სამუშაოსთან, ბიზნესთან

[269] **Котляров Н. П. (2008).** Архетипические алгоритмы управления «по-китайски». Ж. «МЭ и МО», №4, С. 97-107.

და, რაც პრიციპულად მნიშვნელოვანია, სახელმწიფოსთან მიმართებაში. მრავალი კლასიკური ფილოსოფიური ტექსტი და სამხედრო ხელოვნების ტრაქტატი თანამედროვე ჩინური მენეჯმენტის საფუძველია. ყოველივე ჩინური, მთავარი ფილოსოფიური სკოლების, კონფუციანელობისა და დაოსიზმის დამსახურებაა. გარკვეული გავლენა მოახდინა ბუდიზმმა, რომელიც „ცისქვეშეთში“ ინდოეთიდან შემოვიდა და თანდათან ადგილობრივი ეროვნული სპეციფიკა შეიძინა.

საზოგადოდ, დასავლეთსა და აღმოსავლეთში მენეჯმენტის ძირითადი პრინციპები და მიდგომები არსებითად განსხვავდება ერთმანეთისგან. მენეჯმენტის დასავლური სისტემა ინდივიდუალურ ორიენტაციას, მართვის რაციონალურ მეთოდებსა და საშუალებებს ანიჭებს უპირატესობას, აღმოსავლური კი, — კოლექტიურ ორიენტაციას, კონსერვატიზმს, ავტორიტეტისადმი დაქვემდებარებას.

ჩინური საზოგადოება უნივერსალურ წესრიგზეა დამყარებული. ოჯახი მათთვის „საბაზო ეკონომიკური ერთეულია“. ისინი ორიენტირებული არიან „საკუთარი ოჯახის ფარგლებში კონსენსუსის მიღწევაზე“ და თვლიან, რომ საკუთარ თავზე უნდა აიღონ საერთო კეთილდღეობაზე ზრუნვა და შექმნან „საყოველთაო კეთილდღეობის“ სახელმწიფო (პლატონის იდეალური სახელმწიფოს მოდელი). თუ სისტემა შექმნილია და მეთოდურად რეალიზდება, მაშინ პერსონალი გაწერილი წესების მიხედვით მოქმედებს, მმართველობითი ქმედებანი მკაცრი და მიუკერძოებელია, ხელმძღვანელებსა და დაქვემდებარებულებს შორის ჰარმონიული ურთიერთობებია და თითოეული მათგანი დადგენილი პრინციპების შესაბამისად მოქმედებს”.

ამგვარად, კონფუცისა და მისი მიმდევრების იდეები ცხოვრებისა და კულტურული ტრადიციებისადმი თანამედროვე ჩინური მიდგომის მსოფლმხედველობითი წყაროა, რაც აყალიბებს ხელმძღვანელის მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის ნორმებს. ხელმძღვანელს არა მარტო ძალაუფლება ეძლევა, არამედ მაღალი სოციალური პასუხისმგებლობაც ეკისრება. მიღებული ნორმებიდან გადახვევა „საკუთარი სახის“ დაკარგვას ნიშნავს, რაც ჩინეთში ყველაზე საშინელი სასჯელია.

თანამედროვე ჩინელი მეწარმეები განსაკუთრებულ აქცენტებს ცოდნაზე აკეთებენ, ზრუნავენ დავალების ხარისხიანად შესრულებაზე, პერსონალის შერჩევისას უპირატესად პროფესიულ თვისებებზე არიან ორიენტირებული და მართვის თანამედროვე პრინციპების შესაბამისად მოქმედებას ცდილობენ,

მათი საბაზო ფასეულობები, კერძოდ, უფროსებისადმი პატივისცემა, დაკისრებული მოვალეობისადმი მაღალი პასუხისმგებლობა,

დაქვემდებარებულებზე ზრუნვა და დისციპლინა, გადაწყვეტილებების მიღებისას კვლავ მნიშვნელოვან ფაქტორებად რჩება.

დღეს ჩინელი მმართველები მზად არიან მართვის დასავლური ტექ-ნოლოგიების ასიმილირება მოახდინონ, თუმცა არ უარყოფენ ტრა-დიციულ წესრიგსაც. წარმატებული ჩინელი მმართველები, ერთი მხრივ, სწრაფად ითვისებენ ინოვაციური მართვის ტექნოლოგიებს, საზღვარგარეთის მოწინავე გამოცდილებას, მეორე მხრივ, ემყარებიან კონკურენტუნარიანობის ეროვნულ უპირატესობას.

წინა ათწლეულებში ჩინეთში ჩამოყალიბდა ორგანიზაციისა და მართვის ჰიბრიდული, ჩინურ-დასავლური ფორმები. ჩინური მენეჯ-მენტის სრულყოფა და განვითარება წარიმართა თანამედროვე უცხო-ური მმართველობითი კონცეფციებისა და ტექნოლოგიების ასიმილი-რებით, თუმცა შენარჩუნდა ჩამოყალიბებული ეროვნული ტრადიციები და ურთიერთობის ნორმები.[270]

.

[270] **Chen C. C., Lee Y. T. (2008).** Leadership and Management in China. Cambridge: «Cambridge University Press».

ნაწ. III. ქალაქი – კრეატიული განვითარების მთავარი მამოძრავებელი ძალა

1. დამოუკიდებელი პოლისები (ქალაქ-სახელმწიფოები) და მათი ეკონომიკური კავშირები

ადამიანთა ხანგრძლივმა თანაცხოვრებამ შექმნა მათი დასახლების განსხვავებული ფორმები: სოფელი და ქალაქი.

სოფელი ადამიანთა თანაცხოვრების უძველესი ფორმაა, რომელიც ასრულებს სიცოცხლისათვის საარსებო საშუალებების — სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისა და პირველადი გადამუშავების ფუნქციებს.

სოფლისთვის სპეციფიკურია მოსახლეობის მსგავსი საქმიანობა, საწარმოო ჩვევები, ადათ-წესები, კულტურული და ფსიქიკური წყობა.

მოგვიანებით წარმოიშვა ქალაქი, რომელიც არსდებოდა ბუნებრივად ხელსაყრელ ადგილებში. მისი საჭიროება ხელოსნობის, ვაჭრობისა და გონებრივი შრომის აუცილებლობამ განაპირობა.

პირველი ქალაქები გაჩნდა მესოპოტამიაში 3-4 ათასი წლის წინ, შემდეგ ეგვიპტეში, ჩინეთში, ძვ.წ. I ათასწლეულში კი, — ევროპაში.

თანამედროვე ქალაქი მსხვილი დასახლებული პუნქტია, რომელიც ასრულებს სამრეწველო-საწარმოო, სატრანსპორტო, სამეურნეო, კულტურულ-პოლიტიკურ, ადმინისტრაციულ, დასვენებისა და მკურნალობის ორგანიზაციის ფუნქციებს.

ქალაქის კატეგორიას, ადგილობრივ თავისებურებებთან ერთად, განსაზღვრავს: მოსახლეობის რაოდენობა და საქმიანობა; დასახლებული პუნქტის ეკონომიკური და კულტურული მნიშვნელობა; მჭიდრო დასახლება და განაშენიანების კომპაქტურობა.

თანამედროვე მსხვილი ქალაქი გამოირჩევა მოქალაქეთა პროფესიების სიმრავლით, კვალიფიციური მუშახელის კონცენტრაციით, მეცნიერების, კულტურისა და მმართველობის სფეროში ჩაბმულ მცხოვრებთა მაღალი ხვედრითი წილით, განსხვავებული ეთნიკური ჯგუფების შერევითა და ურთიერთასიმილაციით.

დღევანდელი ქალაქი სოციალურ-ეკონომიკური, სამშენებლო-ტექნიკური, არქიტექტურულ-მხატვრული და სანიტარულ-ჰიგიენური პრობლემების რთული კომპლექსია.

ამიტომაც უძველესი დროიდან არსებობს მისი დაგეგმარებისა და განაშენიანების თეორია და პრაქტიკა, ანუ დროის მოთხოვნების შესაბამისი განვითარების დასაბუთებული სისტემა.

ქალაქის ხასიათს განაპირობებს მოსახლეობის სოციალური წყობა (ადამიანთა ცხოვრების სტილი), საწარმოო ძალთა, მეცნიერებისა და კულტურის განვითარების დონე, კლიმატური პირობები და ეროვნული თავისებურებები.

ქალაქგანაშენიანების თეორიისა და პრაქტიკის ამოცანაა ძველი შენობა-ნაგებობების რეკონსტრუქცია და ახლის მშენებლობა.

ქალაქისთვის ძირითადია მისი საზოგადოებრივი წარმოების ფუნქცია, თუმცა არსებითია ქალაქწარმომქმნელი ადმინისტრაციული, სავაჭრო, სამრეწველო, სამხედრო-სტრატეგიული, სამკურნალო-დასვენებითი (საკურორტო), საუნივერსიტეტო (სამეცნიერო) და რელიგიური ფაქტორებიც.

კაცობრიობის განვითარებაში ქალაქი ყოველთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებდა, იქნებოდა იგი კონკრეტული სახელმწიფოს შემადგენელი, თუ მმართველობის დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეული (პოლისი, — ბერძ. polis, ლათ. civitas).

თავდაპირველად, სახელმწიფოს საწყისი ფორმა ყოველთვის პოლისური იყო, რომელიც შემდეგ, ხალხებისა და ტერიტორიების დაპყრობათა გამო, იმპერიებად (სამეფოებად) ყალიბდებოდა.

კერძო საკუთრების წარმოშობამ საზოგადოება ურთიერთმოწინააღმდეგე კლასებად (მდიდრები და ღარიბები) დაყო, რითაც დაირღვა გვაროვნული წესწყობილების არსებობის საფუძვლები. საჭირო გახდა ახლებურად მოწყობილი ხელისუფლების ორგანოები და სამართლებრივი მექანიზმები. მოსახლეობა დაიყო არა სისხლის ნათესაური, არამედ ტერიტორიული ნიშნით, რითაც დადგინდა კონკრეტული ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის ამა თუ იმ სახელმწიფოსადმი მიკუთვნების ფორმა (იგულისხმება მოქალაქეობა).[271]

წარმოიშვა პოლისი (ქალაქ-სახელმწიფო), პირველი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ინსტიტუტი, რომელიც ახდენდა და დღესაც ახდენს უდიდეს ზემოქმედებას ინდივიდების, ჯგუფების, კლასებისა და მთელი საზოგადოების ცხოვრებაზე.

პოლისების, როგორც ადმინისტრაციული, რელიგიური, ვაჭრობისა და ხელოსნობის ცენტრების, არსებობა უძველესი დროიდან იწყება. მისი დაფუძნების პირველი ცდები ძვ.წ. III ათასწლეულიდან იღებს

[271] **ინწკირველი გ. (2003).** სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია.თბ.,გვ. 7.

სათავეს. ძვ.წ. II-I ათასწლეულებში ინდოეთში, ჩინეთში, წინა აზიაში ჩამოყალიბდა დიდი ქალაქები, როგორც საერთაშორისო ვაჭ-რობის, სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების ცენტ-რები. ამავე ხანებში აღმოცენდა ანტიკური ქალაქები, რომლებმაც საზოგა-დოების შემდგომ განვითარებაზე დიდი გავლენა მოახდინა.

პოლისებს ჰქონდათ საკუთარი ფული (მონეტა) (მაგ., ტალანტი ათენში) და კალენდარი, ჰყავდათ ელჩები სხვა პოლისებში. ბევრი ბერძ-ნული სახელმწიფო (პოლისი), ჩვეულებრივ, სახელმოხვეჭილ სოფის-ტებს გზავნიდა ელჩებად. მაგ., ჰიპია ლარისიდან, გორგია — ლეონტი-ნიდან, ხოლო პროდიკე — კუნძულ კეოსიდან ჩავიდა ათენში.[272]

პოლისებს ოდითგანვე აღიარებული ღმერთები ჰყავდათ (სოკრა-ტესადმი წაყენებული ერთ-ერთი ბრალდება — ქალაქის ღმერთები-სადმი ურწმუნოება).

ღმერთების თაყვანისცემისადმი მიძღვნილ დღესასწაულებში, რო-გორც სახელმწიფოებრივ ღონისძიებებში, მონაწილეობას ყოველი „მო-ქალაქე“ თავის მოვალეობად თვლიდა.

ძველბერძნულ მითოლოგიაში ათენა იყო ერთ-ერთი უმთავრესი ღვთაება, ქალაქებისა და მეცნიერების მფარველი, სიბრძნის ქალღ-მერთი, კანონების დამწესებელი და სამართლიანობის დამცველი, ყო-ველი ათენელის გულის მესაიდუმლე. ქალაქის აკროპოლისი ათენას საკუთრებად ითვლებოდა. აკროპოლისს ქალღმერთ-ათენას ტაძარი გვირგვინად ედგა.

მართალია სახელმწიფო მმართველობის პროგრესული პოლისური ფორმა სამყაროს მრავალ რეგიონში არსებობდა, ძირითადად, იგი ძვე-ლი საბერძნეთისა და იტალიისთვის იყო დამახასიათებელი.[273]

ძვ. საბერძნეთში უკვე შეიმჩნეოდა მოსახლეობის განაშენიანების გარკვეული სისტემა, ხოლო ძვ. რომში — რეგულარული დაგეგმარება (მაგ., პომპეი). დაიწერა რომაელი არქიტექტორის **მარკ ვიტრუვიუსის** შრომები.[274] ქალაქგანაშენიანება განსაკუთრებით გაუმჯობესდა რენე-სანსის ეპოქაში. განხორციელდა მნიშვნელოვანი სამშენებლო სამუშა-ოები. შეიქმნა ტრაქტატები ქალაქის შესახებ.

---

[272] **პლატონი. (1974).** იონი, დიდი ჰიპია, მენონი. თბ., „ნაკადული“, გვ. 51.

[273] მაგ.,: მესოპოტამიაში ანუ შუამდინარეთში (კიში, ურუქი, ური, ბაბილონი, ლაგაში და სხვ., ძვ.წ. XIV — ახ.წ. III სს.), ფინიკიაში (თანამედროვე ლიბანი) (სიდონი, ბერითი, ტრიპოლი და სხვ., ძვ.წ. XII—VIII სს.), მაიას ცივილიზა-ციაში (ჩიჩენ-იცა, უშმალი, კობა და სხვ., VI—IX სს.) და სხვ.

[274] ათი წიგნი ხუროთმოძვრების შესახებ (ძვ.წ. I ს.).

ქალაქ-სახელმწიფოს ანუ პოლისის გენეზისის მხრივ გამორჩეულია ძველბერძნული (ელადის) ცივილიზაცია, რადგან მის განვითარებას სწორედ აქ ჩაეყარა საფუძველი. პოლისმა, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების ორგანიზაციის უფრო პროგრესულმა ფორმამ, კაცობრიობის განვითარების სწრაფვას მძლავრი იმპულსი მისცა და ელინურმა მოდელმა მიიღო სრულიად გამოკვეთილი სახე, — ადამიანთა, მოვლენათა და საგანთა ინტერპრეტაციის თავისი მეთოდით, რომელშიც კრიტიკული, მეცნიერული საწყისი სულ უფრო აქტიურად იჭერდა ადგილს, რამაც არსებითად განსაზღვრა ევროპული აზროვნების გზა შემდგომ ათასწლეულებში.[275]

ძველბერძნული პოლისი მოიცავდა ქალაქის ტერიტორიას და მის შემოგარენს, რომელიც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით უზრუნველყოფდა პოლისის მოსახლეობას. ქალაქებს ჰქონდა მკაფიოდ გამოხატული პოლისური ორგანიზაცია, საკუთარი ეკონომიკური ბაზა (ვაჭრობა, ხელოსნური წარმოება, სოფლის მეურნეობა), კულტურული ტრადიციები, მეტროპოლიიდან გადმოტანილი კულტები, პოლიტიკური და სავაჭრო კავშირები.

პოლისის ეკონომიკური ბაზისი იყო მიწათმფლობელობის ანტიკური ფორმა, — მიწაზე როგორც სახელმწიფო (სათემო), ისე კერძო მფლობელობა. მიწის მესაკუთრე შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ პოლისის სრულუფლებიანი მოქალაქე. მათ გარდა პოლისში ცხოვრობდნენ ხელოსნები, ვაჭრები და მონები.

პოლისის სახელმწიფო აპარატი იყო სრულუფლებიანი მოქალაქეების (მამაკაცების) სახალხო კრება, ე.წ. აგორა (სათათბირო ორგანო — ბულე) და არჩევითი თანამდებობები (მაგისტრატები). მოქმედებდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო და პოლიცია.[276]

პოლისი იყო ოლიგარქიული (მაგ., სპარტა, ურბანული ცენტრის გარეშე) ან დემოკრატიული (მაგ., ათენი). არსებობდა ეკონომიკურად განსხვავებული პოლისები, მაგ., სპარტა ტიპური სამიწათმოქმედო, კორინთი — სავაჭრო-ხელოსნური.

მონათმფლობელური წყობილების ჩამოყალიბებასთან ერთად, პოლისი მონათმფლობელური სახელმწიფოს ძირითადი ფორმა გახდა. საბერძნეთში პოლისის აყვავების ხანად მიიჩნევა ძვ.წ. V საუკუნე, ხოლო დაცემისა — ძვ.წ. IV საუკუნე.

---

[275] **გორდეზიანი რ. (1988).** ბერძნული ცივილზაცია. ნაკვ. I. თბ., „მერანი“, გვ.18.

[276] **თოდუა თ. (2008).** სახელმწიფო მართვა. ისტორია, თეორია, პრაქტიკა. თბ., თსუ, გვ. 75.

ძველი ბერძნები პოლისს „მოქალაქეთა“ ერთობლიობად აღიქვამდნენ. დიდი სახელმწიფოებისგან განსხვავებით, პოლისისა და „მოქალაქეთა“ ინტერესები საერთო იყო, რის გამოც მის მოსახლეობას საზოგადოებრივი საქმე პირადზე მეტად აინტერესებდათ.

ბერძნების „კოლექტივიზმი“ პოლისის გარეგნულ სახეშიც გამოვლინდა — ხალხი სადა და პრიმიტიულ სახლებში ცხოვრობდა, მაგრამ საზოგადოებრივი დანიშნულების უბრწყინვალეს ნაგებობებს, პირველ რიგში, ტაძრებს აშენებდა. პოლისის საფუძველი კოლექტიურსა და ინდივიდუალურს შორის ბალანსის დაცვა იყო.[277]

პოლისი, თუ არ ჩავთვლით მონებს, თვით მისი აღმასვლის პერიოდშიც კი, ჩვეულებრივ, რამდენიმე ათას კაცს არ აღემატებოდა. მის ყველა წევრს ქალაქში საკუთარი სახლი ჰქონდა. მრავალმხრივი პროგრესულობის გამო, იმდროინდელი ბერძნულენოვანი სამყარო პოლისების ფართო ქსელით იყო დაფარული.

მოკლედ დავახასიათოთ ზოგიერთი მათგანი:

მილეტი — ქალაქ-სახელმწიფო მცირე აზიაში (ძვ.წ. XIV ს.) ანტიკური სამყაროს ვაჭრობის, ხელოსნობისა და კულტურის ცენტრი, შავიზღვისპირეთში კოლონიური ახალშენებით (აპოლონია, ტირასი და სხვა, მათ შორის კოლხეთში: ფასისი, დიოსკურია).

ძვ.წ. VI საუკუნეში აღმოცენდა მილეტის ნატურფილოსოფოსთა სკოლა (წარმომადგენლები: **თალესი, ანაქსიმენე, ანაქსიმანდრე**), სადაც პირველად შეიქმნა თეორია სამყაროს გეოცენტრული სისტემისა და მსოფლიოს მარადიულობის შესახებ (**ანაქსიმანდრე**), მოძღვრება სამყაროს განვითარების ისტორიული პროცესების შესახებ (**ჰერაკლიტე ეფესელი**) და ფიზიკურ-გეოგრაფიული კონცეფციები. აქ მოღვაწეობდნენ დიდი მოაზროვნეები: ანტიკური მედიცინის რეფორმატორი **ჰიპოკრატე**, ლოგოგრაფები[278] **ჰეკატეოსი, კადმე** და **დიონისე**.

როდოსი — ქალაქ-სახელმწიფო კუნძულ როდოსზე ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში, ეგეოსის კულტურის ერთ-ერთი ცენტრი (ძვ.წ. VIII ს.), სადაც ფუნქციონირებდა მოხატვისა და ქანდაკების სკოლები, იდგა მსოფლიოს ერთ-ერთი საოცრება — ჰელიოსის ქანდაკება, ე.წ. „როდოსის კოლოსი“.

კორინთი — ათენის მეტოქე პელოპონესის ნახევარკუნძულზე (ძვ.წ. X ს.), რომლის კოლონიები იყო სირაკუზა, კერკირა და სხვ.

---

[277] კულტუროლოგია. (2003). ნაწ. II. რედ. პროფ. გ. ლორთქიფანიძე. თბ., თსუ, გვ. 46,58.
[278] თქმულებებისა და ეთნოგრაფიულ-გეოგრაფიული ცნობების შემკრებნი.

ათენი — უდიდესი საზღვაო ქალაქ-სახელმწიფო ძველ საბერძნეთში (ძვ.წ. XIV-V სს.), ელინისტური კულტურის აღიარებული ცენტრი, ძვ. ელადის ბურჯი, საკუთარი მუდმივი არმიით, გამსვლელი სასამართლოებით, აყვავებული ვაჭრობითა და ხელოსნობით. მას სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა ჰქონდა კოლხეთთან. აქ შრომობდნენ კოლხი ხელოსნებიც (აღმოჩენილია ძვ.წ. VI საუკუნის თიხის ჭურჭლები წარწერით: „კოლხმა მომხატა“).

პირველად ათენში შეიქმნა თეატრი, ჩაიწერა დიდი **ჰომეროსის** „ილიადა“ და „ოდისეა“ (ევროპის პირველი ლიტერატურული ნაწარმოები). პოლისის მმართველობის უმაღლესი ორგანო იყო, თავდაპირველად სტრატეგოსთა კოლეგია, მოგვიანებით, — მოქალაქეთა საერთო კრება. ათენი მეთაურობდა ელინთა ერთიან ფლოტს.

ათენში მოღვაწეობდნენ გამოჩენილი ბერძენი მოქანდაკეები და ხუროთმოძღვრები **ფიდია** და **კალიკრატე**, ისტორიკოსი **ჰეროდოტე**, ფილოსოფოსები **ანაქსაგორა** და **სოკრატე**[279], ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ბერძენი ფილოსოფოსი, სოკრატეს მოწაფე და არისტოტელეს მასწავლებელი, ათენის აკადემიის ფუძემდებელი **პლატონი**, ფილოსოფოსი და მეცნიერ-ენციკლოპედისტი **არისტოტელე,** ტრაგიკოსები: **სოფოკლე, ევრიპიდე** და **ესქილე**, კომედიოგრაფი **არისტოფანე,** კანონმდებელი **სოლონი**, რომელმაც ძალაუფლებას სამართალი მიუსადაგა (ე.წ. „სოლონის კანონები“) და სხვ.

სოლონის მმართველობის პერიოდში (ძვ.წ. VII-VI სს.) ათენელები უხეშ, ბილწ საგნებს კეთილშობილებით და სათუთი სახელებით მოსავდნენ. მაგ., ხარკს ანაბარს უწოდებდნენ, ქალაქში ჩაყენებულ ჯარს — ქალაქის დამცველთა რაზმს და ა.შ.[280]

სოლონის კანონით არქონტს (ქალაქის მეთაური) წილისყრით ირჩევდნენ. მაგრამ, ამის შემდეგ, მის მორალურ მხარეს უხუცესთა საბჭოში და სახალხო კრებაზე ორგზის ამოწმებდნენ.[281]

ათენის დიდების ხანაში (ძვ.წ. V-IV სს.) მისი ფულის ერთეული „დრაქმა“ „საერთაშორისო ვალუტის“ ფუნქციას ასრულებდა. მასზე ქალღმერთ ათენას წმინდა ფრინველი — ბუ იყო გამოსახული.[282]

---

[279] შდრ.: — **ციცერონი**: „სოკრატემ პირველმა ჩამოიყვანა ფილოსოფია ზეციდან; იგი მან ქალაქებში დაამკვიდრა, სახლებშიც შეიყვანა და აიძულა ეკვლია ცხოვრების, ზნეობის, სიკეთისა და ბოროტების საკითხები“.

[280] **პლუტარქე. (1975).** რჩეული ბიოგრაფიები. თბ., „საბჭ. საქართველო“, გვ.152.

[281] **ქსენოფონტი. (1973).** მოგონებები სოკრატეზე. სოკრატეს აპოლოგია. თბ., თსუ, გვ. 165.

[282] **მაისურაძე დ.** და სხვ. **(2009)** ტურიზმი ძველი დროიდან დღემდე. თბ., გვ. 83.

ათენში მოქმედებდა ახალგაზრდის გონებრივი და ზნეობრივ-ესთეტიკური აღზრდის სისტემა.

ბერძნებს პოლისი იდეალურ სტრუქტურად მიაჩნდათ. ამიტომ მათ დიდ ფილოსოფოსთა პოლიტიკურ ნააზრევში მხოლოდ პოლისის დახვეწისა და მართვის ოპტიმალური ფორმების დადგენის სურვილი ჩანს.[283] კერძოდ, ბრძენი **პლატონი** „ტიმეოსში“ მიიჩნევდა, რომ იდეალურს ექვემდებარება ყოველი შექმნილი სამყარო, სახელმწიფო, ხოლო დიალოგში „კრიტეა“, ათენის პოლისის ძველი ყოფა, თუმცა იდეალიზებულია, მაგრამ მაინც არსებითად განხილულია არა მარტო შინაცხოვრებისეული მოვლენები, არამედ საგარეო ურთიერთობები.[284]

პლატონმა მთელი თავისი ძალები ელინიზმისა და ქალაქ-სახელმწიფოს დაცვას მოახმარა. მისი შემოქმედებითი ძალების გაფურჩქვნის ხანაში შეიქმნა „სახელმწიფო“ და დიალოგი „კანონები“. სწორედ ქალაქ-სახელმწიფოს ბაზაზე ფიქრობდა პლატონი იდეალური სახელმწიფოს მოდელის დამკვიდრებას, რაც მოიცავს ოთხი სახის სიქველეს:

1. **სიბრძნე,** რომელსაც მმართველი კლასი განახორციელებს;
2. **სიმამაცე,** რომელსაც მეომრები განასახიერებს;
3. **თავშეკავება** ანუ თვითკონტროლი (მოქალაქეთა ერთსულოვნება და მმართველთა რჩევა-დარიგებებისადმი მორჩილება);
4. **სამართლიანობა,** რომლითაც ყოველი კლასი უდრტვინველად აღიარებდა მისთვის განწესებულ მოვალეობას და არ ცდილობდა სხვა კლასის მდგომარეობისა და ფუნქციების უზურპაციას.[285]

არსიტოტელემ „პოლიტიკაში“ შეისწავლა პოლისური სამეურნეო-პოლიტიკური წყობილება და მასზე აგებული პოლისური მსოფლმხედველობა.[286]

რატომ იყო პოლისური წყობილების ფორმა პროგრესული და რატომ დავუთმეთ ამ საკითხის განხილვას ამდენი ყურადღება?

იმიტომ, რომ პოლისმა შეცვალა საზოგადოების სოციალურ-ადმინისტრაციული ხასიათი. პოლისის მოქალაქის მსოფლმხედველობა მისი წინამორბედისგან განსხვავებული გახდა, მის აზროვნებაში ძირეული ცვლილებები მოხდა, — „მოქალაქემ“ დაიწყო საქალაქო იდეალებისადმი ყურადღების მიქცევა, ჩაერთო ქალაქის მართვა-გამგებლობაში, გაიზარდა უფლებები, მფლობელობაში დაისაკუთრა მიწა და სხვ.

---

[283] **კულტუროლოგია.** ნაწ. II. რედ. პროფ. გ. ლორთქიფანიძე. თბ., თსუ, 2003, გვ.58.

[284] **ჭელიძე მ. (1982).** ფილოსოფიის ისტორიის მეცნიერების სათავეებთან. თბ., თსუ, გვ. 31.

[285] **გათრი უ. (1983).** ბერძენი ფილოსოფოსები. თბ., „საბჭ. საქართველო“. გვ.125.

ალექსანდრე მაკედონელი აღმოჩნდა ის კაცი, ვინც სამარადჟამოდ აღგავა პირისაგან მიწისა კომპაქტური ერთეული, ყოველ ადამიანს აქტიური მოღვაწეობის საშუალებას რომ აძლევდა და, მის ნაცვლად, უზარმაზარი, მთელი მსოფლიოს მომცველი სამეფოს იდეა შემოიტანა. ათენის ან კორინთოს მოქალაქეობა ბევრს აღარაფერს ნიშნავდა, რადგან ქალაქების ავტონომია სამუდამოდ მოისპო. აქედან რომ გადავხედავთ, მათ თითქოს, ალექსანდრემდეც დაკარგული ჰქონდათ თავიანთი რეალობა, მაგრამ „პოლიტიკის“ კითხვისას ნათლად ჩანს რამდენად განსაზღვრავდა ქალაქ-სახელმწიფო არისტოტელეს აზროვნების სტრუქტურას. მის შემდეგ ასეთი აზროვნება შეუძლებელი გახდა. შეუვალი ძალაუფლების წინაშე ადამიანის უმწეობამ სხვა ტიპის ფილოსოფოსები წარმოშვა. გაძლიერდა ინდივიდუალიზმი, ფილოსო-ფიამ ინტელექტუალური იდეალის როლი დაკარგა და უძლურთა და უსასოთა თავშესაფრად იქცა. გაქრა თავისუფალი და თამამი კვლევის ძველ-ბერძნულ-პოლისური სულისკვეთება და არისტოტელესეული აზროვნების წყობაც შეტრიალდა, — ინტელექტუალური კმაყოფილება მეორეხარისხოვან საქმედ იქცა.[287]

სპეციფიკურია ძველი რომისა და შუასაუკუნეების იტალიური ქალაქ-სახელმწიფოების პოლიტიკურ-ეკონომიკური სტრუქტურა და საქმიანობის ორიენტაცია.

ძველი რომი დაარსდა ძვ.წ. VIII საუკუნეში, რომელიც ძვ.წ III საუკუნიდან მძლავრი სახელმწიფო გახდა.

ძვ. რომში პოლისის განვითარების პერიოდად ითვლება ძვ.წ. V—III საუკუნეები, ხოლო კრიზისისა, — ძვ.წ. III—I საუკუნეები.

ძვ. რომის ისტორია სამ ძირითად იყოფა: 1. მეფეთა პერიოდი (ძვ.წ. VIII—ძვ.წ. VI სს.); 2. რესპუბლიკის ხანა (ძვ.წ. VI—ახ.წ. I სს.); 3. იმპერიის ეპოქა (ახ.წ. I —V სს.).

მეფეთა პერიოდში მიწებზე კერძო და „სახალხო (საზოგადოებრივი)“ საკუთრება დაკანონდა, რამაც ქონებრივი ცენზის მიხედვით საზოგადოების პრივილეგიურ (პატრიციები) და უუფლებო (პლებეები) კლასებს შორის განსხვავება მოსპო.

რესპუბლიკის ხანაში რომში მმართველობის ახალი სისტემა ჩამოყალიბდა. საკანონმდებლო ორგანოდ ჯერ კომიციები შეიქმნა, შემდეგ ორი სახის მაგისტრატურა: ორდინალური, ანუ ჩვეულებრივი, მუდმივმოქმედი და ექსტრაორდინარული, ანუ საგანგებო, არაჩვეულებრივი.

---

[286] **გათრი უ. (1983).** დასახელებული ნაშრომი. გვ. 87.

[287] იქვე, გვ.170.

მაგისტრატურისთვის დამახასიათებელი იყო მოხელეთა არჩევითობა, ვადიანობა და უხელფასობა. ამ პერიოდში პლებეების უფლებები მნიშვნელოვნად გაფართოვდა, — მიეცათ ქორწინების უფლება, საკუთრების დაცვის უფლება, აპელაციის უფლება და სხვ.

სხვა ხალხთა ტომებისა და ტერიტორიების დაპყრობის შედეგად, ძვ.წ. II საუკუნიდან რომი მაშინდელი მსოფლიოს უდიდეს სახელმწიფოდ გადაიქცა, რომელიც ხმელთაშუა ზღვის მთელ აუზს აკონტროლებდა. განვითარდა მევახშეობა და მონათვაჭრობა.

რომაელებმა გაავრცელეს (მათ შორის იბერიასა და კოლხეთში) ახალი სამშენებლო მასალა — აგური, კერამიკული ფილები, სამშენებლო ტექნიკა, საფორტიფიკაციო ნაგებობები.[288]

მიუხედავად ამისა, რომის სახელმწიფო წესწყობილება კვლავ პოლისური რჩებოდა. მისი ეკონომიკური საფუძველი ანტიკური ფორმა იყო: მიწის მესაკუთრე შეიძლება მხოლოდ სრულუფლებიანი მოქალაქე ყოფილიყო. დაპყრობილი მოსახლეობა მოქალაქეობას არ იღებდა.

იმპერიის ეპოქაში უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოდ სენატი ითვლებოდა, მაგრამ არსებითად ის მონარქია იყო. I საუკუნიდან დაიწ-ყო სახელმწიფო ცენტრის დაკნინება და პროვინციების ეკონომიკური აღმავლობა, რაც გამოიხატებოდა ვაჭრობის მნიშვნელოვან გაფართოებაში, შორეულ ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკურ კავშირში (ბალტიისპირეთი, სუდანი, არაბეთი, ინდოეთი და სხვ.). ამის გამო, ალექსანდრია, ანტიოქია, პალმირა და სხვა ქალაქები, მსოფლიო ვაჭრობის მნიშვნელოვან ცენტრებად იქცა.

მოგვიანებით, რომის ერთმმართველობა თანდათან შესუსტდა, რის გამოც 395 წელს ორ ნაწილად გაიყო: დასავლეთ და აღმოსავლეთ რომის იმპერიებად. ამ უკანასკნელმა (ბიზანტიამ) განვითარების საკუთარი გზა აირჩია და ათას წელზე მეტი იარსება, ხოლო დასავლეთ რომის იმპერიაში სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისი კიდევ უფრო გამწვავდა და 476 წელს არსებობა შეწყვიტა.

ძვ. რომმა კაცობრიობას უდიდესი მემკვიდრეობა დაუტოვა, რომლის მნიშვნელობის შეფასება საკმაოდ ძნელია. ცივილიზებული ცხოვრების ნორმების შემქმნელმა რომმა მსოფლიოს დიდი ნაწილის (ბრიტანეთის კუნძულებიდან ეგვიპტემდე) კულტურული იერსახე გაბედულად შეცვალა. გარდა ამისა, მისმა კულტურამ კაცობრიობას მრავალი ბრწყინვალე ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლი არგუნა, რომელთა ხილვა დღესაც საყოველთაო აღტაცებასა და მოწიწებას იწვევს.

---

[288] **თოდუა თ. (2003).** რომაული სამყარო და კოლხეთი. თბ., „თსუ“, გვ. 16.

რომის სახელმწიფომ, როგორც ერთადერთმა, იკისრა დიდებული მისია დამშვიდობებოდა ათასწლოვან წარმართულ სამყაროს და ის პრინციპები ჩამოაყალიბა, რომლებმაც ახალი დროის ქრისტიანული ხელოვნების საფუძვლები შექმნა.

ძველრომაული კულტურა ესაა ერთგვარი სინთეზი ძველი იტალიის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ტომისა—ეტრუსკებისა და თვით რომაელებისა. ნოყიერმა ნიადაგმა, მრავალფეროვანმა საბადოებმა, განვითარებულმა საგარეო ვაჭრობამ და ზღაოსნობამ, მათ მდიდარი მატერიალური კულტურა შეაქმნევინა. ისინი აშენებდნენ სწორად დაგეგმილ ქალაქებს ჰიდროტექნიკური მოწყობილობებით, არქიტექტურაში იყენებდნენ თაღებს და ა.შ.

ახ.წ.I—II საუკუნეებში მთელი მოსახლეობა ე.წ. ლათინურ ენაზე საუბრობდა, რომელიც შემდეგ იტალიური ენის საფუძველი გახდა.

ძვ. რომაელებმა მნიშვნელოვნად დახვეწეს საბრძოლო ხელოვნება და სახელმწიფოებრივი მართვის საქმეში ფასდაუდებელი წვლილი შეიტანეს. განავითარეს სამართალწარმოება. ძვ.წ. V საუკუნეში რომში შეიქმნა XII ტაბულის კანონები — რომაული სამართლის საფუძველი.[289]

ძვ. რომმა სამყაროს დაუტოვა დახვეწილი კულტურული გარემო: ქალაქების ბრწყინვალე დაგეგმარება, ჩინებული ხიდები, აკვედუკები, საქალაქო გზები, სასახლეები, ბიბლიოთეკები, არქივები და აუცილებელი ატრიბუტები ცივილური საზოგადოებისთვის.

რომში თავმოყრილია მსოფლიო მნიშვნელობის მრავალი უნიკალური ისტორიული ძეგლი და ხელოვნების ნიმუში. მისი არქიტექტურა თითქმის სამ ათასწლეულს ითვლის. ქალაქი სავსეა სწორუპოვარი ტაძრებით, ეკლესია-მონასტრებით, სასახლეებით, გრანდიოზული მოედნებით, შადრევნებით, ქანდაკებებით, რაც მას განუმეორებელ სილამაზესა და ხიბლს ანიჭებს.

გენუას, როგორც ქალაქ-კომუნას, XI საუკუნეში გაცხოველებული ვაჭრობა ჰქონდა სამხრეთ იტალიასთან, სიცილიასთან, აფრიკასთან. ჯვაროსნულ ლაშქრობებში მონაწილეობამ იგი უძლიერეს სამხედრო-საზღვაო სახელმწიფოდ აქცია.

XVI საუკუნეში ატლანტის ოკეანეში სავაჭრო გზების გადანაცვლებამ საგრძნობლად დააქვეითა მისი სავაჭრო მნიშვნელობა. XVIII საუკუნეში მის ტერიტორიაზე შეიქმნა ლიგურიის რესპუბლიკა და ქალაქ-პოლისმა გენუამ არსებობა შეწყვიტა.

---

[289] შდრ.: — **პოლ ვალერი**: „რომმა სამჯერ დაიპყრო მსოფლიო: ჯერ იარაღით, შემდეგ სამართლით, ბოლოს — რწმენით“.

ფლორენცია XII საუკუნეში დამოუკიდებელი კომუნა იყო. XIV საუკუნეში პირველად ფლორენციაში ჩაისახა კაპიტალისტური ურთიერთობები. XVI საუკუნეში იგი რენესანსის ცენტრად ჩამოყალიბდა. აქ ცხოვრობდნენ აღორძინების ხანის გამოჩენილი მოღვაწეები: დანტე ალიგიერი, ბოკაჩო, დონატელო, ლეონარდო და ვინჩი, მიქელანჯელო, მაკიაველი... XVI საუკუნეში, ამერიკის აღმოჩენისა და სავაჭრო გზების გადანაცვლების გამო, ფლორენციამ დაკარგა დამოუკიდებლობა, იგი ჯერ საჰერცოგო გახდა, შემდეგ ეტრურიის დედაქალაქი, მოგვიანებით, სარდინიის სამეფოს შემადგენელი, ბოლოს კი, იტალიის მნიშვნელოვანი კულტურულ-ეკონომიკური ცენტრი.

დღევანდელი ფლორენცია მნიშვნელოვანი ქალაქ-მუზეუმია.

ვენეცია, როგორც ქალაქი, IX საუკუნეში აღმოცენდა. მოგვიანებით კი, დასავლეთ ევროპასა და აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის საშუამავლო ვაჭრობის ცენტრად გადაიქცა. განავითარა ხელოსნობა, გემთმშენებლობა, ხოლო X საუკუნიდან დამოუკიდებელი რესპუბლიკა გახდა. ძლიერი ფლოტის წყალობით, ვენეციამ XI—XII საუკუნეებში ადრიატიკის ზღვაზე ჰეგემონია მოიპოვა.

ქალაქ-სახელმწიფო ვენეციის უმაღლესი ორგანოები იყო: დიდი საბჭო (განაგებდა სახელმწიფოს ყველა საქმეს), მცირე საბჭო, ანუ სენიორია (რესპუბლიკის მთავრობა), სენატი (ხელმძღვანელობდა კოლონიების საქმეებს და საგარეო პოლიტიკას) და ორმოცთა საბჭო (უმაღლესი სასამართლო ორგანო).

XVI საუკუნეში ვენეციამ ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილიდან განდევნა გენუა და ხელში ჩაიგდო დასავლეთ ევროპის აღმოსავლეთ ქვეყნებთან ვაჭრობის მნიშვნელოვანი ნაწილი. XIV-XVI საუკუნეებში დიდად გააფართოვა თავისი სამფლობელოები კონტინენტზე: შეიერთა პადუა, ვერონა, რავენა და სხვ. XV საუკუნეში ოსმალების მიერ კონსტანტინოპოლის აღებამ და დიდმა გეოგრაფიულმა აღმოჩენებმა ვენეციის ეკონომიკურ-პოლიტიკურ ძლიერებას დიდი ზიანი მიაყენა და მისი დამოუკიდებელი ფუნქციონირება თანდათან შეწყდა.

აღსანიშნავია შუასაუკუნების იტალიური ქალაქ-პოლისების ერთი მნიშვნელოვანი დამსახურება, — მათ პირველებმა დააფუძნეს ადამიანთა პირადი თავისუფლება, რამაც განვითარება ჰპოვა სამრეწველო რევოლუციაში და შრომის დანაწილებაში ახალი ეტაპი შექმნა, რადგან თავისუფლება მიანიჭა ადამიანებთა ინდივიდუალური უნარებისა და ტალანტის პრაქტიკულ გამოყენებას.[290]

---

[290] **Белбин Р. (2003).** Типы ролей в командах менеджеров. Пер. с. англ. HIPPO.

შუასაუკუნეების გერმანიაში გავრცელებული იყო საიმპერიო (მაგ., აახენი, დორტმუნდი, ჰამბურგი) და თავისუფალი ქალაქები (მაგ., კელნი, სტრასბურგი, ბაზელი, ფრანკფურტი, ბრემენი).

საიმპერიო ქალაქები გადასახადს უხდიდნენ არა ადგილობრივ ფეოდალებს, არამედ იმპერატორს და სამხედრო კამპანიაში მეომრებითაც ეხმარებოდნენ. მათთან შედარებით თავისუფალ ქალაქებს უფრო მეტი უფლებები და პრივილეგიები ჰქონდა. მათ ევალებოდათ მხოლოდ იმპერატორის მხარდაჭერა ჯვაროსნული ლაშქრობებისას და საკუთარი დაცვის ორგანიზაცია.

1800 წლისთვის „გერმანელი ერის საღვთო რომის იმპერია“ 50-ზე მეტ თავისუფალ და საიმპერიო ქალაქს აერთიანებდა.

თავისუფალი ქალაქის სტატუსი გერმანიაში დღესაც შენაჩუნებულია. ასეთი ქალაქებია: ბერლინი, ჰამბურგი და ბრემენი.

ბერლინი ყველაზე მსხვილი და დასახლებული ქალაქია გერმანიაში ფედერალური მხარის (მიწის) სამართლებრივი სტატუსით. იგი დაარსდა 1244 წელს.

ბერლინის საკანონმდებლო ორგანოა დეპუტატების პალატა (ირჩევს მოსახლეობა), აღმასრულებელი ორგანო (მთავრობა) — სენა-ტი ბურგომისტრის მეთაურობით. კონსტიტუციურ ზედამხედველობას ახორციელებს მართლმსაჯულების სასამართლო. კამერული სასამართლო უმაღლესი სასამართლო ინსტანციაა.

ბერლინი უმსხვილესი ეკონომიკური და ფინანსური ცენტრია. განვითარებული აქვს რადიოელექტრონული მრეწველობა, მანქანათმშენებლობა, სატრანსპორტო მშენებლობა და ვაჭრობა.

იგი ერთ-ერთი მოწინავე საგანმანათლებლო ცენტრია. აქ ფუნქციონირებს განათლების სფეროში ცნობილი უნივერსიტეტები: თავისუფალი უნივერსიტეტი, ჰუმბოლდტის სახელობის უნივერსიტეტი, ტექნიკური უნივერსიტეტი, ხელოვნების უნივერსიტეტი.

ჰამბურგი დაარსდა 811 წელს, როგორც ციხესიმაგრე. XII-XIII საუკუნეებში მოიპოვა თვითმმართველობა, იყო ჰანზას ერთ-ერთი გავლენიანი წევრი. XVI საუკუნეში მიიღო საიმპერიო ქალაქის უფლება.

ჰამბურგი დამოუკიდებელი ქალაქ-სახელმწიფოა დღევანდელ გერმანიაში ფედერალური მხარის (მიწის) სტატუსით. მას აქვს საკუთარი კონსტიტუცია, ჰიმნი, დროშა, გერბი და საფირმო ნიშანი — ლოგო, რომელზე გამოსახულია ქალაქის ღია ჭიშკარი (მსოფლიოსთვის ღიაობის სიმბოლო) და ტალღები (საზღვაო ტრადიციებისა და დინამიური განვითარების სიმბოლო).

ჰამბურგის საკანონმდებლო ორგანოა ბიურგერშაფტი (ირჩევს მოსახლეობა), ხოლო აღმასრულებელი — სენატი. ქალაქს ხელმძღვანელობს ბურგომისტრი. სასამართლო ხელისუფლებას ახორციელებს ჰამბურგის კონსტიტუციური და ადმინისტრაციული სასამართლოები.

ბრემენი როგორც თავისუფალი ქალაქი, ყველაზე პატარა ფედერალური მიწაა გერმანიაში. მსგავსად ჰამბურგისა, ბრემენის წარმომადგენლობითი ორგანოა ბიურგერშაფტი (ირჩევს მოსახლეობა), ხოლო აღმასრულებელი — სენატი. ქალაქის ხელმძღვანელია ბურგომისტრი. სასამართლო ხელისუფლებას ახორციელებენ ქალაქის უმაღლესი და ადმინისტრაციული სასამართლოები.

ქალაქ-პოლისებს საკუთარი ეკონომიკურ-პოლიტიკური კავშირებიც ჰქონდათ, კერძოდ:

დელოსის კავშირი (იგივე ათენის კავშირი) — ათენის პირველი საზღვაო კავშირი, ძველი ბერძნული ზღვისპირა ქალაქ-სახელმწიფოებისა და ეგეოსის ზღვის კუნძულების კავშირი (ძვ.წ. V საუკუნე), ბერძნული პოლისების გაერთიანება ათენის ჰეგემონიით, ფორმალუ-რად დამოუკიდებელი და თანასწორუფლებიანი პოლისების კავშირი. თავისი აყვავების პერიოდში დელოსის კავშირში 200-მდე ქალაქი იყო გაერთიანებული. საერთო კრება იმართებოდა კუნძულ დელოსზე, აპოლონის ტაძარში. აქვე ინახებოდა კავშირის ხაზინაც.

ლომბარიის ლიგა — ჩრდილოეთ იტალიის 16 ქალაქის კავშირი (XII ს.), რომელიც „გერმანელი ერის საღვთო რომის იმპერიის“ საწინააღმდეგოდ შეიქმნა. ლიგაში შედიოდა მილანი, ფერერა, ბოლონია, პადუა, ვენეცია, ვერონა, პარმა და სხვა ქალაქები.

ჰანზა (გერმ. Hansa — კავშირი, ამხანაგობა), ჩრდილოეთ გერმანიის ქალაქების სავაჭრო კავშირი XIV-XVI საუკუნეებში. თავისი აყვავების ხანაში (XVI ს. II ნახევარი) იგი აერთიანებდა ჩრდილოეთ გერმანეისა და საზღვარგარეთის 100-ზე მეტ ქალაქს, მათ შორის, ბალტიისპირეთის ქალაქებს. ჰანზა გაბატონებული იყო ჩრდილოეთისა და ბალტიის ზღვაზე, მონოპოლიურ საშუამავლო ვაჭრობას აწარმოებდა ჩრდილოეთის, დასავლეთის, აღმოსავლეთისა და ნაწილობრივ ცენტრალური ევროპისა და ხმელთაშუა ზღვის რეგიონის ქვეყნებთან. დიდმა გეოგრაფიულმა აღმოჩენებმა არსებითი ცვლილებები გამოიწვია ვაჭრობის მსოფლიო სტრუქტურაში და ჰანზამ ჯერ ეკონომიკური, შემდეგ კი პოლიტიკური მნიშვნელობა საბოლოოდ დაკარგა.

ფეოდალურ საქართველოში საქალაქო წყობის საკითხების განხილვისას ქართველი ისტორიკოსი, პროფესორი **შ. მესხია** მიიჩნევს, რომ „XI საუკუნის შუა წლებში თბილისში „ქალაქის ბატონის“ მფლობე-

ლობის გვერდით და მისგან დამოუკიდებლად ჩამოყალიბებული „ქალაქის ბერთა“ ხელისუფლება, „ქალაქის უხუცესთა კრებული“, რომელიც უმთავრესად საქალაქო საქმეების გადაწყვეტას დამოუკი-დებლად აწარმოებდა, საქალაქო თვითმმართველობის ორგანო იყო. ამ მხრივ თბილისმა, როგორც ჩანს, მნიშვნელოვნად გაუსწრო დასავლეთ ევროპის ბევრ ქალაქს (ლონდონში 1193 წლიდან იწყება საქალაქო საბჭოს ჩამოყალიბება)“.[291]

ქალაქ-სახელმწიფოები დღესაც არსებობს. ისინი ორ კატეგორიად იყოფა: დამოუკიდებელი და ნაწილობრივ ავტონომიური.

დამოუკიდებელი ქალაქ-სახელმწიფოებია: სინგაპური, მონაკო და ვატიკანი.

სინგაპური სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაშია. იგი პარლამენტური რესპუბლიკაა. მოსახლეობა 5 მილიონი კაცი, ფართობი 718 კმ^2.

პირველი დასახლებები ამ ტერიტორიაზე III საუკუნეში გაჩნდა. ადრეულ პერიოდებში იგი სხვადასხვა იმპერიის შემადგენელი ნაწილი იყო, 1965 წლიდან კი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.

ადრე ღარიბი სინგაპური დღეს მაღალგანვითარებული ქვეყანაა (ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით მშპ 50 ათას დოლარზე მეტია. მოწინავე პოზიციები უკავია ადამიანის განვითარების, ეკონომიკური თავისუფლებისა და სხვა მსოფლიო რეიტინგებში). იგი მნიშვნელოვანი საფინანსო-სავაჭრო ცენტრია, თავისუფალი ეკონომიკური ზონაა.

სინგაპური გაეროს, დიდი ბრიტანეთის თანამეგობრობისა და ეკონომიკური გაერთიანება ასეანის წევრია.

სინგაპური ელექტრონული და ელექტროტექნიკური პროდუქციის ერთ-ერთი მსხვილი მსოფლიო ექსპორტიორია.

მონაკო (მონაკოს სამთავრო) ჯუჯა სახელმწიფოა სამხრეთ ევროპაში, ასოცირებული საფრანგეთთან, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე, მოსახლეობა 37 ათას კაცზე მეტი, ფართობი 2 კმ^2.

მონაკო შედგება ერთმანეთთან შერწყმული სამი ქალაქისგან (დედაქალაქი მონაკო, მონტე-კარლო და ლა-კონდამინი). იგი კონსტიტუციური მონარქიაა. საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის ეროვნულ საბჭოს (პარლამენტს) და სახელმწიფოს მეთაურს — მთავარს. მთავრის სახელით აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს მთავრობის საბჭო. სასამართლო ხელისუფლებას მეთაურობს მთავარი.

---

[291] **მესხია შ. (1982).** საისტორიო ძიებანი. ტ.I, თბ., „მეცნიერება“, გვ. 234. (პროფ. შ. მესხიას ეკუთვნის მრავალი მეცნიერული კვლევა ფეოდალურ საქართველოში ქალაქის ისტორიულ-კულტურული და ეკონომიკური განვითარების შესახებ. ავტორის შენიშვნა).

მოქმედებს უმაღლესი, სარევიზიო და ქვედა ინსტანციის სასამართლოები.

მონაკოს ისტორია 1215 წლიდან იწყება. სხვადასხვა დროს იგი იყო გენუას რესპუბლიკის, ესპანეთის, საფრანგეთისა და სარდინიას სამეფოთა შემადგენლობაში.

მონაკოს ძირძველი მოსახლეობა — მონეგასკები (მთელი მოსახლეობის 21%), გადასახადებისგან გათავისუფლებულია. მისი ეკონომიკა, ძირითადად, ტურიზმის, სათამაშო ბიზნესისა და საბანკო სისტემის ხარჯზე ვითარდება. ევროა მისი ეროვნული ვალუტა.

მონაკო გაეროს, ევროსაბჭოსა და იუნესკოს წევრია.

ვატიკანი ქალაქ-სახელმწიფო, ჯუჯა ანკლავი-სახელმწიფოა რომში, ასოცირებული იტალიასთან, კათოლიკური ეკლესიის სულიერი ხელმძღვანელის რეზიდენცია, მმართველობის ფორმა — აბსოლუტური თეოკრატიული მონარქია, მოსახლეობა 1000-მდე კაცი, ფართობი 0,44 კმ^2.

უმაღლესი საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება ეკუთვნის რომის პაპს — კათოლიკური ეკლესიის მეთაურს.

ვატიკანი ახორციელებს არაკომერციულ გეგმურ ეკონომიკას. შემოსავლის ძირითადი წყაროებია მსოფლიოს ყველა კათოლიკეს შემოწირულობები და რელიგიურ-კულტურული ტურიზმი.

ნაწილობრივ ავტონომიური ქალაქ-სახელმწიფოებია: გიბრალტარი, ჰონკონგი, მაკაო, მელილა და სეუტა.

გიბრალტარი დიდი ბრიტანეთის ზღვისიმიერი სამფლობელოა (სადაო ტერიტორია ესპანეთთან) პირენეს ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაწილში. იგი ესპანეთიდან გამოყოფილია ნეიტრალური ზონით. ქვეყნის მოსახლეობა 30 ათასი კაცია, ხოლო ფართობი — 6,5 კმ^2.

დ. ბრიტანეთის წევრობის მეშვეობით გიბრალტარი ევროკავშირის წევრია. მისი მოქალაქეები დ. ბრიტანეთისა და ევროკავშირის მოქალაქეებია. მმართველობის ფორმაა კონსტიტუციური მონარქია. მონარქის სახელით აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს გუბერნატორი, რომელიც ნიშნავს გიბრალტარის მთავარ მინისტრს.

ეკონომიკის ძირითადი დარგებია: ტურიზმი, საბანკო საქმე და ფინანსები, გემთშეკეთება და თამბაქოს ნაწარმის წარმოება. გიბრალტარი საბანკო-ოფშორული ზონაა. ძირითადი საექსპორტო საქონელია თხევადი საწვავი (რეექსპორტი).

ჰონკონგი 1997 წლამდე დ. ბრიტანეთის კოლონია იყო, ამჟამად კი ჩინეთის სპეციალური ადმინისტრაციული რაიონია. იგი მსოფლიოს

ერთ-ერთი მსხვილი ფინანსური ცენტრია, მმართველობის ფორმა — დამოკიდებული ტერიტორია. მოსახლეობა 7 მილიონი კაცია, ხოლო ფართობი —1104 კმ^2.

ჰონკონგს ფართო ავტონომია მიეცა 50 წლით, 2047 წლამდე. ქვეყანაში ტარდება კურსი — „ერთი ქვეყანა, ორი სისტემა“, ანუ ორი სხვადასხვა სამართლებრივი და ეკონომიკური სისტემა ერთიანი ჩინეთის სახელმწიფოში. აქვს საკუთარი კანონმდებლობა, ფულადი, საბაჟო და იმიგრაციული პოლიტიკა, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების წევრობა. ჩინეთის ცენტრალური ხელისუფლება ახორციელებს თავდაცვასა და საგარეო პოლიტიკას.

ჰონკონგი გასახადებისგან გათავისუფლებული პორტია. მისი ეკონომიკის საფუძველია თავისუფალი ბაზარი.

მაკაო 1999 წლამდე პორტუგალიის კოლონია იყო. დღეს კი ჩინეთის სპეციალური ადმინისტრაციული რაიონია, ავტონომიური სამართლებრივი სტატუსით. მოსახლეობა 550 ათასი კაცია, ხოლო ფართობი — 27,2 კმ^2.

მსგავსად ჰონკონგისა, მაკაო ფართო ავტონომიას ფლობს 50 წლით, ანუ 2049 წლამდე. ტარდება კურსი — „ერთი ქვეყანა, ორი სისტემა“. აქვს საკუთარი კანონმდებლობა, ფულადი, საბაჟო და იმიგრაციული პოლიტიკა, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების წევრობა. ჩინეთის ცენტრალური ხელისუფლება ახორციელებს თავდაცვასა და საგარეო პოლიტიკას.

მელილა ესპანეთის საპორტო ქალაქია აფრიკის ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე, 1995 წლიდან ავტონომიური ქალაქის სტატუსით. მოსახლეობა 78 ათასი კაცია, ხოლო ფართობი —12,3 კმ^2. არალეგალური მიგრანტების მოზღვავების გამო, აფრიკის კონტინენტიდან გამოყოფილია 10 კმ-ანი სადემარკაციო კედლით.

იგი სხვადასხვა დროს იყო კართაგენის, რომის იმპერიის, ბიზანტიისა და პორტუგალიის შემადგენლობაში. მას საკუთარი საკანონმდებლო ორგანო არ აქვს. აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს ესპანეთის პარლამენტის სენატორი.

ეკონომიკის საფუძველია ვაჭრობა და თავისუფალი პორტის შემოსავლები.

სეუტა ესპანეთის სანაპირო ანკლავია მაროკოს ჩრდილოეთ სანაპიროზე, გიბრალტარის პირდაპირ. მისი მოსახლეობა 82 ათასი კაცია, ფართობი —18,5 კმ^2. მაროკოსგან ჰყოფს 3 მ სიმაღლის მავთულის კედელი (გაკეთდა ევროკავშირის სახსრებით 2001 წ. აფრიკიდან არალეგალური მიგრანტების მოზღვავების შესაკავებლად).

2. თანამედროვე ქალაქი — ურბანიზებული სოციუმი

ადამიანის ფიზიკური და სულიერი ცხოვრება უშუალოდ დაკავშირებულია ბუნებასთან, რადგან ადამიანი „ბუნების შვილია“, მისი ორგანული ნაწილია, თუმცა, „არ გვესმის ენა ბუნების “.[292]

ადამიანთა განსახლების კომპაქტური ფორმა თვით ადამიანის წარმოშობის დროიდან გაჩნდა. ამისთვის იგი ყველაზე კომფორტულ, ყველაზე უსაფრთხო და ყველაზე ლამაზ ადგილს ირჩევდა, ბინადრობის გარემოს პერიოდულად იცვლიდა და მასში კომფორტის ელემენტებიც უხვად შეჰქონდა. ამიტომ განსახლების ევოლუცია ათასწლეულობით მიმდინარეობდა.

2003 წლიდან დედამიწის მოსახლეობის უმეტესობა ქალაქის მკვიდრი გახდა.[293] თანდათან ჩამოყალიბდა პარადოქსული ვითარება: მეგა-პოლისი[294] — ადგილი, სადაც ადამიანთა სიცოცხლისათვის ნაკლებად ვარგისი, და იმავდროულად, მათი განსახლების ყველაზე უსაფრთხო ფორმა, რომელმაც გადაარჩინა დედა-ბუნება ველურთა შეტევებისა და ტოტალური განადგურებისაგან, თვით გახდა, ერთი მხრივ, ბუნების აშკარა მტერი, რომელმაც გაანადგურა საუკუნეების განმავლობაში დაგროვილი ტრადიციული კულტურული ფასეულობები, ხოლო მეორე მხრივ, ყველაზე მიმზიდველი ადგილი, სადაც დღენიადაგ იბადება კულტურისა და ხელოვნების შედევრები, რეალიზდება ადამიანთა ოცნებები და იფურჩქნება შემოქმედებითი ტალანტები.

კაცობრიობას დღემდე რომ მხოლოდ სოფლად ეცხოვრა, დღესაც აგრარულ ეპოქაში ვიქნებოდით ჩარჩენილები და არ შეიქმნებოდა დიდი კულტურები, რელიგიები და მეცნიერებები, გიგანტური საინჟინრო-ტექნიკური ნაგებობები, ფანტასტიკური არქიტექტურულ-ისტორიული და კულტურული ძეგლები.

.

---

[292] **კაპანელი კ.(1996).** ქართული სული ესთეტიკურ სახეებში. თბ., „თსუ“, გვ.147.

[293] 1800 წ. ქალაქის მოსახლეობა დედამიწის მოსახლეობის 3% იყო, 1900 წ. — 13,6%, 1990 წ. — 43%, 2003 წ. — 50%, 2013 წ. — 54%.

[294] ბერძ. megas – დიდი და polis – ქალაქი; დიდი ქალაქი. სამოქალაქო საზოგადოება; ანტიკურ ხანაში დამახასიათებელი საზოგადოების ორგანიზაციის ფორმა, ზოგჯერ, „ქალაქ-სახელმწიფო“. ძველბერძნული მითოლოგიით,

თვით ქალაქია კაცობრიობის ერთ-ერთი უდიდესი მიღწევა. შემთხვევით არ უწოდა გერმანელმა ფილოსოფოსმა, ექსისტენციალისტმა[295] **კარლ იასპერსმა** (1883-1969) ქალაქების საყოველთაო აღმოცენების ეპოქას (ძვ.წ. 500 წ.) **„ღერძული დრო“.** ფაქტობრივად ამ პერიოდიდან დაიწყო „თანამედროვე“ ადამიანის არსებობა.

კაცობრიობის ისტორიაში სწორედ ეს პერიოდია მიჩნეული უწყვეტი განვითარების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ეტაპად.

სოფლისგან განსხვავებით, რომელიც მხოლოდ იმეორებს არსებულ იდეებს, ტექნოლოგიებსა და კულტურებს, ქალაქს ახლის შექმნა შეუძლია. მისი წარმოშობა ცივილიზაციას არნახულ დინამიკას ანიჭებს. უძველესი და თანამედროვე ყველა დიდი ცივილიზაცია, მხოლოდ ქალაქური იყო: რომი და იერუსალიმი, ათენი და ტროა, ლონდონი და პარიზი, ბაღდადი და კონსტანტინოპოლი, სამარყანდი, კართაგენი, ნიუ-იორკი, სანკტ-პეტერბურგი და სხვა მრავალი, აზროვნებისა და სულიერების დიდი ქალაქური კერები გახლდათ.

ქალაქი კაპიტალისტურ-სოციალური კულტურის განხორციელების არეა. ამიტომაც იყო, ყოველთვის და ყველგან, უდიდესი ზოგადსაკაცობრიო მიღწევები მხოლოდ ქალაქებში რომ განხორციელდა. ქალაქის კრეატიულ-კოგნიტურობა (შემოქმედებით-შემეცნებითობა) კავშირშია იმასთან, რომ მასში ჩაქსოვილია ინტელექტუალურ-შემეცნებითი სისტემა. სოფელს მხოლოდ ქალაქში შექმნილი შემოქმედებითი აზრის მოხმარება შეუძლია.

მართალია ცხოვრების სოფლური წყობაც საშუალებას იძლევა ცალკეული ადამიანი შემოქმედებით-შემეცნებითი საქმიანობით დაკავდეს, მაგრამ თუ ასეთი ინდივიდი მრავალია და ისინიც ერთობლივად მოქმედებენ, ეს უკვე ქალაქური გარემოა.

ქალაქის ცივილიზაციური ეფექტურობა და მისი სულიერი კომფორტი უცილობელ კავშირშია კრეატიულ შემადგენელთან, ანუ იმ მთავართან, რის გამოც ადამიანი დაშორდა ბუნებას, გამოვიდა სოფლის ტიპის არეალიდან, მისთვის სასურველი ხელოვნური გარემო შექმნა და ახალი შესაძლებლობებით დატვირთა იგი.

ქალაქი სოფლისგან განსხვავდება იმით, რომ მისი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი არამატერიალურ შრომას ეწევა, ასეთია მაგა-

---

მეგაპოლისი გაგებული იყო, როგორც **„დიადი იდეების ქალაქი“.** დღეს, ხშირად საუბრობენ **„დიდი ადამიანების ქალაქის“ შესახებ“.**

[295] ლათ. existentia არსებობა. XX საუკუნის ფილოსოფიის ერთ-ერთი მიმართუ-ლება. გულისხმობს ადამიანის ინდივიდუალურ არსებობას სამყაროში. **კარლ იასპერსთან** ერთად, ექსისტენციალიზმის წარმომადგენლებია: **ჟან პოლ სარტრი და ალბერ კამიუ, მარტინ ჰაიდეგერი** და სხვ.

ლითად, შემეცნება, სწავლება, კვლევა, მართვა...

ამიტომ ქალაქი აუცილებლად არსებობს არა მარტო მატერიალურ (ფიზიკურ) სივრცეში, არამედ აზრობრივ, ანუ ინტელექტუალურ-სულიერ სამყაროშიც.

თუ ქალაქში, როგორც ურბანიზებულ სოციუმში, შემოქმედებითი სფერო არ არის განვითარებული და ცხოვრება მხოლოდ წარმოებაშია ჩაკეტილი, იგი დიდი „ინდუსტრიული სოფელია“.

ქალაქისა და სოფლის ურთიერთობაში შემდეგი ტენდენცია შეინიშნება: სოფელი ყოველთვის ცდილობს ქალაქის ინფრასტრუქტურის მიბაძვას, რაც სასურველი და მისასალმებელია. საპირისპირო მოქმედების შემთხვევაში, ანუ სოფლის ცხოვრების სტილის ქალაქში გავრცელება კი, მიუღებელია.

მეტად საყურადღებოა ისიც, რომ ბუნებისადმი ადამიანთა დაუდევრობისა და მიზანმიმართული მომხმარებლური დამოკიდებულების გამო, დედამიწაზე ეკოლოგიური კრიზისი თანდათან ღრმავდება და მწვავდება, რასაც, ეკოლოგიური თვალსაზრისით, ვერ აჩერებს რიგი სახელმწიფოების ისეთი დაქსაქსულ-შეუთანხმებელი დაცვით-აღდგენითი ღონისძიებები, როგორიცაა სამრეწველო საწარმოებში ფილტრების დამონტაჟება, ზოგიერთი მათგანის დახურვა, დამატებითი ნაკრძალების ორგანიზაცია, მკაცრი ეკონომიკური სანქციების დაწესება და სხვა მრავალი.

საჭიროა ბუნების გამოყენების ოპტიმიზაციის უფრო რადიკალური და რაციონალური მიდგომების ძიება: სიცოცხლის სფეროდან (ბიოსფერო) გონიერების სფეროში (ნოოსფერო) გადასვლის გლობალური პროცესების მართვის მოდელებიდან დაწყებული, რესურსდამზოგველი ტექნოლოგიითა და თანამედროვე ქალაქმშენებლობით დამთავრებული.

კონკრეტულ ტერიტორიულ სტრუქტურებთან და პროცესებთან ახალი ეკოლოგიური მიდგომების გატარებისას დიდი სირთულეები წარმოიშობა. ამასთან, ისინი უფრო სწრაფად დიდდება, ვიდრე ტერიტორიების მასშტაბები და მეურნეობები იზრდება (რთული სისტემის საერთო თვისება).

მრავალი ეკოლოგიური პრობლემა ქალაქებში წარმოებისა და მოსახლეობის კონცენტრაციამ შექმნა. ამიტომ, ბუნებრივია, მათ მიმართ საზოგადოების მომთხოვნელობა მკაცრია. თუმცა, თავის მხრივ, სოციუმი ქალაქის განვითარებას ყოველთვის უფრო მეტ ყურადღებას აქცევდა (ამუშავებდა განვითარების კონცეფციებსა და დაგეგმარების

მოდელებს და სხვ.), ხოლო სოფელი, მცირე გამონაკლისების გარდა,[296] გერივით მიტოვებული ჰყავდა.

დღევანდელ კაცობრიობას არა აქვს არანაირი სურვილი და შესაძლებლობა „დაბრუნდეს უკან, გამოქვაბულში“ — პირველყოფილი ადამიანის დისპერსიულ[297] განსახლებაში.

დღის წესრიგში მთელი აქტუალურობით დგას ქალაქდაგეგმარებისა და განაშენიანების ოპტიმალური ვარიანტების ძიება. საზოგადოების განვითარების პროცესში მუდმივად არსებობს ადამიანთა მზარდ მოთხოვნებსა და არსებულ რესურსებს შორის შეუსაბამობა. ამიტომ, მნიშვნელოვანია გარე გარემოს სოციალურ-ეკონომიკური ამოცანებისა და პრობლემების გადასაწყვეტად დაბალანსებული მეთოდების შემუშავება და გამოყენება.

3. მეგაპოლისების წარმოშობისა და განვითარების თეორიული წანამძღვრები

მოსახლეობას განსაკუთრებით იზიდავს დიდი ქალაქები, ე.წ. მეგაპოლისები, რადგან იქ არსებული მრავალი პრობლემის მიუხედავად, ახალგაზრდა ადამიანის კარიერულ-კრეატიული განვითარების გაცილებით მეტი შესაძლებლობა არსებობს.

„მეგაპოლისის“ ცნებას კაცობრიობა ანტიკური დროიდან იცნობს. ეტიმოლოგიურად იგი ძველბერძნულიდან წარმოდგება და ნიშნავს „დიდ ქალაქს“, რაც ემთხვევა მასზე გავრცელებულ და დამკვიდრებულ თანამედროვე შეხედულებას.[298]

გერმანელმა ფილოსოფოსმა **ოსვალდ შპენგლერმა** (1880-1936), რომელმაც ტერმინი „მეგაპოლისი“ სამეცნიერო ბრუნვაში პირველად 1918 წელს გააჟღერა, იგი ისტორიულ-კულტუროლოგიურ ასპექტში განიხილა და ქალაქური განაშენიანების დეგრადაციის ფინალურ ფორმად და საგანგებო ურბანიზაციის შედეგად მიიჩნია.

შპენგლერის იდეები გაიზიარა ამერიკელმა სოციოლოგმა და ფილოსოფოსმა, **ლუის მამფორდმა** (1895-1990), რომელმაც თავის ნაშ-

---

[296] კომუნისტების მმართველობის პერიოდში არსებობდა ე.წ. „სოციალისტური დასახლებები“.

[297] ლათ. dispersio დაშლა, დაყოფა, დაქუცმაცება.

[298] სამეცნიერო ბრუნვაში გავრცელებულია აგრეთვე ტერმინი **გლობალური ქალაქი** (ინგლ. Global city), იგივე **მსოფლიო ქალაქი** (ინგლ. World city) ან **ალფა-ქალაქი** (ინგლ. Alpha city), რომელიც მსოფლიო ეკონომიკური სისტემის მნიშვნელოვანი ელემენტია.

რომში „The Culture of Cities“[299] გაანალიზა XIX საუკუნეში ქალაქების განვითარებაზე სამრეწველო „აფეთქების“ გავლენა, პოპულაციისა და ურბანიზაციის ის პრობლემები, რომლებმაც კულტურის თვალსაზრისით, მოსალოდნელი ნეგატიური შედეგები აჩვენა.[300]

ფრანგმა ურბანისტმა, გეოგრაფიული მეცნიერების კლასიკოსმა **ჟან გოტმანმა** (1915-1994) თავის ნაშრომში „Megalopolis: The Urbanized Northeastern Seaboard of the United States“[301] მეგაქალაქი სოციოლოგიურ მოვლენად განიხილა.

ქალაქი, როგორც ტერიტორიულ-სოციალური საზოგადოების ისტორიულ-კულტურული ტიპი, მკვლევართა ყურადღებას დიდი ხანია იქცევს. მის სხვადასხვა ასპექტებს მრავალი მეცნიერება სწავლობს, კერძოდ, გეოგრაფია, ისტორია, დემოგრაფია, ეკონომიკა, კულტუროლოგია, პოლიტოლოგია და ა.შ.

თანამედროვე პოსტინდუსტრიული საზოგადოების მნიშვნელოვანი თავისებურებაა მეგაპოლისების ფორმირება, რომელიც არის ერთიან სივრცეში რამდენიმე ქალაქური აგლომერაციის გაერთია-ნება. მსხვილ ურბანიზებულ ტერიტორიებს შეუძლიათ ფინანსების, ინფრასტრუქტურისა და ადამიანების (იდეების) კონცენტრაცია.

ევროპაში ასეთი ცენტრებია ლონდონი, პარიზი, ჟენევა, მილანი, მიუნხენი და ჰამბურგი. მათ მაღალურბანიზებულ ტერიტორიულ სივრცეში ევროპის მშპ-ის, თითქმის, 20% იწარმოება.[302]

XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე მსხვილი ქალაქების როლი არსებითად გაიზარდა ქვეყნების ეკონომიკათა აღმავლობაში, სამრეწველო პოტენციალის გადიდებაში, რეგიონთაშორისი კავშირების ფორმირებასა და ინსტიტუციურ გარდაქმნებში. იმავდროულად, მსხვილმა ქალაქებმა მოსახლეობის დიდი ნაკადებიც მიიღეს. როგორც სამრეწველო ცენტრები და მოსახლეობის მაღალი კონცენტრაციის ადგილები, ისინი ადამიანის სასიცოცხლო გარემოზე ზემოქმედების რთული და წინააღმდეგობრივი სოციალურ-დემოგრაფიული, ტექნოგენური,[303] ეკოლოგიური და სხვა პროცესების ერთ-ერთ წყაროდ გადაიქცნენ.

---

[299] „ქალაქების კულტურა“.

[300] **Mumford L. (1938).** The Culture of Cities. New York: Harcourt Brace.

[301] „მეგაპოლისი და აშშ-ის ურბანიზებული ჩრდილო-აღმოსავლეთი სანაპირო.“

[302] UN report: Worlds biggest cities merging into “mega-regions”.//The guardian, [http://www.guardian.co.uk/wordl/2010/mar/22/un-cities-mega-regions]

ქალაქების განვითარების მაჩვენებლები ასეთია[304]:

• მსოფლიოს დღევანდელი მოსახლეობის 50%-ზე მეტი ქალაქის მკვიდრია, ხოლო 2030 წლისთვის, თითქმის, 60% იქნება;[305]

• გაეროს გაანგარიშებით, უახლოეს 30 წელიწადში ჩვენი პლანეტის მოსახლეობა მხოლოდ ქალაქად მოიმატებს. თუ ეს პროგნოზი გამართლდება, 2050 წლისთვის ქალაქის მოსახლეობა განვითარებად ქვეყნებში 67%-ს, ხოლო განვითარებულ ქვეყნებში 86%-ს მიაღწევს.[306]

• 100 წლის წინათ 1 მილიონი და მეტი მოსახლეობით 20-მდე ქალაქი არსებობდა, დღეს მათი რაოდენობა 450-ს უახლოვდება.[307]

• უახლოეს ათწლეულში ქალაქები უმეტესად განვითარებად ქვეყნებში გაიზრდება;

• მსოფლიო ქალაქების საერთო ფართობი დედამიწის ზედაპირის მხოლოდ 2%-ია, მაგრამ მათზე მოდის მოხმარებული ენერგიის 60-80% და ნახშირჟანგის გამონაბოლქვის 75%;

• ახალი განაშენიანებით, დღეს ქალაქები ერთმანეთის მსგავსია;

• ურბანიზაციის სწრაფი ტემპები ნეგატიურად მოქმედებს მტკნარი წყლის მარაგებზე, კანალიზაციის სისტემაზე, საცხოვრებელ გარემოსა და ჯანდაცვაზე.

როგორც ჩანს, ახალი ფენომენის მოწმენი ვხვდებით, რაც კულტურაზე, პოლიტიკასა და ადამიანთა ცხოვრების სტილზე მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს. **მიმდინარეობს არა მარტო პლანეტის მოსახლეობის ზრდა, არამედ ცალკეულ მსხვილ საქალაქო აგლომერაციებში (მეგაპოლისებში) მათი კონცენტრაცია. მსხვილი ქალაქები არა მარტო სწრაფად იზრდებიან და გარშემომყოფ დასახლებებს იერთებენ, არამედ ერთმანეთსაც ერწყმებიან და ახალ, უფრო დიდ მეგაპოლისებს ქმნიან.**

ურბანიზაციის დონე მთელ მსოფლიოში მაღალია, ზრდის ტემპი კი, განვითარებად რეგიონებში (აფრიკა, აზია, ლათინური ამერიკა და კარიბის ზღვის აუზის ქვეყნები) — კიდევ უფრო მაღალი (იხ. ცხრ. 3.1).

---

[303] ადამიანის ქმედების შედეგად (ქარხნები, ატომური ელექტროსადგურები და სხვ.) მომხდარი კატასტროფები, ასევე, რადიოაქტიური აფეთქებები, ოკეანის დაბინძურება, სმოგი, მჟავური წვიმები, გაუდაბნოება და ა.შ.

[304] Definition of Functional Urban Areas (FUA) for the OECD Metropolitan Database. Paris, OECD, September 2013. Available at: [http://www.oecd.org/gov/regional-policy/Definition-of-Functional-Urban-Areas-for-the-OECD-metropollitan-database.pdf]

[305] UN HABITAT State of Worlds Cities 2010/2011. UN. 2008. Available at: [http://www.unhabitat.org/].

[306] A Vision of Smarter City. IBM Institute for Business Value. N.Y. 2009. Available at: http://www- 03.ibm.com/press/attachments/IBV_Smarter_Cities_-_Final.pdf].

[307] UN HABITAT. The Economic Role of Cities. UN.2011. Available at: [http://www.unhabitat.org/].

ცხრილი 3.1. ქალაქის მოსახლეობა %-ბით მოსახლეობის საერთო რაოდენობაში[308]

მსოფლიო (რეგიონები)	წლები								
	1950	1960	1970	1980	1990	2000	2010	პროგნოზი	
								2020	2030
მსოფლიო	29,0	32,8	35,9	39,1	43,0	46,7	50,8	55,1	59,9
• აფრიკა	14,7	18,7	23,4	27,6	32,0	36,2	40,5	45,3	50,7
• აზია	16,8	19,9	22,7	26,3	31,9	37,1	42,5	48,1	54,1
• ლათინური ამერიკა და კარიბის აუ-ზის ქვეყნები	42,0	49,2	57,2	65,1	70,9	75,4	79,1	81,9	84,3
• ევროპა	50,5	56,5	62,6	67,9	70,6	71,7	72,9	75,1	78,3
• ჩრდილოეთ ამერიკა	63,9	69,9	73,8	73,9	75,4	79,1	82,1	84,6	86,7
• ოკეანეთი	62,0	66,6	70,8	71,2	70,3	70,5	71,2	72,3	73,8

მეგაპოლისებში მოსახლეობის მაღალი კონცენტრაცია დამახასი-ათებელია განვითარებადი ქვეყნებისთვის (იხილეთ ცხრილი 3.2).

დღეს მეგაპოლისებში ცხოვრობს ქალაქის მოსახლეობის ყოველი მეათე (9,4%), ანუ მსოფლიო მოსახლეობის ყოველი მეოცე (დედამიწის მოსახლეობის 4,7%) ადამიანი. მეგაპოლისებში მოსახლეობა 1950-2010 წლებში 24-დან 324 მილიონამდე გაიზარდა, ხოლო 2025 წლისთვის 469 მილიონამდე გადიდდება.[309]

გაეროს პროგნოზით, 2025 წლისთვის მეგაპოლისების რაოდენობა 29-მდე გაიზრდება. დამატებით ესაა 5 ქალაქი აზიაში (ჩინეთში — გუანჯოუ, ციუანჯოუ და ჩუნცინი; პაკისტანში—ლაჰორი; ინდონე-ზიაში — ჯაკარტა), 2 ლათინურ ამერიკაში (კოლუმბიაში — ბოგოტა; პერუში — ლიმა) და ერთი აფრიკაში (კონგოში — კინშასი).

როგორც ვხედავთ, ქალაქის მცხოვრებთა რაოდენობის ზრდასთან ერთად, მიმდინარეობს მათი კონცენტრაცია ე.წ. მეგაქალაქებად (მო-სახლეობა 10 მილიონი კაცი და მეტი) და ქალაქ-სუპერგიგანტებად (მოსახლეობა 20 მილიონი კაცი და მეტი). ეს ტენდენცია მომავალშიც კვლავ გაგრძელდება.

[308] World Urbanization Prospects: The 2007 Revision/ -N.Y.: United Nations. 2008.

[309] Megacities, megarisks: trends and challeges for insurance and risk management. Munchen. 2008.

ცხრილი 3.2. მსხვილი ქალაქების მოსახლეობა %-ბით ქალაქის მოსახ-ლეობის საერთო რაოდენობაში[310]

მსოფლიოს მსხვილი რეგიონები	წლები					
	1960	1970	1980	1990	2000	2010
ლათინური ამერიკა და კარიბის აუზის ქვეყნები	38,5	39,6	39,7	40,4	41,3	42,8
აფრიკის ქვეყნები საჰარის სამხრეთით	33,7	36,4	35,7	37,8	38,5	39,7
აღმოსავლეთი აზია და წყნარი ოკეანის რეგიონი	38,0	39,0	39,4	37,0	38,4	39,6
ახლო აღმოსავლეთი და ჩრდილოეთი აფრიკა	35,0	34,1	34,0	30,6	33,5	36,2
დასავლეთი ევროპა	27,5	26,5	25,8	25,5	26,3	27,2
სამხრეთი აზია	17,2	16,9	17,0	19,0	20,1	21,4
აღმოსავლეთი ევროპა და ცენტრალური აზია	20,8	20,3	20,5	17,9	18,6	19,7
ჩრდილოეთი ამერიკა	13,6	13,4	12,7	13,1	14,3	14,9

ბოლო ათწლეულში მსოფლიოს ეკონომიკურ რუკაზე გაჩნდა ახალი ტიპის ისეთი გლობალური ქალაქური აგლომერაციები, რომლებიც მრავალი ათეული დასახლებული პუნქტისგან შედგება, დაჯგუფე-ბულია ერთი ან რამდენიმე ცენტრის ირგვლივ და ერთმანეთს სავაჭ-რო, სატრანსპორტო და საწარმოო ქსელით მჭიდროდ უკავშირდება.

ცხრილი 3.3. მეგაპოლისების მოსახლეობა და მოსალოდნელი პროგნოზი (მლნ კაცი)[311;312]

№	საქალაქო აგლომერაცია	ქვეყანა	2011	2025	№
1	ტოკიო	იაპონია	36,50	37,7	1
2	მუმბაი (ბომბეი)	ინდოეთი	21,34	25,8	3
3	სან-პაულუ	ბრაზილია	19,89	21,7	7
4	დელი	ინდოეთი	19,70	28,6	2
5	მეხიკო	მექსიკა	19,30	25,6	4
6	ნიუ-იორკი	აშშ	19,30	20,6	9
7	შანხაი	ჩინეთი	18,80	23,8	5

[310] A Vision of Smarter City. IBM Institute for Business Value. N.Y. 2009. Available at: [http://www- 03.ibm.com/press/attachments/IBV_Smarter_Cities_-_Final.pdf].

[311] UN HABITAT. The Economic Role of Cities. UN.2011. Available at: [http://www.unhabitat.org/].

[312] World Urbanization Prospects: The 2007 Revision/ -N.Y.: United Nations. 2008.

8	კალკუტა	ინდოეთი	17,50	20,1	10
9	დაკა	ბანგლადეში	14,11	16,6	13
10	ყარაჩი	პაკისტანი	13,20	15,0	16

მიუხედავად იმისა, რომ 40 ასეთ აგლომერაციაში მსოფლიო მოსახლეობის მხოლოდ 18% ცხოვრობს, გლობალური ეკონომიკის 66% და მეცნიერებისა და ტექნიკის სფეროში ინოვაციების 85% იქმნება.[313]

ცხრილი 3.4. მსოფლიოს 10 მეგაპოლისის რეიტინგი სხვადასხვა კატეგორიების მიხედვით[314]

№	მოსახლეობა	უცხოელები	ცხოვრების სიძვირე	მილიარ-დელები	მშპ
1	ტოკიო	დუბაი	ტოკიო	ნიუ-იორკი	ტოკიო
2	სეული	მაიამი	ოსაკა	მოსკოვი	ნიუ-იორკი
3	მეხიკო	ამსტერდამი	მოსკოვი	ლონდონი	ლოს-ანჯელესი
4	ნიუ-იორკი	ტორონტო	ჟენევა	ჰონკონგი	ჩიკაგო
5	მუმბაი	მასკატი	ჰონკონგი	პეკინი	პარიზი
6	ჯაკარტა	ვანკუვერი	ციურიხი	მუმბაი	ლონდონი
7	სან-პაულუ	ოკლენდი	კოპენჰაგენი	სტამბოლი	ოსაკა
8	დელი	ჟენევა	ნიუ-იორკი	შანხაი	მეხიკო
9	ოსაკა	მექა	პეკინი	პარიზი	ფილა-დელფია
10	შანხაი	ჰააგა	სინგაპური	ლოს-ანჯელესი	სან-პაულუ

მომავალში უნდა ველოდოთ დიდი ქალაქების უფრო გამსხვილებას და, შესაბამისად, პატარების ლიკვიდაციას. ამგვარი მოვლენა კავშირშია მრეწველობის სტუქტურულ ცვლილებებთან და პრინცი-პულ ტექნიკურ ძვრებთან, — რეალურად მცირდება მოპოვებითი მრეწველობის როლი, მეტალურგიული წარმოებისა და სხვა დარგების პროდუქციის მოცულობა, რომლებიც, არც თუ ისე დიდი ხნის წინათ, ქვეყნის ძლიერებისა და ინდუსტრიის განვითარების საფუძველი იყო.

მაღალტექნოლოგიურ წარმოებაზე გადასვლა მოსახლეობის მიგრაციას აძლიერებს, რადგან ადამიანები საცხოვრებლად და სამუშაოდ

[313] UN HABITAT State of Worlds Cities 2011. UN. [http://www.unhabitat.org/]
[314] Competitive Cities in the Global Economy. Paris, OECD, 2008, P.450.

დიდი ქალაქებისკენ ინტენსიურად მიილტვიან. ეს პროცესი ადრე სოფლებიდან მუშათა დასახლებებში ხალხთა მასობრივი გადასვლით დაიწყო, შემდეგ პატარა ქალაქებიდან მეგაპოლისებში გაგრძელდა და პლანეტის უმრავლეს რეგიონში ათეული წლებია დღესაც მიმდინარეობს.

ცხრილი 3.5. მეგაპოლისების პირველი ათეულის რეიტინგები (2014)[315]

№	ქალაქი	ქვეყანა	ტიპი	აგლომერაცია, ათასი კაცი
1	ლონდონი	დიდი ბრიტანეთი	ალფა ++	12 400
2	ნიუ-იორკი	აშშ	ალფა ++	22 200
3	ჰონკონგი	ჰონკონგი	ალფა +	7 050
4	პარიზი	საფრანგეთი	ალფა +	10 400
5	სინგაპური	სინგაპური	ალფა +	4 900
6	ტოკიო	იაპონია	ალფა +	34 000
7	შანხაი	ჩინეთი	ალფა +	18 400
8	ჩიკაგო	აშშ	ალფა +	9 850
9	დუბაი	არაბთა გაერთიანებული საამიროები	ალფა +	1 550
10	სიდნეი	ავსტრალია	ალფა +	4 475

გლობალური ქალაქების აგლომერაციათა ერთობლივი მოსახლეობა 800 მილიონამდეა, მათ შორის აშშ-ზე მოდის 16%, ევროკავშირზე — 12,3%, ინდოეთზე — 10,2%, ჩინეთზე — 9,5%.

გლობალიზაცია, სოფლის მეურნეობაში მოწინავე ტექნოლოგიის ფართო მასშტაბით დანერგვა, ინფექციურ დაავადებებთან ბრძოლაში თვალსაჩინო მიღწევები, ღარიბი ქვეყნების განვითარების მაღალი ტემპები, მოსახლეობის მასობრივი მიგრაცია და სხვა ფაქტორები, ურბანიზაციის პროცესზე არსებით გავლენას ახდენს და ამით მსხვილ ქალაქებში მოსახლეობის კონცენტრაციას აძლიერებს.

თუმცა, ურბანიზაციის პროცესის დაჩქარება არ იძლევა პასუხს კითხვაზე: არსებითი მინუსების (ძვირი საცხოვრისი, ხმაური, მოსახლეობის სიჭარბე, სატრანსპორტო პრობლემები, ცუდი ეკოლოგია, კრიმინალის მაღალი დონე და სხვ.) მიუხედავად, ინტენსიურად რატომ იზიდავს ქალაქი ადამიანებსა და კაპიტალს?

ცხრილი 3.5-ის მონაცემებით ირკვევა, რომ მეგაპოლისებს შორის ყველაზე მაღალი რეიტინგი აქვს ლონდონს, რასაც რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს, კერძოდ:

- ღია ეკონომიკა და განვითარებული ფინანსური ინფრასტრუქტურა;
- მომსახურების მაღალი დონე და სტაბილური გადასახადები;
- განვითარებული სატრანსპორტო ქსელი;
- ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა;
- სახელმწიფოს გრძელვადიანი მხარდაჭერა;
- გამჭვირვალე პოლიტიკა და ინოვაციებისადმი ყურადღება;
- ტალანტების დიდი საკადრო რეზერვი;
- ინგლისური ენა და გავრცელებული მულტიკულტურა;
- ცხოვრების მაღალი დონე და კარგი რეპუტაცია;
- მიმზიდველი, სამართლიანი და გამჭვირვალე ბიზნესგარემო.

მრავალი ფიქრობს, რომ მეგაპოლისი უბედურებაა, თანაც დროებითი, რომ მომავალი თაობები კოტეჯებსა და ეკოლოგიურად სუფთა სოფლებში იცხოვრებენ. რა თქმა უნდა, იქ ცხოვრება სასიამოვნოა და ჯანმრთელობისთვისაც მეტად სასარგებლო, მაგრამ, მხედველობაში უნდა მივიღოთ რეალობაც — მოსახლეობის უმეტესობა მომავალში მეგაპოლისებში იცხოვრებს.

ასეთი ვითარება განპირობებულია თანამედროვე ტექნიკითა და სხვა მიზეზებით. მეგაპოლისების ზრდა „ბუნებრივი მოვლენაა“. მას **„ურბანისტულ რევოლუციას“** უწოდებენ. მეგაპოლისების შექმნა საზოგადოების თვითორგანიზაციის შედეგია, რის გამოც ხალხთა შორის კავშირურთიერთობა იზრდება. ეს რეალობა არსებობს და მეგაპოლისების განაშენიანების დაგეგმვა, მართვა და იქ ცხოვრება უნდა ვისწავლოთ, რაც მეტად რთულია.

4. ქალაქი როგორც სოციალურ-კულტურული საჯარო სივრცე

დღეს ცნება „ქალაქი“ ნაკლებად განსაზღვრულია, ვიდრე შუა საუკუნეებში იყო, როცა ქალაქად მისი კედლებსშიგა სივრცე ითვლებოდა. თუ საუბარია დიდ ქალაქზე, როგორც წესი, მხედველობაშია რთული წარმონაქმნი, რომელიც მოიცავს შიდა (ცენტრალურ) ნაწილს, განაპირა სივრცეს და გარეუბანს, ხოლო, ზოგჯერ, უახლოესს დასახლებულ პუნქტებსაც. ქალაქის საზღვრები ყოველ ქვეყანაში განსაზღვრული კრიტერიუმებით (ადმინისტრაციული, ფუნქციური და სხვ.) დგინდება. ამიტომ ამ მიმართებით ქვეყანათაშორისი შედარება რთულია.

---

[315] The Wordl According to GaWC 2008. [http://www.lboro.ac.uk/gawc/world2008t.html]

ეთგო ქალაქს მიიჩნევს ისეთ ფუნქციურ-ტერიტორიულ ერთეულად, რომელიც მყარი სოციალურ-ეკონომიკური კავშირების საფუძველზეა ჩამოყალიბებული.[316]

მსხვილი ქალაქის მოსახლეობა 1,5 მილიონ კაცზე მეტია.

ქალაქის აქვს საჯარო სივრცე, — არქიტექტურა, ლანდშაფტი, ქუჩები, პარკები, სკვერები და სანაპიროები, მოქალაქეთა თავისუფალი კომუნიკაციისა და თვითრეალიზაციის საშუალებები.

ქალაქის შემოქმედებითობა განისაზღვრება საქალაქო სივრცის გამოცოცხლებით, ულტრათანამედროვე ობიექტების საჯარო ფუნქციებით, მომსახურების მცირე საწარმოთა განვითარებით.

ქალაქის შემოქმედებითობა და ინოვაციურობა მისი ორგანული შემადგენელია. უფრო მეტად კრეატიული ის ქალაქია, სადაც ინტერესების თვითრეალიზაცია და ინდივიდუალობა ადამიანთა ცხოვრებისა და მუშაობის მოტივია.

განსაკუთრებით საინტერესოა კრეატიული სივრცის ის ცენტრები, სადაც არსებობს ბუნებრივ-ხელოვნური კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობის ძეგლები და ღირსშესანიშნაობები. აქ ადამიანთა კომუნიკაცია ღია და თავისუფალია, ემოციური და უსაფრთხოა.

ქალაქის ასეთი სივრცე მარად უნდა „ცოცხლობდეს“ და ფართოვდებოდეს, რადგან საზოგადოების სოციალური განვითარებისთვის იგი სჭირდება თვით ქალაქსა და მის მოსახლეობას.[317]

ზოგადად, საჯაროობის ცნება გვთავაზობს ღიაობას, სიცხადეს, სხვებისთვის ხელმისაწვდომობას. ქალაქის საჯარო სივრცე ესაა ჯანმრთელი „კომუნიკაციის ადგილი უცნობებთან“, მოქალაქეთა ანონიმური შეხვედრებისა და მათი სოციალიზაციისთვის.

საჯარო სივრცე აერთიანებს ადამიანებს.

ამ სივრცის წარმატებული ფუნქციონირებისთვის აუცილებელია, რომ იგი იყოს მოხერხებულ ადგილას და ჰქონდეს კარგი იმიჯი.

ქალაქის საჯარო სივრცე, ძირითადად, ახალგაზრდების ურთიერთობის ადგილია. ამიტომ გასათვალისწინებელია მომსახურებისა და გართობის ფართო სპექტრი. იგი უნდა შეესაბამებოდეს თანამედროვე ბრენდებს, ტრენდებსა და მოდას. კულტურული სივრცე ახალგაზრდობის განვითარებისა და კულტურის სარკეა.

ქალაქის საჯარო სივრცე მრავალ ფუნქციას ასრულებს, კერძოდ:

---

[316] მიმდინარე ათწლეულის დასაწყისში მეგაპოლისების რაოდენობა, არა უმცირეს 1,5 მლნ მოსახლეობით, ეთგო-ს ქვეყნებში 90-მდე გაიზარდა.

[317] OECD. Regions at a Glance 2011. Paris, 2011, 160 p.

1. **სოციალური გამოცდილების მიღება.** აქ ადამიანები ხედავენ თუ როგორ იქცევიან სხვა სოციალური ჯგუფები, რაც განსაკუთრებით პრინციპულია ახალგაზრდებისთვის;

2. **წესრიგისა და კეთილდღეობის ფორმირება.** საუბარია იმაზე, თუ როგორ გახდეს ქალაქი უფრო ლამაზი, კეთილმოწყობილი, ბრენდი. „თუ ქალაქს გააზრებული არა აქვს საკუთარი უნიკალურობა — ეს ასუსტებს მის ინვესტიციურ მიმზიდველობას“;[318]

3. **უსაფრთხოებისა და მრავალფეროვანი მოღვაწეობის ფართო შესაძლებლობების შექმნა.** ამ სივრცეში შეუზღუდავად თავს იყრის სხვადასხვა ასაკის, ეროვნების, რასის, შეხედულების, გემოვნებისა და კულტურის ადამიანი;

4. **ტოლერანტობის ნიშნით მოსახლეობის აღზრდა,** რაც მათი სოციალური ჯანმრთელობისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.[319]

მაშასადამე, **საჯარო სივრცე ის ადგილია, სადაც არსებობს არა მარტო გართობა-ურთიერთობის, არამედ ქალაქური კულტურისა და კულტურული თვითმყოფადობის ფორმირების ელემენტები.**

საჯარო კრეატიული სივრცის შემადგენლებია ადამიანთა კომუნიკაცია, შემოქმედებითი თვითრეალიზაცია, უსაფრთხოება, ღიაობა, უნივერსალურობა, მობილურობა, მრავალფუნქციურობა და ესთეტიკა.

სამწუხაროდ, კრეატიულ საჯარო სივრცეთა უმრავლესობა ქალაქების ცენტრებშია თავმოყრილი. გამოდის, რომ ქალაქი მხოლოდ ცენტრშია კრეატიული, ხოლო მისი პერიფერიული (განაპირა) ტერიტორიები, განვითარებითაც პერიფერიულია.

საჯაროსთან ერთად, ქალაქი სოციალურ-კულტურული სივრცეა. მას თავისი რეურბანიზაციისა და კრეატიული განვითარების გრძელვადიანი სტრატეგია უნდა გააჩნდეს.

ქალაქი ადმინისტრაციული, კულტურული და საგანმანათლებლო დასახლებული პუნქტია. მისი სტატუსის კრიტერიუმი სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია. მაგ., დანიაში იგი 250 კაცია, აშშ-ში — 2 500, იაპონიაში – 30 ათასი, ხოლო გაეროს კრიტერიუმი 20 ათასია.

თანამედროვე ქალაქის მოსახლეობის არანაკლებ 85% დასაქმებულია მრეწველობაში, საჯარო სექტორში, მომსახურებისა და სამეცნიერო-კულტურულ სფეროებში.[320]

---

[318] **ჩიხლაძე ნ.,** და სხვ. **(2014).** ქალაქის ბრენდინგის აქტუალური საკითხები. ქუთაისური წახნაგები. ქუთაისი. გვ. 6.

[319] Программа ООН по населенным пунктам (ООН-Хабитат): [www.unhabitat.org]

[320] ООН. Цели развития тысячелетия: доклад за 2014 год.

თუმცა, ეს კრიტერიუმი აშკარად არასაკმარისია.

ქალაქი სოფლისგან განსხვავდება არა მარტო მოსახლეობის რიცხოვნობით, არამედ ცხოვრების სტილითა და ორგანიზაციით.

ქალაქური ორგანიზაცია დაკავშირებულია მართვის ფუნქციებთან და იდეოლოგიურ ინსტიტუტებთან.

ქალაქის მრავალფეროვნება ერთიან ორგანიზმს ქმნის: აქ შრომობენ არა ნატურალურ მეურნეობაში, არამედ ერთმანეთთან ამყარებენ კომუნიკაციას, რისი პირობაც თითოეულისთვის უნიკალურია. ეს უკანასკნელი კი, კულტურასთან არის კავშირში.

კულტურა არის ამა თუ იმ სოციალური ერთობისთვის დამახასიათებელი ტრადიციების, ნორმებისა და ფასეულობების ერთობლიობა. კულტურის ელემენტები ასრულებენ სოციალური ორიენტაციის ფუნქციებს, იდეებითა და ფასეულობებით უზრუნველყოფენ ადამიანთა კონსოლიდაციასა და პიროვნებათა თვითგამორკვევას.

ქალაქი ცხოვრობს ყოველივეს ტრანსფორმაციითა და განახლებით, ხოლო სოფელი — ტრადიციებისა და გამოცდილების დაგროვებითა და შენახვით.

ქალაქი, როგორც კულტურული სივრცე, თვითორგანიზებული სისტემაა, რომელიც მიზანმიმართულია ქალაქური ცხოვრების წესის კვლავწარმოებისა და განახლებისაკენ.

ქალაქის კულტურული სივრცის თავისებურებებია:

1. **ტრანსლაციურობა** – ფართო აუდიტორიაზე სხვადასხვა სახეობის ინფორმაციის გავრცელება.
2. **სელექციურობა** — წარსულის მოწინავე და თანამედროვე კულტურული ღონისძიებებისა და ქცევითი ნორმების შერჩევა;
3. **ინოვაციურობა** — უახლესი ტექნოლოგიური დამუშავებების დანერგვა;
4. **ვარიანტულობა** — შიდასაქალაქო ნავიგაციის მარშრუტებისა და მომსახურე ობიექტების ფართო არჩევანი;
5. **კოლექტიური ინდივიდუალიზმი** — მასობრივი მარტოობა (ფეხით მოსიარულეები ქუჩაში, საქალაქო ტრანსპორტის მგზავრები და სხვ.).

ქალაქური კულტურის ძირითადი ტენდენციებია:

1. ქალაქელის ინდივიდუალიზაცია;
2. ინდივიდის შემოქმედებითი პოტენციალის შესაძლებლობათა რეალიზაცია;
3. ფასეულობათა მუდმივი ტრანსფორმაცია.

ქალაქური კულტურის სპეციფიკა შეიძლება ორი სახით წარმოვიდგინოთ: ერთი მხრივ, გლობალურ მასშტაბში ესაა ფასდაუდებელი არტ-ობიექტები, კერძოდ, არქიტექტურული ძეგლები.

ქალაქი მის მცხოვრებლებზე გაცილებით დიდხანს „ცოცხლობს“ და დროის მაკავშირებელი სივრცეა — ქალაქის ლანდშაფტი სამომავლოდ ინახავს მის წარსულს არქიტექტურასა და არქივებში.

მეორე მხრივ, ქალაქი ესაა კოლექტიური ინდივიდუალური „სენი“: მარტოობა, სატელეფონო დამოკიდებულება, სატრანს-პორტო ნევროზი.[321]

კრეატიულობა საზოგადოების მთავარი მამოძრავებელი ძალაა. იგი მოითხოვს კრეატიული შესაძლებლობების გამოვლენისა და განხორციელების სათანადო პირობებს. თანამედროვე ქალაქი სწორედ ასეთი პირობების საჯარო გარემოა.

5. გლობალური ქალაქების განვითარების თავისებურებები და კრიტერიუმები

გლობალურ ქალაქს ახასიათებს:

➢საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მულტინაციონალური კორპორაციების შტაბ-ბინების კონცენტრაცია;

➢მსოფლიო ეკონომიკაზე გავლენიანი საფინანსო ინსტიტუტების, სასაქონლო და საფონდო-სავალუტო ბირჟების არსებობა;

➢მომსახურების ფართო ქსელის (ბანკები, საინვესტიციო და საკონსულტაციო კომპანიები და სხვ.) ფუნქციონირება;

➢საერთაშორისო მოვლენებში აქტიური ჩართულობა;

➢განვითარებული სატრანსპორტო სისტემა (გზები, მეტრო, აერო /საზღვაო პორტები);

➢ცნობილი სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებების (უნივერსიტეტები, ინსტიტუტები, აკადემიები, კოლეჯები) ფუნქციონირება;

➢ კულტურის ობიექტების (მუზეუმები, გამოფენები, თეატრები) ცნობადობა მსოფლიოში;

➢ საელჩოებისა და საკონსულოების არსებობა.

თანამედროვე ცივილიზაცია ისეა მოწყობილი, რომ გლობალური ქალაქის ხელსაყრელობის ელემენტები მოსახლეობის უმრავლესობის ცხოვრებისა და საქმიანობის განმსაზღვრელია.

---

[321] **Брутян М. М. (2013).** Инновационный менеджмент организации технологического новшества. Ж. «Креативная Экономика», №10, С. 5.

თანამედროვე გლობალური ქალაქი თავისებური „მაგნიტია“, რომელიც ყველა სახეობის რესურსს (კაპიტალი, სამუშაო ძალა) იზიდავს. ქალაქების რაოდენობისა და ზომების ზრდა პოსტინდუსტრიული ეკონომიკისა და ტერიტორიულად მისი არათანაბარზომიერი განვითარების შედეგია. ამასთან, რაც უფრო დიდია სახელმწიფოს ტერიტორია, რეგიონების მიხედვით სოციალურ-ეკონომიკურ განვი-თარებაში უთანაბრობა მით მეტად შესამჩნევია.

ეკონომიკური თვალსაზრისით, **გლობალური ქალაქი სხვა ადგილისაგან უპირველესად იმით განსხვავდება, რომ მასში დიდი ოდენობის ფულადი კაპიტალია თავმოყრილი.** ასეთი სიტუაცია დამახასიათებელია როგორც აგრარული, ისე ინდუსტრიული და პოსტინდუსტრიული საზოგადოებისთვის.

გლობალური ქალაქი უპირატესობის მიღწევის ისეთი თავისებური კლასტერია, სადაც განვითარებულია საბაზრო ეკონომიკა საკუთარი მექანიზმებით, შრომის ბაზრითა და უმუშევრობით.

ცნობილია, რომ საზოგადოების ინდუსტრიულმა განვითარებამ ქალაქებში მოსახლეობის კონცენტრაცია მოითხოვა. თავის მხრივ, მოსახლეობის რაოდენობის ზრდამ ქალაქის ეკონომიკის სტრუქტურა შეცვალა და, შესაბამისად, მომსახურების სფეროში (ჯანდაცვა, განათლება, მართლწესრიგი, უსაფრთხოება, საბანკო სექტორი და სხვ.) დასაქმებულთა წილი გაზარდა.

აღნიშნულის გამო, **გლობალური ქალაქი გახდა ეროვნული ქვეყნის (და, არა მარტო მისი) საკვანძო, შედარებით მომწიფებული და დომინირებული ინსტიტუციური სტრუქტურა.** სხვა ტერიტორიები (რაიონები, რეგიონები) მისი ძლიერი კულტურული და პოლიტიკურ-ეკონომიკური გავლენის ქვეშ მოექცა.

მეგაპოლისის ფენომენის მეცნიერულმა გააზრებამ მისდამი საზოგადოების სხვადასხვა ფენების განსხვავებული და გაზრდილი ინტერესი განაპირობა. 2008-2009 წლებში გაერომ ჩაატარა ურბანიზაციის კვლევა, რომლის შედეგები მოწმობს ქალაქის მოსახლეობის რიცხოვნობის უკვე გარდაუვალ და პროგრესირებად ზრდას. ამ კვლევის სტანდარტებით, მეგაპოლისი ისეთი ქალაქია, რომლის მოსახლეობა10 მილიონ კაცს აჭარბებს.[322]

მეგაპოლისი (იგივე მეგაქალაქი) საქალაქო განსახლების ყველაზე მსხვილი ფორმაა. იგი სტიქიურად ყალიბდება მეზობლად მდებარე საქალაქო აგლომერაციების შეზრდისა და შერწყმის შედეგად. მისი მთა-

[322] Программа ООН по населенным пунктам (ООН-Хабитат): [www.unhabitat.org]

ვარი მახასიათებლებია სატრანსპორტო მაგისტრალების (საავტომობილო, სარკინიგზო, საზღვაო) გასწვრივ-ხაზოვანი განაშენიანება და საერთო პოლიცენტრული სტრუქტურა.

აგლომერაცია არსებობს მონოცენტრული (ერთი მსხვილი ქალაქბირთვის გარშემო ფორმირებული, მაგ., თბილისის აგლომერაცია) და პოლიცენტრული (მაგ., გერმანიის რურის აუზი).

ქალაქების „გაერთიანების“ მთავარი კრიტერიუმებია:

- მასობრივი სამსახურებრივი, საგანმანათლებლო, საყოფაცხოვრებო, კულტურული და რეკრეაციული მგზავრობები;
- სატრანსპორტო კორიდორის გასწვრივ (რკინიგზა, საავტომობილო გზა, მდინარე) მჭიდრო დასახლება და 1,5 საათის დროის ფარგლებში დანიშნულების ადგილზე მისვლის შესაძლებლობა;
- რეგულარული საგარეუბნო ელექტრომავლების, ავტობუსებისა და თბომავლების არსებობა;
- აეროპორტის, სარკინიგზო საკვანძო ტერმინალის, სამდინარო (საზღვაო) პორტტერმინალის ერთიანობა.

იაპონიის მორის ფონდმა გამოაქვეყნა 2011 წლის მსოფლიოს **უმსხვილესი ქალაქების მიმზიდველობის რეიტინგი**[323], რომლის მიხედვით, პირველ პოზიციაზე აღმოჩნდა ნიუ-იორკი, შემდეგ ლონდონი, პარიზი, ტოკიო და სინგაპური.

ქალაქები მიმზიდველობის 70-მდე მაჩვენებლით შედარდა, რომლებიც 6 ჯგუფად იყო დაყოფილი: ეკონომიკა, მეცნიერება და განვითარება, კულტურა, ცხოვრების ხარისხი, ეკოლოგია და გარემო, ხელმისწვდომობა.

თითოეული ჯგუფის მიხედვით ცალკეული რეიტინგი დადგინდა: ეკონომიკური საქმიანობისთვის ყველაზე მიმზიდველ ქალაქად ტოკიო აღიარეს, მეცნიერებატევადად — ნიუ-იორკი, კულტურის მიხედვით — ლონდონი, ხელმისაწვდომად — პარიზი, ეკოლოგიის დონით — ჟენევა.

ქალაქი, განსაკუთრებით დიდი ქალაქი, ადამიანთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ყოველთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. მრავალი მათგანი იყო კულტურისა და ცოდნის კერა, რელიგიური, სავაჭრო და საქმიანი ცენტრი როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივი დანიშნულების. მაგრამ მათი გავლენა და გარე სამყაროსთან კავშირი შესაბამისი ეპოქის ტექნიკური განვითარების დონით იზღუდებოდა.

---

[323] Global Power City Index.

დღევანდელი ქალაქები სხვა როლს ასრულებენ. თანამედროვე გლობალური გარემო, რომელშიც ისინი ფუნქციონირებენ, მწვავე კონკურენციის სამყაროა. იგი კოლოსალურ შესაძლებლობებს იძლევა, მაგრამ, იმავდროულად, მკაცრ მოთხოვნებსაც აყენებს. წარმატების მისაღწევად საჭიროა შესაბამისი ბარიერების დაძლევა.

მსოფლიო სამეურნეო სისტემაში წარმატებული ჩართვის შანსი გლობალიზაციის გავლენით ახლა ყალიბდება, თუმცა იგი სხვადასხვა ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულისთვის (ქვეყანა, ქალაქი, რეგიონი) განსხვავებულია.

უპირატესობას ის იღებს, რომელიც მსოფლიო ბაზრებზე მაღალ კონკურენტუნარიანობას ფლობს, შეუძლია სწრაფი გარდაქმნა და თამაშის ცვალებად წესებზე მორგება. ამ მოთხოვნებს უფრო უკეთ არა სახელმწიფო წარმონაქმნი, არამედ მათივე დინამიური ნაწილი, კერძოდ, მაღალგანვითარებული რეგიონი და მსხვილი ქალაქპოლისი პასუხობს. მასში თავმოყრილია დიდი რაოდენობის მატერიალური, ფინანსური, ინფორმაციული და ადამიანისეული რესურსები.

ქალაქ-პოლისში ფორმირდება და ადაპტირდება ახალი ცოდნა, იქმნება თანამედროვე პროფესიები და მაღალტექნოლოგიური სამუშაო ადგილები, მეცნიერებატევადი საქონელი და მომსახურება, მკვიდრდება ცხოვრების ისეთი სტილი და კულტურული ტრადიციები, რომლებიც შემდეგ მთელ მსოფლიოში ვრცელდება.

არც თუ ისე დიდი ხნის წინათ, ამერიკული და დასავლეთ ევროპული მეგაპოლისების განვითარების ეკონომიკური პერსპექტივები საკმაოდ პესიმისტური იყო. სირთულეების პიკმა გასული საუკუნის 70-ან წლებში მიაღწია. ნავთობის ცნობილი კრიზისი (1973 წ.) და მისი თანამდევი შედეგები – მრეწველობის ენერგო- და შრომატევადი დარგების განვითარების შეფერხება, ქალაქგარეთ მათი გატანა, უმუშევრობისა და დანაშაულის ზრდა, სოციალური დაძაბულობა, ცუდი ეკოლოგია და სხვა, მსხვილი ქალაქების კვდომის ნიშანი იყო. თუმცა, მოვლენები საპირისპირო მიმართულებით წარიმართა.

6. თანამედროვე დიდი აგლომერაციები

მსოფლიოში მრავალი დიდი აგლომერაცია არსებობს, კერძოდ:

- **ტოკაიდო** (ტოკიოდან ოსაკამდე და კობემდე) იაპონიაში, რაც სიტყვასიტყვით „აღმოსავლეთის საზღვაო გზას“ ნიშნავს;
- **ბოსვაში,** იგივე ჩრდილო-აღმოსავლეთ აგლომერაცია (ბოსტო-

ნიდან ვაშინგტონამდე) აშშ-ში. სიგრძე 750 კმ ატლანტის ოკეანის სანა-პიროს გასწვრივ, მოიცავს 5 დიდ ქალაქს: ბოსტონს, ნიუ-იორკს, ფი-ლადელფიას, ბალტიმორსა და ვაშინგტონს. ამ რეგიონში, რომელიც ქვეყნის ფართობის 3%-ია (107 ათასი კმ^2), 50 მილიონამდე ადამიანი ცხოვრობს (აშშ მოსახლეობის თითქმის 17%), თავმოყრილია ქვეყნის სამრეწველო საწარმოთა 25%.

ბოსვაში აშშ-ის გულია, რადგან მის ტერიტორიაზეა ქვეყნის საკა-ნონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ორგა-ნოები. გარდა ამისა, მის ძირძველ მიწაზეა ყველა ისტორიულ-კულ-ტურული ფასეულობა — მუზეუმები, ძეგლები, საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინსტიტუტები (ჰარვარდის უნივერსიტეტი), დედაქალაქი ვაშინგტონი (კონგრესითა და თეთრი სახლით), მსოფლიოს ერთ-ერთი უმსხვილესი მეგაქალაქი ნიუ-იორკი, საერთაშორისო ორგანიზაციე-ბის, კერძოდ, გაეროსა და მისი სპეციალიზებული ინსტიტუტების (საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი) შტაბ-ბინები და სხვა მრავალი;

- **ჩიპიტსი** (დიდი ტბების რაიონი) აშშ-სა და კანადაში, მოიცავს 4 დიდ ქალაქს (ჩიკაგო, დეტროიტი, პიტსბურგი და კლივლენდი). მისი მოსახლეობა 35 მილიონია, ფართობი — 160 ათასი კმ^2;

- **„ლურჯი ბანანი“** ევროპაში. იგი ხატოვნად ასახავს ევროპის შე-დარებით მჭიდროდ დასახლებულ (მოსახლეობა, დაახლოებით, 110 მი-ლიონი კაცი) ინდუსტრიულ რეგიონს და მოიცავს დიდი ბრიტანეთის (მანჩესტერი, ბირმინგემი), ბელგიის (ფლამანდიის რომბი, ვალონიის ქედი), ნიდერლანდისა (სამხრეთი ნაწილი) და გერმანიის (რურის რეგი-ონი, ასევე დიუსელდორფისა და კელნი-ბონის აგლომერაცია) ტერი-ტორიებს. შემდეგ მიემართება მდ. რეინის გასწვრივ, აერთიანებს მაი-ნის ფრანკფურტს, შტუტგარტსა და შვეიცარიის გავლით იკავებს ჩრდილოეთ იტალიის ქალაქებს — ტურინს, მილანსა და გენუას.

ამ იდეის განვითარებით შემოთავაზებული იქნა ახალი მოდელი, სახელწოდებით, „ოქროს ბანანი“, რომელიც „ლურჯი ბანანს“ აგრძე-ლებს და დამატებით მოიცავს ხმელთაშუა ზღვის სანაპიროს (ქალა-ქებს: ნიცას, მარსელს, მონპელიეს, ბარსელონასა და ვალენსიას);

- **ლონდონ-ლივერპული** დიდ ბრიტანეთში;

- **სანსანი, იგივე კალიფორნიული** (სან-ფრანცისკოდან სან-დიე-გომდე) აშშ-ში, ჩრდილოეთი და სამხრეთი მეგარეგიონები. ერთ-ერთი მსხვილი სანაპირო აგლომერაცია მსოფლიოში, მოსახლეობა 40 მი-ლიონ კაცზე მეტი, სიგრძე 790 კმ, მოიცავს ნევადისა და კალიფორ-

ნიის შტატებს, ასევე მექსიკის სამხრეთ კალიფორნიის შტატს. მზიური სანსანი ხმაურიანი, საქმიანი ბოსვაშის საპირისპიროა (რომანტიკა, თავისუფლება და სიწყნარე);

• **იანძის დელტა** (იგივე, **„ოქროს სამკუთხედი“**) ჩინეთის სამხრეთში ძველი ჩინური ცივილიზაციის ცენტრია. ამჟამად იგი ეკონომიკურად კარგად განვითარებული რეგიონია ქვეყნის მშპ-ში 21%-იანი წილით. მოიცავს მსხვილ ქალაქურ (ქ. შანხაის ჩათვლით) აგლომერაციას (ფართობი 99,6 ათასი კმ^2), ცხოვრობს 80 მილიონი კაცი.

• **ჩინეთის სამხრეთ-აღმოსავლეთის მდინარეების დელტა** მოიცავს 9 ქალაქსა და 2 ადმინისტრაციულ რაიონს (მაკაო და ჰონკონგი) და ჩინეთის ერთ-ერთი დინამიურად განვითარებადი რეგიონია (მოსახლეობა 47 მილიონ კაცზე მეტი, ხოლო რეგიონის წილი ქვეყნის მშპ-ში — 9%). აქ ფუნქციონირებს ეკონომიკური ზონა, რომელზეც მოდის ჩინეთის საგარეო-სავაჭრო ბრუნვის თითქმის მესამედი. რეგიონში ჰონკონგის 75 ათასამდე საწარმოა.

7. ქალაქის განაშენიანების კონკურენტული უპირატესობები

ქალაქში ცხოვრებას რამდენიმე უპირატესობა აქვს, რომლებიც შეიძლება სამ ბლოკად დაჯგუფდეს:

1. **წარმოების მასშტაბის ეფექტი,** ანუ მომხმარებელთა საკმაოდ დიდ რაოდენობაზე მრავალფეროვანი ინფრასტრუქტურის (განვითარებული სატრანსპორტო ქსელი, კომუნიკაციები, სანიტარული მომსახურება, დასვენების ზონები, სპორტული ნაგებობები) დანახარჯების გადანაწილების შესაძლებლობა;

2. განვითარებული ინფრასტრუქტურა, რაც დიდ ქალაქებს საშუალებას აძლევს ფირმებს შესთავაზონ კლიენტებთან ფართო სპექტრის კონტაქტები და გამართული ლოგისტიკური მომსახურება. იმავდროულად, კომპანიები იღებენ შრომის დივერსიფიციულ ბაზარ-ზე შეღწევის შესაძლებლობას, სადაც აუცილებელი კვალიფიკაციის მქონე სამუშაო ძალის პოვნა უფრო შეუძლიათ;

3. ცოდნისა და გამოცდილების შეძენის შესაძლებლობა.

რა თქმა უნდა, თანამედროვე ტექნოლოგიები სამეცნიერო-ტექნიკური პრობლემების დისტანციური გადაწყვეტის საშუალებას იძლევიან, მაგრამ, ადამიანთა პირად კონტაქტებს, განსაკუთრებით საკითხის არაფორმალურ ატმოსფეროში განხილვისას, უაღრესად დიდი სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს.

მსხვილი ქალაქები ადამიანებს მაღალი შემოსავლების მიღებისა და თვითრეალიზაციის ფართო შესაძლებლობების პერსპექტივებით იზიდავს. არანაკლებ მნიშვნელოვანია მათ მიერ შეთავაზებული მომსახურების ხარისხი, განსაკუთრებით, ჯანდაცვის სფეროში.

ამასთან, დიდი ქალაქი ის სივრცეა, სადაც შეიძლება სხვადასხვა კულტურების წარმომადგენელთა ურთიერთგაგების შესაძლებლობათა პოვნა. თავის მხრივ, კროსკულტურული ურთიერზემოქმედება საზოგადოების განვითარებას საოცარ დინამიზმს ანიჭებს, მათ შორის, ეკონომიკაში საერთოდ და კერძოდ: მის ინოვაციურ შემადგენელში.

დასახელებული ფაქტორების კუმულაციური[324] და სინერგიული ეფექტები ქალაქს უფრო მიმზიდველს ხდის, უპირველესად, ეკონომიკის მეცნიერებატევად და ინოვაციურ სფეროებში. კომუნიკაციის ქალაქური ორგანიზაციის უპირატესობა იმ როლითაც მტკიცდება, რომელსაც მეგაპოლისები ქვეყნის დონეზე ასრულებენ. მათ გარეშე ქვეყნის მდგრადი განვითარება მეტად რთულია.[325]

გარდა ამისა, როგორც სამართლიანად შენიშნავს ინფორმაციული საზოგადოების ცნობილი მკვლევარი, ქალაქის სოციოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ესპანელი **მანუელ კასტელსი,** ქალაქები ისეთ ქსელურ არქიტექტურას ქმნიან, რომ სისტემა გლობალურ დონეზე ურთიერთდაკავშირებული ხდება.[326]

ეროვნულ დონეზე მეგაპოლისების უპირატესობებთან ერთად, ადამიანებისა (მათ შორის, ტალანტების) და კაპიტალის მიზიდვის გამო, მათ ძალუძთ სხვა რეგიონების დაუძლურება და ამით ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე საგრძნობი ზიანის მიყენება.

საინტერესოა მეგაპოლისების ზოგიერთი მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლის შედარება. მაგ., ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით, მშპ-ის მოცულობის მიხედვით, 2010 წლის მდგომარეობით, ლიდერობდა ვაშინგტონი ($70 419). 24 ლიდერი მეგაპოლისიდან, რომელთა აღნიშნული მაჩვენებელი 50 ათას დოლარს აღემატებოდა, 21 მდებარეობდა აშშ-ში, 2 კანადაში (კალგარი და ედმონტონი) და ერთი კორეის რესპუბლიკაში (ულსანი).

დასავლეთევროპული ქალაქებიდან მიუნხენი იყო ერთადერთი, რომლის მაჩვენებელი 51 350 დოლარს შეადგენდა. მომდევნო პოზი-

---

[324] დროის გარკვეულ პერიოდში მიღწეული დონის შეფასების მაჩვენებელი.

[325] **Бойден С., Миллар С., О'Нил Б. (1981)**. Экология городов и его люди: Гонконг. Канберра: Australian National University Press,

[326] **Брюс Б. Фрэнк Лойд Райт. (2006).** Архитектура демократии. М., ART-РОДНИК.

ციები ეკავათ პარიზს ($49 498), მაინის ფრანკფურტსა ($48 802) და სტოკჰოლმს ($48 364). საყურადღებოა მსხვილი ქალაქების ზოგიერთი სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლის შედარება ქვეყნის საერთო-ეკონომიკურ დონესთან (იხილეთ ცხრილი 3.6).

ცხრილი 3.6. მსოფლიოს 15 მეგაპოლისის წილი ზოგიერთი საერთო-ეროვნული სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლის მიხედვით (2012 წ., %)[327]

მეგაპოლისი	მოსახ-ლეობა, მლნ კაცი	პროცენტული წილი				
		მოსახ-ლეობა	მშპ	სამუშაო ძალა	დასაქ-მება	უმუშევ-რობა
ტოკიო	35,4	27,8	31,9	28,6	28,7	28,9
სეული	23,5	47,0	44,6	47,3	47,0	56,2
მეხიკო	19,8	17,1	22,9	18,2	17,9	23,9
ნიუ-იორკი	16,6	5,3	756	5,4	5,3	5,9
ლონდონი	12,1	19,1	27,8	19,3	19,3	19,9
პარიზი	11,9	18,7	30,7	19,9	20,2	17,3
ჩიკაგო	9,4	3,0	3,6	3,1	3,1	3,3
მადრიდი	6,8	14,7	18,2	15,1	16,3	11,6
ბერლინი	4,4	5,4	4,8	5,7	5,5	10,6
რომი	4,1	6,7	8,7	7,3	7,3	7,3
მილანი	4,1	6,8	11,0	7,7	8,0	5,4
ათენი	3,5	31,4	45,3	35,5	35.0	37,1
ბუდაპეშტი	2,9	28,7	47,6	31,5	32,1	26,6
სტოკჰოლმი	2,0	21,0	29,7	23,6	23,9	20,3
დუბლინი	1,7	37,9	48,3	37,4	37,7	35,9

ცხრილის მონაცემები ასახავს მეგაპოლისების წილს საერთო-ეროვნულ სოციალურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში. მოსახლეობის რაოდენობის მხრივ ყურადღებას იქცევს ტოკიო, ბუდაპეშტი და ათენი, რომელთა მოსახლეობა ეროვნული ქვეყნის მოსახლეობის თითქმის მესამედია, ხოლო დუბლინი — 2/5. ამ ფონზე გამოირჩევა სეული, სადაც ეს მაჩვენებელი 47%-ია. ანალოგიური სურათი იკვეთება მშპ-ის განაწილების მიხედვითაც. აქ ლიდერობენ ბუდაპეშტი, დუბლინი და სეული. მათზე ქვეყანაში შექმნილი მშპ-ის 2/5-ზე მეტი მოდის.

ხსენებულ განსხვავებას შრომის ნაყოფიერების სხვადასხვა დონე განაპირობებს. იგი იმ მეგაპოლისშია მაღალი, სადაც ეროვნულ ქვეყა-

[327] [http://www.archdaily.com/159763/paolo-soleris-arcosanti-the-city-in-the-image-of-man/image-30-2/]

ნასთან შედარებით, განვითარებულია წარმოებისა და მომსა-ხურების მეცნიერებატევადი და მაღალტექნოლოგიური დარგები, ხორციელდე-ბა მასშტაბური ინვესტიციები და სამუშაო ძალის პროფესიული მომ-ზადება. ამ მხრივ გამოირჩევა აშშ, სადაც მეცნიერება-ტევადი დარგები მსხვილ მეგაპოლისებშია თავმოყრილი. ეთგო-ს მონაცემებით, 114 მსხვილ ამერიკულ ქალაქში დასაქმებულთა დონე 67%-ია, მათ შორის, 81% მაღალტექნოლოგიურ სფეროში.[328]

რა განაპირობებს მეგაპოლისების მაღალ კონკურენტუნარიანო-ბას როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო დონეზე?

ინოვაციური ეკონომიკის თითქმის ყველა მკვლევარი მიიჩნევს, რომ იგი მნიშვნელოვანწილად საქალაქო ეკონომიკაა, რადგან **ცოდნის გენერაცია უმეტესად ქალაქის პრეროგატივაა. სწორედ აქ ფორ-მირდება ის ადამიანისეული, ინტელექტუალური და სოციალური კაპიტალი, რომლებიც ერთობლიობაში უზრუნველყოფს ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის ფუნქციონირებას, რაც მეგაპოლისე-ბის კონკურენტული უპირატესობების საფუძველია ეროვნულ და გლობალურ დონეებზე.**

სწორედ მეგაპოლისებშია თავმოყრილი მაღალკვალიფიციური სა-მუშაო ძალა. დღევანდელი მეგაპოლისი და საუნივერსიტეტო ქალაქი არსებითად სინონიმებია, რადგან, თითქმის, ყველა პრესტიჟული სახ-ელმწიფო ან კერძო უნივერსიტეტი და ინოვაციური ცენტრი მის ტე-რიტორიაზეა განთავსებული. აქ მუშაობენ საუკეთესო მეცნიერები და ინჟინრები, პროგრამისტები..., აქვთ მაღალანაზღაურებადი სტა-ბილური სამუშაო, მოღვაწეობის ღირსეული სოციალური პირობები, ცხოვრების მაღალი დონე და ფართო საერთაშორისო კავშირები.

აღნიშნულს ადასტურებს მსოფლიოში აღიარებული სამეცნიერო-სასწავლო ცენტრების კონცენტრაცია ევროპის (განსაკუთრებით სკან-დინავიის ქვეყნების დედაქალაქების: სტოკჰოლმის, ოსლოს, კოპენჰა-გენის, ჰელსინკის), აზიისა (სეული) და აშშ-ის (სან-ხოსე — სან-ფრან-ცისკო — ოკლენდის აგლომერაცია) ტერიტორიებზე.

თანამედროვე მსოფლიოში ადამიანებს, ფირმებსა და სახელმწი-ფოებს შორის ურთიერთობის სხვადასხვა ფორმები — სამეცნიერო კვლევების სფეროში ე.წ. ღია ტექნოლოგიები, ინტელექტუალური სა-კუთრების დაცვა და სხვა — ინოვაციური პროცესის განუყოფელი ნა-წილია. უნივერსიტეტები და კვლევითი კომპლექსები, სპეციალი-

[328] **Джакобс Д. (1996).** Смерть и жизнь больших американских городов. М., Вашингтон: Island Press.

ზებული მომსახურების ფართო სპექტრი (ფინანსური, იურიდიული, მარკეტინგული, კონსულტაციური და ა.შ.), განვითარებული ინფრასტრუქტურა, კომუნიკაციის უახლესი საშუალებები, ყველაფერი ეს თანამედროვე მეგაპოლისების დამახასიათებელი ნიშნებია.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ მსხვილი ქალაქები, უპირველესად დედაქალაქები, ეკონომიკური და პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების ცენტრებია. შედეგად ისინი ამგვარი თანამშრომლობის იდეალური ადგილებია როგორც ქვეყნის, ისე საერთაშორისო დონეზე.

მსხვილი საქალაქო აგლომერაციების უპირატესობა ერთ სულ მოსახლეზე წარმოების მოცულობის მიხედვითა და რიგი ფაქტორებით აიხსნება:[329]

1. **აგლომერაციული ეკონომიკა** ხელს უწყობს მსხვილ მეგაპოლისებში განთავსდეს კორპორაციების შტაბ-ბინები. იგი უზრუნველყოფს რესურსების ფართო არჩევანს და ქმნის ინფრასტრუქტურისა და საქმიანი მომსახურების სათანადო პირობებს.

აგლომერაციული ეკონომიკური ეფექტის მნიშვნელობა დადებით კორელაციაშია მეგაპოლისების ზომებთან და შემოსავლებთან, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა მათში ეროვნული მშპ-ის 20%-ზე მეტია კონცენტრირებული;

2. მეგაპოლისების უპირატესობას განაპირობებს მათი **სპეციალიზაცია და დივერსიფიკაცია, სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო საქმიანობის კონცენტრაცია და ინოვაციების გენერირება** (ეთგო-ს ქვეყნებში პატენტების 80%-ზე მეტი ქალაქებში რეგისტრირებულ განაცხადებზე მოდის);

3. მეგაპოლისებში მაღალია ფიზიკური კაპიტალი (კომპანიების ტექნიკური მოწყობილობები, შენობები და ინფრასტრუქტურის ობიექტები) **და ინტელექტუალური პოტენციალი**. მრავალი მეგაპოლისის პერსონალი უფრო კვალიფიციურია. განვითარებულია სატრანსპორტო და ტელეკომუნიკაციური ინფრასტრუქტურაც.

ამასთან, მიუღებელია მეგაპოლისების შესაძლებლობების გადაჭარბებული შეფასება. სიტყვები **„მეგაპოლისი“ და „წარმატება“ ყოველთვის არაა სინონიმები, კერძოდ:**

- **ზოგიერთი მეგაპოლისის დონე საშუალო-ეროვნული პარამეტრისას ჩამორჩება,** მაგ., ბერლინი (გერმანია), ფუკუოკა (იაპონია), ლილი (საფრანგეთი), ნეაპოლი (იტალია), პიტსბურგი (აშშ);

---

[329] **Бойден С., Миллар С., О'Нил Б. (1981).** Экология городов и его люди: Гонконг. Канберра: Australian National University Press.

• მეგაპოლისები **უმუშევრობის მსხვილი და მდგრადი კერებია.** ამ პარამეტრით, ეთგო-ს ქვეყნების მეგაპოლისების მესამედში უმუშევრობის დონე ქვეყნის საშუალო დონეზე მაღალია;

• ეთგო-ს ქვეყნების უმრავლესობაში **სიღარიბე ტიპური მოვლენაა.** სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობა მეგაპოლისების საერთო სენია. იმიგრანტები და მათი შთამომავლები შედარებით ნაკლებად დაცულია. მრავალ მათგანს არ ჰყოფნის პროფესიული კვალიფიკაცია;

• სიღარიბე და სოციალური უთანასწორობა რიგ პრობლემებს წარმოშობს, კერძოდ, მსხვილ ქალაქებში **დანაშაულის დონე საერთოეროვნულთან შედარებით 30%-ით მაღალია;**

• **მოსახლეობის სიჭარბისა და სატრანსპორტო სისტემის გადატვირთულობის გამო, დანახარჯები დიდია** (წყლისა და ჰაერის გაჭუჭყიანება, მტვერი, ხმაური, გამწვანების დეგრადაცია);

• **უარყოფითი ეკონომიკური აგლომერაციული ეფექტი**. პრინციპი — „დიდი, მაშასადამე, მდიდარი“ — მხოლოდ გარკვეულ საზღვრამდე მოქმედებს (დაახლოებით, 7 მილიონ მცხოვრებლამდე), რომლის ზემოთ მეგაპოლისის ზომებსა და შემოსავლების დონეს შორის კორელაცია უარყოფითია. აღნიშნულის მაგალითია სეული, მეხიკო, სტამბოლი და ტოკიო.

ინოვაციურ განვითარებაში თავისი წვლილი შეაქვთ იმიგრანტებს, რადგან ისინი, ძირითადად, მსხვილ ქალაქურ აგლომერაციებში სახლობენ. 2009 წლის მონაცემებით, აშშ-ში ჩასულთა 85% ამ ქვეყნის 100 მსხვილ ქალაქში ცხოვრობდა. რა თქმა უნდა, იმიგრანტები მაქსიმალურად ცდილობენ იმ სივრცეში დამკვიდრებას, სადაც შრომითი მოწყობის, შრომის ანაზღაურებისა და ცხოვრების უკეთესი პირო-ბებია. ხშირ შემთხვევაში, ისინი, ინოვაციური ბიზნესის თვალსაზრი-სით, შესაშურ აქტიურობასაც კი იჩენენ.

მარკ კაუფმანის საქველმოქმედო ფონდის (აშშ) მონაცემებით, 2012 წელს სილიკონის ველში იმიგრანტებმა შექმნეს ახალი საწარმოების 44%, მათ შორის 45% მეცნიერებატევადი დარგების, ხოლო 22% პროგრამული უზრუნველყოფის ფირმები. ჯამში აშშ-ში ამ საწარმოებმა დამატებით უზრუნველყვეს 560 ათასი სამუშაო ადგილი, 63 მილიარდი დოლარის გაყიდვების მოცულობით.

ქვეყნების მსგავსად, ქალაქებისთვის ინოვაციის სხვადასხვა სახეობები — ახალი პროდუქციის შექმნა, ბიზნესმოდელებისა და ტექნოლოგიური პროცესების დამუშავება, — ეკონომიკური განვითარების, დასაქმების ზრდის, შემოსავლების გადიდებისა და კონკურენტუნარი-

ანობის ამაღლების მძლავრი სტიმულია. სამეცნიერო-კვლევით დამუშავებათა შედეგებისა და ცოდნის ეკონომიკის ეფექტურობის განსაზღვრა შეიძლება გამოგონებაზე რეგისტრირებული პატენტების რაოდენობით შეფასდეს. საქმიანობის ამ სფეროშიც დამახასიათებელია მსხვილი ქალაქების მაღალი ხარისხის კონცენტრაცია, თუმცა აღმოჩენები და გამოგონებები პერიფერიებშიც შესაძლოა განხორციელდეს.

მთლიანობაში ეთგო-ს ქვეყნებში პატენტებზე განაცხადების 81% (აშშ-ში 90%) აგლომერაციების მოსახლეობაზე მოდის.

ამასთან, აშშ-ში მათი უმრავლესობა (63%) 20 უმსხვილეს ქალაქზე ვრცელდება, სადაც ქვეყნის მოსახლეობის 34% ცხოვრობს.

2007—2011 წლებში ყველაზე მაღალი საპატენტო აქტიურობა დაფიქსირდა ქ. სან-ხოსეში (კალიფორნიის შტატი, აშშ).[330]

პატენტების საერთო რაოდენობაში მეგაპოლისების მაღალი წილი მრავალ ქვეყანას ახასიათებს. ამ მაჩვენებლის მიხედვით ლიდერობს კოპენჰაგენი (დანია). მასზე მოდის დანიაში რეგისტრირებული საპატენტო განაცხადების თითქმის 60%. ეს მაჩვენებელი სტოკჰოლმში შეადგენს 37%-ს, პარიზში — 36, ხოლო ტოკიოში —34%-ს.

საპატენტო საქმიანობის ინტენსიურობის მიხედვით 10 ათას მცხოვრებზე გაანგარიშებით დიდ ქალაქებს შორის მოწინავეთა სამეული ასეთია: შტუტგარტი — 6,28% (გერმანიაში საშუალოდ 2,07%), მიუნხენი — 4,94 და კოპენჰაგენი — 3,72%.

მეცნიერებატევადი დარგებიც მსხვილ მეგაპოლისებშია კონცენტრირებული. მაგ., ეთგო-ს მონაცემებით, 114 უმსხვილეს ამერიკულ ქალაქში დასაქმებულია მოსახლეობის 67%, რომელთა შორის 81% მაღალტექნოლოგიურ დარგებში მუშაობს.

მსხვილ ქალაქებშია შესაძლებელი კრეატიული ინდუსტრიის ინტენსიური განვითარება. როგორც წესი, მსხვილ ქალაქებში შემოქმედებით შრომაში დასაქმებულთა წილი ეროვნულ დონესთან შედარებით გაცილებით მაღალია. სწორედ ამ თავისებურებამ წარმოშვა ახალი, „კრეატიული კლასის“ თეორია.

გიგანტური ქალაქების მშენებლობა დღესაც აქტიურად გრძელდება, განსაკუთრებით აზიაში. ბრიტანულ-ჩინურმა საკონსტრუქტორო ბიურომ დაამუშავა ახალი მეგაპოლისის პროექტი (სახელწოდებით „მცურავი ქალაქი“) თავისი ქუჩებით, კვარტლებითა და მიკრორაიონებით. იგი ერთიანი საცხოვრებელი სივრცეა თავისი ცათამბრჯენებით, მრავალბინიანი სახლებით, კერძო ვილებით, ადმინისტრაციული შენობებით, ოფისებით, სასტუმროებით, მაღაზიებით...

8. მეგაპოლისების განვითარების ფაქტორები და საკვანძო ფუნქციები

და მაინც, რამ განაპირობა მეგაპოლისების ასეთი სწრაფი განვითარება და რა ფუნქციებს ასრულებენ ისინი დღეს?

მსოფლიო მეურნეობის გლობალიზაციამ და ეკონომიკური ინტეგრაციის გაღრმავებამ მსხვილი მეგაპოლისების ფორმირების პირობები შექმნეს. სხვადასხვა კონტექსტში მეგაპოლისი განიხილება, როგორც ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული, თვითმართვადი საზოგადოება, სოციალურ-კულტურული ორგანიზმი, ეკონომიკური სუბიექტი, ეკოლოგიური ორგანიზმი არქიტექტურულ-ლანდშაფტური ან ინფრასტრუქტურული კომპლექსი.

მეგაპოლისების განვითარების ფაქტორებია:

1. **მოსახლეობის სწრაფი ზრდა და ურბანიზაციის ინტენსიფიკაცია.** გაეროს პროგნოზით, 2050 წლისთვის მსოფლიო მოსახლეობა 9 მილიარდს გადააჭარბებს. ამასთან, მოსახლეობა უმეტესად განვითარებად ქვეყნებში მოიმატებს. ამ დროისთვის მოსალოდნელია ქალაქის მოსახლეობა სოფლის მოსახლეობაზე 2-ჯერ მეტი იყოს.

2. განვითარებადი ქვეყნების პოსტინდუსტრიულ ეკონომიკაზე გადასვლა. მომსახურების სფეროს წილის გადიდება განსაზღვრავს განვითარებად ქვეყნებში მეგაპოლისების როლის ტრანსფორმაციას.

3. სატრანსპორტო სისტემის განვითარება. იგი ხელს უწყობს მსოფლიო მეურნეობის სივრცობრივი სტრუქტურის ევოლუციას, ეკონომიკის ინტერნაციონალიზაციას, რეგიონთაშორისი და ტრანსნაციონალური კავშირების განვითარებასა და განმტკიცებას.

4. გლობალური საინფორმაციო-კომუნიკაციური სივრცის ფორმირება, რაც უზრუნველყოფს საქმიან აქტიურობას და დამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლებას.

თანამედროვე მეგაპოლისების მეცნიერულ შესწავლაში რამდენიმე ამოცანა იკვეთება, კერძოდ, როგორ განისაზღვროს საკვანძო მეგაპოლისები და რა თვისებებით ხასიათდებიან ისინი?

ამ მიმართებით მეგაპოლისების შეფასებისა და რანჟირების ორი საკვანძო მიდგომა არსებობს:

1. **ფუნქციური — მეგაპოლისების შეფასება მათი ფუნქციების მასშტაბურობისა და მნიშვნელობის მიხედვით.** როგორც წესი, გამოიყენება ინდიკატორების კომპლექსური ნაკრები;

---

[330] Повышение устойчивости городов к бедствиям. Женева, 2012, 104 с.

2. **სისტემური — მეგაპოლისების მნიშვნელობის განსაზღვრა გლობალურ სისტემაში ინტეგრაციის ხარისხის მიხედვით.**

ფუნქციური მიდგომის უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ ანალიზისთვის გამოიყენება ოფიციალური წყაროებიდან მიღებული (მაგ., სტატისტიკისა და აღრიცხვის სახელმწიფო ორგანოებიდან) რაოდენობრივი მონაცემები. თუმცა, ხშირად, მუნიციპალური წარმონაქმნების ჭრილში და, მით უფრო, აგლომერაციების მიხედვით, აუცილებელი მონაცემების მიღება ყოველთვის ვერ ხერხდება.

მოცემული მიდგომის ჩარჩოებში კვლევას ართულებს ცალკეული მეგაპოლისის სწრაფი ექსტენსიური ზრდა, ასევე სივრცითი და ადმინისტრაციული საზღვრების ბუნდოვანება. მეგაპოლისების დინამიური განვითარება მასთან ახლოს განლაგებული ქალაქების შემოერთებას იწვევს. იურიდიულად ისინი გამოცალკევებულ ადმინისტრაციულ ერთეულებად რჩებიან, მაგრამ, ფაქტობრივად, სამეურნეო საქმიანო-ბის თვალსაზრისით, გარკვეულ მთლიანობას წარმოადგენენ. მაგ., ტოკიოს მოსახლეობა 8 მილიონია, დიდი ტოკიოს აგლომერაციისა — 12, ხოლო მეგაპოლისს ტოკოჰამასი (ტოკიო, იოკო-ჰამა, კავასაკი და ჩიბა) — 34 მილიონი.

ქალაქი, რომელსაც გლობალურ ეკონომიკაში საკვანძო მნიშვნელობა აქვს, შეიძლება არსებითად განსხვავდებოდეს ისეთი მაჩვენებლების მიხედვით, როგორიცაა მოსახლეობის რაოდენობა, სიმჭიდროვე, ფართობი, ინფრასტრუქტურის განვითარების დონე.

თანამედროვე პირობებში ქალაქის მოსახლეობის არც რაოდენობა და სიმჭიდროვე, არც მისი ტერიტორიის ფართობი და დედაქალაქის სტატუსი არ უზრუნველყოფს საკვანძო როლს გლობალურ ეკონომიკაში. რა თქმა უნდა, მსხვილი და მჭიდროდ დასახლებული ქალაქები მეტად მნიშვნელოვანია ეკონომიკური თვალსაზრისით, რაც რამდენადმე განპირობებულია აგლომერაციული უპირატესობებითა და რესურსების ოპტიმალური განაწილების შესაძლებლობებით. თუმცა, დამოკიდებულება ქალაქის ზომებსა და მის ფუნქციურ მნიშვ-ნელობას შორის არაპირდაპირია.

მრავალი ქალაქი ფართობითა და მოსახლეობის რაოდენობით მეგაპოლისია, თუმცა, არ არის **გლობალური, ანუ მსოფლიო პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების პროცესებზე არსებითი გავლენის მქონე.**

აღნიშნულის მაგალითია ისეთი საქალაქო აგლომერაციები, როგორებიცაა კალკუტა, დაკა და ყარაჩი. ისინი მნიშვნელოვან ტერიტორი-

ებს ფლობენ და მოსახლეობაც სოლიდური ჰყავთ (13-15 მილიონი), მაგრამ არც ერთ სერიოზულ სამეცნიერო კვლევაში საკვანძო მეგაპოლისებად არ მოიხსენებიან. იმავდროულად, ციურიხი (მოსახლეობა 391 ათასი, აგლომერაციაში — 1,2 მილიონი კაცი, 2012) ერთ-ერთ შედარებით გავლენიან ქალაქად მიიჩნევა, რომელიც ტრადიციული გაგებით, არაა მეგაპოლისი.

მრავალი მეგაპოლისი, რომლებიც მაღალი დონის სპეციალურ კვლევებში იდენტიფიცირებულია როგორც გლობალური ეკონომიკური სივრცის საკვანძო ცენტრები, განვითარებულ და ახალ ინდუსტრიულ ქვეყნებშია განლაგებული. ისინი წარმოებისა და მოხმარების ისეთი ცენტრებია, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ გლობალურ ბაზრებზე, სრულად იყენებენ შრომის საერთაშორისო დანაწილების უპირატესობებსა და ეკონომიკური აქტიურობის ვირტუ-ალურ მეთოდებს, ხასიათდებიან რესურსების ძალიან მაღალი კონცენტრაციით, ინფრასტრუქტურის შესაძლებლობებითა და ელემენტებით, გლობალურ სოციალურ-ეკონომიკურ სისტემაში მნიშვნელოვანი ფუნქციური როლის შესრულებით.

განვითარებადი ქვეყნების მეგაქალაქებს ახასიათებთ დიდი სოციალური პოლარიზაცია, განაშენიანების ტერიტორიის ექსტენსიური გაფართოება, მოსახლეობის დინამიური ზრდა და შეზღუდული ფინანსური რესურსები.

ზოგჯერ ასეთი მეგაქალაქები ეროვნულ ეკონომიკებში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ (მაგ., ქ. ლიმა 9 მილიონიანი მოსახლეობით, პერუს მშპ-ის თითქმის ნახევარს აწარმოებს), თუმცა, მსოფლიო განვითარების გლობალურ პროცესებში არ არიან ჩართული.

მეგაქალაქებისაგან განსხვავებით, მეგაპოლისებს ახასიათებთ რაოდენობის (რესურსების, კავშირების, ინფრასტრუქტურის ელემენტების) ხარისხში გადაზრდა, რაც გლობალური ეკონომიკის სისტემაში წამყვანი პოზიციების განმსაზღვრელია.

მიუხედავად იმისა, რომ ანალიზისთვის ირიბი კრიტერიუმების გამო, სისტემურ მიდგომას ხშირად აკრიტიკებენ, იგი უფრო მეტად პასუხობს გლობალური განვითარების თანამედროვე ტენდენციებსა და იმპერატივებს, კერძოდ, წარმოების არამატერიალური ფაქტორების მნიშვნელობის ზრდას, ინფორმაციული გაცვლის ინტენსიფიკაციას, ეკონომიკის ვირტუალიზაციასა და ექსტენსიურ გაფართოებას, მატერიალური და არამატერიალური ქსელების სიმჭიდროვესა და კომპლექსურობას.

.

საქალაქო აგლომერაციების განვითარების მრავალასპექტიანი პროცესები უცილობლად წარმოშობს კომპლექსური მიდგომის აუცილებლობას. მეგაპოლისების საქმიანობის საანალიზოდ შეიძლება ორი საკვანძო სფერო გამოიყოს:

1. ფუნქციები და ინფრასტრუქტურა;
2. გლობალურ ეკონომიკურ პროცესებში ჩართულობის დონე და ურთიერთობის ხასიათი.

საქალაქო აგლომერაციების განვითარების თანამედროვე ტენდენციების ანალიზი საშუალებას გვაძლევს ჩამოვაყალიბოთ თანამედროვე მეგაპოლისისთვის დამახასიათებელი შემდეგი ფუნქციები:

1. **კომანდურ-ადმინისტრაციული ფუნქცია,** რომელიც განპირობებულია გლობალური პროცესების მართვის განმხორციელებელი საკვანძო ინდივიდების, ინსტიტუტებისა და ორგანიზაციების კონცენტრაციით. ისინი წარმოშობენ ახალ ტენდენციებსა და მიგვანიშნებენ კაცობრიობის განვითარების საკვანძო ვექტორებს, განსაზღვრავენ საქმიანი აქტიურობის ფორმებსა და მეთოდებს, ფუნქციონირებენ, როგორც გადაწყვეტილების მიმღები ცენტრები, წარმოადგენენ მსხვილი კორპორაციების სათაო ორგანიზაციებისა და შტაბ-ბინების, ეროვნული და საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების, მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების ზენაციონალური მნიშვნელობის დაწესებულებათა განთავსების ადგილს.

მსოფლიო მასშტაბით რესურსების კონცენტრაციის გამო, მეგაპოლისები ინოვაციური პროდუქტების წარმოების, ახალი სახეობის საქმიანობის, განაწილებისა და მოხმარების გენერაციის ცენტრებია, რითაც გლობალურ სივრცეში მათი კომანდური ცენტრების სტრატეგიული მდგომარეობა უზრუნველყოფილია.

2. **ორგანიზაციულ-ინსტიტუციური ფუნქცია,** უპირველესად, გამოისახება ნორმებისა და ინსტიტუციების კომპლექსების ფორმირებაში, რომლითაც განპირობებულია გლობალური ეკონომიკის ფუნქციონირება შესაბამისი იმპერატივებითა და განვითარების ვექტორებით. მეგაპოლისები ის ტერიტორიებია, სადაც ტრანსნაციონალური ეკონომიკური აგენტების სამართლებრივი და არაფორმალური ურთიერთობები მატერიალიზდება და სპეციფიკურ ფორმებს იღებს. გარდა ამისა, მსხვილი საქალაქო აგლომერაციები ქმნიან პირობებსა და მექანიზმებს და იმ სივრცეს აყალიბებენ, სადაც ადმინისტრაციული, არასამთავრობო და არაკომერციული სტრუქტურების, ბიზნესისა და მოსახლეობის, სხვადასხვა სოციალური ჯგუფების ურთიერთზემოქმედება ხორციელდება.

3. **სერვისული ფუნქცია** მდგომარეობს იმაში, რომ ისინი მსურველებს სთავაზობენ განვითარებულ ინფრასტრუქტურას, რაც აუცილებელია გლობალური პროცესების შესასრულებლად და ამით უზრუნველყოფენ ეკონომიკური სუბიექტების ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ-კულტურულ და ინფორმაციულ ურთიერთზემოქმედებას.

საკვანძო მეგაპოლისები ხასიათდებიან განვითარების მაღალი დონით და ინფრასტრუქტურის კონცენტრაციით, რის გამოც დანარჩენ ტერიტორიებთან შედარებით, ეკონომიკური აგენტებისთვის მიმზიდველნი ხდებიან.

მეგაპოლისების სერვისული ფუნქცია ასევე რეალიზდება ტრანსნაციონალური ეკონომიკის მომსახურების პროცესში მეოთხე სექტორის (ინფორმაციული) კონცენტრაციის შედეგად. მოცემული სექტორი წარმოდგენილია ცოდნის ეკონომიკის ისეთი სპეციალიზებული სფეროებით, როგორებიცაა ინფორმაციული ტექნოლოგიები, ტელეკომუნიკაცია, განათლება, სამეცნიერო კვლევები და დამუშავებები, ასევე ბიზნესპროცესების მხარდაჭერის მომსახურებანი (შუამავლობა, რეკლამა, აუდიტი, ფაქტორინგი, აუთსორსინგი, კონსალტინგი და ა.შ.).

4. **სოციოკულტურული ფუნქცია** მრავალმხრივია და მოიცავს ესთეტიკური და ქცევითი ნორმების გავრცელებას; მულტიკულტურალიზმის უზრუნველყოფასა და მხარდაჭერას, ტოლერანტობას; ცხოვრების სტილისა და ხარისხის საერთო პლანეტარული სტანდარტების გენერაციას; სამოქალაქო საზოგადოების ფასეულობებისა და იდეალების განვითარებასა და განმტკიცებას.

საკვანძო მეგაპოლისებში, რომლებიც, როგორც წესი, მრავალეროვნულია, განლაგებულია ზეეროვნული დანიშნულების დაწესებულებები და კულტურის ობიექტები, სადაც ხდება მნიშვნელოვანი მოვლენები ისეთ სფეროებში, როგორიცაა მოდა, ხელოვნება, შოუ-ბიზნესი... ასეთ ქალაქებშია განთავსებული მსხვილი საერთაშორისო მასმედიის ოფისები. ისინი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ტურისტების მნიშვნელოვან ნაკადებს იზიდავენ.

5. **ინტეგრაციული ფუნქცია** ვლინდება იმ შესაძლებლობების მიცემაში, რომელსაც მეგაპოლისები იმ ტერიტორიებისთვის ავლენენ. მსხვილი საქალაქო აგლომერაციები, რომლებიც პოლიტიკურ-ეკონომიკური საკითხების გადაწყვეტაში სულ უფრო მეტ დამოუკიდებლობას იძენენ, მეგაპოლისებთან ურთიერთკავშირის სისტემას აყალიბებენ და ამით გლობალური რესურსების მიზიდვის ორგანიზაციულ-ინსტიტუციურ მექანიზმებს უზრუნველყოფენ.

6. **ინოვაციური ფუნქცია** გულისხმობს: ეკონომიკის მოწინავე დარგებში ინოვაციების უწყვეტი გენერაციისა და ტრანსლაციის პირობების შექმნას, ტექნოლოგიური და მმართველობით ინოვაციური გარემოს ფორმირებას; ახალი სახეობის საქმიანობისა და სხვადასხვა პროცესების ორგანიზაციული, სოციალური და ინსტიტუციური ფორმების დანერგვას; მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალის, საგანმანათლებლო სტრუქტურების კონცენტრაციას, ექსპერტული საზოგადოების არსებობას; ინოვაციური ცენტრის როლის შესრულებას.

7. **ინფორმაციულ-კომუნიკაციური ფუნქცია** ხორციელდება ინფორმაციის წარმოებით, დაგროვებითა და გავრცელებით, ასევე ინფორმაციული ნაკადების ოპტიმიზაციით, ყველა ეკონომიკური სუბიექტის მასობრივი კომუნიკაციის უზრუნველყოფით.

8. **სივრცით-ორგანიზაციული ფუნქცია** მდგომარეობს იმაში, რომ მეგაპოლისები ის სისტემებია, სადაც ბუნების, ტექნიკისა და ადამიანის ურთიერთზემოქმედების მექანიზმები მუშავდება, ხდება ტერიტორიებისა და რესურსების ეფექტური გამოყენება, ობიექტების სივრცითი განლაგების ახალი ფორმების დანერგვა, გარემოსთან მდგრადი განვითარების ჰარმონიაში ინოვაციური პროგრამების რეალიზაცია.

გარდა ამისა, მეგაპოლისები საკვანძო როლს ასრულებენ გლობალური ეკონომიკის სივრცით-ტერიტორიულ ორგანიზაციაში, განსაზღვრავენ ეკონომიკური აგენტების ლოკალიზაციის პირობებს.

მეგაპოლისების დასახელებული ფუნქციები ურთიერთდაკავშირებულია, თუმცა აგლომერაციის ცალკეულ ქალაქებში ისინი სხვადასხვა ხარისხით რეალიზდება. ამა თუ იმ ფუნქციის მოჭარბებულობა მეგაპოლისის სპეციფიკის განმსაზღვრელია და გლობალური ურთიერთზემოქმედების სისტემაში მისი როლის მაკონკრეტებელი (მაგ., კულტურული მეგაპოლისი, ფინანსური ცენტრი და სხვ.).

ზოგადი დასკვნა ასეთია: თანამედროვე მეგაპოლისი წარმოადგენს დინამიურად განვითარებად კომპლექსურ სისტემას, რომელიც გლობალური და ლოკალური მასშტაბებით სოციალურ-ეკონომიკურ და ბუნებრივ პროცესებს შორის ურთიერთზემოქმედებას ახორციელებს.

გლობალურისა და ლოკალურის დიალექტიკა გამოიხატება, ერთი მხრივ, სივრცითი ფაქტორების როლის დასუსტებაში (მაგ., მრავალი საქმიანი საკითხი ელექტრონული კომუნიკაციის დახმარებით წყდება), ხოლო, მეორე მხრივ, საკვანძო პროცესების, ნაკადებისა და სიმბოლოების (მაგ., მსხვილ ქალაქში საერთაშორისო ორგანიზაციების ოფისების კონცენტრაცია) მეშვეობით.

მეგაპოლისები განუწყვეტლივ განიცდიან გლობალური პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და ბუნებრივი პროცესების გავლენას. იმავდროულად, ხშირად თვითონვე ინიცირებენ ცვლილებებს, აჩვენებენ კაცობრიობის განვითარების განმსაზღვრელ მთავარ ვექტორებსა და ტენდენციებს. თანამედროვე საქალაქო აგლომერაციების დინამიურობა და მრავალასპექტიანობა გამოისახება არა მარტო მათი ზომების კოლოსალურ გაფართოებაში, მოსახლეობის მაღალ კონცენტრაციაში, დიდი ოდენობის მრავალფეროვან რესურსებში, განვითარებულ ინფრასტრუქტურაში, არამედ ეკონომიკური და პოლიტიკური პოტენციალის გადიდებაში.

მეგაპოლისები გვევლინებიან საჯარო მმართველობის ზეგავლენის შემცირების უხილავ სუბიექტებად, რადგან მათ ტერიტორიებზე მიმდინარე მრავალი პროცესი ადგილობრივ დონეზე რეგულირდება. ამიტომ, მეგაპოლისების მნიშვნელობის ამაღლება და სამეურნეო სუბიექტებისა და პოლიტიკური აქტიორების რანგში მათი დამოუკიდებლობის გაძლიერება, გლობალური პროცესების განვითარებაზე საქალაქო აგლომერაციების ზემოქმედების შესწავლა, კიდევ უფრო აქტუალური ხდება.

9. მეგაპოლისების კლასიფიკაცია და პრობლემები

მიუხედავად იმისა, რომ ყოველი მეგაპოლისი უნიკალურია, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი წარსულით, დღევანდელობითა და პრობლემებით, გარკვეული ნიშნებით მაინც შესაძლებელია მათი დაჯგუფება.

ქალაქის სივრცითი ორგანიზაციის თვალსაზრისით, მეგაპოლისების განვითარების სამი ტიპი არსებობს, რომლებიც სამეურნეო-ეკონომიკური სპეციალიზაციითა და საქმიანობის თავისებურებებით გამოირჩევიან, ესენია:

- **მსოფლიო ატლანტიკური ქალაქები,** რომლებსაც გლობალური კავშირები ახასიათებს. მათ უარი თქვეს ინდუსტრიულ წარმოებაზე, გადასცეს იგი სხვებს და კონკურენციაში ჩაერთნენ მომსახურების სფეროში. ასეთი ტიპის ქალაქის საუკეთესო ნიმუშია ლონდონი და ნიუ-იორკი. სწორედ ისინი წარმოადგენენ მსოფლიო გეოეკონომიკის მართვის ცენტრებს. მაღალ დონეზე აქვთ განვითარებული საფინანო-საბანკო მომსახურება და თავისუფალი შემოქმედებითი ინდუსტრია. მოითხოვენ მაღალგანვითარებულ ინტელექტუალურ რესურ-

სებს. ახასიათებთ მოსახლეობის შემოსავლების მაღალი პოლარიზაცია. სატრანსპორტო გადატვირთულობა კი მსოფლიო ქალაქების საერთო სენია;

• **ცენტრალური ევროპის ეკოლოგიური ცენტრები,** რომელთა მაგალითია გერმანიის, შვეიცარიისა და საფრანგეთის ქალაქები. მათი განვითარება 1990-ან წლებში გამოირჩეოდა ინოვაციების დიდი მიზიდულობით მდგრადი განვითარების სფეროში, განსაკუთრებით საზოგადოებრივ ტრანსპორტში. ამ ქალაქებში უპირატესია ადამიანის მოთხოვნებსა და მდგრად განვითარებაზე ორიენტაცია. ამიტომ ისინი ლიდერები არიან მოსახლეობის ცხოვრების დონითა და ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ის მიხედვით. ისტორიულად ევროპულ ქალაქებს მოჭარბებულად ახასიათებს ისეთი კულტურული ფასეულობები, როგორიცაა მუზეუმები, თეატრები, რელიგიურ-კულტურული ძეგ-ლები, პრესტიჟული მაღაზიები, საფინანსო დაწესებულებები, კაფეები, რესტორნები. ევროპული ქალაქის გულშია კულტურული ცენტრი და საგანმანათლებლო-კვლევითი დაწესებულებები;

• **აღმოსავლეთ აზიის მეგაქალაქები.** აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში ქალაქების განვითარების ტემპები უპრეცედენტოა სისწრაფის მიხედვით. ამ პროცესის შედეგია მათი გაჩენა თავიანთი უდიდესი პოლიცენტრული ურბანიზებული კომპლექსით 10 მილიონ კაცზე მეტი მოსახლეობით. ჯერჯერობით, ასეთ ქალაქებს არა აქვთ მკაფიოდ გამოხატული სპეციალიზაცია და მაქსიმალურად შესაძლებელ საქმიანობას აერთიანებენ.

თუ მეგაპოლისების კლასიფიკაციის კრიტერიუმად სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეს მივიჩნევთ, მაშინ მათი დაჯგუფება ასე შეიძლება:

❖**განვითარებული მეგაპოლისები.** მათთვის ნიშანდობლივია განვითარების შედარებით დაბალი ტემპები, მოსახლეობის სტაბილუ-რი რიცხოვნობა, ასაკოვანი მოსახლეობის დიდი წილი, ადრე შექმნილი საბაზო ინფრასტრუქტურა;

❖ **განვითარებადი მეგაპოლისები.** მათ მიეკუთვნება ის ქალაქები, სადაც მოსახლეობის მიგრაციის გამო, განვითარების წლიური ტემპები მაღალია (საშუალოდ, 3-6%), მოსახლეობის საშუალო ასაკი კი, — შედარებით დაბალი, დამახასიათებელია სოციალური უთანასწორობაც (დიდი განსხვავება შემოსავლებში და ჯანდაცვის მომსახურების ხელმისაწვდომობაში);

❖**გარდამავალ ეტაპზე მყოფი მეგაპოლისები.** მათთვის დამა-

ხასიათებელია წლიური ზრდის შენელებული ტემპები, მიგრაციის ხარჯზე მოსახლეობის მატება, ინფრასტრუქტურული პრობლემები, დიდი ოდენობის ფინანსების ფლობა.

მეგაპოლისებისა და რეგიონების ეკონომიკებს შორის კოლოსალური განსხვავება არსებობს, რაც ბუნებრივ ეკონომიკურ პროცესებს არღვევს. ფულადი ნაკადები მეგაპოლისებისაკენ, როგორც შედარებით კეთილსასურველი რეგიონისკენ მიდის, მაშინ, როცა ქვეყნის დანარჩენი სივრცე მის უკმარისობას განიცდის. რეგიონებს უჭირთ ინვესტიციების მიზიდვა და განვითარება.

ცალკე პრობლემაა მსხვილ ქალაქებში მოსახლეობის მიგრაცია, რაც ურბანისტული სივრცის გადატვირთვას, ხოლო რეგიონებში კადრების ნაკლებობას იწვევს. მეგაპოლისები ქვეყნის სხვა რეგიონებიდან ფულად და შრომით რესურსებს ინტენსიურად იწოვენ. თუმცა, ეს პროცესი დიდხანს ვერ გაგრძელდება. წარმოიშობა რთული პრობლემები სასმელი წყლით, კვების პროდუქტებით, ელექტროენერგიითა და სხვა რესურსებით მოსახლეობის უზრუნველყოფაში. ქვეყნის ეკონომიკა ძირითადად მეგაპოლისებში კონცენტრირდება, რის გამოც ცენტრსა და რეგიონებს შორის ეკონომიკური ურთიერთობა რთულდება.

მეგაპოლისების მოსახლეობას ახრჩობს ნახშირორჟანგის გამონაბოლქვი, აშინებთ განმარტოება, სტრესები და კონფლიქტები, კვების არაეკოლოგიური პროდუქტები, ახასიათებთ ფსიქიკური აშლილობა და დროის მწვავე დეფიციტი.

სხვადასხვა მეგაქალაქში განსხვავებული პრობლემებია: ევროპაში არ ჰყოფნით მიწა და ზღვას ართმევენ (მაგ., ნიდერლანდი, მაროკო), ლათინურ ამერიკაში სერიოზული სირთულეებია სატრანსპორტო სფეროში, ჩინურ მეგაპოლისებში სასმელი წყლის დეფიციტია, ხოლო სუფთა ჰაერი პრაქტიკულად უკვე არსად აღარ არის და ა.შ.

10. მეგაპოლისების განვითარებით წარმოშობილი დილემები

ეკონომიკური უპირატესობების შერწყმა იმ პრობლემებთან, რომლებსაც მეგაპოლისების ზრდა იწვევს, გარკვეულ დილემებს წარმოშობს და სტრატეგიული არჩევანის წინაშე გვაყენებს.

I დილემა:

დადებითი თუ უარყოფითი შედეგები?

მეგაპოლისების გადიდება შესაძლოა გახდეს მისი ეკონომიკუ-

რი ზრდის მიზეზი ან შედეგი. პირველ შემთხვევაში აუცილებელია განვითარების ხელშეწყობა, მეორე სიტუაციაში კი, პასუხი უნდა გაეცეს კითხვას: მეგაპოლისების მიერ სხვა რეგიონებიდან რესურსების მიზიდვის ტენდენციას უფრო მეტი სიკეთე მოაქვს თუ ზიანი?

➢ **ურბანიზაციასა და ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლების დონეს შორის კორელაციური კავშირი ბუნდოვანია.** ამასთან, მეგაპოლისები ის ტერიტორიებია, სადაც დამახასიათებელია მნიშვნელოვანი შიდა დივერსიფიკაცია, ინოვაციურ ცენტრებად ჩამოყალიბება.

➢ **ქვეყნის სხვა ტერიტორიების მიმართ მეგაპოლისების ზემოქმედების ხარისხის დადგენა რთულია.** ერთი მხრივ, მეგაპოლისში შექმნილი სიმდიდრე მის საზღვრებს მიღმა ტერიტორიებზეც ვრცელდება; მეორე მხრივ, მეგაპოლისს სხვა რეგიონებიდან კაპიტალის (უფრო ინტელექტუალურის) „გამოწოვა“ შეუძლია.

➢ **საერთო-ეროვნული და დომინირებული რეგიონების ინტერესების ეფექტური შერწყმა ახალ სტრატეგიებს მოითხოვს**, რომლითაც დაიძლევა ტრადიციული დიხოტომია: „ცენტრი — პერიფერია“. მსოფლიო გამოცდილება აჩვენებს, რომ ყველაზე ეფექტურია არა ჩამორჩენილი რეგიონების პირდაპირი სუბსიდირება და მოწინავეთა იგნორირება, არამედ ისეთი სტრატეგია, როცა თითოეული მათგანის კონკურენტული უპირატესობა ფასდება და გამოიყენება.

➢ **მეგაპოლისსა და ქვეყნის სხვა რეგიონებს შორის თანამშრომლობის შედეგად სინერგიული ეფექტის მიღწევა.**

II დილემა:
ქვეყნის თუ დიდი ქალაქის დინამიური განვითარება?

მოსახლეობის კონცენტრაციის გამო, მეგაპოლისებმა დინამიურ განვითარებას მიაღწიეს, რაც, იმავდროულად, ცხოვრების პირობების გაუარესების მიზეზი გახდა. როგორ შეუთავსოთ ერთმანეთს ეს წინააღმდეგობა? შეიძლება ქალაქი ერთდროულად იყოს ეკონომიკურად დინამიური და საცხოვრებლად არაკომფორტული?

❖ **საცხოვრებელი ადგილის კომფორტული გარემო მის ეკონომიკურ ზრდას განაპირობებს.** უკეთესია პრობლემები თავიდანვე არ წარმოიშვას, ვიდრე შემდეგ მის გადაჭრაზე ვიზრუნოთ. მაგ., თუ ქალაქის ადმინისტრაციამ დაუშვა დაბალი ხარისხის განაშენიანება, მის აღმოსაფხვრელად გაცილებით მეტი რესურსია საჭირო, რაც ახალ პრობლემებს წარმოშობს.

❖ **ქალაქი გაცილებით კომფორტული და მიმზიდველი გახდება თუ სივრცითი დაგეგმვის დაბალანსებულ და მდგრად მიდგომას გამოვიყენებთ.** სამაგალითოდ შეიძლება სეულის მწვანე ზონები ან ლონდონის, სტოკჰოლმისა და სინგაპურის საგზაო მოსაკრებლები („გადასახადი საცობისთვის“) დასახელდეს.

III დილემა:
მასშტაბის დაცვა თუ მოქალაქეებთან სიახლოვე?

მეგაპოლისების მართვა ისეთი დამოუკიდებელი ორგანოს შექმნას საჭიროებს, რომელიც გარკვეულ გეოგრაფიულ დონეზე იმოქმედებს. ამასთან, უნდა ვივარაუდოთ, რომ ასეთი ორგანოს პასუხისმგებლობის ზონა იმდენად ფართო იქნება, რომ მოქალაქეთა კონკრეტულ პრობლემებსა და მოთხოვნილებებს ვერ ჩასწვდება. როგორ შეუთავსოთ ერთმანეთს ეს წინააღმდეგომებები?

▪ **ეთგო-ს ქვეყნებში მეგაპოლისების მართვის სხვადასხვა მოდელებია,** რომელთა შორის საუკეთესო მოდელის შერჩევა შეიძლება.

IV დილემა:
მართვის ფუნქციების განაწილება

მეგაპოლისების მართვის ორგანოები უფლებამოსილების გადიდებას, ხოლო ხელისუფლების ცენტრალური ორგანოები — მათი კონტროლის შენარჩუნებას ცდილობენ.

როგორ დავაბალანსოთ ეს ტენდენციები?

მსოფლიო პრაქტიკაში მრავალი საინტერესო და ეფექტური მექანიზმი არსებობს, რომლებშიც საფინანსო-საგადასახადო სტიმულირება წამყვან როლს ასრულებს.

11. „ევროპის კულტურული ქალაქი“

სამი ათეული წელია ევროკომისია ახორციელებს პროგრამას „ევროპის კულტურული ქალაქი“[331], რომლის მიზანია აქცენტების გადატანა ევროპული კულტურების მრავაფეროვნებასა და სიმდიდრეზე,

[331] საბერძნეთის პარლამენტის წევრის **მელინა მერკურის** (1920-1994) ინიციატივით, ევროპის ქალაქებს ერთი წლის ვადით ენიჭებათ „ევროპის კულტურული ქალაქის“ ტიტული. 2000 წლიდან ანალოგიური პროგრამებია: „არაბული სამყაროს კულტურული ქალაქი“ და „ამერიკის კულტურული ქალაქი“.

ფასეულობებისა და ისტორიული მნიშვნელობის გააზრებაზე.

დღემდე ეს ტიტული ევროპის 42 ქალაქს მიანიჭეს (პირველი იყო ათენი, იხილეთ ცხრილი 3.7). გამარჯვებული ქალაქი აირჩევა არა მისი კულტურული მემკვიდრეობის გამო, არამედ ამ ღონისძიებისთვის სპეციალურად მომზადებული პროგრამის საფუძველზე.

ცხრილი 3.7. ევროპის კულტურული ქალაქები

წელი	ქალაქი	წელი	ქალაქი (ქვეყანა)
1985	ათენი	2006	პატრი
1986	ფლორენცია	2007	სიბიუ, ლუქსემბურგი (დიდი რეგიონის სახელით)
1987	ამსტერდამი	2008	ლივერპული, სტავანგერი
1988	დასავლეთ ბერლინი	2009	ვილნიუსი, ლინცი
1989	პარიზი	2010	ესენი, სტამბოლი, პეჩი
1990	გლაზგო	2011	ტურკუ, ტალინი
1991	დუბლინი	2012	გიმარაინში, მარიბორი
1992	მადრიდი	2013	მარსელი, კოშიცე
1993	ანტვერპენი	2014	უმეო, რიგა
1994	ლისაბონი	2015	მონსი, პლზენი
1995	ლუქსემბურგი	2016	სან-სებასტიანი, ვროცლავი
1996	კოპენჰაგენი	2017	ორჰუსი, პაფოსი
1997	სალონიკი	2018	ლეუვარდენი, ვალეტა
1998	სტოკჰოლმი	2019	მატერა, პლოვდივი
1999	ვაიმარი	2020	რუმინეთი, სერბია, ირლანდია
2000	ავინიონი, ბერგენი, ბოლონია, ბრიუსელი, ჰელსინკი, კრაკოვი, პრაღა, რეიკიავიკი, სანტიაგო დე კომპოსტელა	2021	საბერძნეთი, ხორვატია, შვეიცარია
2001	პორტუ, როტერდამი	2022	დ. ბრიტანეთი, მაკედონია, თურქეთი
2002	ბრიუგე, სალამანკა	2023	ნორვეგია, ლიტვა, ბოსნია და ჰერცოგოვინა
2003	გრაცი	2024	გერმანია, უკრაინა, ალბანეთი
2004	გენუა, ლილი	2025	ავსტრია, ისლანდია, ჩერნოგორია
2005	კორკი		

„ევროპის კულტურული ქალაქის“ საპატიო წოდება ქალაქებს ევროკავშირის ინიციატივით 1985 წლიდან ენიჭებათ. პირველად კონკურსში წარმოდგენილი იყო ხუთი კულტურული ცენტრი — ათენი,

ფლორენცია, ამსტერდამი, ბერლინი და პარიზი. გაიმარჯვა ათენმა.

შემდეგ შერჩევის ვექტორი შეიცვალა — „კულტურული ქალაქის“ სტატუსი ენიჭება საშუალო სიდიდის, ისტორიულად სამრეწველო ქალაქს, რომელიც კულტურის განვითარებისთვის აძლიერებს ძალისხმევას — აუმჯობესებს ქალაქის გარემოს, ავითარებს ინფრასტრუქტურას, აშენებს კულტურულ ობიექტებს.

რას იძლევა „ევროპის კულტურული ქალაქის“ სტატუსი?

უპირველესად, კულტურული ტურიზმის განვითარების შესაძლებლობას. გარდა ამისა, დადებითი ეფექტი მოსალოდნელია მცირე ბიზნესის, კულტურისა და განათლების სფეროებში. და რაც მთავარია, ევროპის წამყვან ქალაქებს უღვივებს ინტერესს პირველობისთვის ბრძოლაში, რაც საერთო პროგრესს განაპირობებს.

დადგენილია შერჩევის პროცედურა და კრიტერიუმები, შედგენილია ევროკავშირის წევრი-ქვეყნების ქრონოლოგიური სია, რითაც განსაზღვრულია თუ რომელ წელს აქვს უფლება ქვეყანას მიიღოს პროგრამა, შექმნილია განაცხადების შემფასებელი კომისია.

პროგრამას ევროკავშირის ოფიციალური სტატუსი აქვს.

პროგრამის მისაღებად კონკურსი 6 წლით ადრე ტარდება. პროგრამას ქალაქისთვის მნიშვნელოვანი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული შედეგები მოაქვს. გარდა ამისა, დამატებითი ფინანსები, რომელიც ამ პროგრამის შესასრულებლად ქალაქს გამოეყოფა, საშუალებას აძლევს მნიშვნელოვნად განაახლოს კულტურული ობიექტები.

არჩევის პროცედურა ასეთია: 2004 წლიდან წოდებისთვის კონკურსში მონაწილეობის უფლებას იღებს რამდენიმე ქვეყანა. მათგან, კრიტერიუმების საფუძველზე, თითო ქალაქი შეირჩევა. პროგრამა ერთწლიანია, რომელსაც ხელმძღვანელობს ევროკომისია.

პროგრამის მომზადების პროცესის წარმატებით მიმდინარეობის შემთხვევაში, საერთაშორისო დამოუკიდებელი ექსპერტების რეკომენდაციების საფუძველზე, ევროკომისია ყოველ ქალაქს შესაბამისი წლის დაწყებამდე 3 თვით ადრე ფულად ჯილდოდ 1,5 მილიონ ევროს გადაურიცხავს („მელინა მერკურის პრიზი“).

პროგრამა არის უნიკალური შესაძლებლობა ქალაქის აღორძინებისა და იმიჯის გასაუმჯობესებლად.

ამ სტატუსის მიღებით ქალაქის უპირატესობებია:

- უფრო დინამიური კულტურული სფერო;
- კულტურულ ცხოვრებაში მოსახლეობის ფართო მონაწილეობა;
- ევროპული კულტურების ცნობადობის ამაღლება;

- საერთაშორისო კონტექსტში მიმზიდველი იმიჯის შექმნა;
- ეკონომიკური სარგებელი (მაგ., ინვესტიციები);
- შემომსვლელი ტურისტული ნაკადის მდგრადი ზრდა;
- დაუცველი მოსახლეობის სოციალიზაციის გაფართოება;
- ევროპისადმი კეთილსასურველი განწყობის გაძლიერება.

ამ სტატუსის არჩევის კრიტერიუმებია:

1. კულტურის მოღვაწეებს შორის თანამშრომლობის სტიმულირება (ევროპული განზომილება);

2. ევროპის მდიდარ კულტურულ მრავალფეროვნებაზე აქცენტების გადატანა (ევროპული განზომილება);

3. ევროპის კულტურული ასპექტების წინა პლანზე წამოწევა (ევროპული განზომილება);

4. პროგრამის ყველა მონაწილის (ადგილობრივი, უცხოელი) სტიმულირება (კანდიდატი ქალაქის განზომილება);

5. პროგრამის მდგრადობა ქალაქის გრძელვადიან სოციალურ-კულტურულ განვითარებაში (კანდიდატი ქალაქის განზომილება).

12. გაეროს პროგრამა „გაერო-ჰაბიტატი“

1978 წლიდან ამოქმედდა გაეროს პროგრამა „გაერო-ჰაბიტატი“,[332] რომლის მიზანია ქალაქებისა და დასახლებების სოციალურ-ეკოლოგიური მდგრადობის მხარდაჭერა.

სტიქიური უბედურების რისკების მართვის პროგრამა „ჰაბიტატი“ არის კოორდინაციული სტრუქტურა, რომელიც შექმნილია ქვეყნების მმართველობითი ორგანოების დასახმარებლად ომის ან სტიქიური უბედურების გამო მდგომარეობის აღსადგენად. საერთაშორისო ორგანიზაციებთან (წითელი ჯვარი, წითელი ნახევარმთვარე) თანამშრომლობით, პროგრამა ცდილობს ქალაქები იყოს უფრო მდგრადი, კარგად დაგეგმილი და გარემოზე მინიმალურად ზემოქმედნი.

„გაერო-ჰაბიტატი“ ფოკუსირებას ახდენს შემდეგ სფეროებზე: თავშესაფარი და მომსახურება; ქალაქის მენეჯმენტი; გარემო და ინფრასტრუქტურა; შეფასება, მონიტორინგი და ინფორმაცია.

ორგანიზაციის ყურადღების ცენტრშია ორი მთავარი მიმართულება: ყველასთვის ჯეროვანი საცხოვრისის უზრუნველყოფა და ქალაქების მდგრადი განვითარება.

---

[332] ლათ. habitabilis – საცხოვრებლად ვარგისი, დასახლებული.

1985 წელს დაწესდა „ჰაბიტატის მსოფლიო პრემია“, რომელიც კონკურსის შედეგად იმ ნოვატორულ და პრაქტიკულ პროექტებს ენიჭებათ, რომლებიც საცხოვრისის მოთხოვნებს აკმაყოფილებენ: ერთი დედამიწის ჩრდილოეთი, ხოლო მეორე — სამხრეთი ნახევარსფეროსთვის. ლაურეატებს პრემია გადაეცემათ ჰაბიტატის საერთაშორისო დღეს (ოქტომბრის პირველი ორშაბათი).

სტიქიური უბედურების შედეგად საშიშროებათა შესამცირებლად, გაერომ შექმნა სპეციალური ორგანო — „საერთაშორისო სტრატეგია“ — და 2010 წლიდან დაიწყო გლობალური კამპანია დევიზით: **„ქალაქების მდგრადობის უზრუნველყოფა – ჩემი ქალაქი ემზადება“.**[333]

საერთაშორისო სტრატეგია კოორდინაციას უწევს თანამეგობრობას, რომლის წევრებია გაეროს წევრი-ქვეყნები, სახელმწიფოთაშორისო ორგანიზაციები, საფინანსო დაწესებულებები, კერძო სექტორის წარმომადგენლები.

აღნიშნულის საფუძველზე შესაძლოა ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნას, რომ მსხვილი ქალაქები მდგრადი და უკონფლიქტო ოაზისებად წარმოვიდგინოთ. სამწუხაროდ, ეს ასე არ არის:

1. მეგაპოლისებში, როგორც მინიატურაში, მოცემულია მთელი სამყარო. ყოველ მათგანს აქვს თავისი „ჩრდილოეთი“ და „სამხრეთი“, თავისი „ცენტრი“ და „პერიფერია“, თავისი ლიდერები და აუთსაიდერები. თანამედროვე დიდი ქალაქებისთვის დამახასიათებელია მოსახლეობის სოციალურ ფენებად დაყოფა.

მკვლევართა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკა მეგაპოლისებში ხელს უწყობს შრომის ბაზრის პოლარიზაციას. საქალაქო აგლომერაციის საზღვრებიდან სამრეწველო საწარმოების გატანამ და მათ ადგილზე მეცნიერებატევადი დარგების ჩანაცვლებამ, ერთ პოლუსზე მაღალი კვალიფიკაციის, განათლებისა და შემოსავლების მქონეთა კონცენტრაცია გამოიწვია. ისინი შრომით იერარქიაში ელიტურ რაზმებად მოგვევლინა. დაბალანაზღაურებადი და სპეციალური განათლების არმქონე ადამიანები კი, პოლუსის მეორე მხარეს აღმოჩნდნენ;

2. მრავალი დიდი ქალაქისთვის დამახასიათებელია სიღარიბე, ფარული ეკონომიკა, ნაციონალური და რასობრივი ნიშნით დისკრიმინაცია და ტერიტორიული სეგრეგაცია. იმიგრანტების დიდი ნაკადი და მეგაპოლისების კულტურული მრავალფეროვნება, მკვიდრი მოსახლეობის მიერ „უცხოთა“ გაუტანლობა, ერთი მხრივ, იმიგრანტთა მიერ

[333] Повышение устойчивости городов к бедствиям. Женева, 2012, 104 с.

ხშირად სურვილის არქონა იცხოვრონ ადგილობრივი კანონებით, მეორე მხრივ, ქალაქის მმართველობას მრავალ პრობლემას უქმნის. აღნიშნული ზოგჯერ ძალის გამოყენებას იწვევს, რაც დამახასიათებელი იყო ლონდონსა (2011) და სტოკჰოლმში (2013);

3. მრავალი სიძნელე, რაც დღეს მეგაპოლისებში არსებობს, იმ პროცესებმა წარმოშვა, რომლებმაც ისინი მსოფლიო მასშტაბით ერთ-ერთ ეფექტურ და კონკურენტუნარიან მოთამაშეებად აქცია — გლობალიზაციამ და ცოდნაზე დაფუძნებულმა ეკონომიკამ;

4. თანამედროვე მსოფლიოში ინოვაციური პროცესები დიდ საქალაქო აგლომერაციებშია კონცენტრირებული. მათი მნიშვნელოვანი ინგრედიენტია ახალი ტიპის სამუშაო ძალა — განათლებული, მაღალკვალიფიციური, დინამიური, შემოქმედებითი, გამუდმებით ახლის შემქმნელი. ამ ადამიანების წყალობით თვით მეგაპოლისები კაცობრიობის ევოლუციაში უნიკალურ მოვლენად იქცევიან და სამყაროს ყველა კუთხიდან მილიონობით ახალ მსურველებს იზიდავენ;

5. მსხვილი ქალაქი სივრცობრივი განვითარების სტრატეგიის საკვანძო ელემენტია. მრავალ ქვეყანაში მათ მიმართ ეროვნული პოლიტიკა წარმოშობილი პრობლემების რეაგირებასა და გადაწყვეტის მცდელობას ეფუძნება. დღევანდელი ამოცანა მდგომარეობს არა მარტო იმაში, რომ ქალაქების საჭირბოროტო საკითხები პრიორიტეტული ეროვნული პოლიტიკის ჩარჩოში განიხილებოდეს, არამედ თანაბრად იყოს წარმოჩენილი როგორც ახალი სტრატეგიები ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეებზე.

13. ეკოპოლისური ურბსოციუმი: წარსული, აწმყო და მომავალი

ეკოპოლისის განვითარების კონცეფცია 1990-ან წლებში პირველად გააჟღერა ინგლისელმა მეცნიერმა **პოლ დაუნტონმა**. მან ეკოპოლისი დაახასიათა როგორც ურბანიზებული სისტემა, რომლის მოსახლეობა განზრახ ინტეგრირებულია ბიოსფეროს პროცესებში. ეკოპოლისი ქალაქური გარემოს ევოლუციის მნიშვნელოვანი ნაბიჯია: **„უნდა ვაშენოთ ისე, რომ ჩავეწეროთ ბუნებასთან ჰარმონიულ თანამშრომლობაში და არა კონფრონტაციაში“.**[334]

.

[334] **Даунтон П. (2009).** Экополис: Архитектура и города против изменения климата. Аделаида. С. 125.

ტერმინი „ეკოპოლისი“ შედგება სიტყვათწყობისაგან: „ეკო“ (ძვ. ბერძნული oikos სახლი, თუმცა, ტრადიციულად, გაგებულია როგორც „ეკოლოგიური“) და „პოლისი“-საგან (ქალაქ-სახელმწიფო), რომელიც ეფუძნება ადამიანთა თანაცხოვრების საზოგადოებრივ ურთიერთობებს, რაც განსაზღვრულია არა მათი დაბადების უფლებით ან რაიმე დადგენილი წესით, არამედ უკეთესი ცხოვრებისთვის საერთო მიზნების მისაღწევად. ამ სიტყვათწყობაში თუ „ეკო“ ეკოლოგიურობას მიგვანიშნებს, „პოლისი“ ქალაქის მართვაზე მიგვითითებს.

ესოდენ ფართოდ გავრცელებული ტერმინი „ეკოპოლისი“ ლოგიკურად წინააღმდეგობრივია, რადგან აბსოლუტურად ეკოლოგიური ქალაქი თითქმის არ არსებობს. იგი ხომ ადამიანმა ბუნებიდან დაშორების, საკუთარი სოციალური კომფორტის უზრუნველყოფისა და დაცვის მიზნით „გამოიგონა“?[335]

ბიოსფერო განვითარების ახალ ეტაპზე, „ნოოსფეროზე“ გადავიდა, წინა პლანზე ადამიანის გონივრულმა მოქმედებამ წამოიწია.

ტერმინი „ნოოსფერო“ საზოგადოებას პირველად შესთავაზა სორბონის (საფრანგეთი) უნივერსიტეტის პროფესორმა **ედუარდ ლერუამ** (1870-1954), რომელიც შემდეგ განავითარეს ფრანგმა გეოლოგ-პალეონტოლოგმა **პიერ ტეიარ დე შარდენმა** (1881-1955) და რუსმა მეცნიერმა **ვლადიმერ ვერნადსკიმ** (1863-1945). ამ უკანასკნელმა „ნოოსფეროს“ ცნებაში მატერიალური შინაარსი შეიტანა და მას ბიოსფეროს ახალი, უმაღლესი საფეხური უწოდა.[336]

ქალაქების, როგორც ადამიანთა დასახლების ოპტიმალური დაგეგმარებისა და სივრცითი განვითარების შესახებ მრავალმა მეცნიერმა და საზოგადო მოღვაწემ გამოთქვა თავისი კომპეტენტური აზრი და საზოგადოების განვითარების თეორია კიდევ უფრო განავითარა.

აი ზოგიერთი მათგანი:

ქალაქთა შესახებ საინტერესო ცნობები გვხვდება ელადის დიდი მოაზროვნეების **პლატონისა**[337] და **არისტოტელეს**[338] შრომებში.

---

[335] შდრ.: — **შოპენჰაუერი**: „ბუნებისთვის არსებითია მხოლოდ ჩვენი არსებობა, და არა ჩვენი კეთილდღეობა“.

[336] **Вернадский Вл. (1926).** Биосфера. Т. 1-2. Ленинград.

[337] **პლატონი** მიიჩნევდა, რომ კარგი ქალაქი 5040 მიწათმფლობელისგან, ანუ სრულუფლებიანი მოქალაქისგან უნდა ყოფილიყო დასახლებული.

[338] **არისტოტელე** თვლიდა, რომ 10 ადამიანი ვერ შექმნიდა ქალაქს, ხოლო 100 ათასიანი დასახლება, უკვე აღარ იქნებოდა ქალაქი.

რომაელი არქიტექტორი და მეცნიერ-ენციკლოპედისტი **მარკ ვიტრუვიუსი** (ძვ.წ. I ს.) მიიჩნევდა, რომ ყოველი შენობა-ნაგებობა სარგებლიანობის, სიმარტივისა და სილამაზის მოთხოვნებთან ერთად, რეგიონის კლიმატურ პირობებთან შესაბამისობაში უნდა აშენებულიყო.[339]

ჯერ კიდევ VI საუკუნეში **რომის იმპერატორ იუსტინიანეს** კოდექსში აღნიშნული იყო მოქალაქეთა კანონიერი უფლებები მზის სხივების მისაწვდომობის შესახებ (დღევანდელი ინსოლაცია[340]).

ინგლისელი სოციალისტ-უტოპისტი **ებენეზერ ჰაუარდი** (1850-1928) საზოგადოებას ეკონომიკური დამოუკიდებლობის მქონე „მწვანე“ ქალაქის იდეას სთავაზობდა.

ქალაქგანაშენიანების ჰაუარდისეული სქემა ფეხით მავალთა მიმართ სახლების, სამუშაო ადგილებისა და მომსახურების ობიექ-ტების გონივრულ მანძილზე განლაგებას ითვალისწინებდა, ხოლო მათ შორის არსებულ სივრცეს მწვანე ავენიუებით,[341] პარკებითა და ბულ-ვარებით ავსებდა (ჰაუარდის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი).

ამერიკელი არქიტექტორ-ნოვატორი **ფრენკ რაიტი** (1867-1959) თავის თეორიულ კონცეფციებში ქალაქს „ავადმყოფ გარემოდ“ თვლიდა და მას ახალი სახეობის სოფლის დასახლებით ცვლიდა. [342]

თუმცა, რაიტის იდეები XX საუკუნის ერთ-ერთი გამოჩენილი ნოვტორ-არქიტექტორის, შვეიცარიული წარმომავლობის ფრანგი დიზაინერის **ლე კორბუზიეს** (1887-1965) შეხედულებებზე ნაკლებად რადიკალური იყო და პროფესიონალთა მოწონებას იმსახურებდა. ისინი რამდენადმე წააგავდა ჰაუარდის კონცეფციას ქალაქისა და სოფლის განსახლების ჰარმონიული შერწყმის შესახებ.

რაიტი უზარმაზარ ქალაქებს ხედავდა ინდივიდუალური ერთბინიანი სახლებით განაშენიანებულს ერთი აკრის (405 კვ. მ.) ფართობზე, სადაც ოჯახს შეეძლო სუბურბანულ სტილში ეცხოვრა. ასეთ ქალაქებში ინდუსტრიული ზონა მარადმწვანე ნარგავებით იქნებოდა იზოლირებული, ხოლო კომერციული ფირმები — საცხოვრებელი რაიონების ცენტრებში განლაგებული. რაიტი არის ორგანული არქიტექ-

---

[339] ავტორი ათი წიგნისა ხუროთმოძღვრების შესახებ, რაც დღემდე გადარჩენილი ერთადერთი რომაული ტრაქტატია მშენებლობაზე.

[340] ლათ. insolo. მზის შუქით დედამიწის ზედაპირის შემოსხივება.

[341] დიდი სიგანის ქუჩა, ორივე მხარეს დარგული ხეებით, მაგ., პარიზში ელისეს (შარლზ-ელიზეს) მინდვრები (ყველაზე დიდი და ცნობილი გამზირი).

[342] **Брюс Б., Фрэнк Лойд Райт. (2006).** Архитектура демократии. М.,ART-РОДНИК.

ტურის[343] ფუძემდებელი და 700-ზე მეტი ნაგებობის პროექტისა და რამდენიმე თეორიული ნაშრომის ავტორი.

ეკოლოგიური ქალაქების განვითარების თეორიაში წონადია იტალიური წარმომავლობის ამერიკელი არქიტექტორისა და ფანატიკოს-უტოპისტის, რაიტის მოწაფის **პაოლო სოლერის** (1919-2013) წვლილი. მან გააღრმავა ქალაქდაგეგმარებისა და დიზაინის ექსპერიმენტული კვლევა და **არკოლოგიის** (ჰიბრიდი სიტყვებისა: „არქიტექტურა“ და „ეკოლოგია“) კონცეფცია წამოაყენა.

სოლერის რთული მსოფლმხედველობა და ქალაქდაგეგმარების პროექტები იდეალურ და დამოუკიდებელ საზოგადოებას ასახავენ. მისი საკამათო მეგაგეგმებისა და ექსპერიმენტული საზოგადოების განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ადამიანი ბუნებასთან ჰარმონიაში თანაცხოვრებას გადაწყვეტს.

ქალაქის მდგრადი განვითარების შესახებ განსხვავებული შეხედულება აქვს თანამედროვე ბრიტანელ არქიტექტორს **რიჩარდ როჯერსს**. იგი გვთავაზობს შენობების დემატერიალიზაციის იდეას და თვლის, რომ მომავლის შენობა საზოგადოებას უფრო ნაკლებად მოაგონებს წარსულის უცვლელ კლასიკურ ძეგლებს და იქნება „მოძრავი, მოაზროვნე და ორგანული რობოტი“. ამასთან, მეცნიერების განვითარება ბიონიკის[344] პრინციპების გამოყენების შესაძლებლობას შექმნის და უფრო მეტად ცოცხალი ბუნების თვისებებისა და ფუნქციების მქონე დასახლებები აშენდება.

---

[343] კონცეფცია, რომელიც პოპულარიზაციას უწევს ადამიანთა საცხოვრებელ გარემოსა და ბუნებას შორის ჰარმონიას. ამით შენობა-ნაგებობები და გარემო ერთი მთლიანი ურთიერთდაკავშირებული კომპოზიცია ხდება.

[344] მეცნიერება, რომელიც ცოცხალი ორგანიზმების აგებულებისა და ფუნქციების შესწავლის საფუძველზე წყვეტს საინჟინრო პრობლემებს. იგი სინთეზური მეცნიერებაა და მჭიდროდ უკავშირდება ანატომიას, ქიმიას, ფიზიკას, მათემატიკას, ელექტრონიკასა და კიბერნეტიკას. ცოცხალი ბუნების შესახებ არსებული ცოდნის საინჟინრო ამოცანათა გადასაწყვეტად გამოყენების იდეა ეკუთვნის მაღალი რენესანსის თვალსაჩინო წარმომადგენელს, დიდ იტალიელ მოაზროვნეს, არქიტექტორს, გამომგონებელს, ინჟინერსა და მხატვარს, **ლეონარდო და ვინჩის** (1452-1519), რომელიც ცდილობდა ფრინველთა ფრენის მექანიზმის ანალოგიით შეექმნა საფრენი აპარატი. ბიონიკა, რომელიც სწავლობს ბიოლოგიურ სისტემებს და მათში მიმდინარე პროცესებს, არ მიდის ცოცხალი ბუნების ბრმა მიბაძვის, მისი გადმოღების გზით. ცოცხალი ბუნებიდან იგი „სესხულობს“ ყველაზე უფრო სრულყოფილ კონსტრუქციულ და ტექნოლოგიურ გადაწყვეტას, პრინციპებს, იდეებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ბიოლოგიურ სისტემათა დიდ მოქნილობას მათი არსებობის რთულ პირობებში.

როჯერსი თანამედროვე და პროგრესული მაღალი ტექნოლოგიების[345] (hi-tech) სტილის შემქმნელია. იგი მოდერნიზმის მიმდევარია.

მისი პროექტებით აგებულია ჟორჟ პომპიდუს ცენტრი პარიზში, კომპანია „ლოიდსის“ შტაბ-ბინა ლონდონში, ევროპის ადამიანთა უფლებების სასამართლო, ათასწლეულის თაღი ლონდონში, მადრიდის აეროპორტი, როიტერის საინფორმაციო ცენტრი ლონდონში და სხვა.

XX საუკუნის ამერიკელი არქიტექტორი **ჯეიმს ჯაკობსი** ქალაქს აღწერს როგორც ეკოსისტემას, რომელიც ფიზიკურ-ეკონომიკური პროცესებისგან შედგება. ორ ეკოსისტემას — ბუნებისაგან შობილსა და ადამიანებისგან შექმნილს — საერთო ფუნდამენტური თვისებები აქვთ. თუმცა, ამ ეკოსისტემებს ერთობლივი ჰარმონიული არსებობისთვის დიდი ძალისხმევა სჭირდებათ. [346]

ა) ეკოლოგიური ფაზების რეტროსპექტივა

ავსტრალიელმა ანთროპოლოგმა **სტივენ ბოიდენმა** კაცობრიობის არსებობის ისტორია ხუთ ეკოლოგიურ ფაზად განსაზღვრა:[347]

1. **პირველყოფილი საზოგადოების ფაზა** 60-70 ათასი წელი გრძელდებოდა და ამ ვადაში 2500 თაობა შეიცვალა. ამ პერიოდის ადამიანები მომთაბარე ჯოგებად (ტომებად) ცხოვრობდნენ, იყენებდ-ნენ ცეცხლსა და ცხოველების ძალას. პირადი საკუთრება არ არსე-ბობდა, მთელი ქონება ტომს ეკუთვნოდა. ცხოვრების პირობები მხოლოდ გარე გარემოთი განისაზღვრებოდა;

2. **ადრეული მიწათმოქმედების ფაზა** 12 ათასი წლის წინათ წარმოიშვა. ადამიანები, რომლებმაც ცხოველები და ფრინველები მოიშინაურეს, ჯერ კიდევ ტომებად ცხოვრობდნენ, იყენებდნენ წყლისა და ქარის წისქვილებს, ნავებს. მთელი ქონება საერთო გამოყენებაში ჰქონდათ. ამ ფაზაში ადამიანთა 480 თაობა შეიცვალა. გაიზარდა გარემოზე მათი ზემოქმედება. მათ ისწავლეს ტყეებისა და ჭაობების გამოსადეგ მიწებად გადაქცევა;

---

[345] მაღალ ტექნოლოგიებს მიეკუთვნება არა მარტო სამრეწველო ტექნოლოგიები, არამედ სოციალური ტექნოლოგიებიც, მაგ., ახალი ამბების გავრცელების სისტემები, კოლექტიური მუშაობისა და სწავლების სისტემები და სხვა. საზოგადოდ, რაც უფრო მცირეა ადამიანის ჩარევა ტექნოლოგიურ პროცესში, მით მაღალია თვით ეს ტექნოლოგია.

[346] **Джакобс Д. (1996).** Смерть и жизнь больших американских городов. М., Вашингтон: Island Press.

3. **პირველი ქალაქების გამოჩენის ფაზა,** დაახლოებით, 5 ათასი წლის წინათ დაიწყო და ადამიანთა 200 თაობას მოიცავს. ისინი დიდ ჯგუფებად („თავისიანები“ და „სხვისიანები“) ცხოვრობდნენ, საზოგადოება კი პროფესიებად იყოფოდა. თანდათან ვითარდებოდა ინდივიდუალური და/ან ოჯახური საკუთრების ფორმები. პლანეტის მოსახლეობა, საშუალოდ, 1500 წელიწადში ორმაგდებოდა. იქმნებოდა შედარებით დიდი ქალაქური ტიპის სტაციონალური დასახლებები, რომლებიც ბიოსფეროზე არათანაბარზომიერ ზემოქმედებას ახდენდა, თუმცა, ბუნებრივი ბიოქიმიური ციკლი უცვლელი რჩებოდა;

4. **ინდუსტრიული საზოგადოების ფაზა.** იგი 200 წლის წინათ დაიწყო. ამ პერიოდიდან დღემდე 8 თაობა შეიცვალა. დედამიწის მოსახლეობის 1 მილიარდით მომატების ხანგრძლივობა 107 წლიდან 12 წლამდე შემცირდა.[348] ადამიანების უმეტესობა საცხოვრებლად დიდ აგლომერაციებსა და კონურბაციებში[349] გადავიდა.

ამ პერიოდში შრომისთვის გამოიყენება წიაღისეულ მინერალებზე მომუშავე მანქანები. შეიქმნა ახალი ქიმიური შენაერთები. მედიცინის განვითარების შედეგად სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა გადიდდა.[350] გაბატონდა კერძო საკუთრება. გაიზარდა განსხვავება მდიდრებ-სა და ღარიბებს შორის.[351]

აღნიშნულიდან ჩანს, რომ კაცობრიობის ცივილიზაციის განვითარებისა და ბიოსფეროს პროცესებში მისი ჩარევის ხარისხი და ტემპები ძალიან სწრაფად იზრდება. ვუახლოვდებით კრიტიკულ ზღვარს. საჭი-

---

[347] **Даунтон П. (2009).** Экополис: Архитектура и города против изменения климата. Аделаида.

[348] დედამიწაზე 1 მილიარდი ადამიანი ცხოვრობდა 1820 წელს, 2 მილიარდი — 1927წ., 3 მილიარდი — 1960 წ., 4 მილიარდი — 1974 წ., 5 მილიარდი — 1987 წ., 6 მილიარდი — 1999 წ., ხოლო 7 მილიარდი — 2011 წელს.

[349] ლათ. con ერთად და urbs ქალაქი; რამდენიმე დიდი ქალაქის გაერთიანება.

[350] სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა ყველაზე მაღალია იაპონიაში, 83 წ.

[351] აღნიშნულის საილუსტრაციოდ რამდენიმე ფაქტი მოვიხმოთ: მოსახლეობის 1% ფლობს მსოფლიო აქტივების (ქონება, ფული, ფასიანი ქაღალდები) 40%-ს; მდიდართა 10%-ის ხელშია აქტივების 85%; მსოფლიო მოსახლეობის თითქმის ნახევარს დღეში 2,5 აშშ დოლარის შემოსავალი აქვს, ხოლო მოსახლეობის 80%-ს — დღეში 10 დოლარზე ნაკლები; სასკოლო ასაკის 113 მილიონი ბავშვი სკოლაში არ დადის, 130 მილიონი ადამიანი წერა-კითხვის უცოდინარია და ა.შ. სიმდიდრის განაწილების უთანაბრობა ღრმავდება. თუ 1820 წელს უმდიდრეს და უღარიბეს მოსახლეობას შორის განსხვავება შემოსავლების მხრივ იყო 1:3, ახლა იგი — 1:72-ია. (წყარო: **მალაშხია გ.** გლობალური გამოწვევები და ცხოვრების მოდერნიზაცია. ჟურნ. „ბიზნეს-ინჟინერინგი“, თბ., 2012, №1, გვ. 24.).

როა გავაცნობიეროთ თანამედროვე ურბანიზაცია[352] და ადამიანთა საქმიანობა, როგორც მთავარი ძალა, ბიოსფეროს ფორმირებაში გაა-ზრებულად უნდა გამოვიყენოთ.

ცივილიზაციის არსებულ განმარტებას სასურველია დაემატოს ახალი, უფრო ფასეული გაგება ხელოვნური გარემოს ფორმირებისა და ბიოსფეროსთან ურთიერთკავშირის შესახებ. ამიტომ მართებულია **სტივენ ბოიდენის** მიერ დამატებით გამოყოფილი კიდევ ერთ მნიშვ-ნელოვანი პერიოდი, — ეკოლოგიური ფაზა, კერძოდ:

5. ფაზა, რომელშიც კაცობრიობა უნდა გადავიდეს, რომ უზრუნ-ველყოს როგორც ბიოლოგიურმა სახეობამ გადარჩენა. იგი მოი-ცავს: ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნებას ადამიანთა სა-ზოგადოებასა და ბიოსფეროს შორის; ადამიანის საქმიანობით გამოწ-ვეული კლიმატის ცვლილებების შედეგების მინიმიზაციას; ბუნებრივ ბიოქიმიურ ციკლებში მინიმალურად ჩარევას; ადამიანთა ესთეტიკური თვისებების განვითარებას და პასუხისმგებლობის გაძლიერებას.

მოცემული ვითარების უკეთ გასაგებად, აუცილებელია თანამედ-როვე, მდგრადი და „მწვანე“ ქალაქისა და ეკოპოლისის კონცეფციების შედარებითი ანალიზი:

- **თანამედროვე ქალაქი** ბიოსფეროსთან (ბიორეგიონთან) მძაფრ კონფლიქტშია, ამჟღავნებს მომხმარებლურ და მომპოვებლურ ხასი-ათს, ანაგვიანებს გარემოს, ეკოსისტემის კომპონენტებთან უარყოფით კავშირშია, მოითხოვს ენერგიის დიდ ხარჯებს, ძირითადად ავტომო-ბილზეა დამოკიდებული, მისი სატრანსპორტო ქსელი ქაოსურია, ენერგოქსელი კი, — არაეფექტური.

ასეთი ქალაქის არქიტექტურა მოდის კანონებს ან შემკვეთის მოთ-ხოვნებს მთლიანად ემორჩილება. ენერგიის ხარჯვა მფლანგვე-ლობითია, რომელიც წიაღისეულ ნედლეულზე და ენერგიის არაგა-ნახლებად (ტრადიციულ) წყაროებზეა ორიენტირებული. ბუნებრივი რესურსების გამოყენება ერთჯერადია, ანუ მათი განახლება არ ხდება.

---

[352] მიიჩნევენ, რომ ეს ტერმინი არასაკმარისად კონკრეტულია. ევროკომისია და მსოფლიო ბანკი გვთავაზობენ ახალ განსაზღვრას სახელწოდებით — „აგლო-მერაციის ინდექსი“, რასაც შემდეგი არგუმენტებით ხსნიან: 1) პლანეტის მოსახლეობის თითქმის ნახევარი დიდი ქალაქებიდან 2 საათის სავალ მან-ძილზე სახლობს, მაგრამ, იმავდროულად, არსებობს სერიოზული დანაწევ-რებაც: მათ შორის, 85% განვითარებულ, ხოლო 15% განვითარებად ქვეყ-ნებში ცხოვრობს; 2) დედამიწის მოსახლეობის 95% პლანეტის ზედაპირის 10%-ზეა კონცენტრირებული; 3) დედამიწის ზედაპირის მხოლოდ 10% ითვ-ლება „დაშორებულად“ და დიდი ქალაქიდან 48 საათის სავალ მანძილზე იმ-ყოფება. [http://nnm.me/blogs/migat/novaya_karta_urbanizacii/]

ნარჩენების უტილიზაცია (გამეორებით გამოყენება) სიმბოლურია. საზოგადოება არსებული პრობლემებისგან გაუცხოებულია. ადამი-ანთა საქმიანობის ძირითადი პრინციპები პრაგმატული (პრაქტიკული) და კომერციულია, ხოლო სამართლიანობისა და სოციალური თანასწორობის საკითხები — სხვა პრობლემებით გადაფარული.

ასეთი ქალაქების არსებობა დედამიწის ამჟამინდელი რესურსების 3-ჯერ მეტ რესურსს მოითხოვს.

• **მდგრადი ქალაქი,** ძირითადად, ბიოსფეროსთვის არასაზიანოა. იგი შეძლებისდაგვარად ითვალისწინებს ბიორეგიონის სოციალურ-ეკოლოგიურ პრობლემებს. ქალაქთმშენებლობითი სტრუქტურა კომპაქტური ბირთვისგან შედგება, რომელსაც გარსს ეკვრის ქალაქური ტიპის დასახლებები. შეინიშნება სოციალური საჭიროებების შესაბამისი შენობები. ორიენტაცია კეთდება სხვადასხვა საზოგადოებრივ ტრანსპორტზე. გამოიყენება ენერგიის განახლებადი წყაროები. რესურსების გამეორებადი გადამუშავება-ექსპლუატაცია წახალისდება. საქმიანობის ძირითადი პრინციპები პოლიტიკურ რეალიებს ექვემდებარება. სამართლიანობისა და თანასწორუფლებიანობის საკითხები სხვა პრობლემებით იფარება.

ასეთი ქალაქების არსებობა პლანეტის ამჟამინდელი რესურსების 2-2,5-ჯერ მეტ რესურსს საჭიროებს.

• **„მწვანე“ ქალაქი** ბიოსფეროსთან ბალანსშია, ხშირად, ბიორეგიონის ფუნქციებით განისაზღვრება და იცავს კიდევაც მას. არ ვნებს გარე ბიოზონას, აღადგენს ქალაქის განაპირა მიწებსა და მდინარეთა ნაკადებს. გარემოს მნიშვნელოვან ელემენტებთან მჭიდრო კავშირშია. ქალაქთმშენებლობის სტრუქტურა კომპაქტურია, ცენტრში ქალაქური ტიპის, ხოლო პერიფერიებში — ადგილმდებარეობის ტოპოგრაფიის თავისებურებების შესაბამისი დასახლებებით. ქალაქის ცენტრი ფეხით მოსიარულეთათვის მისაწვდომ მანძილზეა. ქალაქის განაშენიანებასა და ეკოსისტემის სოციალურ ფუნქციებს შორის კარგი ურთიერთკავშირი არსებობს. სატრანსპორტო სისტემა ტრანზიტულია, არქიტექტურა კი, — ადგილობრივ გარემოზე ორიენტირებული. გამოიყენება მოცემული ბიორეგიონის სამშენებლო მასალები. ენერგიის შენახვის დონე ძალიან მაღალია, ხოლო მისი მიღების წყაროები — განახლებადი. საზოგადოება მთლიანად დაკავშირებულია ეკოსისტემის ცხოველქმედებით პროცესებთან. საქმიანობის მთავარი პრინციპებია სამართლიანობა და თანასწორობა.

ასეთი ქალაქების არსებობა ჩვენი პლანეტის ახლანდელი რესურსების ეკვივალენტის 1,5-2–ჯერ მეტ რესურსს მოითხოვს.

• **ეკოპოლისი,** რომლის მიზანია ბიოსფეროში ოპტიმალური ჩართვა და კაცობრიობის საჭიროებების სასარგებლოდ გამოიყენება, მზრუნველობს და განსაზღვრავს ბიორეგიონში პროცესების ფუნქციონირებას, დარღვევის სანაცვლოდ აღადგენს ეკოსისტემებს და გარემომცველი გარემოს ყველა ელემენტთან მჭიდრო კავშირშია. ქალაქთმშენებლობის სტრუქტურა კომპაქტურია, რომლის ცენტრშია ქალაქური ტიპის დასახლება, პერიფერიული ცენტრები კი ადგილმდებარეობის ტოპოგრაფიის შესაბამისად განსაზღვრული. ფეხით მოსიარულეთა პირობები გარემოსთან სრულად ადაპტირებულია. სატრანსპორტო მიმოსვლის ქსელი კარგია.

ასეთი ქალაქის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურას ქმნის სატრანზიტო კორიდორები და გზათა განვითარებული ქსელი, რომელიც ქვეითად მოსიარულეთა მისაწვდომობაზეა ორიენტირებული. ენერგიის შენახვის დონე მაღალია, ხოლო წყაროები — სრულად განახლებადი. განაშენიანება ითვალისწინებს ეკოსისტემის ფუნქციონირებასა და სოციალურ საჭიროებებს. ორგანული არქიტექტურა ადგილობრივ კლიმატურ პირობებზეა ორიენტირებული. იყენებენ ბიონიკის (ბიომიმიკრიის) მიდგომებს. საზოგადოება ეკოსისტემის სიცოცხლისუნარიანობის გაძლიერებას ცდილობს. ასეთ ქალაქებს უზრუნველყოფს ჩვენი პლანეტა თავისი ამჟამინდელი რესურსებით.

ამგვარად, ეკოპოლისის მთავარი განმასხვავებელი თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ იგი ინტეგრირებულია ბიოსფეროს პროცესებში და, იმავდროულად, სხვა ეკოსისტემების მიმართაც მეგობრულადაა განწყობილი. ეკოპოლისი ბიოსფეროს, ბიორეგიონისა და გარე ეკოსისტემების ბიოქიმიურ პროცესებს არა თუ უშლის ხელს, არამედ ადრე დარღვეულ ეკოსისტემებსაც სრულად აღადგენს. მისი განვითარების კონცეფცია მთლიანად შეესაბამება ბიოლოგიური სტრუქტურალიზმის ახალ სტრატეგიას, რომლის მთავარი ნიშნებია მთლიანობა, ცოცხალი და არაცოცხალი სამყაროს ორგანული ერთიანობა.

ბ) ადამიანთა ეკოლოგიური დასახლებების ევოლუცია

ჯერ კიდევ პალეოლითის ხანაში[353] ადამიანთა მრავალი დასახლება, ძლიერი დანაგვიანების გამო, რეგულარულად იღუპებოდა. სა-

[353] ბერძ. παλαιός — ძველი და λίθος — ქვა; ძველი ქვის ხანა. ამ დროს მეურნეობა მიმთვისებლური იყო, მისდევდნენ შემგროვებლობას, ნადირობასა და თევჭერას. პალეოლითი დაიწყო, დაახლოებით, 2-2,5 მილიონი წლის წინათ.

მოსახლოდ საჭირო ტერიტორიები დედამიწაზე ჯერ კიდევ საკმა-რისი იყო, ამიტომ ლოკალური ეკოლოგიური კრიზისები მარტივად გვარდე-ბოდა: დასახლება ოპერატიულად იცვლიდა ადგილს და ახლო მან-ძილზე გადაადგილდებოდა. ასეთი მოძრავი, ე.წ. „დრეიფული“ ეკო-სტრატეგია (მოცემულ ტერიტორიაზე თავისუფალი დრეიფი) დედა-მიწაზე კაცობრიობის დასახლების ძირითადი მექანიზმი იყო.

მოგვიანებით, ნეოლითის ხანაში[354], რეგიონში მოსახლეობის სიმ-ჭიდროვისა და დასახლების გადაადგილების დიდი შრომატევადობის გამო, ხმელთაშუა ზღვის მრავალი ცივილიზაციისთვის ხალხთა თავი-სუფალი დრეიფი შეიზღუდა და ახალი, „სტაციონალური“ ეკოლო-გიური სტრატეგიის რეალური მოთხოვნილება წარმოიშვა — დასახლე-ბის ხანგრძლივი ეკოლოგიური მდგრადობისა და ცხოვრების ხარისხის ამაღლება, მათ შორის ბუნებიდან მის მიერვე ადრე განდევნილი რაიმე ფაქტორის (მაგ., გამწვანება), თუნდაც, ნაწილობრივ დაბრუნება.

აღნიშნულმა გარემოებამ, მოსახლეობის მჭიდროდ დასახლებულ სივრცეში რამდენიმე ვარიანტი წარმოაჩინა, კერძოდ:

1) **„ბაღი ქალაქში“,** როგორ ერთ-ერთი ყველაზე ადრეული იდეა, ბაბილონიდან დაწყებული (ძვ. წ. VI ს. ნაბუქონოდოსორ II-ის მიერ აშე-ნებული სემირამიდას ცნობილი დაკიდებული ბაღები, მსოფლიოს ერთ-ერთი საოცრება), ჩვენი დროის ქალაქის პარკებით დამთავრებული.

ამ იდეის მთავარი შინაარსი ასეთი იყო: მოსახლეობის განსაზღ-ვრული კონტიგენტისთვის (მდიდრებისთვის) ქალაქის გარკვეულ უბ-ნებში ლამაზი და/ან ბიოლოგიურად სასარგებლო ფიტოცენოზე-ბის[355] ხელოვნურად აღდგენა. დღემდე ეს „გამწვანებითი“ სტრატეგია დომი-ნირებს ქალაქთა ეკოლოგიური სტრატეგიის განსაზღვრისას, რაც იმ წინააღმდეგობებს არბილებს, რომლებიც ნეოლითის ხანიდან წარ-მოიშვა ბუნებისგან საზოგადოების მკვეთრი პოლარიზაციის გამო.

მაგრამ გამწვანების თაობაზე მრავალსაუკუნოვანმა ექსპერიმენ-ტებმა ბუნებისგან მათი გაუცხოების დაძლევის შეუძლებლობა აჩვენა, რადგან: ა) გამწვანების ფართობის დამატება ქალაქის, როგორც სოცი-ალურ-ეკონომიკური პროცესების კონცენტრატორის (ქალაქის მთავა-

---

[354] ბერძ. neos ახალი და lithos ქვა, ახალი ქვის ხანა. განმსაზღვრელი ნიშნები: მიმთვისებლური მეურნეობიდან (ნადირობა, თევზჭერა, შემგროვებლობა) მწარმოებლურ მეურნეობაზე (მიწათმოქმედება, მეცხოველეობა) გადასვლა (ძვ.წ. VII-VI ათასწლეულები). შემდეგ ენეოლითის ხანა: ლათ. aeneus (სპი-ლენძი). ნეოლითიდან ბრინჯაოს ხანაზე გარდამავალი პერიოდი (დაიწყო ძვ.წ. IV ათასწლეულიდან).

[355] ერთი სახეობის მცენარეთა ერთობლიობა.

რი დანიშნულება), როლს მკვეთრად ამცირებდა; ბ) ხელოვნური გამწვანების მოვლა-შენახვას გაცილებით მეტი ფინანსები სჭირდებოდა, ვიდრე ბუნებრივი ტყეებისა და მდელოების შენარჩუნებას.

2) **„ბაღი-ქალაქი“.** ეს იდეა წინა იდეის გაფართოებული ვარიანტია და ნიშნავს: „ბაღი ყოველთვის, ყველასთვის და ყველგან“, ანუ კულტურული მცენარეების საერთო მასის გადიდებას ქალაქში. ცხოვრების ასეთი წესი ჯერ კიდევ შუა საუკუნეების უტოპისტ-ფილოსოფოსებმა ჩამოაყალიბეს, რომლის ნიმუშია: ინგლისელი ტომას მორის „უტოპია“ (1516 წ.), იტალიელი ტომაზო კამპანელას „მზის ქალაქი“ (1602 წ.), ინგლისელი ფრანსის ბეკონის „ახალი ატლანტიდა“ (1627 წ.).

რუსმა პოეტმა **ალექსანდრე ბლოკმა XIX საუკუნეს „რკინის საუკუნე“** უწოდა, რაც ყველაზე სხარტი, მაგრამ ყველაზე ტევადია იმ განსაზღვრებათა შორის, რაც ამ საუკუნეზე თქმულა.

კაცობრიობამ ყველაზე მეტად XIX საუკუნეში იგრძნო სამრეწველო რევოლუციის უარყოფითი შედეგები. ევროპისა და ამერიკის ქვეყნებში ინდუსტრიული წარმოების საყოველთაო და სწრაფმა განვითარებამ სოფლებიდან ქალაქებში მოსახლეობის უდიდესი მასის გადაადგილება გამოიწვია. რამდენიმე ათწლეულში დიდი და მცირე ქალაქების მოსახლეობა 3-ჯერ გაიზარდა.

რკინიგზის ქსელმა ქალაქები ერთმანეთს დააკავშირა (ალბათ აქედანაა ბლოკის ეპიტეტიც). რკინიგზა ხომ ინდუსტრიული წარმოების „სისხლძარღვთა“ ქსელია. XIX საუკუნის ბოლოს ქალაქების უმრავლესობა ჩამოყალიბდა როგორც „სამრეწველო სარტყელი“, ანუ მჭიდრო წრიული ზონა თავისი ინფრასტრუქტურითა და ხალხთა დასახლებებით. შეიცვალა საქალაქო ტრანსპორტიც — ჯერ ცხენის კონკამ, შემდეგ კი ელექტრონულმა ტრამვაიმ ადგილი დაუთმო მასობრივ ავტომობილს, რომელმაც, თანდათან, ქალაქის საგზაო არტერიები სრულად დაიმორჩილა, ფეხით მოსიარულეთა ნაკადები ძალიან შეავიწროვა და თავისი გამონაბოლქვით ატმოსფეროც გვარიანად დააბინძურა.

ერთი სიტყვით, XIX საუკუნის სამრეწველო ქალაქი, რომელმაც დაარღვია ცხოვრების ადრინდელი წესი, გაავრცელა ანტისანიტარია დაწყევლილი გახდა. ყველაზე ადრე ასეთმა ქალაქმა თავისი ნამდვილი სახე ძლევამოსილ სამრეწველო სახელმწიფოში, დიდ ბრიტანეთსა და მის დედაქალაქ ლონდონში წარმოაჩინა. ამიტომ არის რაღაც ობიექტური კანონზომიერება იმაში, რომ იმდროინდელი ლონდონის ნესტიან-აშმორებულ და ჭვარტლიან ბურუსში დაიბადა „იდეალური ქალაქის“, იგივე „ბაღი-ქალაქის“ იდეა, რომელიც ინგლისელმა სოციოლოგ-

უტოპისტმა **ებენეზერ ჰაუარდმა** თავის წიგნში[356] აღწერა. აქ ადამიანები ბუნებასთან ჰარმონიაში ერთად „ცხოვრობენ“.

მეცნიერის ამ შეხედულებამ საფუძველი ჩაუყარა „ბაღი-ქალაქის“ მოძრაობას დიდ ბრიტანეთში.

ჰაუარდის აზრით, XIX საუკუნის ბოლოს მსოფლიოს ყველა დიდი ქალაქი ქაოსურად გადიდდა, რის გამოც ეპიდემია და კრიმინალი გაიზარდა. ამიტომ, დიდი ქალაქების ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად, მან მომავლის იდეალური ქალაქი დააპროექტა და ინდუსტრიისგან „დაავადებულ“ ლონდონს საკუთარი „წამალიც“ გამოუწერა.

ჰაუარდის შეხედულებით ქალაქის ტერიტორიული ზომები და მოსახლეობის რიცხოვნობა რადიკალურად უნდა შემცირებულიყო, მაქსიმუმ, 25 ათას კაცამდე. წრიული ფორმის ასეთი „ბაღი-ქალაქები“ თავისებურ „თანავარსკვლავედს“ შექმნიდნენ, ცენტრში მთავარი „ბაღი-ქალაქით“. მცხოვრებლების რაოდენობა 250 ათას კაცზე მეტი არ იქნებოდა.

მაგრამ როგორ უნდა აუკრძალო ქალაქს გაზრდა და შეაჩერო სოფლის მოსახლეობის თავაწყვეტილი მიგრაცია?

ამისთვის ჰაუარდი საზოგადოებას ქალაქისა და სოფლის საუკეთესო პირობების სინთეზს სთავაზობდა: მსხვილი სამრეწველო ქალაქის სიახლოვეს მცირე „ბაღი-ქალაქების“ მშენებლობას, სადაც განვითარებული იქნებოდა ადგილობრივი ეკოლოგიური მრეწველობა და სოფლის მეურნეობა ისე, რომ ადამიანებს შეძლებოდათ სამუშაოს სიახლოვეს ცხოვრება და, იმავდროულად, ბუნებრივ გარემოსაც არ იქნებოდნენ დიდად მოწვეტილები.

ჰოვარდის პროექტით ლონდონიდან 60 კმ-ის დაშორებით 1903 წელს დაიწყეს ქ. **ლეჩუორთის**, ხოლო 1920 წელს ქ. **ველვინის** მშენებლობა. სამწუხაროდ, მოსახლეობა ამ პროექტით ნაკლებად დაინტერესდა: 1908 წელს ლეჩუორთში მხოლოდ 5 ათასი, 20-ანი წლების ბოლოს კი, 14 ათასი კაცი ცხოვრობდა [357].

„ბაღი-ქალაქის“ მშენებლობის მცდელობა სხვაგანაც მრავლად იყო, მაგ., გერმანიაში — **ჰამბურგი**, ესპანეთში — ბარსელონას მიკრორაიონი, ელ-კარმელის მთაზე გაშენებული **გუელის პარკი,** რომელიც 1900-14 წლებში შეიქმნა კატალონიელი მრეწველისა და მეცენატის **ეუსები გუელის** დაკვეთით (პარკის ავტორია ცნობილი კატალონიელი არქიტექტორი **ანტონიო გაუდი** (1852-1926). თუმცა, აქაც მოსახლეობის მოთხოვნა დიდი არ იყო.

---

[356] „Garden Cities of To-morrow“. ქართულად: „მომავლის ბაღი-ქალაქები“.

რატომ აღმოჩნდა ერთი შეხედვით „ბაღი-ქალაქის“ შექმნის ჰაუარდის პროგრესული იდეა არამიმზიდველი? უმთავრესად, ლონდონის ცენტრიდან სამრეწველო საწარმოთა გადასატანად საჭირო ფინანსების გამო.

მსხვილ ქალაქს, როგორც საქონლის გასაღების პოტენციურ ბაზარს, მართვის ცენტრსა და სამუშაო ძალის წყაროს, საწარმოები მჭიდროდ უკავშირდებოდა.

„ბაღი-ქალაქის“ მთავარი შეუსაბამობა მდგომარეობდა იმაშიც, რომ ქალაქი, როგორც ურბანიზაციის „კონცენტრატი“, უშუალოდ ანადგურებდა არა მარტო მის ლანდშაფტს, არამედ მისგან საკმაოდ დაშორებულ ტერიტორიებსაც თავისი ანტიეკოლოგიური საწარმოებებითა და მეურნეობის გაძღოლის მეთოდებით.

3) **„ქალაქი ბუნებაში“.** ესაა „ბაღი-ქალაქის“ თანამედროვე ვარიანტი, ერთი შეხედვით უფრო მიმზიდველი და მოწესრიგებული, კერძოდ, სამეცნიერო-სასწავლო ცენტრები ან კურორტი ქალაქები (მაგ., ოქსფორდი, კემბრიჯი, ზელენოგრადი, პუშჩინო...). ასეთ ქალა-ქებში წარმოება პრაქტიკულად არაა, საქალაქო მეურნეობისა და მშენებლობის გარდა. მათ „რეკრეაციულ ეკოპოლისებსაც“ უწოდებენ.

ამ მიმართებით მოსალოდნელია რიგი წარმატებები, თუ:

ა) ბუნებრივი ბიოგეოცენოზები[358] ქალაქის ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილზე შენარჩუნდება;

ბ) დიდი ოდენობის ფინანსები დაიხარჯება;

გ) მოსახლეობის სიმჭიდროვე შემცირდება.

თუმცა, ასეთ ქალაქებსაც პერსპექტივაში არ ძალუძთ ეკოლოგიური განვითარების მთავარი ორიენტირის შეთავაზება, რადგან ქალაქებიდან არაეკოლოგიური სამრეწველო საწარმოებისა და ატომური ელსადგურების გატანა, ადრე თუ გვიან, ეკოსისტემას დაარღვევს (მაგ., ჩერნობილისა და ფუკუშიმას ცნობილი ტრაგედიები) და საერთო ეკოლოგიურ ვითარებას რეგიონში გაამწვავებს.

.

---

[357] 2011 წელს ლეჩუორთში ცხოვრობდა 34, ხოლო ველვინში — 43 ათასი კაცი.

[358] სხვადასხვა სახეობის ორგანიზმების რთული ერთობლიობა, ნივთიერებათა და ენერგიათა გაცვლით ურთიერთდაკავშირებული ერთმანეთთან და არაცოცხალ გარემოსთან. მაგ., მზის ენერგია, რომელიც ფოტოსინთეზის გზით მცენარეებს გადაეცემათ, ხოლო მათი საკვებად მიღების შემდეგ — ადამიანს, ცხოველს.

გ) თანამედროვე ეკოლოგიური მდგომარეობა და მისი გამოსწორების გზები

თუ მსოფლიო ეკოლოგიურ ვითარებას კრიტიკულად გავაანალიზებთ, ვნახავთ, რომ ადამიანი დედამიწაზე შემთხვევით არ გაჩენილა. იგი ღმერთმა მის ხატად შექმნა. ძველი აღთქმის მიხედვით, ღმერთმა მამაკაცსა და დედაკაცს არსებობისთვის ბუნების დაუფლება დაავალა.

ცოდვით დაცემამ შეცვალა დამოკიდებულება ადამიანსა და ბუნებას შორის. საწყის პერიოდში ბუნება იოლად ემორჩილებოდა მას. ეს ფაქტობრივად მათი ერთიანობა, მთლიანობა იყო. ადამიანის ღვთისგან განდგომამ სასიამოვნო შრომა ბუნებასთან ბრძოლითა და მტრული დამოკიდებულებით შეიცვალა.[359]

რაღაც მომენტიდან ადამიანი ზედმეტად „გაერთო“, ბუნებასთან ჰარმონიულად ყოფნის „შეთანხმება“ უხეშად დაარღვია და დამხმარე ძალიდან ბუნების აქტიურ მოწინააღმდეგედ იქცა.

საზოგადოდ, ევოლუციას მნიშვნელოვანი თავისებურება ახასიათებს: ბუნების არსებობის ფორმები რთულდება და მრავალფეროვნდება. თუ ადრე ეს პროცესები ნელა მიმდინარეობდა, ადამიანის გამოჩენით ყველაფერი შეიცვალა. ბუნებრივ პროცესებში ჩარევით მან ამ პროცესს არნახული დინამიზმი მიანიჭა. მოკლე ვადაში შექმნა ახალი ჯიშის მცენარეები და ცხოველები, რომელთა შორის მრავალი მათგანი ადამიანის გარეშე შესაძლოა არც წარმოშობილიყო. ეს ყველაფერი ბუნების სასარგებლოდ მოხდა, რადგან მის განვითარებას დიდად შეუწყო ხელი. იმავდროულად, ადამიანებმა შეუცვალეს ადგილსამყოფელი ფლორასა და ფაუნას, წიაღიდან ამოიღეს და ამოქაჩეს სასარგელო წიაღისეული, გაასწორეს მთა და ბარი, გაიყვანეს სარწყავი არხები, გაჩეხეს ტყეები, ააშენეს ჯებირები, შექმნეს ხელოვნური წყალსაცავები და კუნძულები, მიმართულება შეუცვალეს მდინარეებს, ააგეს ცათამბრჯენები, გაიჭრნენ კოსმოსში, რასაც, უამრავ სიკეთესთან ერთად, თან სდევს შემაშფოთებელი შედეგები. ბუნებრივი პირობების ხელოვნურად შეცვლას ძალუძს დამღუპველი უკუზემოქმედება, ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევა.

ინდუსტრიულ საზოგადოებაში დაჩქარდა გარემოზე ზემოქმედება, საზოგადოება მოექცა მოჯადოებულ წრეში — ბუნებრივ რესურსებს მაქსიმალურად თუ არ გამოიყენებს, ვერ დაიკმაყოფილებს გაზრდილ

---

[359] **ჩიხლაძე ნ. (2015).** შრომის გააზრების მართლმადიდებლური და ეკონომიკური საკითხები. ქუთაისი, გვ. 7.

მოთხოვნებს. ეს კი უცილობლად ითხოვს ბუნებრივი რესურსების მაქსიმალურ გამოყენებას. ამას ემატება მსოფლიო მოსახლეობის რაოდენობრივი მატება[360] და, შესაბამისად, მათი მოთხოვნილებების განუხრელი ზრდა.[361]

სამწუხაროდ, დღეს ჩვენ ვანადგურებთ იმ ატმოსფეროს, რომელზედაც დამოკიდებულია ჩვენი სიცოცხლე. **ჩვენ გვჭირდება დედამიწა და არა მას ვჭირდებით ჩვენ. ძალიან „შევაწუხეთ" დედამიწა.** ჩვენ გარეშე იგი გაცილებით უკეთ იგრძნობდა თავს.

კაცობრიობის მთელი ისტორია ესაა ეკონომიკური ზრდისა და ბიოსფეროს თანამიმდევრული რღვევის ისტორია. მხოლოდ პალეოლითის ხანაში არ არღვევდა ადამიანი ბუნებრივ ეკოსისტემებს, რადგან მისი ცხოვრების წესი (შემგროვებლობა, მონადირეობა, მეთევზეობა) თითქმის ცხოველთა ქცევის წესის ანალოგიური იყო. ცივილიზაციის განვითარებამ კატასტროფული შედეგები მოიტანა. ამ მხრივ მეტად სავალალო ვითარება XX საუკუნეში შეიქმნა, რაც უმთავრესად ორმა ფაქტორმა განაპირობა: მატერიალური დოვლათის წარმოების მოცულობის ზრდამ და თვით მოსახლეობის მაღალი ტემპებით მატებამ. კერძოდ, თუ საუკუნის დასაწყისში მსოფლიო შიდა პროდუქტი 20 მილიარდი აშშ დოლარი იყო, დღეისთვის მარტო ერთ დღეში 10-ჯერ მეტი ღირებულების დოვლათი იწარმოება. მოსახლეობის რაოდენობა ბოლო ერთ საუკუნეში თითქმის 5,5 მილიარდით გაიზარდა და 7 მილიარდ კაცს გადააჭარბა.

2000-2013 წლებში ყოველწლიურად მსოფლიოში იჩეხებოდა 13 მილიონი ჰექტარი ტყე, რისი მთავარი მიზეზი ურბანიზაცია და მსხვილმასშტაბიანი კომერციული სოფლის მეურნეობა იყო.

ნახშირორჟანგის გამონაბოლქვმა 2011 წელს 32,2 მილიარდი მეტრული ტონა შეადგინა და 1990 წლის დონეს, თითქმის, 50%-ით გადააჭარბა.[362]

ჩვენი პლანეტა, ჩვენი საერთო სახლია და ეკოლოგიური პრობლემები მხოლოდ ერთობლივად უნდა გადაწყდეს. ტექნოგენური კატასტროფის ან სხვა მიზეზთა გამო, თუ სადღაც კრიტიკული ეკოლოგიური სიტუაცია შეიქმნება, ნეგატიური შედეგებისგან შორეული რეგიონებიც დაუცველია.

---

[360] ამჟამად მსოფლიო მოსახლეობა ყოველ წუთში 172 კაცით იზრდება, ყოველდღიურად — 250 ათასით, ხოლო ყოველწლიურად — 90 მილიონი კაცით.

[361] **ღიბრაძე რ. (2011).** სოციოლოგია. თბ., სტუ, გვ. 59.

[362] ООН. Цели развития тысячелетия: доклад за 2014 год.

ასეთი გლობალური პრობლემა მრავალია, მაგალითად:

- რადიაქტიური ნარჩენების დამარხვა;
- ნავთობპროდუქტებით ოკეანეთა დაბინძურება-დაძაბუნება;
- მცენარეებსა და ცოცხალ ორგანიზმებზე აირის, ნავთობისა და ქვანახშირის დაწვის შედეგად წარმოშობილი აზოტმჟავისა და ნახშირ-ორჟანგის უარყოფითი ზემოქმედება;
- ტყეების მასობრივი გაჩეხვა;
- სატრანსპორტო საშუალებების გამონაბოლქვი;
- ბირთვული საცდელი აფეთქებები;
- მრავალი სახეობის მცენარისა და ცხოველის გაქრობა;
- წიაღისეული მარაგების კატასტროფული შემცირება;
- გლობალური დათბობა;
- ატმოსფეროსა და ჰიდროსფეროს დაბინძურება;
- ოზონის შრის რღვევა და სხვა მრავალი.

საყურადღებოა ისიც, რომ მსოფლიო სიმდიდრე და მისი მოხმარება ძალიან არათანაბარია. დათვლილია, რომ მსოფლიოს ყველაზე მდიდარი მოსახლეობის 20%-ზე მოდის: პირადი მოხმარების საერთო თანხის 86%, ენერგიის მსოფლიო მოხმარების 58%, ხორცისა და თევზის 45%, ქაღალდის 84% და პირადი ავტომობილების 87%. მეორე მხრივ, პლანეტის უღარიბესი მოსახლეობა მოიხმარს მხოლოდ 5%-ს ან მასზე ნაკლებ საქონელსა და მომსახურებას ჩამოთვლილი კატეგორიების მიხედვით.[363]

უმოკლეს დროში ადამიანმა შექმნა დიდი „არაცოცხალი“ სამყარო, უპირველესად, ათასობით ქიმიური ნივთიერება. პესტიციდები და დიოქსიდები ცოცხალ გარემოს უდიდეს ზიანს აყენებს, რის გამოც გენეტიკური გადახრების მქონე ბავშვების რიცხვი მკვეთრად იზრდება. მსოფლიოს რიგ რეგიონებში ჩვილბავშვიან დედებს ბავშვების ბუნებრივ კვებას არ ურჩევენ, — მათი რძე შხამი გახდა. მრავალ მამაკაცს სპერმატოზოიდების რაოდენობა ორჯერ შეუმცირდა. შესაძ-ლოა „ძლიერმა“ სქესმა განაყოფიერების უნარი დაკარგოს. გამძლე-ობის იმ მარაგმა, რომელიც ბუნებამ „ადამიანში ჩადო“, შეიძლება „გადატვირთვას“ ვერ გაუძლოს და homo sapiens-მა, როგორც სახეო-ბამ, გაქრობა დაიწყოს.

---

[363] **Усиление** антропогенного воздействия на природу и его последствия. [http://www.grandars.ru/shkola/geografiya/antropogennoe-vozdeystvie.html]

ეს საშიში ტენდენციები საერთაშორისო ფორუმებზე, კონფერენციებსა და კონგრესებზე აქტიურად განიხილება. მძიმე ეკოლოგიური ვითარების შესარბილებლად იქმნება ერთობლივი პროგრამები, მუშავდება კონკრეტული ღონისძიებები, სახელმწიფოები სხვადასხვა სახის ვალდებულებებს იღებენ და ა.შ.

გამოსავალი ერთია — ეკონომიკა უნდა იყოს ეკოლოგიური.

ეს აუცილებელია, თუმცა, არასაკმარისია.

ბიოსფერო იმის საფუძველზე არსებობს, რომ მას შეუძლია თავისი პარამეტრების მილიონი წლებით შენარჩუნება. თუ ადრე ძლიერი გარე ზემოქმედების გავლენით (მაგ., მზის აქტიურობის მნიშვნელოვანი რყევები) ბუნება მაინც ახერხებდა მათ აღდგენასა და წონასწორობის შენარჩუნებას, დღეს არავინ იცის ის ზღვარი, რომელიც შესაძლოა დაიკარგოს. მრისხანე სიმპტომები კი აშკარად იგრძნობა, — ბიოსფერო აღარ რეაგირებს ატმოსფეროში ნახშირორჟანგის მნიშვნელოვან კონცენტრაციაზე. არ არის გამორიცხული თანამედროვე ბუნებას კომპენსაციური (აღდგენითი) უნარები დაკარგული ან ძლიერ დასუსტებული ჰქონდეს.

ეკოლოგიური სტაბილურობის აღსადგენად, მეტად მნიშვნელოვანია ქალაქების ეკოლოგიზაცია.

ქალაქი კაცობრიობის ბედისწერაა.

კოსმოსიდან გადაღებულ სურათებში ქალაქები თავიანთი მცოცავი ინფრასტრუქტურებით, მეტასტაზების მსგავსად, ავთვისებიან სიმსივნეებს ჰგვანან. **ეკოლოგები მათ ბიოსფეროს პარაზიტებს უწოდებენ.** რაც უფრო ცივილურია საზოგადოება, მით მეტია ქალაქის მოსახლეობის პროცენტული წილი, მით მეტია თვით ქალაქები, დიდია მათი ზომები და დამღუპველია ბიოსფეროზე ზემოქმედება. ისინი ამცირებენ ეკოსისტემის ფართობს, უკავიათ დედამიწის ზედაპირის 2% და მსოფლიო რესურსების 75%-ს მოიხმარენ. მაგ., მხოლოდ კვების პროდუქტებითა და ხე-ტყის მასალებით ლონდონის უზრუნველსაყოფად მისივე ფართობის 58-ჯერ მეტი ფართობია საჭირო. ყველა ქალაქი ასეთი ოდენობის რესურსს რომ მოიხმარდეს, დედამიწის ზედაპირი 3-ჯერ მეტი ფართობის უნდა იყოს.

ურბანიზაცია ყოველდღიურად ძლიერდება. იგი საზოგადოების ცხოვრებაში ქალაქების როლის ამაღლების ისტორიული პროცესია, რომელიც დაკავშირებულია არასასოფლო-სამეურნეო ფუნქციების კონცენტრაციასა და ინტენსიფიკაციასთან, ქალაქური ცხოვრების სტილის გავრცელებასთან, განსახლების სოციალურად მიმართული ფორმების ჩამოყალიბებასთან.

განსახლების ქალაქური ფორმის სოციალურ-ეკონომიკური უპირატესობა დავას არ იწვევს. ურბანიზაცია მრავალ სფეროში შრომის მწარმოებლურობას ამაღლებს და, იმავდროულად, საზოგადოების სოციალურ-კულტურულ და საგანმანათლებლო პრობლემებსაც უკეთესად წყვეტს. ქალაქი სამეურნეო განვითარების მნიშვნელოვან პოტენციალს ფლობს. მის მცხოვრებლებს განათლების მიღების, პროფესიის არჩევის, კულტურული ღირებულებების გაცნობისა და სხვათა ფართო შესაძლებლობებს აძლევს. მაგ., 1990-2013 წლებში მსოფლიო მთლიანი შიდა პროდუქტი 22,3 ტრილიონი დოლარიდან, 74,3 ტრილიონ დოლარამდე, ანუ 3,33-ჯერ გაიზარდა, საქონლისა და მომსახურების ექსპორტი 4,1-დან, 23,1 ტრილიონ დოლარამდე, ხოლო ძირითადი კაპიტალი 5,1-დან, 17,7 ტრილიონ დოლარამდე გადიდდა. ასეთი შედეგები ურბანიზაციის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა.[364]

ეკოლოგიური სიძნელე ჩვენ ეპოქაში უდავოა. ამიტომ საზოგადოება და ბუნება უნდა ვითარდებოდეს ერთობლივად, ჰარმონიულად, რაც საყოველთაოდ აღიარებული ჭეშმარიტებაა.[365]

ეკოლოგები ურბანიზაციის არსებული პრობლემების გადაწყვეტის 2 გზას გვთავაზობენ: მეგაპოლისების ეკოლოგიზაცია და ეკოპოლისების შექმნა. ჩვენთვის უფრო საინტერესოა მეორე გზა.

ზოგადად, „იდეალური ქალაქის“ დაარსებას ადამიანები უძველესი დროიდან ცდილობდნენ. საკმარისია გავიხსენოთ ბაბილონის, ალექსანდრიის, კონსტანტინოპოლის, სანკტ-პეტერბურგისა და სხვათა რაიონები, ასევე XX საუკუნეში იდეალური ქალაქის განვითარების კონცეფცია, რომელიც ეკოპოლისის ელემენტებს შეიცავდა პონდიშერის (ინდოეთი), ბრაზილიის (ბრაზილიის დედაქალაქი), კანბერას (ავსტრალია), ვანკუვერის (კანადა), შანხაის (ჩინეთი), ლონდონისა (დიდი ბრიტანეთი) და სხვა მეგაპოლისების ცალკეულ რაიონებში.

ეკოპოლისების შექმნის საერთო იდეოლოგია ეფუძნება იმ მიდგომას, რომ ადამიანის საცხოვრისი გარემო შეიძლება გაუმჯობესდეს, თუ გავაცნობიერებთ ადამიანისა და ბუნების ჰარმონიული თანაარსებობის აუცილებლობას, ავამაღლებთ მოსახლეობის ეკოლოგიური განათლების დონეს და გამოვიყენებთ თანამედროვე ტექნოლოგიებს (ნარჩენების კონვერსია, ეკოლოგიურად სუფთა ენერგიის გენერირება, ეკოლოგიური ტრანსპორტი და ა.შ.).

---

[364] ООН. Цели развития тысячелетия: доклад за 2014 год.

[365] **ლემონჯავა პ. (2014).** ბუნების გამოყენების ეკონომიკა. თბ., „მერიდიანი“.

აუცილებელია საზოგადოებაში ანთროპოეგოიზმის[366] დაძლევა, რომლის გარეშე ეკოლოგიური პრობლემები ვერ მოგვარდება.

ეკოლოგიური ურბანიზმის ძირითადი პრინციპებია:

1. **ფეხით მოსიარულეთა მისაწვდომობა (მისადგომობა)**
   - 10 წუთის სავალზე უმრავლესი ობიექტების განლაგება;
   - ქუჩების მოხერხებული დაპროექტება.
2. **ურთიერთდაკავშირებულობა**
   - ➢ ქუჩების ფართო ქსელით ქვეითად გადაადგილების შესაძ-ლებლობა;
   - ➢ ფეხით სეირნობისთვის დიდი საზოგადოებრივი სივრცე.
3. **მრავალფეროვანი განაშენიანება**
   - ❖მაღაზიების, ოფისების, ინდივიდუალური საცხოვრებლებისა და აპარტამენტების მრავალფუნქციურობა;
   - ❖სახლების არქიტექტურული მრავალფეროვნება.
4. **ქალაქდაგეგმარება**
   - აქცენტის გადატანა სილამაზეზე, ესთეტიკასა და კომფორტ-ზე;
   - საზოგადოებრივი გამოყენების ადგილების სიმრავლე.
5. **„მწვანე ტრანსპორტი“**
   - ➢ ეკოტრანსპორტის (ელექტრომობილის) განვითარებული ქსელი;
   - ➢ ქვეითად მოსიარულეთათვის სასიამოვნო დიზაინი, ვე-ლოსიპედების ფართოდ გამოყენების შესაძლებლობა.
6. **მდგრადი ეკოლოგიური პრიორიტეტები**
   - ❖გარემოზე განაშენიანების მინიმალური ზემოქმედება;
   - ❖ეკოლოგიური ტექნოლოგიები, გარემოს პატივისცემა და ბუ-ნებრივი სისტემის ფასეულობათა გაცნობიერება-დაფასება;
   - ❖ენერგიის ერთჯერადი წყაროების გამოყენების შემცირება;
   - ❖მეტი სიარული, მეტი მოძრაობა, ნაკლები მგზავრობა.

თანამედროვე ეკოპოლისის კონცეფციაზე ახალი ურბანიზმის მრავალი იდეოლოგი და სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი მუშაობს. რიგ ქვეყნებში უკვე აშენებულია ან აქტიურად შენდება ეკოპოლი-სები, როგორც ინდუსტრიული ტიპის ქალაქის ალტერნატივები. ამ მიმართულებით ლიდერობენ კანადა, ავსტრალია, კორეის რესპუბ-

[366] ეგოისტური შეხედულება: „ადამიანი ბუნების ღმერთია“.

ლიკა, დიდი ბრიტანეთი, ბრაზილია, ინდოეთი და ჩინეთი. ეკოპოლისების მშენებლობისას სხვადასხვა ქვეყნის სპეციალისტები აქტიურად ცდილობენ განსაზღვრონ „ეკოლოგიურობის“ ერთიანი კრიტერიუმები და ამ მიზნით, ხშირად, საერთაშორისო კონფერენციებსაც ატარებენ და მოწინავე გამოცდილებას ერთმანეთს უზიარებენ.

ურბანიზაციის ზრდის კვალობაზე დიდ ქალაქებში შეინიშნება „მწვანე ტექნოლოგიების“ ბუმი, ელექტრონული კომუნიკაციების პროგრესი და სიცოცხლის უზრუნველყოფის სისტემათა ავტონომიურობა. მოსახლეობის ზრდისა და ბუნებრივი რესურსების შემცირების პირობებში, როგორი იქნება მათი მომავალი? ამ საკითხზე კამათი ყოველწლიურად მწვავდება.

ყველაზე ფანტასტიკური პროექტები მრავლად აღწერენ მობილურ დასახლებებს, მცურავ ხელოვნურ კუნძულებსა და ა.შ.

ეკოპოლისური განაშენიანებისთვის ნიშანდობლივია დაბალსართულიანი სახლების ექსპერიმენტული დასახლება, რომელიც ეკოლოგიური სტანდარტებით შენდება, მცხოვრებლები იცავენ ეკოლოგიური ცხოვრების წესს და თვითმმართველობის ეფექტურ ორგანიზაციას, ანუ იყენებენ ენერგიის ეკოლოგიურად სუფთა წყაროებს, აკეთებენ ნარჩენების უტილიზაციას, თავს იკავებენ საქონლის (ენერგიის) ზედმეტ მოხმარებაზე.

თავისი ნახევარსაუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში ეკოლოგიურმა დასახლებამ ნათლად დაამტკიცა, რომ ბუნებასთან ჰარმონიული ცხოვრება არ არის უტოპია, იგი რეალურია.

მსოფლიოში სულ უფრო მეტად ჩნდება „ინტელექტუალური (გონიერი) ქალაქების“ პროექტები, რომლებიც მოსახლეობას ცხოვრების მაღალ სტანდარტებსა და ეკოლოგიურ გარემოს სთავაზობენ.

აი ზოგიერთი მათგანი:

1. დიდი ბრიტანეთი გეგმავს პრინც ჩარლზის იდეის პრაქტიკულ რეალიზაციას, — 2020 წლისთვის ააშენოს ეკოპოლისი **შერფორდი**, რომელშიც გაერთიანდება ძველი ინგლისის ისტორიული სული (XVII-XVIII საუკუნეების არქიტექტურა) და მომავლის ტექნოლოგიის უკანასკნელი მიღწევები (ქარის ტურბინები, მზის ბატარეები და სხვა). ქალაქში, რომლის მოსახლეობა 12 ათას კაცზეა გათვლილი, აკრძალული იქნება შიდაწვის ძრავიანი ავტომობილის ექსპლუატაცია. ეკოლოგიურად სუფთა სამშენებლო მასალებისა და ნარჩენების დამუშავების ტექნოლოგიების გამოყენებით იგი ინგლისის ყველაზე ეკოლოგიური ქალაქი იქნება.

2. იაპონია ტოკიოს ყურეში გეგმავს ააშენოს **„ქალაქი-პირამიდა“,** განვითარებული განსაკუთრებული ინფრასტრუქტურით, წყალზე მდგომ პლატფორმაზე, გათვალისწინებული 750 ათას ადამიანზე. „პირამიდა“ დედამიწაზე ხელოვნურად აგებული ყველაზე მაღალი რელიეფი იქნება — 2004 მეტრი, ანუ ეგვიპტის ხეოფსის პირამიდაზე, თითქმის, 14-ჯერ უფრო მაღალი.

ამ გრანდიოზულ ანთროპოგენურ[367] სტრუქტურულ ნაგებობას შეავსებს საცხოვრებელი კომპლექსები, საოფისე და ადმინისტრა- ციული შენობები, კულტურულ-გასართობი ცენტრები და სრულყოფილად ფუნქციონირებადი ინფრასტრუქტურა. „პირამიდას“ მსუბუქი, ზემტკიცე ნახშირბადის ნანომილებისაგან ააგებს ობობა-რობოტი. ნაგებობა წყალზე ილივლივებს და წყლის გრუნტში ღრმად ჩარჭობილი ბეტონის 36 ბოძს დაეყრდნობა.

„პირამიდის“ საერთო ფართობი იქნება 88 კმ^2. პირველ ოთხ დონეზე განლაგდება საცხოვრებელი ბინები და კომპანიების ოფისები, ხოლო მომდევნოებზე — კვლევითი ლაბორატორიები და გასართობი ცენტრები. ნაგებობის შიგნით 106-110 მეტრი სიმაღლის 56 პირამიდული კონსტრუქცია მოთავსდება.

3. კორეის რესპუბლიკაში, დედაქალაქ სეულიდან 50 კმ-ის დაცილებით, ონჩხონის საერთაშორისო ეკონომიკურ ზონაში, ხელოვნური კუნძულის 607 ჰექტარზე (6 კმ^2) 2002 წლიდან შენდება ახალი ქალაქი **ნიუ-სონგდო,** რომელსაც ანალოგი არა აქვს მსოფლიოში.

ქალაქის მშენებლობა ნულიდან დაიწყო. მას აშენებენ მსოფლიო ქალაქმშენებლობაში საუკეთესო საპროექტო, არქიტექტურული, სამშენებლო და ტექნოლოგიური კომპანიები. 2016 წლისთვის აშენდება 400 ნაგებობა, მათ შორის, ქვეყანაში ყველაზე მაღალი ცათამბრჯენი (ჩრდილო-აღმოსავლეთ აზიის სავაჭრო ცენტრი, სიმაღლე 330 მ). ქალაქის ყველა ნაგებობა აღიჭურვება უკანასკნელი ტექნოლოგიით. ინფრასტრუქტურა იქნება თანამედროვე ქსელური ტექნოლოგიებით.

ქალაქი ნიუ-სონგდო, რომელსაც უკვე მსოფლიოს მე-8 საოცრებას უწოდებენ, ყველაზე მსხვილი კერძო დევოლოპერული პროექტია დედამიწაზე. მისი სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 35 მილიარდი დოლარია, აქედან 10 მილიარდი ინფრასტრუქტურის განვითარებას მოხმარდება. ქალაქი იქნება ფანტასტიკური სანახაობის: მასში განთავსდება კაცობრიობის ყველა მოწინავე მიღწევა არქიტექტურისა და ლანდშაფტური დიზაინის სფეროში.

---

[367] ადამიანის მოქმედების, მოღვაწეობის შედეგად შექმნილი.

ნიუ-სონგდო თავიდანვე დააპროექტეს, როგორც „ციფრული, „ინტელექტუალური ქალაქი“, რომლის მართვის ცენტრში, ანუ რესურსების რაციონალური განაწილებისა და აღდგენის ცენტრალურ კვანძში, ყველაფერი ოპერატიულად დაფიქსირდება და გაანალიზდება, დაწყებული ავტომობილების ნაკად-მოძრაობებით, განათებით, წყალმომარაგებით..., წყალბადის ძრავებიანი ელექტრომობილები ქალაქის ერთიან ქსელში იქნება ჩართული; საყოფაცხოვრებო ნარჩენებს პნევმატური ტრანსპორტი მეთანის ქარხანას პირდაპირ მიაწოდებს, სადაც სათბობი გამომუშავდება; ინტელექტუალური ელექტროსაგზაო ნიშნები ავტომობილების სიმჭიდროვისა და სამგზავრო ნაკადების დატვირთვის შესაბამისად ავტომატურად შეიცვლება.

ქალაქში დაინერგება მაღალი ეკოლოგიური სტანდარტები, ტექნოლოგიები კი გაერთიანდება საერთო საექსპლუატაციო სისტემებში, რის გამოც საქალაქო მეურნეობის ექსპლუატაციისა და ტექნიკური მხარდაჭერის ღირებულება არსებითად შემცირდება.

ნიუ-სონგდოს, რომელიც 65 ათას მცხოვრებზე და 300 ათას მომუშავეზეა გათვლილი, 40 ჰექტარზე ექნება დასასვენებელი პარკი და ველოსიპედისთვის 25 კმ-ანი ბილიკი.

ქალაქიდან სამი საათის ფრენის რადიუსით 2 მილიარდი ადამიანი ცხოვრობს (პლანეტის მოსახლეობის 28%). ამიტომ იგი ჩრდილო-აღმოსავლეთ აზიის ერთ-ერთი გამორჩეული ბიზნესცენტრი გახდება.

ნიუ-სონგდოში დაინერგება „ყველგან მსუფევი“, „ყველგან მყოფი“ გამოთვლის ტექნოლოგია.

4. ჩინეთის ერთ-ერთ მჭიდროდ დასახლებულ რაიონში, ქ. შანხაის სიახლოვეს ეტაპობრივად შენდება (პირველი ეტაპი 2010 წელს დამთავრდა) მისი სატელიტი, ენერგოავტონომიური „გონიერი“ ეკოქალაქი **დონგტანი** (ფართობი 86 კმ^2, რომლის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 1,3 მილიარდი დოლარია (მშენებლობა მთლიანად 2030 წლისთვის დასრულდება). ნარჩენების, მათ შორის, ჩამდინარე წყლების, 90%-ს ენერგიის წყაროდ გამოიყენებენ, ხოლო 10%-ს — მიწის განოყიერება-მელიორაციისთვის.

ქალაქი მთლიანად იქნება ბიოენერგიით (მზე, ქარი, ბიოსათბობი) უზრუნველყოფილი, ტრანსპორტი კი, — ეკოლოგიური, ანუ „მწვანე“ (ველოსიპედები, ელექტრომობილები და საზღვაო-სამდინარო).

ქალაქის დაპროექტებაში გამოიყენებენ ახლებურ მიდგომებს: წვიმის წყლის დაგროვების სისტემას, წყლის გაწმენდასა და გამეორებით ექსპლუატაციას, მზის ბატარეებს, ქარისა და წყლის წისქვილებს, Zero Energy Building-ის ტექნოლოგიას, რითაც სითბო ხელმეორე

ექსპლუატაციისთვის ჩაკეტილ ციკლში „დაკონსერვდება“. აღნიშნული ვითარება სპეციალური სამშენებლო მასალების გამოყენებით მიიღწევა. მაგ., ნაგებობის დაგეგმვისას გაითვალისწინებენ მზის სხივებთან ყოველდღიურ და სეზონურ თანხვედრას; შვერილის სიღრმეს, მხარის დაჩრდილვას, მინის ზედაპირის გამჭვირვალობას, ჟალუზებს, იზოლაციას და ა.შ. და ა.შ. დაინერგება ჰერმეტიზაციისა და ჰაერის ნაკად-მიმართულებების შეცვლის ტექნოლოგიები, ჩატარდება ადგილობრივი კლიმატის საინჟინრო კომპიუტერული სიმულაციის სპეციალური კვლევები და მათ შედეგებს გამოიყენებენ გათბობის, გაგრილებისა და ვენტილაციის ენერგიაზე მოთხოვნა-მიწოდების დასაბალანსებლად. სამშენებლო მასალები იქნება ქვა, ხე, ლითონი და მინა.

5. ნავთობი ის ძირითადი სათბობ-ენერგეტიკული რესურსია, რომელსაც მთელი მსოფლიო იყენებს. მისი მარაგები, ინტენსიური მოხმარების გამო, ყოველდღიურად მცირდება, ხოლო ექსპლუატაცია მდგრად განვითარებას ეწინააღმდეგება.

არაბთა გაერთიანებული საამიროები ამ ძვირადღირებული რესურსის მსოფლიო მარაგების თითქმის 10%-ის მფლობელია. და, მიუხედავად ამისა, აქტიურად ეძებს გადარჩენის ისეთ ახალ სტრატეგიებს, როცა საჭირო აღარ იქნება ნავთობი. ერთ-ერთი მათგანია მზის სხივების ელექტროსადგურისა და უნარჩენო წარმოების მქონე ქალაქების მშენებლობა.

დედაქალაქ აბუ-დაბიდან 17 კმ-ის დაშორებით, რუბ ელ ხალის უდაბნოში, სადაც დღეს „მკვდარი“ ქვიშაა, 6 კმ^2 ფართობზე შენდება მსოფლიოში ერთი-ერთი ეკოლოგიურად სუფთა ქალაქ-ოაზისი — **მასდარი** (არაბულად „წყარო“, „გასაღები“). ქალაქი, რომლის გარშემო აიგება ქარის დამცავი კედელი, მთლიანად უზრუნველყოფილი იქნება ალტერნატიული ენერგიის (მზის, ქარის) საკუთარი გამომუშავებითა და გამოყენებით. შეუდარებელია ქალაქ მასდარის ორიგინალურად გადაწყვეტილი დიზაინი, ხელოვნური მიკროკლიმატი. მისი სახარჯთაღიცხვო ღირებულება 22 მილიარდი დოლარია. მშენებლობა მთლიანად 2025 წლისთვის დამთავრდება.

მასდარში, სადაც 50 ათასამდე ადამიანი იცხოვრებს, განთავსდება ენერგეტიკის კვლევის თანამედროვე ცენტრი, 1500-მდე მოწინავე კომპანიის ოფის-ლაბორატორია, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სასწავლო-სამეცნიერო კომპლექსი. კომპანიებისთვის დადგინდება ნულოვანი გადასახადი, შეუზღუდავი ოდენობის კაპიტალი და ინტელექტუალური საკუთრების დაცვის მკაცრი პირობები.

ქალაქში არ იქნება არც ერთი სამრეწველო საწარმო. იმოძრავებს

მხოლოდ „მწვანე“ ტრანსპორტი — უპილოტო პერსონალური ჩქაროსნული ტაქსი-რობოტები.

ქალაქი გაყიდის „მწვანე“ ტექნოლოგიებს, განსაკუთრებით, ენერგეტიკის სფეროში.

თანამედროვე სამშენებლო ინდუსტრიაში ერთ-ერთი ცენტრალური საკითხია მსხვილი ქალაქების განვითარება არა მისი ცენტრის გაფართოებით, არამედ ქალაქ-თანამგზავრების შექმნით, რაც კომპლექსურად გადაწყვეტს ურბანისტულ მიდგომებს, საკუთარი რესურსებითა და ეკონომიკით.

ამ მიდგომას „გონიერი“ ქალაქის (Smart city) კონცეფცია ეწოდება, რომლის კლასიკური ნიმუშია ქ. მასდარის პროექტი.

„გონიერი“ (ინტელექტუალური) ქალაქის პრინციპებია:

- **თანამედროვე ინფრასტრუქტურა და საინფორმაციო ტექნოლოგიები.**

ლანდშაფტური დიზაინი: სპეციალური კონსტრუქციები, რომლებიც დღისით ღია მდგომარეობაშია და ჩრდილს ქმნის, ღამით კი, — იხურება და ქუჩაში სიგრილეს უშვებს; მცხოვრებთა დასვენებისა და ფეხით მოსიარულეთათვის გამწვანებული ზონები, შადრევნები, არხები, ჩანჩქერები, რესტორნები, თეატრები, სკოლები და მაღაზიები, მისასვლელი გზები, ხიდები და გვირაბები.

- **საინფორმაციო-საკომუნიკაციო სფერო:**
  - ქალაქის მდგრადი მართვა;
  - ელექტრონული გადახდის კომპლექსური სისტემა;
  - ყველგან „გონიერი“ სახლი/ოფისი და დისტანციური მართვის თანამედროვე ტექნოლოგია;
  - მიკროკლიმატის შენარჩუნების მოწინავე სისტემები;
  - ტელეკომუნიკაციური ინფრასტრუქტურა (ხმის, ვიდეო და სხვა ინფორმაციის გადაცემა) და მონაცემთა დამუშავების ცენტრი.
- **ყველგან „მწვანე“ (ეკოლოგიურად სუფთა) სტანდარტები:**
  - ქალაქის ყველა შენობა-ნაგებობა „მწვანე“ მშენებლობის კონცეფციის შესაბამისი;
  - ინფრასტრუქტურა და საზოგადოებრივი ტრანსპორტი;
  - რეზიდენციები და საოფისე ცენტრები;
  - სავაჭრო მოედნები და დასასვენებელი პარკები.

- **ენერგიის განახლებადი ტექნოლოგიები:**
  - მზის ენერგიის ელექტროსადგურები;
  - შენობების სახურავებზე მზის ბატარეები;
  - ქალაქის პერიმეტრზე ქარის გენერატორები;
  - წყალბადის სათბობის ელექტროსადგურები;
  - გეოთერმული ენერგიის მიღების ელექტროსადგურები;
  - მზის ენერგიაზე მომუშავე წყლის გამტკნარების სადგურები;
  - ნიადაგის ნოყიერების გამამდიდრებელი ორგანული (საყოფაცხოვრებო) ნარჩენების გამოყენება;
  - ინდუსტრიული (სამრეწველო) ნარჩენების (ლითონი, პლასტიკატი) გადამუშავება და გამეორებით გამოყენება.
- **ეკოლოგიური ტრანსპორტი:**
  - ქალაქგარეთ — მონორელსური ტრანსპორტი;
  - ქალაქში — პერსონალური ჩქაროსნული ტრანსპორტი.
- **მეცნიერება და განათლება:**
  - მსოფლიო დონის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრები;
  - ტექნოლოგიების სასწავლო ინსტიტუტები.
- **საზოგადოება:**
  - სავაჭრო ქსელში — მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა საქონელი;
  - შრომის პირობები — საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი.

.

ნაწ. IV. ახალი იდეების წარმოშობა და განვითარება

1. კრეატიულობის აუცილებლობა

კრეატიულობა ადამიანის შემოქმედებითი ნიჭიერების დონეა და მისი ინტელექტუალური პოტენციალის ნაყოფია. იგი რაიმე პრობლემის არასტანდარტული გადაწყვეტაა.

შემოქმედებითი პროცესი ეფუძნება მისი ავტორის შთაგონებას, აღმაფრენას, ფანტაზიას. თუ საუბარია კრეატიულ პროცესზე, მაშინ პრაქტიკული ელემენტი მისი მთავარი შემადგენელია, ანუ თავდაპირველი, დასაბამიდან გაგება იმისა, რომ:

- **„რატომ უნდა შეიქმნას“,**
- **„ვისთვის უნდა შეიქმნას“,**
- **„როგორ უნდა შეიქმნას“,**
- **და, საკუთრივ, „რა უნდა შეიქმნას“.**

კრეატიულობის პირველი ტესტები შეიმუშავეს ამერიკელმა ფსიქოლოგმა, კრეატიული ფსიქოლოგიის ფუძემდებელმა **ჯო პოლ გილფორდმა** (1897-1987) და კრეატიული დიაგნოსტიკის მამამთავარმა, ფსიქოლოგიის პროფესორმა, ამერიკელმა **ელის პოლ ტორენსმა** (1915-2003). მათ **კრეატიულობის კრიტერიუმები** დაადგინეს. ესენია:

1. **სწრაფი აზროვნება** — დროის ერთეულში წარმოშობილი (გენერირებული) იდეების რაოდენობა;

2. **მოქნილი აზროვნება** – ერთი იდეადან მეორეზე სწრაფი გადართვის უნარი;

3. **ცოდნისმოყვარეობა** – პრობლემისადმი, არსებული სიტუაციისადმი მგრძნობელობა;

4. **პრობლემის არსში გარკვევის უნარი;**

5. **ორიგინალური აზროვნება** – ზოგადმიღებული იდეებისგან განსხვავებული, უნიკალური იდეების წარმოების უნარი;

6. **ამთვისებლობა** – უჩვეულო დეტალებისა და წინააღმდეგობებისადმი მგრძნობელობა;

7. **მეტაფორულობა** – ფანტასტიკურ, „შეუძლებელ“ კონტექსტზე მუშაობის მზაობა, აზრის გამოსახატავად ასოცირებული, სიმბოლური საშუალებების გამოყენებისადმი მიდრეკილება;

8. **ჰიპოთეზების დამუშავების უნარი** – აქ თითქოს ყველაფერი გასაგებია. ჰიპოთეზა არის გაბედული იდეა, რომელიც საფუძვლიან ემპირიულ შემოწმებას საჭიროებს;

მაშასადამე, კრეატიულობის შეფასება და გამოვლენა მრავალნაირად ხდება. უპირველესად, ესაა ორიგინალური და სწრაფი აზროვნება, გამოუვალ სიტუაციაში გადაწყვეტილების პოვნის უნარი, მდიდარი ფანტაზია და ა.შ.

რატომაა დღეს ასე საჭირო კრეატიულობა?

პოსტინდუსტრიული სივრცე ინფორმაციით დიდად გაჯერებულია. ადამიანის ცნობიერებას ძალიან უჭირს ამ ზღვა მოცულობის ინფორმაციაში გამკლავება. თანაც, ახალი ინფორმაციული ნაკადები კოლოსალური სიჩქარით აღმოცენდება, გადაადგილდება და ტრანსფორმირდება. თუ დღევანდელობაზე ვსაუბრობთ, ნათელია პირდაპირი დამოკიდებულება ინფორმაციის გავლენისა და იმ ადამიანების კრეატიულ იდეებზე, რომლებიც მიმდინარე პროცესებს ამ ინფორმაციით მართავენ. ამიტომ, ინფორმაციის მართვის ინსტრუმენტების ფლობა მათთვის მეტად მნიშვნელოვანია.

კრეატიულობა არაა დამოუკიდებელი ფენომენი. იგი მხოლოდ ადამიანს ახასიათებს, მასთან დაკავშირებულია, მისი შემოქმედებითი აზროვნების ნაყოფია. ახალი, ნოვატორული პროდუქტი ინდივიდის სპეციფიკური საქმიანობის შედეგია.

კრეატიულობის შესახებ მრავალი კითხვა ჩნდება:

არის თუ არა კრეატიულობა ადამიანის თანდაყოლილი თვისება, თუ შეიძლება მისი განვითარება? ზოგი ინდივიდი რატომაა უფრო კრეატიული, ვიდრე სხვები? რა პრინციპები მოქმედებენ ადამიანის კრეატიული პოტენციალის ფორმირებასა და განვითარებაზე? და სხვ.

მართალია კრეატიულობა დიდად დამოკიდებულია ინდივიდის თანდაყოლილ ნიჭზე, მაგრამ მისი შემოქმედებითი აზროვნება ძირითადად იმით განისაზღვრება, თუ როგორ გარემოში გაიზარდა იგი, ამ გარემომ რამდენად შეუწყო ხელი (ან პირიქით) ადამიანის შემოქმედების სტიმულირებას, მხარდაჭერას, განვითარებას.

მეტად საყურადღებოა XVII საუკუნის საფრანგეთის ერთ-ერთი უძველესი არისტოკრატიული გვარის წარმომადგენლის **ფრანსუა დე ლაროშფუკოს** მოსაზრებანი: **„გონება სიზარმაცისა და ჩამორჩენილობის შედეგად ელტვის იოლსა და საამურს, ეს ჩვევა ზღუდავს ჩვენს ცოდნას და არც არავის შეუწუხებია ოდესმე თავი, საკუთარი გონება რამდენადაც შესაძლებელია გაეფართოებინა და გაემდიდრებია". ან კიდევ, „გონება სხეულზე მეტად ზანტია".**

ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ინტელექტუალური პროცესების კრეატიული კომპონენტები მრავალი მეცნიერის ყურადღებას იპყრობდა. საკმარისია გავიხსენოთ ცნობილი ფსიქოლოგების: **ალ-**

ფრედ ბინეს[368]**, ფრედერიკ ბარტლეტის**[369]**, მაქს ვერტ-ჰაიმერის**[370]**, ვოლფგანგ კელერის**[371]**, კურტ კოფკას**[372]**, კარლ დუნკერისა**[373] და მრავალ სხვათა ორიგინალური კვლევები. ისინი მიიჩნევდნენ, რომ ადამიანები კრეატიულ შესაძლებლობებს არათანაბრად ფლობენ.

შეიძლება თუ არა კრეატიული პოტენციალის გაზომვა?

მრავალმა მკვლევარმა დაამუშავა სპეციალური ამოცანები და ტესტები, რომელთა დახმარებით თითქოს კონკრეტული ადამიანის კრეატიულობის ხარისხის დადგენა შეიძლება. მაგალითად, ერთ-ერთი ცნობილი ტესტი ასეთია: „სამი წუთის განმავლობაში დაასახელეთ აგურის გამოყენების ყველა შესაძლებლობა“.

როგორც შენიშნავს კრეატიულობის მკვლევარი **ბერნანდ ფლეს-დორფი,** „დავუშვათ გამოსაცდელმა აიღო აგური და თავის გამომცდელს სასიკვდილოდ თავში ჩაარტყა. ამ შემთხვევაში გამოსაცდელი კრეატიულ პიროვნებად ჩაითვლება?”

რა თქმა უნდა, არა. კრეატიულობა ტესტზე გაცემული პასუხების რაოდენობით ვერ შეფასდება. **ადამიანის კრეატიულობის შეფასების ერთადერთი საიმედო საშუალება მისი შემოქმედებითი იდეებია.**

XX საუკუნის 60-ანი წლებიდან დაიწყეს ადამიანთა ინტელექტუალობის დონის ტესტირება. გაირკვა, რომ პროფესიული და ცხოვრებისეული წარმატებები კრეატიულობის დონისგან დამოუკიდებულია. კვლევამ აჩვენა, რომ ადამიანებს, რომლებსაც არც ისე მაღალი ქულის ინტელექტუალურობის კოეფიციენტი (IQ) აღმოაჩნდათ, ზოგჯერ, კრეატიული შესაძლებლობებით გამოირჩეოდნენ, ხოლო მაღალი IQ-ის მფლობელები, ხშირად, მათ ჩამორჩებოდნენ. გამოითქვა მოსაზრება, რომ ამ შემთხვევაში გადამწყვეტ როლს გონების სხვა მახასიათებ-

---

[368] ფრანგი ფსიქოლოგი (1857-1911), შეადგინა „გონებრივი განვითარების სკალა“, თანამედროვე IQ-ს ანალოგი.

[369] ინგლისელი ფსიქოლოგი (1886-1969), თანამედროვე კოგნიტური (შემეცნებითი) ფსიქოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი.

[370] ავსტრო-უნგრული წარმომავლობის ამერიკელი მეცნიერი (1880-1943). გეშტალტ-ფსიქოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი.

[371] გერმანული წარმომავლობის ამერიკელი ფსიქოლოგი (1887-1907), მაქს ვერტჰაიმერთან ერთად, გეშტალტ-ფსიქოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი.

[372] გერმანული წარმომავლობის ამერიკელი ფსიქოლოგი (1886-1941), მაქს ვერტჰაიმერთან და ვოლფგანგ კელერთან ერთად, გეშტალტ-ფსიქოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი.

[373] გერმანელი ფსიქოლოგი (1903-1940), გეშტალტ-ფსიქოლოგიისა და აზროვნების ერთ-ერთი გამოჩენილი მკვლევარი. ცნობილია მისი ტესტი „კარლ დუნკერის სანთელი“.

ლები ასრულებენ, რომლებიც ტრადიციულ ტესტირებაში არაა მოქცეული.[374]

დღეს დამსაქმებლები ყურადღებას თანამშრომლების კრეატიულობაზე უფრო მეტად ამახვილებენ. კრეატიულობის ამაღლება განიხილება, როგორც ადამიანის შემოქმედებითი აზროვნების გააქტიურება, პიროვნების ინტელექტუალური განვითარება.

რთულ სიტუაციაში კრეატიული გადაწყვეტილების მიღება ყველას სურს, თუმცა ყველას არ შეუძლია. საბედნიეროდ, არსებობს ისეთი სპეციალური მეთოდები, რომლებიც ამ საქმეში დაგვეხმარება.

როგორ გავიძლიეროთ კრეატიულობა?

ამისთვის აუცილებელია:

1. მაქსიმალურად გამოვიყენოთ საკუთარი ინტელექტუალური და ფსიქოლოგიური შესაძლებლობები;
2. ავითვისოთ სწავლების დაჩქარებული მეთოდები;
3. ვიმუშაოთ მეხსიერების გაუმჯობესებაზე;
4. განვთავისუფლდეთ თვითშემზღუდველი ისეთი ტიპის დარწმუნებისგან, როგორიცაა, მე:

- „არა ვარ კრეატიული პიროვნება“;
- „სწავლისთვის საკმაოდ ასაკოვანი ვარ“;
- „ცუდი მეხსიერება მაქვს“ და ა.შ. და ა.შ.[375]

XVIII საუკუნის ცნობილმა ინგლისელმა პოეტმა **ალექსანდრე პოუპმა** თქვა: **„გონებას აძლიერებს ვარჯიში და არა დასვენება“.**

კრეატიულობა არაა მხოლოდ გენიოსების მემკვიდრეობა. აინშტაინი, ედისონი და მრავალი სხვა უდიდესი მოაზროვნეები იყვნენ, მაგრამ არა დღევანდელობის ეტალონები.

საყურადღებოა ისიც, რომ, საზოგადოდ, აზროვნება ძალიან „ხარჯიანი“ პროცესია. ჩვენი ტვინი სხეულის მასის დაახლოებით 2%-ია, თუმცა, მშვიდ მდგომარეობაში ორგანიზმის მთელი ენერგიის 10%-ს მოიხმარს, ინტენსიური „ფიქრისას“ კი — 20-25%-ს. ტვინის მუშაობის პროდუქტიულობას ამცირებს ნიკოტინი, ალკოჰოლი, ტოქსინები, მძიმე მეტალები, შაქრის შემცვლელები.

---

[374] **Альтшуллер Г. С., Злотин Б. Л.** и др. **(1989).** Поиск новых идей: от озарения к технологии (Теория и практика решения изобретательских задач). Кишинев.

[375] შდრ.: — **ლაროშფუკო**: „ყველა უჩივის თავის მეხსიერებას, მაგრამ არავინ — თავის საღ აზრს“.

გონებრივ შრომისუნარიანობას ამაღლებს ზომიერი ფიზიკური დატვირთვა, რადგან ტვინს ამარაგებს ჟანგბადით, აჩქარებს ნივთიერებათა ცვლას. გარდა ამისა, ტვინს ძილი და დასვენება სჭირდება.

2. მითები და შეცდომები კრეატიულობის შესახებ

ამ საკითხზე საინტერესოა ჰარვარდის (აშშ) ბიზნესსკოლის პროფესორის **ტერეზა ამაბაილის** შეხედულება. იგი ადამიანის შემოქმედებით პრობლემას მრავალი წელია ინტენსიურად იკვლევს და კრეატიულობის ბუნებაზე არსებულ იმ მითებს უარყოფს, რომლებიც ხელს უშლიან მის განვითარებას.[376] აი ისინიც:

I მითი: კრეატიულობა მხოლოდ შემოქმედი ადამიანების ხვედრია

ნორმალური ინტელექტის მქონე ადამიანი, კრეატიული საქმიანობისთვის მეტ-ნაკლებად უნარიანია. ამასთან, კრეატიულობა დამოკიდებულია ინდივიდის გამოცდილებაზე, ცოდნაზე, ტალანტზე, შემოქმედებით აზროვნებაზე, არსებული რუტინის გადალახვის უნარზე და თავისი საქმიანობის გატაცება/სიყვარულის ხარისხზე.

II მითი: შიში რევოლუციურ გარღვევას იწვევს

გავრცელებულია აზრი, რომ ადამიანის არასასურველი ფსიქოლოგიური მდგომარეობა კრეატიულ შესაძლებლობებს ასტიმულირებს. და მართლაც, მრავალი შემოქმედი ადამიანი შიშისა და დეპრესიის მდგომარეობაში ორიგინალურად აზროვნებდა. მაგრამ, რამდენად სასარგებლოა ფსიქოლოგიური მერყეობა კრეატიულობისთვის?

კრეატიულობა პოზიტიურად ასოცირდება სიხარულთან, სიყვარულთან, ხოლო ნეგატიურად – შიშთან და განგაშთან. შედეგად ვიღებთ ასეთ ჩაკეტილ წრეს: **კრეატიულობა ხელს უწყობს ბედნიერებას, ხოლო ბედნიერებას მივყავართ კრეატიულობისკენ.**

[376] **Амабайл Т. М.,** и др. **(2011).** Креативное мышление в бизнесе. «Юнайтед Пресс».

III მითი:
შეჯიბრება უკეთესია, ვიდრე თანამშრომლობა

გავრცელებულია აზრი, განსაკუთრებით ფინანსებისა და მაღალი ტექნოლოგიების სფეროებში, თითქოს შეჯიბრებითობა აძლიერებს კრეატიულობას. ამაბაილის კვლევამ აჩვენა, რომ კრეატიულობა ზარალდება, თუ კოლექტივში „მეფობს“ შეჯიბრება და არა თანამშრომლობა. შედარებით პროდუქტიულია ის კოლექტივი, სადაც თანამშრომლებს იდეების გაცვლა და ახალი გადაწყვეტილებების განხილვა თავისუფლად შეუძლიათ. როცა ადამიანები ერთმანეთს ეჯიბრებიან, მათ შორის ინფორმაცია არ იცვლება.

IV მითი:
კადრების შემცირება კრეატიულობას ამაღლებს

კვლავ არა და არა. კადრების შემცირება ვნებს კრეატიულობას. მოსალოდნელი შემცირება კიდევ უფრო საზიანოა, ვიდრე თვით შემცირება. გაურკვევლობისადმი შიში ადამიანებს აიძულებს განერიდონ სამუშაოს. საინტერესოა ისიც, რომ ამაბაილის კვლევებით, კადრების შემცირებიდან რამდენიმე თვის შემდეგ, თანამშრომლები კრეატიულობის წინანდელ დონეს ვერ აღწევენ.

კრეატიულობა კაცობრიობის ბუნებრივი შესაძლებლობაა, ხოლო მისი მზრუნველი კულტივაცია და განვითარება — ძველი პრობლემების ახლებურად გადაწყვეტის ან ცხოვრების ახალი მიმართულების მოძიების მთავარი გზა.

კრეატიულობის შესახებ გავრცელებული შეცდომებია:[377]

I შეცდომა:
შემოქმედება ქაოსში იბადება

ამ თვალთახედვით, ჩვენს ირგვლივ რაც უფრო მეტი უწესრიგობა იქნება, მით მეტად ვიქნებით კრეატიულები. რა თქმა უნდა, შემოქმედების პროცესში საჭიროა არსებული წესრიგისგან გამოყოფა, განრიდება, უჩვეულო ალგორითმების გამოცდა, ახალი ხედვის მიგნება, საგნებისა და მოვლენების ახლებურად კომბინირება, მაგრამ ამას ვერ უშველის საცხოვრისის ან სამუშაო გარემოს არეულობა.[378]

---

[377] **Нёльке Матиас. (2008).** Техники креативости. ОМЕГА-Л, М.

[378] შდრ.: — **პითაგორა**: „დაე, წესრიგი იყოს შენი ღვთაება, გამუდმებით მიაგე მას უანგარო სამსახური; წესრიგია უკლებლივ ყველა საგნის კავშირი; თვით ბუნებაც მისი მეოხებით არსებობს“.

II შეცდომა:
სპეციალისტები კრეატიულები იშვიათად არიან

მიაჩნიათ, რომ არასპეციალისტები საგნებსა და მოვლენებს „შეზღუდვის“ გარეშე აღიქვამენ და ამიტომ ისეთ იდეებს წარმოთქვამენ, რომლებსაც ექსპერტები ვერ მოიფიქრებენ. უფრო სარწმუნოა საპირისპირო: საგნებსა და მოვლენებს სწორედ დილეტანტები აღიქვამენ შაბლონურად და შეფასებებს ზოგადმიღებული კრიტერიუმებით აკეთებენ. მათ თავიანთი წინადადებების მოსალოდნელი შედეგების პროფესიულად განსაზღვრა არ შეუძლიათ. რა თქმა უნდა, ზოგჯერ „ექსპერტიც“ შეიძლება იყოს რისკისადმი მოუმზადებელი, მაგრამ, ერთი რამ ცხადია: იმ ადამიანებს, რომლებსაც წარმოდგენა არა აქვთ საგანზე (მოვლენაზე), შემოქმედებითი იდეები ძალიან იშვიათად ებადებათ.

III შეცდომა:
ახალგაზრდები უფრო კრეატიულები არიან

ადრეულ ასაკში ადამიანები მეტ კრეატიულობას იჩენენ. თუმცა, დროთა განმავლობაში იგი ნელდება და ცხოვრების რუტინულ წესს მიჰყვება. აქ სარწმუნო ისაა, რომ კრეატიულობის საფუძვლები ბავშვობაში ყალიბდება. მაგრამ ბავშვური კრეატიულობა ზრდასრული ადამიანის კრეატიულობის საზომი ვერ იქნება. მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდები უფრო რისკიანები არიან, პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ასაკის მატებით კრეატიული ადამიანის შემართება არ იცვლება და იგი „მარად კრეატიული“ რჩება. მართალია მისი კრეატიული იდეების რაოდენობა მცირდება, მაგრამ, სანაცვლოდ, ხარისხი მატულობს.

IV შეცდომა:
კრეატიული ადამიანები აუტსაიდერები არიან

მრავალი ფიქრობს, რომ კრეატიული ადამიანი საზოგადოებისგან, შრომითი გუნდისგან გარიყულია, რადგან უმრავლესობის პოზიციას ეწინააღმდეგება. ამ მოსაზრებაში ჭეშმარიტების მცირეოდენი მარცვალი არსებობს, რადგან შემოქმედებითი ადამიანი სოციუმს „უპირისპირდება“ და პრინციპულად ეჭვის ქვეშ აყენებს ყველაფერს, რაც ზოგადმიღებულია, აპრობირებული და მოწონებულია. მიუხედავად ამისა, მრავალი სასურველი იდეა საზოგადოებაში სრული შეგუებით გენერირდება. განსაზღვრული დისტანცია შეიძლება სასარგებლოც კი იყოს, ისევე როგორც საკუთარ კრეატიულ „ტერიტორიასთან“ გარკვეული სიახლოვე. სხვაგვარად, კრეატიული იდეა არ იქნება ღირებული.

V შეცდომა:
მე თვითონ კრეატიული ვარ და ამისთვის არავითარი ტექნიკა არ მჭირდება

შეეკითხეთ კრეატიულ ადამიანს — იყენებს თუ არა რაიმე ტექნიკას? იგი უყოყმანოდ უარყოფს. უმრავლესობის გაგებით, კრეატიულობა ბუნებრივი, თვითნაბადი განძია და მას ტექნიკით გაძლიერება არ სჭირდება, რადგან ტექნიკა კავშირშია ანგარიშიანობასთან, ყაირათიანობასა და რაციონალურობასთან, ხოლო კრეატიული იდეები სწორედაც ცოცხალი და მოულოდნელი უნდა იყოს.

ამ შემთხვევაში ცუდად გვესმის ტერმინი „ტექნიკას“ შინაარსი, რადგან კრეატიულობის ტექნიკა არავითარ შემთხვევაში არ აცხადებს პრეტენზიას შემოქმედებითი იდეების ავტომატურად წარმოებაზე. ის მხოლოდ დამატებითი საშუალებაა და, იმავდროულად, როგორც პრაქტიკა აჩვენებს, საკმაოდ ეფექტურიც.

3. რუტინა თუ შემოქმედება?

სამუშაოთა უმრავლესობა ადამიანთა განსაკუთრებულ კრეატიულობას არ მოითხოვს. მართალია, ჩვენი ცოდნისა და უნარების გამოყენებით სასურველ შედეგს ვღებულობთ, იმავდროულად, მუშაობის ასეთი სტანდარტული და რუტინული სტილი მეტად საიმედოა, მაგრამ, დროთა განმავლობაში, სწრაფი ცვლილებებისა და მკაცრი კონკურენციის პირობებში, იგი ნაკლებეფექტურია.

როგორ ვიქცევით, როცა რაიმე პრობლემა გვაქვს გადასაწყვეტი?

- ვეკითხებით ხელმძღვანელს, კოლეგებს ან მეგობრებს, რა გავაკეთოთ?
- ვცდილობთ რაღაც მოვიფიქროთ, ვასრულებთ და შემდეგ ველოდებით, — რა გამოვიდა?
- დაძაბულად ვფიქრობთ და როცა სასურველ პასუხს ვერ ვპოულობთ, თავს ვანებებთ;
- ვიღებთ შვებულებას ან „ვმკურნალობთ“;
- ვცდილობთ პრობლემის გადაწყვეტის ისეთი არასტანდარტული, ალტერნატიული, კრეატიული და პრაქტიკული გზა მოვძებნოთ, რომელიც უკეთესად უპასუხებს რუტინული მეთოდით მოსალოდნელ შედეგს.

საყურადღებოა ისიც, რომ **დღევანდელი კარგი კრეატიული იდეა, ხვალ აუცილებლად რუტინულად გადაიქცევა.**

4. შემოქმედებითი პიროვნების თვისებები

მიუხედავად იმისა, რომ ყოველ ადამიანს საკუთარი შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენა, განვითარება და გამოყენება შეუძლია, ზოგიერთი, სხვებთან შედარებით, უფრო კრეატიულია.

რა თვისებები ახასიათებთ კრეატიულ ადამიანებს?[379]

I თვისება: პრობლემებისადმი მაღალი მგრძნობელობა

განსაკუთრებული ნიშნები: პრობლემების გარჩევის უნარი, არსებულ სიტუაციებში დაეჭვება, ახალი შესაძლებლობების განვითარება.

II თვისება: სხარტი აზროვნება

განსაკუთრებული ნიშნები: აზროვნების მრავალი სტილის ფლობა, სხვადასხვა სფეროებში თავისუფალი ორიენტაცია, ფართო ერუდიცია, განსხვავებული შესაძლებლობების მხედველობაში მიღება.

III თვისება: ორიგინალური აზროვნება

განსაკუთრებული ნიშნები: დივერგენტული აზროვნება.

IV თვისება: მუშაობით კმაყოფილება

განსაკუთრებული ნიშანი: თვითმოტივაცია.

V თვისება: უპირატესად, ნოუ-ჰაუს ფლობა

განსაკუთრებული ნიშნები: ღრმა სპეციალური ცოდნა.

VI თვისება: გამძლეობა

განსაკუთრებული ნიშნები: ამაოებისადმი მაღალი მდგრადობა.

VII თვისება: დარწმუნებულობა, დაჯერებულობა

განსაკუთრებული ნიშნები: ახალი იდეების გაფილტვრის უნარი, ხელსაყრელი გადაწყვეტილებების ამოცნობა.

იშვიათია, ყველა ეს თვისება ერთ, თუნდაც ძალიან კრეატიულ ადამიანს ჰქონდეს. მიუხედავად ამისა, ყოველი თვისების განვითარება შეიძლება. როცა ვიცით საკუთარი სუსტი მხარეები, შეგვიძლია თანდათან მათი გამოსწორება და გაძლიერება.

საყურადღებოა კიდევ ერთი გარემოება: თუ გვსურს კრეატიული გუნდის შექმნა, შედეგი უკეთესი იქნება, თუ მრავალფეროვანი გუნდი ჩამოყალიბდება და მათი ძლიერი მხარეები ერთმანეთს შეავსებს. კერძოდ, თუ გუნდის ერთ-ერთ წევრს ორიგინალური იდეები აქვს, მაგრამ გაუწონასწორებელი და არათანამიმდევრულია, საჭიროა გუნ-დში ისეთი წევრის შეყვანა, რომელიც დისციპლინირებულია და მინიშნებული იდეების განვითარება შეუძლია.

საქმიანობის ყველა სფეროში ადამიანი კრეატიული ვერ იქნება. როგორც ფსიქოლოგი **ჰოუარდ გარდნერი** მიიჩნევს, „კრეატიულობა

არაა „სითხის ისეთი სახეობა“, რომელსაც მრავალი მიმართულებით განტოტვა შეუძლია.“ კრეატიულობა კავშირშია განსაზღვრულ სფეროსთან. შეიძლება კრეატიული იყოთ საქმიანობის რომელიმე სფეროში, მეტწილად, რომელშიც უკეთესად ერკვევით და რომელიც მეტ კმაყოფილებასა და სიამოვნებას განიჭებთ. და თუ ეს სფერო თქვენი პროფესიული საქმიანობის დარგია, წარმატების წინაპირობაც სახეზეა.

5. შემოქმედებითი პროცესის თანამიმდევრობა

შემოქმედებითი გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა რამდენიმე ეტაპი:[380]

1. **პრობლემის დასახვა და სასურველი მიზნის განსაზღვრა;**
2. **საჭირო ინფორმაციით უზრუნველყოფა;**
3. **„კრეატიული ნახტომის“ გაკეთება;**
4. **იდეების გადარჩევა-შეფასება და საბოლოოდ დამუშავება;**
5. **საკუთარი გადაწყვეტილების პროფესიულად დაცვა.**

განვიხილოთ თითოეული მათგანი:

I ეტაპი: პრობლემის დასახვა და სასურველი მიზნის განსაზღვრა

უპირველესად, უნდა განვსაზღვროთ: რა გვსურს? რას შეიძლება მივაღწიოთ? წერილობით დავაფიქსიროთ სასურველი მიზანი (მოგვიანებით შეიძლება მისი კორექტირება). იგი უნდა იყოს გამოწვევადი და მიღწევადი, რისთვისაც შეიძლება გამოვიყენოთ ბიუზენის „ინტელექტუალური ბარათები“ (იხილეთ ქვემოთ).

II ეტაპი: საჭირო ინფორმაციით უზრუნველყოფა

მიზნის მისაღწევად მნიშვნელოვანია სათანადო პირობების შექმნა, მთავარი ორიენტირების განსაზღვრა, პრობლემის სტრუქტურის შეფასება და აუცილებელი ინფორმაციის დადგენა. ამისთვის სასურველია გამოვიყენოთ ოსბორნის მეთოდი „გონებრივი შეტევა“, ან დე ბონოს მეთოდი „მოაზროვნე ქუდები“ და სხვ. (იხილეთ ქვემოთ).

---

[379] **Нёльке Матиас. (2008).** Техники креативости. ОМЕГА-Л, М.

[380] იქვე.

III ეტაპი: „კრეატიული ნახტომის“ გაკეთება

გავთავისუფლდეთ საკუთარი წარმოდგენებისა და შეფასებებისგან. სასურველია გამოვიყენოთ დე ბონოს მეთოდი „მოაზროვნე ქუდები“. არ შეუშინდეთ მოსალოდნელ შეცდომებსა და გაუგებრობებს. პრობლემის გადაწყვეტის გზაზე დაშვებული ყოველი შეცდომა წინ გადადგმული ნაბიჯია. თუ კრეატიული იდეები არ დაგვებადა, გამოვაცხადოთ „შემოქმედებითი შესვენება“, შევასწოროთ დასახული მიზნები – შევამციროთ მისი ამბიციურობა, შევცვალოთ კრეატიულობის ტექნიკა (მეთოდი). გავითვალისწინოთ დროის ფაქტორიც – მეტი დრო დავუთმოთ პრობლემის გადაწყვეტაზე ფიქრს. **კრეატიული აზრი იძულებით ან ვინმეს ხათრით არ მოდის, იგი ჩვენს გონებაში უნდა კარგად მომწიფდეს, გავიაროთ საინკუბაციო პერიოდი.**[381]

შემოქმედებით პროცესში ფართოდ გავრცელებულია გაცისკროვნების, გაბრწყინების ფენომენი: ზოგჯერ ახალი იდეა იმ მომენტში „გვებადება“, როცა მასზე ნაკლებად ვფიქრობთ – მაგალითად, მანქანის მართვისას ან სეირნობისას. თუმცა, აღნიშნული იმას არ ნიშნავს, რომ მხოლოდ ამ ვითარებაში ჩნდება ახალი იდეები. გაცისკროვნება მხოლოდ და მხოლოდ მას შემდეგ მოხდება, როცა ჩვენს გონებაში ახალი იდეების გენერირების აუცილებელი პირობები შეიქმნება. სხვა სიტყვებით: **სანამ ახალი იდეა გამჟღავნდება, იგი ადამიანის გონებაში აუცილებლად უნდა არსებობდეს.**

IV ეტაპი: იდეების გადარჩევა, შეფასება და საბოლოოდ დამუშავება

ამ ეტაპზე აზრების ნაკადი საპირისპირო მიმართულებით უნდა წარვმართოთ. გავაძლიეროთ არა შემოქმედებით აქტიურობა, არამედ კრიტიკული დამოკიდებულება, დივერგენტული აზროვნებიდან გადავიდეთ კონვერგენტულ აზროვნებაზე. იდეები ქაღალდზე ზუსტად და პოზიტიურად დავაფიქსიროთ, შევადგინოთ საკონტროლო ცხრილი (იხილეთ ცხრილი 4.1).

ამ კითხვებზე ობიექტური პასუხებით შესაძლოა ის მოწყვლადი სეგმენტები გამოიკვეთოს, რომლებიც დამატებით უნდა დავამუშაოთ.

აუცილებლობის შემთხვევაში, გავაკეთოთ იდეის კორექტირება, მისი ცალკეული ასპექტების გამეორებითი შეფასება.

---

[381] ეს ტერმინი ნასესხებია მედიცინის სფეროდან და ნიშნავს დროის იმ შუალედს, რომელიც არსებობს დაავადების წარმოშობასა და მის გამოვლენას შორის. კრეატიული იდეების სფეროში იგი დადებითი აზრით გამოიყენება.

ცხრილი 4.1. კრეატიული იდეების საკონტროლო შეფასება

კითხვა	შეფასება
• რამდენად რეალიზებადია ჩვენი იდეა?	•
• რა პირობებშია იგი განხორციელებადი?	•
• რაში ვლინდება მისი სარგებლიანობა?	•
• რა ხარჯებს მოითხოვს იდეის განხორციელება?	•
• რა შედეგებია მოსალოდნელი?	•
• რა ფასში გაიყიდება იდეა?	•
• კონკურენციის პირობებში როგორ გამოიყურება იგი?	•
• რა ძლიერი მხარეები აქვს იდეას?	•
• რა სუსტი მხარეები აქვს იდეას?	•
• როგორ შეიძლება იდეის სუსტი მხარეების გაძლიერება ან შემცირება?	•
• ავტორიტეტული და კვალიფიციური პიროვნებებიდან ვინ უჭერს მხარს იდეას?	•
• რამდენად სარწმუნო და დროულია იდეა?	•
• რა მნიშვნელოვანი ცვლილებებია მოსალოდნელი იდეის დანერგვით?	•

ამასთან, მოგვიწევს ფართოდ გავრცელებული ასეთი პრაქტიკის დაძლევა: მესამე ეტაპზე, ზოგჯერ, ადამიანს თავზეხელაღებული, არარეალური იდეები ებადება, რომლებიც მეოთხე ეტაპზე უკუიგდება.

ნუ ვიქნებით ზედმეტად ფრთხილები და ზედმეტად კრიტიკულები. ზომიერება ყველგან და ყველაფერში გონივრულია.[382]

უნდა ვიპოვოთ და წინ წამოვწიოთ იდეის დადებითი მხარეები. მთავარ მიზნად დავისახოთ იდეის დაზუსტება და გაუმჯობესება. და თუ ამას ვერ შევძლებთ, უარი ვთქვათ მასზე.

V ეტაპი: მიღებული გადაწყვეტილების პროფესიული დაცვა

უმეტეს შემთხვევაში, კრეატიული იდეები საზოგადოებაში აღფრთოვანებით არ მიიღება. თუმცა, ახალი იდეების აუცილებლობა საყოველთაოდ დეკლარირდება. ამის მიზეზი მრავალია:

• როგორც წესი, ახალი ყოველთვის რთულად მკვიდრდება, რადგან ავიწროებს ძველს, უკვე დამკვიდრებულსა და აპრობირებულს.

[382] შდრ.: — **ლაო-ძი**: „ზომიერებაა ყველაფრის ძირი და ფუძე“.

• ხელმძღვანელობისთვის უფრო მისაღებია ლოიალური, მითითებების უსიტყვოდ შემსრულებელი, „უფროსის ერთგული“ მუშაკი, მაშინ, როცა კრეატიულ ადამიანებს ნაკლებად იზიდავთ ძალაუფლება, ბიზნესი. მათ ერისა და საზოგადოების მსახურება ურჩევნიათ. მათთვის უფრო მნიშვნელოვანია სოციალური და არა ფულადი კაპიტალი.

• ხშირად სიახლეებზე მოთხოვნა ყალბია. მრავალი საწარმო ახალი იდეების დამუშავებაში დიდ თანხებს ხარჯავს, რომლის შედეგებს სრულად ან საერთოდ არ იყენებს, რადგან ძველი მიდგომების ახლით შეცვლის პიროვნულად ეშინიათ. ზოგჯერ ადგილი აქვს კარგი იდეის დამახინჯებულად გამოყენებას, რაც ნებსით ან უნებლიეთ პროგრესული იდეის დისკრედიტაციას ემსახურება.

ახალი იდეების განსახორციელებლად აუცილებელია ამ წინააღმდეგობების გათვალისწინება და არაკეთილმოსურნე კრიტიკოსების განეიტრალება. უნდა გავაძლიეროთ მათი დარწმუნება, საჭიროა იდეის არსებით ასპექტებზე, ძლიერ მხარეებზე აქცენტების გადატანა და კონტრარგუმენტების მომზადება. **სუსტი არგუმენტების გამოყენება არასასურველია. გვახსოვდეს, — ერთი ძლიერი არგუმენტი უფრო სარწმუნო და მნიშვნელოვაია, ვიდრე ორი ან მეტი სუსტი.**

ყურადღება გადავიტანოთ შემდეგზე:

• რას მივაღწევთ ახალი იდეის დანერგვით?

• რაში ვლინდება მისი უპირატესობა?

• რა ხარვეზია იმაში, თუ ყველაფერი ძველებურად დარჩება?

მოვძებნოთ ძლიერი მოკავშირეები. მოვიფიქროთ: ვინ და როგორ შეიძლება მხარი დაგვიჭიროს? იდეის განხილვის მნიშვნელოვან ეტაპზე რამდენად შეგვიძლია ჩვენი მხარდამჭერების მობილიზაცია? არსებობს თუ არა ჩვენი იდეის ალტერნატივები? და ა.შ.

ნებისმიერ შემთხვევაში აზრი აქვს იდეის აქტიურ რეკლამას, რადგან არც ერთი იდეა პრაქტიკაში თავისთავად არ ინერგება. პროგრესულ იდეასაც საზოგადოების მხარდაჭერა სჭირდება. თუ ვერ შევძლებთ საკვანძო პიროვნებების ჩვენს მხარეზე მიზიდვას, ჩვენი „შესანიშნავი იდეა“ ყველას დაავიწყდება.[383]

.

[383] შდრ.: — **მარკუს ავრელიუსი**: „ყველა და ყველაფერი დაგავიწყდება, ისევე როგორც დაგივიწყებენ შენ“.

6. კრეატიული მეთოდების (ტექნიკის) აუცილებლობა, ამოცანები და კლასიფიკაცია

როგორც აღინიშნა, კრეატიული აზროვნება ცოცხალ არსებათა შორის მხოლოდ ადამიანს შეუძლია. თუმცა, მარტო კრეატიულობა არასაკმარისია. აუცილებელია სპეციალური მეთოდებით მისი გააქტიურება, კრეატიული იმპულსის გაძლიერება, სტიმულირება.

მოსაზრებას შემოქმედებითი ამოცანების გადაწყვეტის ეფექტური მეთოდების გამოყენების აუცილებლობის შესახებ უძველესი დროიდან გამოთქვამდნენ.

სიტყვა „ევრისტიკა“[384] ჯერ კიდევ ძველბერძენი მათემატიკოსის **პაპე ალექსანდრიელის** (ძვ. წ. III ს.) შრომებშია მოხსენიებული. თუმცა, მხოლოდ XX საუკუნეში გახდა ცხადი კრეატიული მეთოდების გამოყენების არა თუ სასურველობა, არამედ აუცილებლობა.

თავდაპირველად ყურადღება მიაქციეს ცდებისა და შეცდომების მეთოდს, შემდეგ ვარიანტების გადარჩევის მეთოდს, რაც მნიშვნელოვანი ეტაპი იყო კაცობრიობის განვითარების ისტორიაში, რომელთა მეშვეობით პრაქტიკულად პირველად დადგინდა შეზღუდულ საზღვრებში შემოქმედებითი პროცესების მართვა, დაიმსხვრა ღრმად ფესვგადგმული მითი გამომგონებლობასა და შემოქმედებითობაში მხოლოდ ღვთაებრივი „გაცისკროვნების“ შესახებ.

სამწუხაროდ, აქტივიზაციის ამ მეთოდებმა შემოქმედებითი ამოცანების გადაწყვეტის ძველი ტექნოლოგია შეინარჩუნეს. ისინი საწყისი ფორმულის ჩარჩოში „ცხოვრობდნენ“. მოგვიანებით შეიქმნა შედარებით უფრო სრულყოფილი კონცეფცია — „გამომგონებლური ამოცანების გადაწყვეტის“ მეცნიერული თეორია.

კრეატიულობის მეთოდები ხელს უწყობენ ორიგინალური იდეების წარმოშობას (გენერაციას) და მათ გადასაწყვეტად ახალი მიდგომების გამოვლენას. ისინი არაა ალგორითმები, რომელთა გამოყენებით ამოცანის გადაწყვეტის აუცილებელი გზები მოიძებნება, თუმცა მიგვანიშნებენ სასურველ მიმართულებას და ადიდებენ ეფექტური (კარგი) გადაწყვეტილების მიღების ალბათობას.

კრეატიული მეთოდების ამოცანებია:

- პრობლემის მკაფიოდ ფორმულირება;
- საწყისი მონაცემების შეგროვება, დაჯგუფება და შესწავლა;

[384] წარმოდგება სიტყვა „ევრიკა“-დან, რაც ძველბერძნულ ენაზე ნიშნავს „აღმოვაჩინე!“ „ვიპოვე!“ (ცნობილია არქიმედეს წამოძახილით).

- პრობლემის თაობაზე შეხედულებათა ფორმულირება;
- მაქსიმალური რაოდენობის გადაწყვეტილების შემუშავება;
- პერსპექტიული იდეებისა და გადაწყვეტილებების შერჩევის კრიტერიუმის შერჩევა;
- მენტალური ბლოკადის მოხსნა;
- იდეების გენერაციის პროცესის დაჩქარება;
- გადაწყვეტილების ორიგინალური ვარიანტების შერჩევა.

კრეატიული აზროვნების მასტიმულირებადი მეთოდები სამ ჯგუფად კლასიფიცირდება:

1. **ინტუიციური**[385] **მეთოდები,** როცა ლოგიკური ეტაპების გავლის გარეშე სტიქიურად გამოიყენება არაფორმალური წესები, რაც გამოცდილებასა და არაფორმალურ ცოდნას ემყარება. ამოცანა წყდება უეცარი „გაციკროვნებით“. წარმატება დამოკიდებულია მონაწილეთა ცოდნასა და გამოცდილებაზე;

2. **ევრისტიკული მეთოდებით** პრობლების გადაჭრა კვლევის ცდაზეა დაფუძნებული: ემყარება დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას; გულისხმობს მონაწილეთა აქტიურ ჩართვას; ხორციელდება იდეების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების ჩვენების გზით.

3. **ალგორითმული**[386] **მეთოდები** ეფუძნება ინფორმაციის ლოგიკურ დამუშავებას კომპიუტერული პროგრამების გამოყენებით.

7. ოსბორნის მეთოდები: „გონებრივი შეტევა“ და „საკონტროლო ცხრილი“

„გონებრივი შეტევა“ ანუ „ბრეინსთორმინგი“ (brainstorm) შემოქმედებით შესაძლებლობების გააქტიურების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფსიქოლოგიური მეთოდია. იგი გასული საუკუნის 50-ან წლებში დაამუშავა ამერიკელმა ბიზნესმენმა **ალექს ოსბორნმა.**

თუმცა, ამგვარი პროცესი უძველესი დროიდან ცნობილია. თითქმის ანალოგიურ მეთოდს ჯერ კიდევ ძვ.წ. VII-VI საუკუნეებში იყენებდნენ ევროპიდან შემოჭრილი ტომები — ბითინები.[387]

---

[385] ლათ. intuition ჭვრეტა. მიხვედრა, შორსმჭვრეტელობა, ალღო.

[386] გამოსახულება, რომელიც შედგება მოქმედებების თანამიმდევრობისაგან და გამოთვლითი ამოცანის ამოხსნის საშუალებას იძლევა.

[387] ბითინია – სახელმწიფო მცირე აზიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, თანა-მედროვე თურქეთის ტერიტორია.

ისინი ახალ, გაუთვალისწინებელ სიტუაციაში მოხვედრისას, როცა აუცილებელი იყო გონივრული და საპასუხისმგებლო გადაწყვეტილების მიღება, მოსახლეობის ფართო გამოკითხვით პრობლემის მოგვარების ვარიანტებს აფართოებდნენ, ხოლო შემდეგ მათგან შედარებით მისაღებს ირჩევდნენ.

არსებობს აზრი, რომ „გონებრივი შეტევა“ ვიკინგებმა[388] მოიგონეს. როცა მეზღვაურთა გუნდი რთულ სიტუაციაში ვარდებოდა, ყველა გემბანზე იკრიბებოდა — კაპიტნიდან დაწყებული, ბოცმანით დამთავრებული. თითოეული პრობლემის გადაწყვეტის საკუთარ ვარიანტს ამბობდა. ამასთან, იწყებდა რიგითი და ამთავრებდა კაპიტანი, რათა მის ავტორიტეტს არ დაეთრგუნა ხელქვეითები. საბოლოო გადაწყვეტილებას კაპიტანი იღებდა.

XX საუკუნის მეორე ნახევრიდან „გონებრივი შეტევა“ რაიმე პრობლემის გადაწყვეტის პოპულარულ მეთოდად იქცა.

ამ მიზნით საწარმოებსა და ორგანიზაციებში სპეციალური ჯგუფები, ე.წ. „გონებრივი ცენტრები“ შექმნეს.

„გონებრივი შეტევა“ შედარებით მოკლე დროში მრავალი იდეის გენერირების საშუალებას იძლევა. შედეგად ვიღებთ მრავალ ორიგინალურ წინადადებას, რომლებიც შემდეგ უნდა დამუშავდეს.

როგორც ცნობილია, ბიზნესი, გარკვეულწილად შემოქმედებაა, განსაკუთრებით მის საწყის ეტაპზე, როცა ყოველი ამოცანა ახალია და იმდენად მიმზიდველი, რომ ქაღალდზე მუშაობა რუტინულად[389] არ გვეჩვენება. ახალ კომპანიაში დამფუძნებლებმა ყველაფერი უნდა მოიფიქრონ — კომპანიის დასახელება, ბაზრის მარკეტინგული კვლევა, პროდუქციის რეალიზაციის მასტიმულირებელი აქციები და ა.შ. და ა.შ.

ამ ამოცანებს შეიძლება საკუთარი ძალებითაც გავუმკლავდეთ. თუმცა, დიდად დაგვეხმარება კრეატიული აზროვნების სტიმულირების ეფექტური მეთოდი „გონებრივი შეტევა“.

„გონებრივი შეტევა“ არის ინტუიციასა და ლოგიკაზე დაფუძნებული პრობლემების გუნდურად გადაწყვეტის მეთოდი. ამ დროს მისი მონაწილეები თავიანთ აზრს, მათ შორის, ყველაზე ფანტასტიკურსაც, თავისუფალ ატმოსფეროში გამოთქვამენ.

მეთოდის საფუძველია იდეის გენერაციის გამიჯვნა მისი შეფასებისგან, ხოლო თვით იდეის გენერაცია — მთავარი პრინციპი.

---

[388] სკანდინავიელი, ნორმანი მეზღვაურები, რომლებიც VIII-XI საუკუნეებში თავს ესხმოდნენ ევროპის სხვადასხვა ქვეყნებს და აარსებდნენ კოლონიებს.

„გონებრივი შეტევის“ მთავარი მიზანია რაც შეიძლება მეტი ახალი და ღირებული იდეის ცხადად, ნათლად წარმოჩენა.[390]

საინტერესოა, რომ მართებულად ორგანიზებული „გონებრივი შეტევის“ დროს საშუალო ინტელექტუალური შესაძლებლობების მქონე ადამიანი ორჯერ უფრო მეტ საყურადღებო იდეას გამოთქვამს, ვიდრე იმ შემთხვევაში, როცა მარტო ფიქრობს ამ საკითხის გადაჭრაზე.

მონაწილეთა შერჩევის კრიტერიუმებია: კომპეტენტურობა, კომუნიკაბელურობა და კონსტრუქციულობა.

„გონებრივი შეტევის“ დაწყების ეტაპზე მისი მონაწილეები შაბლონურ იდეებს გამოთქვამენ. ამიტომ ამ პროცესის მთავარი ამოცანაა სტერეოტიპებიდან სწრაფი გათავისუფლება, იდეების შეუზღუდავად გამოთქმა და დავიწყება.

პროცესის ჩატარების მკაცრი წესები არ არსებობს. თუმცა, მსოფლიო პრაქტიკა გარკვეული მიდგომების გამოყენებას ითვალისწინებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი არაეფექტური და ფუჭი ლაყბობა იქნება.

„გონებრივი შეტევის“ ჩატარების ოთხი ძირითადი წესი:

1. **კრიტიკა აკრძალულია**. არც ერთი იდეის შეფასება მანამდე არ შეიძლება, სანამ ყველა წინადადება არ გამოითქმება;[391]
2. **უგუნური იდეებიც წახალისდება.** საფუძველი: გაცილებით ადვილია იდეების გამარტივება, ვიდრე მათი შემუშავება;
3. **რაც შეიძლება მეტი იდეა**. რაოდენობა ხარისხზე უპირატესია;
4. **სხვისი იდეების განვითარება.**

„გონებრივი შეტევა“ სამ ეტაპად ტარდება:

I. მოსამზადებელი ეტაპი — ამოცანის (და არა ამოცანების) მკაფიოდ და ერთმნიშვნელოვნად ფორმულირება; ჯგუფის მონაწილეებისა და წამყვანის შერჩევა; პროცესის ჩატარების ადგილისა და დროის განსაზღვრა; აუდიტორიის მომზადება; პროცესის ჩატარების წესებისა და პროცედურის გაცნობა; მონაწილეთა შემოქმედებითად განწყობა;

---

[389] ფრანგ. routine შიში სიახლის, ცვლილების წინაშე; უძრაობა, შაბლონი.

[390] ამ მიმართებით მეტად საინტერესოა იაპონური ფირმების დამოკიდებულება. ისინი ცდილობენ რაც შეიძლება მეტი იდეა მიიღონ თანამშრომლებისგან. იდეების გენერირებაზე მუშაობს ყველა: პრეზიდენტიდან დაწყებული რიგით მუშაკამდე (მათ შორის, კურიერი, დამლაგებელი...). „გამოიმუშავეთ მეტი იდეა“. ასეთია იაპონური ფირმების მთავარი დევიზი. ასე ფიქრობდა პატარა სამჭედლოს მფლობელი **ტასაბურო ნაკატა** და ერთ მშვენიერ დღეს გამოიგონა ბურთულიანი კალამი. შედეგად გამდიდრდა.

[391] შდრ.: – **პითაგორა**: „ჩუმად იყავი, ან თქვი ისეთი, რაც დუმილზე უკეთესია“.

II. ძირითადი ეტაპი — იდეების თავისუფალი გენერაცია ანუ უშუალოდ „გონებრივი შეტევა“ — არაფორმალური, კეთილსასურველი და კონკურენტული ატმოსფეროს შექმნა; რაც შეიძლება მეტი იდეის თავისუფლად, დაუფარავად გამოთქმა; წარმოთქმული იდეებისადმი ყოველგვარი კრიტიკისა და შეფასების (თუნდაც, დადებითის) დაუშვებლობა; მისასალმებელია ყველა იდეა, მათ შორის, ფანტასტიკური, არაორდინალური, ერთი შეხედვით აბსურდულიც კი, რადგან მათგან შეიძლება დაიბადოს რაღაც გენიალური; შეფასების გარეშე დასაშვებია უკვე გამოთქმული იდეის განვითარება (სრულყოფა, დამატება, გაუმჯობესება, კომბინირება); აუცილებელია წარმოთქმული იდეების ქაღალდზე ან ეკრანზე ფიქსაცია;

III. ეტაპი — იდეების დაჯგუფება, შერჩევა და შეფასება — ჯგუფის წევრების მიერ (შეიძლება ექსპერტების ჩართვაც) გამოთქმული იდეების თავისუფლად, მაგრამ მკაცრად შეფასება. საყურადღებოა ის, რომ ადამიანებს შემოქმედებითი უნარი განსხვავებულად აქვთ განვითარებული. მრავალ მათგანს უკვე წარმოთქმული იდეის ანალიზი, განვითარება და ექსპერტიზა უფრო შეუძლია, ვიდრე ახალი იდეის მოფიქრება. თუ საჭიროა, შეიძლება რეიტინგული კრიტერიუმების გამოყენებაც და, უმრავლესობის თანხმობით, გამოთქმული იდეებიდან უფრო ეფექტური და ხელსაყრელი ვარიანტის არჩევა.

„გონებრივი შეტევის“ ამ ეტაპის ჩატარება რეკომენდებულია გარკვეული პაუზის შემდეგ, თუნდაც მეორე დღეს, რადგან მონაწილეებმა ფსიქოლოგიური „გადაწყობა“ შეძლონ. აუცილებელია საკითხების არსებითი კრიტიკა, „თამამი“ იდეების გამოყენებადობის შესწავლა.

„გონებრივი შეტევის“ ფარგლებში მმართველობითი გადაწყვეტილება არ მიიღება. ამ დროს მხოლოდ რეკომენდაციები მუშავდება. მიზანშეწონილია ჯგუფის მუშაობა, მაქსიმუმ, 1-1,5 საათი.

ჯგუფის სამოქმედო წესებში ყოველი გამომსვლელის დრო ლიმიტირებულია (ამოცანიდან გამომდინარე, დაახლოებით, 1-2 წუთი). მონაწილეები საკუთარ პოზიციას მხოლოდ დადებით ასპექტში წარმოაჩენს.

„გონებრივი შეტევის“ შედეგიანობა მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული. სასურველია, რომ იგი ხელმძღვანელობის დასწრების გარეშე ან მათთან ერთად, მაგრამ თანაბარი სტატუსით მონაწილეობის პირობებში ჩატარდეს. ამით ჯგუფის წევრები ფსიქოლოგიური ბარიერებისაგან თავისუფლდებიან.

მეტად მნიშვნელოვანია წამყვანის როლი. მან მონაწილეები უნდა წაახალისოს და აზრის გამოთქმაში არ შეზღუდოს.

სწორედ „გონებრივი შეტევაა“ მრავალი პრობლემის გადაჭრის ყველაზე გავრცელებული მეთოდი. ეს არცაა გასაკვირი — მის ჩასატარებლად საკმარისია მხოლოდ მრგვალი (ან ოვალური) მაგიდა, მონდომებული ადამიანები და რამდენიმე საათი. „გონებრივი შეტევა“ ხელს უწყობს ჯგუფის წევრებში კრეატიულ აზროვნებას, ახალი იდეებისა და მიგნებების ღიად გაცვლას, საქმიანი აქტიურობისთვის სათანადო პირობების შექმნას.

მონაწილეთა ოპტიმალური რაოდენობა: 6-12 კაცი. უფრო მეტი რიცხოვნობისას, მოსალოდნელია იდეების მორევში ჩაძირვა, ნაკლებობის შემთხვევაში კი, — იდეების სიმცირე. სასურველია გუნდის წევრების აქტიურობა.

ჩატარების ადგილი და პირობები: იზოლირებული ოთახი და ხმის ჩამწერი, რათა არც ერთი გამოთქმული იდეა უყურადღებოდ არ დარჩეს. სასურველია ყველა იდეა დაფაზე დაფიქსირდეს, მაგიდა და სკამები ნახევარწრედ ან რუსული ასო „П“-ს მსგავსად განლაგდეს, რაც მონაწილეთა შორის კომუნიკაციას გააძლიერებს.

ხანგრძლივობა და დრო: როგორც წესი, ხანგრძლივობა, საშუალოდ 40-60 წუთია. ეს დრო ყველაზე შედეგიანია. მისი გადამეტებით ადამიანის ყურადღება კლებულობს. სამუშაოდ კარგია დილა (10-12 სთ) ან სადილის შემდეგი პერიოდი (15-16 სთ).

„გონებრივი შეტევა“ განსაკუთრებით ეფექტურია:

- როცა შესაძლებელია გადაწყვეტილებათა მრავალი ვარიანტის არსებობა, მაგალითად, რეკლამაში;
- ისეთი საკითხის გარჩევისას, რომელიც ადამიანთა ჯგუფს ეხება, რადგან მის გადაწყვეტაში მრავალი ინდივიდი მონაწილეობს. მაგ., სამუშაოზე თანამშრომელთა გაცდენების დროის შემცირება და სხვა;
- იმ პრობლემების გადასაწყვეტად, როცა აუცილებელია სხვადასხვა სფეროს ექსპერტების მონაწილეობა.

„გონებრივი შეტევა“ ნაკლებად ეფექტურია:

- კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტისას;
- იმ შემთხვევაში, როცა საჭიროა კონკრეტული სფეროს ღრმა ცოდნა, ხოლო ჯგუფში შესაბამისი დარგის ექსპერტები არ არიან;
- როცა ჯგუფში ურთიერთობა დაძაბულია ან ჯგუფის რომელიმე წევრს უფრო მაღალი თანამდებობა უკავია.

„გონებრივი შეტევის“ მრავალი ვარიანტი არსებობს:

1. „გემის საბჭო“

მაქსიმალურად გამოიყენება გამოცდილება, ცოდნა და ფანტაზია.

მაგრამ, მისი ჩატარების წესი რამდენადმე განსხვავებულია, კერძოდ:

- პრობლემის შესახებ თავისი აზრი ყველამ უნდა გამოთქვას;
- გამომსვლელთა რიგითობას და წესს განსაზღვრავს „კაპიტანი“, უმცროსიდან დაწყებული, უფროსით დამთავრებული;
- კითხვებს მხოლოდ „კაპიტანი“ იძლევა. სხვებს იდეების კრიტიკა და დაცვა მხოლოდ „კაპიტნის“ ნებართვით შეუძლიათ;
- ყველა მონაწილე ვალდებულია გააკრიტიკოს, ხოლო შემდეგ დაიცვას „კაპიტნის“ მიერ შერჩეული იდეა, მათ შორის, საკუთარი;
- საბჭოს მუშაობის შედეგებს „კაპიტანი“ აჯამებს.

საბჭოს წარმატებული მუშაობა „კაპიტანზეა“ დამოკიდებული, — თუ რამდენად შეძლებს იგი მშვიდი, საქმიანი და შემოქმედებითი ატმოსფეროს შექმნას, რაც პრობლემის გადაწყვეტის აქტიურ ძიებაში მონაწილეთა სტიმულირებას გამოიწვევს.

2. **„მრავალსაფეხურიანი (კასკადური) „გონებრივი შეტევა“**

გუნდის მონაწილეები ორ ჯგუფად იყოფა:

- იდეების გენერაციის ჯგუფი;
- იდეების შემფასებელთა ჯგუფი.

პირველ ჯგუფში შედიან შედარებით აქტიურები, ხოლო მეორეში — კრიტიკულები. მოწონებული იდეის სარეალიზაციოდ აუცილებელია მეორე ჯგუფში ხელმძღვანელობის ჩართვა. ორივე ჯგუფში ოპტიმალურია, დაახლოებით, 10 კაცი.

3. დესტრუქციულ-კონსტრუქციული „გონებრივი შეტევა“

იდეების ძიება ორ ფაზად მიმდინარეობს:

• პირველად გამოითქმება რაც შეიძლება მეტი უარყოფითი იდეა და ყველა ხელშემშლელი საგანი (მოვლენა) ჩამოითვლება;

• შემდეგ მონაწილეები მხოლოდ კონსტრუქციულ წინადადებებს წარმოთქვამენ, რითაც მთლიანობაში იდეების სიმდიდრე და ორიგინალობა მიიღწევა.

„საკონტროლო ცხრილი“

ეს მეთოდი გამოიყენება პრობლემის გადაწყვეტის ტრადიციული ან ერთადერთი ვარიანტის გასარჩევად და კრეატიული გადაწყვეტილების შესამუშავებლად.

მოცემული მეთოდი განსაკუთრებით ხელსაყრელია:

- როცა იდეა ან პროდუქტი უკვე რეალურად არსებობს;
- სეანსის შედეგების დამატებით დასამუშავებლად.

მეთოდი ნაკლებად ეფექტურია:

- რაიმე იდეის (პროექტის) საწყის ეტაპზე;
- ტექსტების შესადგენად, პროცესების დასამუშავებლად;
- როცა ორიგინალურობა არ მოგვეთხოვება.

პროცესის ხანგრძლივობა, დაახლოებით, 60 წუთია, შესვენებებით.

ცხრილის დახმარებით შესაძლებელია „სუსტი“ ან ცნობილი პროდუქტებიდან კრეატიული ნაპერწკლის გაჩენა.

ცხრილი ყოველ იდეაზე ან პროდუქტზე ცალ-ცალკე კეთდება.

ცხრილის ძირითადი კითხვებია:

1. **სხვაგვარად გამოყენება!** — არსებობს იდეის (პროდუქტის) გამოყენების სხვა შესაძლებლობა?
2. **შესაბამისობაში მოყვანა!** — არსებობს მოცემული იდეის (პროდუქტის) ანალოგ(ებ)ი? შეგვიძლია რაიმეს იმიტირება?
3. **ცვლილება!** — შეგვიძლია რაიმეს (დანიშნულება, ფერი, მოძრაობა, ზომა, ფორმა, ხმა, სუნი და ა.შ.) ცვლილება?
4. **გადიდება!** — შეიძლება უფრო დიდის გაკეთება? რა დაემატება (მოცულობა, კონცენტრაცია, სისქე, სიმაღლე, სიგანე, სიღრმე, სიგრძე, ღირებულება, მანძილი და ა.შ.)?
5. **შემცირება!** — რისი შემცირება შეიძლება? რა მოვაცილოთ? რამდენად შესაძლებელია მინიატურის გამოყენება?
6. **შეცვლა!** — იდეაში რისი შეცვლა შეიძლება? კომპონენტების განლაგების? რომელიმე ელემენტის?
7. **გადადგილება!** — შეიძლება ნაწილების, ფრაგმენტების, კვანძების, თანამიმდევრობის ან სხვათა გადაადგილება?
8. **საპირისპიროდ გაკეთება!** — შეიძლება მოცემული იდეის ან მისი ნაწილის საპირისპიროდ გაკეთება? როგორი იქნება იგი სარკისებურ გამოსახულებაში? შეიძლება როლების შეცვლა? შეიძლება იდეის 180^0-ით შებრუნება?
9. **კომბინირება!** — შეიძლება იდეის სხვა იდეასთან შერწყმა ან ცალკეულ ელემენტებად დაყოფა?
10. **ტრანსფორმირება!** — შეიძლება იდეის პროდუქტის შეკუმშვა, გაჭიმვა, გამყარება/დაკრისტალება, სითხედ გადაქცევა, გამჭვირვალობის გაძლიერება, დაბინდვა და ა.შ.

საკონტროლო ცხრილის ტიპური მაგალითი

საახალწლო ბარათი	
1. სხვაგვარად გამოყენება!	იმავდროულად ბონუსი, გამოცანა
2. შესაბამისობაში მოყვანა!	შესასვლელი ბილეთი, სატელეფონო ბარათი
3. ცვლილება!	ღია ბარათი არომატული სუნით
4. გადიდება!	გაზეთის, პლაკატის, წიგნის სახით
5. შემცირება!	მიკროსკოპული შრიფტი
6. შეცვლა!	ისტორიული ბარათი, ღია ბარათი
7. გადაადგილება!	საშობაო მოტივები
8. საპირისპიროდ გაკეთება!	პირადი მილოცვები
9. კომბინირება!	შობის აღნიშვნის მოსაწვევად გამოყენება
10. ტრანსფორმირება!	მუსიკალური ფორმის მიცემა

8. მოდერაციის მეთოდი

მოდერაციის მეთოდის (ინგლ. Brainwriting) ორი ვარიანტი არსებობს:

1. **„მეთოდი 635“.** იგი მაღალ ტემპში ტარდება და უპირატესობას აძლევს მოკლევადიან პერიოდში სპონტანურად გამოვლენილი პასუხების ორიგინალობას.

2. **„კოლექტიური ჩანაწერების მეთოდი“** შედარებით ხანგრძლივვადიანია, მაგრამ უფრო საფუძვლიანი.

მეთოდის ჩატარებისას მონაწილეთა რაოდენობა შეუზღუდავია. პროესი პროცესი წამყვანის გარეშე ტარდება.

მოდერაციის მეთოდი ეფექტურია:

- მარტივი, მკაფიოდ ჩამოყალიბებული საკითხების არსებობისას (მაგ., ტექსტური ამოცანების შესრულებისას, ანუ მაშინ, როცა საჭიროა რაიმეს სახელწოდების ან თვალში საცემი სათაურის მოძებნა) („მეთოდი 635“);
- უფრო რთული პრობლემების გადაწყვეტისას („კოლექტიური ჩანაწერების მეთოდი“).

მოდერაციის მეთოდი ნაკლებად ეფექტურია:

- კომპლექსური საკითხების შემთხვევაში („მეთოდი 635“);
- როცა რომელიმე მონაწილე განსახილველ სფეროში გამორჩეულად მაღალი პროფესიონალია (ორივე ვარიანტისას).

როგორ ტარდება მოდერაციის სეანსი?

„მეთოდი 635“

ყოველ მონაწილეს (ოპტიმალური რაოდენობა — 6) გადასაწყვეტი საკითხი ქაღალდზე დაწერილი ეძლევა. 5 წუთის განმავლობაში თითოეული მონაწილე პრობლემის მოგვარების 3 ვარიანტს წერს, შემდეგ თავის ფურცელს მეზობელ მონაწილეს გადასცემს, რომლისგანაც, თავის მხრივ, იღებს სხვა ფურცელს 3 განსხვავებული წინადადებითა და მომდევნო 5 წუთის განმავლობაში ახალ 3 წინადადებას ამატებს. სეანსი მაშინ მთავრდება, როცა ყველა მონაწილე ყოველ ფურცელზე ჩანაწერს გააკეთებს — დაახლოებით, ნახევარ საათში. ამ დროში შეიძლება წარმოიშვას პრობლემის გადაწყვეტის, მაქსიმუმ, 90 (6X3X5) იდეა. იდეების შეფასება „გონებრივი შეტევის“ მეთოდის ანალოგიუ-რად ტარდება.

ამ მეთოდის შემთხვევაში მონაწილეები ზეწოლის პირობებში მუშაობენ. უმოკლეს დროში დიდი რაოდენობის იდეების გენერირება მრავლისთვის შეუძლებელია. ზოგიერთები ამ სახის სტრესს პოზიტიურად იღებენ. ადამიანი იძულებულია კონცენტრირებული იყოს, რადგან შეუძლებელია ჯგუფში დაიმალოს ან ფუჭი ლაყბობა დაიწყოს, როგორც ეს„გონებრივი შეტევისას“ ხშირად ხდება. მოცემული მეთოდის გამოყენებისას არა მარტო მრავალი იდეა წარმოიშობა, არამედ თვით პროცესი მონაწილეებს ახალი გზების ძიებისკენ უბიძგებს.

კოლექტიური ჩანაწერების მეთოდი

ყოველი მონაწილე გადასაწყვეტ საკითხს წერილობით იღებს. წინასწარშეთანხმებულ ვადაში (მაგ., ერთ დღეში) იგი აანალიზებს პრობლემას და მისი გადაწყვეტის საკუთარ ვარიანტებს წერს. დათქმული ვადის გასვლის შემდეგ, მონაწილეთა ჩანაწერები იკრიბება და თითოეული ვარიანტი ფასდება. ამასთან, შესაძლებელია რამდენიმე ვარიანტი: წარმოდგენილ წინადადებებს მონაწილეები თვითონ აფასებენ, ან ამას აკეთებს რამდენიმე წევრისგან შემდგარი ჟიური, ან უცხო ინსტანცია.

„მეთოდი 635“-თან შედარებით, ამ მეთოდის უპირატესობებია:

- სეანსში მონაწილეობენ ძნელადხელმისაწვდომი და სამუშაოთი განსაკუთრებულად დატვირთული თანამშრომლები;
- თითოეულ მონაწილეს პრობლემის გადაწყვეტის უკეთესად მოფიქრებისთვის უფრო მეტი დრო ეძლევა;

თუმცა, აღნიშნული არ ნიშნავს, რომ ეს მეთოდი უფრო ეფექტურია. ის კარგად მაშინ მუშაობს, როცა ყველა მონაწილე საკმარისად შეგნებული და დისციპლინირებულია.

9. გორდონის ანალოგიების მეთოდი „სინექტიკა“

თუ „გონებრივი შეტევის“ მთელი „მარილი“ და ძალა კრიტიკის აკრძალვაა, იმავდროულად, ის ამ მეთოდის სისუსტეა, რადგან განვითარებისთვის საჭიროა იდეების კრიტიკა.

ეს ხარვეზი დასძლია ამერიკელმა მეცნიერმა **უილიამ გორდონმა,** რომელმაც 1952 წელს შეიმუშავა ფსიქოლოგიური მეთოდი „სინექტიკა“.[392] მან აღნიშნული წინააღმდეგობა გადალახა შედარებით მუდმივი, კარგად მომზადებული ჯგუფის ფორმირებით, რომლის წევრები ერთად მუშაობენ, არ ერიდებიან კრიტიკას, უკუაგდებენ არასასურველ იდეას, მათ შორის გარკვეული ჰარმონია და ურთიერთგაგება სუფევს.

სინექტიკა შედარებით ეფექტური, მაგრამ რთული მეთოდია, განსაკუთრებით მაშინ, როცა ბრეინსთორმინგთან ერთად გამოიყენება.

სინექტიკა უარყოფს მიღებულ, დამკვიდრებულ სტერეოტიპულ აზროვნებას, ამარტივებს ამოცანის გადაწყვეტის პროცესს, ინარჩუნებს სტიქიურობას და ანალოგიების[393] გამოყენებით გვთავაზობს პრობ-ლემის გადაწყვეტის ორიგინალურ მიდგომას.

გორდონის აზრით, შემოქმედებითი პროცესი ექვემდებარება სრულყოფას, რისთვისაც საჭიროა რეგულარული ვარჯიში.

სინექტიკის მეთოდი გამოიყენება რაიმე კონკრეტული პრობლემის გადასაწყვეტად და არა ობიექტური კანონზომიერების დასადგენად.

ამ თვალსაზრისით, „სინექტიკა“ პროფესიული საქმიანობაა, ხოლო „გონებრივი შეტევა“ — მხოლოდ კოლექტიური თვითშემოქმედება.

ამ უკანასკნელისგან განსხვავებით, დასაშვებია კრიტიკა.[394]

ამ მეთოდში ანალოგიების ძიება ახალი იდეების წყაროა.

---

[392] ინგლ. Synectics სხვადასხვა, ზოგჯერ შეუთავსებელი ელემენტების შერწყმის მეთოდი, რომელიც კოლექტიურად ინტელექტუალური საქმიანობის სოციალურ-ფსიქოლოგიურ მოტივაციას ეფუძნება. იგი „გონებრივი შეტევის“ მეთოდის სრულყოფილი ვარიანტია, ერთ-ერთი ევრისტიკული მეთოდია.

[393] ანალოგია ცნებათა წყვილში ურთიერთკავშირების იდენტიფიკაციის პროცესია. ამ დროს ხდება ადამიანის განვითარების თვითკონტროლი, მოდელირება, რაც საშუალებას გვაძლევს კონკრეტულ სიტუაციაში მივიღოთ გადაწყვეტილება გარდაუვალი ქმედების შესახებ. ანალოგიის გამოყენება შემოქმედებითი პროცესია და ერთობ პერსპექტიულია. ანალოგიების მიხედვით დასკვნებს ხშირად აკეთებენ მეცნიერების სხვადასხვა დარგში. მაგ., გეოლოგიურ პროცესებს შორის მსგავსება საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ მსგავს შემთხვევებს ადგილი ექნებოდა წარსულშიც.

[394] შდრ.: — **ბლეზ პასკალი**: „ადამიანს, ჩვეულებრივ, ის აზრი უფრო არწმუნებს, რომელიც მას მოსდის თავში, ვიდრე ის, რომელიც სხვის თავში იბადება“.

სინექტიკის თეორიული საფუძველია რიგი მტკიცებულება:

1. რაციონალურად ორგანიზებული ცალკეული პირისა და კოლექტივის შემოქმედებითი პროცესი ერთმანეთის ანალოგიურია, თუმცა, ამ უკანასკნელში, სინერგიზმი ვლინდება;

2. შემოქმედებაში ირაციონალური მომენტი რაციონალურზე უფრო მნიშვნელოვანია;

3. მრავალი შემოქმედებითი შესაძლებლობა ფარულია, რომელიც გამოვლენასა და სტიმულირებას საჭიროებს.

მეთოდის საფუძველია ადამიანის თავის ტვინის თვისება ასოცირებული კავშირები დაამყაროს სიტყვებს, ცნებებს, გრძნობებსა და აზრებს შორის. ცალკეულმა სიტყვამ ადამიანის ცნობიერებაში შეიძლება ადრე განცდილის წარმოსახვა გამოიწვიოს და წარსული გამოცდილების ინფორმაცია მოცემული ამოცანის გადაწყვეტაში ჩართოს. ამიტომ, ანალოგია ასოციაციებს კარგად აღაგზნებს, რაც ადამიანის შემოქმედებით შესაძლებლობებს ასტიმულირებს.

სინექტიკის ამოცანაა „ჩვეულებრივში არაჩვეულებრივი“ და „არაჩვეულებრივში ჩვეულებრივი“ დაინახოს და ამით განვითარების ჰორიზონტი გააფართოვოს.

ეს ამოცანა ოთხი ტიპის ანალოგიით (პირდაპირი, სუბიექტური, სიმბოლური და ფანტასტიკური) მიიღწევა:

1. **პირდაპირი ანალოგია** შედარებით მარტივია. განსახილველი ობიექტი (პროცესი) ბუნებაში ან ტექნიკის სფეროში ნიმუშის საპოვნელად, გარეგნულად, ფუნქციურად ან სტრუქტურულად მსგავს ობიექტს შეედრება.

მაგ., ავეჯის ღებვის პროცესის სრულყოფისას ანალოგია შეიძლება იყოს შეღებილი მინერალები, ყვავილები და ა.შ.

ანალოგია მრავალია, მაგალითად, ა) ტექნიკაში: ვერტმფრენისა და ნემსიყლაპიას ფრთების კონსტრუქცია; ბ) ფიზიკაში: ატომისა და მზის სისტემის აგებულება; გ) ინფორმატიკაში: ინფორმაციული ნაკადები ინტერნეტში და ობობას ქსელი და სხვ.

2. **სუბიექტური (პირადი) ანალოგია** ემპათიას[395] ემყარება. იგი მეტ ფანტაზიას მოითხოვს. აუცილებელია საკუთარი თავი საკვლევი ობიექტის (ან მისი ნაწილის) როლში წარმოვიდგინოთ, მისი შინაგანი სამყარო აღვიქვათ, მისი ფუნქციები გავითავისოთ, გარდავისახოთ, მისი სულისკვეთებით ვიცხოვროთ. ამასთან, გამოთქმული ანალოგია შეიძლება აბსოლუტურად შეუსაბამო, უცნაური, უაზრო იყოს. მთავა-

[395] სხვა ადამიანის ქცევის გაგება.

რია შევიგრ-ძნოთ და შევისისხლხორცოთ ახალი, აქამდე შეუცნობელი ის მიჯნები და ასპექტები, რომლებიც ლოგიკური განხილვით შეუძლებელია დავი-ნახოთ. მაგ., ავეჯის შეღებვის მაგალითზე შეიძლება თავი „თეთრ ყვავად“ წარმოვიდგინოთ, რომელსაც შეღებვა სურს. ან კიდევ: მე რომ ჭანჭიკი ვიყო, ავტომობილის რომელ ადგილას ვიქნებოდი? რატომ გვსურს ასეთი შედარება? იმიტომ, რომ ამ დროს ინერციული აზროვ-ნება მნიშვნელოვნად მცირდება და ამოცანის, თუ შეიძლება ასე ითქვას, „შიგნიდან“ დანახვა უმჯობესდება.

3. **სიმბოლური ანალოგია** გაცილებით რთულია. იგი მოითხოვს პარადოქსულ (უჩვეულო) აზროვნებას და კარგ ვერბალურ უნარებს, რადგან ობიექტის (მოვლენის) არსის ამსახველი ფრაზა, ზედმიწევნით ლაკონურად, მოულოდნელი და საკვირველი შინაარსის მქონე, ურთიერთსაწინააღმდეგო, მაქსიმუმ, ორ სიტყვაში (ერთი არსებითი სახელი, მეორე ზედსართავი სახელი), მეტაფორით, აბსტრაქტული ცნებით ჩამოყალიბდეს. მნიშვნელოვანია ლოგიკურის დავიწყება. არსებითად მისი არსია საგნის/პროცესის (ან მისი ნაწილის) საპირისპირო მხრიდან დანახვა. მთავარია ობიექტის არა კონსტრუქციიდან ან გარეგნული იერიდან, არამედ დანიშნულებიდან გამოვიდეთ. მაგ., ვთქვათ, ამოცანა ეხება მარმარილოს, შეიძლება გამოვიყენოთ სიტყვათშეწყობა (შესიტყვება) „ცისარტყელასებრი მუდმივობა“, იმიტომ რომ გახეხილი მარმარილო (თეთრის გარდა), მთელი თავისი უცვლელი მოხატულობით, ცისარტყელას გვაგონებს. ასეთი სიტვათშეწყობანი კლასიკაში მრავალია, მაგ., „მხიარული ტრაგედია“, „მშრალი ყინული“, „უდანაშაულო დამნაშავე“, „ცოცხლად მკვდარი“, „ცოცხალი ლეში“, „კაცი ფუტლარში“, „მდუმარედ მოსაუბრე“ (წიგნი), „ხილული სითბო“ (ალი), „გაერთიანებული შესვენებები“ (ტყვიამფრქვევის სროლა), „ჰაეროვანი წყალი“ ან „გაუმჭვირვალე სივრცე“ (ღრუბელი), „აწონილი არეულ-დარეულობა“ (დუღაბი), „ხისტი ქარი“ (ვენტილატორი) . . .

მაგალითი:

ცნობილ ინგლისელ მწერალ ჯონათან სვიფტს მიკროსკოპში ნანახმა მიკროსამყარომ უბიძგა დაეწერა წიგნი „გულივერის მოგზაურობა“.

4. **ფანტასტიკური ანალოგია** ყველაზე მსუბუქი და, იმავდროულად, სასიამოვნოა. ამოცანის გადმოსაცემად ზღაპრების, მითების, ლეგენდების ცნებები და ტერმინები გამოიყენება.

გავიხსენოთ ბავშვობაში როგორ ვოცნებობდით „კეთილი ჯადოქრის“ გამოჩენაზე, რომ აესრულებინა ჩვენი ოცნებები. წარმოვიდგინოთ, ზღაპრების სიუჟეტების მსგავსად, თუ როგორ შეუძლია რაღაც საოცარ ძალას „ჯადოსნური ჯოხის“ ერთი მოქნევით რაიმე პრობ-

ლემის გადაწყვეტა და ჩვენს განკარგულებაში აღმოჩნდება მაგიური საგნების მთელი არსენალი. წინა ანალოგიების მსგავსად, ასეთი ანალოგია კრეატიულ აზროვნებას მოითხოვს. საჭიროა საკვლევი ობიექტის (მოვლენის, პროცესის) იდეალურ ვარიანტში წარმოდგენა ყოველგვარი შეზღუდვებისა და შესაძლებლობების (ფიზიკური კანონები, ენერგიის წყაროები, აუცილებელი პირობები და სხვ.) გარეშე. მაგ., „მსურს კარგი გზა იყოს იქ, სადაც მას ჩემი ავტომობილის საბურავები ეხება“. ფანტასტიკური ანალოგიის ფორმულირების შემდეგ განვიხილოთ, თუ რა უშლის ხელს მიგნებული გადაწყვეტილების რეალურ პირობებში გადატანას და შევეცადოთ მისი გადალახვა.[396]

მოცემული ანალოგიები უფრო გასაგები გახდება, თუ მათ კლასიფიკაციას შემდეგნაირად წარმოვიდგენთ:

პირდაპირი და ფანტასტიკური ანალოგიები, შესაბამისად, ესაა რეალური და არარეალური, ხოლო სუბიექტური და სიმბოლური — ფიზიკური (სხეულებრივი, მატერიალური) და აბსტრაქტული. თუმცა, ოთხივე შემთხვევაში, მათ ფუნდამენტურობაზე არაა საუბარი, რადგან სინექტიკის გამოყენება საგნის (მოვლენის) სიღრმისეულად შესწავლის ახალ მიდგომებსა და საშუალებებს ავლენს.

ამგვარად, ხსენებულის შეჯამებით სინექტიკის ტექნიკის გამოყენების ალგორითმი ასეთია:

1. განსახილველი პრობლემისა და სასურველი მიზნის გაცხადება;
2. პრობლემის მახასიათებელი საკვანძო სიტყვების შედგენა;
3. ანალოგიის გამოყენებით, ამ სიტყვების საფუძველზე იდეების გენერირება;
4. ფორმულირებული იდეებიდან მაქსიმალურად პრაქტიკული, მაგრამ ორიგინალური შინაარსის მქონე იდეათა ვარიანტების შერჩევა;

---

[396] შოტლანდიელი ფიზიკოსი **ჯეიმზ კლარკ მაქსველი** (1832-1879) თავის აღმოჩენებში ფანტასტიკურ ანალოგიას ხშირად იყენებდა — დასმული პრობლემის გადაწყვეტას დემონს „აბრალებდა“, შემდეგ დემონის შეცვლაზე ფიქრობდა და მიზანსაც წარმატებით აღწევდა;

გერმანელი ასტრონომი **იოჰან კეპლერი** (1571-1630), რომელმაც პლანეტების მოძრაობის კანონები დაადგინა, ციური სხეულების მიზიდულობას ურთიერთის სიყვარულს ამსგავსებდა. ამ შედარებამ კეპლერი მიზიდულობის ძალების (გრავიტაცია) ცნების იდეამდე მიიყვანა.

XVII საუკუნეში ორგანიზმში სისხლის მოძრაობას ზღვის მიქცევა-მოქცევას ადარებდნენ. ფიზიოლოგიისა და ემბრიოლოგიის ფუძემდებელმა, ინგლისელმა ექიმმა **უილიამ ჰარვეიმ** (1578-1657) გამოიყენა ახალი ანალოგია — ტუმბო (გულის ფუნქცია) და სისხლის უწყვეტი ცირკულაციის ფუნდამენტური იდეა ახსნა.

5. შერჩეული ვარიანტებიდან შედარებით საინტერესო ვერსიის არჩევა, მისი ერთობლივად განხილვა და პრაქტიკაში განხორციელების სტადიამდე მიყვანა.

როგორც აღინიშნა, სინექტიკის გამოსაყენებლად აუცილებელია წინასწარ მომზადებული პროფესიონალთა მუდმივი ჯგუფი, ე.წ. სინექტორები (ოპტიმალურია 5-7კაცი, აქედან ერთი ხელმძღვანელი). მათ შესარჩევად გამოიყენება სპეციალური ტესტები, წევრებს მოეთხოვებათ მრავალმხრივი განათლება, ფართო ერუდიცია, ექსპერიმენტული საქმიანობის გამოცდილება, სხარტი აზროვნება, სხვა საკითხზე ოპერატიულად გადართვის უნარი, ჩვეულებრივში არაჩვეულებრივის, ხოლო არაჩვეულებრივში ჩვეულებრივის შემჩნევა, სხვათა იდეების მოთმინებით მოსმენა, აბსტრაქცია და მდიდარი ფანტაზია.

უპირატესობა ეძლევათ კონტრასტული ფსიქოლოგიური ტემპერამენტის ტიპებს (ქოლერიკი — მელანქოლიკი; სანგვინიკი — ფლეგმატიკი), ასევე სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს. სასურველია შეუთავსებელი პროფესიების მქონენი, მაგ., ექიმ-აგრონომი, მუსიკოს-ქიმიკოსი). ამ ჯგუფში შეიძლება ორგანიზაციის გარედან განსხვავებული სპეციალობის (მაგ., ბიოლოგის) 2-3 წარმომადგენლის მოწვევაც.

რას იძლევა სინექტიკის მეთოდი? ამ მეთოდის გამოყენებით შეგვიძლია აზრობრივად დავტოვოთ ჩვენი პრობლემის წრე და მას წინასწარი აკვიატების გარეშე შევხედოთ.

სინექტიკის მეთოდი განსაკუთრებით ეფექტურია:

- რთული სიტუაციის (მოვლენის, საქონლის) შემთხვევაში;
- ახალი (ტექნიკური, საინჟინრო და სხვ.) პროდუქტებისას;

ამ მეთოდის სუსტი მხარეა ის, რომ იგი ახალდამწყებთათვის კატეგორიულად უვარგისია.

10. კესტლერის მეთოდი „ბისოციაცია“

ბისოციაცია[397] არის კონტექსტებიდან აღებული ორი იდეის კომბინაცია, რომლებიც წინათ შეუთავსებლად მიიჩნეოდა.

ბისოციაცია თვლის, რომ ახალი იდეები ცნობილი ფაქტების გადაკვეთის გზით მიიღება. ამ პრინციპის შედეგად მიიღწევა კრეატიული შედეგი — მიიჩნევდა ბრიტანელი მწერალი და ფილოსოფოსი **არტურ კესტლერი** (1905-1985).

[397] ლათ. bi — ორი, socialite — შეერთება.

ბისოციაციის კლასიკური მაგალითია გერმანელი გამომგონებლისა და ევროპის პირველი მესტამბის **იოჰან გუტენბერგის** (1394-1468) მიერ შექმნილი საბეჭდი დაზგა მოძრავი ლიტერებით, რისთვისაც მან გააერთიანა ყურძნის საპრესი მოწყობილობისა და მონეტის საჭრელი შტამპის მუშაობის პრინციპები.

ბისოციაცია ადამიანის აზროვნების საკმაოდ მოქნილი მეთოდია. მისი ეფექტი „აზროვნების სიბრტყეთა" არჩევანზეა დამოკიდებული.

მეთოდი განსაკუთრებით გამოყენებადია:

- ტექნიკური პრობლემებისა და გამოგონებებისას;
- კარგად სტრუქტურიზებული საკითხებისას;
- ხელოვნების სფეროში.

მეთოდის სუსტი მხარეა:

➢ ძიების პროცესი შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს;

➢ უკეთესია წინასწარ ვიცოდეთ, სად ვაწარმოოთ ძიება.

ბისოციაციისთვის საჭიროა:

❖ ფანტაზია, დაკვირვების უნარი;

❖ დრო, კომპეტენცია;

❖ სტრუქტურული (ურთიერთდაკავშირებული) აზროვნების უნარი;

❖ ცნობისმოყვარეობა, ბედი, იღბალი.

პროცესი 4 სეანსად ტარდება:

1. **პრობლემის განსაზღვრა** — პრობლემის მკაფიოდ და მოკლედ ფორმულირება, არსის გარკვევა და მრავალი მხრიდან დანახვა.

2. **„აზროვნების მეორე სიბრტყის" გამოვლენა** — შემოქმედებითი მუშაობა — „აზროვნების მეორე სიბრტყის" მიგნება.

3. ანალოგიების გამოცნობა — ყურადღების გამახვილება, ანალოგიების ძიება, საერთო პრინციპების გამოცნობა. სხვა დარგში ექსპერტობა არაა აუცილებელი. თვითმფრინავის კონსტრუქტორი, რომელიც პეპელას ფრთებს სწავლობს, ენტომოლოგად არ უნდა იქცეს.

4. გადაწყვეტილების გადატანა — სხვა სფეროდან კარგი იდეის მარტივად გადატანა არასაკმარისია. მან ახალ სფეროში უნდა „იმუშაოს". ამისთვის, როგორც მინიმუმ, უნდა შეიცვალოს. აკი ცხადია, რომ თვითმფრინავი მაინც ისე არ ფრენს, როგორც პეპელა. მაშასადამე, იმ შემთხვევაშიც კი, როცა იდეა ერთ სიტუაციაში ამართლებს, მისი კრეატიულობა ახალ პირობებში უნდა გაირკვეს.

ბუნება მრავალი გამოგონების მეტად ნაყოფიერი სფეროა.

ბისოციაციის კლასიკური მაგალითია ბიონიკა[398], რომელიც ცოცხალი ორგანიზმების აგებულებისა და ფუნქციების შესწავლის საფუძველზე წყვეტს საინჟინრო პრობლემებს. ასეთი მიდგომის იდეა ეკუთვნის დიდ იტალიელ მოაზროვნესა და მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებულ პიროვნებას **ლეონარდო და ვინჩის** (1452-1519), რომელიც ცდილობდა ფრინველთა ფრენის მექანიზმის შესწავლის საფუძველზე შეექმნა საფრენი აპარატი ორნითოპტერი.[399]

ტექნიკურმა განვითარებამ და სხვადასხვა სისტემების საიმედოობის ამაღლების მზარდმა მოთხოვნებმა ინჟინრები აიძულა ახლებურად შეეხედათ ცოცხალ არსებათათვის, ეძიათ ახალი პრინციპები, კონსტრუქციული გადაწყვეტის ახალი ფორმები, რამაც მნიშვნელოვნად განსაზღვრა ბიონიკის ახალ სამეცნიერო დარგად ჩამოყალიბება.

ბიოლოგიური სისტემები ხელოვნურისგან განსხვავდებიან მინიატურულობით, საიმედოობით, ეკონომიურობით, თვითრეგულირების უნარით. ორგანიზმები ახერხებენ გარე სამყაროდან მიღებული დიდძალი ინფორმაციის გადამუშავებას და ამ ინფორმაციიდან უსარგებლოს უკუგდებას. ხანგრძლივი დროის მანძილზე ცოცხალ არსებებს ბუნებრივად გამოუმუშავდათ ნივთიერებათა ცვლის, ენერგიისა და ინფორმაციის გარდაქმნის ნატიფი და სრულყოფილი მექანიზებმი.

ბიონიკა, რომელიც სწავლობს ბიოლოგიურ სისტემებს და მათში მიმდინარე პროცესებს, არ მიდის ცოცხალი ბუნების ბრმა მიბაძვის, მისი გადმოღების გზით. ცოცხალი ბუნებიდან იგი „სესხულობს“ მხოლოდ ყველაზე უფრო სრულყოფილ კონსტრუქციულ და ტექნოლოგიურ გადაწყვეტას, პრინციპებს, იდეებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ბიოლოგიურ სისტემათა დიდ მოქნილობას მათი არსებობის რთულ პირობებში.

ანალოგები:

რეტინატორი *— ბაყაყის თვალის მოდელის ანალოგი, რომელსაც იყენებენ აეროდრომებზე თვითმფრინავების რეგულირების საქმეში;* ***„ლამინფლო“*** *— დელფინის კანის მოდელის ანალოგი, იყენებენ გემის გარსაცმისათვის. ამით გემის სიჩქარე 15-20%-ით იზრდება; იაპონური საოკეანო გემი „კურენაი მარო“ — გემის კორპუსი ვეშაპის ანალოგია;* ***გიროტრონი*** *— ორფრთიანი მწერების საბზუილე აპარატის ანალოგი, რითაც შესაძლებელია თვითმფრინავი ავტომატურად გამოვიდეს შტო-*

---

[398] მეცნიერება ტექნიკურ მოწყობილობებსა და სისტემებში ცოცხალი ბუნების პრინციპების, თავისებურებების, სტრუქტურებისა და ფუნქციების გამოყენების შესახებ.

[399] ბერძ. ornis (ornithos) ფრინველი და pteron ფრთა. საფრენი აპარატი.

პორიდან (თვითმფრინავის დაშვება ვარდნის მსგავსად); ***ხის ფოთლის კონსტრუქციის ანალოგი*** *— ქ. ტურინის საგამოფენო დარბაზის სახურავი. ასმეტრიანი საყრდენების გარეშე დარბაზი გადახურულია არმოცემენტის მსუბუქი კონსტრუქციით. გამოყენებული სამაგრები ზუსტად ისევეა განაწილებული, როგორც ფოთლის დაძარღვაში და ა.შ.*

11. ცვიკის მეთოდი „მორფოლოგიური მატრიცა“

გავრცელებულია აზრი, თითქოს, რაიმე პრობლემის მოგვარების გზები თვით ამ პრობლემაში იმალება. სწორედ ამ იდეას ეფუძნება მეთოდი „მორფოლოგიური[400] მატრიცა“, რომელიც ამერიკელმა ასტრო-ფიზიკოსმა **ფრიც ცვიკიმ** 1942 წელს შეიმუშავა. იგი ერთ-ერთი ევრისტიკული და, იმავდროულად, სისტემურ-ანალიტიკური მეთოდია.

გადაწყვეტილების მიგნება შესაძლებელია არსებული კომპონენტების ახალი კომბინაციით. დასაშვებია მათი მოდერნიზაციაც.

მატრიცით მუშაობისას მნიშვნელოვანია პრობლემის (მოვლენის, პროცესის) ქვეპრობლემებად დანაწევრება და თითოეული მათგანისთვის რაც შეიძლება მეტი ოპტიმალური გადაწყვეტილების პოვნა. ბოლოს კი, ცალკეული გადაწყვეტილების მრავალნაირი კომბინაციით მთლიანი პრობლემის გადაჭრის რამდენიმე ალტერნატიული ვარიანტის მიღება (ზოგადი მოდელი, იხილეთ ცხრილი 4.2).

ცხრილი 4.2. მორფოლოგიური მატრიცის ზოგადი მოდელი

პრობლემა	ქვეპრობლემების გადაჭრის ვარიანტები			
	პირველი	მეორე	მესამე	მეოთხე
1-ლი ქვეპრობლემა				
მე-2 ქვეპრობლემა				
მე-3 ქვეპრობლემა				

[400] ბერძ. morphe ფორმა და logos მოძღვრება. მეცნიერება წესრიგის, ფორმების, სტრუქტურების შესახებ. ტერმინი „მორფოლოგია“ პირველად გამოიყენა მისმა ფუძემდებელმა, გერმანელმა მწერალმა და დიდმა მოაზროვნემ, **იოჰან ვოლფგანგ გოეთემ** (1749-1832).

მატრიცის აგების თანამიდევრობა ასეთია:

1. პრობლემის აღწერა;
2. ქვეპრობლემის ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ კომპონენტებად დანაწევრება;
3. ქვეპრობლემების გადაჭრის ვარიანტების განსაზღვრა;
4. ახალი კომბინაციების პოვნა;
5. ალტერნატიული კომბინაციებით გადაწყვეტილების მიღება.

თითოეული ვარიანტი საერთო განხილვის საგანია.

მისაღებია ორიგინალური მიდგომებიც.

ამ მეთოდის უპირატესობა ისაა, რომ არ მოითხოვს დიდძალ ინფორმაციას. შედეგად ბევრი კომბინაციური იდეა იბადება.

მორფოლოგიური მეთოდი გამოიყენება საქმიანობის მრავალ სფეროში, კერძოდ, ეკონომიკაში, ტექნიკურ სფეროში და ა.შ.

ცხრილი 4.3. მორფოლოგიური მატრიცის ტიპური მოდელი

პრობლემა — სწავლა	ქვეპრობლემების გადაჭრის ვარიანტები			
	1-ლი	მე-2	მე-3	მე-4
გადასახადი	პირადად	***მშობლები***	***სპონსორი***	სახელმწიფო
ბინა	საკუთარი	***დაქირავება***	***სასტუმრო***	მეგობართან
კვება	პირადად	***ოჯახში***	***რესტორანში***	მეგობართან
		პრობლემის გადაჭრის		
		პირველი ვარიანტი	***მეორე ვარიანტი***	

12. ვაიტინგის მეთოდი „ფოკალური[401] ობიექტები“

ამ მეთოდს სხვაგვარად **კატალოგის მეთოდი** ეწოდება. მისი ავტორია ამერიკელი მეცნიერი **ჩარლზ ვაიტინგი**.

მეთოდის მიზანი — ფოკალური ობიექტის (ფოკუსობიექტის) სრულყოფა (მოდერნიზაცია).

მეთოდის არსი (პრინციპი) — ფოკალური ობიექტის თვისებებთან

[401] ლათ. focus კერა; რაც ფოკუსშია; ყურადღების ფოკუსში მყოფი ობიექტი.

შემთხვევითი ობიექტების თვისებების ორიგინალურად დაკავშირება და მათი ურთიერთშერწყმით „რაციონალური მარცვლის“ მიგნება.

მოქმედების გეგმა:

- კვლევის მიზნის განსაზღვრა;
- კატალოგის ან წიგნის დახმარებით 2-3 ან მეტი ობიექტის შემთხვევით შერჩევა;
- შერჩეული ობიექტების რამდენიმე თვისების ჩამოწერა;
- ამ თვისებების ფოკალურ ობიექტზე გადატანა, ახალი სიტყვათშეწყობის მიღება;
- თავისუფალი ასოცირებით, ახალი სიტყვათშეწყობის განვითარება, ყველა საინტერესო იდეის დაფიქსირება;
- ახალი იდეების შეფასება და შედარებით ოპტიმალური ვარიანტის შერჩევა;
- ახალი მოდიფიციური ობიექტის დასამუშავებლად ამოცანების ჩამოყალიბება.

მაგალითი:

ფოკუსობიექტი: ფარანი.

მიზანი: ფარანის სრულყოფა.

შემთხვევითი ობიექტები: 1. სათვალე; 2. პარაშუტი.

შემთხვევითი ობიექტების დამახასიათებელი ნიშნები:

1. სათვალე: მზის სათვალე, დამცავი სათვალე, მოდური სათვალე;

2. პარაშუტი: ფერადი პარაშუტი, საიმედო პარაშუტი, გაშლადი პარაშუტი.

ახალი სიტყვათშეწყობა:

1. მზის ფანარი, დამცავი ფანარი, მოდური ფანარი;

2. ფერადი ფანარი, საიმედო ფანარი, გაშლადი ფანარი.

ახალი იდეები:

1. მზის სხივებით დამუხტვადი ფანარი, ელექტროშოკის ფანარი, მორთულობის (მოკაზმულობის) სახეობის ფანარი;

2. ფერადფილტრებიანი ფარანი, დარტყმისმედეგი ფანარი, დაკეცვადი ფანარი.

ოპტიმალური ვარიანტები: *მზის სხივებით დამუხტვადი ფარანი, ფერადფილტრებიანი ფარანი და დარტყმისმედეგი ფარანი.*

.

13. წარმოსახვის მეთოდები: დე ბონოს „მოაზროვნე ქუდები“ და დისნეის „მოაზროვნე სკამები“

ამ მეტად პროდუქტიული და მარტივი მეთოდების ავტორებია ბრიტანელი მწერალი, ექიმი და ფსიქოლოგი, შემოქმედებითი აზროვნების სფეროს გამოჩენილი სპეციალისტი **ედუარდ დე ბონო** (დ.1933) და ცნობილი ამერიკელი ბიზნესმაგნატი **უოლტ დისნეი** (1901-1966).

დე ბონომ 1960-ან წლებში პირველმა გაავრცელა ტერმინი „ლატერალური აზროვნება“. ამგვარი კონცეფციის ერთ-ერთი მეთოდია „მოაზროვნე ქუდები.“[402;403]

დე ბონოს მეთოდი საშუალებას იძლევა განვავითაროთ გონების მოქნილობა, კრეატიულობა, გადავლახოთ შემოქმედებითი კრიზისი და

---

[402] მისი ავტორი **დე ბონო** ბავშვობაში მოკრძალებული, სუსტი ჯანმრთელობის ყოფილა, რის გამოც თამაშის დროს ამხანაგები მის წინადადებებს არ ითვალისწინებდნენ. მას გული წყდებოდა და ძალიან სურდა, რომ მისი იდეები მოსმენილიყო და საქმე კონფლიქტამდე არასდროს მისულიყო. მაგრამ, როცა იდეა მრავალია და მოკამათეები სხვადასხვა „წონით კატეგორიაში“ არიან (ჩვეულებრივ, ბავშვებთან ისაა მართალი, ვინც ძლიერია, ხოლო მოზრდილებში — ვინც რანგით მაღალია), განხილვის ისეთი მეთოდის პოვნა, როცა ყველა იდეა მოსმენილი და მიღებული გადაწყვეტილებაც ყველასთვის დამაკმაყოფილებელი იქნება, ძალიან ძნელია. დე ბონო უნივერსალური ალგორითმის ძიებას შეუდგა და როცა გაიზარდა აზრობრივი პროცესის ეფექტურობის ამაღლების ორიგინალური მეთოდი მოიფიქრა. მან ყურადღება გაამახვილა ფიქრის დროს ადამიანის გონებაში მიმდინარე პროცესებზე — აზრები ერთმანეთში ირევა, ერთმანეთს ეწინააღმდეგება და ა. შ.

დე ბონომ ეს პროცესი 6 ტიპად დაანაწილა. მისი აზრით, ნებისმიერი პრობლემა აუცილებლად საჭიროებს ფაქტებს, იწვევს ემოციებს, მოითხოვს გადაწყვეტილების ვარიანტების ძიებას, მათი დადებითი და უარყოფითი შედეგების შეფასებას. აზროვნების კიდევ ერთი ტიპია იდეების მოწესრიგება. თუ თავში ქაოსი მეფობს, საჭიროა მისი დალაგება, აზრების დაწყობა და მკაცრი თანამიმდევრობით გადმოცემა. ამ შემთხვევაში გადაწყვეტილების ძიება უფრო სწრაფი და პროდუქტიული იქნება. დე ბონოს მეთოდიკა საშუალებას გვაძლევს აზროვნების სხვადასხვა ტიპი თანამიმდევრულად „ჩავრთოთ“ და კამათსა და დაპირისპირებას ბოლო მოვუღოთ.

მეთოდიკა კარგად დამახსოვრებადი რომ ყოფილიყო, საჭირო იყო მკაფიო ნიმუში. დე ბონომ აზროვნების ტიპი ფერად ქუდებს დაუკავშირა. საქმე იმაშია, რომ ინგლისურ ენაში ქუდი საქმიანობის სახეობასთან ასოცირდება — კონდუქტორის ქუდი, პოლიციელის ქუდი და ა.შ. სიტყვათშეწყობა „რაღაც ქუდის დახურვა“ კონკრეტული საქმიანობის დაწყებას ნიშნავს. ადამიანი, რომელიც ფიქრით გარკვეული ფერის ქუდს „იხურავს“, მოცემულ მომენტში აზროვნების იმ ტიპს ირჩევს, რომელიც ამ ფერთან ასოცირდება.

[403] **Эдуар Де Боно. (1997).** Латеральное мышление. Учебник творческого мышления. СПб, «Питер», 320 с.

შევიმუშაოთ მართებული გადაწყვეტილება. ის განსაკუთრებით კარგია არაორდინალური და ინოვაციური იდეების შემთხვევაში, როცა სიტუაციის სხვადასხვა პოზიციიდან შეფასება აუცილებელია, ხოლო განსხვავებული აზრის გათვალისწინება — მნიშვნელოვანი. ამ მეთოდის საფუძველია **პარალელური აზროვნების კონცეფცია.**

მიღებულია, რომ ჭეშმარიტი გადაწყვეტილება პოლემიკის (კამათის) შედეგად იბადება, რაც მცდარი აზრია. ასეთი მიდგომით, არცთუ იშვიათად, უპირატესობა არა უკეთეს ვარიანტს ეძლევა, არამედ იმას, რომელიც საჯარო კამათში უფრო წარმატებით დაწინაურდება (ხშირ შემთხვევაში, დიდ როლს „გამარჯვებულის“ პერსონა ასრულებს).

მნიშვნელოვანია ისიც, რომ პარალელური აზროვნებისას განსხვავებული შეხედულებები და იდეები მშვიდად თანაარსებობენ და ერთმანეთს არ უპირისპირდებიან.

პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტისას ეს მეთოდი სამი მთავარი სირთულის დაძლევაში გვეხმარება:

1. **ემოციები.** იმის ნაცვლად, რომ სწორ გადაწყვეტილებაზე ვიფიქროთ, ხშირად, საკუთარი ემოციებით ვიზღუდებით და ჩვენ შემდგომ მოქმედებასაც მის მიხედვით განვსაზღვრავთ;

2. **დაბნეულობა.** არ ვიცით როგორ მოვიქცეთ, საიდან დავიწყოთ და ვმერყეობთ (უმეტესად ეს მაშინ ხდება, როცა გადასაწყვეტი ამოცანა რთულია ან ასეთ ამოცანას პირველად ვაწყდებით);

3. **უთავბოლობა.** როცა მოცემულ ამოცანაზე დიდ ინფორმაციას ვფლობთ, ვცდილობთ ვიყოთ ლოგიკურები, თანამიმდევრულები, კრეატიულები, კონსტრუქციულები და გვსურს ასეთები იყვნენ ჩვენი თანამოსაუბრეები, კოლეგები და პარტნიორებიც. ყოველივე იწვევს დაბნეულობასა და მღელვარებას, რამაც გადასაწყვეტი საკითხის დროულად მოგვარება შეიძლება გაართულოს.

„მოაზროვნე ქუდების“ მეთოდი გვეხმარება ამ სირთულეთა დაძლევაში, რადგან აზროვნების პროცესს ექვს რეჟიმად ანაწილებს, რომელთა შორის თითოეული, მეტაფორულად (გადატანით, სიმბოლურად), ერთ-ერთი ფერის ქუდითაა წარმოდგენილი. პროცესის ამგვარი დაყოფით აზროვნება უფრო კონცენტრირდება.

მეთოდის ტექნიკა მრავალფეროვანია:

თეთრი „ქუდი“ განასახიერებს ანალიტიკურ აზროვნებას (სიმბოლურად — მეცნიერი);

შავი ქუდი — კრიტიკულ აზროვნებას (კრიტიკოსი, სკეპტიკოსი);

ყვითელი ქუდი — ოპტიმისტურ აზროვნებას (ოპტიმისტი);

მწვანე ქუდი — შემოქმედებით აზროვნებას (კრეატივისტი);

წითელი ქუდი — ემოციურ აზროვნებას (მხატვარი);

ლურჯი ქუდი — პერსპექტიულ აზროვნებას, ხედვას (ხელმძღვანელი) (იხილეთ ცხრილი 4.4).

ცხრილი 4.4. მონაწილეთა როლების მეტაფორული განაწილება

მეტაფორული შედარება	**შესასრულებელი როლი**
	ყურადღების მაქსიმალური კონცენტრაცია და აქცენტების გადატანა!!!
თეთრი ქუდი (ინფორმაცია) (მეცნიერი)	ფაქტებსა და ციფრებზე, პოზიციების რაციონალურ ახსნაზე
შავი ქუდი (სიფრთხილე) (კრიტიკოსი)	კრიტიკაზე, მოსალოდნელ წარუმატებლობაზე, მინუსების პოვნაზე
ყვითელი ქუდი (უპირატესობა) (ოპტიმისტი)	ღირსებების, უპირატესობებისა და პოზიტიური მხარეების ძიებაზე, ფარული რესურსების გამოვლენაზე, პლუსების დანახვაზე
მწვანე ქუდი (შემოქმედება) (კრეატივისტი)	კრეატიული და ორიგინალური (არატრადიციული) გადაწყვეტილების ძიებაზე, შემოქმედებითი რეჟიმის გაძლიერებაზე, ახალი იდეებისა და არასტანდარტული მიდგომების გენერი-რებაზე, არსებული პარადიგმების მოდიფი-კაციაზე, ალტერნატიული გზების პოვნაზე
წითელი ქუდი (ემოცია) (მხატვარი)	გრძნობებზე, ინტუიციასა და ემოციებზე, საკუთარი გრძნობებისა და ქვეცნობიერი ასოციაციების აღწერაზე
ლურჯი ქუდი (აზროვნება აზროვნების შესახებ) (მოდერატორი)	პროცესის კოორდინაცია: დასაწყისში — გადასაწყვეტი ამოცანებისა და იდეების რეალიზაციის პროცესის მართვა; დასასრულ — შედეგების შეჯამება და განზოგადება

რიგრიგობით, პროცესის ყოველი მონაწილე ვირტუალურად ექვსი ფერის ქუდიდან ერთ-ერთს „იხურავს“, რომელიც დასმული პრობლემის გადაწყვეტის შესახებ სხვადასხვა შეხედულებას მეტაფორულად განასახიერებს. ამ მეთოდის გამოყენება, მინიმუმ, 6 მონაწილეს მოითხოვს, რომელთა შორის ერთი წამყვანია.

მეთოდის არსია კონკრეტული პრობლემის გადაწყვეტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტზე ყურადღების მაქსიმალური კონცენტრაცია და ახალი იდე(ებ)ის შექმნა. მისი ეფექტურობა გაცილებით მაღალია მაშინ, როცა მონაწილის ქუდის ფერის მახასიათებლები მისივე დრო-

ებითი მფლობელის რეალური მახასიათებლებისგან განსხვავებულია, ანუ, როცა ბუნებით კრიტიკოსი ასრულებს ოპტიმისტის (ყვითელი ქუდი), ხოლო ოპტიმისტი — კრიტიკოსის (შავი ქუდი) როლს და ა.შ.

მეთოდი რეზონულია ნებისმიერი სფეროს გონებრივ შრომაში, მაგ., პირადი გეგმების შედგენისას, საქმიანი წერილის დაწერისას, რაიმე საქმის დაგეგმვისას, კონფლიქტური სიტუაციის მოგვარებისას, პრობლემური სიტუაციიდან გამოსავლის პოვნისას და ა.შ.

მოცემულ მეთოდს აქვს თავისი პლუსები და მინუსები:

+ ადამიანთა უმრავლესობისთვის გონებრივი საქმიანობა აბსტრაქტულია, მოსაწყენი და მომაბეზრებელია. ეს მეთოდი ამ პროცესს უფრო საინტერესოს, მიმზიდველსა და ნაყოფიერს ხდის;

+ აღიარებს მნიშვნელობას და ყურადღებას უთმობს გადაწყვეტილების მიღებაში ყველა ასპექტს — მშრალ ფაქტებს, ემოციებს, განსხვავებულ შეხედულებებს, ახალი იდეების გენერაციას;

+ ადამიანის გონება ინარჩუნებს რა თავის ერთიანობასა და თვითკმარობას, ხშირად, ყოველივე ახალს არაბუნებრივად (ნაძალადევად), თავსმოხვეულად და საშიშად მიიჩნევს. ეს მეთოდი საშუალებას იძლევა არსებულ მოვლენებს (ნივთებს) სხვადასხვა კუთხით შევხედოთ, რაც საიმედო და სიტუაციის ადეკვატური გადაწყვეტილების მიღების შანსს მნიშვნელოვნად ადიდებს;

+ საკითხის განხილვაში მორცხვი და ნაკლებმოსაუბრე ადამიანების ჩართვას აძლიერებს. ნებისმიერი მონაწილის მიერ განსხვავებული აზრის გამოთქმა უმრავლესობაში დისკომფორტს არ იწვევს, რადგან, რეალურად, იგი არა თავისი სახელით, არამედ, მეტაფორულად, ვირტუალურად, ერთ-ერთი ფერის ქუდის სახელით საუბრობს;

+ სამუშაოს მკაფიოდ განსაზღვრული სტრუქტურის გამო, არაფრისმთქმელი ლაყბობა გამორიცხულია, მონაწილეთა აზროვნება უფრო კონცენტრირებული, გონივრული და ნაყოფიერია;

+ საპირისპირო შეხებულებები ერთმანეთთან კონფლიქტის ნაცვლად, მშვიდობიანად თანაარსებობენ, ერთმანეთს სრულყოფენ და ავსებენ, შედეგად არაორდინალური და ინოვაციური იდეები იბადება;

+ ვსწავლობთ ყურადღების მართვას, რადგან საკვლევ ობიექტს (მოვლენას) ექვსი პოზიციიდან ვიხილავთ;

— ჩატარების რთული ტექნოლოგია. მისი პროფესიულად ათვისებისა და გამოყენებისთვის საჭიროა გარკვეული დრო. გაცილებით მარტივია მეთოდის ინდივიდუალურად გამოყენება, ჯგუფში კი, — რამდენადმე რთულია;

— არსებობს კოლექტივში ამ მეთოდის არასერიოზულად მიღების

მომენტიც. ვინმემ შეიძლება იგი „ბავშვურ“ ქცევად აღიქვას და ფერადი ქუდის დახურვაზე უარი თქვას (სინამდვილეში არავითარი ქუდის დახურვა არაა საჭირო). მთავარია ყველა მონაწილემ თავისი დროებითი როლი კარგად გააცნობიეროს და საკვლევი ობიექტი ამ როლის ფუნქციიდან შეაფასოს.

ამ მეთოდის გამოყენებისას საჭიროა რამდენიმე წესის დაცვა:

1. კოლექტიური მონაწილეობის შემთხვევაში ამ პროცესს მოდერატორი (ორგანიზატორი) უძღვება და იგი ლაყბობაში არ გადაიზრდება. მას ლურჯი ქუდი ახურავს და ყოველ გამოთქმულ მოსაზრებას ქალაღდზე ყურადღებით წერს, ბოლოს კი — მიღებულ შედეგებს აჯამებს (კარგია „ინტელექტ-ბარათების“ გამოყენებაც).

2. პროცესის დასაწყისში მოდერატორი ჯგუფის წევრებს მოკლედ აცნობს „მოაზროვნე ქუდების“ კონცეფციას, შემდეგ მკაფიოდ აღნიშნავს იმ პრობლემას (ამოცანას), რომელსაც მოცემული შეხვედრა ეთმობა, მაგ., „კონკურენტ-ფირმამ შემოგვთავაზა თანამშრომლობა . . . სფეროში. როგორ მოვიქცეთ?“

3. სესია მაშინ დაიწყება, როცა ყველა მონაწილე ერთ-ერთი ფერის ქუდს „დაიხურავს“ (სასურველია თეთრი) და რიგრიგობით საკუთარ შეხედულებას გამოთქვამს, ანუ იწყება მშრალი ფაქტების, ციფრებისა და სტატისტიკური მონაცემების შეგროვება, შემოთავაზებული წინადადებ(ებ)ის განხილვა. შემდეგ არსებული მონაცემები ჯერ ნეგატიურ (შავი ქუდი), ხოლო მოგვიანებით, პოზიტიურ ასპექტში (ყვითელი ქუდი) განიხილება.

4. საკითხის ყოველმხრივი განხილვის შემდეგ ყურადღება გადადის შემოთავაზებულ წინადადებაში სიახლის პოვნაზე (მწვანე ქუდი), დადებითი მომენტების გაძლიერებაზე, უარყოფითის შემსუბუქებაზე, ალტერნატიული გზების მოძიებაზე (ახალი იდეის გამოჩენის შემთხვევაში, შავი და ყვითელი ქუდების „დახმარებით“ მისი მეტაფორული განხილვა თავიდან იწყება).

5. დროის მცირე მონაკვეთი (1-2 წთ) ეთმობა ემოციებისა და გრძნობების, ასოციაციების გამომჟღავნებას (წითელი ქუდი).

6. თითოეული მონაწილე ყველა როლს ასრულებს.

7. დასასრულ, კოლექტიური აზროვნების შედეგად გარკვეული შედეგი მიიღება, რომელსაც მოდერატორი აჯამებს (ლურჯი ქუდი). ამგვარად, აზრები და იდეები ერთმანეთში არ ირევა და არ იბურდება.

უოლტ დისნეის წარმოსახვის მეთოდი „მოაზროვნე სკამები“ თანმიმდევრულად გულისხმობს მეოცნებეს, რეალისტისა და კრიტი-კოსის

როლების შესრულებას. არსებითია ის, რომ სკამის ცვლილების შესაბამისად, როლიც იცვლება.

მეოცნებეს სკამი

ამ სკამზე ჯდომისას ფიქრობთ ფანტასტიკურ, ერთი შეხედვით შეუძლებელ ნივთებზე, საგნებზე, მოვლენებზე. თავდაყირა აყენებთ მათ, ერთობით ცალკეული თემებით, ხუმრობთ და ყველაზე თავზეხელაღებულ შერწყმა/შეთავსებას ახდენთ. პრობლემაზე სერიოზულად ფიქრის გარდა, ყველაფრის უფლება გაქვთ. ყველა წინადადებას ქაღალდზე წერთ.

რეალისტის სკამი

ამ ადგილზე ჯდომისას ახდენთ საღი აზრის კონცენტრაციას, ცდილობთ მეოცნებეს იდეების განვითარებას და ახალი გადაწყვეტილების ძიებას, წინ მიიწევთ გეგმაზომიერად და კეთილგონიერად, ირჩევთ ყველაზე მოკლე და მიზანშეწონილ გზას, ხართ პრაგმატული.

კრიტიკოსის სკამი

ახლა უკვე კრიტიკოსი ხართ. ყველა წინადადებას (იდეას) დაუნდობლად ამოწმებთ: რა არის მათში რაციონალური? როგორ შეიძლება მათი გამოყენება? რამდენად ფასეულია თითოეული? რომელია მათ შორის ზედმეტი? და ა.შ.

სკამის შეცვლა

ერთ სკამზე დიდხანს ნუ იჯდებით. კონკრეტულ საკითხზე ფიქრისას შესაძლებელია სკამების მრავალჯერ შეცვლა. პროექტზე მუშაობის დასასრულს ეცადეთ რეალისტის როლის შესრულებას.

მეთოდის ძლიერი მხარეები:

- გადასაწყვეტი პრობლემიდან დისტანცირება;
- პრობლემის მრავალი მხრიდან შეფასება;
- ჯგუფური სეანსისას დაძაბულობის მოხსნა („მოაზროვნე ქუდების“ შემთხვევაში);
- გამოყენების ფართო სპექტრი და არეალი;
- როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური გამოყენების შესაძლებლობა.

მეთოდის სუსტი მხარეები:

- პრობლემის გადაწყვეტის პირველი ვარიანტის ძლიერი გავლენა. ამიტომ „კრეატიული ნახტომისთვის“ სასურველია „ინტელექტ-ბარათების“ გამოყენება;
- თავდაპირველად აღიქმება როგორც ხელოვნური, ხოლო საგრძნობ ეფექტს ვარჯიშის შემდეგ ავლენს.

14. ალტშულერის მეთოდი „საგამომგონებლო ამოცანების ამოხსნა“

გამოგონების რაოდენობა ძალიან მაღალი ტემპებით მატულობს და სულ უფრო მეტი ადამიანი ერთვება ამ საქმეში.

აღნიშნულმა გარემოებამ საზოგადოება დააფიქრა: როგორ ხდება გამოგონება? რა „გონებრივ სვლებს“ აკეთებს გამომგონებელი?

კრეატიული აზროვნების გააქტიურების არსებული მეთოდები საგამომგონებლო შრომას ახალ მიდგომებს სთავაზობდა. მათ აერთიანებდათ ის, რომ ეფუძნებოდნენ ფსიქოლოგიასა და ლოგიკას, თუმცა არ სურდათ მეცნიერული თეორიის როლის შესრულება.

უზბეკი გამომგონებელი **ჰენრი ალტშულერი** (1926-1998) შეეცადა გაეგო რა აერთიანებთ ძლიერ და განსაცვიფრებელ გამოგონებებს?[404;405]

სწორედ მაშინ დაიბადა „იდეალური საბოლოო შედეგის“ ცნება. მეცნიერი მიხვდა, რომ ფსიქოლოგიური თავისებურებების გარდა, აზროვნების მეთოდებს ტექნიკის განვითარების კანონზომიერებათა შესწავლაც სჭირდებოდათ.

ალტშულერამდე გამომგონებლობა წინასწარჭვრეტის მსგავს მოვლენად მიაჩნდათ. თვლიდნენ, რომ ედისონად[406] უნდა დაიბადო. თუმცა, რეალურ ცხოვრებაში ტექნიკური პრობლემების უმრავლესობა წყდება არა გენიოსების მიერ, არამედ ასობით შესაძლებელი ვარიანტების გადარჩევის — გამოცდის, შეცდომების გამოსწორებისა და შემთხვევითი გაცისკროვნების გზით, რაც მეტად ხანგრძლივი პროცესია.

ალტშულერმა ეს მოძველებული სტერეოტიპი შეცვალა. მან მთავარ ამოცანად დაისახა — ყოველი სწავლული მეცნიერისა და ინჟინერისთვის შეექმნა ტექნიკური ამოცანების ეფექტური ამოხსნის მიგნების შესაძლებლობა. ამისთვის აუცილებელი იყო შემოქმედებითი პროცესი ისეთ პროცედურად გარდაექმნა, რომელიც დადგენილი წესების ზუსტად დაცვასა და სწორი ინსტრუმენტების გამოყენებას მოითხოვდა.

დასახული ამოცანის ამოსახნელად ალტშულერმა გაცემული პატენტების ბაზაზე ათასობით გამოგონება შეისწავლა და გამომგონებლობის ძირითადი კანონი აღმოაჩინა, რომლის შინაარსი ასეთია:

---

[404] **Альтшуллер Г. С.** и др. **(1989).** Поиск новых идей: от озарения к технологии (Теория и практика решения изобретательских задач). Кишинев. 632 с.

[405] **Альтшуллер Г.** С. **(2007).** Найти идею: Введение В ТРИЗ – Теорию решения изобразительских задач. М., Альпина Бинесс Букс, 400 с.

[406] **ტომას ედისონი** (1847-1931) — ამერიკელი მეწარმე და გამომგონებელი ელექტროფიკაციის სფეროსა და ფონოგრაფიაში. ნათურის გამომგონებელი.

საგამომგონებლო პროცესი მართვადია.

მეცნიერმა დაადგინა, რომ გამომგონებლობა მოითხოვს აზროვნების სწორ ორგანიზაციას, ფსიქოლოგიური ინერციების გადალახვას, იდეალური გადაწყვეტილებისაკენ სწრაფვასა და ნებისმიერ არასტანდარტულ ამოცანაში მოცემული წინააღმდეგობრიობის დაძლევას.

გამომგონებლური ამოცანების ამოსხნის თეორიული საფუძველია ტექნიკური სისტემების განვითარების კანონები. უპირველესად, ესაა დიალექტიკის კანონები.[407]

ტექნიკური სისტემის განვითარების მთავარი კანონია იდეალურობისკენ სწრაფვა: იდეალურია ისეთი ტექნიკური სისტემა, როცა სისტემა უხილავია, ხოლო მისი ფუნქცია სრულდება. ვთქვათ, ჩვეულებრივი გზით ვცდილობთ ტექნიკური სისტემის იდეალურობის ამაღლებას: ვაუმჯობესებთ ერთ მაჩვენებელს (მაგ., ვამცირებთ სატრანსპორტო საშუალების წონას) სხვა მაჩვენებლების გაუარესების ხარჯზე (მაგ., მცირდება გამძლეობა, სიმტკიცე).

თუ კონსტრუქტორის ამოცანაა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ოპტიმალური კომპრომისული გადაწყვეტილების მოძებნა, გამომგონებელმა უნდა დაამსხვრიოს კომპრომისი: გააუმჯობესოს ნაკეთობის ერთი მაჩვენებელი (პარამეტრი) და, იმავდროულად, არ გააუარესოს მეორე.

საგამომგონებლო ამოცანების ამოხსნის მეთოდი ტექნიკაში წარმოიშვა, რადგან ამ სფეროში საპატენტო ფონდი გაცილებით ძლიერია. მაგრამ, ტექნიკურის გარდა, არსებობს სხვა სისტემებიც: სამეცნიერო, სოციალური და ა.შ. მათი განვითარებაც მსგავს კანონზომიერებას ექვემდებარება. ამიტომ საგამომგონებლო ამოცანების ამოხსნის მექანიზმები ადამიანის საქმიანობის მრავალ სფეროში გამოიყენება, დაწყებული საინჟინრო პროექტებიდან მენეჯმენტით დამთავრებული.

სამყარო ძალიან დინამიურია: სისტემატურად წარმოიშობა ახალი თეორიები და იდეები და, იმავდროულად, მწყობრიდან გამოდის ძველი. ამ თვალსაზრისით, ალტშულერის თეორია ოდნავადაც არ მოძველებულა (პირიქით, კიდევ უფრო განვითარდა). იგი ისეთი ქმედითი ინსტრუმენტია, რომლის დახმარებით ყველაზე სერიოზული საგამომ-

---

[407] ბერძ. Διαλεκτική ვსაუბრობ, ვმსჯელობ, კამათის ხელოვნება; მეცნიერება ბუნების, ადამიანთა საზოგადოებისა და განვითარების ზოგადი კანონების შესახებ; ბუნებისა და საზოგადოების მარად მოძრავ და ცვალებად მოვლენათა შემეცნების მეცნიერული მეთოდი. დიალექტიკის კანონებია: 1. დაპირისპირებულთა ერთიანობისა და წინააღმდეგობის კანონი; 2. რაოდენობის თვისებრიობაში გადასვლის კანონი; 3. უარყოფის უარყოფის კანონი.

გონებლო ამოცანები დღესაც წარმატებით ამოიხსნება.

ალტშულერის თეორია არის არა მარტო კლასიკური თეორია, არამედ აზროვნების ახალი მეთოდი, პარადიგმა, ნებისმიერი პრობლემის გადაწყვეტის განსაკუთრებული მიდგომა.

გამომგონებლობის შესახებ მანამდე არსებობდა **ცდებისა და შეცდომების მეთოდი.** იგი ეფექტურია მარტივი ამოცანების ამოსახნელად. მაგრამ, როცა ასობით, ზოგჯერ, ათასობით ვარიანტია განსახილველი, იგი არ გამოდგება, რადგან დიდ დროსა და ხარჯს მოითხოვს.

ცდებისა და შეცდომების მეთოდით ვარიანტების გადარჩევის პრაქტიკა შეიძლება ჰაერბურთებს შევადაროთ: ისევე, როგორც ჰაერბურთებმა დედამიწიდან ცაში აფრენის შესაძლებლობა მოგვცეს, შემოქმედებითი პროცესის გააქტიურების ამ მეთოდებმა პირველად აჩვენეს ინტელექტუალური ოპერაციების ძალა შემოქმედებითი ამოცანების ამოხსნაში. მაგრამ, „საჰაერო ოკეანის“ დაუფლება შესაძლებელი გახდა პრინციპულად განსხვავებული საფრენი აპარატის – თვითმფრინავის გამოგონებით.

ზუსტად ასევე, „შემოქმედებითი სივრცის“ უკიდეგანო ათვისება პრინციპულად განსხვავებულ მეთოდებს მოითხოვდა.

საგამომგონებლო ამოცანების ამოხსნის თეორია რთული მეცნიერებაა, ცოდნის ახალი დარგია, რომელიც გვასწავლის ძველი წარმოდგენების შესახებ ფსიქოლოგიური ინერციების გადალახვას, დისციპლინათშორის მიდგომას, კომპრომისებზე უარის თქმას, იდეალური ვარიანტისკენ დაუოკებელ სწრაფვას.

ხშირად, მარტივი ამოცანების ამოსახნელად პროფესიული ცოდნა დიდ როლს ასრულებს, მაგრამ, რთული პრობლემის შემთხვევაში, მან შეიძლება შემოქმედებითი პროცესი შეაფერხოს. ეს იმიტომ ხდება, რომ გამომგონებელზე გავლენას ახდენს ობიექტის შესახებ არსებული პირველი წარმოდგენა, დილეტანტი კი, რომელიც არ იცნობს არსებულ შეზღუდვებს, ხშირად, მოულოდნელ გადაწყვეტილებას იღებს (ზოგჯერ ალოგიკურსაც), რაც შეიძლება აღმოჩენა გახდეს. ისტორია ისეთ შემთხვევებსაც იცნობს, როცა რაიმე პრობლემის გადასაწყვეტად მეცნიერთა მრავალი თაობა მუშაობდა, აღმოჩენა კი არაპროფესიონალმა გააკეთა.

გამომგონებლობას არა აქვს ხელოვნური საზღვრები, რომლითაც ადამიანი დაყოფდა რეალობას მეცნიერებად, ხოლო საქმიანობას–პროფესიებად. ეს თეორია ფართო აზროვნებას მოითხოვს. ცოცხალი იდეები ყველა სფეროსა და საქმიანობაში არსებობს, ეს იქნება მხატვრული ლიტერატურა, ლექსი, ფილმი თუ სხვა რამ.

ყოველი გამოგონება გარკვეული წინააღდეგობრიობის დაძლევაა. მაგ., ახალი საქონლის პროექტირებისას იგი შეიძლება იყოს წინააღმდეგობა საქონლის ხარისხსა და ღირებულებას შორის, საიმედოობასა და სირთულეს შორის და ა.შ.

ალტშულერის თეორია ყოველგვარ წინააღმდეგობას ტექნიკურ და ფიზიკურ ნაწილებად ჰყოფს. ტექნიკური წინააღმდეგობა წარმოიშობა მაშინ, როცა ცნობილი მეთოდებით სისტემის (საქონლის) ერთი ნაწილის (პარამეტრის) ცვლილებით მეორე იცვლება. მაგ., რაიმე დეტალის სიმტკიცის, გამძლეობის ამაღლებით, იზრდება მისი მასა, ან ხარისხის ამაღლებით, იზრდება ღირებულება და ა.შ.

ფიზიკურ წინააღმდეგობაზე მაშინ საუბრობენ, როცა სისტემის ერთი და იგივე ნაწილები ურთიერთსაწინააღმდეგო მოთხოვნებს აყენებენ. მაგ., დეტალი უნდა იყოს, რომ შეასრულოს თავისი ფუნქცია, და არ უნდა იყოს, რომ არ გადიდდეს საქონლის გაბარიტები, ან ობიექტი ერთდროულად უნდა იყოს ცხელი და ცივი. ამ დროს კონფლიქტი უკიდურესად მწვავდება და, ერთი შეხედვით, გადაუწყვეტელი სიტუაცია წარმოიშობა.

ტრადიციული მიდგომით გამოიყენება კომპრომისი, როცა შეგნებულად ერთ პარამეტრს მეორის სასარგებლოდ ვთმობთ.

მიუხედავად იმისა, რომ მრავალ შემთხვევაში კომპრომისი მისაღებია, მას წინააღმდეგობრიობის დაძლევა არ შეუძლია.

ალტშულერის თეორია საგამომგონებლო აზროვნებას საწინააღმდეგო მიმართულებით წარმართავს. უცილებელია არა კომპრომისისკენ სწრაფვა, არამედ, პირიქით, წინააღმდეგობრიობის შეგნებულად გამძაფრება. ამ თეორიამ აჩვენა, რომ ამოცანის პირობების გარკვეულ ეტაპამდე გართულება მისი ეფექტური ამოხსნის ხელშემწყობი ხდება. ამით შეცნობილად ავიცილებთ სუსტ, კომპრომისულ გადაწყვეტილებას, ჩიხურ გზას და თანდათან ისეთ გადაწყვეტილებას მივაგნებთ, რომელიც ადრე შეუძლებელი გვეგონა.

ალტშულერი თვლიდა, რომ ტექნიკა მსგავსი წინააღმდეგობების აღმოცენებითა და მათი გადაწყვეტის გზით ვითარდება. იგი ამტკიცებდა, რომ საუკეთესო საგამომგონებლო ამოცანის ამოხსნა არსებულ წინააღმდეგობას „კლავს“. ასეთი გადაწყვეტილებების მოძიების შესამსუბუქებლად მან შეკრიბა და გაანალიზა ხშირად შემხვედრი წინააღმდეგობების ტიპური გადაწყვეტილებები და დაადგინა 40-მდე ხერხი, რომელთა გამოყენებით 1500-ზე მეტი ტიპური წინააღმდეგობრიობა დაძლევადია.

ალტშულერის თეორია მეთოდოლოგიურ ინსტრუმენტად იყენებს

ცნებას — „იდეალური საბოლოო შედეგი“. ამ ცნების ერთ-ერთ ფორმულირებაში გამოყენებულია ტერმინი „თვითონ“: „მოქმედება სრულდება საკუთარი ინიციატივით“. მაგ., ექიმისთვის როგორი პაციენტია იდეალური? რომელიც საკუთარ თავს მკურნალობს. სწორედ ამ გზით გამოიგონეს ბაქტერიოციდული ლეიკოსალბუნი.

მაგალითი:

XX საუკუნის 20-ან წლებში ფირმა „ჯონსონი & ჯონსონი“ ფართო პროფილის სამედიცინო საქონელს აწარმოებდა. ამ ფირმის ბამბის მომწოდებელი კომპანიის ხელმძღვანელის ერლ დიქსონის ახალგაზრდა მეუღლე ჟოზეფინა საოჯახო საქმეში ძალიან გამოუცდელი იყო: ხშირად ხელს იწვავდა ან დანით ისერავდა. თავდაპირველად, მეუღლის დაზიანებულ ხელს ქმარი უვლიდა, მაგრამ ისიც სამსახურებრივი საქმიანობით ძალიან დაკავებული იყო და ქალაქიდან გასვლა ხშირად უწევდა. ერლმა გადახვევის პროცესის სრულყოფა განიზრახა: სამზარეულოს მაგიდაზე 3 დიუმის (1 დიუმი = 2,56 სმ) სიგრძის ქირურგიული ლენტა მწებვარე ზედაპირით ზევით დაამაგრა და მასზე მარლის ნაჭერი დააწება. სახვევი რომ არ დასვრილიყო და წებო არ გამხმარიყო, ლენტა ქსოვილის თხელი ფენით დაფარა. მისი ჩანაფიქრის აზრი ასეთი იყო: სახლში არყოფნის შემთხვევაში, მის მეუღლეს გამზადებული სახვევი ჰქონოდა. დიქსონის გამოგონილი მეთოდი გაიგო კომპანიის პრეზიდენტმა ჯეიმს ჯონსონმა, მასში დიდი მომავალი დაინახა და „ჯონსონი & ჯონსონი“ გახდა პირველი ფირმა, რომელმაც ბაქტერიოციდული ლეიკოსალბუნის წარმოება მასობრივად დაიწყო.[408]

ალტშულერმა დაადგინა საგამომგონებლო ამოცანების ამოხსნის ძირითადი პრინციპები:

1) **სისტემის ობიექტური განვითარების აუცილებლობა** — სისტემის აგებულება, ფუნქციონირება და თაობათა ცვლა ობიექტურ (ადამიანის ნებისგან მიუკერძოებელ) კანონებს ემორჩილება. ამგვარად, სწორია ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც შეესაბამება ობიექტურ კანონებს, კანონზომიერებებს, მოვლენებსა და ფაქტებს;

2) **წინააღმდეგობრიობის დაძლევა** — წინააღმდეგობები გარე და შიდა ფაქტორების ზემოქმედებით წარმოიშობა, მწვავდება და წყდება. ამ გზით სისტემა ვითარდება. შესაბამისად, სწორია ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც არსებულ წინააღმდეგობრიობას დაძლევს;

---

[408] **Мамокова Е. М. (2010).** Методы активации мышления: применение ТРИЗ в маркетинге. М., С. 327-328.

3) **იდეალურობისკენ სწრაფვა** — ამოცანების ამოსახნელად ვცდილობთ მივიღოთ იდეალური შედეგი: მინიმალური ძალისხმევით — მაქსიმალური რეზულტატი. ამგვარად, სწორია (იდეალურთან მიახლოებულია) ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც სისტემაში არსებულ შიდა რესურსებს იყენებს.

იდეალური საბოლოო შედეგისკენ სწრაფვა ნებისმიერი სისტემის განვითარების უნივერსალური კანონია. ბიზნესში მისი გამოყენება ისევე წარმატებით შეიძლება, როგორც ტექნიკაში.

მაგალითი:

ღვეზელის მწარმოებელ ფირმას მომწოდებელმა ფირმამ ფქვილის ფასი გაუზარდა. რენტაბელობის არსებული დონის შესანარჩუნებლად აუცილებელი იყო ღვეზელის ფასის გადიდება. წარმოიშვა წინააღმდეგობა: თუ ღვეზელის სარეალიზაციო ფასი გაიზრდება, კარგია — შენარჩუნდება ბიზნესის რენტაბელობის დონე, მაგრამ ცუდია, რადგან შემცირდება მოსახლეობის მოთხოვნა.

ჩვეულებრივ, ასეთ სიტუაციაში როგორ იქცევიან?

უფრო დაბალ ფასში ყიდულობენ შედარებით დაბალი ხარისხის ფქვილს, რაც პრო-დუქციის ხარისხს ამცირებს. ამ შემთხვევაში, ხარისხის გაუარესება წარმოშობს ახალ წინააღმდეგობრიობას — მცირდება მოთხოვნა.

საგამომგონებლო ამოცანის ამოხსნის ერთ-ერთი მიდგომაა მონოსისტემიდან ბისისტემაზე გადასვლა. მოცემული მაგალითის შემთხვევაში ეს ნიშნავს ერთი სახეობის ნაცვლად, ორი სახეობის ღვეზელის წარმოებას. აქედან, ერთი იქნება ზომით პატარა და ფასით დაბალი, ხოლო მეორე — ზომით დიდი და ფასით მაღალი.

ამასთან, ღვეზელის ფასი მისი ზომის პროპორციულად კი არ უნდა შეიცვალოს, არამედ ისე, რომ წინანდელი რენტაბელობის დონე შენარჩუნდეს ან გაიზარდოს. ერთის ნაცვლად, ორი სახეობის ღვეზელის შეთავაზება დამატებით სამომხმარებლო თვისებას ავლენს — შესაძლებლობას იძლევა უკეთ გავიგოთ მომხმარებელთა მოთხოვნა. პროდუქციის ასორტიმენტის გადიდების ასეთი მიდგომა მრავალ სიტუაციაში გამოიყენება.

მეცნიერები კრეატიულობას არა ინტუიციურ, არამედ რაციონალურ მოვლენად განიხილავენ. აუცილებელია საკვლევი ობიექტის შემადგენელ ნაწილებად (ფიზიკურად ან წარმოსახვით) დაყოფა. შემდეგ ამ კომპონენტების შეფასება კრიტერიუმით: „სასარგებლოა – საზიანოა“. საბოლოო ამოცანაა იდეალური შედეგი. შეფასების მინიმალურ

კრიტერიუმად ისეთი მდგომარეობა ითვლება, როცა საკვლევი ობიექტიდან, თუნდაც ერთი, ნეგატიური კომპონენტი გამოირიცხება და, სულ მცირე, ერთი პოზიტიური კომპონენტი დაემატება.

ტექნიკური სისტემები ვითარდებიან კანონზომიერად, რომელთა შეცნობა შეიძლება. შესაძლებელია მათი გამოყენება ძველის სრულყოფისა და ახლის შესაქმნელად, რისთვისაც საჭიროა საგამომგონებლო ამოცანების გადაწყვეტის პროცესი ტექნიკური სისტემების განვითარების ზუსტ მეცნიერებად გადავაქციოთ. სწორედ აქ გადის ზღვარი ვარიანტების გადარჩევის გააქტიურების მეთოდებსა და საგამომგონებლო ამოცანების ამოხსნის თანამედროვე თეორიას შორის.[409]

მაგალითი:

იუველირულმა ფირმამ დაამზადა ადამიანის ხელის ბეჭედი, რომლის გამჭვირვალე მწვანე ქვა ინდივიდის განწყობის მიხედვით ფერს იცვლიდა: როცა მისი მფლობელი აღელდებოდა, ქვა იისფერდებოდა, შიშსა და მრისხანებაზე კი, — შავდებოდა.

საიდუმლო მარტივია: გამჭვირვალე ქვის ქვედა ფენაში განათავსეს ისეთი კრისტალური ნივთიერება, რომელიც ტემპერატურის ცვლილებაზე ფერს იცვლის. ადამიანის თითის ტემპერატურა 31-დან 33℃-მდე მერყეობს, რაც თხევადი კრისტალების მგრძნობიარობისთვის საკმარისია.

მოხდა საოცრება: თვენახევარში 35 მილიონი ბეჭედი გაიყიდა.

მაშასადამე, ჩვეულებრივი ბეჭედი, პლუს გროში ღირებულების მქონე მგრძნობიარე ნივთიერება, პლუს მცირედი ფანტაზია და შედეგად ახალი იუველირული ნაწარმი, რომელმაც ფირმას სენსაციური წარმატება მოუტანა.

ამოცანა:

ავსტრიის მუზეუმმა საფრანგეთში ცნობილი მხატვრის სურათის ყიდვა გადაწყვიტა. ნახატის ნამდვილობა კვალიფიციურმა ექსპერტებმა დაადასტურეს. მათივე თანდასწრებით ნოტარიუსმა სურათის მეორე მხარეზე ბეჭედი დასვა, რითაც მისი ნამდვილობა დაამტკიცა. სურათი არსებული წესების სრული დაცვით ავსტრიის მუზეუმს მიეწოდა, სადაც გამეორებითი ექსპერტიზა ჩატარდა: სურათი ყალბი აღმოჩნდა. როგორ მოხდა ეს?

---

[409] **Альтшуллер Г.** С. **(2007).** Найти идею: Введение В ТРИЗ – Теорию решения изобразиельских задач. М., Альпина Бинесс Букс. 400 с.

მიაქციეთ ყურადღება: ფრანგმა ექსპერტებმა სურათის ნამდვილობა სწორად დაადგინეს, რაც ნოტარიუსმა მათივე თანდასწრებით დაამტკიცა. ნოტარიუსის ბეჭედიც ნამდვილი იყო. მაშ, როგორ აღმოჩნდა სურათი ყალბი?

ამ დეტექტური ისტორიის შეცნობა მარტივია: ცნობილმა მხატვარმა უმბერტო ლომბარდიმ „გამოიგონა“ ფანდი, სახელწოდებით „ორმაგი ტილო“. ჩარჩოში იყო ორი სურათი: ზემოდან – ნამდვილი, მის ქვეშ – ასლი. ექსპერტებმა შეამოწმეს ნამდვილი, ხოლო ნოტარიუსმა ბეჭედი დასვა ასლის მეორე მხარეს.

მაგალითი:

რობინზონის პრობლემა

ალტშულერის თეორიას კარგად ხსნის ინგლისელი მწერლის დანიელ დეფოს ცნობილი გმირის, რობინზონის მაგალითი.

როგორც აღინიშნა, საგამომგონებლო ამოცანების ამოხსნის თეორიის პირველი მოთხოვნაა წარმოშობილი ამოცანის მიზეზებში გარკვევა.

განვიხილოთ რობინზონის სიტუაცია.

გემის დაღუპვის გამო რობინზონი დაუსახლებელ კუნძულზე აღმოჩნდა. ინგლისში დასაბრუნებლად მან უნდა გადალახოს წყლის დაბრკოლება — ოკეანე. თეორიულად სამი ვარიანტია — ჰაერით, წყლის ზედაპირით და წყლის ქვეშ. აქ პრობლემა არ არის: ერთადერთი ვარიანტია წყლის გადაცურვა. რომ გადაცუროს ოკეანე და არ დაიხრჩოს და არც შიმშილისგან მოკვდეს, საჭიროა საიმედო, დიდი (!) ნავი. ხაზს ვუსვამთ, რომ საიმედოობას უზრუნველყოფს მხოლოდ დიდი ნავი. ასეთი ნავი ერთი დიდი ხისგან შეიძლება გამოითალოს — აქაც პრობლემა არ არის. პრობლემა ნავის წყალში ჩაშვების დროს წარმოიშობა, რადგან ნავი საკმაოდ მძიმეა (დაახლოებით, 4 ტონა) და წყლამდე მანძილი გრძელი (დაახლოებით, 130 მეტრი). იმავდროულად, ვლინდება არასასურველი ვითარება — დიდი ნავის ზღვამდე გადაადგილება შეუძლებელია. პატარა ნავი კი, არასაიმედოა. ვღებულობთ, რომ ერთი არასასურველი სიტუაციის დაძლევით იქმნება ახალი!

ასე აღმოცენდება მიზეზშედეგობრივი კავშირი.

თუ ნავი დიდია, იგი საიმედოა, მაგრამ მძიმეა. *და პირიქით:*

თუ ნავი პატარაა, იგი მსუბუქია, მაგრამ არასაიმედოა.

აღნიშნულიდან ირკვევა, რომ ნავი უნდა იყოს დიდი (ანუ საიმედო, თავისი ძირითადი ფუნქციის შესასრულებლად) და პატარა (გადასაად-

გილებლად შესაძლებელი). წინააღმდეგობრიობა აშკარაა: ნავი ერთდროულად უნდა იყოს დიდი და პატარა!!! მაგრამ ეს წინააღმდეგობრიობა დროის სხვადასხვა პერიოდს ეკუთვნის: ნავი უნდა იყოს დიდი — ცურვისას და უნდა იყოს პატარა — მიწის ზედაპირზე გადათრევისას. რობინზონისთვის მთავარია ცურვისას იყოს ნავი დიდი. მაშასადამე, იგი უნდა იყოს „როგორც პატარა“, ანუ გადათრევისას მოითხოვდეს შედარებით მცირე ძალას.

ახლა გავარკვიოთ, რატომაა ნავის გადათრევა ძნელი. ხშირად პასუხობენ, რომ ნავი მძიმეა — 4 ტონა. მაგრამ საქმე წონაში კი არა, მიზიდვის იმ ძალაშია, რომელიც ნავის ძირსა და მიწის ზედაპირს შორის წარმოიშობა. აქ სწაფადვე აღმოცენდება ახალი იდეა: თუ ნავს კი არ გადავათრევთ, არამედ მორებზე გადავაგორებთ, მაშინ მცირე ძალა დაგვჭირდება.

სხვა სიტყვებით, ნავის გადათრევის ხახუნი უნდა შევცვალოთ გადაგორების ხახუნით. ამისთვის ნავი უნდა შევსვათ საგორებლებზე, ანუ ავწიოთ. მაგრამ მისი აწევა ისეთივე რთულია, როგორც გადათრევა. თუმცა, ნავი უნდა გადავათრიოთ დიდ მანძილზე, ხოლო ავწიოთ მხოლოდ ერთხელ.

გარდა ამისა, ნავის აწევით და საგორებლებზე დასმით, მისი გადაადგილების პრობლემა გადაწყდება.

ამიტომ დგას ახალი ამოცანა — ავწიოთ ნავი, თავისი ახალი პრობლემით — ამწევი ძალის უქონლობის პირობებში, როგორ შეიძლება ავწიოთ იგი?

თუმცა, ჩვენ არ გვაინტერესებს ამწევი ძალის არც ძრავა, არც კაბინა და არც ისარი. საინტერესოა მხოლოდ მისი ძირითადი ფუნქცია — ამწევი ძალის შექმნის შესაძლებლობა. აი ამწევი ძალის სწორედ ეს ფუნქცია დავტოვოთ, ხოლო დანარჩენი, სისტემა რომ არ გავართულოთ, მოვაცილოთ. კუნძულზე აღმოჩნდება არარსებული ამწე — მხოლოდ მისი ძირითადი ფუნქციით. იდეალური ამწე — ის არ არსებობს, ხოლო მისი ფუნქცია სრულდება.

სისტემა, რომელიც არ არსებობს, ხოლო ფუნქცია სრულდება, საგამომგონებლო ამოცანების ამოხსნის თეორიით იდეალურ სისტემად მიიჩნევა.

„იდეალური სისტემის“ ცნება რობინზონის პრობლემის გადასაწყვეტად გამოვიყენოთ. თუ ამწე არ არის, ხოლო მისი ფუნქცია — ამწევი ძალის შექმნა — უნდა შესრულდეს, მაშინ ასეთი ძალა, მხოლოდ თვით სისტემის შიგნით უნდა ვეძებოთ.

ერთადერთი ძალა, რომელიც სისტემის შიგნით არსებობს, ესაა ნა-

ვის წონა, რომელიც მიმართულია ქვევით და ნავს მიწისკენ იზიდავს. და სწორედ ეს ძალა უნდა დავძლიოთ. ვღებულობთ ახალ, მოულოდნელ ამოცანას!

ნავი ავწიოთ ქვევით მიმართული ძალის დახმარებით.

არსებობს კი ისეთი მექანიზმები, რომლებიც ასე მუშაობენ?

არსებობს, ესაა ჩვეულებრივი ბერკეტი, ყველასთვის ცნობილი ვარიანტი — ***საბავშვო საქანელა (აიწონა-დაიწონა)****.*

მეორე მექანიზმია ბლოკი: ტროსით ჩავქაჩავთ ქვევით, ტვირთი აიწევს ზევით. ჩვენ შემთხვევაში სიტუაცია იმით რთულდება, რომ ნავი თვითონ უნდა აიწიოს, ანუ ერთდროულად გამოვიდეს ორ როლში: ობიექტის როლში (რომელიც უნდა აიწიოს) და ამწევი ძალის როლში (რომელმაც უნდა ასწიოს).

შეიძლება ორივე ვარიანტი (ბერკეტი და ბლოკი) გამოვიყენოთ, თუ ნავს წარმოსახვით ორ ნაწილად დავყობთ, მაგ., კიჩო (ძალის ხარისხში) და ცხვირი (ობიექტის ხარისხში). მაგრამ ნავის ცხვირი რომ აიწიოს, კიჩო უნდა დაიწიოს, რასაც ხელს უშლის მიწა.

ახალი ამოცანა, თუმცა შედარებით მარტივი — კიჩოს ქვევით მიწის გამოთხრა. მიწა ბევრი რომ არ ვთხაროთ, ნავის სიმძიმის ცენტრი კიჩოსკენ გადავიტანოთ, რისთვისაც გამოთხრილი მიწის გრუნტი კიჩოზე დავყაროთ. როცა კიჩო მიწაში ჩაეშვება, ცხვირი აიწევს და საგორებლებსაც დავაყენებთ, შემდეგ გადმოვყრით გრუნტს და ნავი საგორებლებზე დაეშვება. ახლა შესაძლებელია ნავის გაგორება.

როგორც ვხედავთ, საგამომგონებლო ამოცანების ამოხსნის მეთოდი მოითხოვს პრობლემური სიტუაციის ანალიზს და სისტემის ძირითადი ფუნქციის განსაზღვრას.

რობინზონის პრობლემისთვის, უპირველესად, ესაა საიმედოობა, ამიტომ დისკუსია „რატომ დიდი ნავი“, სწრაფადვე უქმდება.

პრობლემის წარმოშობის მიზეზი — სისტემის გარეთ შესაბამისი ძალის არარსებობა.

„ანალოგიის გამოყენებით“ იბადება იდეალური იდეა: ნავი თვითონ უნდა აიწიოს. განიხილება მრავალი ვარიანტი: ბერკეტები, საჰაერო ბუშტები, წვიმის წყალი, არხები, ზღვის მიქცევა-მოქცევა და ა.შ.

რჩება მხოლოდ ერთადერთი, ყველაზე ძლიერი და რეალური.

ალტშულერის თეორია მაღალი ეფექტურობით გამოიყენება ფირმების საქმიანობაში ისეთი ამოცანების ამოხსნისას, როგორიცაა ბიზესის იდეების შეფასება, განვითარების სტრატეგიისა და ტაქტიკის განსაზღვრა, მარკეტინგული კვლევა, მოლაპარაკების წარმართვა, ბიზნესის სტიმულირება, კონკურენტული ურთიერთობა და ა.შ.

მაგალითი:

საგამომგონებლო ამოცანების ამოხსნის თეორიის გამოყენება „ბოსტონის მატრიცასთან“[410] ერთად.

მატრიცა საშუალებას იძლევა მივიღოთ გადაწყვეტილება იმ პროდუქტის პერსპექტიულობის შესახებ, რომელსაც ფირმა სთავაზობს ბაზარს. ამისთვის საჭიროა პროდუქტის ასორტიმენტის პორტფელისა და პერსპექტივების ანალიზი. მოცემული მეთოდი ბიზნესის სტრატეგიული განვითარების დაგეგმვაში ფართოდ ცნობილია.

განვითარების ტემპი	*მაღალი, 10%-ზე მეტი*	***„რთული ბავშვები“***	***„ვარსკვლავი“***
	დაბალი, 10%-ზე ნაკლები	***„ძაღლები“***	***„მეწველი ძროხები“***
		დაბალი, 1%-ზე ნაკლები	*მაღალი, 1%-ზე მეტი*
		ბაზრის წილი	

„რთული ბავშვები“ *— ბაზრის წილის გასადიდებლად საჭიროა დიდი კაპიტალური დაბანდებები;*

„ვარსკვლავი“ *— პროდუქტმა შეიძლება საკმარისი ფინანსები მოიტანოს, თუმცა, ფინანსური სირთულეებიც წარმოიშვას;*

„მეწველი ძროხები“ *— პროდუქტი იძლევა დიდ შემოსავალს, მაგრამ, მოკლევადიან პერსპექტივაში;*

„ძაღლები“ *— პროდუქტი მეტ ყურადღებასა და მზრუნველობას მოითხოვს.*

ამ მატრიცის ხარვეზია ის, რომ საანალიზოდ მხოლოდ ორი პარაეტრი (განვითარების ტემპი და ბაზრის წილი) გამოიყენება. მას არა აქვს საქონლის ხარისხობრივი ცვლილების მექანიზმი ან მისი წინ წაწევის სტრატეგიები.

მეთოდის ეფექტურობა გაიზრდება თუ მას გამომგონებლური ამოცანების გადაწყვეტის თეორიასთან ერთად გამოვიყენებთ.

მატრიცის ყოველი პოზიციისთვის დამახასიათებელია საკუთარი წინააღმდეგობრიობა, რომელიც კავშირშია ან დაკავებული პოზიციის შენარჩუნებასთან, ან სხვა პოზიციაზე აუცილებელ გადასვლასთან.

---

[410] ინგლ. BCG (Boston Consult Group). მათემატიკური მატრიცა, დამუშავებული „ბოსტონის საკონსულტაციო ჯგუფის“ (აშშ) მიერ. გამოიყენება ბიზნესის სტრატეგიების ანალიზისთვის.

საილუსტრაციოდ განვიხილოთ შედარებით რთული სეგმენტი „ძაღლები“ (განვითარების ტემპი და ბაზრის წილი — დაბალი).

ვთქვათ, ახლად შექმნილი ლიზინგური კომპანია ახორციელებს მოწყობილობებისა და ავტომობილების მომსახურებას მცირე ბიზნესისთვის. კომპანიის ფინანსური რესურსები სტაბილური ფუნქციონირებისთვის არასაკმარისია. ბაზარზე კონკურენცია მაღალია – უკვე არსებობს ისეთი ლიზინგური კომპანიები, რომლებიც ბანკებთან ერთად ფუნქციონირებენ და მათთვის იაფი საბანკო კრედიტების მიღება იოლია. კომპანიას საფრთხე შეექმნა – არ ჰყოფნის საბრუნავი საშუალებები და მცირეა შემოსავლებიც. ამიტომ უნდა შეაჩეროს საქმიანობა, რაც ტიპური პრობლემაა მატრიცის მოცემული სეგმენტისთვის.

წარმოიშვა წინააღმდეგობრიობა: ერთი მხრივ, აუცილებელია საწესდებო კაპიტალში დამატებითი ინვესტიციების მიზიდვა, მაგალითად, დამფუძნებლის რანგში რომელიმე ბანკის ან საფინანსო კომპანიის შეყვანა. მეორე მხრივ, ეს არასასურველია, რადგან მან შეიძლება სერიოზული გართულება წარმოშვას – ახალი დამფუძნებ-ლის შემოყვანით კომპანიის მოქმედმა მფლობელებმა მართვის კონტ-როლი და მოგების ნაწილი დაკარგონ.

მეორე პრობლემა კავშირშია თვით კომპანიის მომსახურების თავისუფლებასთან. ბანკები, როგორც წესი, მათთან მომუშავე კომპანიებისგან ანგარიშის გახსნას მოითხოვენ, რაც ხშირად აფრთხობს განსაკუთრებით მცირე ბიზნესის წარმომადგენლებს.

ვითარდება წინააღმდეგობრიობა: ლიზინგურ კომპანიას საბრუნავი საშუალებების გასაზრდელად სჭირდება დამატებითი ინვესტიციები და, იმავდროულად, არასასურველია ახალი ინვესტორის მიზიდვა, რომ არ გახდეს მასზე დამოკიდებული.

იდეალურ ვარიანტში ლიზინგური მომსახურება უნდა იყოს ისეთი, რომ კომპანიის ფინანსური რესურსები გაიზარდოს, ხოლო ინვესტორის მოზიდვა არ იყოს საჭირო.

ამგვარად, ჩამოყალიბდა ახალი იდეა, გაკეთდეს კომპანიის ძირითადი მომსახურება მიკროლიზინგი ანუ შედარებით იაფი მოწყობილობის ლიზინგი. ასეთი გარიგებები ბანკებთან მომუშავე ლიზინგური კომპანიებისთვის არაა სარგებლიანი – ისინი ცდილობენ მსხვილი, ძვირადღირებული გარიგებების გაფორმებას. მიკროლიზინგზე გადასვლა საბრუნავი საშუალებების ბრუნვადობას გაზრდის და გარიგების რენტაბელობას აამაღლებს. ახალი საბაზრო სტრატეგიით კომპანია ბოსტონის მატრიცის შემდეგ სეგმენტზე — „რთული ბავშვები“ — გადაინაცვლებს.

მოცემული მაგალითი გვიჩვენებს, რომ ბოსტონის მატრიცის მეთოდი, ანალიზის სხვა მეთოდების მსგავსად, საგამომგონებლო ამოცანების ამოხსნის თეორიასთან ერთად, კომპანიის განვითარებაში წარმოშობილი პრობლემების არა მარტო ფორმულირების, არამედ განვითარების ხარისხობრივად და ეფექტური სტრატეგიების შემუშავების შესაძლებლობას იძლევა.

საგამომგონებლო ამოცანების ამოხსნის თეორიას აქტიურად იყენებენ ისეთი ცნობილი ბრენდები, როგორიცაა ფორდი, ჯენერალ მოტორზი, სამსუნგი, კოდაკი, ქსეროქსი და სხვები.

მაშასადამე, ტრადიციული (რუტინული) აზროვნების შემთხვევაში ვეძებთ კომპრომისს, საგამომგონებლო აზროვნებისას კი, ვავლენთ პრობლემის სიღრმეში არსებულ წინააღმდეგობებს, ვაღრმავებთ და ვამწვავებთ მათ, განვსაზღვრავთ გამომწვევ პირველმიზეზებს, ვწყვეტთ წინააღმდეგობებს და უდანაკარგოდ ვიღებთ სასურველ შედეგს.

15. მეთოდი „დელფო“

უკანასკნელი ორი ათეული წელია მსოფლიოში ფორსაიტპროექტების[411] გააქტიურება შეიმჩნევა. მათი მიზანი ერთია — გლობალური ინოვაციური განვითარების მოსალოდნელი მომავლის განსაზღვრა, სასურველი მიმართულებით მისი კორექტირება და გრძელვადიან პერსპექტივაში შესაბამისი სტრატეგიის შემუშავება.

დღეს ფორსაიტკვლევები არა მარტო სახელმწიფო, არამედ კორპორაციული ინოვაციური პოლიტიკის განსაზღვრის განუყოფელი ნაწილია. მათი შედეგების გამოყენება საშუალებას იძლევა არსებული ინტელექტუალურ-ტექნიკური, ფინანსური და სხვა რესურსები სამომავლოდ იმ მიმართულებით წარიმართოს, რომლებიც პერსპექტივაში მაღალკონკურენტულ სტრატეგიულ განვითარებას უზრუნველყოფს.

ფორსაიტპროექტები, როგორც გრძელვადიანი პროგნოზირების პროგრესული ტექნოლოგია, მრავალ ქვეყანაში განსხვავებული მეთოდოლოგიით ტარდება. თუმცა, არსებობს ზოგადი მიდგომებიც — საზოგადოებრივი ძალების ჩართულობა გრძელვადიანი პროგნოზების შედარებასა და განხილვაში, განვითარების სტრატეგიაში, მომავლის კომპლექსურ ხედვაში და მისი მიღწევის გზების შეთანხმებაში.

ფორსაითპროექტებს წარმატებით ამუშავებენ არა მარტო განვითარებული, არამედ განვითარებადი ქვეყნებიც. მაგ., ამ სფეროში მდიდარი გამოცდილება დააგროვეს იაპონელებმა, ბრიტანელებმა, გერმანელებმა. კერძოდ, იაპონიაში (სადაც ფორსაითპროექტები ყოველ ხუთ წელიწადში ტარდება) ამჟამად მეათე კვლევას ატარებენ. დიდ ბრიტანეთში (რომელიც ფორსაითსფეროში ერთ-ერთი მსოფლიო ლიდერია) უკვე სამი ციკლი ჩატარდა. აქედან, პირველმა ყურადღება გაამახვილა მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სფეროს პერსპექტიული განვითარების შეფასებაზე, მეორემ — მოსახლეობის დაბერებაზე, ხოლო მესამემ — კიბერდანაშაულზე და ინფექციურ დაავადებებზე. ამ ქვეყანაში საკმაოდ განვითარებულია საგანმანათლებლო ფორსაითიც.

ფორსაითკვლევები რეგულარულად ტარდება ჩინეთში, კორეის რესპუბლიკაში, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, ლათინური ამერიკის ქვეყნებში. ასეთი პროექტები მსოფლიოში ათასობით მუშავდება.

ცნობილია ძალიან წარმატებული საერთაშორისო ფორსაითპროექტებიც. მაგ., მდინარე დუნაის ფორსაითპროექტი. იმ ქვეყნების მკვლევარებმა, რომელთა ტერიტორიებზეც იგი მიედინება, ეკოლოგიური პრობლემების სამომავლოდ გადაწყვეტის გზები ერთობლივად შეიმუშავეს. წარმატებული აღმოჩნდა კვიპროსის, მალტასა და ესტონეთის, როგორც მცირე ქვეყნების ერთობლივი ფორსაითპროექტიც. არსებული მნიშვნელოვანი განსხვავებების მიუხედავად, მათ გააჩნიათ მსგავსი პრობლემები, რომელთა გადასაწყვეტად ერთობლივი მიდგომები შეიმუშავეს და სხვა მრავალი.

ფორსაითპროექტები აქტიურად გამოიყენება არა მარტო სახელმწიფოს დონეზე, არამედ ბიზნესის სფეროშიც. მაგ., საავტომობილო კომპანია დაიმლერში ექსპერტები მომავლის პროგნოზზე მუშაობენ. ახალი ავტომობილის პროექტის შესადგენად ითვალისწინებენ არა მარტო საქონლის ტექნიკურ გადაწყვეტას ან დიზაინს, არამედ მომავალში ადამიანის ცხოვრების სტილსა და თავისებურებებს. ექსპერტები ცდილობენ განსაზღვრონ თუ როგორი იქნება ცხოვრების სტილი 10-15 წლის შემდეგ და რომელი მიმართულებით განვითარდება მათი მოთხოვნები. ამით ისინი მომავალი მომხმარებლების ზოგად პორტრეტს ქმნიან. ასეთი კვლევა საშუალებას იძლევა უფრო ზუსტად განისაზღვროს თუ როგორი სტილის, დიზაინისა და ტექნიკური პარამეტრების ავტომობილს მიენიჭება უპირატესობა მომავალში და რა ძირი-

[411] ინგლ. foresight — მომავლის ხედვა, წინასწარხედვა. არსებობს საპირისპირო, უკუფორსაითი ანუ ჰინდსაითი (ინგლ. indsight) — წარსულის ხედვა, რეტროსპექტრული ხედვა.

თადი ფუნქციების მატარებელი იქნება იგი.

ბოლო ორ ათეულ წელში ცალკეული ქვეყნებისა და მსხვილი კომპანიების მიერ ათასამდე ფორსაითპროექტი დამუშავდა.

მიუხედავად იმისა, რომ ფორსაითსა და პროგნოზირების მეთოდებს შორის გარკვეული მსგავსება შეიმჩნევა, მათ შორის კონცეპტუალური განსხვავება მაინც არსებობს. პროგნოზი რაიმე მოვლენის განვითარებისა და შედეგების წინასწარი განჭვრეტის ვარიანტია, რომელიც მეცნიერული კვლევის შედეგად არსებული ტენდენციების გათვალისწინებით მიიღება.

ცხრილი 4.5. ფორსაითისა და პროგნოზირების შედარებითი ანალიზი

ორიენტირი, პრინციპი	**ფორსაითი**	**პროგნოზირება**
მიზანი	სასურველი მომავლის მიღწევა	სასურველი მომავლის განჭვრეტა
ჩართულობა	ფართო საზოგადოება	მეცნიერ-ექსპერტები
კომუნიკაცია	აუცილებელია კონსენსუსის მისაღწევად	არაა პრინციპული ფაქტორი
კვლევის ჰორიზონტი	ჩვეულებრივ, 15-20 წელი, ზოგჯერ გაცილებით მეტი	დამოკიდებულია მონაცემების დინამიურ მწკრივზე. საშუალოდ უფრო მცირე, ვიდრე ფორსაითის შემთხვევაში
კოორდინაცია	განვითარება ფასდება სოციალურ-ეკონომიკურ ცვლილებებთან უწყვეტ კავშირში	ძირითადად, ფოკუსი კეთდება საგნობრივ სფეროზე
კონსენსუსი	აუცილებელია	არაა აუცილებელი
ექსპერტიზა	სჭარბობს ექსპერტული მეთოდები	სჭარბობს რაოდენობრივი მეთოდები
ალტერნატიულობა	განიხილება სხვა ვარიანტები	განიხილება საბაზო ვარიანტი
სისტემურობა	პროგნოზი მოიცავს არა მარტო საგნობრივ სფეროს, არამედ გარე ფაქტორებსაც	პროგნოზი კეთდება კონკრეტულ სფეროში

ფორსაითი, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით, არაა გამიზნული სავარაუდო მომავლის შეცნობისაკენ. იგი სასურველი მომავალის ფორმირების მიზნით კეთდება. თუ პროგნოზი პასუხობს კითხვაზე „როგორი იქნება მომავალი?“, მეორისთვის არსებითია, თუ „როგორი გვინდა იყოს მომავალი“ (იხილეთ ცხრილი 4.5).

თუ პროგნოზი მოლოდინის პასიურ რეჟიმში გვამყოფებს, ფორსაითპროექტი მის შესრულებაზე აქტიურ მონიტორინგს გვაიძულებს, რომ ხელმისაწვდომი ინოვაციური რესურსები სასურველი და დასახული სამეცნიერო-ტექნიკური (ტექნოლოგიური) ამოცანების შესასრულებლად წარვმართოდ.

გარდა ამისა, ფორსაითპროექტები სხვადასხვა დონეზე (რეგიონი, დარგი, საწარმო) ხორციელდება, რითაც ინოვაციური სტრატეგიები მუშავდება და კონკურეტუნარიანობა ძლიერდება.

ფორსაითპროექტებში გამოიყენება „დელფოს“[412] მეთოდი, რაც „ექსპერტული შეფასების“ მეთოდების ერთ-ერთი გავრცელებული და შედარებით პოპულარული ვარიანტია.[413]

დელფოს მეთოდი რაიმე პრობლემური საკითხის შესახებ სპეციალისტების ფართო წრის მიერ ექსპერტული შეფასებების საფუძველზე ტარდება და მმართველობითი გადაწყვეტილების საუკეთესო ვარიანტის ასარჩევად გამოიყენება. იგი ითვალისწინებს ექსპერტული შეფასებების ორგანიზაციასა და შედეგების მათემატიკურ დამუშავებას.

დელფოს მეთოდი 1950-ან წლებში აშშ-ის კორპორაცია RAN-ში სამხედრო პრობლემების კვლევისთვის დაამუშავეს (ავტორები: **ო.**

---

412 იგივე „დელფოს ორაკულის“ მეთოდი. „დელფო“ — ძვ. ბერძნული დასახლება პარნასის მთის ძირას (ძვ. წ. VIII ს.), მსხვილი რელიგიური ცენტრი, სინათლის, მეცნიერების, ხელოვნებისა და წინასწარმეტყველების ღმერთის, აპოლონის სახელგანთქმული ტაძრითა და სამისნოთი. დელფოს ორაკულის (წინასწარმეტყველების) ქურუმი (კულტურის მსახური, ღმერთებსა და ადამიანებს შორის შუამავალი), მისანი ქალი პითია, რიგით მცხოვრებლებსა და მმარ-თველი პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლებს, მათ თხოვნაზე ღვთაება აპოლონის ნება-სურვილს ამცნობდა ამა თუ იმ პრობლემის გადაწყვეტის შესახებ; გადატანითი მნიშვნელობით ორაკულს უწოდებდნენ ისეთ ადამიანს, რომლის მსჯელობაც უკანასკნელი ინსტანციის ჭეშმარიტებად მიიღება.

413 ხშირად, „დელფოს“ მეთოდს „გონებრივი შეტევის“ ერთ-ერთ მეთოდად თვლიან. თუმცა, „გონებრივი შეტევის“ მეთოდისთვის დამახასიათებელია იდეების კოლექტიური გენერაცია, ანუ სპეციალისტების მიერ, გარკვეული წესების დაცვითა და თანამიმდევრობით, რაიმე გადაწყვეტილების (ან პრობლემის შეფასების) კოლექტიურად მიღება. „დელფოს“ მეთოდის შემთხვევაში კი, ექსპერტები თავიანთ შეფასებებს დამოუკიდებლად იღებენ, რომელთა განზოგადება ანალიტიკური ჯგუფის მიერ ხდება.

ჰოლმერი, თ. გორდონი და სხვები). პირველად, ამ მეთოდის მიზანი იყო ომის წარმართვის მეთოდზე სამომავლო სამეცნიერო დამუშავებათა გავლენის პროგნოზირება. დღეს კი იგი, მრავალ სფეროში, მათ შორის, ბიზნესის მართვაში გამოიყენება.

დელფოს მეთოდის მიზანია საკვლევ პროფილში აღიარებული მეცნიერებისა და საზოგადოების ფართო წრის წარმომადგენლების (ზოგადად, ექსპერტების) მიუკერძოებელი შეხედულებების მრავალჯერადი ურთიერთგაცვლისა და შეფასებების კონსენსუსის მიღწევით, პერსპექტიული განვითარების უზრუნველსაყოფად, საუკეთესო ვარიანტის მმართველობითი გადაწყვეტილების მიგნება.

დელფოს მეთოდის საბაზო მიდგომად მიიჩნევენ იმ გარემოებას, რომ მეცნიერები და საზოგადოების ფართო წრის წარმომადგენლები (ხშირად, ერთმანეთისთვის სრულიად უცნობები) უფრო უკეთესად აფასებენ არსებული სიტუაციის სირთულეს და ობიექტურად ვარაუდობენ მოსალოდნელ შედეგებს (აკეთებენ გრძელვადიან პროგნოზებს), ვიდრე პიროვნებების სტრუქტურიზებული ჯგუფები (კოლექტივი). ამით თავიდან იცილებენ განსხვავებული პოზიციების მქონეთა დაპირისპირებას, გამოკითხულთა ერთმანეთთან უშუალო კონტაქტს, მათ ჯგუფურ გავლენას, ავტორიტეტის ან უმრავლესობის დიქტატს.

დელფოს მეთოდის თავისებურებებია: პროცესის მრავალსაფეხურიანობა, ექსპერტების ანონიმურობა და საკვლევი საკითხის დაუსწრებლად შეფასება.

დელფოს მეთოდის მონაწილე სუბიექტებია:

ა) ექსპერტები და საზოგადოების წარმომადგენლები, რომლებიც დასმულ კითხვებს წერილობით ინდივიდუალურად პასუხობენ;

ბ) საორგანიზაციო-ანალიტიკური ჯგუფი, რომელიც ადგენს გამოკითხვის ანკეტას, უზრუნველყოფს გამომკითხველებს აუცილებელი ინფორმაციით, ამუშავებს და აჯამებს მათგან მიღებულ მასალებს და აყალიბებს მმართველობითი გადაწყვეტილების პროექტებს.

დელფოს მეთოდი 5 ეტაპად ტარდება:

I ეტაპი — საორგანიზაციო-ანალიტიკური ჯგუფის ფორმირება (ოპტიმალურია 5-7 კაცი). ჯგუფის ამოცანაა ექსპერტული გამოკითხვის ორგანიზაცია;

II ეტაპი — ექსპერტებისა და საზოგადოების ფართო წრის წარმომადგენლების შერჩევა;

III ეტაპი — შეკითხვების კვალიფიციურად ფორმულირება:

- არსებული პრობლემის განსაზღვრა-დასაბუთება და მასზე მოქმედი ფაქტორების დადგენა;

• გამოკითხვის ანკეტის პირველი ვარიანტის შემუშავება.

IV ეტაპი — ექსპერტიზის მომზადება:

• ექსპერტიზის მიზნების განსაზღვრა;

• ექსპერტიზის ჩატარების პროცედურების შერჩევა;

• ექსპერტებისთვის კითხვარის გაგზავნა და მისი სრულყოფის (დამატება, გამოკლება, დახვეწა) შეთავაზება. მათგან მიღებული პასუხების საფუძველზე საერთო კითხვარის შედგენა და ექსპერტებისთვის გამეორებით გაგზავნა;

• ექსპერტების მიერ საერთო კითხვარის შეფასება და თავიანთი მოსაზრებების კვლავ საორგანიზაციო-ანალიტიკური ჯგუფისთვის დაბრუნება;

• ამ ჯგუფის მიერ ექსპერტებიდან მიღებული ვარიანტების ერთმანეთთან შეჯერება, კითხვარის საბოლოო ვარიანტის შემუშავება (შეუთანხმებლობის შემთხვევაში, ეს პროცედურა კონსენსუსის მიღწევამდე მეორდება) და ექსპერტებისთვის კვლავ გაგზავნა;

• ექსპერტების მიერ კითხვარის საბოლოო ვარიანტის დადასტურება.

V ეტაპი — გამოკითხვის ტურების ჩატარება და შედეგების შეჯამება:

• გამოკითხვის I ტურის ჩატარება. პრობლემის გადაწყვეტის ეფექტურობისა და შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფის ასპექტების გათვალისწინებით, ექსპერტების მიერ მიცემულ კითხვებზე დასაბუთებული პასუხების გაცემა. ანალიტიკური ჯგუფის მიერ მიღებული სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავება და ექსპერტებისთვის გამოკითხვის საერთო შედეგების გაცნობა;

• ექსპერტების მიერ პირველი მოსაზრებების კრიტიკულად გააზრება, არგუმენტირებულად კორექტირება ან ადრინდელ შეხედულებაზე დარჩენა (ამ შეთხვევაში საჭიროა კონტრარგუმენტები). ამასთან, აუცილებელია ექსპერტების ანონიმურობის მკაცრად დაცვა და გამოკითხვის II ტურის ჩატარება (თუ საჭიროა III ტურის);

• ანალიტიკური ჯგუფის მიერ ექსპერტებიდან მიღებული შეფასებების მათემატიკურ-სტატისტიკური მეთოდებით დამუშავება, დასკვნების განზოგადება და რეკომენდაციების შედგენა.

დელფოს მეთოდის გამოყენებისას გასათვალიწინებელია:

1. ექსპერტების ჯგუფი — სტაბილური და მათი შემადგენლობა გონივრული (თუმცა, რაც მეტი, მით უკეთესი. შესასწავლი საკითხის სირთულისა და რეზონულობის გათვალისწინებით, მათი რაოდენობა შეიძლება ასობით იყოს);

2. გამოკითხვის ტურებს შორის 1 თვის ინტერვალი;

3. ანკეტის კითხვები — საკვანძო საკითხები კარგად მოფიქრებული, ლაკონურად და მკაფიოდ ფორმულირებული;

4. გამოკითხვის ტურები — საკმარისი (მინიმუმ, 2 მაინც), რომ ექსპერტებმა პრობლემის მიზეზების გაცნობა და მათი კრიტიკული შეფასება უზრუნველყონ.

დელფოს მეთოდს აქვს დადებითი (+) და უარყოფითი (-) მხარეები:

+ კოლექტიური ცოდნა საუკეთესო გადაწყვეტილების მისაგნებად უფრო ეფექტურია, მაგრამ, ხშირად, შემფასებელთა აზრების გაცვლისას, კოლეგის ავტორიტეტის გავლენა საკმაოდ ძლიერია და პასუხებიც უფრო მეტად ტრივიალური (სიახლეს, ორიგინალურობას მოკლებული);

+ დელფოს მეთოდი ამ დიალექტიკურ წინააღმდეგობას აგვარებს, რადგან ექსპერტების ერთობლივი ზეპირი დისკუსიები იცვლება ინდივიდუალური, ანონიმური და წერილობითი გამოკითხვებით, ხოლო მიღებული შედეგები მათემატიკურ-სტატისტიკური მეთოდებით მუშავდება. განზოგადებული პასუხები ყოველ ექსპერტს ჩვეულებრივი ან ელექტრონული ფოსტით გადაეცემა. აუცილებლობის შემთხვევაში, ექსპერტს თავისი წინანდელი აზრის დაზუსტებაც შეუძლია;

+ მოცემული მეთოდი ეფექტურია მხოლოდ გრძელვადიან პერსპექტივაში, სტრატეგიული დაგეგმვის დროს;

— გამოკითხვის ჩასატარებლად საჭიროა დიდი დრო და შრომატევადი ორგანიზაციული მომზადება;

— საორგანიზაციო-ანალიტიკური ჯგუფის დიდი უფლებები და მის წინაშე ექსპერტების დაუცველობა;

— პრობლემის ოპერატიულად გადაწყვეტის შეუძლებლობა;

— პრობლემურ საკითხზე დამოუკიდებელი ექსპერტების შერჩევის სირთულე და ამგვარი კვლევების ჩატარების იშვიათობა;

— ექსპერტების სწრაფვა კომფორმიზმისაკენ (სხვისი შეხედულებების გათვალისწინებით გადაწყვეტილების შეცვლა), მათი მცდელობა მოხვდნენ უმრავლესობაში;

— ექსპერტების მიერ თავიანთი მოსაზრებების (არგუმენტების) წერილობითი ფორმით ნათლად, ლაკონურად და სრულყოფილად გადმოცემის სირთულე;

— ექსპერტების სუბიექტური შეფასებების მაღალი, ხოლო მოტივაციის დაბალი ხარისხი;

— ექსპერტების შეფასებების არასაყოველთაო ხასიათი და სხვ.

ექსპერტების შეხედულებებიდან ნაერთი დასკვნების მისაღებად, აუცილებელია მათი შეფასებების რაოდენობრივ პარამეტრებში (ქულები, ბალები, პროცენტები) წარმოდგენა.

აღნიშნულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ დელფოს მეთოდს აქვს მრავალი უპირატესობა იმ მეთოდებთან შედარებით, რომლებიც ინდივიდუალური გამოკითხვების შედეგების სტატისტიკური მეთოდებით მუშავდება. გარდა ამისა, დელფოს მეთოდი საშუალებას იძლევა მშვიდ გარემოში ანონიმურად მივიღოთ კვალიფიციური შეფასებები, რითაც თავიდან ავიცილებთ პიროვნულ დაპირისპირებებსა და მასთან დაკავშირებულ მრავალ უსიამოვნებას.

16. მეთოდი „ინვერსია“

არცთუ იშვიათად, ჩაფიქრებული აზრის სხვისთვის გადაცემა ინვერსიული[414] მეთოდით საკმაოდ ეფექტურია.

ამ მეთოდს ხშირად მიმართავენ დიპლომატიაში, ბიზნესში, პოეზიაში, ფსიქოლოგიაში, მხატვრობაში და სხვაგან.

მრავალ შემთხვევაში ადამიანის პირდაპირი ქცევა, წესიერების თვალსაზრისით, საძრახისი ხდება, ხოლო ყოველი ინვერსია ამაღლებულის რანგში გვევლინება. თუმცა, მისი გამოყენება დიდ სიფრთხილეს, ტაქტსა და მახვილგონიერებას მოითხოვს.

უმეტესად, ინვერსია სასიამოვნოა. იგი შებრუნებული აზრის ინტრიგაა. ამასთან, საშუალებას იძლევა უფრო ღრმად და დარწმუნებით მივიპყროთ სხვათა ყურადღება.

ინვერსიული მეთოდი მაშინ გამოიყენება, როცა ტრადიციული აზროვნება ჩიხში ექცევა. მისი არსია საპირისპირო მიმართულებით გადაწყვეტილების მიღება.

აი ინვერსიული ქცევის რამდენიმე მაგალითი.

მაგალითი:

მარკ ტვენმა მეგობარს ფული ასესხა, რომელიც შეჰპირდა „თუ ცოცხალი დარჩებოდა“ ვალს ერთ თვეში დაუბრუნებდა.

---

[414] ლათ. inversio — გადაბრუნება, გადაადგილება, საპირისპირო. ითვლება, რომ ადამიანის ტვინი უკეთესად მაშინ მუშაობს, როცა ამოცანა დასმულია პირდაპირ და მის შინაარსში უარყოფითი მომენტები არ ფიგურირებს. ამიტომ, ნაცვლად კითხვისა „როგორ შეიძლება თავიდან ავიცილოთ ნაკეთობის გაფუჭება?“ უმჯობესია ვიპოვოთ პასუხი ასეთ კითხვაზე: „როგორ შეიძლება ნაკეთობის გაფუჭება?“ ამგვარად, საკვლევ ობიექტს მეორე მხრიდან უნდა შევხედოთ და პრობლემის გადაწყვეტა ვეძებოთ.

გავიდა ერთი თვე. ვალი არ გასტუმრებულა. მარკ ტვენმა გაზეთში ასეთი შინაარსის განცხადება გამოაქვეყნა: „ყველა ჩემს მეგობარს ღრმა მწუხარებით ვაუწყებ ჩემი მეგობრის გარი დუნკანის გარდაცალებას. მან ჩემგან 500 დოლარი ისესხა და ერთ თვეში მის დაბრუნებას შემპირდა, თუ ამ პერიოდში არ მოკვდებოდა. იმის გამო, რომ იგი ყოველთვის თავისი სიტყვის ერთგული იყო, უეჭველია, არა უგვიანეს, გუშინდლამდე მოკვდა. ღმერთმა აცხონოს". „გარდაცვლილი" სასწრაფოდ აღსდგა და მარკ ტვენმა თავისი ფული დაიბრუნა.

მაგალითი:

სპარსელებთან გადამწყვეტი ბრძოლების წინ მტრის ბანაკისკენ მიმავალი ალექსანდრე მაკედონელი გზაზე ბერძნულ ქალაქ ლამპსაკს მიადგა, რომელიც მემნონს ემორჩილებოდა და მის ერთგულებას არ ღალატობდა. ალექსანდრემ ლამპსაკს ბარბაროსთაგან გათავისუფლება გამოუცხადა, მაგრამ მათ მაკედონელი გამათავისუფლებლად არ იწამეს და არც კარიბჭეთა გასაღები მიართვეს.

ალექსანდრე მუქარაზე გადავიდა: თუ კარს ნებით არ გამიღებთ, ძალით შემოვალ და ქალაქს ისე დავანგრევ, შეწყალების სათხოვნელად არავის მივიღებო. ლამპსაკელებმა ისევ არ შეისმინეს და ალექსანდრეს მართლაც ძალით მოუხდა ქალაქის აღება. კიდევაც უნდა დაენგრია განრისხებულს, დაფიცებულიც ჰქონდა – არც დამარცხებულთა ელჩობა მიეღო პატიების სათხოვნელად და შესარიგებლად. მაგრამ ელჩობას ერთ-ერთი სახელოვანი ფილოსოფოსი გამოუძღვა, რომელსაც ალექსანდრე დიდ პატივს სცემდა. ადვილად მისახვედრი იყო — ლამპსაკელებს იგი შუამავლად იმიტომ აერჩიათ, რომ გამძვინვარებული მეფე სწავლულის თხოვნას უარს ვერ ეტყოდა და ქალაქის დანგრევაზე ხელს აიღებდა. ეს იაზრა ალექსანდრემ და სანამ ფილოსოფოსი ენას დასძრავდა, შორიდანვე მიაძახა:

„ვფიცავ ოლიმპოს ყველა ღმერთს, რაც უნდა მთხოვო არ შეგისრულებო"! ფილოსოფოსიც თითქოს ამას ელოდა და შემოაგება: „მე გთხოვ, დაანგრიო ქალაქიო"... და ალექსანდრემ, რაკი წამის წინ ნათქვამი ფიცი „ვერ გასტეხა", ველარც „თხოვნა" შეასრულა და ლამპსაკიც დანგრევას გადარჩა. [415]

.

[415] **სანიკიძე ლ.** (1985). ალექსანდრე მაკედონელი, თბ., გვ. 73-74.

მაგალითი:

მწერალ ჯეიმს გვონტის პირველი წიგნი არ იყიდებოდა. მან გაზეთში ასეთი განცხადება გააკეთა: „ახალგაზრდა ლამაზ მილიონერს სურს გაიცნოს ისეთი გოგონა, რომელიც ჰგავს ჯეიმს გვონტის წიგნის მთავარ გმირს.“ მთელი ტირაჟი მომდევნო დღეს გაიყიდა.

მაგალითი:

იოლი გამდიდრების მიზნით, ერთი კაცი ცალთვალების ქალაქში გაემგზავრა. იმედოვნებდა — ვინმე ცალთვალას დაიჭერდა და მეორე თვალის ჩვენებისთვის ფულს გადაახდევინებდა. მან მართლაც იპოვა ასეთი ქალაქი, მაგრამ თვითონ გახდა ცალთვალებიანთა შემოსავლის წყარო — დაიჭირეს და მის ჩვენებაში სხვებს ახდევინებდნენ ფულს.

17. ბიუზენის მეთოდი „ინტელექტ-ბარათები“

ინგლისელი ფსიქოლოგის **ტონი ბიუზენის**[416] მიერ 1970-ან წლებში დამუშავებული „ინტელექტ-ბარათების“[417] მეთოდი ადამიანის მახსოვრობის განვითარებას ემსახურება.

ასეთი ბარათის შედგენის საფუძველია ადამიანის ტვინის ბუნებრივი მიდრეკილება — იაზროვნოს „ცენრიდან პერიფერიისკენ“, ანუ ასოციაციურად,[418] შეძლოს ნიმუშების ვიზუალიზაცია, მოვლენა აღიქვას მთლიანობაში (გეშტალტი[419]).

ტვინის ამ ფუნქციას რადიანტული[420] აზროვნება ეწოდება. ამ დროს ყურადღების ცენტრში მყოფი რაღაც ობიექტი (მოვლენა) მრავალი ასოციაციის გაჩენის იმპულსს იძლევა. თავის მხრივ, ეს უკანასკნელი კი, სხვა ასოცირებული პროცესის ცენტრი ხდება.

---

[416] „ბატონი მეხსიერება“ ტიტულისა და ყველაზე მაღალი ინტელექტუალური კოეფიციენტის (IQ) მფლობელი.

[417] იგივე: „მენტალური ბარათები“ (მენტალიზმი, ლათ. mens, mentis — ჭკუა, გონება, აზროვნება; მენტალური — აზრთან, აზროვნებასთან დაკავშირებული), „მახსოვრობის ბარათები“, „გონიერების ბარათები“ და ა.შ.

[418] ლათ. associo — შეერთება, ურთიერთკავშირი; ფსიქოლოგიასა და ფილოსოფიაში: ისეთი კავშირი წარმოდგენათა შორის, როდესაც ერთი წარმოდგენა იწვევს მეორეს მსგავსების, კონტრასტის ან მეზობლობის მიხედვით.

[419] გერ. Gestalt — ფიგურა, მთლიანობა.

[420] რადიანტი (ლათ. radians, radiantis გამომსხივარი) — ცის სფეროს წერტილი, მოჩვენებითი წყარო მეტეორებისა, რომლებიც ჩანან დედამიწის შეხვედრისას მეტეორული სხეულების გუნდთან, როდესაც ეს სხეულები მოძრაობენ საერთო ორბიტაზე მზის ირგვლივ.

ინტელექტ-ბარათი არის ქაღალდზე ან ელექტრონულ მატარებელ-ზე რადიანტული აზროვნების პროცესის გრაფიკული ასახვა.

ინტელექტ-ბარათის შედგენის მიზანია აზროვნების ვიზუალიზა-ცია და ალტერნატიული ჩანაწერის შექმნა.

ასეთი ბარათები საქმიანობის მრავალ სფეროში გამოიყენება: პრე-ზენტაცია, ინფორმაციის დაკონსპექტება, სამუშაო დღის (თვის, წლის) ან რაიმე საქმიანობის დაგეგმვა, სწავლა (სწავლება), გადაწყ-ვეტილების მიღება, „გონებრივი შეტევა“ და ა.შ.

მიუხედავად იმისა, რომ ინტელექტ-ბარათი ბრტყელ ზედაპირზე იგება, მაგ., ქაღალდზე, იგი რეალობას სამ განზომილებაში (სივრცე, დრო და ფერი) ასახავს.

ადამიანის თავის ტვინი, რომელსაც „ბიოლოგიურ კომპიუტერს“ უწოდებენ, მარცხენა და მარჯვენა დიდი ნახევარსფეროებისგან (ჰე-მისფეროებისაგან) შედგება. თითოეულის ფუნქციები სპეციალი-ზებულია: მარჯვენა ჰემისფერო (ლოგიკურ-რაციონალური) „განა-გებს“ ადამიანის ემოციურ მხარეს, მუსიკალურ და მხატვრულ შემოქ-მედებას, ხატოვან აზროვნებას, ინიციატივას, ინტუიციას, სივრცობ-რივ ორიენტაციას, ჰემისფეროთა შორის ურთიერთქმედებას, ხოლო მარცხენა (კრეატიული) — მეტყველებას, წერისა და კითხვის უნარს, ლოგიკურ, ანალიტიკურ, აბსტრაქტულ აზროვნებას, ინფორმაციის თანამიმდევრულ გადამუშავებას, ვარიანტების განხილვას.

საყურადღებოა ისიც, რომ მარჯვენა დიდი ჰემისფერო აკონტრო-ლებს ადამიანის სხეულის მარცხენა მხარეს, ხოლო მარცხენა — მარჯ-ვენა მხარეს.

ირკვევა, რომ ის ადამიანი, რომლის მარჯვენა დიდი ჰემისფერო აქტიურია, უფრო კრეატიულია, მგრძნობიარეა, წარმოსახვის უნარყ-ანია, ხელოვნებისა და პოეზიის მოყვარულია, ხოლო მარცხენა დიდი ჰომისფეროს შემთხვევაში — მეცნიერია, ანალიტიკოსია, სტრატე-გოსია, პრაქტიკულია, რეალისტი და ლოგიკურად მოაზროვნეა.

მაშასადამე, ინტელექტ-ბარათის მეშვეობით აზროვნება დასუ-რათდება, ინფორმაციული ნაკადი იმართება და სტრუქტურირდება. ამით ადამიანი ავლენს ფარულ პოტენციალს და ინფორმაციის დავიწ-ყებისა და დაკარგვისგან თავისუფლდება.

კლასიკური ჩანაწერების წარმოებაზე „პასუხს აგებს“ ტვინის მარცხენა ჰემისფერო. ამ დროს მარჯვენა ისვენებს. რადგან ინტე-ლექტ-ბარათი აერთიანებს გამოსახულებას, ფერსა და სიმბოლოებს, შეიძლება ვისაუბროთ აზროვნების „მთლიან“ მეთოდზე. ამ დროს ადა-მიანის ტვინის ორივე ჰემისფეროს რესურსები გამოიყენება, რადგან

აზროვნების დასურათება საშუალებას იძლევა:

- გავაერთიანოთ ინფორმაცია;
- ავსახოთ მოვლენათა შორის ურთიერთკავშირი;
- მოვახდინოთ აზროვნების ვიზუალიზაცია.

აზროვნების დასურათების მეთოდი მისაღებია ყველა ადამიანისთვის — აუდიალის, ვიზუალის, კინესთეტიკისა და სხვებისთვისაც.

ამ მეთოდს უძველესი დროიდან მიმართავდნენ. ისეთი დიდი მოაზროვნე, როგორიც იყო ლეონარდო და ვინჩი, თავის ჩანაწერებს ფანტაზიისა და ასოციაციის ფორმით აკეთებდა და ამისთვის ნახატებს, ფიგურებს, კოდებსა და შემაერთებელ ხაზებს იყენებდა.

გრაფიკული ნიშნები (პიქტოგრამები[421] და ლოგოგრამები[422]) მრავალ სფეროში დღესაც აქტიურად გამოიყენება და მათ გარეშე შეუძლებელია ჩვენი ყოფაცხოვრება (წარმოვიდგინოთ საგზაო ნიშნების გარეშე ავტოტრანსპორტის მოძრაობა რა შეფერხებებს გამოიწვევდა).

თითოეულ ინტელექტ-ბარათს თავისი უნიკალური გარეგნობა და მახასიათებლები აქვს, რის გამოც სხვა ბარათებთან შედარებით ადვილად დამახსოვრებადია. ინტელექტ-ბარათი რამდენიმე სახისაა:

- **სტანდარტული ბარათები** (standard maps) — კლასიკური ბარათები ცოდნის ათვისების, იდეების ჩაწერისა და საკუთარი ინდივიდუალობის გახსნისთვის.
- **ჩქაროსნული ბარათები** ანუ **ელვა-ბარათები** (speed maps) — აზრობრივი პროცესის მასტიმულირებელი ბარათები (მაგ., „რა ვიცი ამ თემის შესახებ“? „რას ვიტყვი თათბირზე“? და ა.შ.).
- **მასტერ-ბარათები** (master maps) — დიდი მოცულობის ინფორმაციის ბარათები ცოდნის სფეროში.
- **მეგაბარათები** (mega maps) — ერთმანეთთან დაკავშირებული ბარათები. ცენტრალური ბარათი შედარებით მცირე რაოდენობის დონეებით დაკავშირებულია მომდევნო ბარათებთან, რომლებშიც მოცემულია დეტალები ან დამატებითი ასპექტები.

ინტელექტ-ბარათის შედგენის ტექნოლოგია ასეთია:

ვიყენებთ მინიმუმ სამ ფერს (სასურველია ცენტრში ლურჯი, პერიფერიისკენ — წითელი, მწვანე...) და რაც შეიძლება მეტი უნიკალური

---

[421] ლათ. pictus დახატული, ბერძ. grapho ვწერ. ნახატების საშუალებით საგნების, მოვლენების, მოქმედების გადმოცემა.

[422] ბერძ. logos სიტყვა, grapho ვწერ. სიტყვებით მოქმედების ან თვისების გადმოცემა. მაგ., „საშიშია“, „ფრთხილად“, „სდექ“, „სველი“ და სხვ.

გამოსახულებით (ნახატი, სურათი, სიმბოლო) აზრის (კავშირის) ფიქსაცია. ზოგადად, გამოსახულება ძალზე მრავლისმეტყველია. იგი ასოცირების გაცილებით მეტ თავისუფალ სივრცეს იძლევა. მისით აისახება ადამიანის განწყობა, მოსალოდნელი სიტუაცია, წინააღმდეგობები, მხარდაჭერები და ა.შ. და ა.შ., ხდება აზრების ფოკუსირება;

გამოსახულება უნდა იყოს:

ა) ფერადი — ფერი ადამიანის თავის ტვინის მარჯვენა ჰემისფეროში მისდამი აქტიურობას (ყურადღება, დამოკიდებულება და ა.შ) ასტიმულირებს;

ბ) სხვადასხვა ზომის — ცენტრში დიდი, პერიფერიისკენ შემცირებადი;

გ) ორიგინალური, მხიარული — ადვილად დამახსოვრებადი და სასიამოვნოდ აღქმადი.

➢ ვიღებთ ფურცელს (ზომა 4/3) ჰორიზონტალურ მდგომარეობაში და მის ცენტრში მხიარული გამოსახულებით (ნახატით) ვაფიქსირებთ რაიმე ამოცანას (პრობლემას);

➢ გამოსახულების ცენტრიდან ვიზუალური რიტმისა და მრავალფეროვნებისთვის ვაკეთებთ ხისმაგვარ რამდენიმე (მინიმუმ 3-4) მოხრილ განტოტვას და ასოცირებით მათზე გადავიტანთ მოცემული ამოცანის (პრობლემის) მნიშვნელოვანი მომენტების შინაარსის მქონე საკვანძო სიტყვებს (არსებით სახელში ან ზმნაში);

➢ საკვანძო სიტყვებიდან, როგორც ცენტრებიდან, ვაკეთებთ ახალ ასოცირებას და მეორე დონის მოხრილ განტოტვას და ა.შ.

ინტელექტ-ბარათი ტვინს აზრების მრავალხელიან და აქტიურ „მებადურად“ აქცევს, რაც საშუალებას იძლევა ადრე გაფანტული ნებისმიერი აზრი „დავიჭიროთ“ და დავაფიქსიროთ.

ინტელექტ-ბარათი ადამიანის სულისა და მეხსიერების ბარათია. მართალია კითხვა ინფორმაციის აღქმის საიმედო ხერხია, მაგრამ ადამიანის მეხსიერებაში წაკითხულის მხოლოდ 10% რჩება, ნანახის — 30%, მონათხრობის — 70%. საუკეთესო შედეგი დამოუკიდებელი დამუშავებით მიიღწევა. და იმის გამო, რომ თითოეული ადამიანი თავის ინტელექტ-ბარათს თვითონ ადგენს, მისი მახსოვრობაც უმჯობესდება. ამიტომაც უწოდა ტონი ბიუზენმა ინტელექტ-ბარათს „გონების ყვავილობა“, რომელიც გამუდმებით იზრდება და იფურჩქნება.[423]

[423] **Мюллер Хорст. (2007).** Составление ментальных карт: метод генерации и структурирования идей. Пер. с нем. М.: «Омега-Л», 126 с.

ნაწ. V. მერმისის ნათელი და პირქუში გამოწვევები

სამყარო მუდმივად იცვლება, უკანასკნელ ათწლეულში კი, — განსაკუთრებით სწრაფად, ვიდრე ოდესმე.

როგორი იქნება მერმისი გრძელვადიან პერსპექტივაში ან, თუნდაც, უახლოეს ათწლეულებში? პასუხი ზუსტად არავინ იცის, თუმცა, ერთი რამ ცხადზე ცხადია, — მრავალი სიურპრიზი გველის.

იგი საინტერესოა ყოველი ჩვენგანისთვის, განსაკუთრებით კი მისთვის, ვინც ცდილობს ჩასწვდეს მოვლენათა სიღრმეს, ასევე ვისთვისაც სულ ერთი არ არის ჩვენი პლანეტის ხალხთა მერმისი.

ყველას გვინახავს პატარა მობუდარი, მერცხლის მდევარი, ძალიან სწრაფი (დაახლოებით, 200 კმ/სთ სიჩქარით), მკვირცხლი ჩიტი ნამგალა. აქვს გრძელი, ნამგლისფერი ფრთები და მანევრული ფრენის უნარი. თითქმის მთელ სიცოცხლეს ფრენაში ატარებს, ფრენის დროს იკვებება, სვამს და ჯვარდება კიდეც. აქვს პატარა და სუსტი ფეხები, რომლებითაც ვერ დადის. მას ბუნებამ თვითონ უკარნახა: **გამუდმებით უნდა იმოძრაო, თუ გინდა გადარჩე.**[424]

ამიტომაც უნდა მივსდიოთ ნამგალას ცხოვრების წესს, ყველგან და ყველაფერში დავნერგოთ ინოვაცია, ვეცადოთ არ შევჩერდეთ მიღწეულით, ვიმოძრაოთ მხოლოდ წინ, ვიფიქროთ მომავალზე, ვიყოთ ოპტიმისტები და ვიმოქმედოთ კეთილგონიერად.

მერმისი აუცილებლად დადგება, — და მხოლოდ ჩვენზეა დამოკიდებული რამდენად მოვასწრებთ სათანადოდ მომზადებას.

ამერიკელი ფანტასტი მწერლის **უილიამ გიბსონის** აზრით, მერმისი უკვე დადგა, ოღონდ, არათანაბრად არის განაწილებული.

დედამიწის მოსახლეობას მილიარდისთვის რომ მიეღწია (დაახლოებით, XIX საუკუნის დასაწყისში) 250 ათასი წელი დასჭირდა, ხოლო 6-დან 7 მილიარდამდე ზრდას, — ერთ ათწლეულზე ცოტა მეტი. აღნიშნული ნათლად ადასტურებს იმ მასშტაბურ მეგაცვლილებებს, რაც დღევანდელ სამყაროში უსწრაფესად ხდება.

თანამედროვე მსოფლიოში მკაფიოდ ვლინდება ახალი ტრენდები: ტექნოლოგიების ექსპონენციალური განვითარება, ინფორმაციის სიჭარბე, სოციალური ქსელების აქტიურობა, უმუშევრობის ზრდა, კლი-

---

[424] შდრ.: — **მარტინ ლუთერ კინგი**: „თუ არ შეგიძლია ფრენა, მაშინ ირბინე, თუ არ შეგიძლია სირბილი, მაშინ იარე, თუ არ შეგიძლია სიარული, მაშინ იხოხე, მაგრამ, რასაც არ უნდა აკეთებდე ყოველთვის უნდა მოძრაობდე წინ“.

მატური ცვლილებები, დეფიციტურ რესურსებთან (უპირველესად, წყალთან) დაკავშირებული რეგიონული კონფლიქტები, მოსახლეობის გამოკვების სირთულეები, გლობალური ეკონომიკის გრავიტაციული ცენტრის აზიის მხარეს გადახრის აშკარა ნიშნები, ჩინეთის რენესანსი, ბიზნესის წარმართვის აღმოსავლური მოდელის ტოტალური უპირატესობა და სხვ. თუმცა, ეს უკანასკნელი არ ნიშნავს, ინგლისურის ნაცვლად, მანდარინის[425] დიალექტის საყოველთაო დამკვიდრებას.

ყოველივე უდიდეს ზემოქმედებას მოახდენს ადამიანთა მომავალ ცხოვრებაზე, ბიზნესსტრატეგიებზე, სახელმწიფოთა სოციალურ-ეკონომიკურ პოლიტიკაზე და, მთლიანად, მსოფლიოს განვითარებაზე.

მომავალს ოპტიმიზმით უნდა შევხედოთ. ამ პრობლემებისა და სირთულეების დაძლევაში დაგვეხმარება თვით ახალი ტექნოლოგიები, კრეატიული ადამიანების დაუცხრომელი შემართება, კეთილგონიერება და მიზანმიმართული მოქმედება.

რა მიზანს ისახავს წინამდებარე წიგნის მოცემული ნაკვეთი?

უპირველესად, შევეცადოთ დავინახოთ და გავაცნობიეროთ სამყაროში მიმდინარე მოვლენები. ასეთი მიზანი ვინმეს შეიძლება აბსურდული, ზედმეტად ამბიციური მოეჩვენოს, რადგან მსოფლიო ისტორიას მრავლად ახსოვს განუხორციელებელი პროგნოზები.

შეგვიძლია კი მომავლის წარმოდგენა? მაშინ, როცა ხვალინდელი დღის ამინდის ზუსტი პროგნოზი არ ძალგვიძს? აღარაფერს ვამბობთ იმ მოვლენებზე, რომლებიც ათწლეულების შემდეგ მოხდება. იმ დროისთვის სამყარო ხომ „შავი გედების“[426] სხვა რეალობაში იქნება?

თუმცა, წინასწარხედვას თავისი რეზონი აქვს. როგორი უცნაურიც არ უნდა იყოს, შორეულ პერსპექტივაში იგი უფრო ადვილია, ვიდრე უახლოესს მომავალში. თუ ამინდის ხსენებულ ანალოგიას მოვიშველიებთ, მომავლის პროგნოზი ნაკლებსარწმუნო ჩანს, მაგრამ, მეორე მხრივ, უპასუხისმგებლო იქნება არ დავსვათ თუნდაც ასეთი კითხვა: როგორ შეიცვლება პლანეტის კლიმატი 2030-2040 წლისთვის?

რა თქმა უნდა, არავის არ შეუძლია ზუსტად განსაზღვროს თუ როდის რა მოხდება, მაგრამ ეს შედარებით მეორეხარისხოვანია. მთავარია ის პრობლემები და სირთულეები კარგად გავაცნობიეროთ, რომლებიც კაცობრიობის წინაშე არსებობდა, დღეს უფრო მწვავედ იგრძნობა ან მომავალში რეალურად იკვეთება და მათი გადაწყვეტის გზები ერთობლივად და ბეჯითად ვეძებოთ.

---

[425] მოხელე ძველ ჩინეთში.

[426] მეტაფორა; ასე უწოდებს ამერიკელი მწერალ-ეკონომისტი **ნასიმ თალები** მნიშვნელოვან, ძნელად პროგნოზირებად და იშვიათ მოვლენებს.

მერმისის ხედვისთვის იქნებ ვიხელმძღვანელოთ **„მერლინის პრინციპით“!?** რითაც შეგვეძლება აწმყოში გადაწყვეტილების მიღება, აღქმულ-გააზრებული მომავლის პოზიციიდან?

ერთი შეხედვით, მერმისის გადასახედიდან აწმყოს შეფასების იდეა მეტად უცნაური ჩანს. ჩვენ ისე ძლიერ ვცდილობთ არსებული რეალობის საზღვრებში დავრჩეთ და ე.წ. საღ აზრს დავეყრდნოთ, რომ ყოველი ასეთი მცდელობა თითქმის ერესად ანუ საყოველთაოდ მიღებული შეხედულებებისგან განდგომად, გადახვევად გვეჩვენება.

სწორედ ამიტომ საოცრებად აღვიქვამთ ინგლისელი მწერლის ტერენს უაიტის წიგნის — „მეფე არტურის სიკვდილი“ — გმირის, ჯადოქარ მერლინის სიტყვებს: ფაქტია, ჩვეულებრივი ადამიანები, დაბადებიდან დროში წინ მოძრაობენ... ამ სამყაროში ხომ თითქმის ყველაფერი ამ მიმართულებით მოძრაობს. ამის გამო, მათი ცხოვრება საკმაოდ მარტივია... მე კი, სამწუხაროდ, დროის მეორე ბოლოში დაბადებულს, იძულებული ვარ უკუსვლით ვიცხოვრო, გარშემორტყმული იმ ხალხით, რომლებიც წარსულიდან მომავლისკენ ცხოვრობენ.[427]

გარკვეული აზრით, ეს პრინციპი მართლაც წინააღმდეგობაშია ფართოდ გავრცელებულ თანამედროვე შეხედულებასთან: „რომ გავიგოთ მომავალი, უნდა შევისწავლოთ წარსული“.[428] ერთი შეხედვით, მერლინის პრინციპი მიზეზ-შედეგობრივი კავშირის ლოგიკას არღვევს, სინამდვილეში კი, ადამიანის ნებას აძლიერებს. ამ პრინციპის გამოყენება ახალ კონკურენტულ უპირატესობას მოგვცემს: შეგვეძლება რეაქციული ქცევის (არსებული სიტუაციის შეგუება), პროაქციული ქცევით (სანაცვლოს, სასურველის შექმნა) შეცვლა.

თუ გვსურს მერმისის ხედვა, იქნებ, პირობითად, თავი მომავლის სიტუაციაში ჩავიყენოთ და იქედან შევაფასოთ, თუ როგორ (რა ოდენობით) შეესაბამება აწმყო და მისი განვითარების ვექტორი მერმისს. გარკვეული ხარისხით დღეს არსებული რესურსები და კომპეტენციები თანხვედრაშია სასურველ მერმისთან. უნდა მოხდეს ყველა შეუსაბამობის ინდენტიფიკაცია. ამით არსებულ სტრატეგიულ გარღვევებს უფრო შევიცნობთ და, შესაბამისად, აწმყოში მოქმედების იმ მიმართულებებს გავიგებთ, რომლებითაც მერმისს მეტად მიუახლოვდებით. ეს ნაბიჯი ფაქტობრივად არის სტრატეგიული გარღვევების გამოვლენა

---

[427] **White T. H. (1993).** The Sword in the stone. (ავტორის თარგმანი).

[428] შდრ.: — **ედმუნდ ბერკი**: „შეუძლებელია წარსულის მიხედვით იწინასწარმეტ-ყველო მერმისი“.

და ლიკვიდაცია, ახალი ცოდნის გენერაცია, ანუ ისეთი ცოდნა შექმნა, რომელიც კონკურენციაში დაგვეხმარება.

მოცემული მასალა ძირითადად შედგენილია ცნობილი სპეციალისტების, თანამედროვე ფუტუროლოგებისა და ფილოსოფოსების, **რიჩარდ უოთსონისა და ბენ დიუპრეს,** ასევე მსოფლიოში გავლენიანი ჟურნალის — „The Economist"-ის რედაქტორების **დანიელ ფრანკლინისა** და **ჯონ ენდრიუსის** შეხედულებების მიხედვით.[429]

რუბრიკას, ხატოვანი დასახელებით, — **„მარადიული სწრაფვა",** ქრონოლოგიურად თან ერთვის „წარსულში დაბრუნება", რაც დაგვეხმარება გავიგოთ მიმდინარე ცვლილებების მასშტაბები და გლობალური პროცესების მოსალოდნელი დინამიკა რეალურად შევიცნოთ.

1. შემოქმედებითი შტორმი

პრობლემა — ხალხთა დასაქმება, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გათანაბრება

ჩვენი ცხოვრება ძლიერი ქარიშხლის მსგავსია. ერთ შემოქმედებით შტორმს მყისვე მეორე ცვლის. მომავალში ეს პროცესი კიდევ უფრო გაძლიერდება, მეტწილად, საზოგადოების საკეთილდღეოდ და სასარგებლოდ.

ინოვაციების სფეროში ფასდაუდებელია ავსტრიული წარმომავლობის ამერიკელი სოციოლოგისა და ეკონომისტის, მეტად უცნაური და ყოფაცხოვრებაში ჩამორჩენელი პიროვნების, XX საუკუნის უდიდესი მეცნიერის, **იოსეფ შუმპეტერის** შეხედულებები. მან თავის გენიალურ ნაშრომში — „კაპიტალიზმი, სოციალიზმი და დემოკრატია" — მოსალოდნელი კარდინალური სოციალური ცვლილებები იწინასწარმეტყველა. შუმპეტერს კაპიტალიზმი წარმოედგინა, როგორც „შემოქმედებითი ნგრევის მუდმივი ქარიშხალი", ანუ ისეთი შტორმი, რომელსაც შეუძლია პირისაგან მიწისა აღგავოს საქმის წარმართვის ძველი მეთოდები და შეცვალოს ახლით, უფრო პროგრესულით. მას სწამდა, რომ მეწარმეები ყოველთვის დამანგრეველი ინოვაციების ისეთი ქმედითი აგენტებია, რომლებსაც შესწევთ უნარი უკეთ დაინახონ მომავალი და თავიანთი ხედვა ოპერატიულად განახორციელონ პრაქტიკაში.

---

[429] **Watson R. (2012).** The Future: 50 Ideas You Really Need to Know. Quercus Editions. 210 p; **Watson R. (2010).** Future Files: A Brief History of the Next 50 Years. 58 p; **Дюпре Б. (2015).** Большие идей. "Phantom press", M. 209 c.; Мир в 2050 году. **(2012).** Под ред. **Дэниела Франклина и Джона Эндрюса.** ЭКСМО, M. 346 c.

შუმპეტერი ამტკიცებდა, რომ ისტორიას ხშირად ახასიათებს დაჩქარება, საქმის წარმოების ძველი მეთოდების უფრო სწრაფად და არათანამიმდევრულად ცვლილება. ბიზნესმენები ქვეცნობიერად, შიაგანი ინტუიციით გრძნობენ, როცა ფეხქვეშ მიწა ეცლებათ. ამიტომ, სხვებთან შედარებით, უფრო რისკიანები არიან. მათ პროგრესული და პრაქტიკული ცვლილებები იზიდავთ.

ბოლო წლებში ტექნოლოგიური ინოვაციებისა და გლობალური ინტეგრაციის შედეგად წარმოშობილი მთელი რიგი გამრღვევი პროცესების მოწმე-მონაწილენი გავხდით. სხვა ინოვაციებთან შედარებით, ინტერნეტი მსოფლიოში ძალიან სწრაფად გავრცელდა და ბიზნესის წარმართვის წესი ძირეულად შეცვალა. ამასთან, მილიარდობით ადამიანი ერთმანეთს მყისიერად დაუკავშირდა. შედეგად აღმოცენდა ახალი, ინფორმაციატევადი დარგები და ისეთი კომპანიები, როგორიცაა მაგალითად, „გუგლი“, რომელიც თავის მომხმარებლებს უფასოდ და ოპერატიულად აწვდის ინფორმაციულ პროდუქციას, და, იმავდროულად, რაღაც ჯადოსნური ძალით, მილიარდობით დოლარს შოულობს. ინტერნეტმა ეკონომიკის არსი არსებითად შეცვალა და მის განვითარებას ახალი, მძლავრი იმპულსი შესძინა. მხედველობაში გვაქვს სოციალურ-ეკონომიკური გლობალიზაცია.

მომავალში ტურბულენტურობა (ქარიშხლიანი, უწესრიგო ცვლილება) კიდევ უფრო გაძლიერდება, რადგან ინტერნეტ-რევოლუცია თანდათან ძალას იკრებს. კომპანია „გუგლი“ უკვე ეწევა სუპერსიჩქარიანი ქსელის ექსპორტირებას, რომელიც 100-ჯერ უფრო სწრაფია, ვიდრე ფართოზოლიანი. სოციალურ ქსელ „ფეისბუკს“ რამდენი წელი დასჭირდა მილიარდ მომხმარებლამდე მისაღწევად და სხვ.

უკვე დაიწყო ახალი სამრეწველო რევოლუცია-4.0. ვითარდება დღემდე არარსებული, სრულიად სხვა ტიპის მასობრივი წარმოება.

თავის დროზე მასობრივმა წარმოებამ მსოფლიოში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა — მრავალი ორგანიზაცია შექმნა და მილიონობით ადამიანი დაასაქმა. მაგ., ჰენრი ფორდის საავტომობილო ქარხანაში 100 ათასი კაცი მუშაობდა. ახლა კი, თუნდაც ისეთი ტექნოლოგია, როგორიცაა 3D-ბეჭდვა[430] (ადიტიური ანუ შეკრებადი წარმოება), საწარმოო პროცესს მთლიანად ცვლის. ინერგება პროდუქციის წარმოების სრულიად განსხვავებული, ძირითადად, ნარჩენების მინიმიზაციაზე ორიენტირებული და თვითწარმოების ტექნოლოგიები.[431]

---

[430] 3D პლასტიკა, რაც გულისხმობს ნებისმიერი სირთულის ფაილის დამზადებას.

[431] XIX საუკუნის ბოლოს მასზე ოცნებობდნენ მასობრივი წარმოების კრიტიკოსები, „არტ-ენდ-კრაფტსის“ („მოძრაობა ხელოვნება და მეწარმეობა“) წარმო-

მსოფლიო ეკონომიკას მრავალი მიმართულებით ინოვაციური რყევა მოელის. უპირველესად, „საყოველთაო ინტერნეტიზაცია“, რაც სენსორების დახმარებით უსულო საგნებისა და მათი მომხმარებლების ურთიერთზემოქმედებას გააძლიერებს: მაცივარი საკვების უკმარისობას და/ან მისი მოხმარების ვადის გასვლას მყისვე შეგვატყობინებს, ღვინის ბოკალი — უკვე მირთმეულ ნორმას, ტაბლეტი — წამლის მიღების დროს, ტანსაცმელი — ჰიგიენურ მდგომარეობას, რობოტი რთულ, ჭუჭყიან და საშიშ სამუშაოს შეასრულებს და ა.შ. და ა.შ.

განვითარებადი სამყარო „ინოვაციების ქურა“ გახდება. მისი დინამიური ეკონომიკა თანამედროვე მდიდარ სამყაროს ინტელექტუალურ სფეროში საპაექროდ გამოიწვევს და დღევანდელ „არათანაბარ განვითარებას“ აქტიურად შეებრძოლება. მაგ., პროგრამირების სფეროში მომუშავე ინდური კომპანიები „ინფოსუსი“ და „ვიპრო“ საწარმოო სისტემაში უკვე მუშაობენ იაპონური კომპანია „ტოიოტას“ მთავარი პრინციპით — „მუდმივად გავაუმჯობესოთ საქონლის ხარისხი“; ჩინური კომპანია „ლი ენდ ფუნგი“ სწავლობს „მოთხოვნის მიხედვით“ პროდუქციის ოპერატიულად შექმნას. სხვა სიტყვებით, იგი მასობრივი წარმოების ახალი ერის მოთხოვნებთან ბიზნესის წარმართვის ძველი მეთოდების ადაპტირებას ცდილობს.

განვითარებადი სამყარო ინოვაციებზე აძლიერებას ყურადღებას, რომელსაც „თავმდაბლობა ინოვაციაში“ (frugal innovation) ჰქვია. მისი არსი იმაშია, რომ პროდუქციის წარმოების ხარჯები შემცირდება არა მუდმივად, ვთქვათ, 10%-ით, არამედ მკვეთრად, მაგ., 90%-ით, და ხარისხიც არ გაუარესდება.

აღნიშნულის მაგალითები უკვე შესამჩნევია: ინდური ტრანსნაციონალური კომპანია „ტატას“ ავტომობილის ფასი 2200 დოლარია, ინდური საყოფაცხოვრებო ელექტროტექნიკის მწარმოებელი კომპანია „გოლდრეჯ ენდ ბოუსეს“ მაცივრის — 70, ხოლო ამერიკული კომპანია „ჯენერალ ელექტრიკის“ ელექტროკარდიოგრაფის — 400 დოლარი და ა.შ. მომავალში იგეგმება უფრო მასშტაბური ინოვაციები, მაგ., 300 დოლარად სახლის აშენება, რაც ძირეულად შეცვლის ფარდულებსა და ქოხმახებში მილიონობით ადამიანის დღევანდელ გაუსაძლისს პირობებს.

ყოველივე ეს და კიდევ სხვა მრავალი, გარდაქმნის დღევანდელ სამყაროს. განვითარებადი ქვეყნები შეძლებენ პროდუქციის უდიდესი მასის წარმოებას, რაც მდიდარ ქვეყნებს აიძულებს შეამცირონ ხარჯები ან კეთილი ინებონ და მოიკლონ მოგება (!), აწარმოონ მეტი ფასეულობა ან გავიდნენ კონკრეტული ბაზრიდან.

მადგენლები, უილიამ მორისი და სხვები. ისინი ცდილობდნენ დეკორატიულ-გამოყენებითი საგნების ხელით დამუშავებას, და ამით, ხელოვნებისა და ხელოსნობის დაახლოებას.

მომავალში გონებრივი ელიტა მეტად დაშორდება მოსახლეობის დანარჩენ ნაწილს. ინტელექტუალები უფრო მეტ ეროვნულ შემოსავალს შექმნიან. თავის მხრივ, ისინი მეტ შემოსავალსაც მიიღებენ, რადგან მთელ თავის ახალგაზრდობას ცოდნის ათვისებაში ატარებენ, ხოლო შემდეგ ყოველდღიურად ინტენსიურად მუშაობენ. ცოდნის განვითარების კვალობაზე მათზე ზეწოლა გაძლიერდება. ინტერნეტისა და გლობალიზაციის კომბინაციის შედეგად გონებრივად მომუშავეთათვის მუშაობა საყოველთაო გახდება და მათგან უფრო მეტ დროს მოითხოვს. ისინი იმუშავებენ საღამოსაც და გამოსასვლელ დღეებშიც ელექტრონული ფოსტისა და უცხოელ კოლეგებთან ტელეკონფერენციებისა და ტელეხიდების ონლაინ-რეჟიმში. კომუნიკაციური ხარჯების შემცირების კვალობაზე ინფორმაციული გადატვირთვის პრობლემა კიდევ უფრო გაღრმავდება.

ერთი მხრივ, შემოქმედებით ნგრევასა და, მეორე მხრივ, თვითმმართვისა და დამოუკიდებელი ცხოვრების იმპერატივებს შორის მდგრადი ბალანსის შენარჩუნება უახლოესი ათწლეულების ერთ-ერთი ძირითადი სადისკუსიო თემა გახდება, რაც, სავარაუდოდ, დასაქმების მრავალ ახალ და საინტერესო დარგებსა და სფეროებს წარმოშობს.

ამ ცვლილებათა შედეგად ადამიანები უფრო მეტს მიიღებენ, ვიდრე დაკარგავენ. შუმპეტერის ხატოვანი ფრაზა —„შემოქმედებითი ნგრევა“ — დღეს უფრო მიმზიდველია, რადგან მასში თანამედროვე ეკონომიკის საოცარი დინამიზმი რეალურად ისახება. **შემოქმედებით ნგრევას შეუძლია კაცობრიობისთვის გაცილებით მეტი შექმნას, ვიდრე დაანგრიოს, ოღონდ საჭიროა გონივრული მოქმედება.**

2. ტოტალური ვიდეოზედამხედველობა

პრობლემა — დარღვევათა და დანაშაულთა ზრდა

განვითარებულ სამყაროში ფართოდ ინერგება ფარული ვიდეო დაკვირვება. ამ სფეროში დღეს ლიდერობს დიდი ბრიტანეთი: ყოველ 14 ბრიტანელზე ერთი ვიდეოკამერა მოდის. დასაქმებული ბრიტანელი, ყოველდღიურად, ვიდეოდაკვირვების ეკრანზე, საშუალოდ, 300-ჯერ ხვდება. ეს ტენდენცია მსოფლიოში სწრაფად ვრცელდება.

ვიდეოდაკვირვების კამერები კერძო მობილურ ტელეფონებში ჩაირთვება და ინდივიდის ამოცნობის პროგრამით აღიჭურვება.

დაკვირვებას დაექვემდებარება ყოველი ობიექტი და ოპერაცია, იქნება ის საბანკო გზავნილი, რეკვიზიტი, გადასახადი, საკრედიტო ისტორია, თუ თვით საბანკო ბარათი, ინფორმაცია ინდივიდის ჯანმრთელობის, გადაადგილებისა და სოციალურ ქსელში მონაწილეობის შესახებ. პირადი თავისუფლების სივრცე შეიზღუდება. ყოველი ჩვენგანი ფარული ვიდეოკამერის დაკვირვების ობიექტი გახდება.

ვიდეოკამერებით ჩვენი ყოფა ყველგან დაფიქსირდება. „გონიერი“ ტელეფონი შეცვლის ჯიბის ქისას, დღიურსა და თვით სახლის გასაღებს. ეს მოწყობილობა მრავალ ისეთ სასარგებლო ციფრულ მახსოვრობას დაიტევს, რომელიც ხელისუფლებასა და ძალოვან სტრუქტურებს დაეხმარება ჰქონდეთ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ ვინ ვართ, რას ვფიქრობთ, სად ვართ, რას ვყიდულობთ და ა.შ.

და ეს კიდევ არ არის ყველაფერი. „ბოროტი განზრახვის“ ამოცნობის დეტექტორები, ჟესტების ენის, თვალის მოძრაობისა და სხეულის ტემპერატურის ცვლილებათა საფუძველზე, ინდივიდის მოსალოდნელ ქცევას გაიგებენ. ეს მოწყობილობები უკვე გამოიყენება აშშ-ის უსაფრთხოების სისტემაში.

მარადიული სწრაფვა

- 1973: — „თაიმსკვერში“ პირველი ვიდეოკამერა გამოჩნდა;
- 2005: — დიდ ბრიტანეთში ავტომობილის ნომრის ავტომატური ამოცნობის ეროვნული სისტემა ამოქმედდა;
- 2012: — ბავშვთა ადგილმდებარეობის განსაზღვრისა და ფოტოგადაღებისთვის სმარტფონების დანართი დამუშავდა;
- 2016: — ესპანეთში შექმნეს სმარტ-ლეიბი კერძო დეტექტორი, რომელიც ცოლქმრული ღალატის ფაქტს მყისვე მეორე მხარეს ტელეფონით შეატყობინებს;
- 2018: —ავტომობილისთვის „შავი ყუთი“ სავალდებულო გახდება;
- 2019: — საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებზე „ბოროტი განზრახვის“ ამოცნობის დეტექტორები დამონტაჟდება;
- 2025: — მთავრობებს მოქალაქეთა დნმ[432]-ის ნიმუშები ექნებათ.

.

[432] დეზოქსირიბონუკლეინის მჟავა. მაკრომოლეკულა, რომელიც უზრუნველყოფს ცოცხალი ორგანიზმების განვითარებისა და ფუნქციონირების გენეტიკური პროგრამის შენახვას, თაობიდან თაობაზე გადაცემა-რეალიზებას.

3. საბრძოლო-საყოფაცხოვრებო რობოტები და დრონები

პრობლემა — საომარ მოქმედებებში ადამიანების დაღუპვა

ისტორიულად, საომარ კონფლიქტში უპირატესობა ყოველთვის იმის მხარეზე იყო, ვისაც ახალი და ეფექტური საბრძოლო იარაღი ჰქონდა. სიტუაცია დღესაც იგივეა. უფრო მეტიც, ადამიანის მკვლელობის ფასი იზრდება, სიკვდილის მსურველთა რიცხვი კი მცირდება. აქცენტები კეთდება ისეთი ტექნოლოგიების შექმნაზე, როცა ადამიანთა ფიზიკური კონტაქტი მთლიანად გამოირიცხება.

„გონიერი“ საბრძოლო მანქანები საომარ ოპერაციებს უფრო ყურადღებითა და დადგენილი წესებით წარმართავენ. მათ არ ახასიათებთ ემოციები (მრისხანება, შებრალება, სათნოება და ა.შ.).

საბრძოლო რობოტების შექმნა აღარ არის ფანტაზია. აშშ-ის შეიარაღებულ ძალებში უკვე არსებობს ბალახისმჭამელი რობოტი, იგივე, „ენერგეტიკულად ავტონომიური ტექნიკური რობოტი“. მას შეუძლია ბიოლოგიური მასის (ფოთოლი, ტოტი, ბალახი) შეგროვება, სათბობად გარდაქმნა და საბრძოლო მზადყოფნისთვის საკუთრივ მოხმარება.

მომავალი ომი ავტომატიზებული იქნება და ონლაინ-რეჟიმში გადავა, — საბრძოლო ოპერაციები რობოტებითა და დრონებით (უპილოტი საფრენი აპარატები) განხორციელდება.

მარადიული სწრაფვა

- 2015: — ბრისტონის (დ. ბრიტ.) უნივერსიტეტის მეცნიერებმა შექმნეს მოცურავე რობოტი RoW-bot, რომელიც ჭუჭყიანი წყლით იმუხტება. გამოიყენება ეკოლოგიური მიზნით;
- 2016: — ნორვეგიელმა ინჟინრებმა შექმნეს წყალქვეშა გველი-რობოტი, რომელსაც შეუძლია წყალქვეშა კონსტრუქციის ვიზუალური დათვალიერება და შეკეთება;
- 2016: — კალიფორნიისა და პიტსბურგის (აშშ) უნივერსიტეტის მეცნიერებმა შექმნეს ისეთი ნანორობოტი, რომელიც ელექტრონულ წრედში წარმოშობილ ხარვეზს ამჩნევს და ასწორებს;
- 2016: — ჩინეთში გამოიგონეს ჰაერში მოლივლივე დრონი, რომელიც მაღალი ხარისხის ვიდეოსა და სურათებს იღებს;
- 2016: — ციურიხის უნივერსიტეტის მეცნიერებმა შექმნეს ისეთი დრონი, რომელიც ტყეში დაკარგულ ადამიანს პოულობს;

- 2016: — ჩინეთში ახალი წლის გალა-კონცერტში 540-მა რობორმა და 29 დრონმა სინქრონული ცეკვა შეასრულა;
- 2016: — ისრაელში გემი-რობოტი შექმნეს;
- 2016: — აშშ-ში დაამტკიცეს კანონი დრონების რეგისტრაციის შესახებ. ქ. ბოულდე-სიტში პირველი კომერციული აეროდრონის მშენებლობა დაგეგმეს;
- 2016: — ლონდონში რობოტმა ფილტვის კიბოს ოპერაცია გააკეთა;
- 2016: — ჩინურმა კომპანია „Foxconn"-ი, რომელიც კომპანია „Apple"-ს პარტნიორია პროდუქციის აწყობის სფეროში, ავტომატიზებულ წარმოებაზე აქტიურად გადავიდა, — 60 ათასი მუშაკი სამუშაოდან გაათავისუფლა და ისინი რობოტებით შეცვალა;
- 2019: — ნანორობოტებისთვის ეფექტური ძრავები შეიქმნება (დიამეტრით 60 ნანომეტრი)
- 2020: — ამერიკის სამხედრო სატრანსპორტო საშუალებები უპილოტოდ იმოძრავებს;
- 2021: — ამერიკის არმიის კონტიგენტის 1/4 რობოტი იქნება;
- 2023: — აშშ-ში სამხედრო თვითმფრინავების მასობრივი წარმოება შეწყდება;
- 2030: — რობოტებთან ვირტუალური სექსი და ახლო ურთიერთობა მეტად პოპულარული გახდება.

4. „მოფიქრალი", „გონიერი" ინფრასტრუქტურა

პრობლემა — დიდი დანაკარგები

წინანდელი უტყვი, მდუმარე, დღეს „გონიერი" ხდება. ესაა ქალაქები, გზები, წყალსადენები, შენობები, საყოფაცხოვრებო ტექნიკა... სენსორული აპარატურით ყველაფერი გაკონტროლდება. მიზანი — ნაკლები ხარჯები და მეტი შემოსავლები.

„გონიერი" ინფრასტრუქტურა ყველგან დაინერგება, რითაც შესაძლებელი გახდება ენერგეტიკული ხარჯების მონიტორინგი, შეუსაბამობის დაფიქსირება და რეგულირება (მაგ., ჰაერის ტემპერატურის მომატების შესაბამისად, ოთახში გათბობის დაკლება და სხვ.).

ასეთი სისტემა მრავალ სფეროში დაინერგება, მაგ., ქალაქის განათებასა და სატრანსპორტო ნაკადების რეგულირებაში, წარმოების ნარჩენების გამოყენებით ელექტროენერგიის მიღებაში და ა.შ.

აღნიშნულის სანიმუშო მაგალითია ქ. სინგაპური.

რადიოსიხშირის იდენტიფიკაცია, სენსორული მოწყობილობები და „გონიერი მტვერი“ (პაწაწკინტელა უმავთულო გადამცემები და/ან მიმღებები) ის ახალი საშუალებებია, რომელთა დახმარებით საჭირო ინფორმაცია შეგროვდება. უმცირესი ზომების (ფართობი — 0,15 მმ^2, სისქე — 7,5 მიკრონი) „გონიერი“ მოწყობილობები რეალურ სამყაროში მიმდინარე საგნებს (მოვლენებს) მათემატიკურ მოდელებად გარდაქმნის, რომლებსაც, თავის მხრივ, რეალურობის აღქმისა და მისი ცვლილებების შესაფასებლად გამოიყენებენ. მაგ., თუ ზღვაში ტემპერატურა სწრაფად შეიცვლება ან სადღაც ცუნამის საშიშროება გაჩნდება, ამის შესახებ ინფორმაცია უსწრაფესად გავრცელდება. სხვა სიტყვებით, უინტელექტო ბუნებრივი მატერია „გონიერ“ უსულო მატერიას დაემორჩილება. მოულოდნელობები იშვიათობა იქნება.

ხსენებული სენსორული მოწყობილობები შეიძლება ბიოლოგიურ ობიექტებს შეუერთდეს (მაგ., მწერებს), რითაც შესაძლებელი იქნება ანომალიურ მოვლენებზე პრევენციული რეაგირება.

დღეს თუ ტექნიკური მოწყობილობების მოთხოვნების შესაბამისად ვმოქმედებთ, მათი შემდეგი თაობა უბრალოდ „დაგვაკვირდება“ და დააფიქსირებს: სად ვართ, რას ვაკეთებთ, „მოისმენს“ საუბარს და ჩვენი სურვილების მიხედვით იმოქმედებს.

მარადიული სწრაფვა

- 2000: — კორეის რესპუბლიკაში „გონიერი“ ქალაქის, ნიუ-სონგდოს მშენებლობა დაიწყო;
- 2016: —კორეულმა კომპანია „სამსუნგმა“ „გონიერი“ მაცივარი (სმარტ-მაცივარი) შექმნა;
- 2016: — ფრანგულმა კომპანია „დიგიტსოლემ“ „გონიერი“ ფეხსაცმელი დაამზადა;
- 2018: — ევროკავშირის ქვეყნებში სავალდებულო ენერგეტიკული მონიტორინგი დაიწყება;
- 2020: — დიდ ბრიტანეთში „გონიერი“ წყლისმზომლები მასობრივად დაინერგება;
- 2020: — ქ. სეულში ქუჩის ტროტუარები ფეხითმავალთა მოძრაობის მონიტორინგით ავტომატურად განათდება;

- 2040: — მსოფლიოს ყველა სახლის 80%-ს ვირტუალურ სამყაროში თავისი ორეული ექნება.

5. „ციფრული უკვდავება“

პრობლემა — მატერიალური ნივთების ვირტუალიზაცია

2020 წლისთვის ინტერნეტში ჩაირთვება 50 მილიარდი „ნივთი“, ანუ ყოველ ერთ ადამიანზე საშუალოდ — 7. რა „ნივთებზეა“ საუბარი? ყოველგვარზე, — როგორც პირადი მოხმარების (ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, კბილის ჯაგრისი და ა.შ.), ისე საოჯახო სარგებლობის საგნებზე. თუ ინტერნეტი სენსორებით აღჭურვილი ფიზიკური ობიექტების ვირტუალური ქსელი გახდება, რა შედეგები მოჰყვება ამას?

ყველა ნივთს, საგანს თუ სუბიექტს საკუთარი IP-მისამართი ექნება, რითაც ყოველი მათგანის მიხედვით განისაზღვრება რა (ვინ) არის, სად არის და რა პირობებში, ასევე როგორი იქნება მისი მოქმედება და მდგომარეობა. მაგ., ასეთი ტანსაცმელი ინფორმაციას გადასცემს მისი ჰიგიენური მდგომარეობის, მფლობელის ადგილმდებარეობის, ახალი მოდელის გამოშვების ან სხვა რაიმეს შესახებ; კბილის ჯაგრისი — მომხმარებლის ჯანმრთელობის შესახებ და ა.შ. და ა.შ.

ფიზიკური და ვირტუალური ობიექტები ერთიან ელექტრონულ ქსელში გაერთიანდება და ციფრული ფორმა მიეცემა, რითაც მართვის ერთ ცენტრს — „ტვინს“ — დაექვემდებარება.

ასეთ სიახლეთა პირობებში როგორი იქნება სოციალურ-ფსიქოლოგიური შედეგები?

ჯერჯერობით არავინ იცის.

ყოველივე ხომ არ გამოიწვევს უკმაყოფილებისა და დაძაბულობის გაზრდას?

ვფიქრობ, არა, რადგან ყოველივე მოხდება არა უეცრად, არამედ თანდათან, შეგუებით, **„იძულებითი ნებაყოფლობით“.**

გავხდებით კი უფრო ლაღები, თავისუფლები და ბედნიერები?

ჩვენი სამყარო უფრო უკეთესი იქნება?!

ვეჭვობ, რადგან ტექნიკის განვითარებას რიგ სფეროებში სიკეთე არ მოუტანია, თუნდაც საოფისე ქალაღდის ხარჯვა არ შეუმცირებია და ჩვენი თავისუფალი დრო არ გაუზრდია. რეალურად პირიქით მოხდა: პირველი გადიდდა, მეორე კი, — შემცირდა.

რა მოხდება თუ ასეთი „გონიერი“ ტექნიკა უეცრად მწყობრიდან გამოვა? შეიძლება კატასტროფული შედეგები გამოიწვიოს, რადგან ყველა ნივთი სენსორულად ურთიერთდაკავშირებული იქნება.

უკვე ვრცელდება ტერმინი „კასკადური ბლოკირება“.

როგორი იქნება ჩვენი სააქაო „ცხოვრება“ ჩვენს შემდეგ? — „ვირტუალურად უკვდავი“?!

წინათ ადამიანის გარდაცვალებიდან 40-50 წლის შემდეგ საგნობრივად მისი ცოტა რამ თუ რჩებოდა, მაგ., რელიკვიის სახით — პირადი ნივთი (ხელჯოხი, ჩიბუხი ან სხვ.), წერილი ან სურათი.

ახლა, მავანს შეუძლია „ციფრული უკვდავება“ ვიდეოკლიპების, ხმოვანი ფაილების, ციფრული ფოტოგრაფიისა და ელექტრონული წერილების სახით საკუთარ ან ადრესატის ვებ-საიტზე განათავსოს.

მარადიული სწრაფვა

- 2008: — იაპონელი ბავშვების სასკოლო პიჯაკები ჩამონტაჟებულია მათი გადაადგილების მაუწყებელი მოწყობილობა;
- 2014: — შენობებში ამინდის მდგომარეობის დამაფიქსირებელი გადამწოდები დამონტაჟდა;
- 2020: — ინტერნეტში 5 მილიარდამდე ადამიანი ჩაერთვება;
- 2030: — ინტერნეტს 90 მილიარდი ნივთი და მოწყობილობა მიუერთდება.

6. კვანტური და „ცოცხალი“ კომპიუტერები

პრობლემა — დაბალი სიჩქარე და მცირე მახსოვრობა

უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში, ციფრული მონაცემების მოცულობა და გადაცემის სიჩქარე არნახულად გაიზარდა, რითაც კომპიუტერული მახსოვრობა უკიდურესს ზღვარს მიუახლოვდა.

ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში იწყება ევოლუციური განვითარების ახალი ეტაპი — მიმდინარეობს აქტიური კვლევა კვანტური და დნმ-ის კომპიუტერების შესაქმნელად.

ამჟამინდელი კომპიუტერები მუშაობენ ტრანზისტორებზე ალგორითმული პრინციპით.

მიუხედავად იმისა, რომ მიკროპროცესორებში ტრანზისტორების რაოდენობა ყოველ 18 თვეში ორმაგდება (ამერიკელი მეცნიერის, კორ-

პორაცია „ინტელის“ დამფუძნებლის **გორდონ მურის კანონი**), კაცობრიობის მოთხოვნილება კვლავ დაუკმაყოფილებელი რჩება.

ასპარეზზე გამოვა კვანტური კომპიუტერები.[433] კვანტური ბიტების განსხვავებული უნარი საშუალებას იძლევა ერთდროულად გამოვიყენოთ როგორც პროცესორის, ისე მეხსიერების ერთეული, რაც წარმოუდგენლად ზრდის დროის ერთეულში შესრულებული ოპერაციების რაოდენობასა და სისწრაფეს.

ამჟამინდელი კომპიუტერებისგან განსხვავებით, კვანტური ტექნოლოგიის კომპიუტერებს გადახურებისა და ელექტროენერგიის ხარჯვის პრობლემა არ აქვს.

კვანტური კომპიუტერების დღევანდელი მოდელები ჯერ კიდევ კონცეპტუალურ დონეზეა, ვიდრე ყოველდღიურად მისაღები. ჯერ-ჯერობით, ისინი მხოლოდ მათემატიკური ოპერაციების შესასრულებლად გამოყენება. თუმცა, მუშაობის პრინციპი უკვე მიგნებულია და საცდელი ნიმუშებიც გაკეთებული. მათი დახვეწა და მოდიფიკაცია მხოლოდ დროის საკითხია.

მეცნიერები მუშაობენ „ცოცხალი“ ე.წ. დნმ-ის ბაზაზე მომუშავე კომპიუტერებების შექმნაზე.

ადამიანის სხეული მუშაობს როგორც სუპერკომპიუტერი (რა თქმა უნდა, შედარებით სხვა დონეზე) — ჩვენი დნმ მუდმივად ინახავს ინფორმაციას. ამიტომ არსებობს შესაძლებლობა შეიქმნას ისეთი კომპიუტერი, რომელიც მოიპოვებს, დაამუშავებს და შეინახავს გრანდიოზული მოცულობის ინფორმაციას.

დნმ მეცნიერთა უდიდესი ინტერესისა და აქტიური შესწავლის საგანია, მათ შორის, საოცრად პერსპექტიულ სფეროებთან — ნანობიოლოგიისა და ბიომოლეკულურ ინჟინერიასთან კავშირში.

---

[433] კვანტური კომპიუტერის მთავარი შემადგენელი ნაწილია კვანტური ბიტები. დღევანდელ კომპიუტერში და, ზოგადად, ციფრულ ტექნიკაში, გამოიყენება ორობითი კოდი, რომლის წარმომადგენელია უმცირესი განმსაზღვრელი ერთეული — ბიტი. მას ექნება მხოლოდ ორი მნიშვნელობა: 0 ან 1. განსხვავებით სტანდარტული ბიტისგან. კვანტურ ბიტებს შეეძლებათ მიიღონ მნიშვნელობა 0 ან 1, ან ორივე ერთად (ნულიც და ერთიც).

მოქმედ კომპიტერებში ბიტები იქმნება წრედში ელექტრონული დენის არსებობით, ანუ როცა წრედში დენია, ბიტის მნიშვნელობა განისაზღვრება როგორც „1“, ხოლო არარსებობისას — „0“-ით. რაც შეეხება კვანტურ ბიტებს, აქ ინფორმაციის გადამტანია ატომები, იონები, ფოტონები ან ელექტროდები. ამ შემთხვევაში ბიტისთვის 0-ისა და 1-ის მინიჭება ხდება არა წრედში დენის არსებობით ან არარსებობით, არამედ იონის მუხტის ან ელექტრონის სპინის მეშვეობით.

მარადიული სწრაფვა

- ძვ. წ. II საუკუნის II ნახევარში არსებობდა ანდიკითერული მექანიზმი;[434]
- 1837: — ინგლისელმა მათემატიკოსმა **ჩარლ ბებიჯმა** გამოიგონა ანალიტიკური გამომთვლელი მანქანა;
- 2015: — შეიქმნა პირდაპირი ინტერფეისი: „ტვინი — კომპიუტერი";
- 2040: — დაიწყება ინტერნეტ-ტელეპატია.

7. ნანოტექნოლოგიები

პრობლემა — პროდუქციის წარმოების დიდი დანახარჯები

ციფრული რევოლუცია დიდი ხანია არსებობს, მაგრამ მეორე, უფრო მძლავრი, მხოლოდ ახლა იწყება.

ნანოტექნოლოგიებს[435] შეუძლიათ ყველაფრის ტრანსფორმაცია, საქონლის წარმოებიდან დაწყებული, მისი განაწილების, გაყიდვისა და ეკოლოგიური ცვლილებებით დამთავრებული. მიიჩნევა, რომ ნანოტექნოლოგია კაცობრიობის განვითარებაში ისეთივე მნიშვნელოვანი იქნება, როგორიც იყო ორთქლის ძრავა, ტრანზისტორი და ინტერნეტი ერთად აღებული.

თანამედროვე წარმოება დიდ დაბანდებებსა და წარმოების მასშტაბის ეფექტს ეფუძნება. მომავალში ყველაფერი შეიცვლება — პროდუქტი უმცირესს ნანოტექნოლოგიურ „ფაბრიკებში" დამზადდება.

ნანოტექნოლოგიით შესაძლებელია ზეგონიერი მასალების შექმნა აბსოლუტურად ახალი თვისებებით, თანაც უდიდესი სიზუსტით.

---

[434] ანტიკური მეცნიერებისა და ტექნიკის საოცარი შედევრი, ელინისტური სამყაროს უნიკალური მოწყობილობა, მექანიკური კომპიუტერის ადრეული ანალოგი, რომელსაც „მსოფლიოში პირველ კომპიუტერს" უწოდებენ; 1902 წელს იპოვეს ეგეოსის ზღვის კუნძულ ანდიკითერთან და დღეს ათენის ნაციონალურ არქეოლოგიურ მუზეუმში ინახება; წააგავს საათს, რომელსაც ციური სხეულების მოძრაობის გასაანგარიშებლად იყენებდნენ.

[435] „ნანო" მეცნიერებაში რაიმე სიდიდის მემილიარდედი ნაწილია და ბერძნულად „ჯუჯას" ნიშნავს. ტერმინი „ნანოტექნოლოგია" 1974 წელს პირველად გაავრცელა იაპონელმა ფიზიკოსმა **ნორიო ტენეგუჩიმ.**

ნანომეტრი მეტრის მემილიარდედია. შედარებისთვის: ადამიანის თმის სისქე 100 000 ნანომეტრია. ნანოტექნოლოგია ესაა ნანომეტრების ზომების სისტემებისა და მოწყობილობების აგება ატომებისა და მოლეკულებისგან.

მეცნიერები ვარაუდობენ, რომ უახლოეს მომავალში ნანონაწილებით შექმნილი ტექნოლოგიები შეცვლის სამყაროს, საზოგადოებასა და თვით კაცობრიობის ცხოვრების წესს. ნანოტექნოლოგიას აქვს პოტენციალი დაამზადოს ისეთი მოწყობილობები, რომელთა გამოყენება შესაძლებელი იქნება მრავალ სფეროში: მედიცინაში, ელექტრონიკაში, ენერგეტიკაში და ა.შ.

დღეისთვის ნანოტექნოლოგიების პროდუქციის მსოფლიო ბაზარი 2,5-3 ტრილიონი დოლარით ფასდება.

მარადიული სწრაფვა

- 2022: — მზის ენერგიის გადასამუშავებლად ნანომასალები შეიქმ-ნება;
- 2025: — ნანომასალებს სამომხმარებლო საქონლის 35%-ის საწარმოებლად გამოიყენებენ;
- 2040: — კომპიუტერის სიჩქარე მილიარდჯერ გაიზრდება;
- 2042: — კლეიტრონიკის[436] პროდუქტები გამოჩნდება;
- 2046: — საავტომობილო კორპორაცია „ფორდი“ ფერის შეცვლის უნარის მქონე ავტომობილებს გამოუშვებს;
- 2065: — საკვები პროდუქტები ნანოტექნოლოგიებით დამზადდება.

8. გრაფენი — მასალათმცონეობასა და ნანოტექნოლოგიებში ახალი ეპოქის დასაწყისი

უკანასკნელი ორი ათწლეულის განმავლობაში ნანოტექნოლოგიის განვითარებამ შესაძლებელი გახადა დაბალი სივრცითი განზომილების მქონე მასალების მიღება და მათი უნიკალური თვისებების გამოყენება ახალი ტექნოლოგიების გასავითარებლად. ასეთი უჩვეულო თვისებების მქონე მასალის მაგალითია გრაფენი — ნახშირბადის ატომებით აგებული ორგანზომილებიანი კრისტალი. იგი ერთი ატომის სიგანის მქონე ფირია, ფიჭის ტიპის კრისტალური სტრუქტურით, რომლის კვანძებში ნახშირბადის ატომებია.

გრაფენი, როგორც მასალის განსაკუთრებულობა ნახშირბადის ატომების უნიკალურ თვისებებშია დამალული. მისი ფირის სისქე მეა-

[436] იდეების სრულიად ახალი სფერო, რომელშიც რაღაც სამგანზომილებიანი ობიექტი შეიძლება სხვა ობიექტად გარდაიქმნას.

სედი მილიმეტრია. გრაფენის მიღების ტექნოლოგია იხვეწება. დღეს უკვე შესაძლებელია ნებისმიერი ზომის ფირების წარმოება.

რაში მდგომარეობს გრაფენის უნიკალური თვისებები? პირველ რიგში, ეს არის მისი ზომები. გრაფენი ნახშირბადის მონოატომური ფენაა და ის ჩვენთვის ცნობილ მასალათა შორის წარმოუდგენლად მსუბუქი და მტკიცეა — გაჭიმვისა და დეფორმაციის მიმართ 200-ჯერ უფრო მეტად, ვიდრე იგივე ზომის ფოლადი. უაღრესად მოქნილი და ელასტიკურია — ადვილად იღუნება და საკმაოდ მყიფეა. ასეთი მრავალგვარი და ურთიერთგამომრიცხავი მექანიკური თვისებების გამო, გრაფენი მიმზიდველი კომპონენტია ახალი კომპოზიტური, ანუ ხელოვნურად შექმნილი მყარი მასალების მისაღებად.

გარდა ამისა, გრაფენი სითბოსა და დენის შესანიშნავი გამტარია. მასში ელექტროდები გადაადგილდებიან თითქმის 100-ჯერ უფრო სწრაფად, ვიდრე კაჟში, რომელიც დღეს პროცესორების ძირითადი მასალაა. გრაფენის გამოყენებას კავშირგაბმულობის დანადგარებში შეუძლია კომუნიკაციის სიჩქარე თითქმის 100-ჯერ გაზარდოს. გრაფენში დენის გამტარ ნაწილაკებს უჩვეულო ტიპის სპექტრი ახასიათებს, რაც მის სრულიად უნიკალურ ელექტრულ თვისებებს განაპირობებს და ელექტრონიკის განვითარებისთვის ახალ შესაძლებლობებს იძლევა. აქვს დიდი შთანთქმის უნარიც. გარდა ამისა, ქმნის შესანიშნავ დამცავ ფენას და სპილენძთან ერთად იცავს მეტალს ჟანგისაგან.

გრაფენი, რომელიც მომავლის მასალების ხუთეულშია, უახლოეს პერსპექტივაში ევროკავშირის ფლაგმანი ტექნოლოგია გახდება.

გრაფენის გამოყენება შესაძლებელია საინფორმაციო ტექნოლოგიებში (დისპლეები, ელასტიკური ეკრანები), ტრანზისტორებში, გამჭვირვალე ელექტროდებში, ნახევარგამტარებში, აკუმულატორებ-ში, ფლეშმეხსიერებაში, მზის ბატარეებში და ა.შ.

გრაფენის სამომხმარებლო სექტორში გადანაცვლება რევოლუციურ გარდაქმნებს გამოიწვევს ადამიანის ყოფაცხოვრებაში.

მარადიული სწრაფვა

- 1962: — ტერმინი გრაფენი პირველად გამოიყენა გერმანელმა ქიმიკოსმა **ჰანს-პეტერ ბოემმა** გრაფიტის შემადგენელი ძირითადი სტრუქტურული ელემენტის — ორგანზომილებიანი ნახშირბადის ფენის აღსანიშნავად;
- 2004: — მანჩესტერის (დიდი ბრიტანეთი) უნივერსიტეტის ფიზიკის ლაბორატორიაში მეცნიერებმა, ინგლისელმა პროფესორმა

ანდრეი გეიმ და რუსმა მკვლევარმა **კონსტანტინე ნოვოსელოვ-მა** პირველად აღმოაჩინეს გრაფენი;

- 2010: — გრაფენის აღმომჩენებს ფიზიკაში ნობელის პრემია მიენიჭათ;
- 2013: — ლაბორატორიიდან წარმოებაში გრაფენის გადასანაცვლებლად, ევროკავშირმა 1 მილიარდი ევრო გამოყო;
- 2014: — გრაფენის გამოყენებით დაინტერესდნენ ცნობილი ტრანსნაციონალური IT-კომპანიები: „ნოკია“ და „სამსუნგი“;
- 2016: — სეულის (კორეას რესპუბლიკა) ინივერსიტეტში გრაფენისგან დაამზადეს გამჭვირვალე, თხელი სალბუნი (ფირფიტა), რომელიც სისხლში შაქრის დონეს აკონტროლებს;
- 2016: — ჩინური კომპანია „Moxi Grup“-მა გრაფენის გამოყენებით დრეკადი სმარტფონების წარმოება დაიწყო.

9. ხელოვნური ინტელექტი

პრობლემა — ადამიანის შესაძლებლობების სრულად გამოყენება

ხელოვნური ინტელექტის იდეა 1950-ანი წლებიდან არსებობს, თუმცა, ინტელექტუალური რობოტების[437] შესახებ უფრო ადრეც იუწყებოდნენ.

ბრიტანელმა მათემატიკოსმა ალან თიურინგმა მანქანის აზროვნების შესაძლებლობების განსაზღვრის ტესტი შეიმუშავა და მიიჩნია, რომ ხელოვნური ინტელექტი წარმოიშობა მაშინ, როცა ბუნებრივად შევძლებთ მანქანასთან საუბარს და არ გვექნება გაცნობიერებული, რომ მას ვესაუბრებით.

1956 წელს ამერიკელმა ჯონ მაკარტიმ გაავრცელა ტერმინი „ხელოვნური ინტელექტი“ და „გონიერი“ მანქანების ეპოქაც დაიწყო.

მაგრამ, მეცნიერთა მრავალი მცდელობის მიუხედავად, ხელოვნური ინტელექტის შექმნის საკითხი კარგა ხნით გადაიდო. მხოლოდ 2008 წელს შესძლო პერსონალურმა კომპიუტერმა წამში 10 მილიარდი ბრძანების შესრულება. 2040 წლისთვის მანქანური გონება თეორიულად

[437] რობოტი ჩეხური ტერმინია (ავტორი ჩეხი მწერალი **კარელ ჩაპეკი)** და „იძულებით შრომას“, „საბატონო ბეგარას“ ნიშნავს.

წამში 100 ტრილიონ ბრძანებას შეასრულებს. რა მოხდება, როცა კომპიუტერის გონება მისი შემქმნელის გონებას დაუპირისპირდება?

არსებობს „ძლიერი“ და „სუსტი“ ხელოვნური ინტელექტი.

ძლიერი ხელოვნური ინტელექტის შემთხვევაში მანქანა ადამიანისმაგვარად აზროვნებს, ხოლო სუსტისას — ჩამორჩება მას. ამჟამად მანქანების უმრავლესობა დაპროგრამებულია მოქმედების შესრულების ლოგიკური თანამიმდევრობის პრინციპით, მაგრამ მომავალში ძლიერი ხელოვნური ინტელექტის მანქანები შესძლებენ სიტუაციაში ოპერატიულად გარკვევას და ადეკვატურად რეაგირებას.

როგორი იქნება მოსალოდნელი შედეგი?

წარმოიდგინეთ ავადმყოფობის ავტომატური დიაგნოსტიკის ან ქირურგიული ჩარევის, სამხედრო ოპერაციის დაგეგმვა-მართვისა და სხვათა შესახებ რობოტების ავტონომიური საქმიანობა.

ეს მაგალითები რეალურია?[438]

ზოგი ექსპერტი ფიქრობს დიახ, ზოგი — არა. ზუსტი წინასწარხედვა რთულია, რადგან ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების ასეთი ტემპების პირობებში, ყველაფერია მოსალოდნელი.

უახლოესს ათწლეულში მთავარი საკითხი გახდება ადამიანის ურთიერთობა ტექნიკასთან. ამ პროცესში, ფარულად, თავიდანვე კონფლიქტის მარცვალია ჩადებული, რადგან ტექნიკა ძალიან სწრაფად ვითარდება, ხოლო კაცობრიობის გონება ნელა იცვლება. შედეგად, ტექნიკა რაც უფრო მეტად შემოიჭრება ჩვენ ყოფაში, მით მეტად ვიგრძნობთ მის დამანგრეველ ძალას.

2025 წელს ხელოვნური ინტელექტი რეალური გახდება.

კომპიუტერების, რობოტებისა და ნანოტექნოლოგიების შესაძლებლობების ორგანულმა შეერთებამ შესაძლოა თვითმწარმოებელი მანქანა წარმოშვას. და თუ ასეთ მანქანას არა მარტო ინტელექტის, არამედ ცნობიერების უნარიც ექნება, კაცობრიობის წინაშე აუცილებლად დაისმება დილემა: რომელი უკეთესია, ვიცხოვროთ მუდმივად მანქანის, თუ რამდენიმე ათეული წელი „ორფეხა ნახშირწყალბადის“ სახით?

---

[438] წავიდა ის დრო, როცა „გუგლი“ მხოლოდ საძიებო სისტემა იყო, ხოლო მანქანას მძღოლი სჭირდებოდა. „გუგლის“ სტენფორდის ხელოვნური ინტელექტის ლაბორატორიაში ჩატარდა ექსპერიმენტი ავტომობილის ავტონომიური მართვის შესახებ. გამოცადეს სპეციალური გადამწოდებით აღჭურვილი „ტოიოტა-პრიუსის“ მოდელი, რომელსაც თანამგზავრის მიერ გაკვალული მარშრუტით უნდა ემოძრავა. მეცნიერ-რობოტოტექნიკოსი მანქანაში იჯდა, მაგრამ არ მართავდა მას. 7-მა მანქანამ მძღოლის გარეშე 1600 კმ გაიარა, ხოლო ადამიანის მინიმალური ჩარევით — 225 000 კმ.

ნოვატორ-მილიარდელის **ელონ მასკის** მიზანია მეგობრული ხელოვნური ინტელექტის შექმნა და განვითარება. მისი აზრით, მომავლის ადამიანები და ხელოვნური ინტელექტი მჭიდროდ უნდა თანამშრომლობდნენ: თუ ადამიანს შეეძლება თავის გონებაში ხელოვნური ინტელექტის ჩართვა, რომელიც, თავის მხრივ, ინტეგრირებული იქნება სპეციალურ ქსელში, არასწორი ქმედების მცდელობის შემთხვევაში, სხვა ინტელექტუალური პროგრამები მას შეაჩერებენ;

კომპიუტერში ადამიანის ცნობიერების „ჩატვირთვა“, თითქოს, შეუძლებელია, იგი არასოდეს მოხდება. თუმცა, ბრძნული ანდაზა იმასაც გვახსენებს, რომ **„არასოდეს არ თქვა, არასოდეს“.**

2050 წლისთვის იარსებებს ორი სახეობის გონიერი არსება — გენეტიკური (ბუნებრივი) ადამიანი და კონსტრუირებული, ტექნიკურად მოდიფიცირებული ადამიანისეული ჰიბრიდი.

როგორ მოგწონთ ასეთი პერსპექტივა?

პასუხი სრულიად ნათელია. ამიტომ, უპრიანია კითხვა ასე დავსვათ: შევძლებთ თუ არა აღნიშნული ტენდენციის შეჩერებას? მრავალი აცხადებს, რომ მსგავსი რამ არ მოხდება.

რომ მოხდეს?...

ხელოვნური ინტელექტის სფეროში მიმდინარე ცვლილებები განათლების სისტემასაც შეცვლის, — ყურადღებას იმ მიმართულებით გადაიტანს, რომელშიც კომპიუტერებთან შედარებით, ადამიანის კრეატიული უნარ-შესაძლებლობები უფრო მეტად წარმოჩნდება.

მარადიული სწრაფვა

- 1990: — სამრეწველო და საოჯახო რობოტების მწარმოებელი კორ-პორაცია „აი რობოტი“ დაფუძნდა;
- 1997: — კომპიუტერმა Deep Blue-მ (IBM) მსოფლიო ჩემპიონი გარი კასპაროვი დაამარცხა.
- 2011: — კომპიუტერმა „აი-ბი-ემ უოთსონმა“ ამერიკული ტელეთამაში „რისკი“ მოიგო;
- 2015: — ილინოისის უნივერსიტეტის (აშშ) მეცნიერებმა 4 წლის ბავშვის ინტელექტის დონის ხელოვნური ინტელექტი შექმნეს;
- 2016: — „გუგლმა“ დააპატენტა ხელოვნური ბროლი, რომელიც თვალის გუგას ეწებება და მხედველობას აუმჯობესებს;
- 2016: — მასაჩუსეტსის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში (აშშ) ხელოვნური ინტელექტის პროცესორი დაამუშავეს;

- 2016: — ჰანოვერის უნივერსიტეტის მეცნიერებმა შექმნეს ისეთი რობოტი, რომელსაც აქვს ხელოვნური ნერვული სისტემა და გარე ზემოქმედებაზე (ტემპერატურა, წნევა) რეაგირება შეუძლია;
- 2016: — ამერიკელი გამომგონებელი **რეი კურცვაილი** მიიჩნევს, რომ 2030 წელს სისხლის უჯრედის ზომის ისეთი კომპიუტერი შეიქმნება, რომელიც ჩვენს ორგანიზმში გადაადგილდება და ყველა დაავადებას უმკურნალებს. ამით ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა დიდად გაიზრდება;
- 2016: — ინგლისელმა ასტროფიზიკოსმა **სტივენ ჰოკინგმა** კაცობრიობის განადგურების ერთ-ერთ პირველ მიზეზად ხელოვნური ინტელექტი დაასახელა;
- 2040: — „აიფონის“ პროცესორის სიმძლავრე ადამიანის ტვინის პოტენციალს გაუტოლდება;
- 2050: — კომპიუტერები სურათება დახატავენ და მუსიკას შექმნიან.

10. სინგულარობა

როგორც აღინიშნა, მურის კანონი ამტკიცებს: კომპიუტერების სიმძლავრე, საშუალოდ, ყოველ წელიწადნახევარში ორმაგდება.

ახლა წარმოვიდგინოთ, რომ ეს ექსპონენციალური ზრდა თვით გახდა ექსპონენციალური. ასეთ მოვლენას „სინგულარობას“[439] უწოდებენ, ანუ როცა თვით კომპიუტერებს შეეძლებათ ადამიანის გონებაზე ძლიერი ხელოვნური ინტელექტის შექმნა.

როგორ გაკონტროლდება მათი შედეგები?

ცნობილი მეცნიერები (ბრიტანელი „მნათობი“, ასტროფიზიკოსი **სტივენ ჰოკინგი**, ამერიკელი გამომგონებელი და ფუტუროლოგი **რაი-**

[439] ლათ. Singulus — განსაკუთრებული მოვლენა, სადაც ჩვეულებრივი კანონები აღარ მოქმედებენ. ამ ცნებას მეცნიერების სხვადასხვა სფეროში რამდენადმე განსხვავებული მნიშვნელობა აქვს. IT-ის სფეროში სინგულარობა ტექნოლოგიური იქნება. მეცნიერები ამ ტერმინით იმ გარდამტეხ მომენტს აღნიშნავენ, რომლის შემდეგ ტექნიკური პროგრესი ისე დაჩქარდება და გართულდება, რომ მისი შედეგები ჩვენი ცნობიერებისთვის მიუწვდომელი გახდება. ტერმინი „სინგულარობა“ 1993 წელს გაავრცელა ამერიკელმა მათემატიკოსმა **ვერნორ ვინჯმა** და მიიჩნია, რომ ყოველივე მოხდება XXI საუკუნის პირველ მესამედში.

მონდ კურცვაილი[440]) მიიჩნევენ, რომ, თუ კომპიუტერების განვითარება ამჟამინდელი სიჩქარით გაგრძელდება, სინგულარობა უახლოესს 20-30 წელიწადშია მოსალოდნელი.

ეს მოულოდნელად ან თანდათან მოხდება, მხოლოდ მანქანები გახდება უფრო რთული. ისინი ჩვენ ნაცვლად რიგ სამუშაოებს შეასრულებენ და მეტად დაგვემსგავსებიან. ჩვენ? ალბათ, მათ მივეჯაჭვებით.

ადამიანის ჩასანაცვლებლად ძლიერმა ხელოვნურმა ინტელექტმა უნდა შეძლოს ობიექტის შეცნობა და მასთან კომუნიკაცია, გამოიჩინოს გამომგონებლობა და სოციალური სიტუაციის ადეკვატური აღქმის უნარი. ბავშვები ამ უნარების სრულად ათვისებას საკმაოდ დიდხანს სწავლობენ — 8 წლამდე. რობოტები უკვე ასრულებენ მექანიკურ სამუშაოებს (მაგ., ბინის დასუფთავება, ნივთების დალაგება...), მაგრამ, ადამიანის მსგავსად შეეძლებათ კი ემოციების (სიყვარული, ალერსი, გაკვირვება, გაოცება, აღშფოთება და ა.შ.) გამომჟღავნება? ვეჭვობ. ინდივიდის ემოციები ხომ ბიოლოგიური იმპერატივების საფუძველზე გენების მეშვეობით საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბდა. ადამიანისმაგვარი ქცევა მოითხოვს ირაციონალური მოტივების განმსაზღვრელ დაპროგრამებას.

დღეს აქტიურად საუბრობენ აგრარულ და სამრეწველო რევოლუციურ სინგულარობაზე. ცნობილია, რომ უკანასკნელი 7000 წლის მანძილზე ეკონომიკის მწარმოებლურობა ყოველ 900 წელიწადში ორმაგდებოდა. დღეს კი, ამ შედეგს 15 წელი სჭირდება, ანუ 60-ჯერ ნაკლები. შემდეგი ნახტომი იქნება ეკონომიკის დეფიციტის დაძლევა: ჯერ რესურსების, შემდეგ, ალბათ, ადამიანის დროისა და ყურადღების.

თუ რობოტები შესძლებენ ადამიანთა ჩანაცვლებას, შრომის ნაყოფიერება დიდად გაიზრდება, რაც გამოანთავისუფლებს ადამიანებს უფრო აღმაფრენით-შემოქმედებითი საქმიანობისთვის.

იქნებ, არა?

ზოგადად, როცა ადამიანის შრომა მანქანით იცვლება, შრომითი დანახარჯები მცირდება (მას არ სჭირდება ხელფასი, შვებულება, დასვენება და ა.შ.), მაგრამ, ჩვენი თავისუფალი დრო, მატების ნაცვლად, რატომ კლებულობს?

---

[440] 2010 წელს კალიფორნიის შტატში (აშშ) დააარსა ინოვაციური სასწავლო დაწესებულება — სინგულარობის უნივერსიტეტი (მხარდამჭერები „გუგლი“ და „ნასა“). აქ მოღვაწეობენ ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ხელოვნური ინტელექტის სფეროს ცნობილი სპეციალისტები.

ალბათ, იმიტომ, რომ გამუდმებით გვაქვს გადიდებულ-ამბიციური მოლოდინი იმაზე, თუ რა შეგვიძლია გავაკეთოთ ან შევქმნათ.

არსებობს მოსაზრება, რომ ავტომატიზაციის გადიდება მასობრივ უმუშევრობასა და უსაქმურობას გამოიწვევს.

მაგრამ, შესძლებს კი მანქანა დასაქმების ისეთ სფეროებში ადამიანის ჩანაცვლებას, როგორიცაა პედაგოგიკა, სამართალი, ხელოვნება, არქეოლოგია და ა.შ.? ვინ იცის. იქნებ შესძლოს კიდეც!

მარადიული სწრაფვა

- 2016: — ახალზელანდიელმა მეცნიერებმა ხელოვნური ინტელექტის სისტემას ადამიანის მრისხანების გამოცნობა და მისი იმიტაცია „შეასწავლეს“;
- 2016: —იაპონური ფირმა „ჰიტაჩი“ იყენებს ხელოვნური ინტელექტის მენეჯერებს, რომლებიც აკონტროლებენ როგორც სამუშაო პროცესებს, ისე თანამშრომელთა ვალდებულებების შესრულებას;
- 2016: — დიდ ბრიტანეთში შექმნილ ვირტუალურ მწვრთვნელს (მოწყობილობას) სამთო-სათხილამური სპორტში იყენებენ;
- 2016: — ხელოვნურმა ინტელექტმა სილამაზის ფოტოკონკურსი ჩაატარა. ჟიური იყო 3 ალგორითმი: ღარები სახეზე, სახის სიმეტრიულობა და დადგენილ კრიტერიუმებთან შესაბამისობა.

11. გონების მოდიფიკაცია

ყველაფერი რასაც აღვიქვამთ, ცვლის ჩვენს ტვინს, მაგრამ რატომ ფუნდამენტურად არ იცვლება მისი შესაძლებლობები?

თანამედროვე ტექნოლოგიებს, განსაკუთრებით ინტერნეტსა და მობილურ კომპიუტერებს, სწორედ ეს შეუძლიათ „გაგვიკეთონ“ და ამით არა მარტო ჩვენზე, არამედ იმაზეც მოახდინონ გავლენა, თუ როგორ ვრეაგირებთ ერთმანეთზე.

საცხოვრისი სამყარო ფუნდამენტურად იცვლება. შესაბამისად იცვლება ჩვენი ბუნებაც, განსაკუთრებით ემოციური ასპექტები.

ზრდასრული ადამიანი ყოველდღიურად, საშუალოდ, 5-6 საათს ატარებს კომპიუტერთან, პლანშეტურ მოწყობილობასთან ან სმარტფონთან. და თუ დღეს ასეა, რა იქნება ხვალ, როცა ონლაინკომუნიკაცია კიდევ უფრო მეტად დაჩქარდება?

გვექნება დაჩქარებული, მეტალიზებული, ავტომატიზებული, ექსტრავერტულ-სენსორული სამყარო მხოლოდ ციფრული ჩარევებით,

სიმშვიდე-სიწყნარისა და თანაგრძნობის დეფიციტით, რაც აუცილებელია ადამიანთა ურთიერთობისა და საკუთარი თავის შესაცნობად.

რა თქმა უნდა, ვისწავლით ინფორმაციის გაფილტვრას და დამუშავებას, რადგან ჩვენი აზროვნება გახდება უფრო სწრაფი, მოქნილი და პლასტიკური, მაგრამ, სანაცვლოდ, რას დავკარგავთ?

რეფლექსური აზროვნების, ურთიერთგაგებისა და თანაგრძნობის გამოხატვის, ასევე რეალური სამყაროს ემოციური აღქმის უნარს, არსებულ პრობლემებს ელექტრონულ ეკრანზე შევხედავთ და მათ შესახებ ინფორმაციას საყურისებიდან მოვისმენთ, დავკარგავთ ორიგინალურობის, თავდავიწყებისა და მოგონების უნარს, ინტიმურ სივრცეს, გავხდებით ნაკლებად ექსპერიმენტულები!

ყოველივე როგორ ფასდება ნეიროფიზიოლოგიური ნიშნით?

პასუხი მარტივია, — ჩვენი „პლასტიკური“ ტვინი რეაგირებას მოახდენს მხოლოდ იმაზე, რასაც „სხვები“ შესთავაზებენ. და თუ ყოველივე მთელი სიცოცხლის განმავლობაში მოხდება, უვარჯიშობის გამო, ტვინი ატროფირდება, ანუ დაუქვეითდება უმთავრესი ფუნქცია — დამოუკიდებელი და შემოქმედებითი აზროვნების უნარი.

გამორიცხული არ არის, რომ მოვლენებმა უფრო პირქუში სახე მიიღოს: გავხდეთ უგუნურები, უფრო ზარმაცები, თავი დავანებოთ დიდი და რთული წიგნების კითხვას (რისი სიმპტომებიც უკვე არსებობს), გადავიდეთ თვალის მოსატყუებელ და უმაქნისს აზროვნებაზე, ცნება „რეალურმა“ არსებითად დაკარგოს შემეცნებითი მნიშვნელობა.

მარადიული სწრაფვა

- 2011: — ყოველდღიურად ზრდასრული ადამიანი მონიტორთან, საშუალოდ, 6 საათს იმყოფებოდა;
- 2012: — ინტელექტუალურობის კოეფიციენტის საშუალო დონემ დაიკლო;
- 2020: — ადამიანის ყურადღების საშუალო მდგრადობა (კონცენტაცია) 5 წუთამდე შემცირდება;
- 2035: — რეალურთან შედარებით, ბავშვები ვირტუალურ სამყაროში გაცილებით მეტ დროს გაატარებენ;
- 2040: — ინტელექტუალურობის კოეფიციენტის დონის მკვეთრი დაქვეითების შედეგად, სკოლებში „აიპედი“ აიკრძალება;
- 2060: — შენელებული აზროვნების გამო, საზოგადოებრივი საპროტესტო მოძრაობა გაძლიერდება.

12. ადამიანის შერწყმა მანქანასთან — „ადამიანი-2.0“

უკვე არსებობს ბიონური თვალები, ყურები, კონტაქტური ლინზები, ხელოვნური კიდურები, კარდიოსტიმულატორები, სახის ტრანსპლანტები და სხვა, რასაც ნორმალურად აღვიქვამთ.

მომავალში ხომ არ მოხდება მანქანასთან ადამიანის შერწყმა?

ახლიდან ვქმნით ან ადაპტირებას ვუკეთებთ ჩვენ სხეულს. ვცდილობთ გავიუმჯობესოთ გონებაც. რაღაც მომენტში აღარ ვიქნებით ადამიანები და გავხდებით „რაღაცეები“.

ადამიანი ოდითგანვე ცდილობდა შექმნილი გარემოებისა და პირობებისადმი ადაპტირებას. რეგულარულად ესწრაფოდა მხედველობის, ჯანმრთელობის, სისწრაფის, ძალისა და გონებრივი შესაძლებლობების გაუმჯობესებას. ყველაფერი დაიწყო სამოსიდან, ფეხსაცმლიდან, ვარცხნილობიდან, სათვალეებიდან, ახლა კი, თითქმის თვითნაკეთი ნივთი ვხდებით. ხელოვნური ნამზეური, გადიდებული მკერდი, გაბერილი ტუჩები... — რა არის ეს, თუ არა სურვილი საკუთარი თავის უკეთ წარმოჩენისა?

თუმცა, ეს ჯერ კიდევ არ არის ყველაფერი. წარმოიდგინეთ ხელოვნური გული, ღვიძლი, თირკმელი, სისხლი, პლასტმასის ძვლები, ლაბორატორიებში შექმნილი სხეულის ცალკეული ნაწილები, კონტაქტური ლინზები ინფორმაციული ტაბლოთი და რეალურობის აღქმის ფუნქციებით, ხელოვნური კანი და ა. შ.

ჩამოთვლილთაგან დიდი ნაწილი უკვე არსებობს ან კვლევით და სამრეწველო ლაბორატორიებში რეგენერაციული (აღდგენითი) მედიცინის, საინჟინრო საქმის, კომპიუტერული და ნანოტექნოლოგიების დახმარებით მალე შეიქმნება.

არ დაგვავიწყდეს ისიც, რომ არაბიოლოგიური (ხელოვნური) გონების სიმძლავრე ყოველწლიურად ორმაგდება (პრაქტიკულად გეომეტრიული პროგრესიით), ხოლო ბიოლოგიურის არსებითად არ იცვლება.

მთავარი დაბრკოლება არ არის სხეულის ცალკეული ორგანოების შექმნა, უმთავრესია ფუნქციურად (ორგანულად) მათი შერწყმა-შეერთება. როცა ჩვენი სხეული ფიზიკურად გაიცვითება, შეგვეძლება ახლის შეძენა, ანუ სხვა სხეულზე ჩვენი თავის მიბმა?

მედიცინაში უკვე არსებობს ტერმინი „კოსმეტიკური ნევროლოგია“, რომელშიც პლასტიკურ-ცერებრალური ქირურგია იგულისხმება.

ნანომედიცინისა და ეკრანული პროდუქციის „წყალობით“ ყოველივე ხელოვნურს ისე მივეჩვევით, რომ ბუნებრივი იმდენად იშვიათი გახდება, უცნაურად და არაბუნებრივად მოგვეჩვენება.

რა მოხდება თუ ხელოვნური ინტელექტი ხელოვნურ (მანქანურ) სხეულს დაუკავშირდება? მივიღებთ უკვდავ რობოტს? მატრიცას?

ალბათ, ახალ ტექნოლოგიებთან შერწმა საბოლოოდ გარდაუვალია, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში მოხდება. თქმულის საფუძვლიან საბაბს გვაძლევს თანამედროვე გენეტიკა, რობოტოტექნიკა, ინტერნეტი, ნანოტექნოლოგიები, ხელოვნური ინტელექტი და კიდევ მრავალი რამ, რაც ჯერ კიდევ არ გამოგონილა. მათი შეერთებით ახალ ჰიბრიდს მივიღებთ?

იქნება კი ყოველივე პროგრესი?

და თუ იქნება, რა მიმართულებით განვითარდება?

ხომ არ აღმოვჩდებით ჩვენივე შექმნილის მონობაში ან საერთოდ ზედმეტი?

ვინ იცის, ვინ იცის!?

მარადიული სწრაფვა

- 15 მილიონი წლის წინ არსებობდა ჰომინიდი;
- 2-4 მილიონი წლის წინ გაჩნდა ორფეხა მაიმუნი;
- 1,3-1,8 მილიონი წლის წინ წარმოიშვა ფეხზე მდგომი ადამიანი (Homo erectus);
- 0,2 მილიონი წლის წინ გაჩნდა მოაზროვნე ადამიანი (Homo sapiens);
- 2040: — შეიქმნება „ადამიანი-2.0“

13. ციფრული რეალობა

პრობლემა — დიდი მატერიალური დახარჯები

მსოფლიო ეკონომიკა სულ უფრო მეტად არამატერიალური ხდება. ეს ნიშნავს, რომ მრავალი არსებული ან მომავალში შესაქმ-ნელი ღირებულება ფიზიკურად აღარ იარსებებს. ახალი ეკონომი-კის ვალუტა ციფრული ფული იქნება.

მიმდინარეობს მსოფლიო ეკონომიკის დიგიტალიზაცია,[441] რაც სერიოზულ ცვლილებებს იწვევს წარმოების სფეროში. იგი ცვლის საქონლის ხარისხს, შედგენილობასა და მოხმარების გეოგრაფიას. მაგ., ძველი სამრეწველო ერა დამატებითი ღირებულების შესაქმნელად მნიშვნელოვან კაპიტალურ და შრომით რესურსებს მოითხოვდა. შედეგად, ბიზნესის ზრდის მაჩვენებლები მოკრძალებული იყო, ხოლო ინოვაციები მდოვრედ ხორციელდებოდა.

მოსალოდნელი ცვლილებები ექსპონენციალურ ხასიათს იღებს, რაც შეუქცევად/შეუჩერებელი იქნება. საქონელი უფრო მცირე და მსუბუქი ხდება. და ეს მსოფლიო ტრენდი მყარად მკვიდრდება, რასაც, ძირითადად, ორი ფაქტორი განაპირობებს: 1. მძიმე ეკოლოგიური ვითარება; 2. ნედლეულზე მაღალი ფასები.

მომავალში წარმატებული ის ეკონომიკა იქნება, რომელიც მცირე მატერიალური, მაგრამ მძლავრი ადამიანისეულ-ტექნიკური რესურსებით ზედმეტი ღირებულების გენერაციას შესძლებს.

მაშასადამე, მოზიდული მასალებისა და სამუშაო ძალის რაოდენობრივი შემცირება, ასევე მათი მიწოდებისა და განაწილების ეფექტურობა, ციფრული (ვირტუალური) პროდუქტების, მომსახურებისა და ინფორმაციის ბუმს გამოიწვევს.

ჯერჯერობით, ციფრული ინფორმაცია და მომსახურება შექმნა-მოხმარებისთვის ადამიანის ფიზიკურ მონაწილეობას მაინც მოითხოვს, საკმაოდ ძვირია ელექტროენერგიაც. მიუხედავად ამისა, ციფრული პროდუქტებისა და მომსახურების შექმნისა და განაწილებისთვის საჭირო დაბანდებები, ტრადიციულთან შედარებით, მაინც ნაკლებია და, შესაბამისად, პროდუქტებიც უფრო იაფი.

აღნიშნულით აიხსნება, თუ რატომ აქვს უპირატესობა ახალ ეკონომიკას (მაგ., სოციალურ მედიას, რომელიც ციფრულ საკუთრებას ფლობს და ყიდის) ტრადიციულთან (მაგ., საავტომობილო მანქანათმშენებლობა) შედარებით. მაგ., „ფეისბუკის“ შვილობილი კომპანია „ფარმვილას“ (რომელიც ნივთიერად არაფერს ქმნის) ღირებულება, დაახლოებით, 5 მლრდ დოლარად ფასდება.

იცვლება თვით შრომის პროცესი. სამუშაო ადგილი აღარ იქნება ფიზიკურ სივრცესთან მიჯაჭვული. მაგ., შეიძლება ცხოვრობდე ლონდონში და „მუშაობდე“ ნიუ-იორკში. იმავდროულად, ნაწილობრივ ეს ნიშნავს, რომ საქონლის ფასი და მასთან ერთად ხარისხიც, საგრძ-

[441] ციფრულ ფორმაში გადაყვანა, რომელიც ხელსაყრელია ელექტრონულ მატარებელზე ჩასაწერად.

ნობლად დაეცემა და ადამიანის უნარები განსაკუთრებულ ღირებულებას დაკარგავს.

მხედველობაშია მისაღები ისიც, თუ რას ნიშნავს ყოველივე ინტელექტუალური საკუთრებისთვის. რაც უფრო ფართოდ დაინერგება ურთიერთობის ციფრულ-ვირტუალური მოდელი, კიბერბოროტმოქმედებისთვის მით მეტი შესაძლებლობა გაჩნდება.

დიგიტალიზაციის შედეგად ადამიანთა საქმიანი და პირადი კომუნიკაცია, ნაცვლად ფიზიკურისა, „ღრუბლიან“ გარემოში, ანუ ვირტუალურ სამყაროში გადავა. მაგ., ხმოვან კომუნიკაციას (სატელეფონო საუბარს) თანდათან ელექტრონულ-ტექსტური შეტყობინება შეცვლის, რადგან უფრო სწრაფი, მოხერხებული და იაფია, თუმცა აკლია ემოციური დატვირთვა („სკაიპი“ არ გვაქვს მხედველობაში). ამიტომ არსებობს ურთიერთგაუგებრობის წარმოშობის მაღალი ალბათობა.

რა თქმა უნდა, სადაც არსებობს რაღაც ტრენდი, წარმოიშობა მისი საპირისპიროც: მრავალ სფეროში მოსალოდნელია ფიზიკური კონტაქტის ინტერესის ნაწილობრივი გაღვივება. მაგ., ქაღალდზე დაბეჭდილი წიგნი უფრო ძვირი გახდება, რადგან იშვიათი, უნიკალური იქნება.

ვრცელდება ახალი დასახელება — **„არაწონადი ეკონომიკა“**. ასე აღნიშნავენ იმ ფაქტს, რომ მრავალი „წარმოებული საქონელი“ არაწონადია, რადგან ინფორმაციის სახით არსებობს და მოიხმარება.

რას გამოიწვევს ყოველივე?

- დაკნინდება პროდუქციის წარმოების ადგილის როლი და მნიშვნელობა: განსხვავება აღარ ექნება, თუ სად იწარმოება ვირტუალური პროდუქცია;
- საქონლის წარმოებისა და გავრცელების ფასი მნიშვნელოვნად შემცირდება;
- კონკრეტული მომხმარებლის პერსონალიზაცია გამარტივდება.

დაინერგება „არაფრის ყიდვა და გაყიდვა“, ანუ რომელიმე ბრენდის თუ „ვარსკვლავის“ საქონლის (მაგ., პირადი ნივთების) ძალიან მცირე ფასში (მაგ., 5000 დოლარიანის 5 დოლარად) ვირტუალური ფორმით შეძენა და ფოტოკოლექციის შექმნა.

მარადიული სწრაფვა

- 2011: — პერსონალური და პლანშეტური კომპიუტერების, აუდიოფლეერების, ტელეფონებისა და პროგრამული უზრუნველყოფის მწარმოებელმა ამერიკულმა კორპორაცია „ეპლმა“ „აიქლაუდი“ წარმოადგინა;

- 2016: — ინფორმაციის ციფრული დამუშავებისთვის„გუგლმა“ დნმ-ის გამოყენება დაიწყო;
- 2022: — ყველაზე ძვირადღირებული კომპანია მსოფლიოში ფაქტობრივად, ნივთიერად არაფრის „მწარმოებელი“ იქნება;
- 2026: — ფიზიკური ფოტოსურათი მოხმარებიდან გაქრება;
- 2028: — ბიბლიოთეკათა წიგნადი ფონდი ვირტუალური გახდება;
- 2029: — „გუგლის“ ფასი 2 ტრილიონ დოლარამდე გაიზრდება;
- 2039: — ბავშვების 65% ფიზიკურად აღარ ივლის სკოლაში.

14. ბრძოლა წყლისთვის

პრობლემა — წყლის რესურსების უკმარობა

წყალი სიცოცხლისთვის ყოველთვის იყო საჭირო და მის დასაუფლებლად ოდითგანვე ომობდნენ. გაზრდილი მოსახლეობა, ურბანიზაციის მაღალი ტემპები, განვითარებული სოფლის მეურნეობა და ინდუსტრიალიზაცია, მომავალში მეტ წყალს მოითხოვს. თუმცა, კლიმატის ცვლილებამ, ბუნების დაბინძურებამ და წყლის არსებული რესურსების უყაირათო გამოყენებამ მისი მარაგები შეიძლება უფრო სწრაფად ამოწუროს.

უახლოეს მომავალში წყლის რესურსების უკმარობა ერთ-ერთი სერიოზული მსოფლიო პრობლემა იქნება.

ნავთობის ნაცვლად, კონფლიქტის მიზეზი წყალი გახდება. დაპირისპირება წყლის ჭარბ რეგიონებშია მოსალოდნელი. წყალი ხალხთა შორის „განხეთქილების ვაშლად“[442] იქცევა.

---

[442] მითური „ოქროს“ ვაშლი ზედწარწერით „უმშვენიერესს“, განხეთქილების ქალღმერთმა ერიდამ შეაგდო პელევსისა და თეტიდას ქორწილში, განრისხებულმა იმით, რომ თვითონ არ დაპატიჟეს. ქორწილში იმყოფებოდნენ ქალღმერთი ჰერა, ათენა და აფროდიტე. მათ შორის ერთ-ერთს უნდა რგებოდა „ოქროს“ ვაშლი. დავის გადასაწყვეტად ტროას მეფისწულს პარისს მიმართეს. აფროდიტემ მსაჯული დაიმარტოვა და აღუთქვს: ულამაზეს ქალს შეგრთავ თუ ვაშლს მე მარგებო, რითაც დაისაკუთრა კიდეც ვაშლი და უმშვენიერესის ტიტულიც. სანაცვლოდ პარისს დაეხმარა მენელაოსის მეუღლე მშვენიერი ელენე ტროაში ნაეყვანა, რაც დიდი განხეთქილების მიზეზი გახდა. ამას მოჰყვა ტროას ომი და 10 წლის შემდეგ ქალაქის დანგრევა; გადატანითი მნიშვნელობით დავის, უთანხმოების მიზეზი, ომის საბაბი.

დღეს, დაახლოებით, 1 მილიარდი ადამიანი (ძირითადად, აფრიკის მოსახლეობა) სასმელი წყლის დეფიციტის პირობებში ცხოვრობს. 20 წლის შემდეგ იგივე სიტუაცია პლანეტის მოსახლეობის 50%-ს შეექმნება, ხოლო ზოგიერთი რეგიონი (მაგ., ჩრდილოეთი აფრიკა, ახლო აღმოსავლეთი) უკიდურესად მწვავე ვითარებაში აღმოჩნდება.

წყლის დეფიციტი შეცვლის სოფლის მეურნეობის სტრუქტურას.

მსოფლიო წყლის რესურსების 60% სოფლის მეურნეობის ნათესების (ნარგავების) მოსარწყავად გამოიყენება. ამასთან, დღეს თითქმის 2-ჯერ მეტი სურსათი იწარმოება, ვიდრე 30 წლის წინ. ამიტომ სოფლის მეურნეობაში ნაკლები წყლის რესურსების მოხმარებადი კულტურების დათესვა განვითარდება.

ერთი კილოგრამი ბრინჯის მისაღებად 3 000-მდე ლიტრი წყალია საჭირო, ხოლო 1 კგ ხსნადი ყავის საწარმოებლად — 20 000 ლიტრი. ამიტომ წყლისადმი მოსახლეობის დამოკიდებულება არსებითად შეიცვლება: მისი აღურიცხავი ხარჯვა წარსულს ჩაბარდება, მეორეული გადამუშავება გაძლიერდება და დანაკარგები შემცირდება. მეცნიერების წინაშე მწვავედ დადგება ამოცანა — ხორბლეულის (მარცვლეულის) ისეთი კულტურების შექმნა, რომლებიც წყლის მინიმალურ რესურსს საჭიროებს.

წყლის მასშტაბური დეფიციტი მოსახლეობის იძულებით გარე უკონტროლო მიგრაციას მასობრივად გამოიწვევს.

წყლის ჭარბი რესურსების მქონე სახელმწიფოები მას გაყიდიან.

წყალი XXI საუკუნის ნავთობი იქნება.

ატმოსფერული ნალექების უმეტესობა მსოფლიო ოკეანეებში მოდის, რაც, პრაქტიკულად, არ გამოიყენება.

დიდია წყლის დანაკარგი მოძველებული წყალსადენი მილების, ასევე ფუჭი და არამიზნობრივი მოხმარების გამო. საშუალოდ დღეში ადამიანი სასმელად (მათ შორის, საკვებში) 2-3 ლიტრ წყალს მოიხმარს, თუმცა, 40—50-ჯერ მეტს ხარჯავს.

გარდა ამისა, მსოფლიო მოსახლეობა იზრდება, ადამიანები მდიდრდებიან და წყლით გაჯერებულ საკვებს (ხორცეული, თევზეული) უფრო მადიანად მიირთმევენ.

წყლის რესურსების მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის მონაცემებით, 2030 წლისთვის წყალზე მოთხოვნა 25%-ით გაიზრდება.

კორელაციური კავშირია წყლის მოხმარებასა და ეკონომიკურ ეფექტიანობას შორის.

ჩინეთს, რომელიც დედამიწის მოსახლეობის 20%-ის სამშობლოა, პლანეტის სასმელი წყლის მხოლოდ 5%-ზე აქვს მისაწვდომობა. შედე-

გად წყლის რესურსები ერთ სულ მოსახლეზე მსოფლიო საშუალო მაჩვენებელზე მცირეა. დიდია ალბათობა ამ გარემოებამ ჩინეთის ეკონომიკური აღმავლობა შეაფერხოს და წყალი მისთვის „აქილევსის ქუსლი“[443] გახდეს.

კიდევ ერთი პრობლემაა გარემოს დაბინძურება: ჩინეთის მდინარეთა 90% საქალაქო ტერიტორიების სიახლოვესაა და სერიოზულად მოწამლულია სხვადასხვა სახის ნარჩენებით.

მომავალში ღრუბლების თავისუფალი გაადგილება შეიზღუდება და რეგულირებას დაექვემდებარება.

მარადიული სწრაფვა

- 2003: — ქ. სიდნეიში და ქ. სინგაპურში სასმელი წყლით ავტომობილების რეცხვა და ნარგავების მორწყვა აიკრძალა;
- 2008: — ჩინეთის ქალაქების 70%-ს წყლის უკმარობა შეექმნა;
- 2015: — სასმელი წყლის დეფიციტი წარმოეშვა ირანს;
- 2021: — იემენის დედაქალაქ სანას წყალი დაუმთავრდება;
- 2032: — ქ. ლას-ვეგასი (აშშ) წყლის გარეშე აღმოჩნდება;
- 2050: — ერთ ბარელ წყალზე მსოფლიო ფასი დაწესდება.

15. ენერგეტიკული რესურსებისა და სასარგებლო წიაღისეულის ამოწურვა

პრობლება — ენერგიის დეფიციტი, ბუნებრივი რესურსების შეზღუდულობა

ენერგეტიკულ რესურსებზე, განსაკუთრებით ნავთობზე, მოთხოვნა სწრაფად იზრდება, რასაც მსოფლიო ეკონომიკური განვითარება და მოსახლეობის მატება განაპირობებს. იმავდროულად, შეზღუდული ბუნებრივი რესურსების მარაგები მცირდება.

საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტოს შეფასებით, დღეში 85 მილიონი ბარელი ნავთობი მოიხმარება. ნავთობის მოპოვება თავის პიკს 2025 წელს მიაღწევს, თუ მასზე მოთხოვნის ზრდა ახლანდელი ტემპით გაგრძელდება.

[443] ძველბერძენი მეომრის აქილევსის ერთადერთი სუსტი ადგილი.

პარალელურად მისი მოპოვების ტექნოლოგიაც განვითარდება, ანუ დედამიწის უფრო ღრმა ფენებიდან ნავთობმარაგებს ამოქაჩავენ. მიუხედავად ამისა, ენერგეტიკული მოთხოვნების დაკმაყოფილების 29% კვლავ ნავთობზე იქნება დამოკიდებული. არსებული მარაგების ამოწურვა პოლიტიკური ბრძოლის ახალი საბაბი გახდება.

ენერგიის ალტერნატიული წყაროების მოძიებისადმი ინტერესი ძალიან იზრდება.

ექსპერტების შეფასებით, 2050 წლისთვის მზე დააკმაყოფილებს ენერგიაზე ევროპული მოთხოვნების 15%-ს, ასევე არსებობს გეგმა ჩრდილოეთ აფრიკაში მზის უდიდესი ელექტროსადგურის აშენების შესახებ. ქარის, ზღვის ტალღებისა და წყლის მიქცევა-მოქცევის, ასევე გეოთერმული ენერგიები, ჯერჯერობით, ნაკლებპერსპექტიულია.

რაც შეეხება ტრადიციულ ბირთვულ ენერგიას, რისთვისაც საჭიროა ურანი, ისიც ამოწურვადია. ბირთვული ენერგიის სააგენტოს მტკიცებით, ურანის მოძიებული რესურსები, დაახლოებით, 5,5 მილიონ ტონას შეადგენს. ეს მარაგი კაცობრიობას, დღევანდელი მოხმარების პირობებში, მხოლოდ 100 წელი ეყოფა.

რა უნდა გაკეთდეს?

საჭიროა უფრო ეფექტურად გამოყენებადი მაღალტექნოლოგიური მოწყობილობებისა და წარმოების გამოგონება.

მსოფლიო საზოგადოების პროგრესული ნაწილი ალტერნატიული ენერგეტიკული ტექნოლოგიების შექმნაზე აქტიურად მუშაობს. ესაა მზის პანელებით ელექტროდენის გენერაცია, პლანეტის სიღრმიდან გეოთერმული ენერგიის წყაროების მოძიება და გამოყენება, ქარის ენერგია, წყლის მიქცევა-მოქცევის ენერგია, მოძრაობის ის ენერგია, რომელსაც ფეხით მოსიარულენი წარმოშობენ ქალაქის ტროტუარებზე სიარულისას, ასევე ბორბლების ბრუნვის ენერგია, რომლებიც, თავის მხრივ, ენერგიის სხვა წყაროებით იკვებებიან. დაუმატოთ ამას ენერგოდამზოგავი ინოვაციური ტექნოლოგიები, მაგ., ბუნებრივი განათების სიმკვეთრის ცვალებადობის შესაბამისად ქუჩის ფანრების განათების რეგულირება და სხვ.

მნიშვნელოვანია მთვარის სასარგებლო წიაღისეულის ათვისებაც.

კოსმოსური სასტუმროები და მუდმივი კოსმოსური ავანპოსტები დიდი ხანია აღელვებს კაცობრიობას. მიმზიდველია კოსმოსური ენერგოტრანსლაციის ბაზის კვლევაც. მაგრამ უფრო სავარაუდო და პრაქტიკულია მთვარის წიაღისეულის დამუშავება — იშვიათი სასარგებლო წიაღისეულისა და სხვა მოთხოვნადი ბუნებრივი რესურსების მოძიება.

მთვარის პირველი მაღარო დამუშავებულია. 1972 წელს ამერიკელმა ასტრონავტებმა „აპოლონ-17“-ის ხომალდით მთვარიდან 110 კგ ქვა ჩამოიტანეს. მას შემდეგ მთვარეზე არაფერი შეცვლილა, დედამიწაზე კი მრავალი ისეთი ახალი მოწყობილობა შეიქმნა, რომლებსაც ე.წ. „იშვიათი მიწების“ ათვისება შეუძლიათ.

„იშვიათი მიწა“ სიტყვასიტყვით ნიშნავს ისეთ მიწას, რომელიც ძალიან ხალვათია, იშვიათია. ვარაუდობენ, რომ მთვარის ზედაპირი ჰელიუმის აირებით სავსეა, რაც ჩვენამდე ვერ აღწევს, რადგან დედამიწის მაგნიტური ველი უკუაგდებს სხვა პლანეტებისაკენ.

მთვარის წიაღისეულის ათვისება დღეს ფანტასტიკურად ჟღერს, მაგრამ, ტექნიკური პროგრესის განვითარების დღევანდელი ტემპების პირობებში, არაფერია შეუძლებელი.

არანაკლებ მნიშვნელოვანია მზის ენერგიის გამოყენებაც.

კოსმოსი მზის ენერგიით უხვია და უღრუბლო. ხომ შეიძლება გიგანტური სარკეებით მზის ენერგიის დაგროვება და ორბიტალური ლაზერის ან მიკროტალღური გამოსხივების დახმარებით დედამიწაზე გამოგზავნა?

რადიკალურია?

დიახ, მხოლოდ ჯერჯერობით, რაც, სავარაუდოდ, მომავალში ჩვეულებრივი მოვლენა გახდება.

არც თუ ისე დიდი ხნის წინათ, კაცობრიობამ ელექტრობის უმათულოდ გადაცემა შესძლო. გვაქვს თანამგზავრული ტელევიზია, რითაც ელექტრომაგნიტური სიხშირით კონტექსტი (სიტყვა, გამოსახულება) დედამიწაზე ვრცელდება.

არის ერთი მნიშვნელოვანი უპირატესობაც, — კოსმოსი მთლიანად ეკოლოგიურია. იქ არც ღრუბლებია, არც ჰაერი და არც ღამე. მზის ენერგია ატმოსფერული აირებით არ გაიფილტრება. ამიტომ პარაბოლური თეფშები მზის რადიაციულ ენერგიას უწყვეტ რეჟიმში მიიღებენ.

კოსმოსში ასეთი თეფშების განთავსება უდაოდ მეტად რთულია. იგი ჩვენთვის არამეგობრული სივრცეა და უცხო სხეულებს ვერ ეგუება. ამიტომ თეფშებს მოვლაც დასჭირდება, რასაც, ალბათ, ჩვენი „ხელოვნური მეგობრები“ — რობოტები შესძლებენ.

დაბრკოლებები მრავალ სფეროში იქნება (მაგ., სამართლებრივი — ლიცენზიების ასპექტებით, უსაფრთხოების და ა.შ.), მათ შორის დაგროვილი ენერგიის დედამიწაზე უდანაკარგოდ გადმოცემაში. მაგრამ ტექნოლოგიების განვითარების ისტორია გვიჩვენებს, რომ მსგავსი პრობლემები მხოლოდ დროისა და ფულის საკითხია.

მოცემულ იდეას მრავალი ორჭოფულად შეხედავს და იტყვის: მზის ენერგია ჯერ დედამიწაზე სრულად ავითვისოთ (მაგ., დავაყენოთ მზის დიდი ბატარეები სახლების სახურავებზე, უდაბნოებში, წყალსაცავებზე, ტბებზე, გზებზე, თუნდაც ზღვებსა და ოკეანეებზე), რაც გაცილებით იაფი და ეკონომიურია, მერე კი, კოსმოსში გაჭრაზე ვიფიქროთ. და აბსოლუტურად მართალიც იქნება, მაგრამ კოსმოსის კოლოსალური ენერგიის ათვისება ადამიანის ოცნებაა და დიდი შემოსავლების მიღების უშრეტ-ულევი წყაროა.

მარადიული სწრაფვა

- 1913: — აშშ-ში მზის ბატარეების პატენტი დარეგისტრირდა;
- 1950-ანი წწ. — კომპანია „ბელის“ ლაბორატორიებში მზის ბატარეების საცდელი ნიმუშები გამოსცადეს;
- 1964: — დაიბეჭდა **დენიელ ფერინგტონის** წიგნი „მზის ენერგიის პირდაპირი გამოყენება“;
- 1971: — მზის ბატარეებზე მომუშავე ხომალდი „სალუტ-1“ კოსმოსში გაფრინდა;
- 1973: — ნავთობის პირველი კრიზისი დაიწყო;
- 1979: — აშშ-ის პრეზიდენტის **ჯიმი კარტერის** ბრძანებით, თეთრი სახლის სახურავზე მზის ბატარეები დადგეს;
- 1999: — ერთი ბარელი ნავთობის ფასი იყო 10 დოლარი;
- 2007: — ერთი ბარელი ნავთობის ფასი იყო 147 დოლარი;
- 2008: — მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა ნავთობის ფასის კოლაფსი გამოიწვია;
- 2010: —ქ. სევილიაში (ესპანეთი) მსოფლიოში პირველი კომერციული მზის ელეტროსადგური ააგეს;
- 2015: — მილიარდელმა **ბილ გეიტსმა** ენერგიის ალტერნატიული წყაროების სფეროში სამეცნიერო კვლევების დასაფინანსებლად 2 მილიარდი დოლარი გამოყო;
- 2015: — კომპანია „ბოინგმა“ გასცა პატენტი თვითმფრინავების ხმაურიდან ელექტროენერგიის მიღების შესახებ;
- 2015: — IT-ინდუსტრიის ცნობილმა წარმომადგენლებმა, მილიარდელებმა, **ბილ გეიტსმა** და **მარკ ცუკერბერგმა** ენერგიის სუფთა და ალტერნატიული წყაროების ძიებისა და დამუშავების მხარდაჭერის საინვესტიციო ფონდი (Breakthrough Energy Coalition) დააფუძნეს;

- 2015: — მილიარდელმა **ბილ გეიტსმა** შექმნა პროგრამა-ინიციატივა Mission Inovation, რომელიც აერთიანებს 20 ქვეყანას (აშშ, დ. ბრიტანეთი, ჩინეთი, ინდოეთი, ბრაზილია და სხვ.). ინიცატივის მიზანია მომავალ ხუთწლედში ენერგიის სუფთა და ალტერნატიული წყაროების დამუშავებაში სახელმწიფო ინვესტიციების წლიური დონის 10-დან 20 მილიარდამდე გაზრდა;
- 2015: — კრეატიული ქიმიის დახმარებით, ქ. ბერკლის (კალიფორნიის შტატი, აშშ) ლოურენსის სახ. ნაციონალურ ლაბორატორიაში გამოიგონეს მზის სხივის ამრეკლი პოლიმერული საღებავი, რომლითაც 10-ჯერ მცირდება ფანჯრებიდან მზის სითბური ნაკადის შეღწევადობა. ამით იზოგება კონდიცირების ენერგია;
- 2016: — საავტომობილო კონცერმა „აუდიმ“ გამოფენაზე წყალბადზე მომუშავე ავტომობილის ნიმუში წარმოადგინა;
- 2016: — მზის ბატარეებზე მომუშავე თვითმფრინავმა წყნარი ოკეანე გადაიფრინა;
- 2016: — ფლორიდას შტატში (აშშ) დაიწყო ქალაქის მშენებლობა, რომელიც მხოლოდ მზის ენერგიით მომარაგდება;
- 2016: — იაპონიაში მოცურავე მზის ელექტროსადგურის აშენება დაიწყეს;
- 2016: — კომპანია „ფილიპსმა“კომპანია „ერიქსონთან“ ერთად ქ. ლოს ანჯელესში დაამონტაჟა ქუჩების განათების ახალი სახეობა — LED-ფანრები, რომელიც ენერგოეფექტური და უმავთულო ნათურებით ანათებს;
- 2016: — შოტლანდიის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე მცურავ პლატფორმაზე ქარის ელექტროსადგურების დამონტაჟება გადაწყვიტეს;
- 2016: — ჰარვარდის უნივერსიტეტის ქიმიკოსმა **დანიელ ნოსერამ** შექმნა ბაქტერიის ისეთი სახეობა, რომელსაც ჰაერის სპირტად გარდაქმნა შეუძლია;
- 2018: — არქტიკაში ნავთობის მოპოვება დაიწყება;
- 2020: — ჩრდილოეთ აფრიკაში მზის ელეტროსადგური აშენდება;
- 2025: — ნავთობი, ქვანახშირი და გაზი ენერგომიწოდების 70%-ს დაფარავს;
- 2025: — ნიდერლანდში დიზელსა და ბენზინზე მომუშავე მანქანები აიკრძალება;
- 2028: — ნავთობის არაგამოყენებადი ქვეყანა დანია იქნება.

- 2029: — მზის სხივების შემკრები თეფშები გამოიცდება;
- 2030: — პლანეტის საერთო მოთხოვნები ენერგიაზე, 2008 წელთან შედარებით, 50%-ით გაიზრდება;
- 2040: — კოსმოსიდან დედამიწაზე მზის ენერგია გადმოიცემა.
- 2045: — ჩინეთის ტერიტორიულ წყლებში „სუფთა“ ენერგიის კუნძულები შეიქმნება.

16. „ზუსტი მიწათმოქმედება“

პრობლემა — დიდი დანახარჯები სოფლის მეურნეობაში

პლანეტის მოსახლეობისა და მათი შემოსავლების ზრდა სოფლის მეურნეობას ახალ გამოწვევებს სთავაზობს, — უპასუხებს თუ არა იგი ეფექტურად? განსაკუთრებით ცვალებადი კლიმატის ნეგატიური ზეგავლენის პირობებში მოსავლიანობაზე?

არც თუ ისე შორეულ წარსულში, აგრარული სექტორის მუშაკები თავიანთ შრომაში ცდებისა და შეცდომების მეთოდს, ასევე წინა თაობათა მიერ დაგროვილ მდიდარ გამოცდილებას იყენებდნენ, რაც დღეს უკვე ნაკლებეფექტურია.

ტერმინი „ზუსტი მიწათმოქმედება“ აღწერს თანამგზავრული ნავიგაციისა და ციფრული რუკების გამოყენებას აგრარული კულტურების დათესვის, პესტიციდების გამოყენებისა და ნათესების მორწყვის საქმეში, ხოლო ზოჯერ — მეცხოველეობაში.

მაგ., მინდვრების ზუსტი თანამგზავრული სურათები მიწათმოქმედებას საშუალებას აძლევს არეგულიროს ქიმიური სასუქების შეტანა თითოეული მცენარის მიხედვით, რაც სასუქების ხარჯვასა და მცენარეთა ფესვების დანაგვიანებას მნიშვნელოვნად ამცირებს.

დიდი ბრიტანეთის მიწათმოქმედთა 13% სოფლის მეურნეობაში ავტოპილოტებს უკვე იყენებს.

მალე ჩაირთვება ავტომატიზებული კომბაინები და რობოტები.

პერსპექტივაში ეკონომიკური მდგრადობა ეკოლოგიურ მდგრადობაზე იქნება დამოკიდებული.

დიდი ბრიტანეთის ზოგიერთ რეგიონში მოქმედებს მსხვილფეხა საქონლის ავტომატური მონიტორინგის ვიდეოსისტემა, რითაც პირუტყვის დასაკლავად მზადყოფნის ხარისხი კონტროლდება. პროგრამა ვიზუალური დაკვირვებით ამუშავებს საქონლის სხეულის ცალკეული ნაწილების კონფიგურაციას, ხოლო ალგორითმების დახმარებით მის წო-

ნას, კვების ნორმებსა და ხორცზე მიმდინარე საბაზრო მოთხოვნას განსაზღვრავს.

რისთვის არის საჭირო ასეთი სირთულეები?

დანახარჯების შესამცირებლად და მოგების გასადიდებლად.

2050 წლისთვის მსოფლიო მოსახლეობის 80% ქალაქებში იცხოვრებს. სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთების დეფიციტისა და სატრანსპორტო ნაკადების განტვირთვის გათვალისწინებით, „ვერტიკალური საქალაქო სოფლის მეურნეობის“ იდეა არც ისე უტოპიურია. მაღალსართულიანი ფერმები შესაძლოა დიდ ქალაქშიც განლაგდეს.

17. თევზჭერა თევზმჭერთა გარეშე

პრობლემა — დიდი დანახარჯები მეთევზეობაში

უახლესი მეცნიერული დამუშავებები და ტექნოლოგიები ღია ოკეანეში თევზრეწვისას შეიძლება გამოვიყენოთ. საერთო იდეა ასეთია: აგებული იქნას უდიდესი მოტორიზებული ან იალქნიანი ბადე-სათბური, რომელშიც ლაბორატორიაში გამოყვანილი ლიფსიტები გაიშვება და ღია ზღვაში განთავსდება. მათი კვება შეიძლება ბუნებრივი გზით ან საკვების გარედან მიწოდებით. ბადე-სათბურის დისლოკაციის მონიტორინგი ხელოვნური თანამგზავრებით მოხდება. ბადეში დამონტაჟებული კამერები აღიჭურვება შესაბამისი პროგრამებით, რითაც განისაზღვრება თევზების ზომები და სულადობა. შემდეგ შეიძლება ბადის საჭირო მიმართულებით გადენა, გადამზიდზე ჩაბმა და პორტში გადატანა. არავითარი საჰაერო ტვირთგადაზიდვა, შორეული ნაოსნობის დიდხარჯიანი რეისები ან გაყინვები.

რისთვისაა საჭირო ყოველივე?

უცილებელია, რადგან მოსახლეობის შემოსავლები აზიასა და აფრიკაში იზრდება, კვებისადმი დამოკიდებულებაც იცვლება, — კლებულობს მოთხოვნილება ბოსტნეულზე და მატულობს ხორცეულსა და თევზეულზე. მაგ., ჩინეთში თევზის წლიური მოხმარება ერთ კაცზე 1990 წლის 11,5 კგ-დან, 2010 წელს 25,6 კგ-მდე გაიზარდა. ამიტომ თევზის რესურსების 28% უკვე ამოწურულია ან გაქრობას უახლოვდება. საჭიროა სასწრაფო ღონისძიებების გატარება. მალე უდაბნოში თევზების გამრავლება დაიწყება, რადგან 1 კგ თევზის გამოზრდისთვის 10 ლიტრი წყალია საჭირო, 1 კგ ხორბლისთვის კი, — 750.

პროგნოზების თანახმად, პლანეტის სწრაფად მზარდი მოსახლეობის გამოსაკვებად 2030 წელს საჭირო გახდება სასურსათო წარმოების 50%-ით გადიდება, ხოლო 2050 წლისთვის — გაორმაგება.

მარადიული სწრაფვა

- 1845-1849: — ირლანდიაში მძვინვარებდა „კარტოფილის დიდი შიმშილი“. შედეგად დაიღუპა 1,5 მილიონამდე კაცი. დაახლოებით, ამდენივე ემიგრაციაში წავიდა კანადასა და აშშ-ში (მათ შორის იყო პრეზიდენტ **ჯონ კენედისა** და ამერიკული საავტომობილო მაგნატის **ჰენრი ფორდის** დიდი წინაპრებიც), მოსახლეობა 30%-ით შემცირდა. მიზეზი დღესაც ბუნდოვანია. არსებობს საფუძვლიანი ეჭვი ბრიტანელების მიერ კარტოფილის დაავადების ხელოვნურად პროვოცირების შესახებ;
- 1917: — დ. ბრიტანეთში შაქრის ულუფის დარიგება დაიწყეს;
- 1974: — ჩინეთში ჰიბრიდული ბრინჯი გამოიყვანეს;
- 1996: — ევროპაში თავისუფალ გაყიდვაში გენეტიკურად მოდიფიცირებული კვების პროდუქტები დაუშვეს;
- 2032: — ზღვის პროდუქტებზე მოთხოვნის 80% აკვამეწარმეობით დაკმაყოფილდება.

18. მოსახლეობის სტრუქტურული ცვლილებები და მიგრაციის გაძლიერება

პრობლემა — ზრდის ტემპების შენელება, მოსახლეობის დაბერება, უკონტროლო მიგრაცია

XX საუკუნეში დედამიწის მოსახლეობა თითქმის 4-ჯერ — 1,6-დან 6,1 მილიარდ კაცამდე გაიზარდა, 2011 წელს კი, 7 მილიარდს გადააჭარბა.

გაეროს პროგნოზით, მოსახლეობის ზრდის ტემპები შენელდება: 8 მილიარდი გახდება 2025 წელს, 9 — 2043 წელს, 10 — 2083 წელს.

იმავდროულად, მოსახლეობის საშუალო ასაკი მოიმატებს ანუ დაბერდება, გაძლიერდება ხალხთა გარემიგრაციული ნაკადები და გართულდება მათი კონტროლი.

რატომ მატულობს მოსახლეობის რაოდენობა?

1900 წელს სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა იყო 30 წელი, XXI საუკუნის პირველ ათწლეულში კი 65 წელს გადააჭარბა. თუ ადამიანის ჯანმრთელობის გაუმჯობესება წინა საუკუნის დამსახურებაა, ახლა ფერტილობის (გამრავლების) უნარი მცირდება, რაც მიმდინარე საუკუნის თავისებურებად მიიჩნევა.

შობადობა მთელ მსოფლიოში კლებულობს. ფერტილობის დაქვეითება ახასიათებს როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნებს, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში მოსახლეობის ზრდის ტემპებს შეამცირებს და სამუშაო ძალის უკმარობას გამოიწვევს.

თაობა, რომელიც სამომავლოდ მცირე შთამომავლობას ტოვებს, გენეტიკურ-კულტურულ მემკვიდრეობას მნიშვნელოვნად ამცირებს.

მართალია ჩინეთისა და ინდოეთის მოსახლეობა 1990 წლიდან მასშტაბურად მატულობს, მაგრამ მომავალში სიტუაცია შეიცვლება. უახლოეს 20 წელიწადში მატების ცენტრი აფრიკაში გადაინაცვლებს.

ბევრს საუბრობენ ჩინეთისა და ინდოეთის ამჟამინდელი მოსახლეობის კოლოსალურ რაოდენობაზე, მაგრამ ყურადღების მიღმა რჩება მათი დიასპორები (შესაბამისად, 70-80 და 25-30 მილიონი კაცი), რაც სერიოზულ გავლენას ახდენენ მიმღებ სახელმწიფოთა კულტურულ და სოციალურ-ეკონომიკურ პოლიტიკაზე.

მოსახლეობის მნიშვნელოვანი ზრდა მოსალოდნელია ბანგლადეშსა და პაკისტანში. ხალხთა ნამატის ნახევარი ჩინეთში, ინდოეთში, ბანგლადეშსა და პაკისტანში იცხოვრებს.

საერთო პრობლემაა სწრაფად დაბერებადი მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფა, განსაკუთრებით ფერტილობის შემცირებისა და სამედიცინო მომსახურების გაძვირების ფონზე.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ხალხთა არარეგულირებადი გარე მიგრაცია. ჩრდილოეთ აფრიკიდან და ახლო აღმოსავლეთიდან მოზღვავებული არალეგალური მიგრაცია ევროპისთვის სერიოზული საფრთხეა. საყურადღებოა ისიც, რომ ახალი მიგრანტები მიმღები სახელმწიფოების მიმართ ვალდებულებას ნაკლებად გრძნობენ. გაძლიერდება ნაციონალისტური ტენდენციებიც. უკვე შეინიშნება დამოუკიდებლობის მოპოვების აქტიური მცდელობები (მაგ., დიდი ბრიტანეთში — შოტლანდია, ესპანეთში — კატალონია).

ყოველივე ხომ არ გამოიწვევს წვრილ ნაციონალურ ქვეყნებად ევროპის დაყოფას, როგორც ადრე არსებობდა?

მარადიული სწრაფვა

- ძვ. წ. X ს. — მსოფლიოში ცხოვრობდა 1 მილიონი კაცი;
- 1810: — გახდა 1 მილიარდი;
- 1927: — 2 მილიარდი (სხვაობა 117 წელი);
- 1960: — 3 მილიარდი (სხვაობა 33 წელი);
- 1974: — 4 მილიარდი (სხვაობა 14 წელი);
- 1987: — 5 მილიარდი (სხვაობა 13 წელი);
- 1999: — 6 მილიარდი (სხვაობა 12 წელი);
- 2011: — 7 მილიარდი (სხვაობა 12 წელი);
- 2025: — გახდება 8 მილიარდი (სხვაობა 14 წელი);
- 2043: — 9 მილიარდი (სხვაობა 18 წელი);
- 2083: — 10 მილიარდი (სხვაობა 40 წელი).

19. გეოინჟინერია

პრობლემა — ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესება

დედამიწის კლიმატი და სასიცოცხლო გარემო ჩვენივე „დამსახურებით“ დღითიდღე უარესდება. გლობალური მასშტაბით რაღაც ქმედითი უნდა გაკეთდეს, რადიკალურად შეიცვალოს ეკოლოგიური პარადიგმა. ეს მხოლოდ კაცობრიობას სჭირდება და არა დედამიწას. ის უჩვენოდ გაცილებით უკეთ და ლაღად იგრძნობს თავს. მისთვის ზედმეტი და შემაწუხებელია ის სულთამხუთავი ხელოვნური არტახები (ცათამბრჯენები, გზები, ავტომობილები, საჰაერო და საოკეანო ლაინერები, რკინიგზები, მეტრო, მაღაროები, ჭაბურღილები, წყალსაცავები, ხელოვნური ტბები და კუნძულები, აკვედუკები, ხიდები, გვირაბები, ჯებირები, არხები და ა.შ.), რომლებიც ადამიანთა მოდგმამ თავისთვის შეიქმნა და პლანეტა ელექტრომაგნიტურ ველში ულმობლად გაახვია.

დაუნდობლად ვანადგურებთ იმ ბიოსფეროს, რაზედაც დამოკიდებულია ჩვენი ფიზიკური არსებობა (აი, ადამიანის „გონიერების“ კიდევ ერთი „საუკეთესო“ მაგალითი!?).[444]

---

[444] შდრ.: — **ბიბლია:** „აიყვანა ადამი უფალმა ღმერთმა და დაასახლა ედემის ბაღში მის დასამუშავებლად და დასაცავად“.

მარადიული სწრაფვა

- 2016: — ესპანელმა სტუდენტმა არი იონსონმა წყალმცენარე აგარისგან დაამზადა ბოთლი, რომელიც დაცლის შემდეგ რამდენიმე კვირაში თავის პირვანდელ ფორმას უბრუნდება;
- 2016: — ინდიანას უნივერსიტეტის (აშშ) მეცნიერებმა წყალბადის წარმოების ნანორეაქტორი შექმნეს. ესაა ბიონივთიერება, რომელიც ეფექტური კატალიზატორია წყალბადის მისაღებად. მიაჩნიათ, რომ მისით უფრო იაფი წყალბადის გაზი მიიღება;
- 2019: — კლიმატის ცვლილების პრობლემატიკაზე ნობელის პრემია მიენიჭება;
- 2021: — ოკეანის გამდიდრების მსხვილმასშტაბიანი პირველი ექსპერიმენტი ჩატარდება;
- 2025: — სასათბურე გაზებთან დაკავშირებული ექსპერიმენტი ფართოდ გავრცელდება;
- 2027: — დატბორვის გამო, ვენეციას, მაიამისა და დაკას მოსახლეობის მნიშვნელოვანი რაოდენობა დატოვებს.
- 2030: — ჰაერიდან ნახშირორჟანგის გამწოვი ხელოვნური ტყეები შეიქმნება;
- 2050: — გლობალური კოსმოსური სარკის იდეა პრაქტიკულად განხორციელდება.

20. გიგანტური ქალაქები

პრობლემა — მოსახლეობის უთანაბრო განსახლება

1800 წელს მსოფლიო მოსახლეობის 3% ქალაქებში ცხოვრობდა, დღეს — 50%-ზე მეტია. 2050 წელს ეს ციფრი 80%-ს მიაღწევს.

მომავალი იერსახის ქალაქი, რომლებზეც ჩვენი ყოფა იქნება დამოკიდებული, ჯერ არ აშენებულა.

1975 წელს მსოფლიოში 3 გიგანტი ქალაქი იყო: ნიუ-იორკი, მეხიკო და ტოკიო, დღეს კი, — 20-ზე მეტია. მოსახლეობის 20% 600-მდე ქალაქში ცხოვრობს, სადაც პლანეტის მშპ-ის 50% იწარმოება.

მსოფლიოში უძველესი კომპანია 1 400 წლისაა (იაპონური სამშენებლო კომპანია „კონგო გუმი“), უძველესი უნივერსიტეტი (ბოლონიის უნივერსიტეტი) — 1 000, მოქმედ რელიგიათა შორის უძველესი (იუდა-

იზმი) — 3 500, ხოლო უძველესი ქალაქები — იერუსალიმი და იერიქონი, შესაბამისად, 4 000 და 10 000 წლის.

რა არის მათი ასეთი ხანგრძლივი „სიცოცხლის“ მიზეზი?

მოქნილობა, დროის მოთხოვნების შესაბამისი ცვლილება.

იცვლებიან ადამიანებიც — „მოდიან“ და „მიდიან“, ქალაქები კი, რომლებიც გამუდმებით ინგრეოდა და ნადგურდებოდა, კვლავ შენდებოდა. ტოკიო, მეხიკო, ნიუ-იორკი, ლონდონი და სხვები, არსად „წასულან“. პირიქით, ისინი დროთა მოთხოვნების შესაბამისად თანამედროვე „ქალაქ-სახელმწიფოებამდე“ გარდაიქმნენ და, თავიანთი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მასშტაბებით, რიგ ქვეყნებსაც დიდად აღემატებიან კიდეც.

შეიცვლება თანამედროვე „ქალაქ-სახელმწიფოების“ პოლიტიკა და მათ მიმართ სხვათა დამოკიდებულება, რადგან მსხვილ, გიგანტურ ქალაქებშია თავმოყრილი ძირითადი ეკონომიკური პოტენციალი, მედიანური ინტერესები და იდეოლოგიური ცენტრები. 2020 წლისთვის ტოკიოს ან ნიუ-იორკის წლიური მშპ-ის მოცულობა „დიდი შვიდეულის“ ერთ-ერთი წევრის, კანადის ანალოგიურ მაჩვენებელს გაუტოლდება.

რა საერთო აქვთ თანამედროვე გიგანტ-ქალაქებს?

თითქოს არაფერი. ზოგადად, ქალაქი არსებობს, როგორც კარგად ორგანიზებული, მშვიდი, ეკოლოგიური, ისე მოუწესრიგებელი, ჭუჭყიანი, მტვრიანი, ხმაურიანი, საშიში და ა.შ.

ყველა გიგანტ-ქალაქს 2 საერთო თავისებურება ახასიათებს:

1. დიდ პრობლემებს ქმნიან ეკოლოგიისა და რესურსების გამოყენების თვალსაზრისით — მოიხმარენ მსოფლიოში წარმოებული ენერგიის, დაახლოებით, 75%-ს;
2. მაგნიტივით უშრეტად იზიდავენ ადამიანთა ენერგიას — სხვადასხვა შესაძლებლობებისა და ინტერესების ინდივიდებს.

ქალაქი ადამიანის დიდი ფიზიკური და გონებრივი შრომის ნაყოფია. იგი ასახავს კაცობრიობის ისტორიას, მის ბრძოლას თავისუფლებისა და შემოქმედებისთვის, ასევე ეგოიზმსა და შეცდომებსაც.

დღეს აქცენტი კეთდება ეკოლოგიურ და „გონიერ“ ქალაქებზე.

მარადიული სწრაფვა

- 1800: — მსოფლიო მოსახლეობის 3% ქალაქში ცხოვრობდა;
- 1950: — მსოფლიოში 83 ქალაქი იყო 1 მილიონ კაცზე მეტი მოსახლეობით;
- 2000: — დიდ ტოკიოში 35 მილიონი კაცი ცხოვრობდა;
- 2003: — მსოფლიო მოსახლეობის 50% ქალაქების მკვიდრი იყო;

- 2007: — მსოფლიოში 468 ქალაქი იყო 1 მილიონ კაცზე ჭარბი რაოდენობით;
- 2018: — დეტროიტი (აშშ) იქნება პირველი ქალაქი, რომლის მოსახლეობა ყოველწლიურად 20%-ით შემცირდება;
- 2030: — პლანეტის მოსახლეობის 60% ქალაქად იცხოვრებს;
- 2050: — აფრიკელთა 50% ქალაქის მკვიდრი იქნება.

21. ადგილობრივი ენერგოქსელები

პრობლემა — ცენტრალური ენერგომომარაგების დიდი ხარჯები და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესება

დიდი ჰიდრო- და თბოელექტროსადგურების ნაცვლად, ადგილობრივი წყაროების გამოყენებით ენერგოწარმოება და მოხმარება ერთ-ერთ პროგრესულ მიმართულებად ითვლება. აღნიშნულის პრაქტიკული მაგალითი მრავალია, მაგ., დიდი ელექტროგამოთვლელი მანქანა პერსონალურმა კომპიუტერმა შეცვალა, ეს უკანასკნელი — ინტერნეტში ჩართულმა მობილურმა ტელეფონმა და სხვ.

ცენტრალიზებული ელექტრომომარაგება ძვირია და არაეფექტური. საყურადღებოა ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესებაც.

თანამედროვე პროგრესული საზოგადოება ყურადღებას ამახვილებს ენერგიის ალტერნატიულ წყაროებზე და ამ მიმართულებით სათანადო აპარატების შექმნაზე მუშაობს. კერძოდ, აქცენტი გადადის მზის ბატარეებზე, ქარის ტურბინებსა და ბიოგაზის მწარმოებელ აპარატებზე — ბიორეაქტორებზე. ეს უკანასკნელი სოფლის მეურნეობის ნარჩენების გადამმუშავებელი ბიოგაზის წარმოების აპარატია. მაგ., ნაკელი და ჩელხი (გაულეწავი პურეულის თავთავის ნაწილები) მეთანად გარდაიქმნება, რითაც ელექტროგენერატორი იკვებება. ამ მეთოდს იყენებს გერმანული კომუნა ფრაიმატი[445], რომელიც არა მარტო ენერგეტიკულად ავტონომიურია, არამედ ჭარბი ენერგიის გამყიდველიც. ასეთი მიდგომა ნიშნავს დანარჩენი სამყაროდან არა გამოცალკევებას, არამედ პირიქით, მასში ორგანულად ჩართვას, მთლიანობის ხაზგასმას.

გარდა ამისა, ენერგიის ადგილობრივი წარმოება უფრო ეფექტურია. ცნობილია, რომ საშუალო სიმძლავრის ელექტროსადგურში და-

გროვილი ენერგია კონვერსიის პროცესში 70%-ით მცირდება. აქედან, რაც რჩება, კიდევ 7% ელექტროგადამცემ ხაზებში იკარგება.

თანამედროვე დანია ენერგეტიკულად ყველაზე ეფექტური ქვეყანაა — ლიდერია ადგილობრივი წყაროებიდან წარმოებული ენერგიის სფეროში. მან პირველმა შემოიღო სპეციალური შეღავათიანი ტარიფები, ხოლო განახლებადი წყაროებიდან ენერგიის მწარმოებლებს, მათ შორის კერძო მეწარმეებს, მათ მიერ გადამუშავებულ ენერგიაზე უხდიან. ქვეყანაში წარმოებული ენერგიის თითქმის მესამედი ადგილობრივი წყაროებიდან მიიღება, რომელიც ჩართულია ცენტრალურ ენერგოსისტემაში. ამ სფეროში ერთ-ერთი მოწინავეა გერმანიაც.

თანდათან იკვეთება ნაცვალგებითი მიდგომა. გარკვეულ პერიოდში ენერგიის მომხმარებელი მისივე მწარმოებელი ხდება. მაგ., ადამიანმა შეიძლება თავისი მოძრაობის ანუ კინეტიკური ენერგია შეინახოს, ასევე ტანსაცმელში ჩამონტაჟებული ბატარეების მეშვეობით მზის ენერგია დააგროვოს და შემდეგ მანვე მოიხმაროს, ანუ ყალიბდება ენერგიის ურთიერთგასხვისების ისეთი სისტემა, რომელშიც ყოველი ინდივიდი ერთდროულად იქნება ენერგიის როგორც მწარმოებელი, ისე მომხმარებელი.

მარადიული სწრაფვა

- 1816: — აშშ-ში დაფუძნდა პირველი ენერგეტიკული კომპანია;
- 1821: — პირველი ელექტროძრავა დამზადდა;
- 1839: — ფოტოგალვანური მოდულები შეიქმნა;
- 1888: — **ნიკოლა ტესლამ**[446] (1856-1943) ცვლადი დენის გენერატორი გამოიგონა;
- 1892: — კომპანია „ჯენერალ ელექტრიკი“ (აშშ) დაარსდა;
- 1895: — ნიაგარას ჩანჩქერთან პირველი ჰიდროელექტროსადგური აშენდა;
- 1980: — აშშ-ში ქარის პირველი ელექტროსადგური ამუშავდა;

---

[445] ბადენ-ვიურტემბერგის მხარე, ფრაიბურგის ადმინისტრაციული ოლქი.

[446] ცნობილია თავისი რევოლუციური აღმოჩენებით ელექტრომაგნეტიზმში. მის პატენტებზეა დაფუძნებული დღევანდელი ელექტრონული გაყვანილობა, ელექტრონული ძრავები და ელექტრომობილები. შექმნა ცვლად დენზე მომუშავე გენერატორები, ძრავები და ტრანსფორმატორები, ლაზერული გამოსხივება, რადიო კომუნიკაციები, ელექტროენერგიის უმავთულო გადაცემა, მარტივი რობოტები, ვერტმფრენის მექანიზმი და სხვა მრავალი.

- 2035: — კერძო სახლების უმეტესობა ენერგიის ადგილობრივ წარმოებასა და რეალიზაციაში ჩაირთვება;
- 2040: — ენერგიის პირადი აკუმულატორების გამოყენება სავალდებულო გახდება.

22. მომავლის ტრანსპორტი

პრობლემა — გადატვირთული სატრანსპორტო ნაკადები, მოუწესრიგებელი მოძრაობა

მომავლის ტრანსპორტი ელექტრომობილი იქნება.

ინერგება ახალი ტექნოლოგიები. მაგ., კომპანია „ჯენერალ მოტორსი“ გეგმავს შექმნას სატრანსპორტო საშუალებათა დისტანციური მართვის ისეთი სისტემა, რითაც შემცირდება ავარიები, საცობები, გაიზრდება საწვავის გამოყენების ეფექტურობა. დიდ მანქანებს ქსელში ჩართული პატარა ავტომობილები შეცვლის. მიმდინარეობს კვლევა სიჩქარესთან გონივრული ადაპტაციის მოდელის შესაქმნელად. ზოგადი იდეა ასეთია: სისტემაში გაერთიანდება სიჩქარის მექანიზმი, სამუხრუჭე ბლოკი და თანამგზავრული ნავიგაცია. გადაჭარბებული სიჩქარის შემთხვევაში, ავტომატურად შეწყდება საწვავის მიწოდება. პირველი ექსპერიმენტების შედეგები დამაკმაყოფილებელია.

საგზაო ნიშნების მოთხოვნების გათვალისწინებით, მუშავდება ავტომობილების მოძრაობის ავტომატური რეგულირების სისტემა.

ერთ-ერთი ინოვაციური საკითხია ქალაქის უპილოტო ტრანსპორტი. საჭირო ტექნოლოგიების უმეტესობა შექმნილია. მთავარი დაბრკოლებებია: მოძრაობის წესები, კანონმდებლობა და მძღოლების დაუოკებელი სურვილი — საჭეს ფლობის შენაჩუნება. მათი არგუმენტია უსაფრთხოება.

მარადიული სწრაფვა

- 1769: — პირველი თვითმოძრავი აგრეგატი გაუშვეს;
- 1885: — თანამედროვე ავტომობილის პირველი მოდელი (გამომგონებელი **კარლ ბენცი**) შექმნეს;
- 1960: — პერსონალური რეაქტიული ზურგჩანთა დაამზადეს.
- 2003: — აშშ-ში ელექტრომობილების მწარმოებელი კომპანია „ტესლა“ დააფუძნეს;

- 2004: — ჩინეთში მაგნიტურ ბალიშებზე მოძრავი მაღალსიჩქარიანი მატარებელი გაუშვეს;
- 2016: — კომპანია „ფორდმა“ თვითმავალ ავტომობილში „გართობის სისტემა“ (კინოთეატრი) დააპატენტა;
- 2016: — კომპანია „დაიმლერმა“ ავტონომიური სატვირთო მანქანების შექმნა დაიწყო;
- 2016: — ნიგერია ავტომატური მონორელსური საქალაქო გზის მშენებლობისთვის ემზადება;
- 2016: — ნევადას უდაბნოში (აშშ) ჩატარდა გამომგონებლისა და მილიარდელის ელონ მასკის პირველი ექსპერიმენტი ვაკუუმის მილში ტვირთების/მგზავრების გადატანა/გადაყვანის ახალი სატრანსპორტო სისტემის (Hyperloop) შექმნის შესახებ;
- 2017: — ნიდერლანდის ქ. ვაგენინგიდან ქ. ედეში მგზავრებს თვითმავალი ავტომობილები გადაიყვანს;
- 2020: — ავტომობილების 35% ჰიბრიდული იქნება;
- 2025: — ევროპა ჩრდილოეთ აფრიკას მაღალსიჩქარიანი რკინიგზით დაუკავშირდება;
- 2036: — მზის ბატარეებზე მომუშავე საჰაერო ლაინერების ფრენა მასობრივი გახდება.

23. მე თუ ჩვენ?

პრობლემა — განცალკევება თუ ერთიანობა?

თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების დამხმარებით, პირადი მიზნების მისაღწევად, ადამიანთა აქტიურობა გააძლიერდა და გამძაფრდა. მაგრამ, ხომ შეიძლება ერთ „მშვენიერ“ დღეს სიტუაცია პირიქით შეიცვალოს? — მათი ყურადღების ფოკუსი საზოგადოების უპირატესი პრიმატისადმი წარიმართოს?

ჩვენ სწრაფადცვალებად გლობალურ სამყაროში ვცხოვრობთ. ყოველთვის და ყველგან შთაგვაგონებდნენ, რომ ვართ უნიკალურები და გარკვეულ საზღვრებში — თავისუფლები.

მიმდინარეობს ფართო დისკუსია კაპიტალიზის განვითარების სამომავლო მიმართულების შესახებ და ისმება კითხვა: დემოკრატია და პირადი ბედნიერებისაკენ სწრაფვა ხომ არ ქმნის მეტ პრობლემებს, ვიდრე მათ გადასაჭრელად იღწვის? მით უმეტეს, რომ ქვეყნების უმრავ-

ლესობა, ჯერჯერობით, მთელ ყურადღებას ცალკეულ ინდივი-დებს აქცევს და იკვეთება მსოფლიო გარღვევა „მეიზმისა“, ანუ საყოველთაო შეგრძნება იმისა, რომ სამყარომ რაღაც უნდა გაგვი-კეთოს. პიროვნე-ბის უფლებები უკუაგდებენ ყოველგვარ აზრს შერი-გების, თავშეკავე-ბისა და პერსონალური პასუხისმგებლობის შესახებ. მეტიც, ამ ტენ-დენციას ტექნოლოგიები უფრო აძლიერებენ. პრო-დუქტები და განც-დები, რომლებიც ადრე კოლექტიურად იყო ხელმი-საწვდომი, ახლა ინ-დივიდების საკუთრება ხდება.

ავიღოთ მასმედია. ოდესღაც მათი სახალხო სარგებლობის არეალი შეზღუდული იყო — საჯარო ინფორმაცია მცირე ოდენობით ვრცელ-დებოდა, რაც არადემოკრატიული იყო, თუმცა საერთო გამოცდილე-ბის გაზიარება ხდებოდა. ახლა მედიაპროდუქტებს უფრო მეტად ცალ-კეული ადამიანები ქმნიან და ავრცელებენ კიდეც. მათ ინტერესებსა და სურვილებზეა დამოკიდებული რა ავირჩიოთ, რა მოვიხმაროთ ...[447]

დღეს ვცხოვრობთ „ერთად და ცალ-ცალკე, თითო-თითოდ“. ვე-ლოდებით მეტ ტექნოლოგიას და მცირედით ერთმანეთს. თანა-მედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიებით შეგვიძლია გავაკეთოთ რაც გვინდა, როცა გვინდა, როგორც გვინდა, სადაც გვინდა და ამით სულიერად და ზნეობრივად ვიფიტებით, გონებრივად ვსუსტებით, განსაკუთრებით მაშინ, როცა ერთმანეთთან ფიზიკური ურთიერ-თობის არეალს „შაგრენის ტყავივით“ სულ უფრო ვამცირებთ, მზად ვართ „გავაადამიანოთ“ ადრინდელი უტყვი, მდუმარე ობიექტები და ერთმანეთს მოვეპყროთ როგორც ნივთებს.

ბიოსფეროსთან ჰარმონიული კავშირი ირღვევა. ყალიბდება ახალი ტიპის ადამიანი — ტექნიკის თაყვანისმცემელი, მისი მონა-ტუსაღი, მასზე მიბმულ-მიჯაჭვული, სხვებისგან განმარტოებული.

იცვლება თვით ოჯახის წევრთა შორის ურთიერთობის ხარისხიც. შეძლებული ოჯახის წევრებს საკუთარი ოთახი, სველი წერტილები და ტექნიკა (ტელევიზორი, კომპიუტერი) აქვთ. თითქოს ამაში ცუდი არა-ფერია, მაგრამ ერთმანეთს ნაკლებად ეკონტაქტებიან, ერთმანეთის-თვის სულ უფრო უცხონი ხდებიან.

ავსტრალიაში ზრდასრული ადამიანი საშუალოდ დღეში ტელევი-ზორთან 3 საათს ატარებს, მეუღლესთან საუბარში კი, — მხოლოდ 30

---

[447] შდრ.: — აშშ-ის პრეზიდენტი **ბილ კლინტონი**: „საბედნიეროდ თუ საუბე-დუროდ, ურთიერთდაკავშირებულ სამყაროში ვცხოვრობთ. ჩვენ ერთმანეთს ვერ დავცილდებით. მაშასადამე, მოგვიწევს მთელი სიცოცხლე ვაშენოთ მშვიდობიანი საზოგადოება ჩვენივე პასუხისმგებლობით, ფასეულობებითა და სარწმუნოებით“.

წუთს. აშშ-ში ბავშვები ტელევიზორის ყურებაზე კვირაში 20 საათს ხარჯავენ, ხოლო მშობლებთან სასაუბროდ — 38 წუთს.

რეალურად ერთმანეთს ვშორდებით. მომავალში კიდევ უფრო განვცალკევდებით როგორც ოჯახში, ისე სამუშაოზე, მით უმეტეს, რომ მრავალი ინტელექტუალი სამუშაოს საკუთარ ბინაში შეასრულებს.

ამ მიმართებით, მეტად საყურადღებოა XX საუკუნის დიდი გერმანელი ფსიქოლოგისა და ფილოსოფოსის, **ერიხ ფრომის (**1900-1980) კლასიკად ქცეული ნაშრომის **„გაქცევა თავისუფლებისგან“** ეპიგრაფი, გამონათქვამი თალმუდიდან[448]:

„Если я не стою за себя, то кто встанет за меня?

Если я только за себя, то кто я? Если не сейчас, то когда?“

თავისუფლებამ ადამიანს მოუტანა დამოუკიდებლობა, მაგრამ, იმავდროულად, მისი იზოლირებაც მოახდინა, გაუღვიძა უძლურებისა და განგაშის გრძნობა.[449]

და კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რამ: გლობალურად ყველანი ვირტუალურ სივრცეში ვიქნებით. შეგვეძლება ყველას და ყველაფერს მივწვდეთ. მაგრამ, ლოკალურად, ყველაფერი სხვაგვარად იქნება. გავხდებით უფრო განცალკევებულები და ინფორმაციული ტექნოლოგიების პირადი მიზნების გამომყენებელნი.

მომავლის მთავარი საკითხია: — რა უფრო მნიშვნელოვანია, ინდივიდი, თუ საზოგადოება? შედეგი გავლენას ახდენს ყველაფერზე — განათლების ორგანიზაციაზე, ჯანმრთელობაზე, ტრანსპორტზე, სოციალურ უზრუნველყოფაზე, წესრიგზე, ანუ სრულად იმაზე, რაც ადრე საზოგადოებრივი იყო, ახლა კი პრივატული ხდება.

აი რა გვაქვს გონივრულად საფიქრალი ყოველ ინდივიდსა და პროგრესულ საზოგადოებას მთლიანად!!!

მარადიული სწრაფვა

- 1776: — გამოიცა **ადამ სმითის** ნაშრომი „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ“;
- 1859: — დაიბეჭდა **ჯონ სტიუარტ მილის** ნაშრომი „თავისუფლების შესახებ“;
- 1962: — გამოიცა ამერიკელი მწერლისა და ბუნების დამცველის **რაიჩერ კარსონის** წიგნი „მდუმარე გაზაფხული“;
- 1972: — რომის კლუბმა გააკეთა მოხსენება „ზრდის ზღვარი“;

[448] ითვლება თორას (ბიბლიის პირველი ხუთი წიგნი) ჭეშმარიტ განმარტებად.

- 2020: — მიიღებენ შეთანხმებას — „საღი აზრის მანიფესტი“;
- 2023: — დაიბეჭდება წიგნი „სკანდინავიური კაპიტალიზმი“;
- 2029: — გამოიცემა წიგნი „განვითარების ჩინური გზა“.

24. მარტოხელა ცხოვრება — თავისუფლება პასუხისმგებლობის გარეშე?!

პრობლემა — სახელმწიფოს ბურჯის (ოჯახის) რღვევა

მთელ მსოფლიოში ოჯახური უჯრედი იცვლება. ნუკლიანური[450] ოჯახი, რომელიც მამის, დედისა და ორი შვილისგან შედგებოდა, თანდათან წარსულს ბარდება. ფორმირდება ახალი, პარტნიორული კომბინაცია. როგორც ჩანს, ტრადიციული ოჯახი ნაკლებტრადიციული გახდება. იკვეთება მთავარი ტრენდი — არა ოჯახი, როგორც ასეთი, არამედ მარტოხელა ადამიანები და ერთსქესიანთა წყვილი. სულ უფრო მრავლდება „შერეული ოჯახები“ — დედა, მამა და ორი ან მეტი ბავშვი სხვა ქორწინებიდან.

მომავალში მრავალი ადამიანი თავისთვის, მარტო იცხოვრებს ან პლატონურ კავშირში იქნება სხვასთან, ვიდრე ტრადიციულ ქორწინებაში. ხომ არ ნიშნავს ყოველივე თავისუფლების გაფართოებას პასუხიმგებლობის გარეშე?

რა გვაძლევს ამის თქმის საშუალებას?

ადრე მარტო ცხოვრობდნენ ახალგაზრდები, ქვრივები ან განქორწინებულები. მაგრამ მათი ასეთი ვითარება დროებითი იყო.

ახლა სიტუაცია შეიცვალა. მრავალთათვის სიმარტოვე ცხოვრების წესად იქცა. ეს ნარცისიზმის,[451] სიზარმაცის, პერფექციონიზმის,[452] ინდივიდუალიზმის ნიშანია, თუ ადამიანებს აღარ აქვთ დრო ერთმანეთთან ურთიერთობისთვის?

---

[449] **Фромм Э. (2009).** Бегство от свободы. Пер. с англ. М. С. 2.

[450] ლათ. nucleus ბირთვი.

[451] საკუთარ თავზე უზომოდ შეყვარებული, ზედმეტად პატივმოყვარე ადამიანი. ბერძნული მითოლოგიით, პათოლოგიურად ეგოცენტრული ყმაწვილი კაცი, რომელსაც აუზში თავისი ანარეკლი შეუყვარდა.

[452] საკუთარი თავისადმი წაყენებული უფრო მაღალი მოთხოვნები, ვიდრე ამას გარემო ითხოვს. არსებობს ორი სახის: ჯანმრთელი და დესტრუქციული.

სავარაუდოა, რომ ვირტუალურმა ეპოქამ ადამიანი სხვასთან რეალური (ფიზიკური) ურთიერთობის აუცილებლობისგან გაათავისუფლა.

დიდი ბრიტანეთის სტატისტიკის სამსახურის მონაცემებით, ინგლისსა და უელსში ქმრიანი ქალები უმცირესობაში არიან. ერთ-ერთი მიზეზია 30-40 წლამდე ქორწინების გადადება. 1970-ანი წლების დასაწყისში 30 წლამდე ასაკის ქალების 85% გათხოვილი იყო, დღეს კი, 33%-ზე ნაკლებია. სხვა მიზეზთა შორის, განქორწინების გამარტივებული პროცედურაც სახელდება.

არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი — ინდივიდის სოციალური იზოლიაცია კორელაციაშია მის ჯანმრთელობასთან.

დანიელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ მარტოხელა ხანდაზმული ადამიანებისთვის გულის მოულოდნელი შეტევების რისკი უფრო მაღალია. ეს საშიში სიმპტომი განსაკუთრებით აქტიურდება მამაკაცებთან 50 წლის, ხოლო ქალებთან — 60 წლის შემდეგ.

დიუკის (ქ. დარემი, ჩრდილოეთი კაროლინას შტატი, აშშ) უნივერსიტეტის მეცნიერთა კვლევებით, მარტოხელა მამაკაცებსა და ქალებს გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები 3-ჯერ მეტად ემართებათ.

ანალოგიური შედეგები მიიღეს იელის (აშშ) უნივერსიტეტის მეცნიერებმაც. მარტოხელები, განსაკუთრებით მამაკაცები, თავის დასამშვიდებლად მეტი ოდენობით იღებენ ალკოჰოლსა და ნარკოტიკებს, რაც მათი ნაადრევი სიკვდილის მიზეზი ხდება.

ისმის კითხვები:

- შეგნებულად ხომ არ გვკვლავს ის საზოგადოება, რომელიც ინდივიდუალიზმს აქტიურად უწევს პროპაგანდას?
- ხელოვნურად ხომ არ ვქმნით ისეთ ერთობას, როცა პოტენციურად მეტი ადამიანი იცხოვრებს მარტოხელა?

ინდივიდუალურად ცხოვრებას ხელს უწყობს მეგაპოლისთა მოსახლეობის მაღალი სოციალური მობილურობა. ამით წარმოიშობა ანონიმური თავისუფლებისაკენ ლტოლვა, განმარტოებით, პირადი კომფორტისკენ დაუოკებელი სწრაფვა, სოციალური კავშირების ფუნდამენტის რღვევა და ღირებულებათა სისტემის გადაფასება.

ადრე, მძიმე ეკოლოგიური ფონისა და დამნაშავეობის მაღალი დონის გამო, დიდი ქალაქებიდან მოსახლეობა საცხოვრებლად გარეუბნებში გადადიოდა. ამ პროცესს აშშ-ში **„თეთრების გაქცევა“** უწოდეს. დღეს ვითარება შეიცვალა. მას უკვე შეარქვეს **„ბუმერანგული მიგრაცია“**: მარტოხელები და უშვილო წყვილები მსხვილ ქალაქებში

ბრუნდებიან. მათი აზრით, ნამდვილი ცხოვრება ქალაქშია და ზედმეტია გადაადგილებისთვის დროის ფლანგვა.

რა შედეგები შეიძლება გამოიწვიოს მასობრივად განმარტოებამ?

რაც მეტი მარტოხელა იქნება, ბიზნესისთვის ხელსაყრელია.

ავიღოთ, საცალო ვაჭრობა. მარტოხელა ადამიანი სასურსათო პროდუქტებს ცალობით ყიდულობს, დაოჯახებული კი, — მეტი ოდენო-ბით. ერთეულ პროდუქციაზე გაანგარიშებით, პირველ შემთხვევაში მოგება, ჩვეულებრივ, უფრო მეტია, ვიდრე „საოჯახო“ სიტუაციაში. გავიხსენოთ ერთობლივი მოხმარებაც, — ადამიანები რესურსებს ერთმანეთს უწილადებენ და ამით აიაფებენ მას.

სხვადასხვა მონაცემებით, მარტოხელა ადამიანები კვების პროდუქტებზე, ტანსაცმელზე, პირად ჰიგიენასა და წამლებზე 20-30%-ით მეტს ხარჯავენ. ისინი სოციალურად უფრო აქტიურები არიან, მეტ ფულს იხდიან პირად გართობაზეც.

საყურადღებოა მარტოხელათა ინტერესი საზოგადოებრივი კვებისადმი. ისინი საშუალო ასაკისა და სოციალურად წარმატებულები არიან და რესტორნებს უფრო ხშირად, თითქმის ყოველდღე სტუმრობენ. ამიტომ მათი ცხოვრება, რომელიც „თავისუფლებასთან“ ასოცირდება, მედიასაშუალებებით აქტიურად რეკლამირდება. მაგ., ჟურნალი „პეოპლე“ 15 წელია აქვეყნებს ლიბერალური პოლიტიკური შეხედულებების მქონე უცოლოების სიას, და მათ შორის გამოყოფს ყველაზე სექსუალურებსა და მდიდრებს, რომლებიც, უმეტესად, ქალაქის ცენტრში ფეშენებლურ ვილებში ცხოვრობენ. რუსეთში ყოველ 6 დაოჯახებულ მამაკაცზე ერთი მარტოხელა მოდის, მოსკოვში კი, ყოველი მესამე უცოლოა.[453]

მართალია მარტოხელა ცხოვრებასაც აქვს ეკონომიკური სარგებელი, მაგ., ნაკლები კომუნალური ხარჯები, მაგრამ საზოგადოების მასშტაბით, მათ მეტი საცხოვრებელი ფართი, საოჯახო ნივთები და სატრანსპორტო საშუალებები სჭირდებათ. ასე, რომ ეს შედარებით წვრილმანია.

გასაკვირი არ არის, რომ ქალებისთვის განქორწინების მთავარი მიზეზია მამაკაცების მოუცლელობა („მთელი დღე სამუშაოზე“). ამას ემატება ქალის ეკონომიკური დამოუკიდებლობა, რის გამოც მეუღლეთა შორის ურთიერთობა კიდევ უფრო „ცივდება“. ოჯახურ ურთი-

[453] **Голова А. Г. (2011).** Факторы, влияющие на потребительское поведение личности в мегаполисе. «Журнал социологии и социальной антропологии». М., Том XIV, №5 (58). С. 223.

ერთობაშიც მამაკაცთა მხრიდან შეინიშნება ემოციური გაუცხოვება, რადგან ქალებს სურთ საუბარი, მამაკაცებს კი, — სიმშვიდე, სიწყნარე.

ფიზიკურად თანდათან ვშორდებით ერთმანეთს, ხოლო მომავალში უფრო იზოლირებულები ვიქნებით როგორც ოჯახში, ისე სამუშაოზე, მით უმეტეს, რომ მომავალში მრავალი ინდივიდი თავის ბინაში იმუშავებს.

უზენაესმა ადამიანი შექმნა საპირისპირო თვისებებით: ყველაზე ძლიერი სოციალური არსება და, იმავდროულად, ყველაზე სუსტი.

ადამიანის სიძლიერე მისი აზროვნებაა, სისუსტე კი — მარტოობა.

ზოგადად, ადამიანს ადამიანი არ უყვარს,[454] მაგრამ სხვა ადამიანის გარეშე მის არსებობას აზრი მთლიანად ეკარგება.

რატომ?

იმიტომ, რომ ადამიანი მხოლოდ ადამიანს ეჯიბრება, მას ეტოლება, მასთან ცდილობს თავისი რაიმე უპირატესობის (ცოდნა, სიმდიდრე, სილამაზე, ძალა, სოციალური სტატუსი და სხვ.) დამტკიცებას.

თანამედროვე სიტუაცია საპირისპიროა: ადამიანი ადამიანს გაურბის, ცდილობს განმარტოვებას, განრიდებას და თავის ვირტუალურ სამყაროში ჩაკეტვას. სანაცვლოდ, სოციალურ ქსელში ჰყავს ნაცნობი და „უცნობი“ მეგობრები, თანამოაზრეები, თაყვანისმცემლები...

მომავალში ვითარება შეიძლება ნაწილობრივ შეიცვალოს — ინდივიდი ხელოვნურ ინტელექტს დაუპირისპირდეს.

დღეს კი, **ადამიანს ადამიანი სჭირდება და მხოლოდ მისთვის არსებობს.**

აი რა არის მთავარზე მთავარი.

მარადიული სწრაფვა

- 2014: — ზრდასრული ბრიტანელების 40% მარტოხელა იყო;
- 2017: — შვილიშვილებთან მარტო მცხოვრები ხანდაზმულებისთვის საგადასახადო შეღავათები დაწესდება;
- 2017: — კომპანია „უოლმარტი“ (აშშ) „საოჯახო შეფუთვის“ საქონლის გაყიდვას შეამცირებს;
- 2018: — ბანკები მოსახლეობას რამდენიმე თაობაზე გავრცელებად 100 წლიან იპოთეკას შესთავაზებენ;

[454] შდრ.: — **პასკალი:** „ადამიანებს ერთმანეთი სძულთ: რა ქნან, ასეთია მათი ბუნება“.

- 2019: — სოციალურ ქსელებში ფიზიკური საზოგადოებების ფორმირება დაიწყება;
- 2024: — მარტოხელა ადამიანების 30%-ის საცხოვრებელ ბინებს სოციალური რობოტები მოემსახურება.

25. შემოსავლების პოლარიზაცია

პრობლემა — უთანაბრობა შემოსავლების განაწილებაში

უთანაბრობა შემოსავლებში მსოფლიო განვითარების ერთ-ერთ გლობალურ პრობლემად განიხილება. აღნიშნულს ადასტურებს 2011 წელს დავოსის (შვეიცარია) მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გამოკითხვის შედეგებიც:

1978-2008 წლებში დიდი ბრიტანეთის ყველაზე მაღალანაზღაურებადი ადამიანების 10%-ის ხელფასი, დაახლოებით, 400%-ით გაიზარდა, ყველაზე დაბალი ანაზღაურების მქონეთა 10%-ის კი, — მხოლოდ 30%-მდე.

შემოსავლების პოლარიზაცია კიდევ უფრო ძლიერია აშშ-ში.

საყურადღებოა ისიც, რომ თუ XIX საუკუნეში ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალი მდიდარ ქვეყნებში 6-ჯერ უფრო მაღალი იყო, დღეს 40-ჯერ მეტია, ვიდრე ღარიბ ქვეყნებში.[455]

მოცემულ საკითხთან მიმართებაში მნიშვნელოვანია ნობელიანტის (1971), **საიმონ კუზნეცის** ჰიპოთეზა (ცნობილია სახელწოდებით „კუზნეცის მრუდი“).[456]

რატომ ხდება ყოველივე?

მიზეზი ორია: პირველი — გლობალიზაცია, მეორე — ტექნოლოგიები.

ხომ არ ვბრუნდებით უკან, ფეოდალიზმში, როცა მოსახლეობის უმცირესობა ყველაფერს ფლობდა და ფუფუნებაში იზოლირებულად

---

[455] **Мир в 2050 году. (2012).** Под ред. Дэниела Франклина и Джона Эндрюса. ЭКСМО, М., С. 153.

[456] ჰიპოთეზის მიხედვით, ეკონომიკური განვითარების დაბალ საფეხურზე მყოფ ქვეყნებში შემოსავლების უთანაბრობა ჯერ იზრდება, ხოლო შემდეგ ეკონომიკის ზრდასთან ერთად კლებულობს, რადგან სამუშაო ძალის შრომის მწარმოებლურობის დაბალი დონიდან (მაგ., სოფლის მეურნეობა) შედარებით მაღალ დონეზე (მაგ., მრეწველობა) გადასვლა შემოსავლების უთანასწორობის კლების განმტკიცებას უწყობს ხელს.

და წყნარად ცხოვრობდა? ხალხთა დიდი რაოდენობა კი მუდმივ გაურკვევლობასა და იმედგაცრუებაში სულს ღაფავდა?

შემოსავლების თანამედროვე პოლარიზაციას ორი მიზეზით ხსნიან:

პირველი, თუ ფლობთ ისეთ განსაკუთრებულ უნარებს, რომელიც მოთხოვნადია, ბაზარი საერთაშორისოა და მრავალი ადრინდელი ფიზიკური ბარიერი მოხსნილია. მაგ., განსაკუთრებით ნიჭიერს, იქნება იგი მეცნიერი, ხელოვანი, სპორტსმენი თუ სხვა, განვითარებულ სამყაროში მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი ანაზღაურება აქვს.

სარწმუნოა საპირისპიროც: თუ თქვენი უნარები არ არის აქტუალური, ბაზარზე მოწყვლადი ხართ.

ზოგიერთ სფეროში წარმოიშობა ჩაკეტილი ელიტა, რომელშიც შესვლა პრაქტიკულად შეუძლებელია, თუ არ გაქვს დიდი ფული მაღალი დონის სპეციფიკური განათლების მისაღებად (ფული რომ გქონდეთ, ელიტის წევრიც ხომ იქნებოდით?!).

რეალური შემოსავლების უცვლელობა, არსებითად, დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ მსოფლიო გადანაწილების ცენტრების გავლენის შედეგია. მნიშვნელოვანია ავტომატიზაციის ზემოქმედებაც.

დღეს იაფ სამომხმარებლო საქონელზე ფასებს აღმოსავლეთი აწესებს. რა მოხდება თუ ეს რეგიონი შრომის ფასსაც მსოფლიოს უკარნახებს? სიმპტომები უკვე შეინიშნება, მაგ.: ჩინეთში. დასავ-ლეთის რეაქცია ეკონომიკური პროტექციონიზმი იქნება?

მსოფლიო ტრენდებისგან განრიდება მხოლოდ დროებით შეიძლება. ერთ-ერთი გამოსავალი შესაძლოა დაბალანაზღაურებადი სამუშაოს ადგილზე შესრულება იყოს. უფრო უკეთესია მოწინავე უნარების ათვისება, განსაკუთრებით ინდუსტრიის ახალ დარგებში ან იმ სფეროებში სამუშაოდ, სადაც ავტომატიზაცია ძნელად ინერგება და სივრცეშიც ცუდად გადაადგილდება. თუმცა, ორივე შემთხვევაში, ღარიბებს მაინც არაფერი ეშველებათ, რადგან მდიდრები უფრო გამდიდრდებიან („ფულს ფული მოაქვს“).

ზოგიერთი ეკონომისტის აზრით, გლობალური ბაზარი მის მოთამაშეებს აიძულებს მაქსიმალურად გამოავლინონ თავიანთი ტალანტი და მას ხსნიან ცნობილი პრინციპით: „ყველაფერი გამარჯვებულს “.

სხვები ასახელებენ იმ ფაქტს, რომ უთანაბრობა ფინანსური მომსახურების არაპროპორციულმა ზრდამ გამოიწვია, რადგან სწორედ ამ სფეროშია მაქსიმალური შემოსავლები.

დიდი ალბათობით, მომავალში შემოსავლებში უთანაბრობის ხარისხი იქნება იმაზე დამოკიდებული, თუ რამდენად შეძლებენ ადამიანები ეკონომიკის მოთხოვნების შესაბამისად პროფესიული უნარების

გაუმჯობესებას. ყოველივე, კორელაციაშია განათლების სფეროსთან. ამიტომ ის ქვეყნები, რომლებიც განათლებაში მეტ ინვესტიციებს განახორციელებენ, მათ მოსახლეობას შემოსავლებში უთანაბრობის განსხვავებაც ნაკლები ექნებათ.

მარადიული სწრაფვა

- 2010: ბრიტანეთმა, საფრანგეთმა, ესპანეთმა და იტალიამ მდიდრებზე დამატებითი გადასახადები დააწესეს;
- 2012: ჩინეთის ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ შემოსავლებს შორის დიდი განსხვავება, განსაკუთრებით ქვეყნის ღარიბ სასოფლო-სამეურნეო და მდიდარ ინდუსტრიულ რეგიონებს შორის, „საზოგადოების ჰარმონიულ“ განვითარებას აფერხებს;
- 2022: — ჟურნალ „ფორჩუნის“ 500 კომპანიის სიაში დაფიქსირდება ანაზღაურების მაქსიმალური თანაფარდობა: 100:1;
- 2039: — 1 მილიარდი ადამიანი დოლარიანი მილიონერი იქნება;
- 2050: გარღვევა მსოფლიოს მდიდარ და ღარიბ ქვეყნებს შორის შემცირდება და ამ პროცესში გადამწყვეტი ადამიანთა განათლების დონე იქნება;
- 2080: — ტრილიონი დოლარის პირველი მფლობელი გამოჩნდება.

26. ბედნიერებისაკენ სწრაფვა

პრობლემა — ნამდვილად გასაზომის გაზომვა

ბედნიერება ყველას სურს. მაგრამ, როგორ მივაღწიოთ მას, თუნდაც მაშინ, როცა ვიმსახურებთ, გამოცანად რჩება.

ბედნიერება ძალიან პირადულია, თანაც დროებითი, მეტწილად მყისიერი. ბედნიერების შეფასების საერთო საზომი არ არსებობს, — ყველას თავისი კრიტერიუმი აქვს.

დასავლეთში დომინირებს კონცეფცია შემოსავლებსა და ბედნიერებას შორის კორელაციის შესახებ — ინდივიდი, რაც უფრო მეტს გამოიმუშავებს, მით მეტად ბედნიერად და დაცულად იგრძნობს თავს.

თუ ეს შეხედულება მართებულია, მაშინ შემოსავლების მატების შესაბამისად ბედნიერების განცდა რატომ არ იზრდება?

არც ისე დიდი ხნის წინათ, ადამიანი საკუთარ თავს მისივე სამუშაოსთან, მანქანასთან, სახლთან და სხვა მატერიალურ საკუთრებასთან აიგივებდა, ხოლო სიცოცხლეში დაგროვილი სამომხმარებლო საქონელი აღიქმებოდა, როგორც სტატუსის ეკვივალენტი ან ცხოვრებისეული წარმატება.

ყოველივეს ხომ უფრო ბედნიერები უნდა გავეხადეთ?

მაგრამ, ასე რატომ არ მოხდა?!

ერიხ ფრომი მიიჩნევდა, რომ ტექნოლოგიურმა პროგრესმა კაცობრიობას საყოველთაო ბედნიერება და კეთილდღეობა ვერ მოუტანა. მატერიალურ-ტექნიკურ პროგრესს ადამიანების სულიერი სრულყოფა თან არ სდევდა, რის გამოც თანამედროვე საზოგადოებაში სრული ქაოსი გაბატონდა. მატერიალური კომფორტის კულტით შეპყრობილ საზოგადოებას მან შიზოფრენიის დიაგნოზი დაუსვა.[457]

სამყაროში ყველაფერი იცვლება. სიჩქარე თანამედროვე ცივილიზაციის არსებითი ნიშანია. განვითარებულ ქვეყნებში ზრდადი შემოსავლები მანიაკალური მატერიალიზმის პერიოდებს პროვოცირებენ, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ეს ტალღაც ჩაივლის, განსაკუთრებით მას შემდეგ, როცა ადამიანები იგრძნობენ, რომ შემოსავლები არ არის აუცილებელი ეკვივალენტი მათი ბედნიერების განცდის მოსამატებ-ლად. მატერიალური კეთილდღეობა არა თუ თვითმიზანი, არამედ მათივე სულიერი მოთხოვნების დაკმაყოფილების აუცილებელი პირობა უნდა გახდეს. სამწუხაროდ, მრავალს ეკონომიკური წარმატება ბედნიერებასთან აქვს გაიგივებული.

სიმდიდრის ზრდის შესაბამისად, თუ ისინი თავიანთ ფინანსებს უფრო პრივატულისკენ წარმართავენ, მაგ., ავტომობილზე, ტანსაცმელზე და სხვა ნივთებზე, ამით უფრო ბედნიერები გახდებიან?!

შეიძლება უზრუნველყოფილები და კმაყოფილები, ისიც დროებით, მაგრამ არა ბედნიერები, რადგან **მდიდრად ცხოვრება ერთია, ბედნიერად კი, — მეორე.**

სამწუხაროდ, „სიმდიდრისა და ფულის დაგროვებას საზღვარი არა აქვს“.[458,459]

ფული მათ მეპატრონეებს თავდაჯერებულობას მატებს და არა ბედნიერებას.

ბედნიერება შეუძლებელია ზნეობრიობის გარეშე.

---

[457] **Фромм Э. (2009).** Бегство от свободы. Пер. с англ. М., 175 с.

[458] **არისტოტელე. (1995).** პოლიტიკა. ნაწ. I. თბ., „სამშობლო“, გვ. 22.

[459] შდრ.: — **სოლონი:** „ადამიანებს არა აქვთ მითითებული სიმდიდრის საზღვარი“.

„თითოეული ადამიანი ბედნიერია იმდენად, რამდენადაც არის ზნეობრივი, გონიერი და მოქმედი“.[460]

რისთვისაა საჭირო სიმდიდრე?

კეთილდღეობისთვის?

მერედა ინდივიდუალური სიმდიდრე იძლევა საერთო საზოგადოებრივ კეთილდღეობას?

ინგლისელი სამართლისმცოდნე, სოციოლოგი და ფილოსოფოსი, **იერემია (ჯერემი) ბენტამი** (1748-1832) მასობრივი კეთილდღეობის იდეას ქადაგებდა და თვლიდა, რომ ადამიანის მორალური შეფასების საზომია მისი მოქმედების სარგებლიანობა, ხოლო სასარგებლოა ის, რაც ზრდის ცალკეული ადამიანების ბედნიერებას და ამცირებს ტანჯვას. ცხოვრების უმაღლესი პრინციპი უნდა იყოს „რაც შეიძლება მეტი ბედნიერება, რაც შეიძლება მეტი ადამიანისათვის“.

აღმოსავლეთის სულიერი ტრადიციების (მაგ., ბუდიზმის) თანახმად, სიცოცხლე ტანჯვაა, რაც სხვადასხვა სახით ვლინდება — უბედური შემთხვევა, მარცხი, სიბერე, ავადმყოფობა და სიკვდილი. გამოდის, რომ პესიმისტები მართლები არიან, რადგან ხანგრძლივ ბედნიერებას ილუზიად თვლიან.

ცნობილი ამერიკელი ფსიქიატრი **თომას სასი** (1920-2012) მიიჩნევდა, რომ **„ბედნიერება არის წარმოსახვითი მდგომარეობა, რომელსაც ძველ დროში ცოცხლები მიაწერდნენ გარდაცვლილებს, დღეს მოზრდილები — ბავშვებს, ბავშვები კი, — მოზრდილებს.“**[461]

თუ ყოველივეს ერთობლიობაში განვიხილავთ, მრავალი დასვამს კითხვას „ნივთების“ ფასეულობათა შესახებ.

ბედნიერება არასოდეს ყოფილა მარტივი განზომილება. იგი საოცრად რთული და მრავალასპექტიანი (ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური, სოციალურ-ეკონომიკური) ფენომენია, თანაც ცვალებადი. მას ვერ იყიდი. მის შეფასება-განსაზღვრას კაცობრიობა უძველესი დროიდან ცდილობს. მრავალმა დიდმა მოაზროვნემ (სოკრატე, პლატონი, არისტოტელე...) ბედნიერების კვლევას დიდი ენერგია შეალია.[462]

---

[460] **არისტოტელე. (1996).** პოლიტიკა. ნაწ. II. თბ., „სამშობლო“, გვ. 8.

[461] **Cac T. (2011).** Мир душевой болезни. М., 352 с.

[462] შდრ: აშშ-ის პრეზიდენტი **თომას ჯეფერსონი**: „ჩვენი დიდებული ბედნიერება არ არის დამოკიდებული ცხოვრების იმ პირობებზე, რომელშიც შემთხვევის ძალით აღმოვჩნდით, მაგრამ ყოველთვის სუფთა სინდისის, კარგი ჯანმრთელობის, დასაქმების სახეობისა და პატიოსანი წამოწყების თავისუფლების შედეგია“; ან კიდევ, — **ლუდვიგ ვან ბეთხოვენი**: „იმაზე უფრო მაღალი და მშვენიერი არა არის რა, მრავალ ადამიანს ანიჭებდე ბედნიერებას“; ან კი-

ისტორია მდიდარია იმ ფაქტის დასამტკიცებლად, რომ ადამიანმა, რომელმაც მეტი შემოსავალი მიიღო და რაიმე ნივთიერი უკმარისობა დასძლია, შეიძლება დროებით კმაყოფილი (გახარებული) დარჩა, მაგრამ, რეალურად, ბედნიერი არ გამხდარა.

ნაწილობრივ ეს პრობლემა კავშირშია იმასთან, რომ ბიზნესი, პრაქტიკულად, საქმიანობის ყველა სფეროში მოურიდებლად შეიჭრა. სახლსა და სამუშაოს შორის ზღვარი შემცირდა. ვმუშაობთ მეტს და დიდხანს, ბედნიერების განცდა კი არ გვემატება. ბიზნესიდან მომდინარე მოგებამ ყველგან და ყველაფერში წინ წამოიწია, საზოგადოებრივი მომსახურება კი, „არამომგებიანობის“ გამო, გერივით გაირიყა.

სამართლიანია?

ვფიქრობ, არა.

წინათ ამ სიმართლეში გვიცავდა ოჯახი, საზოგადოება, რელიგია ან მთლიანად სოციალური კლასი.

ახლა!? ...

არადა, „სახელმწიფო იქმნება არა მხოლოდ არსებობისთვის, არამედ უფრო მეტად ბედნიერი არსებობისთვის“.[463]

როგორ შევაფასოთ ბედნიერება?

მავანი იკითხავს: ხომ არსებობს ასეთი მაჩვენებელი?

დიახ, არსებობს, მაგრამ სრულყოფას საჭიროებს.[464]

დევ, — **ქეი-ქაუსი**: „რაც გაქვს, იმით დაკმაყოფილდი, რადგან მცირედით კმაყოფილება იგივე სიმდიდრეა“; ან კიდევ, — **სამუელ ჯონსონი:** „ჩვენ არ ვართ ბედნიერებისთვის დაბადებული“;. ან კიდევ, — **ჟან ჟაკ რუსო:** „ჩვენი ტანჯვა-წვალება მნიშვნელოვნად აღემატება კმაყოფილებას. ასე, რომ ადამიანის ცხოვრება არ არის ფასდაუდებელი საჩუქარი“; ან კიდევ, — **კანტი:** „ბედნიერება გონების კი არა, წარმოსახვის იდეალია“; ან კიდევ,— **არისტოტელე:** „ბედნიერება კეთილდღეობისა და სიქველის ჯამია“.

[463] **არისტოტელე. (1995).** პოლიტიკა. ნაწ. I. თბ., „სამშობლო“, გვ. 78.

[464] კოლუმბიის უნივერსიტეტთან (აშშ) არსებული კვლევითი ცენტრი „დედამიწის ინსტიტუტი“ გაეროს ეგიდით ატარებს კვლევას „მოსახლეობის ბედნიერების ინდექსის“ შესადგენად. გაითვალისწინება კეთილდღეობის ისეთი მაჩვენებლები, როგორიცაა: მშპ ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით, სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა, სამოქალაქო თავისუფლება, უსაფრთხოების მოლოდინი, ხვალინდელი დღის რწმენა, ოჯახის სტაბილურობა, დასაქმების გარანტიები და კორუფციის დონე, ასევე ნდობის დონე საზოგადოებაში, დიდსულლოვნება და გულუხვობა.

2015 წლის კვლევა 158 სახელმწიფოში ჩატარდა. მოწინავე ხუთეული ასეთია: შვეიცარია, ისლანდია, დანია, ნორვეგია და კანადა. საქართველო 130-ე ადგილზე აღმოჩნდა. საინტერესოა, რომ 20 მოწინავე ქვეყნიდან 14 (70%) მცირე სახელმწიფოა.

ამერიკელმა დემოგრაფმა **რიჩარდ ისტერლინმა** კვლევის საფუძველზე დაადგინა, რომ ბედნიერება მატერიალური დოვლათის (უპირატესად, ფულის) ოდენობით არ იზომება. მდიდარ ქვეყნებში მოსახლეობის უმეტესობა სიცოცხლით განსაკუთრებულ სიხარულს არ განიცდის, ეკონომიკური ზრდა მის მოქალაქეებს კმაყოფილებას არ ანიჭებს.

ამ ფენომენს **„ისტერლინის პარადოქსი“** ეწოდება.

ისტერლინი მიიჩნევს, რომ დროის რაღაც მომენტში მდიდარი ადამიანები უფრო ბედნიერები არიან, ვიდრე ღარიბები, მაგრამ კეთილდღეობის ზრდის თანაზომადად, საზოგადოება არ ბედნიერდება.[465]

რატომაა ასე?

იმიტომ, რომ:

პირველი — შემოსავლების გადიდებით ადამიანი მხოლოდ დროებით განიცდის სიხარულს (ბედნიერებას). შემდეგ ეიფორიის მუხტი ცხრება, ინდივიდი ახალ გარემოს ეჩვევა, ვითარება იცვლება, **„ხარჯები შემოსავლებთან ერთად იზრდება“** (ინგლისელი ისტორიკოსის **სირილ პარკინსონის** მეორე კანონი) და სხვა პრობლემა დგება;

მეორე — დიდი მნიშვნელობა აქვს არა აბსოლუტურ, არამედ შემოსავლების შედარებით დონეს. ადამიანი ბედნიერად მაშინ გრძნობს თავს, როცა სხვებთან მიმართებით სოციალურ-მატერიალური „კიბის“ უფრო მაღალ საფეხურზე იმყოფება. თუ შემოსავლები ყველას მიმართ ერთნაირად იზრდება, მისი სტატუსი იგივე რჩება, ანუ სხვებთან მიმართებაში არ იცვლება და ბედნიერების განცდაც არ ძლიერდება.[466]

ილინოისის უნივერსიტეტის (აშშ) პროფესორის **ედ დინერისა** და მისი კოლეგების კვლევამ გადაწყვიტა „ისტერლინის პარადოქსი“. მათ დაადგინეს, რომ მართალია შემოსავლების ზრდა ადამიანის კეთილ-

---

ამ მიმართებით საინტერესოა მონარქიული სახელმწიფოს, ბუტანის მაგალითი. ქვეყანაში აკრძალულია თამბაქოს მოწევა და გაყიდვა, რადგან მიაჩნიათ, რომ იგი ზიანს აყენებს ადამიანის ფიზიკურ ჯანმრთელობას (ბედნიერების დონის ერთ-ერთი ინდიკატორი). პერიოდულად ითვლიან „ნაციონალური ბედნიერების“ დონეს, რომლითაც ფასდება ქვეყნის განვითარება. შეფასების სხვა პარამეტრებია: მდგრადი განვითარება, კულტურული ღირებულებების შენარჩუნება და ხელშეწყობა, ბუნებრივი გარემოს შენარჩუნება, კარგი მმართველობა. ქვეყნის ტერიტორიის ნახევარზე მეტი დაცული ტერიტორიებია, სადაც ნადირობა აკრძალულია. ბუტანს ეკოლოგიურად სუფთა სახელმწიფოს უწოდებენ.

[465] **Easterlin R. (1974).** Does Economic Growth Improve the Human Lot? Some Empirical Evidence. Nations and Households in Economic Growth: Essays in Honour of Moses Abramovits. New York – London, Academic Press, pp. 89-125.

[466] **Цапенко И. П. (2015).** Субъективное благополучие население и иммиграция. Ж. «МЭ и МО», М., №4. с. 25-26.

დღეობისა და ბედნიერების განცდას ამაღლებს, მაგრამ მხოლოდ განსაზღვრულ პირობებში, ანუ როცა მისი სურვილები (მოთხოვნები), შემოსავალთან შედარებით, უფრო სწრაფად არ იზრდება.[467]

ედ დინერმა გააკრიტიკა აბრაამ მასლოუს მოთხოვნილებათა იერარქიული პირამიდის კონცეფცია, რომლის თანახმად, იმისათვის, რომ ადამიანს წარმოეშვას უფრო მაღალი დონის, სულიერი მოთხოვნილება, ჯერ საჭიროა მისი საბაზო მოთხოვნილებები (შიმშილი, წყურვილი, უსაფრთხოება და სხვ.) დაკმაყოფილდეს. პირამიდის მწვერვალზეა თვითაქტუალიზაცია — დასახული მიზნის მიღწევისა და პიროვნული განვითარების მოთხოვნილებები.

მეცნიერმა ეჭვი შეიტანა ამ კონცეფციის უნივერსალურობაში და 2005-2010 წლებში 150 ქვეყანაში საკუთარი კვლევა ჩაატარა. ზოგიერთ ასპექტში კვლევის შედეგები მასლოუს თეორიას მართლაც დაემთხვა, თუმცა არსებითი გადახრებიც აღინიშნა. კერძოდ, ადამიანმა შეიძლება თვითაქტუალიზაციის მაღალო დონე და საუკეთესო სოციალური ურთიერთობები მაშინაც კი აჩვენოს, როცა მისი საბაზო მოთხოვნილებები სრულად არ არის დაკმაყოფილებული. სხვა სიტყვებით: დაბალი და მაღალი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების იერარქიას არა აქვს განმსაზღვრელი მნიშვნელობა ადამიანის სიცოცხლით კმაყოფილებისა და ბედნიერების განცდისათვის.[468]

კაცობრიობის ისტორიაში ცნობილია მრავალი შემთხვევა, როცა ადამიანი დიდი მატერიალური სიდუხჭირის პირობებშიც კი შემოქმედებით საქმიანობას აქტიურად ეწეოდა და თავის სიცოცხლეს მას უძღვნიდა.[469]

მართალია განათლება (ცოდნა) ადამიანს ანიჭებს სხივმოსილებას, მაგრამ მისით ბედნიერი ნაკლებად ხდება.[470]

რა სჭირდება ადამიანს პირადი ბედნიერებისთვის?

უპირველესად, სიცოცხლეშივე შემჩნევა, ღირსეულად დაფასება, პატივისცემით, ყურადღებით მოპყრობა და ხაზგასმით თქმა იმისა, რომ ტყუილად კი არ იშრომა, არამედ „რაღაცას“ მიაღწია. მას სურს უსაფ-რთხოება და სამუშაო ადგილის დაცულობა, საჭირო ფული ზო-

---

[467] **Динер Э. (2011).** Против счастья. М., 327 с.

[468] http://aboutyourself.ru/eksperimenty/podvergli-kritike-piramidu-maslou.html

[469] მაგ., მიქელანჯელო, მოცარტი, პასკალი, სტალონე და სხვ.

[470] შდრ.: — **ვოვენარი:** „ისინი ვინც ჩვენს შემდეგ მოვლენ, იქნებ ჩვენზე გაცილებით მცოდნენი იყვნენ და თავსაც ჩვენზე ჭკვიანებად თვლიდნენ. მაგრამ იქნებიან კი ჩვენზე ბედნიერნი? განა ჩვენ, ამდენის მცოდნენი, ჩვენს მამებზე უკეთესნი ვართ, რომელთა ცოდნა ესოდენ მწირი იყო?“

მიერი და შესაფერისი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად და ძალადობის-გან დაცულობა, მასზე მზრუნველი საზოგადოების ბედ-ნიერება.

როგორ გავზომოთ ბედნიერება?

ედ დინერი ბედნიერების შეფასების ასეთ ფორმულას გვთავაზობს:

ბედნიერება = განწყობა + სასიცოცხლო პირობები + გაცნობიერე-ბული აქტიურობა

იქნებ ბედნიერების განცდა ადამიანის მიერ დასახული მნიშვნე-ლოვანი მიზნის მიღწევისაკენ დაუხრომელი სწრაფვის პროცესია?

ბედნიერია ის, ვინც მთელი თავისი სულიერებით შეჰხარის იმას, რაც აქვს და რაც სხვისთვის შეუძლია.

სამწუხაროდ, დღეს საზოგადოების განვითარების მთავარ ფაქტო-რად მიჩნეულია ადამიანთა არა ზნეობრივ-ჰარმონიული ურთიერთო-ბების სრულყოფა, არამედ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქა-რება, რომელიც ინდივიდების შემოქმედებით-სულიერ ფასეულობებს უკანა პლანზე სწევს, და ამით, თითოეულ მათგანს სოციუმისგან კიდევ უფრო გაუცხოებულს ხდის. ადამიანი ხდება მანქანის დამხმარე, მისი დანამატი, თანდათან იფიტება და კარგავს შთაგონების უნარს.[471]

უფრო მეტად უნდა ვიზრუნოთ ვიტალურ-მენტალური[472] ურთიერ-თობების გასაუმჯობესებლად ანუ ადამიანის, ოჯახის, საზოგადოებისა და ბუნების ჰარმონიული განვითარების უზრუნველსაყოფად![473]

დღეს, აი ეს არის მთავარზე მთავარი.

ამიტომ, უპირატესობას ვანიჭებ ბრძენი **სოკრატეს** შეხედულებას ბედნიერების შესახებ. მისი აზრით, „**საუკეთესოდ ცხოვრობს ის, ვინც ყველაზე უკეთ ცდილობს, უკეთესი გახდეს, ხოლო ყველაზე ხალი-სიანი იმ კაცის სიცოცხლეა, ვინც განუწყვეტლივ გრძნობს, რომ მართლა უკეთესი ხდება“.**[474]

---

[471] შდრ.: — **როზანოვი:** „ტექნიკა შეერწყა სულს — ყოვლისშემძლეობა მიანიჭა. მაგრამ მანვე გასრისა იგი. მივიღეთ ტექნიკური სული, მხოლოდ შემოქმედე-ბის მექანიზმებითურთ,მაგრამ შთაგონების გარეშე.“

[472] ლათ. vita, vitalis სიცოცხლე, სასიცოცხლო; ლათ. mentalis გონებრივი, აზრობრივი.

[473] შდრ.: — **ჰაველი:** „მსოფლიო უკეთობისაკენ რომ შეიცვალოს, უნდა შეიც-ვალოს ადამიანთა ურთიერთობა. უცილებელია ადამიანები მიეჩვიონ უფრო მეტ პასუხისმგებლობას სამყაროს მიმართ, სხვა სიტყვებით — პასუხისმგებ-ლობას უფრო მნიშვნელოვანის მიმართ, ვიდრე საკუთარი მე-სადმი“.

[474] **ქსენოფონტი. (1973).** მოგონებები სოკრატეზე. სოკრატეს აპოლოგია. თბ., „თსუ“, გვ. 125, 147.

დიდი სოკრატეს შეფასებას კარგად ეხმიანება ასევე დიდი ფრანგი განმანათლებლის **დენი დიდროს** მოსაზრება: **„ყველაზე ბედნიერი ის კაცია, ვინც ადამიანთა უდიდესს რიცხვს ანიჭებს ბედნიერებას“.**

ეს ინდივიდების დონეზე, მაგრამ, როცა ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობა ასე აზროვნებს და იქცევა, მათი შემართება, მონდომება და მოქმედება უძლიერესს დადებით მუხტად იქცევა და სახელმწიფოს კრეატიული განვითარების მთავარი მამოძრავებელი ძალა ხდება.

მარადიული სწრაფვა

- 1972: — ბუტანის სულთანმა გაავრცელა ტერმინი „ერთობლივი ეროვნული ბედნიერება“;
- 2005: — გამოიცა **რიჩარდ ლეიარდის** წიგნი „ბედნიერების ეკონომიკა“;
- 2011: — დ. ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა **დეივიდ კამერონმა** განაცხადა: „დროა ვაღიაროთ, რომ ცხოვრებაში არის უფრო მეტი, ვიდრე ფულია, დროა ყურადღება გავამახვილოთ არა მარტო მშპ-ის ზრდაზე, არამედ საერთო კეთილდღეობის ამაღლებაზე“;
- 2011: — გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია, რომლითაც სახელმწიფოებს მოუწოდა შეუქმნან პირობები მათ მოსახლეობას ბედნიერი ცხოვრებისათვის;
- 2013: — გაერომ ინიცირება გაუკეთა ანალიტიკური მოხსენების მომზადებას „ბედნიერება მსოფლიოში“. მონაცემების თანახმად, ბედნიერების საშუალო დონემ შეადგინა 5.2 ბალი (156 ქვეყნის მოსახლეობის გამოკითხვის შეფასება) 11 ბალიან შკალაში. შედარებით ბედნიერი ქვეყნები აღმოჩნდა: დანია, ნორვეგია, ნიდერლანდი, შვედეთი და შვეიცარია;
- 2023: — მოქალაქეთა პირადი ბედნიერება ყოველწლიურად შეფასდება.

გამოყენებული და დამოწმებული ლიტერატურა

1. **ბიბლია. (2013).** ბიბლია. თბ., „პალიტრა L“.
2. **არისტოტელე. (1995-1996).** პოლიტიკა. ნაწ. I, II. თბ., „სამშობლო“.
3. **ლაო-ძი. (1983).** დაო დე ძინი. თბ., „განათლება“.
4. **პლატონი. (1974).** იონი, დიდი ჰიპია, მენონი. თბ., „ნაკადული“.
5. **პლატონი. (1964).** ნადიმი. თბ., „საბჭოთა საქართველო“.
6. **პლატონი. (1976).** კრიტონი. თბ., „განთიადი“, №1,
7. **პლუტარქე. (1975).** რჩეული ბიოგრაფიები. თბ., „საბჭ. საქართველო“.
8. **ქეი-ქაუსი. (1978).** ყაბუს-ნამე (დარიგებათა წიგნი). თბ., „მეცნიერება“.
9. **ქსენოფონტი. (1973).** მოგონებები სოკრატეზე. სოკრატეს აპოლოგია. თბ., „თსუ“.
10. **აბაშიძე ვ. (1973).** სოკრატეს პოლიტიკური მსოფლმხედველობა. თბ., „საბჭოთა საქართველო“.
11. **აბრალავა ა. (2014).** ეკონომიკისა და ბიზნესის გლობალურ-ინოვაციური პრობლემები. თბ., „უნივერსალი“.
12. **ბარათაშვილი ე.** და სხვ. **(2016).** მენეჯმენტი. წიგნი I და II. თბ.
13. **ბერიძე ვ. (1974).** უძველესი საქართველო: ანტიკური ხანა//ძველი ქართული ხუროთმოძღვრება. თბ., „ხელოვნება“.
14. **ბერძენი და რომაელი ისტორიკოსები. (1998).** თბ., „თსუ“.
15. **ბოლონიის პროცესის ძირითადი დოკუმენტები. (2005).** [http://www.mes.gov.ge/content.php?id=1856&lang=geo]
16. **გათრი უ. (1983).** ბერძენი ფილოსოფოსები: თალესიდან არისტოტელემდე. თბ., „საბჭოთა საქართველო“.
17. **გორდეზიანი რ. (1988).** ბერძნული ცივილიზაცია. ნაკვეთი I. თბ., „მერანი“.
18. **თოდუა თ. (2008).** სახელმწიფოს მართვა: ისტორია, თეორია, პრაქტიკა. თბ., „უნივერსალი“.
19. **ინწკირველი გ. (2003).** სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია. თბ., „თსუ“.
20. **კაპანელი კ. (1996).** ქართული სული ესთეტიკურ სახეებში. თბ., „თსუ“.
21. **ლემონჯავა პ. (2014).** ბუნების გამოყენების ეკონომიკა. თბ., „მერიდიანი“.
22. **მალაშხია გ. (1995).** მეტაეკონომიკა — ეკონომიკის ფილოსოფია. თბ., „მეცნიერება“.
23. **მალაშხია გ. (2013).** სოციალური ენერგია — სიმდიდრე, კეთილდღეობა. თბ., „უნივერსალი“.
24. **მალაშხია გ. (2012).** გლობალური გამოწვევები და ცხოვრების მოდერნიზაცია. ჟურნ. „ბიზნეს-ინჟინერინგი“, თბ., №1.
25. **მესხია შ. (1982).** საისტორიო ძიებანი. ტ. I. თბ., „მეცნიერება“.

26. **მიშველაძე რ. (2012).** კულტურა და თანამედროვეობა. თბ., „სტუ“.
27. **სართანია ვ. (2001).** განათლების ეკონომიკა (ისტორია, თეორია, პერსპექტივა). თბ., სულხან-საბა ორბელიანის სახ. პედინსტიტუტი.
28. **სანიკიძე ლ. (1985).** ალექსანდრე მაკედონელი. თბ., „ნაკადული“.
29. **სიგუა ს. (2010-2013).** კულტუროლოგიის საფუძვლები. წიგნი I, II, III. თბ., „მწერლის გაზეთი“.
30. **რეხვიაშვილი ტ., ჭიაურელი ვ. (2000).** ფილოსოფიის შესავალი. თბ., „სტუ“.
31. **ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. (1987).** თბ., „საბჭოთა საქართველო“, ტ. 11.
32. **ქოქიაური ლ. (2011).** ინტელექტუალური კაპიტალი. თბ., „სტუ“.
33. **ქოქიაური ლ., ქოქიაური ნ. (2015).** ინოვაციები. თბ., „სტუ“.
34. **ღიბრაძე რ. (2011).** სოციოლოგია. თბ., „სტუ“.
35. **შენგელია თ. (2015).** მულტიკულტურიზმი, როგორც სოციალურ-ეკონომიკური მოვლენა და ბიზნესის განმსაზღვრელი დეტერმინანტი. თბ., „უნივერსალი“.
36. **შესავალი თანამედროვე აზროვნებაში. (2014-2015).** წიგნი I და II. თბ., „ილიაუნი“.
37. **ჩიხლაძე ნ. (2015).** შრომის გააზრების მართლმადიდებლური და ეკონომიკური საკითხები. ქუთაისი. აწსუ-ის გამომცემლობა.
38. **ჩიხლაძე ნ., და სხვ. (2014).** ქალაქის ბრენდინგის აქტუალური საკითხები. ქუთაისი.
39. **ჭელიძე მ. (1982).** ფილოსოფიის ისტორიის მეცნიერების სათავეებთან (პლატონი, არისტოტელე). თბ., „თსუ“.
40. **ჯოლია გ. (2015).** კრეატიული ეკონომიკა და განვითარება. თბ.
41. **ჯოლია გ. (2015).** საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები. სახელმძღვანელო. მე-4 გადამუშავებული გამოცემა. თბ., „სტუ“.
42. **ჯოლია გ., სეხნიაშვილი დ. (2010**). ცოდნის ეკონომიკა და მართვა. თბ., „სტუ“.
43. **ჯოლია გ., სეხნიაშვილი დ. (2011).** პოსტინდუსტრიული ეკონომიკა: იცვლება თუ არა სახელმწიფოს როლი? საერთაშორისო კონფერენცია. მოხსენება. თბ., 15-16. IV.
44. **ჯოლია გ., სეხნიაშვილი დ. (2012).** ცოდნის მართვის ამოცანები. თბ., ჟურნ. „ბიზნეს-ინჟინერინგი“, №4.
45. **ჯოლია გ., ჯოლია ქ. (2012).** ცოდნის მართვა, როგორც მარკეტინგული სტრატეგია. თბ., ჟურნ. „სოციალური ეკონომიკა“, №4.
46. **ჯოლია გ. (2013).** ცოდნის მართვის „დელფოს მეთოდი“ სახელმწიფო და ბიზნესფორსაით პროექტებში. თბ., ჟურნ. „ბიზნეს-ინჟინერინგი“, №1.
47. **ჯოლია გ. (2013).** ცოდნის ეკონომიკის კონცეპტუალური ასპექტები. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია. მოხსენება. ქუთაისი. 24-25 მაისი.
48. **ჯოლია გ., სეხნიაშვილი დ. (2013).** ცოდნის ეკონომიკის გაზომვის

(შეფასების) მეთოდოლოგია. თბ., ჟურნ. „ბიზნეს-ინჟინერინგი“, №3.
49. **ჯოლია გ. (2013).** ცოდნის ეკონომიკა, როგორც ფორმირებადი ეკონომიკური სისტემა. თბ., ჟურნ., “ბიზნეს-ინჟინერინგი“, №4.
50. **ჯოლია გ., სიჭინავა ალ., სეხნიაშვილი დ. (2014).** კონკურენტული უპირატესობა ცოდნის ეკონომიკის ეპოქაში (რუსულ ენაზე). თბ., ჟურნ. „ბიზნეს-ინჟინერინგი“, №1.
51. **ჯოლია გ., აბუაშვილი თ. (2014).** შემოქმედების ეკონომიკის წარმოშობისა და განვითარების მიზეზები. II საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია. „ეროვნული ეკონომიკის განვითარების მოდელები: გუშინ, დღეს, ხვალ“. მოხსენება. თბ., 17-18. X.
52. **ჯოლია გ., აბუაშვილი თ. (2014).** მეგაპოლისი — ეკონომიკური განვითარების მამოძრავებელი ძალა. თბ., ჟურნ. „სოციალური ეკონომიკა“, №3.
53. **ჯოლია გ. (2014).** იდეების გენერაციის კრეატიული (შემოქმედებითი) მეთოდები. თბ., ჟურნ. „ბიზნეს-ინჟინერინგი“, №2.
54. **ჯოლია გ. (2015).** კრეატიული ეკონომიკის ფენომენის შემეცნებითი გააზრებისათვის. I საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „თანამედროვე მენეჯმენტი: პრობლემები, ჰიპოთეზები, კვლევები“. მოხსენება. ბათუმი, 24-26. VI.
55. **ჯოლია გ. (2015).** ორიენტაცია ეკოპოლისური ურბსოციუმისაკენ: წარსული, აწმყო, მომავალი. თბ., ჟურნ. „ეკონომიკა“, №3-4.
56. **ჯოლია გ. (2015).** თანამედროვე განათლების მიღების აუცილებლობა და მსოფლიო კრიზისი. III საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია. „ეროვნული ეკონომიკის განვითარების მოდელები: გუშინ, დღეს, ხვალ“. მოხსენება. თბ., 17-18 ოქტომბერი.
57. **ჯოლია გ. (2016).** გლობალიზაციის ვექტორის ინვერსია და განვითა-რებადი აზიის ასწლეული. ჟურნ. „ეკონომიკა“, თბ., №3-4.
58. **ჯოლია გ. (2016**). SMART-კიბერუნივერსიტეტი-ინდუსტრიული რევოლუცია-4.0-ის შესაბამისი საგანმანათლებლო მოდელი. ჟურნ. „ბიზნეს-ინჟინერინგი“, თბ., №1-2.
59. **ჰოფსტედე გ., ჰოფსტედე გ. ი. (2011).** კულტურები და ორგანიზაციები. თარგმანი. თბ., „ილიაუნი“.
60. **Amabile Teresa, Kramer Steven (2011)**. The Progress Principle: Using Small Wins to Ignite Joy, Engagement, and Creativity at Work. «Harvard Business Review Press».
61. **A Vision of Smarter City. (2009).** IBM Institute for Business Value. N.Y. Available at: http://www-03.ibm.com/press/attachments/IBV_Smarter_Cities_Final.pdf
62. **Acaul A. N. (2009).** The organization of business activite: toturial/A.N. Acaul-SPb. «ANO IPEV».
63. **Competitive** Cities in the Global Economy. Paris, OECD, 2008, P. 450.
64. **Creative Economiy Report 2013:** A Feasible Development Option. N.Y. and Geneva. UNCTAD. 2013.

65. **Daheim C., Uerz G. (2008).** "Corporate foresight in Europe: from trend based logics to open foresight," Technology Analysis&Strategic Management, vol. 20.
66. **Definition** of Functional Urban Areas (FUA) for the OECD Metropolitan Database. Paris, OECD, September 2013. Available at: http://www.oecd.org/gov/regional-policy/Definition-of-Functional-Urban-Areas-for-the-OECD-metropollitan-database.pdf
67. **Easterlin R. (1974).** Does Economic Growth Improve the Human Lot? Some Empirical Evi-dence. Nations and Households in Economic Growth: Essays in Honour of Moses Abramovits. David R., Reder M., eds. New York – London. «Academic Press».
68. **Florida R. (2002).**The Rise of the Creative Class. And How It's Transforming Work, Leisure and Everyday Life.
69. **Florida R**. **(2011).** Cities and the Creative Class in Asia.
70. **Global databank** on World trade in creative products//»www.unctad.org»
71. **Gottmann J. (1961).** Megalopolis: The Urbanized Northeastern Seaboard of the Unit-ed States. New York. The Twentieth Century Fund.
72. **Gofee R. (2006).** Why should anyone be led BY YOU? What It Takes to Be an Authentic Leader. Harvard Business school Press. Boston. P. 256.
73. **Guilford J. P. (1980).**Some Changes in the Stucture-of-Intellect Model. Vol.
74. **Gustin S.** Vivek Wadhwa: Stop the US Highly-skilled "Immigrant Exodus" Now. Available at: http:// business.time.com/2012/10/11/vivek-wadhwa-stop-the-u-s-highly-skilled-immigrant-exodus-now/
75. **Handy Ch. (1996).** Gods of Management: The Changing Work of Organizations. N.Y. «Oxford University Press».
76. **Kirzner M. Israel. (1997).** Entrepreneurial Discovery and the Competitive Market Process: An Austrian Approach // Journal of Economic Literature. Vol. XXXV. P. 60-85.
77. **Koestler A. (1964).** The Act of Creation. London. Hutchinson.
78. **Landry R. (2006).** The art of city making. London. Earthscan Publications.
79. **Measuring the Creativity of a City**: A Proposal and an Application «http://opec.ru/1457537.html»
80. **Megacities, megarisks:** trends and challeges for insurance and risk management. Munchen. 2008.
81. **Mumford L. (1938).** The Culture of Cities. New York. «Harcourt Brace».
82. **Nabiullin T. R. (2013)**. The Features of University Development as a Subiect of Entrepreneurial activity.
83. **OECD. (2011).** Regions at a Glance 2011. Paris.
84. **OECD.** Stat Extracts. Available at: http://stats.oecd.org/
85. **Pinchot G. (1998).** Intrapreneuring: Mitarbeiter als Unternehmen /Wiesbaden. Gabler.
86. **Ratcliffe, John**: Challenges for Corporate Foresight: Towards Strategic Pro-

spective Through Scenario Thinking (presented at the conference “Foresight Management in Corporations and Public Organizations”.
87. **Rohrbeck, Rene (2010).** Corporate Foresight: Towards a Maturity Model for the Future Orientation of a Firm, Springer Series: Contributions to Management Science, Heidelberg and New York, ISBN 978-3-7908-2625-8.
88. **Ropke J. (1998).** The Entrepreneurial University: Innovation, academic knowlende creation and regional development in a globalized economy./J. Ropke//Working Paper, Departament of Economics, Phlipps-Universitat, Marburg, Germany.
89. **Rothwell J., Lobo J., Strumsky D.** The Role of Invention in US Metropolitan Productivity. Available at: http://ssrn.com/abstract=2175310
90. **Stevenson H. H. (2000).** Why Entrepreneurship Has Won!//Goleman White Paper, Addressed at USASBE Plenary Conference.
91. **Cherwitz R. (2005).** Creating a Culture of Intellectual Entrepreneurship. Academe 91. July/August. Vol. 5.
92. **The Wordl** According to GaWC 2008 [Electronic resource]. http://www.lboro.ac.uk/gawc/world2008t.html
93. **The World Goes to Town.** Special report. The Economist, 03.05. 2007. Available at: http//www.economist.com/node/21564536
94. **UN HABITAT State of Worlds Cities 2010/2011.** UN. 2008. Available at: http://www.unhabitat.org/
95. **UN HABITAT.** The Economic Role of Cities. UN. 2011. Available at: http://www.unhabitat.org/
96. **UN report:** Worlds biggest cities merging into “mega-regions”//The guardian, 22.03.2010.
97. **Van Steenbergen. (2015).** Bart: Scenarios As a Powerful Tool for Public Policy. As presented at the Prague Workshop on Futures Studies Methodology, October.
98. **Watson R. (2012).**The Future: 50 Ideas You Really Need to Know.
99. **Watson R. (2010).** Future Files: A Brief History of the Next 50 Years.
100. **World Urbanization Prospects:** The 2007 Revision/ N.Y., United Nations. 2008.
101. **Альтшуллер Г. С., и др. (1989).** Поиск новых идей: от озарения к технологии. Кишинев.
102. **Абанкин Т. В. (2006).** Оптимизация сети. Технология управления и модели финансирования организаций культур в свете реформ бюджетого сектора. М.
103. **Альтшуллер Г.** С. **(2007).** Найти идею: Введение В ТРИЗ – Теорию решения изобразительских задач. М., «Альпина Бинесс Букс».
104. **Алешина И.** Глобальные рынки, культура и инновации//Капитал страны //»http://www.kapital-rus.ru/index.php/articles/article/191807»
105. **Амабайл Т. М., Леонард Д., Рейпорт Дж.** (2011). Креативное мыш-

ение в бизнесе. «Юнайтед Пресс».
106. **Асаул А. Н. (2009).** Организация предпринимательской деятельности. СПб.
107. **Белл Д. (2004).** Грядущее посиндустриальное общество. Опыт социального прогнозирования. Пер. с англ. М., «academia».
108. **Белл Д., Иноземцев В.** (2007). Эпоха разобщенности. Размышления о мире XXI века. М., «Свободная мысль».
109. **Бенхабиб С. (2005).** Притязания культуры. Равенство и разнообразие в глобальную эру. Пер. С англ. М., «Логос».
110. **Бережнов Г. В. (2008).** Инновационно-активная деятельность предприятия //«Креативная экономика», № 1.
111. **Блинов А. О.** Природа креативного процесса современных организаций. «http://www.baltic-course.com/rus/opinion/?doc=5786»
112. **Богер Е. В. (2013).** Налоговые льготы на украине и стимулирование инновационного развития. Ж. «Креативная экономика», №6.
113. **Брутян М. М. (2013).** Инновационный менеджмент организации технологического новшества. Ж. «Креативная экономика», №10.
114. **Бойден С., Миллар С., О'Нил Б. (1981).** Экология городов и его люди: Гонконг. Канберра: «Australian National University Press».
115. **Брюс Б., Фрэнк Ллойд Райт. (2006).** Архитектура демократии. М., «ART-РОДНИК».
116. **Бьюзен Т., Бьюзен Б. (2003).** Супер-мышление. Минск.
117. **Бьюзен Т., Бьюзен Б. (2010).** Интеллек-карты. Практическое руководство. М., «Попури».
118. **Волкова А.** Города и креативный класс в Азии. http://urbanurban.ru/blog/economy/157/Goroda-i-kreativnyy-klass-v-Azii
119. **Вернадский Вл. (1926).** Биосфера. Т. 1-2. Ленинград**.**
120. **Глазычев В. Л. (2008).** Урбанистика. М., «Европа».
121. **Голова А. Г. (2011).** Факторы, влияющие на потребительское поведение личности в мегаполисе. «Журнал социологии и социальной антропологии». Том XIV, №5 (58). С. 223.
122. **Гоффе Н. В. (2014).** Мегаполисы – инкубаторы инноваций. Ж. «МЭ и МО», М., №3.
123. **Гофф Жак Ле. (2003).** Интеллектуалы в Средние века. Пер. с французского. СПб.
124. **Гофф Р. (2008).** Почему люди должны следовать за нами?: Книга о том, что значит быть истинным лидером. Пер. с англ. М., «Манн, Иванов и Фербер».
125. **Грасмик К. И. (2008)**. Малые высокотехнологичные предприятия в экономике России: состояние, проблемы развития//«Креативная экономика», № 3.

126. **Грудзинский А. О. (2012).** Организационная культура как фактор развития инновационного университета. «Вестник Нижегородского университета им. Н. И. Лобачевского». №4 (1).
127. **Даунтон П. (2009).** Экополис: Архитектура и города против изменения климата. М., «Аделаида».
128. **Джакобс Д. (1996).** Смерть и жизнь больших американских городов. М., Вашингтон. «Island Press».
129. **Днишев Ф. М. (2012).** Новое качество развития в условиях креативной экономики. Межд. научно-практическая конференция «Индустриально-инновационное развитие экономики», 16.11.12 г. Караганда.
130. **Друкер П. Ф. (1992).** Рынок: как выйти в лидеры: Практика и принципы. Пер. с англ. М., «Бук Чембэр Интернэшнл».
131. **Динер Э. (2011).** Против счастья. М..
132. **Дюпре Б. (2015).** Большие идей. М., «Phantom press».
133. **Дюпре Б. (2015).** Философия. М., «Phantom press».
134. **Есина Ю. Л. и др. (2015).** Формы и механизмы интеграции науки, образования и бизнес-соощества в условиях инновационного обновления региональной экономики. Креативная экономика, 9(12).
135. **Ефимов В.С., Лаптева А. В. (2010).** Корпоративная культура – инструмент развития университета. М.
136. **Журавлев В. А. (2008).** Креативное общество, его особенности и характеристика. Ж. «Креативная экономика». № 11 (23).
137. **Захаров А. А. (2015).** Предпринимателькие трансформации в Токийском университете. Ж. «Креативная эконо-мика». 9(8).
138. **Зеленцова Е. В. (2009).** Возрождение «города мастеров». Вестник. №1.
139. **Зотова Л. Р. (2015).** Креативный город: творческие индустрии и развитие городов. Ж., «Креативная экономика», 9(11).
140. **Зубеева Е. В. (2014).** Хомоиноватикус. Концепция инночеловека в системе стратегического менеджмента инновационного предприятия. Ж., «Креативная экономика». №7.
141. **Иванова Н. (2008).** Инновационная динамика мировой экономики // Ж. «Наука и инновации». №6.
142. **Игнатова И. В. (2014).** Предпринимательство и бизнес: Терминологическая дифференциация. Инт.-журнал «НАУКОВЕДЕНИЕ», Вып. 6 (25).
143. **Камерон К., Куинн Р. (2001).** Диагностика и изменение организационной культуры. Пер. с англ. СПб. «Питер».
144. **Кастельс М. (2000).** Информационная эпоха: экономика, общество и культура. Пер. с англ. М., «ГУ ВШЭ».
145. **Карты ума. (2007).** MindManager. Мн., Харвест.
146. **Кастельс М. (2000).** Информационная эпоха: экономика, общество и культура. Пер. с англ. М., «ГУ ВШЭ».

147. **Кларк Б. Р. (2011).** Система высшего образования: академическая организация в кросс-национальной перспективе. Пер. с англ. М., «Высшая школа экономики».
148. **Кларк Б. Р. (2011).** Создание предпринимательских университетов: организационные направления трансформации. Пер. с англ. М., «Высшая школа экономики».
149. **Кларк Б. Р. (2011).** Поддерживание изменений в университетах. Преемственность кейс-стади и концепций. Пер. с англ. М., «Высшая школа экономики».
150. **Клоудова Й. (2010).** Влияние развития креативной экономики на экономически отсталые регионы. М., Ж., «Вопросы экон. политики».
151. **Костантинов Г., Филонович С.** Интелектуальное предпринимательство и предпринимательский университет. [http://www.buk.irk.ru/exp_seminar/5/doc1.pdf]
152. **Костантинов Г. Н. (2007).** Что такое предпринимательский университет. М., «Вопросы образования».
153. **Кук П. (2007).** Креатив приносит денги. Минск.
154. **Ленчук Е. (2008).** Проблемы формирования национальной инновационной системы в России // Ж. «Наука и инновации». №5.
155. **Лессиг Л. (2007).** Свободная культура. М., «Прагматика культуры».
156. **Лучко М. Л. (2010).** Развитие инноваций в Швеции: традиции, современность и будущее. Научные исследования экономического факультета. Электронный журнал. 2(1).
157. **Лэндри Ч. (2011).** Креативный город. Пер. с англ. М., «Классика-XXI».
158. **Майклз Э. (2005).** Война за таланты. Пер. с англ. М., «Манн».
159. **Мамокова Е. М. (2010).** Методы активации мышления: применение ТРИЗ в маркетинге. М., II международная научно-практическая конференция «Проблемы развития инновационно-креативной экономики.
160. **Маслоу А. (1999).** Мотивация и личность. Пер. с англ. СПб, «Евразия».
161. **Мельников О. Н. (2008).** Управление интеллектуально-креативными ресурсами наукоемких производств. М.
162. **Метелева Е. Р. (2007).** Стратегическая оценка роли городов в условиях глобализации. Иркутск.
163. **Микалко Майкл. (2007).** Игры для разума. Тренинг креативного мышления. СПб, «Питер».
164. **Мир в 2050 году. (2012).** Под ред. Дэниела Франклина и Джона Эндрюса. ЭКСМО, М.
165. **Мкртычян Г. А. (2014).** Предпринимательский университет: концепция и диагностика культуры. «Вестник Минского университета». №4.
166. **Мозговой штурм** - история, мифы, правила. www.bkg.ru

167. **Мухамедьяров А. М., Диваева Э. А. (2011).** Зарубежный опыт формирования инновационной системы в регионах. Экономика и управление: научно-прак-ческий журнал. №3.
168. **Мюллер Хорст. (2007).** Составление ментальных карт: метод генерации и структурирования идей. Пер. с нем. М., «Омега-Л».
169. **Нёльке М. (2007).** Находчивость искусство отражать удар. М., «ОМЕГА-Л».
170. **Нёльке М**. (2008). Техники креативости. М., «ОМЕГА-Л»,
171. **Орлов В. М. (2014).** Интелектуальное предпринимательство. Челябинск. ФГОУ ВПО «ЮурГУ» (НИУ).
172. **ООН.** Цели развития тысячелетия: доклад за 2014 год.
173. **Пак В. Д., Нужина Н. И. (2014).** Основные типологии организационной культуры. Томск. «Социологические науки». Сентябрь.
174. **Пилясов А., Колесникова О. (2008).** Оценка творческого потенциала российских региональных сообществ. Ж. «Вопросы экономики», №9.
175. **Повышение устойчивости городов к бедствиям.** Женева, 2012.
176. **Подберезкин А. И. (2011).** Национальный человеческий капиталь. М., Том III. Книга 3. Креативный класс и идеология русского социализма.
177. **Пономарев А. В. (2011).** Интелектуальное предпринимательство как процедура открития. Вестник МГИМО-университета. М., №1 (6).
178. **Программа ООН** по населенным пунктам (ООН-Хабитат): www.unhabitat.org
179. **Развитие** финансирования и законодательства в творческих индустриях северного измерения. 2012. СПб.
180. **Рой Ван Дальм.** Три «А» креативного города: Электронный ресурс. http://theoryandpractice.ru/video/44-tri-a-kreativnogo-goroda
181. **Сак А. В. и др. (2008).** Методы креативного менеджмента // Экономика, финансы, управление. № 2.
182. **Сапонов Д. (2012).** Творческое действие в креативном городе. Социологическое обозрение. М., №3, Т. 11.
183. **Сас Т. (2011).** Мир душевой болезни. М.
184. **Селянская Г. Н. (2015).** SMART-университет - ответ на вызовы новой промышленной революции. Ж. «Креативная экономика». №9.
185. **Сигов И. И. (1992).** Планирование комплекного развития крупных городов. СПб, «Наука».
186. **Скосарев С. А. (2012).** Управление креативностью в современной организации. В книге: Инновационные технологии управления человеческими ресурсами: Коллективная монография. М., «МЭСИ».
187. **Скотт Торп. (2010).** Учебник креативного мышления. Простой подход нестандартным решениям. М., «Попурри».
188. **Слоун Пол. (2005).** Латеральное мышление. М., «Диля».

189. **Смаглюкова Л. В. (2013).** Креативная экономика и социальные инноваций. Международный информационно-аналитический журнал. Выпуск 3. №1(4).
190. **Снежинская Е. Ю. (2013).** Современные мегаполисы в вихре экономических кризисов. Интернет-журнал «Науковедение», №5.
191. **Сноу Ч. С. (1985).** Две культуры и научная революция. Пер. с англ. В кн.: Сроу Ч.П. Портреты и размышления. М., «Прогресс».
192. **Степанова Т. Е. (2008).** Экономика XXI века – экономика основанная на знаниях // Ж. «Креативная экономика», №4.
193. **Суминова Т. Н. (2012).**Творческие/креативные индустрии как вариант модернизации сферы культуры и искусства. «Вестник МГУКИ». №3.
194. **Трофимова Л. А., Трофимов В. В. (2011).** Управленческие решения (методы принятия и реализации). СПб., «СПбГУЭФ».
195. **Роу А. (2007).** Креативное мышление. М., «НТ Пресс».
196. **Усиление** антропогенного воздействия на природу и его последствия. http://www.grandars.ru/shkola/geografiya/antropogennoe-vozdeystvie.html
197. **Уэрта де Сото Х. (2009).** Автрийская экономическая школа: рынок и предпринимательское творчество. Челябинск. «Социум».
198. **Флорида Р. (2007).** Креативный класс: люди, которые меняют будущее. Пер. с англ. М., «Классика-XXI».
199. **Фридман Д. (2010).** Следующее 100 лет: Прогноз событий XXI века. Пер. с англ. М., «Эксмо».
200. **Фромм Э. (2009).** Бегство от свободы. М.
201. **Цапенко И. П. (2015).** Субъективное благополучие население и иммиг-рация. Ж. «МЭ и МО», М., №4.
202. **Хелел Г., Прахалад. (2002).** Конкурируя за будущее. Создание рынков завтрашнего дня. М.
203. **Хокинс Джон. (2007).** Креативная экономика. М., «Классика-XXI».
204. **Чекмарев В. В. и др. (2013).** Мировой социально-экономический контекст высшего образования. «Экономика образования». М., №1.
205. **Шпенглер О. (1993-1998).** Закат Европы: Очерки морфологии мировой истории. В 2. т. М.
206. **Шпенглер О., Глазычев В. Л.** (2008). Урбанистика. М., «Европа».
207. **Шумпетер Й. (2007).** Теория экономического развития. пер. с англ. М., «Директ-Медиа».
208. **Эдуар Де Боно. (1997).** Латеральное мышление. Учебник творческого мышления. СПб, «Питер».
209. **Эвелин Бос. (2008).** Как развивать креативность. Р/на-Дону. «Феникс».
210. **ЮНКТАД. (2014).** ООН. Доклад о мировых инвестициях.

.

რედაქტორი მ. ასათიანი

გადაეცა წარმოებას 08.04.2016. ხელმოწერილია დასაბეჭდად 24.05.2016. ქაღალდის ზომა 60X84 1/16. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 28.

საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, კოსტავას 77

Verba volant,
scripta manent